

# რევაზ

# მიშველაძე

## ჩრდილო თხზულებანი

ოცდახუთ ტომად



## სახელმძვანელო, წერილები

ტომი  
XXV



ბამონცემლოზ „საქართველოს მაცნე“

თანამედროვე ქართული ლიტერატურის კლასიკოსის, რუსთაველის პრემიის ლაურეატის, რევაზ მიშველაძის შემოქმედება კარგანანია მსოფლიო ლიტერატურის ორგანულ ნაწილად იქცა.

„საქართველოს მაცნე“ გამოსცემს პროზის დიდოსტატის რევაზ მიშველაძის ჩრდილო თხზულებათა ოცდახუთტომეულს.

მკითხველი ამ ტომების წაკითხვისას ადვილად დარწმუნდება, რომ მწერლის ჟანრულად უაღრესად მდიდარ ნაწერებში ჩანს არა მარტო საქართველოს პრობლემები, არამედ ქართული სარკმლიდან დანახული მსოფლიოც.

ISBN 978-9941-16-228-2 (ოცდახუთივე ტომი)  
ISBN 978-9941-16-380-7 (XXV ტომი)

რ ე ვ ა ზ მ ი შ ვ ე ლ ა ძ ე

# უ ა ხ ლ ე ს ი ქ ა რ თ უ ლ ი ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ი ს ი ს ტ ო რ ი ა

რედაქტორი            ნათელა თუხარელი

კომპიუტერული  
უზრუნველყოფა    მავრა ბანცური  
                                 ციალა ძიმისტარიშვილი

საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებულია  
სახელმძღვანელოდ უმაღლესი სასწავლებლების ჰუმანიტარული  
ფაკულტეტების სტუდენტებისათვის (2. IV. 98 ნ.)

© რევაზ მიშველაძე, რჩეული თხზულებაანი ოცდახუთი ტომად

© გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“, თბილისი, 2013

მისამართი: თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. №27

თბილისი  
2013

## საზნის მიზანი და ამოცანები

განკუთვნილია სახელმძღვანელოდ საქართველოს ყველა უმაღლესი სასწავლებლისათვის, სადაც ქართული ლიტერატურის ისტორია ისწავლება.

უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორია არის მეცნიერება, რომელიც შეისწავლის თანამედროვე ქართულ ლიტერატურას. თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში მეოცე საუკუნის ქართული მწერლობა იგულისხმება ძირითადად, მაგრამ უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორია იმიტომ ჰქვია ამ საგანს და არ ჰქვია, უბრალოდ, მეოცე საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორია, ანუ თანამედროვე ქართული ლიტერატურის ისტორია, რომ ლაპარაკია ლიტერატურის არა მარტოდენ ქრონოლოგიურ ჩარჩოებზე, არამედ თვისებრივად ახალ მწერლობაზე, სწორედ ლიტერატურული სიახლის, თვისებრიობის გამო დაჰყო აკადემიკოსმა კორნელი კეკელიძემ მთელი ქართული ლიტერატურის ისტორია სამ ნაწილად: 1) ძველი ქართული მწერლობა, 2) ახალი ქართული მწერლობა, 3) უახლესი ქართული მწერლობა.

რა თვისებრივი სიახლეებით განსხვავდება უახლესი ქართული მწერლობა მისი წინამორბედი ახალი ქართული მწერლობისაგან?

მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის ქართული მწერლობა კრიტიკული რეალიზმის მწერლობა იყო – დაწყებული გიორგი ერისთავიდან, დამთავრებული სამოციანელთა შემოქმედებით. მწერლობა აკრიტიკებდა არსებულ სინამდვილეს და ეწერებოდა იბრძოდა საქართველოს დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის.

მეცხრამეტე საუკუნის ოთხმოციანი წლებიდან ლიტერატურაში შემოვიდა ახალი თაობა დავით კლდიაშვილის, ეგნატე ნინოშვილის, ვასილ ბარნოვის, შიო არაგვისპირელის და სხვათა სახით. ამ თაობამ თან მოიტანა თვისებრივად ახლებური ლიტერატურა, რაც, უპირველეს ყოვლისა, ქვეყნის ბედისა და პიროვნებისადმი თავისებურ დამოკიდებულებაში გამოიხატა. თუ კრიტიკული რეალიზმი ძირითადად არსებული სინამდვილის კრიტიკით კმაყოფილდებოდა, უახლესი ლიტერატურის წარმომადგენლებმა სცადეს ქვეყნის ხსნისა და განახლების გზებზეც თავისებურად, სამოციანელთაგან რამდენადმე განსხვავებულად დაფიქრებულიყვნენ.

კერძოდ, ეგნატე ნინოშვილმა სცადა საქართველოს სამომავლო გზების გარკვევაში მარქსისტული ელემენტებიც შეეტანა. რომანში „ჯანყი გურიაში“ ეგნატე ნინოშვილმა მიანიშნა იმაზე, რომ საქართველო ცალკეული ამბოხებით ან ტერორით თვითმპყრობელობასთან ვერას გახდებოდა და საჭირო იყო რუსეთის პროლეტარიატთან, ხოლო ამ გზით მსოფლიო პროლეტარიატთან გაერთიანება. მუშას ყველგან ერთნაირად უჭირს და საჭიროა თავისუფლებისათვის ბრძოლის ხანძარი რუსეთის იმპერიაში და ევროპაში ყველგან დაენთოს, რათა მასათა საერთო აზვირთებაში საქართველომ მიაღწიოს თავის სანუკვარ მიზანს. ამ დებულებას, მარქსიზმის კოსმოპოლიტური იდეებიდან წამოღებულს, კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა ილიას რაზმი. რა საერთო გვაქვს ჩვენ რუსეთის პროლეტართან? რუსეთს არასოდეს არ ექნება ის ინტერესები, რუსეთის კოლონიური უღლის მგმინავ მცირე ერებს რომ გააჩნიათ. რუსეთის პროლეტარი მე საქართველოს არ გამინთავისუფლებს. საქართველოს უპირველესი საქმე რუსეთის თვითმპყრობელობისგან, იმპერიისგან საქართველოს გამოსხნაა, რუსეთის პროლეტარიატს კი ეროვნული ბრძოლა სრულიადაც არ სჭირდება, რადგანაც რუსეთი დაპყრობილი არ არისო – ამბობდნენ ქართველი სამოციანელები.

ქართულ ინტელიგენციაში დაწყებულმა ამ იდეოლოგიურმა ბრძოლამ, რასაკვირველია, მხატვრულ ნაწარმოებებში იჩინა თავი და ამიტომ ვლადიმერ კობთ ჩვენ უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორიის დაწყებაზე სწორედ მეცხრამეტე საუკუნის ოთხმოციან წლებში. გარდა ამისა, თვისებრივი სიახლე გამოიხატა ჟანრულ სისტემასა და პერსონაჟთა ხატვის ახლებური ხერხების გამოყენებაში.

მეცხრამეტე საუკუნის ოთხმოციანი წლებიდან ქართულ ლიტერატურას ძალუმად დაუბერა ევროპული, მოდური სკოლების ლიტერატურულმა სიომ. საქართველოში ჩნდება სიმბოლიზმის, ფუტურიზმის, იმაჟინიზმის, იმპრესიონიზმის, ექსპრესიონიზმის და სხვა ლიტერატურულ სკოლათა ნიშნები და ესეც სრულ უფლებას გვაძლევს თვისებრივად ახალი მწერლობის დასაწყისზე ვილაპარაკოთ. ასე რომ, უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორია მხოლოდ ერთი მხრით არის შემოზღუდული – დასაწყისით. ეს ისტორია გრძელდება. ახლა, როცა მეოცე საუკუნე უკვე ისტო-

რიას ჩაბარდა, ძირითადი კონტურები უახლესი მწერლობისა ჩვენს წინაშე ნათლად ჩანს, მაგრამ შეიძლება ახალ, ოცდამეერთე საუკუნეში გამოჩენილმა რომელიმე თვითმყოფადმა ლიტერატურულმა სკოლამ ლიტერატურული პანორამა რამდენადმე შეცვალოს.

მეოცე საუკუნის ძირითადი ლიტერატურული მიმართულებების, ცალკეული მწერლების მონოგრაფიული შესწავლით ჩვენ გავეცნობით უახლესი ქართული მწერლობის, როგორც თვისებრივად ახალი ლიტერატურის ისტორიას, რაც ერთხელ კიდევ დაგვარწმუნებს იმაში, რომ მეოცე საუკუნის ქართული მწერლობა მრავალსაუკუნოვანი ქართული ლიტერატურის ტრადიციების გამგრძელებელი და თანამედროვე მსოფლიო ლიტერატურის ორგანული ნაწილია.

## XX საუკუნის დასაწყისი და მწერლობა

მეოცე საუკუნე მსოფლიო ისტორიაში შევიდა, როგორც უაღრესად რთული სოციალურ-პოლიტიკური მოვლენების საუკუნე. მას ხშირად პარადოქსების საუკუნესაც უწოდებენ. ეს არის რევოლუციების, სამოქალაქო თუ მსოფლიო ომების, მსოფლიოს ხელახალი გადანაწილების და ღირებულებათა გადაფასების ურთულესი საუკუნე. ამ საუკუნეში დედამიწამ გადაიტანა ორი გლობალური მსოფლიო ომი, რასაც მსოფლიოსათვის დამანგრეველი შედეგი და სახელმწიფოთა საზღვრების შეცვლა მოჰყვა. ამ საუკუნეშივე ადამიანის სულის კანიბალურ გამოვლენათა პარალელურად, დიდი ერების მიერ მცირე ერთა დასჯა-დაპყრობის, შუასაუკუნური მეკობრეობის პარალელურად, განვითარდა და არნახულ სიმაღლეებს მიაღწია კულტურამ, მეცნიერებამ. როდესაც მეოცე საუკუნის ადამიანის ლიტერატურული იერსახის შექმნის პრობლემაზე ლაპარაკობენ, ფილოლოგი მეცნიერები ხშირად მიდიან იმ დასკვნამდე, რომ მეზობელი მეცხრამეტე საუკუნის ადამიანი უფრო სრულყოფილად აისახა მსოფლიო ლიტერატურაში, ვიდრე მეოცე საუკუნისა. ამას მეცნიერები ორგვარი მიზეზით ხსნიან: 1) მეოცე საუკუნის ლიტერატურის განვითარების ბარომეტრმა მეცხრამეტე საუკუნის მაჩვენებელთან შედარებით დაბლა დაიწია, თითქოსდა, მეოცე საუკუნეში არ დაიბადა არც ერთი გენიალური მწერალი, ისეთი როგორც იყვნენ: ლეე ტოლსტოი, გოეთე, შილერი, ჰიუგო, ბალზაკი, დიკენსი, თეკერეი, ილია ჭავჭავაძე.

2) მეორე მიზეზად მეოცე საუკუნის ადამიანი რომ სრულად ვერ დაიხატა მწერლობაში, იმას ასახელებენ, რომ მეოცე საუკუნის ადამიანი თავისი ფსიქიური წყობით და ცხოვრების წესითაც გაცილებით უფრო რთულია, ვიდრე მეცხრამეტე საუკუნის მოქალაქე, ადამიანი გართულდა იმიტომ, რომ ცხოვრება გართულდა. მეოცე საუკუნის მოქალაქის კვლევა, მისი სულიერი პორტრეტის შექმნა ტრადიციული ლიტერატურული ჟანრებით და მეთოდებით ვერ ხერხდება.

მაინც რამ შეუწყო ხელი და რით გამოიხატება მეოცე საუკუნის ადამიანის რთული და წინააღმდეგობრივი ხასიათი? უპირველეს ყოვლისა, ადამიანის ფსიქიკაზე ტოტალური ისტორიული კატაკლიზმების ზემოქმედებით. კერძოდ, ათეული საუკუნეების განმავლობაში ადამიანის სულის გაკეთილშობილება-გალამაზებისათვის

გაისარჯა მსოფლიოს ცივილიზაცია. ადამიანს ეგონა, რომ ჰუმანიზმისა და სიკეთის პრინციპის დამკვიდრებისათვის პომეროსის, დანტეს, რუსთაველის და სხვათა რუდუნება ადამიანის სულის სასიკეთო ფორმირებისათვის სასურველ შედეგს გამოიღებდა და სწორედ მეოცე საუკუნეში, როცა ადამიანს წინ ედო მისი ხელით და გონებით შექმნილი მსოფლიოს შვიდი საოცრება, როდესაც საუკუნეთა განმავლობაში მოჰყვებოდა მას რელიგია და ხელოვნება, არა იქურდოს, არა კაც ჰკლას, მოყვასის სიყვარულის უკვდავი პრინციპებით, კიდევ ერთხელ გაირკვა, რომ თურმე, ადამიანი მეოცე საუკუნისა მის არსებაში ჩაბუდებული სიავის მასშტაბებით დიდად როდი განსხვავდება გამოქვაბულის წინ მდგარი თავისი შორეული წინაპრებისაგან. მეოცე საუკუნის ოთხმა ყველაზე კულტურულმა ერმა (გერმანელებმა, რუსებმა, ინგლისელებმა და ამერიკელებმა) მსოფლიოს ისეთი მეხთატეხა დაატეხა თავს და ადამიანთა მასობრივი განადგურების ისეთი საშუალებები შექმნა, რომ მსოფლიო კიდევ დიდხანს იქნება გაოცებული.

მეცნიერების და ტექნიკის განვითარებამ წინააღმდეგობრივი, ურთიერთგამომრიცხავი, რებუსური, ძნელადამოსაცნობი ფენომენი შექმნა მეოცე საუკუნის მოქალაქეთა გონებაში. ჩვენი საუკუნე ჭეშმარიტად პარადოქსების საუკუნეა. ადამიანის ორგანოების გადანერგვის ოპერაციებს ვატარებთ და გრიპი ვერ მოგვიჩენია. საოცარი ნახტომი გააკეთა ტექნიკამ ოჩოფეხებიდან თვითმფრინავამდე, გამოქვაბულიდან ცათამბჯენამდე. კოსმოსის დაპყრობამ ადამიანი, ერთი მხრივ, დაარწმუნა მისი გონების არნახულ შესაძლებლობაში, მეორე მხრივ, მთვარის დაპყრობის შემდეგ რალაც რადიკალურად შეიცვალა ადამიანის ბუნებაში, რალაც ჩაკვდა მასში. ადამიანი საუკუნეების განმავლობაში უმღეროდა მთვარეს, შესცქეროდა მას, როგორც ოქროსფერ ციურ სხეულს და როდესაც ამერიკელებმა მთვარეზე დაადგეს ფეხი, მსოფლიოსათვის ერთბაშად გახდა ცხადი, რომ მთვარე არც მეტი, არც ნაკლები, უსიცოცხლო გრუნტი ყოფილა. ამ ფაქტმაც თავისი დანამრევი დატოვა ჩვენს სულში.

მეოცე საუკუნის მსოფლიოს კატაკლიზმებმა საუკუნეთა განმავლობაში ურყევ ჭეშმარიტებად მიჩნეული ზოგიერთი ეთიკურ-ზნეობრივი პრობლემაც სხვა კუთხით წარმოგვიჩინა. ვერ იფიქრებდნენ დანტე, რუსთაველი ან შექსპირი, თუ ოდესმე, მსოფლიო სხვა თვალთ შეხედავდა სიყვარულის, სიკეთის, დედაშვილობის

პრობლემასაც კი. თუ კლასიკოსები საუკუნეთა განმავლობაში უმღეროდნენ ერთ სიყვარულს (მონოსიყვარულს) და თითქმის ამ პრობლემაზე შეიქმნა მსოფლიოს კლასიკური მწერლობა, მეოცე საუკუნემ თავისი ნეორეალიზმით, სუბიექტური იდეალიზმით, ეგზისტენციალიზმით თუ პრუსტოლოგიური თეორიებით გაათავისუფლა ადამიანი ე.წ. „ერთი სიყვარულის“ არტახებიდან და დაამტკიცა, რომ სიყვარული იმდენჯერ შეიძლება მოვიდეს ცხოვრებაში, რამდენჯერაც ადამიანს მისი მიღება შეუძლია. ეს კი ერთგვარი ახალი ცხოვრების დასაწყისი იყო. ასევე მეოცე საუკუნის ადამიანი გაათავისუფლდა საუკუნეების განმავლობაში განმტკიცებული ოჯახურ-პატრიარქალური წარმოდგენებისაგან. უფრო მეტად დასუსტდა ის ძაფი, შვილს რომ მშობლის კალთასთან აკავშირებდა. ურბანიზმმა და მეცნიერულ-ტექნიკურმა რევოლუციამ ის მოიტანა, რომ მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში მშობელი თავისი 16 წლის შვილზე ყოველგვარ პასუხისმგებლობას იხსნის. სწორედ მეოცე საუკუნის ბოლოს შემთხვევით ბიოლოგიურ ერთობად მიიჩნევადა სისხლით ნათესაობას ზოგი ფილოსოფოსი, ბიოლოგი, ანთროპოლოგი. ამ ურთიერთგამომრიცხავი დინებების და მოტივების გამო მეოცე საუკუნის ადამიანი რთული ფენომენია.

ლიტერატურის განვითარების გზაზე არანაკლები სირთულე შექმნა ჟანრთა დაბერების პრობლემამაც. ჩვენს თვალწინ დაუთმო პოზიციები რომანს და თითქმის მოდიდან გავიდა კლასიკური ლიტერატურის უმთავრესი ჟანრი – ეპიკური პოემა. იშვიათზე იშვიათად ინერება ოდები, ელეგიები, იგავ-არაკები და ა. შ.

## **მეცხრამეტე საუკუნის დასასრულისა და მეოცე საუკუნის დასაწყისის საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური და ლიტერატურული ვითარება**

საქართველოს ისტორიაში მეცხრამეტე საუკუნე განსაკუთრებული იყო. განსაკუთრებული იყო იგი იმ უბედურებების მასშტაბებით, რაც საქართველოს დაატყდა თავს ამ საუკუნეში. გარეშე მტერთაგან დაუძღვრებული საქართველო, ჯერ გიორგიევსკის ტრაქტატით თავის ფრთებქვეშ შეიტყუა ორთავიანმა არწივმა, რუსეთმა, ხოლო შემდეგ რუსეთის ცინიზმი იქამდე მივიდა, რომ მეგობრული მისიით მის კალთას შეფარებულ სახელმწიფოში 1801 წელს საქართველოს სამეფო ტახტი, ე. ი. საქართველოს სახელმწიფოებრიობა და შემდეგ ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის ავტოკეფალია გააუქმა. ეს ისეთი გაუგონარი სითავხედე გახლავთ, რომ მსგავსი ბოროტება საქართველოს მიმართ არც ერთ მტერს არ ჩაუდენია, მიუხედავად იმისა, რომ თავის ძნელბედობის მანძილზე საქართველოს მტრები არ აკლდა. საქართველოს დამოუკიდებლობა, როგორც სახელმწიფო, ისე რელიგიური, მანამდე არც დამპყრობელს, არც არაბს, არც მონღოლს, არც სპარსს არ გაუუქმებია. საქართველოს სახელმწიფოს მსოფლიო არენიდან წაშლის ამ კანიალურ აქტს, სრულიად ბუნებრივია, რომ საქართველო ვერ შეეგუებოდა, ამიტომაც მეცხრამეტე და მეოცე საუკუნეები ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ნიშნით ჩატარდა. საქართველოში დაიწყო აჯანყებების და შეთქმულებების სერია 1804 წლის, 1912 წლის, 1832 წლის, 1841 წლის, 1905 წლის, 1917 წლის, 1990 წლის და ა.შ. ცარიზმი საშინელი დესპოტიზმით და ტლანქი მეთოდებით სპობდა საქართველოს ეროვნულ თვითმყოფადობას, იქამდეც კი, რომ მან ქართულ სკოლებში ქართული ენა გააუქმა და არა მარტო სკოლაში, საერთოდ ამოიღო ქართული ენა ხმარებიდან და სახელმწიფო ენად რუსული ენა შემოიღო. ერთადერთი ქართული გაზეთი – „თბილისის უწყებანი“, ჯერ რუსულ ენაზე გამოდიოდა („Тифлисские ведомости“) და მერე ქართულად ითარგმნებოდა. საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მედროშენი მეცხრამეტე საუკუნის მთელ მანძილზე რეკავდნენ ზარებს საქართველოს გასალვიძებლად და ერში ცარიზმისადმი პროტესტის გრძნობას აღვივებდნენ. საქა-

რთველოში ეროვნული ცნობიერების დამკვიდრებას და პატრიოტული მოძრაობის ფართოდ გაშლას მეცხრამეტე საუკუნეში განსაკუთრებული შეუპოვრობით ემსახურებოდნენ სოლომონ დოდაშვილი, ალექსანდრე ორბელიანი, გიორგი ერისთავი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, კირილე ლორთქიფანიძე, ნიკო ნიკოლაძე, სერგეი მესხი და სხვანი.

რამდენადაც დრამატული იყო მეცხრამეტე საუკუნე ხალხთა საპყრობილეში მგმინავი კოლონიური ჩაგვრის უღლის ქვეშ მყოფი საქართველოსთვის, იმდენად გაციხროვნებულია საქართველოს ისტორია ეროვნული ბრძოლის თავკაცთა აქტიურობით და მკაცრი რეჟიმისადმი შეურიგებლობით. მართალია, ეს ბრძოლა, თვით თავკაცთათვის სავალალოდ დამთავრდა: 1832 წლის შეთქმულების მონაწილენი გადაასახლეს. ილია ჭავჭავაძეს წინამურთან ტყვია ჰკრეს შუბლში, მაგრამ საქართველოს ეროვნულ ბელადებს ამ დროისათვის თავიანთი საქმე უკვე გაკეთებული ჰქონდათ. ჰაერში თავისუფლების სუნი ტრიალებდა. მეოცე საუკუნის დასაწყისში რუსეთის იმპერიას აშკარად დაუდგა შეტორტმანების ავბედითი დრო. თვით რუსეთის მოქალაქეთა უმეტესობას აღარ შეეძლო და აღარ სურდა ძველებურად ცხოვრება, რაც ბადებდა იმპერიის შიგნიდან აფეთქების იმედს, ხოლო რუსეთის იმპერიაში ძალით შერევილ ეროვნულ უმცირესობებს უნერგავდა იმის რწმენას, რომ ადრე თუ გვიან შეიძლება თვითმპყრობელობა დამხობილიყო და ჩაგრულ ერებს თვითგამორკვევის უფლება მოეპოვებინათ. ამ გარემოებამ გამოიწვია ხსნის გზების ძიების ურთულესი პროცესი და პარტიათა და იდეურ მიმდინარეობათა განსაკუთრებული სიჭრელე. იმპერიის მოქალაქეთა ერთმა ნაწილმა თვითმპყრობელობის გლობალური მოსპობისათვის იმ დროს ევროპაში დაბადებული მარქსისა და ენგელსის მოძღვრება ამოირჩია. ამ მოძღვრების გადმომტანნი და რუსეთის იმპერიაში დამნერგავნი იყვნენ ლენინი და სტალინი.

მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს და მეოცე საუკუნის დასაწყისში საქართველოში დომინანტობდა სამი ფილოსოფიურ-პოლიტიკური მოძღვრება ანუ სამი ფილოსოფიურ-ესთეტიკური სკოლა: 1) რევოლუციური დემოკრატია ანუ განმანათლებლობა, რომელსაც საქართველოში „სამოციანელთა სკოლას“ ეძახდნენ; 2) ხალხოსნობა, – 3) სოციალ-დემოკრატია.

**რევოლუციურ დემოკრატია**ს ჩვენ ვეძახით ქართველ **სამოციანელთა სკოლას**, ანუ ილია ჭავჭავაძის სკოლას. განსხვავებით მეოცე საუკუნის დასაწყისის რუსეთისაგან, სადაც გენიალური „რაზნოჩინელი“ ჩერნიშევსკის, ბელინსკის, პისარევის, ტურგენევის, გერცენის და სხვათა სახით უკვე აღარ იყვნენ ცოცხალნი, საქართველოში, ჩვენდა საბედნიეროდ, მეოცე საუკუნის დასაწყისში მძლავრად ისმოდა ქართველ სამოციანელთა ხმა. ილია ჭავჭავაძეს და მის რაზმს მუხლჩაუხრელი ბრძოლით და თვითმპყრობელობისადმი უკომპრომისობით მოპოვებული ჰქონდა ერის სულიერი ბელადობის მისია და საქართველო ყურს უგდებდა მათ. რა სურდა ი. ჭავჭავაძეს? მიუხედავად იმისა, რომ საუკუნის დასაწყისის გაზეთები ილიას აკრიტიკებდნენ – „ჩვენი ბელადი ილია; არა მარტო ფიზიკურად, არამედ აზრითაც საკმაოდ დაბერდაო“, ვინც ილიას ბოლოდროინდელ ნაწერებს იცნობს, ალბათ, დაგვეთანხმება, რომ XIX საუკუნის საქართველოს სულიერი მამა კარგად იცნობდა თავისი დროის სხვადასხვა პოლიტიკურ მიმდინარეობას და მათ შორის მარქსიზმსაც. საგურამოში, ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმში, ახლაც დევს მის მიერ წაკითხული მარქსის „კაპიტალი“, რომლის არშიებზე ზოგან მოწონების მინაწერებს ამოიკითხავთ, ხოლო ზოგიერთ აბზაცს ილია ასეთ კომენტარს უკეთებს: „ეს საქართველოს არ სჭირდება“. უთანხმოება მარქსისტებთან ილია ჭავჭავაძისა, უპირველეს ყოვლისა, იმაში გამოიხატებოდა, რომ ილიასთვის მიუღებელი იყო ლოზუნგი – „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით“ და მსოფლიოს პოლიტიკურ ძალთა გაერთიანებაში ილია ეროვნული თვითმყოფადობის წაშლის საშიშროებას ხედავდა. ჩვენი მთავარი საქმე ქართლის ბედია, რუსეთის კლანჭებისაგან მისი გამოხსნა, რაშიც მე რუსეთის პროლეტარიატი ვერ მომეხმარება, იმიტომ, რომ მის წინაშე ეროვნული ბრძოლის იდეა მთელი სიმწვავით არ დგასო. განთავისუფლებულ საქართველოში ჩვენ შეგვიძლია მშვიდად დავსხდეთ და ავირჩიოთ საქართველოს მომავლის ჩვენთვის სასურველი ეკონომიკური თუ პოლიტიკური გზა. გნებავთ პარლამენტური, მონარქიული, კონსტიტუციურ-დემოკრატიული და გნებავთ ბურჟუაზიული. რა თქმა უნდა, მარქსიზმის მიმდევარნი ვერ დაეთანხმებოდნენ ილიას, რაკილა თვლიდნენ, რომ მხოლოდ რუსეთის პროლეტარიატის უშუალო თანადგომით შეიძლებოდა

საქართველოს განთავისუფლება. „რუსი მე თავისუფლებას ვერ მომიტანს“ – იმეორებდა ილია და დრომ მისი სიტყვები დაამტკიცა. რუსეთის ე. წ. დემოკრატიულმა ძალებმა მარქსიზმის დროშის ქვეშ დაამხეს ცარიზმი და, აქედან გამომდინარე, იმპერიაც, მაგრამ საქართველო თავისუფლებას მხოლოდ დროებით (1918-21 წწ.) ეზიარა. მომძლავრებულმა წითელმა რუსეთმა ანუ მოდერნიზებულმა იმპერიამ თავისუფალი საქართველო ისევ დაიპყრო. ილია ჭავჭავაძის მონამეობრივი ცხოვრება ჩვენთვის ნათელი მაგალითია არა მარტო თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მებრძოლი ერის სულიერი მამისა, არამედ დიდ შვილებთან ქართველთა დამოკიდებულების არცთუ თავმოსანონ თვისებასაც უსვამს ხაზს. ილიას ტყვია ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა ესროლეს, ხოლო სანამ ტყვიას ესროდნენ, სამოცდაათს მიტანებულ მოხუცს ყოველმხრივ განქიქების ნიაღვარი დაატეხეს თავს. მძაფრი კრიტიკის ერთ-ერთი პირველი მერცხალი 1893 წელს გამოცემული მაჩაბლის ბროშურა იყო „თავადი ილია ჭავჭავაძე“. არ არსებობს სალანძღავი სიტყვები, მაჩაბელმა რომ არ გამოიყენა ილია ჭავჭავაძის მისამართით. თუ ბროშურას დავუჯერებთ, ილია იყო გულქვა, უნიჭო, განდიდების მანიით შეპყრობილი, გლეხებისადმი ზიზლით განმსჭვალული, ძუნწი პიროვნება. ილია ჭავჭავაძემ ვანო მაჩაბლის ამ განირვას და სხვათა თავაგდებულ ლანძღვას თავისი მძაფრი სარკაზმით უპასუხა. რას გააკეთებს ეს ლაშქრობა ილიას წინააღმდეგ? 1907 წელს იგი საბედისწერო გასროლით დასრულდა.

როგორც აღვნიშნეთ, განსხვავებით რუსი რაზნოჩინელებისაგან, საქართველოში ჯერ კიდევ ცოცხლები არიან და არა მარტო ლიტერატურულ, არამედ პოლიტიკურ ამინდსაც ქმნიან ქართველი სამოციანელები (ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე...). ისეთი ძლიერი აღმოჩნდა მეოცე საუკუნის დასაწყისის იდეურ დაპირისპირებათა ეპოქისმიერი შხამი, რომ ბრძოლამ მეცხრამეტე საუკუნის სულიერი მამა შეიწირა. ილია ჭავჭავაძის მკვლელობის შემსწავლელმა კომისიამ მოიძია მასალები, საიდანაც დადასტურდა, რომ ილიას მკვლელობის კვალს სოციალ-დემოკრატებამდე მივყავართ. სოციალ-დემოკრატთა ორმა კრებამ გურიის სოფელ ბახვსა და ქართლის სოფელ ბინმენდში ერთდროულად დაადგინა, მოკლულ იქნეს თავადი ილია ჭავჭავაძეო.

ჩვენდა სავალალოდ, სოციალ-დემოკრატთა მიერ დაქირავებული მკვლელები ილია ჭავჭავაძეს რომ ჩაუსაფრდნენ, საგურამოს მოსახლეობისათვის ცნობილი იყო. თითქოსდა, მტკვრის ნაპირას მდგომი გლეხები ელოდებოდნენ, როდის გამოაღვიძებდა წინამურში გასროლილი ტყვიის ექო საქართველოს და როდის აუხელდა მას თავს, რათა მტერ-მოყვარე ახლა მაინც გაერჩია.

სად იყო აკაკი წერეთელი? მეცხრამეტე საუკუნის ეროვნული ბრძოლის დიდი ტვირთი მეოცე საუკუნემ უნდა შეეღვას მხრებზე, რადგან ჩვენ ეს ტვირთი ბოლომდე ვერ მოვიტანეთო, – წერდა აკაკი წერეთელი საუკუნის დასასრულს.

1907 წლის თებერვალში თბილისში კინტოები დაარბენინებდნენ სატირულ-იუმორისტულ ჟურნალს და გაჰყვიროდნენ – „იყიდეთ „ხუმარა“ – თბილისის გუბერნატორი ვირის თავ-ფეხით არის დახატულიო. ჟურნალის გამომცემელი იყო აკაკი წერეთელი. „ხუმარას“ ყდაზე გამოსახული იყო თბილისის გენერალ-გუბერნატორი, ქართველთმოდულე რაუმ ფონ ტრაუბენბერგი. კარიკატურის ავტორი იყო გიგო ზაზიაშვილი, ხოლო ლექსისა – აკაკი წერეთელი. ლექსი გვაუწყებდა:

დიდყურაანთ ყროყინას ჩვენები ეჯავრება,  
საიდანაც მოსულა, იქეთ მიეჩქარება,  
მას ნიშადურს ულესავს გულმოსული მარშალი,  
რომ აქ აღარსად დარჩეს იმ ვირის გზა და კვალი.  
კინტო კი გაოცებით შესწრებია ამ ამბავს  
და ხმამალა იძახის – „ამოუსვით, რა უშავს“.

კარიკატურაზე ვირის სახით იყო გამოსახული თბილისის გუბერნატორი. იგი გაბრაზდა და ბრძანება გასცა, დაეპატიმრებინათ ჟურნალის რედაქტორ-გამომცემელი. უჩვეულო, თბილისში მანამდე გაუგონარი ამბავი მოხდა – პოეტი დააპატიმრეს. დილით „გოლოვინსკის“ პროსპექტზე ორ „სტრაჟნიკს“ მოჰყავდა აკაკი. იგი მეტეხის ციხეში მოათავსეს. პოეტის დაპატიმრების ამბავი ელვის სისწრაფით მოედო ქალაქს. მეტეხის ციხის ქვემოთ გალავანზე ხალხი გროვებოდა. გუბერნატორს მოახსენეს, რომ იყო საშიშროება პოეტის დაპატიმრებას ინტელიგენციის მასობრივი მღელვარებები მოჰყოლოდა და გენერალი იძულებული გახდა



შეურაცხყოფა ჩაეყლაპა. მან აკაკის გათავისუფლების ბრძანება გასცა იმდღესვე, ნაშუადღევს, აკაკი მიხვდა მისი გათავისუფლების მიზეზს, რომ ეს, რა თქმა უნდა, მოქალაქეთა ზემოქმედების შედეგი იყო და განაცხადა, სანამ გუბერნატორი ბოდიშს არ მომიხდის და ციხის კარებთან ეტლს არ მომიყვანთ, აქედან ფეხის გამდგმელი არ ვარო. გუბერნატორმა, მართალია, ბოდიშს არ მოიხადა, მაგრამ ეტლით კი გამოაბრძანეს აკაკი, რასაც საზოგადოება ტაშით შეეგება.

ეს ფაქტი ადასტურებს სამოციანელთა ყოფნას პოლიტიკური ცხოვრების ცენტრში და ასევე გვიჩვენებს ხელისუფლების სისუსტეს – წინ აღუდგეს მასათა ნებას, მაშინ როდესაც იმპერია დანგრევისწინა ჭრაჭუნს იწყებს და ქვეყნის ძველებური მეთოდებით მართვა აღარ ხერხდება. აკაკი წერეთლისთვის დაპატიმრება პირველი შემთხვევა იყო, თუმცა პასუხისგებაში იგი უკვე იყო ნამყოფი დავით მესხის გაზეთში „მარსელიოზას“ თარგმანის დაბეჭდვისთვის.

მესამე დიდი სამოციანელი, ნიკო ნიკოლაძე, ამ დროისათვის აქტიურ ჟურნალისტურ-პუბლიცისტურ საქმიანობას თავს ანებებს, ფოთის გამგებლის არჩევნებში იღებს მონაწილეობას და თავისი უზარმაზარი ავტორიტეტით დასაბამს აძლევს საქართველოს ერთი უაღრესად მოხერხებული სანავსადგურო ქალაქის მძლავრ ეკონომიკურ აღმავლობას.

ვაჟა-ფშაველა მეოცე საუკუნის პირველ ათწლეულში უარს ამბობს თავის პატარ-პატარა ჩინოვნიკურ სამსახურებზე და იშვიათად ჩამოდის ჩარგლიდან. ვაჟას აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობას თვალსაჩინოდ ხდიან მისი უაღრესად თანამედროვე ლექსები და პოეტის გამოსვლები სხვადასხვა ისტორიულ შემთხვევებთან დაკავშირებით.

ასე რომ, ჩვენი საუკუნის დასაწყისის უაღრესად პარადოქსული წლები საქართველოში, უპირველეს ყოვლისა, ქართულ სამოციანელთა ნიშნით ჩატარდა.

**ხალხოსნები** – მეორე თვალსაჩინო ლიტერატურულ-პოლიტიკური სკოლა ამ დროს ხალხოსნების სკოლა იყო. ხალხოსნობა საქართველოში რუსეთიდან შემოსული პოლიტიკურ-ფილოსოფიური მიმდინარეობაა, ხოლო ლიტერატურას იგი იმდენად უკავ-

შირდება, რომ უპირველესად საქართველოში მწერლებმა აიტაცეს ხალხოსნური შეხედულებანი.

რას ქადაგებდა ხალხოსნობა? ისტორიას გმირები ქმნიან და არა ხალხთა მასები. დიდი ეპოქალური კატაკლიზმები მხოლოდ მაშინ ხდება, როდესაც თვალსაჩინო გმირი მოეველინება ქვეყანას. ასე რომ, მასები გულხელდაკრეფილი უნდა ელოდონ ეპოქის-მიერი გმირის დაბადებას. ხალხოსნების მეორე პოლიტიკური პოსტულატი საზოგადოებრივი ცვლილებების უმთავრეს ბერკეტად მასებში განათლების შეტანას გულისხმობდა. გავანათლოთ ხალხი, მოვსპოთ ცრურწმენა, გავანთავისუფლოთ საზოგადოება რელიგიური ბანგისაგან და განათლებული, საღად მოაზროვნე საზოგადოება თვითონ მოძებნის თავის თავში გარდაქმნის საშუალებას. საზოგადოების გარდასაქმნელად სრულიადაც არ არის საჭირო ომები და სისხლისღვრა. რევოლუცია მხოლოდ უბედურების მომტანიანაო. ქართველი ხალხოსნები იყვნენ: ნიკო ლომოური, სოფრომ მაგლობლიშვილი, ეკატერინე გაბაშვილი, ანასტასია ერისთავ-ხოშტარია, ვარლამ ჩერქეზიშვილი და სხვ.

**სოციალ-დემოკრატია** – ისე, როგორც ხალხოსნობა, ქართული აზროვნების წიაღში დაბადებული მოძრაობა არ გახლავთ და ამდენად იგი ქართულ სინამდვილეში გადმონერგილ უცხო იდეოლოგიად, უცხო სულისკვეთებად შეიძლება ჩაითვალოს. სოციალ-დემოკრატთა პარტია მარქსისტული პარტიაა, მარქსიზმი კი საქართველოში ოთხმოციან წლებში შემოვიდა და საუკუნის დასაწყისში იგი უკვე იყო საკმაოდ მძლავრი მოძრაობა თავისი პოლიტიკური პარტიის სახით. მარქსის და ენგელსის მიერ შექმნილი პოლიტიკურ-ფილოსოფიური დოქტრინა შავი ჭირივით მოედო ლამის მთელ ევროპას და მიუხედავად მასში არსებული უამრავი წინააღმდეგობისა, ათასობით მიმდევარი გაიჩინა. ახლა უკვე გარკვეულია, რომ მარქსიზმი უტოპიური მეცნიერებაა; მარქსიზმი უსამშობლო, კოსმოპოლიტი მეცნიერების მიერ შეთითხნილი იდეოლოგიაა ეროვნული ანუ ნაციონალურის წინააღმდეგ მიმართული. პროლეტარიატს სამშობლო არა აქვს – ქადაგებს მარქსიზმი და ასეთი უსამშობლო და უსახო ფენის ერთი დროშის ქვეშ გაერთიანებას ცდილობს. გამარჯვების შემთხვევაში იგი საზოგადოებას პირდება ეროვნული იდეოლოგიისაგან დაცლილ, უნიტარული სახელმწიფოს შექმნას, რომელიც, როგორც პრაქ-

ტიკამ გვიჩვენა, სხვა არაფერი შეიძლება იყოს, თუ არა ახალი, მოდერნიზებული იმპერია. მარქსიზმის ამოსავალი დოქტრინა, როგორც ეკონომიკური, ასევე პოლიტიკური, ძირშივე მცდარია. კლასთა ბრძოლის თეორიის აღიარებით მარქსიზმი ერთმანეთს უპირისპირებს ერთსა და იმავე სახელმწიფოში სოციალურ ფენებს და ქვეყანას სამუდამო დაპირისპირების განწყობილებით მუხტავს. ასევე ადამიანის შემოქმედებითი ნიჭის, მისი ინდივიდუალური უნარის ჩაკვლას ემსახურება. იგი ცდილობს ყველა პიროვნების ერთ თეორიულ დოგმატურ ყალიბში მოქცევას, რაც საბოლოო ჯამში ინდივიდის დათრგუნვას და პიროვნების ნიველირებას იწვევს. და მაინც, მიუხედავად ამდენი წინააღმდეგობისა, რასაც მარქსიზმის რევიზიონისტები იმთავითვე კარგად ხედავდნენ, მარქსიზმმა შეძლო დედამიწის ერთ მეექვსედზე გაბატონება, რამაც საბოლოო ჯამში ბოროტების იმპერიად წოდებული საბჭოთა კავშირის შექმნა გამოიწვია.

სამწუხაროდ, ბოროტების იმპერიის სათავეში, სხვათა შორის, იმთავითვე დადგა სამი ჩვენი თანამემამულე: სტალინი, ბერია, ორჯონიკიძე.

ათას ცხრაასიან წლებში სოციალ-დემოკრატიული ლიტერატურაც ისახება და, მიუხედავად იმისა, რომ იგი არ იყო ისეთი მკაფიო ძალებით წარმოდგენილი, როგორც იყო ილია ჭავჭავაძის დასი, მან მაინც მიიპყრო მკითხველთა ერთი ნაწილის ყურადღება. განსაკუთრებით გამოიკვეთა პუბლიცისტიკა. იწერებოდა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მიმართული მძაფრი ფელეტონები, ნარკვევები, რომელთა ავტორებიც იყვნენ: იროდიონ ევდოშვილი, სტალინი, ნულუკიძე, კეცხოველი, ნატალია არზიანი, ლალიონი და სხვანი.

პიროვნების განთავისუფლების და ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხში, სოციალ-დემოკრატები თავდაპირველად ყველა რევოლუციურ ძალასთან თანამშრომლობდნენ, მაგრამ განსხვავდებოდნენ მომავალი რევოლუციის მიზნებისა და მამოძრავებელი ძალების გაგებით.

როგორც აღვნიშნეთ, სოციალ-დემოკრატებს მსოფლიოს მუშათა კლასთან და განსაკუთრებით რუსეთის პროლეტარებთან თანამშრომლობით სურდათ თავიანთი მიზნის მიღწევა. სოციალ-დემოკრატ მწერალთა შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდა სოსო

ჯულაშვილი (შემდგომში სტალინი). მისი პუბლიცისტური წერილები, ხოლო უფრო ადრე მისი ლექსები („დილა“, „რაფიელ ერისთავს“) დღესაც ქართული პოეზიის თვალსაჩინო ფაქტებად რჩება.

განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა სოციალ-დემოკრატი პოეტის, იროდიონ ევდოშვილის პოეზია. მისი ლექსი „მეგობრებო, წინ, წინ გასწით“ ქართულ „მარსელიოზად“ აღიარეს, თუმცა იროდიონ ევდოშვილი ბოლომდე როდი შერჩა სოციალ-დემოკრატთა პარტიას. 1907 წელს, ილია ჭავჭავაძის მოკვლიდან რამდენიმე დღის შემდეგ, იგი სოციალ-დემოკრატიის თბილისის უჯრედში გამოცხადდა და თქვა: მე იმ პარტიის წევრი ვერ ვიქნები, რომელმაც ილია ჭავჭავაძე მოკლაო! სამწუხაროდ, ილია ჭავჭავაძის მკვლეელი პარტია სოციალ-დემოკრატებისა (შემდეგ ბოლშევიკური) მართავდა საქართველოს 1990 წლამდე, სანამ ქართველი ხალხის ნებით ზვიად გამსახურდიამ არ დაამხო იგი და ისტორიამ საქართველოს დამოუკიდებლობის ხელახალი გამოცხადებით ახალი ათვლის წერტილი არ დაიწყო საქართველოში, თუმცა ეს დამოუკიდებლობაც მხოლოდ სამწლიანი აღმორჩნდა (1990-93).

სოციალ-დემოკრატები გამოსცემდნენ თავიანთ გაზეთებს: „ჩვენი ცხოვრება“, „ჩვენი ბრძოლა“, „პროლეტარიატის ბრძოლა“ და ა. შ. განსაკუთრებული პროდუქტიულობით გამოირჩეოდნენ პუბლიცისტიკის ასპარეზზე ალექსანდრე ნულუკიძე, ნოე ჟორდანი, ლადო კეცხოველი და ფილიპე მახარაძე.

სოციალ-დემოკრატ პუბლიცისტებს ილიამ მარქსიზმის თუთიყუშები უწოდა, ხოლო მარქსიზმის თუთიყუშთა თვითნებობა იქამდე მივიდა, რომ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ფილიპე მახარაძე ცდილობდა ილიას სახელი სამუდამოდ ამოეძირკვა ქართული აზრის ისტორიიდან.

სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი იყო მენშევიკი, ქართული ლირიკული პროზის ერთ-ერთი მამამთავარი ქოლა ლომთათიძე.

არ შეეფერება სინამდვილეს ზოგიერთი კრიტიკოსის და პოლიტიკოსის მიერ ჯოხის მეორე მხარეს ზედმეტად გადალუნვა და იმპერიაში მოღვაწე ქართველების, განსაკუთრებით, სტალინისა და ბერიას საქართველოს მტრებად გამოცხადება. ახლად აღმოჩენილი დოკუმენტები ამტკიცებენ, რომ ახალი იმპერიის პირველ კაცს ოცდათხუთმეტი წლის მანძილზე – იოსებ სტალინს, ერთი

ნუთითაც არ დავინწყინა თავისი პატარა სამშობლო და იგი იმდენად უთმობდა ყურადღებას საქართველოს, რამდენადაც იმპერატორის მონომახის ქუდი მას ამის საშუალებას აძლევდა. სტალინი ყველა დოკუმენტში მიუთითებდა, რომ იგი ქართველი იყო და გარეგნულადაც ე.წ. ქართულ ატრიბუტებს – უღვაშსა და ჩიბუხს არასოდეს არ თმობდა.

1934 წელს საკავშირო მწერალთა პირველ ყრილობაზე სტალინმა განსაკუთრებით წარმოაჩინა საქართველო, როგორც უმდიდრესი ლიტერატურული ტრადიციების მქონე ქვეყანა. იგი არ შეუმინდა გარემოებას, რომ კოსმოპოლიტები და ველიკორუსი შოვინისტები ამას მიკერძოებაში ჩამოართმევდნენ, მაღაქია ტოროშელიძეს დაავალა ქართული ლიტერატურის შესახებ ერთსაათიანი მოხსენებით გამოსულიყო საკავშირო მწერალთა პირველ ყრილობაზე. აქ სულ ორი მოხსენება იქნა წაკითხული: ერთი – მთელს საკავშირო ლიტერატურაზე (მაქსიმ გორკი), ხოლო მეორე – მხოლოდ ქართულ ლიტერატურაზე (მაღაქია ტოროშელიძე).

ასევე საქართველოს კეთილდღეობით უაღრესად დაინტერესებული იყო ლავრენტი ბერია. მისი დამსახურებაა თბილისში უამრავი ახალი მშენებლობის განხორციელება და განსაკუთრებით სანაპიროს მშენებლობა.

სტალინი და ბერია ათასობით რეპრესირებულთა ცოდოს ვერ ჩამოირეცხავენ, მაგრამ ისტორიამ ისინი სრული ობიექტურობით, კონკრეტული ვითარების გათვალისწინებით და მათ მიერ გაკეთებული დადებითი თუ უარყოფითი საქმეების გონივრული შეფერვებით უნდა შეაფასოს.

ისევ მეოცე საუკუნის დასაწყისს დავუბრუნდეთ.

იმპერიის ცენტრი იძულებული გახდა, პრესის შედარებით თავისუფლება დაეშვა. პრესის თავისუფლებას პარტიათა და შეხედულებათა არნახული გამრავალფეროვნება მოჰყვა. თვითმპყრობელობის სასტიკ ცენზურას სადავეები ხელიდან გაექცა.

ქართულ პარტიულ პერიოდიკაში დიდი შეხლა-შემოხლა გაიმართა.

ძირითადად ორი აზრი უპირისპირდება ერთმანეთს: ეროვნული და მარქსისტულ-კოსმოპოლიტური.

ეროვნული მოძრაობის ბელადს ილია ჭავჭავაძეს სასტიკად აკრიტიკებენ და ხშირად უშვერი სიტყვებითაც ლანძღავენ. ლიტე-

რატურის ნიმუშებს ვინრო-პარტიული სარკმლიდან უყურებენ მარქსისტი პუბლიცისტ-კრიტიკოსები: ალექსანდრე ნულუკიძე, ნოე ჟორდანი, ფილიპე მახარაძე.

მწერლობისაგან მხოლოდ ერთს მოითხოვენ – მუშისა და გლეხის ინტერესების გამოხატვას. ლამის განდევნონ ესთეტიკიდან მხატვრობის პრინციპი, მარქსისტი კრიტიკოსთა თვალსაზრისით „ოთარანთ ქვრივი“ და „კაცია-ადამიანი“ რევოლუციას ვერავითარ სამსახურს ვერ გაუნევენ და მხოლოდ გამართობი ღირებულება გააჩნიათ. ესეც არ იყოს, მათი თავადი, ლიბერალი ავტორი აშკარა ბარიერად ელობება სახალხო მოძრაობას თავისი მოძველებული შეხედულებებით.

ილია ლომისებრ იბრძვის. უპასუხოდ თითქმის არ ტოვებს სოციალ-დემოკრატთა ცილისმწამებლურ გამოხდომებს.

მეცხრამეტე საუკუნის საქართველოს სულიერ მამას მხარში უდგანან ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულების კრიტიკოსები – არჩილ ჯორჯაძე, ივანე გომართელი, კიტა აბაშიძე, რომანოზ ხომლედი.

ილიას თანამებრძოლთა რიცხვი სავალალოდ მცირდება, ოდენ აკაკი უნევეს ძველებურად ავთანდილობას. „თორნიკე ერისთავის“ ავტორი ილიას გვერდით ერთგულად ეწევა ეროვნულ უღელს.

დრო კი ელვისებურად მიჰქრის.

„ივერიის“ მამა ხშირად ავადმყოფობს, გული ღალატობს, აკაკის თვალის ქუთუთოს დამბლა დაეცა, სერგეი მესხი აღარ არის ცოცხალთა შორის, ვაჟა „იდეთა ჭიდილში“ ლამის აღარ ერევა...

1905 წლის რევოლუციამ გამოაცოცხლა საზოგადოება, იმედის თვალთ შეჰყურებენ საქვეყნო ამბოხებას ილიას კვალზე შემდგარი „ახალი რეალიზმის“ წარმომადგენლები – დავით კლდიაშვილი, ვასილ ბარნოვი, შიო არაგვისპირელი, მიხეილ ჯავახიშვილი, შალვა დადიანი, კონსტანტინე გამსახურდია...

ახლოვდება რევოლუციის სასტიკი მარცხი, გრიაზნოვის მათრახის ნუილი გაისმის და ნასაკირალის ცეცხლი ზეცას წვდება.

1907 წლის 30 აგვისტოს წინამურზე გასროლილი თოფის ექომ საქართველოს გულისგულში გაიარა.

ანარქიით, რევოლუციებით, ამაო იმედებით, კინკლაობით დაღლილი ქვეყანა თითქოსდა ერთბაშად გამოფხიზლდა, ერთ მუშტად შეიკრა და ილიას კუბოსთან გაირინდა.

როცა მეცხრამეტე საუკუნის უპირველეს ქართველს – ილია ჭავჭავაძეს – საგურამოსაკენ ბერდენკის ტყვია მიაცილებდა, მას უკვე გაკეთებული ჰქონდა უზარმაზარი ეროვნული საქმე; თავის ხალხში გადაგდებული ჰქონდა ის ღვთაებრივი თესლი, რომელიც დღემდე ღვივდება და რაც დრო გადის, უფრო და უფრო საშიშ გუგუნს გამოსცემს.

როგორ გვაკლია დღეს ერისთვის დაფერფლილი ილია და რა ტიტანური ძალით გვაგრძობინებს ყოველდღიურად, რომ მის მიერ აღმართულ დროშას წამითაც არ მოჰკლებია ელვარება და სიდიადე.

რა კარგად გვიცნობდა.

„საქმის პირველ დანყებაში ბევრი ჰაი-ჰუი ვიცით..., და სანამ ბოლომდე მივალთ, ჩალასავით ჩავექრებით ხოლმეო“.

და როცა ერის წყლულთან ბრძენი დასტაქარის მანტიით მოსულს ჭირვეული ავადმყოფის ნუნუნე ჩაესმოდა, მისებურად აუჩქარებლად გვმოძღვრავდა: „როგორ უნდა გავსწორდეთ, თუ ჩვენი სიმრუდე არ გვეცოდინებაო“.

განა დღესაც ფარზე ასაზიდი არ არის ერის მამის მრისხანე ბუბუნი:

„ყველაზედ საშიშარი და საზიზლარი ბეზლობა ის ბეზლობაა, რომელსაც საგნად მთელი ერი ჰყავს, ნამეტნავად იმისთანა ერი, რომელიც „შემთხვევისა გამო სხვისა და სხვისა, ყოველ ღონეს მოკლებულია, რომ თავი იმართლოს“.

ჩვენი ნაკლი მასზედ უკეთესად ვინ იცოდა და განა დღეს ერის უკეთეს შვილთა ვერდაფასების მწარე სენზე დაფიქრებულმა ქართველმა არ იცის, რომ ილიას მონამებრივი სიკვდილიდან ერთი ნაბიჯია გალაკტიონის თვითმკვლევლობამდე?

დღეს საითაც კი გაიხედავთ, ერის ბურჯის ნათლითმოსილს, მშვიდს, საოცრად ნაცნობსა და საყვარელ სახეს წაანყდებით. თითქოსდა არც კი ყოფილა წამი, როცა წარბშეკრული მოხუცი ეტლში წამოიმართა და რევოლვერით ხელში მრისხანედ გამომზირალმა შეჰყვირა მომხვედურთ: რას სჩადიხართ?!

ეს კითხვისნიშნისანი ძახილი, მთელს ქვეყანას რომ ეკუთვნოდა, დღესაც საქართველოს მთებში წრიალებს და გასასვლელი ვერ უპოვნია.

დაახ, ილიას მშვიდმა სახემ თითქოსდა მისი სიკვდილი გვაპატიცია, მაგრამ იმას კი არასოდეს გვაპატიებს, რომ ერის ბედის მჭედლებმა ეს გაუხუნარი ანდერძი დავივინყოთ:

„ჩვენ უნდა ვსდიოთ ახლა სხვა ვარსკვლავს, ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი!“

იგი, „სხვა ვარსკვლავი“, ცაზე უკვე მკაფიოდ მოჩანდა და ღვთიური ნათებით კაშკაშებდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ძილსმიცემულ ქვეყანაში ყველა როდი ხედავდა მას.

როგორც სხვა ეპოქაში, მეოცე საუკუნის დასაწყისშიც მწერლობამ უჩვენა გზა ხსნისა საქართველოს, ახლაც მწერალი იყო ერის სულიერი მოძღვარი და მოჭირნახულე.



**ევნატე ნინოშვილი**  
(1859 – 1894)

ევნატე ნინოშვილი უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორიის ერთ-ერთი პირველი წარმომადგენელია. მას წილად ხვდა თვისებრივად ახალი ლიტერატურის კარის შეღება და ორიგინალური თემების დამკვიდრება ქართულ მწერლობაში. მწერლის შემოქმედების დასაწყისი დაემთხვა საქართველოში კრიტიკული რეალიზმის წიაღში ახალ ლიტერატურულ სკოლათა და მიმდინარეობათა დამკვიდრებას.

ევნატე ნინოშვილის პოპულარობა განაპირობა იმ გარემოებამ, რომ მწერლის ყველა მოთხრობაში შეუფერადებლად აღწერილი ქართული სოფლის სინამდვილე. მწერალმა სოციალურად დაჩაგრული ტრადიციული ტიპების გვერდით ახალი პერსონაჟებითაც გაამდიდრა ქართული პროზა. სპირიდონ მცირიშვილის, მოსე მწერლის, დავით დროიძის მსგავსი ხასიათები მანამდე ქართულ ლიტერატურაში არ არსებობდა. ესენი ადამიანთა ურთიერთობის ახლებურ ნიადაგზე ამოზრდილი ლიტერატურული გმირები არიან. გარდა ამისა, ევნატე ნინოშვილმა ლამის პირველმა დახატა და ლიტერატურის საკუთრებად აქცია საქართველოს ერთი კოლორიტური კუთხე – გურია. გურია ევნატე ნინოშვილამდე მხატვრულ

ლიტერატურაში იშვიათად იყო ნახსენები. ევნატე ნინოშვილი სულ რამდენიმე მოთხრობის ავტორია, მაგრამ ყველა მათგანი შთამბეჭდავი სიუჟეტით და მძაფრი კრიტიციზმით გამოირჩევა.

ევნატე ნინოშვილი დაიბადა 1859 წელს სოფელ ყელაში. მშობები ადრე დაეხოცა. მისი გაზრდა ბიძამ – თომა ინგოროყვამ იკისრა. შვიდი წლის ევნატე სოფლის მღვდელს მიაბარეს, სადაც პატარა ბავშვს წერა-კითხვის სწავლების ნაცვლად დღედაღამ ამუშავებდნენ. შემდეგ ფოთში ვილაც ვაჭართან დააყენეს. იგი თავის ავტობიოგრაფიაში წერს, ვაჭარი დღედაღამ მჭადებს მაცხოვრებინებდაო. ბოლოს ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელში შევიდა. მაგრამ ბრალად დასდეს ბუნტში მონაწილეობა და მგლის ბილეთით დაითხოვეს. ორი წელი დამოუკიდებლად იმეცადინა და იმდენი შეძლო, რომ სოფლის მასწავლებლის კვალიფიკაციაზე დაიჭირა ექსტერნად გამოცდები. რაკი სოფლად დაწყებითი სკოლა არ არსებობდა, ევნატემ თვითონ მოიზიდა ბავშვები, მაგრამ სოფლელებმა შვილები არ მოიყვანეს იმის გამო, რომ მასწავლებელი ქლექით იყო ავად. იგი მასწავლებლობით თავს ვერ ირჩენდა და გადაწყვიტა, ფიზიკური შრომით ერჩინა თავი. მწერალი ჩანს მტვირთავად ფოთში, ბათუმში, ოზურგეთის ფოსტაში, სადგურის მორიგედ, ბოლოს ვილაცამ ურჩია, რომ თბილისში წასულიყო. თბილისში ასოთამწყობად იწყებს მუშაობას ხელაძის სტამბაში. რადგანაც ევნატე იმ დროს უკვე წერდა მოთხრობებს, სტამბის მუშებმა ურჩიეს: წადი საზღვარგარეთ, ისწავლე და ჩვენი ხელფასიდან სტიპენდიას გამოგიგზავნითო. დაიმედებული გაემგზავრა მონპელიეში და რამდენიმე თვის შემდეგ იგი თავის ბიძას წერს: გაყიდე ჩემი წილი ეზო-სახლი და ფული გამომიგზავნე, რათა მატარებლის ბილეთის ყიდვა და მანდ დაბრუნება შევძლოო. ამხანაგებმა მოატყუეს და დაპირებული სტიპენდია არ გაუგზავნეს. დაბრუნდა ევნატე საქართველოში. ხან მამია გურიელთან ვხედავთ მდივნად, ხან – ზესტაფონში ლოლობერიძის კანტორაში, ერთი პერიოდი ფილოქსერის დასშიც იყო. ამ დროისთვის მისი ჯანმრთელობა გატეხილია. ინტენსიურად მუშაობს ლიტერატურაში. აქვეყნებს პირველ მოთხრობებს „კვალში“ და „ივერიაში“. ბრუნდება თავის სოფელში და გულისმომკვლელობა მის მიერ გადანერხილი თამასუქები მევალეებისათვის მიცემული, თუმცა იგი ამ დროს საქართველოში სახელგანთქმულ მწერლად ითვლება და ახალი პოლიტიკური დასის – მესამე დასის დამაარსებლად.

გარდაიცვალა 1894 წელს. სოციალ-დემოკრატები მას თავიანთ იდეურ წინამძღვრად ასახელებდნენ და ერთი ბიოგრაფის თქმით, მხოლოდ დაკრძალვაზე გაიგო მთელმა გურიამ, ეს რა დიდი კაცი გვყოლიაო. ეგნატე ნინოშვილს ოჯახი არ შეუქმნია. ერთადერთი ეპიზოდია მის ცხოვრებაში სიყვარულთან დაკავშირებული; გურიელთან გაიცნო 16 წლის გოგო ნადასი კალანდაძე. ეგნატემ მას წერილით სიყვარული გამოუცხადა, მაგრამ ნადასი სხვაზე იყო დანიშნული და მისი გრძნობა ვერ გაიზიარა.

ეგნატე ნინოშვილის შემოქმედება ქართული კრიტიკული რეალიზმის მაგისტრალური ხაზის ერთგულებით გამოიჩინა. ეროვნულად და სოციალურად დაბეჩავებულ ადამიანთა ყოფის ასახვა დაუსახავს მიზნად მწერალს, მაგრამ ეს არ გახლავთ თვითმიზნური, უკომენტარო, ნატურალისტური ხატვა გაუბედურებული ხალხის ცხოვრებისა. მკვეთრად გამოხატული პოზიციით ეგნატე ნინოშვილი ესარჩლება საბრალო გლეხებს და არა მარტო ესარჩლება, ხშირად სიდუხჭირისგან თავის დახსნის გზებსაც ეძიებს მწერალი. რაკი „პალიასტომის ტბის“ ავტორი სოციალ-დემოკრატებს უთანაგრძნობს, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ მწერალს გულიდან ამოეღოს ეროვნული ბრძოლის იდეა და იმდენად იყოს პროლეტარიატის ერთობის იდეით დაბრმავებული, რომ ვერ გრძნობდეს, როგორ აჭერს მის სამშობლოს ყელზე დამპყრობელი რუსი ჩექმა და როგორ ჰაერივით სჭირდება საქართველოს რუსიფიკატორული მარწუხებისაგან თავის დაღწევა. დავით დროიძეებს და იასონ უქმაძეებს როგორმე მოერეოდა გურული კაცი, მაგრამ რა უყოს სოფლის კანცელარიათა აივნებზე მედიდურად გადმომდგარ იმ ბოქაულებს და პრისტავებს, სტრაჟნიკებს და ყაზახებს, რუსული მათრახის ტყაცუნით შიშის ზარს რომ სცემენ მოსახლეობას. არც ქართულ ადათ-წესებში ერკვევიან და არც ამ „ველური კავკასიელების“ გულისთქმის გაგების სურვილი აქვთ.

ეგნატე ნინოშვილის მაძიებელი გონება ქვეყნის შველის, ქვეყნის გადარჩენის საშუალებებსაც გვთავაზობს ამა თუ იმ პერსონაჟის მარცხისა თუ გამარჯვების მხატვრული ანალიზით. პროტესტის ერთი პასიური ფორმა თვითმკვლელობაა („გოგია უიშვილი“), მაგრამ თვითმკვლელობა რელიგიურადაც მკრეხელობაა და პირადი ტრაგედიის მეტი არა მოაქვს რა. მართალია, ინდივიდუალური ტერორი („სიმონა“) შურისძიების ერთ-ერთი ფორმაა, მაგრამ ვერც მას მოაქვს სულიერი კმაყოფილება, რაკილა ერთი დავით

დროიძის ადგილას სხვა მოვა, ხოლო სოფლის წურბელის მოკვლის დანაშაული მოხრებელი მკვდრის ფენომენად ექცევა ხოლმე სოფელს. სოციალური და ეროვნული ჩაგვრისგან თავის დაღწევის გზათა ძიებას ეგნატე ნინოშვილი ზოგჯერ სახალხო ამბოხების იდეამდე მიჰყავს, „ყაზახის ერთპირიანობის“ („პალიასტომის ტბა“) აუცილებლობიდან ერთი ნაბიჯია ბოროტების წინააღმდეგ გაერთიანებული ბრძოლის ქადაგებამდე („ჯანყი გურიში“).

მაგრამ ცალკეულ მოთხრობებში გაბნეული, საზოგადოებრივი წყლულის სამკურნალოდ გამიზნული მწერლური არჩევანი ჯერ კიდევ არ გვაძლევს საბუთს იმ დასკვნის გასაკეთებლად, თითქოს ეგნატე ნინოშვილს გააჩნდა ერთიანი, მკვეთრად ჩამოყალიბებული ეროვნულ-სოციალური პროგრამა.

ეგნატე ნინოშვილის ნებისმიერი, თუნდაც ყველაზე ძუნწად შედგენილი კრებული რომ გადაშალოთ, აუცილებლად წააწყდებით „შავგვრემანი, მოხმელო პირისახის, გაბურძნულ წვერულვაშიანსა და მსხვილი, გაუხსნელი წარბების“ პატრონ გოგია უიშვილის დატანჯულ თვალებს.

**„გოგია უიშვილი“ 1891 წელს დაიწერა.** საერთოდ, ეგნატე ნინოშვილის ნაწარმოებთა უმეტესობა სულ რაღაც ხუთიოდე წლის განმავლობაში შეიქმნა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დანარჩენი დრო მწერლის მოკლე წუთისოფლისა განსწავლის უბედო წლებსა და ლუკმა-პურისთვის აღმა-დაღმა წაწაღს მოხმარდა.

კალანდის ღამეს მიადგნენ გოგია უიშვილს ნაცვალნი და ყაზახ-რუსები. თუმნის სასწრაფოდ გადახდა და შეშის საზიდად გამოსვლა უბრძანეს. ნაცვალნი კატეგორიულია, მაგრამ მის გაფაციცებას მაინცდამაინც ახალწლის ღამეს რუსი უმაგრებს ზურგს:

„– მე, მე ვარ, მარა, ამ რუსებს რა პასუხს აძლევ? ერთი ძროხა არ გეყოფა დღეს სადილათ! – ჩქარი, შეწუხებული ხმით უთხრა ნაცვალმა.

– ივანე, რავა ჩივი, თუმანი ასე ადვილი საშოვნელია ჩემგან? სამ დღეს არა, სამ თვეს ვერ ვიშონი ერთ თუმანს, – გოგიას კიდევ რაღაც უნდა ეთქვა, მაგრამ ნაცვალმა გააწყვეტია...

– ვერ ვიშოვნიო, ამ რუსებთან არ გაგივა. ძალა აღმართს ხნავსო, ხომ გაგიგონია. გაშონინებენ. ჯობს ულაპარაკოთ მოგვცე, ლაპარაკს ძან ხუობენ“.

ყაზახებმა, მართლაც, ნაცვალსა და გოგიას შორის ურთიერთობის გარკვევას აღარ დაუცადეს და სახლში შეცვივდნენ, ხოლო

გოგიას წინააღმდეგობა საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ უმონწყალოდ ეცემათ, ცოლი თვალწინ „გაეხახებინათ“, გადასახადში „ლორი და ქათმები“ წაერთმიათ და კანცელარიაში წაეთრიათ.

კანცელარიაში გოგია ჯერ მამასახლისს შეაჩერდა მუდართით: „მამასახლისო, მომთხარეს, დამაქციეს, გამლახეს!, მიპატრონე, თუ სამართალი გაქ, მიპატრონე! თვარა შენს თვალწინ დავეკლავ თავს!“

მამასახლისი, რაც უნდა იყოს, ქართველია და იქნებ საქმე მშვიდობით მოეგვარებინა, რათა ნაცემ-ნაგვემ გლეხს კალანდა კიდევ უფრო არ ჩამწარებოდა, მაგრამ სოფლად ეგზეკუციის გამო მაზრის უფროსია ჩამოსული.

„– სუ, სუ, ნაჩაღნიკმა არ გაიგონოს! – მიაფარა ხალხმა გოგიას პირზე ხელი.

– მეც ეგ მინდა, გაიგონოს ნაჩაღნიკი თუა და მოსამართლე, აგია, დამაქციეს და მიპატრონოს!“

და ნაჩაღნიკმა მაინც გაიგონა. რუსი ჯარისკაცის ხელით შეხებისათვის გოგია სამაგალითოდ უნდა დაისაჯოს და მერე როდის, სწორედ რომ ახალწლის ღამეს.

„წაათრით... ოცდაათი წკეპლა მთარტყით და მერე ცოლქმრიანად სატუსალოში დაამწყვდიეთ! ჩქარა!“ – ასე მკაცრი და შეუვალია იმპერიის ჩინოვნიკის განაჩენი.

გოგია უიშვილმა ვერ გაუძლო ღირსების შელახვას და „გაიქცა“, თავი მოიკლა, სასონარკვეთილი და ამ ახალი უბედურებით ელდანაკრავი მისი ცოლი – მარინე ჭკუიდან შეიწყა. დანა აიღო და შვილებს მოსაკლავად დაერია. ერთ მათგანს, პატარა თებროს, გამოლადრა კიდევ ყელი, მაგრამ სანამ სხვა შვილებს მოიგდებდა ხელთ, მეზობლებმა დაიჭირეს და დააბეს.

დაიქცა ოჯახი.

„გოგიას მიდამო თითქმის გავერანდა, გარდა სახლისა, ყველა შენობა ჩაინგრა. სახლისა მარტო კედლებილა იყო დარჩენილი. სახურავი კი კარგახანია დალპა და ჩაიქცა. რამდენიმე წელი კიდევ და ველარც შეატყობდით, აქ ერთ დროს მოსახლე კაცი მდგარაო“.

„ჩვენი ქვეყნის რაინდი“ ჰქვია ეგნატე ნინოშვილის ერთ უაღრესად საინტერესო მოთხრობას და მწერალს ლამის სათაურშივე გამოაქვს განაჩენი საზოგადოების იმ ნაწილისათვის, ტარიელ მკლავადის მსგავსი ნაძირალა რაინდად რომ მიაჩნია.

რკინიგზაზე ზვავი ჩამონვა და მატარებელი ერთი დღით მაინც დაიგვიანებს. სოფლის მასწავლებელი, სპირიდონ მცირიშვილი, იძულებულია, თავის ახალგაზრდა ცოლთან ერთად ღამე იქვე, დუქანში გაათოს. იმ ღამეს სადგურში ტრაგედია დატრიალდა. ახალი დროის „რაინდს“, ტარიელ მკლავადეს, მოეწონა მცირიშვილის ცოლი და მისი მოტაცება განიზრახა. რაკილა მეგობარმა დათიკომ ვერ შეძლო ოთახიდან მოეპარა დესპინე (ქალის კვილზე მედუქნის ბიჭები შემოცვივდნენ და სპირიდონმაც მედგარი წინააღმდეგობა გაუწია), ტარიელი იმ ღამესვე მიეჭრა უდანაშაულო ცოლ-ქმარს და წიხლით კარების შენგრევა დააპირა, მაგრამ ამჯერადაც გააკავეს. დილით მაინც დაიმართოხელა გაზულუქებულმა მკლავადემ „ბაღლინჯო“ ინტელიგენტი და სცემა.

ამ შემთხვევამ არა მარტო სულიერი სიმშვიდე დაურღვია, ფიზიკურადაც გატეხა უდანაშაულო ცოლ-ქმარი. დესპინეს ბნედა შეეყარა და გარდაიცვალა, ხოლო სპირიდონი, რომელსაც დიდი დღე აღარ დარჩენოდა, შურისძიებით აინთო, როცა შემთხვევით ერთხელ კიდევ ქუჩაში წაანყდა ლამაზ ქალთან მოსეირნე ტარიელს.

– „მინდა პასუხი მომცეთ, რას გვემართლებოდათ, რომ ორ უდანაშაულო ადამიანს სიცოცხლე მოგვისპეთ?“ – მისი შესახედ-აობისთვის ცოტა უჩვეულო გაბედულებით ჰკითხა სპირიდონმა მოძალადეს.

ტარიელ მკლავადემ, როგორც მოსალოდნელი იყო, კიდევ ერთხელ მოინდომა უდანაშაულო კაცის ნაბურთავება, მაგრამ ამჯერად ხელი მოეცარა.

სპირიდონმა ესროლა და მოკლა.

„სამსჯავროში სპირიდონი სრულიად არ ცდილობდა, რომ გამართლებულიყო, მან მხოლოდ თავიდანვე უამბო მსაჯულებს საქმის გარემოება. ოლქის სასამართლომ გადაუწყვიტა სპირიდონს ციმბირში გაგზავნა და იქ მადნებში მუშაობა, მაგრამ მადნებამდე აღარ მიუღწევია სპირიდონს, გზაში გარდაიცვალა.“

თუ სპირიდონმა მაინც მოახერხა, ეპოვა იმდენი ძალა თავის მისუსტებულ სხეულში, რომ თვითვე „გაეჩინა სამართალი“, სამაგიეროდ „განკარგულების“, „უცნაური სენის“, „პარტახის“ და „ქრისტინეს“ ბედისაგან დაჩაგრული გმირები (თუ შეიძლება, მათ „გმირები“ ეწოდოს) სრულიად მიუსაფარნი, სასომიხდილნი და ულონონი არან, რათა რაიმე შეცვალონ თავიანთ ცხოვრებაში და

პროტესტის ის უნარიც კი არ გააჩნიათ, გოგია უიშვილმა რომ მიჰმართა.

სოფელ ნიგვზიანში („ქრისტიანე“) ბეჟან უქმაძის ერთადერთი ვაჟი, იასონ უქმაძე, რომელსაც უზრუნველად და ფუქსავატურად ზრდიდნენ, ნელ-ნელა ჩამოყალიბდა ეგოისტად, სალახანად და დროსტარების მოტრფიალედ, რომელსაც ნუთისოფლის სიამტკბილობის მისეულ გზაზე ცა ქუდად მიაჩნდა და დედამინა ქალამნად. ახალი დროის მუსუსმა თვალი დაადგა დათია ხელმოკლიძის ქალიშვილს, ქრისტიანეს. შეაყვარა თავი, ცოლქმრობის პირობა მისცა და, როცა ჯვრისნერის დრო მოახლოვდა, ფეხმძიმე ქალს ურცხვად პირი უშალა, დაემალა. მეხის გავარდნა იყო სოფლად უკანონო შვილის გაჩენა და მერე ვისგან – ქრისტიანესაგან, რომელსაც „სოფლის თვალს“ ეძახდნენ. ვერ აიტანა ქრისტიანემ ოჯახის ნევრთაგან ყოველდღიური დამცირება, მეზობლების ირონიული მზერა, მიატოვა თავისი „ცოდვის შვილის“, გოგიას აკვანი, გაეპარა დედ-მამას და საეჭვო საქმიანობის სონას გაჰყვა თბილისში. თბილისის მეძავეებს მალე შეემატა „ურიის ქალი რახილა“, რომელიც განსაკუთრებული სილამაზით გამოირჩეოდა და ქუჩის ქალთა მოყვარულებში „კარგი მაზანდა“ ჰქონდა. მაგრამ სონას და ნატალიას (თბილისელი დიასახლისი) გარდა არავინ იცოდა, რომ ურიის ქალი რახილა სხვა არავინ იყო, თუ არა დათია ხელმოკლიძის შვილი – ქრისტიანე.

ბოლოს ქრისტიანეს ცხოვრებაც ისე დამთავრდა, როგორც არაერთი მეძავის ცხოვრება დამთავრებულა ხოლმე. იგი – უბინაო და უპასპორტო, საავადმყოფოში გარდაიცვალა და სიკვდილის წინ ექიმებს ეხვეწებოდა, ჩემს სოფელ ნიგვზიანში დამაბრუნეთ და დედ-მამას (თუ ცოცხლები არიან) და ჩემს ერთადერთ პირმშოს, თუნდაც უკანასკნელად, თვალი შევავლოო. თუმცა ეს სურვილიც ვერავინ შეუსრულა ურიის ქალს, რაკილა თვით ქრისტიანემაც არ იცოდა, სად იყო მისი სოფელი, რომელ მაზრასა და გუბერნიასში.

ეგნატე ნინოშვილის შემოქმედება ეპოქისეულ ხასიათთა მთელი გაღერეაა. მწერალს ძალუძს, ერთი ხელის მოსმით გამოძერწოს პერსონაჟი და შთამბეჭდავ, დაუვინყარ სახედ აქციოს იგი. ერთი მათგანია თავადი მანუჩარ არწივაზე („სოფლის გმირები“). „თავადი მანუჩარ არწივაძე თითქმის ორმოცდაათი წლის კაცი ბრძანდება. მელანივით შავს, ხშირს, ხუჭუჭა თმასა და წვერში საკმაოდ გამოერია ჭალარა, მაგრამ მედიდური მწყრომარე სახე,

ბრძანების გამომეტყველი დიდრონი თვალები და არწივის ნისკარტისებურად მოყვანილი ცხვირი მაინც ამხელს მანუჩარში ძველი ქართველი არისტოკრატის ტიპს“. მანუჩარი ძველი დროისა და ძველი ყაიდის კაცია. იგი მისტირის წარსულ დიდებას. უკმაყოფილოა ბატონყმობის გაუქმებით. თუმცა ძველი წოდება აღარ შერჩა და აღარც სიმდიდრე, მაგრამ ამპარტავნობა ვერა და ვერ დაუთმია. თუ მოხდა და სადმე წვეულებაზე უცნობი „მოუსკუპადა“ გვერდით, ჯერ ვინაობა-გვარიშვილობას გამოკითხავს, მერე მასპინძელს „შავ დღეს დაანევეს“, როგორ გაბედე და ეს გლეხუჭა მომისვი გვერდითო.

„ამ უკანასკნელ დროს, თავადი მანუჩარის ფიქრით, ისეთი ნიშნები ჩანს, რომ ბატონყმობა ხელახლავ უნდა დაბრუნდეს. ერთ ღამეს კიდევ დაესიზმრა თავად მანუჩარს, ვითომც ბატონყმობა განახლებულიყო, მისი სასახლე ძველებურად გავსებულიყო გოგო-ბიჭებით. დილას სიხარულით უამბო ეს სიზმარი თავადმა თავის კნენას „ღვთის წყალობით, ასრულდება, ასრულდება“ – მიულოცა კნენამ“.

ასე ირონიულად ამთავრებს მწერალი ჩანახატს და ამ ირონიამში თავად-აზნაურთა ნოსტალგიისადმი მწერლის დამოკიდებულებით ხაზი აქვს გასმული წარსულის დაუბრუნებლობის საწუთისოფლო გამოცანასაც.

სოციალურ და ეროვნულ ჩაგვრას ეგნატე ნინოშვილისდროინდელ საქართველოში ისიც დამატებია, რომ გლეხს გაუნათლებლობა, ე.წ. „გონების სიბნელე სჭირს“ და უვიცობა კიდევ უფრო გაუსაძლისს ხდის მის დუხჭირ ყოფას. ამ ხალხოსნური განწყობილებითაა დამუხტული ეგნატე ნინოშვილის ვრცელი მოთხრობა „**უცნაური სენი**“.

სოფელ ტვერეთში მცხოვრებმა გლეხმა, გაბრიელა ჩამწარდაძემ, ცოლი გვიან შეირთო. მისი მეუღლე, ტასო, დიდი სიხარულით არ შეხვედრია „გაბედნიერებას“ (გარიგებით გაათხოვეს), მაგრამ რაკი ოჯახის უღელს შეება, გასწია და მალე სამი შვილი (ორი ვაჟი და ერთი ქალი) აჩუქა გაბრიელს. მეუღლეთა ცხოვრების ერთფეროვნება ბოლოს მაინც დაირღვა, ახალგაზრდა ტასომ სოფლის დღეობებზე და „ლამისთევებზე“ სიარულს მოუხშირა, მერე სოფელში სტუმრად ჩამოსულ „ქალაქელ“ კოტე მამალაძეს „დაუმეგობრდა“ და ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ კოტემ ქალაქს მიაშურა, ტასო კი უცნაური სენით დააჯილდოვა. მალე



სენი ტასოსგან ქმარ-შვილსაც გადაედო და ყველას „მუნუკებად გამოაყარა“.

სოფელს, რა თქმა უნდა, უცნაური სენისა არაფერი გაეგებოდა. ერთი ამბობდა, „ნითელი ქარიაო“, და ლოცვით უპირებდა განკურნებას, მეორე – „ქარ-ცეცხლიაო“ და ქარ-ცეცხლის წამალს ადებდა, მესამე – „დასუნვილიაო“ და ვინ მოსთვლის, რა სენი არ დაარქვეს და რა წამლები არ სცადეს. ზოგი იმასაც ამბობდა: „ბატონებია და წამლობა არ ეკადრებაო“.

გაბრიელა და მისი ორი შვილი ამ საშინელ სენს შეეწირნენ. „ტასოს თავისი ლამაზი ცხვირი მოსძვრა, თვალები სანახევროდ დაუბრმავდა, სახე დაუმახინჯდა“... ბოლოს ექიმიც გამოჩნდა და წამალიც, მაგრამ უკვე გვიან იყო. სიფილისმა თავისი გააკეთა.

გლახთა მხრიდან აქტიური პროტესტის, ხელის გამოღების, ახალი მოდის მეტატონეთადმი დაუმორჩილებლობის იდეა აშკარად გამოვლინდა მოთხრობაში „სიმონა“.

ობლობაში გაზრდილი სიმონა ძალადის ცხოვრების გზაზე ავ ჩრდილად დაეცა ნიგვზის ხის ვაჭრობით გამდიდრებული „სოფელში დიდად გავლენიანი, მძლავრი კაცი, მაღალი, რიხიანი შეხედულების“, დავით დროიძე. სოფლად დროიძეთა დრო დამდგარა. ფულით გაქსუებული გუმინდელი გლეხი თანამოძმეთ ზემოდან დაჰყურებს, რაკილა ყვითელი ეშმაკით იოლად შეუძლია ბოქაულ-მოსამართლეთა მოქრთამვა-მოსყიდვა. „ნაბლისერში დავითის ოჯახს აზნაურის ოჯახს ეძახდნენ, თუმცა ბევრს კარგად ახსოვდა, რომ რაღაც ოცისა და ოცდაათი წლის წინათ თვითონ დავითი ერთი გუდამშიერი აზნაურის შინაყმა იყო. მიწა-ადგილებს დავითი თანდათან იძენდა, ასე რომ ბოლო დროს კარგი მამულის პატრონი თავადისთვის შეეძლო ხელის განვდენა. მკითხველი ადვილად მიხვდება, რომ „დავით დროიძე თავის სოფელში პატარა მეფე იყო“.

დავით დროიძემ ბავშვობიდანვე აითვალწუნა სიმონა. ჯერ იყო და სიმინდის ქურდობა დააბრალა, მერე სიტყვის შებრუნებისათვის „ნაობახში“ ჩაასმევინა და რომ ეგონა, ამ ღონისძიებით დაშინებული სიმონა ჩემი მონა-მორჩილი გახდებოდა, გაბრიელ ძალადის შვილი ვერ მოტეხა და ვერც ქედი მოახრევიანა. „იმ დღიდან დაწყებული სიმონა დავითს აღარც სალამს აძლევდა და თან, სადაც შეხვდებოდა, ისეთი თვალით შეხედავდა, რომ დავითი იძულებული იყო, თვალი აერიდებინა“.

დავით დროიძე მიზეზს ეძებდა, რომ სიმონასათვის საბოლოოდ ჭკუა ესწავლებინა და ბოლოს ეს მიზეზიც გამოჩნდა. ერთ ღამით ქურდებმა დავითის თავლა გატეხეს და ლურჯი ზედაური მოპარეს. დავითმა ქურდობა, რასაკვირველია, სიმონას დააბრალა. სიმონა გაუძალიანებლად გაჰყვა პოლიციელებს მაზრის უფროსთან. „წავალ, ჩემს სიმართლეს ღმერთი არ დამიკარგავსო“, მაგრამ მწარედ მოტყუვდა, მამასახლისის ზედა „ინსტანცია“ რუსი გახლდათ, რუსი კი, აბა, როგორ დაინდობდა: „როცა მაზრის უფროსთან მიიყვანეს, ჩვენებური დარაჯები ჩამოეცალა, ხიშტიანი რუსები შემოადგნენ აქეთ-იქით. მაზრის უფროსმა პროტოკოლის წაიკთხვის შემდეგ რაღაც რუსულად დაუნყო წყრომა და ფეხების ბარტყუნი და შემდეგ ნაიყვანეს სატუსალოში“.

დავით დროიძის ძალისხმევით, სიმონა დამნაშავედ სცნეს, სამწლიანხევრით ციხეში ჩასვეს, ოდას და ხარებს კონფისკაცია უყვეს და ოჯახი უსახსროდ დააგდეს. დაბრუნდა სიმონა სამწლიანხევრის შემდეგ პატიმრობიდან, მაგრამ „ურჩი ბიჭის დაბრუნებით ძილგატეხილმა დავით დროიძემ მალე ისევ „გააციმბირებინა“ სიმონა. ამჯერად „ფოშტის გაძარცვის“ ბრალდებით. ამასობაში დავითის შვილმა, ტიტკომ, სიმონას ცოლი, დარიკო, მოსამსახურეს მოატაცებინა და ძალადობით ნამუსი ახადა. შეურაცხყოფილმა ქალმა თავი დაიღრჩო. ეს ამბავი სიმონამ ჯერ კიდევ ციხეში შეიტყო. რომ გაათავისუფლეს, სოფლად შურისძიების მტკიცე გადწყვეტილებით დაბრუნდა. „რა გიშავდა, დავით, ამ ღვთის გაჩენილ ქვეყანაში მეც მეცხოვრა და შენც! ორივე დავეტეოდით. ჩემი გასრესა რომ მეინდომე, არ იცოდი, მეც სამაგიეროს გადაგიხდიდი?... ერთი მუშაკაცი ვიყავი, გასაწყლეთათ მომინდომეს, თავზე ხელი ამაღლებიეს და აგია. ნახონ, თუ კაია თავზე ხელაღებული კაცი!“ სიმონამ ორი ვაჟი (ტიტიკო და ლევანი) თვალწინ მოუკლა დავით დროიძეს და მერე მისი ოდა ცეცხლს მისცა.

რა მოჰყვა შედეგად სიმონა ძალადის შურისძიებას. მართალია, გაფირალეზულმა გლახმა შეძლო მისი დამლუპველისთვის სამაგიერო გადაეხადა, მაგრამ სოფელს ახალ ეგზეკუციად, გაჩანაგებად დაანვა ყაჩაღის ძებნის სამაზრო ღონისძიებანი. სოფელში „იდგნენ ყაზახები... იმათი შიშით ქალები გარეთ ფეხს ვეღარ ადგამდნენ. გლახობაში დათარეშობდნენ მამასახლისი და მისი ხელქვეითები „ეკუციის“ ხარჯისათვის. ამ „ეკუციის“ ხარჯს თავიანთი ჯიბისთვისაც ბევრი გამოაყოლეს... ხალხს წელში სწყვეტდა ეს ხარჯი.

ფული რომ აღარ აუთავდათ, სარჩოს-სიმინდს, ღომს და საქონელს აძლევდნენ, მაგრამ არ იქნა, მაინც ვერ აუვიდნენ. თუ ცოტა დაუგვიანდებოდა ეგზეკუციის ხარჯი, სადაც წახვლებდნენ ხარს, ძროხას, ღორს კლავდნენ და მიჰქონდათ, თუ პატრონი გამოცხადდებოდა და დავას დაუნყებდა – ჩემიაო, მათრახი და მისი ჯანი!“ ბოლოს სიმონა ტყეში თავისი სიკვდილით, ავადმყოფობით გარდაიცვალა, ხოლო პრისტავმა „ყაჩაღ ძალადის მოკვლისთვის“ ორდენი მიიღო.

ბოროტების დასათრგუნავად ინდივიდუალური ტერორის გარდა სხვა რამაც არის საჭირო. მარტოხელა ყაჩაღი ვერას გახდება, თუ გლეხობამ ერთი პირი არ შეჰკრა, ერთად არ აღიმალლა ხმა ეროვნული და სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ. ეს აზრია გატარებული ეგნატე ნინოშვილის მოთხრობაში „**პალიასტომის ტბა**“.

„პალიასტომის ტბის მახლობელ ტყეებში გაისმოდა ცულების ხათქა-ხუთქი და წამდაუნუმ ხის ნაქცევისაგან გრიალი. მუშა გასეოდა ტყეებს და ამზადებდა ფოთს გასასყიდ ხეებს. მუშაობდნენ ავდრისა და სიცივის მიუხედავად; დასველებულები, სიცივისაგან ხელფეხნართმეულები. მუშაობდნენ მოუსვენრად და ღამით დაქანცულ-დაღლილები ეყრებოდნენ აქა-იქ ფარღალალა კარვებში, ცეცხლის პირას დასაძინებლად, ვისაც ნაბადი ჰქონდა, ეხვეოდა ნაბადში და უმეტესობა კი ისე, გაუხდელად, სველი ტანისამოსით მიეგდებოდა დილაზე წკნელის ლოგინზედ და ხის მუთაქაზედ“.

ტყეში სხვებთან ერთად, ორმოცდახუთიოდე წლის, საშუალო ტანის, ბეჭებგანიერი გლეხი ივანე და მისი თექვსმეტი წლის ნიკოც უხათქუნებდნენ ხეებს ნაჯახს, რათა ცოტაოდენი „წლის სარჩო“ და „ცაცაის მზითევისათვის“ ორიოდე გროში მოექუჩებინათ. გლეხებს ტყის საბაჟო გადასახადი წყვეტდა ნელში, თორემ ამ კატორღული შრომის ნაყოფით ცოტა სულს მოითქვამდნენ. თავიდან პალიასტომის ტყის მუშები ერთხმად აღუდგნენ ხელისუფლებას და ტყის სიმდიდრის თავიანთი წილი ბეჯითად მოითხოვეს, მაგრამ მერე ტყის უკანონო პატრონებმა ეშმაკობას მიჰმართეს – გლეხთა რიგებში დაქსაქსულობა შეიტანეს. „ჰაი, ბიჭო, სად არის პირი და ერთობა! ჩვენსავე მოძმეებს რომ არ ეღალატათ, ვის რა ხელი ჰქონდა ჩვენთან. მარა ღალატი და უპირობა! ჰმ... მაშინ რომ ფხარიდან არ გამოგვშლოდნენ... მოატყუეს უბედურები, ალაღატებებს და მერე თვითონ უღალატეს! ყაძახს ყოლიკაცი

მოატყუებს... ყაძახმა რომ ერთპირობა იცოდეს და ერთმანეთის ფხარის მიცემა, მაშინ...“ – წუხს ივანე.

მაგრამ გლეხთა ერთპირობამდე და ერთურთის მხარში ამოდგომის სურვილამდე ჯერ კიდევ დიდი დროა. პროტესტის ერთიან ხმას რომ თავი დავანებოთ, მეზობელი გლეხები – „ბუჟუკაი და დათიკელაიც“ ტივით რომ უკან მოჰყვებოდნენ, გამოეცალნენ მამა-შვილს და გამძვინვარებულ პალიასტომთან მარტო დატოვეს.

ქარიშხალმა ტივი წყალს შეაღენა, იმედის უკანასკნელი კოშკიც დაინგრა და „ივანემ დაინახა, როგორ ჩასძირა და ჩაყლაპა შეუბრალებელმა წყალმა მისი საყვარელი ნიკო. ერთი უკანასკნელად კიდევ დაიღრიალა საწყალობელმა ივანემ მონადირისაგან სასიკვდილოდ დაჭრილ ლომსავით, უნდოდა მიშველებოდა შვილს, მაგრამ აღარც ღონე იყო მიშველებისა და აღარც შვილი იყო მისაშველებელი. ნიკო უკვე ჩაიტანა ძირს წყალმა ისე, რომ ხელიც არ გაუხმრევია საცოდავს. რამდენსამე წამის შემდეგ ღონემიხდილი ივანეც წავიდა წყლის ფსკერისკენ და ეს სიტყვები: „ვაიმე ოჯახო! ვაიმე, ცოლ-შვილო“, მუცელშივე ჩაუბრუნა პირში ჩახეთქილმა წყალმა“.

მოთხრობაში „**პარტახი**“ მოქმედ პირთა უბედურების მიზეზად ისეთი ჩვეულებრივი, ადამიანის გამაკეთილშობილებელი გრძნობა ქცეულა, როგორიც გახლავთ სიყვარული. ჯერან ტევრიძეს დედისა და დის გარიგებით ცოლად შერთეს ზალიკა ნარიშვილის ქალი ლიზა. ჯერანი იმდენად ენდო დედის (ხვარამზე) და დის (ელისაბედ) გემოვნებას, რომ საცოლედ მხოლოდ ნიშნობის დღეს ნახა, არ მოენონა, მაგრამ უკანდახევა გვიან იყო. რაკილა სიყვარულის გამძლე საყრდენებზე არ იდგა, ვერა და ვერ გამაგრდა ჯერანისა და ლიზას ოჯახი. ქმრისაგან მოძულეებულ ლიზას ბოლოს მეზობელი ლევანი შეუყვარდა და რაკი „საქმე გამჟღავნდა“ (ამასთან დაერთო პატარა ლუკას სიკვდილიც), ლიზასთვის სიცოცხლე გაუსაძლისი შეიქმნა და მან დამბაჩის გასროლით დაუსვა წერტილი თავის გამწარებულ სვეს. ჯერანმა „ვერ დაამტკიცა, რომ მისმა ცოლმა თვითონ მოიკლა თავი“, დაიჭირეს და გააციმბირეს. ელისაბედი ქლექით გარდაიცვალა, ხოლო ჯერანის დედა, ხვარამზე, ჭკუიდან შეიშალა და მალე ისიც მიიბარა უფალმა. ასე იქცა „პარტახად, ნამოსახლარად“ ტევრიძეთა ერთ დროს კოპნია, ბარაქიანი ეზო-კარი.

თუ რკინიგზაზე საყარაულოდ გამწესებულმა კაცია მუნჯა-ძემ („განკარგულება“) მატარებლის მოლოდინში (მატარებლისა, რომელსაც „დიდი კაცი მოჰყავდა“), რელსზე დადო თავი – „პანაი თვალს მოვატყუებ, „მატარებელი რომ გამოივლის, რეისაზე რომ თავი მექნება, მაშინათვე შევიტყობ და ნამოვხტებო“ (მაგრამ ეგ თადარიგი კაციასთვის ფრიად სავალალოდ დამთავრდა. დალილს ღრმად ჩაეძინა, მატარებლის მოახლოება ვერ გაიგო და დაიღუპა), სამაგიეროდ, ეგნატე ნინოშვილის „მოსე მწერალი“ შთამბეჭდავსიუჟეტიანი, უაღრესად მართალი, გულუბრყვილო პასაჟებისგან თავისუფალი დახვეწილი მოთხრობაა.

უნათლოშვილების ქვრივმა, ბაბალემ, მოსე მწერლის რჩევით (რომელიც გასამრჯელოდ ხუთ თუმანს ითხოვდა), ობლად გაზრდილი თავისი შვილებიდან (ოქრუა და სოფონა) უფროსი – სოფონა გერად დაინერა, აქაოდა „ერთადერთ შვილს სალდათად არ ნამართმევენო“. ბოლოს ავი მეზობლის, ბაგრატა ქერაძის, დასმენით მოსე მწერლის ნააფერისტალი საქმე გამჟღავნდა, ბაბალე, სოფონა, ოქრუა, მღვდელი ათანასე, მამასახლისის თანაშემწე და „სინდისიერი მოწმე“ დააპატიმრეს. მღვდელი სასამართლომდე გარდაიცვალა, ოქრუამ გაქცევა დააპირა, მაგრამ ესროლეს და მოკლეს. დანარჩენი ოთხი „დამნაშავე“ გააცემბირეს.

ეგნატე ნინოშვილის ერთ-ერთი პირველი თხზულება – „ჯანყი გურიაში“ გურიის 1841 წლის აჯანყებაზე დაწერილი და შეიძლება ითქვას, რომ იგი მწერლის ყველაზე სქელტანიანი ნაწარმოებია, რომელშიც სრულად გამოჟღავნდა ავტორის სოციალური და პოლიტიკური შეხედულებანი. ამ თვალსაზრისით „ჯანყი გურიაში“ ეგნატე ნინოშვილის ერთ-ერთ საპროგრამო ნაწარმოებად შეიძლება ჩაითვალოს. გლახთა აჯანყების ერთ-ერთი მეთაური, გიორგი, დაჩაგრულთა შემწე და ქომაგი, საერთო საქმისთვის თავდადებული კაცია, თუმცა მის შეხედულებებში აშკარაა რუსეთის წინაშე ქედის მოხრისა და ხსნის ჩრდილოეთიდან მომლოდინე „პროგრესისტის“ ის რადიკალური შეხედულებანი, სოციალდემოკრატებს რომ ახასიათებდათ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გიორგის საქმის დამარცხებით (იგი სიკვდილით დასაჯეს), აჯანყებულები გაანადგურეს. იქნებ ეგნატე ნინოშვილმა მარქსისტული მრწამსის უტოპიურობაზეც მიგვანიშნა.

ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისში ქართულ პერიოდიკაში გაჩნდა წერილების სერია „ეგნატე ინგოროყვას“ და „ნინოშვი-

ლის“ ხელმოწერით. „გურიის ამბების“ რუბრიკით დაბეჭდილ ამ წერილებში ოდენ გურიის ამბებზე როდი იყო საუბარი. პუბლიცისტი გაბედულად სვამდა ქვეყნის სადღეისო პრობლემებს და იმ პრობლემათა გადანყვეტის გზებზეც იძლეოდა თავისებურ პასუხს. საქმის ცოდნა, საფუძვლიანი განსჯა, საქვეყნო წყლულის მკურნალობის სურვილი ჩანდა ეგნატე ნინოშვილის წერილებში.

ერთ-ერთი პირველი კორესპონდენცია, რომელსაც „საბაასო“ ჰქვია, უნებლიე ყაჩაღთა, ე. წ. ფირალთა, გამოსარჩლებას ისახავს მიზნად. 1882 წელს დაწერილი „საბაასო“ ქართულ პუბლიცისტიკაში სრულიად ახალ თემაზე მიგვაქცევინებს ყურადღებას და დაკვირვებული მკითხველი ადვილად შეამჩნევს, რომ საკითხის იმგვარად დასმა, როგორც ეგნატე ნინოშვილის სტატიაშია, იმ დროს დიდი მოქალაქეობრივი გაბედულება იყო.

„გასული წლებისას რომ არ გამოვუდგეთ, – წერს ავტორი, – მარტო შარშან და წლეულს ჯერ ათზე მეტი „ფირალი“ მოჰკლეს გურიაში. მერე, იცით ვინ არიან ეს ფირალები? ცოლშვილიანი კაცები, რომლებიც გუმინ მშვიდი მინის მუშა იყვნენ, სახელმწიფო ბეგარას იხდიდნენ და თავის მოძმეებთან ცხოვრების მძიმე უღელს ეწეოდნენ. აი, ასეთი ადამიანი რაღაც უხილავი, უბედური გარემოების მიზეზით დღეს ტოვებს ცოლ-შვილს, იღებს ხელში თოფს და ნადირივით გარბის ტყეში, – ფირალდება! ასეთ ფირალებს უდგებიან კვალში და ხოცავენ „დუჟინობით“, ეს „ფირალების ჟლეტა“ ისეთი ჩვეულებრივი მოვლენა შეიქნა დღეს გურიაში, რომ არ შეიძლება ადამიანს ეჭვი არ დაგებადოს – ბიჭოს, ასე წამდაუნუმ თუ ჟლიტე ეს „ფირალები“, ადრე ხალხიდან დასცლიან გურიას და დასაცავიც აღარავინ დარჩებაო“.

ავტორი ქვემოთ ამხელს თავად გურიელს უდანაშაულო გლეხის – გოგტიძის ძალად გაყაჩაღებაში და პირდაპირ აცხადებს, რომ „პროპორშიკობის“ და „ორდენების გულისთვის მეფის მოხელეები ხშირად უდანაშაულო კაცსაც ფირალობას აბრალებენ და მერე „ნადირობენ“ მასზე. გურიაში თუ ასე ხშირ-ხშირად ინადირეს ადამიანზე, ისეთ სამსახურს გაუნევენ ამ პროვინციას, როგორც კრილოვის არაკმი ერთმა გონიერმა ცხოველმა გაუნია ბოსტნის პატრონს იმ განსხვავებით, რა თქმა უნდა, რომ გონიერმა ცხოველმა მხოლოდ ბოსტნეული გათელა და გურიაში კი გონიერი მცველები ადამიანს გათელავენ.

უაღრესად საინტერესოა „ძველი დავა ახალ ქერქში“. „მეველის“ (დ. მიქელაძე) საპასუხოდ დაწერილ ამ სტატიაში ეგნატე ნინოშვილი თაობათა დაპირისპირების ძველთაძველ პრობლემას ეხება და საქართველოს ეკონომიკურ-პოლიტიკური მომავლის შესახებაც საგულისხმო აზრებს გვთავაზობს.

თაობათა შორის გაუგებრობის წარმოშობის მთავარ მიზეზად ავტორს ის გარემოება მიაჩნია, რომ ახალი თაობა თავის „ჭეშმარიტებას“ ამკვიდრებს, ძველს კი ამ სიახლეებზე არ უფიქრია და ყოველივე მისთვის გაუგებარი შეცდომა ჰგონია: „ძველი თაობა ხედავს ცხოვრებაში ცვლილებებს, ახალ შეტანილ ელემენტებს, რომლებსაც მას არა გაეგება რა და ამიტომ ყველა შეცდომა ჭეშმარიტებას მოკლებული ჰგონია. შეცდომა ჰგონია, რადგანაც თვითონ არ განუცდია, არ განუხილავს, არ შეუსწავლია ეს ახალი. ან როგორ შეძლებდა მისი დასუსტებული ძალ-ღონე ახალთაობისგან შემუშავებული თეორიების და პრინციპების განხილვას. ამისათვის ხელახლავ გაყმანვილება არის საჭირო და, ხომ მოგეხსენებათ: „თავსა ახლად ვერვინ იშობს“. მისი იარაღი მხოლოდ „დრო ნახდას“ ძახილი და დრტვივნვა-გოდებაა“.

პუბლიცისტიკის მახვილ თვალს არ გამორჩენია თაობათა დაპირისპირების საწუთისოფლო გამოცანა, რომელსაც ყოველ დროსა და საზოგადოებაში ჰქონდა ადგილი, როგორც ერთ დროს სამოციანელები ამხელდით წინა თაობის ნაკლოვანებებს და კონსერვატორებს ეძახდით მათ, ისევე გიკიჟინებენ თქვენ ჩამორჩენას ახალნი და რატომ გწყინთო. ე. ნინოშვილი მეველის ნააზრევის იმ ნიუანსს გაუღიზიანებია, სადაც ავტორი ქართველ და რუს ახალგაზრდობას ადარებს ერთმანეთს და ასკვნის, ქართველ ახალგაზრდობას არ შვენის „მაღალ მატერიებზე“ ლაპარაკი, იგი პატარა ერის შვილია და „დღიურ პრობლემებზე“ უნდა იფიქროსო. ამიტომ ძირითადად ჩვენმა ახალგაზრდობამ ბუნების და მეურნეობის შესწავლას უნდა მიჰყოს ხელიო.

„განათლებული ნაწილი ჩვენი ერისა იმაზე კი არ უნდა ზრუნავდეს, თუ როგორ ამოთხაროს ჩვენი ქვეყნის ნიადაგიდან ოქროვერცხლი რამდენიმე კაცის გასამდიდრებლად, არამედ იმაზედ, რომ შექმნას ისეთი საპოლიტიკო-სოციალურ-ეკონომიკური წესწყობილება, რომ ერის ყოველ ნაწილს გამოუკლებლად და თანასწორად შეეძლოს ფიზიკურად, გონებრივად და ზნეობრივად გაუმჯობესება“.

ეს პასუხი იქნებ მთლად ზუსტი და მისადაგებელი არ აღმოჩნდეს მეველის კონკრეტული აზრის მიმართ, ამიტომაც ე. ნინოშვილი ქვემოთ უფრო ცხადად განმარტავს თავის დამოკიდებულებას ქართველი ახალგაზრდობის განსწავლის პრობლემებისადმი: „ის კი არ უნდა ვურჩიოთ ახალგაზრდობას, რომ გინდა თუ არ გინდა უეჭველად მეურნეობა უნდა შეისწავლო, რადგანაც მეურნეობის რიცხვს რამდენიმე კაცი აკლიაო, არამედ უნდა ვეუბნებოდეთ: შეისწავლეთ ის მეცნიერება, რომლისადმი გრძნობთ მოწოდებას, განავითარეთ ის ნიჭი, რომელიც ღმერთს მოუცია“.

ეგნატე ნინოშვილის ერთ სტატიას ასეთი მაინტრიგებელი სათაური აქვს: „უებარი საშუალება საქართველოს გამდიდრებისთვის“. ეს სტატიაც პოლემიკური ხასიათისა გახლავთ და ავტორი ეკამათება „ივერიის“ ავტორებს: მაჩხანელს, მეველეს და „პლებს“. ირონიის საგანადაა აღებული ამ ავტორთა მტკიცება იმის შესახებ, რომ „საქართველოს გასამდიდრებლად სჭირდება ორი ათასი კარგი ტექნოლოგი და ამდენივე კარგი აგრონომი“. განა ტექნოლოგები და აგრონომები აკლია რუსეთს ან ევროპის ზოგ ქვეყანას, სადაც ხალხის ერთი ნაწილი შიმშილით კვდებაო. სამეურნეო სკოლები კი არა, წყობა უნდა გარდაიქმნას და მაშინ ეშველება ქვეყანასო.

ეგნატე ნინოშვილზე, როგორც მხატვრული პროზის ოსტატზე, სხვადასხვა აზრი არსებობს. ერთნი თვლიან, რომ „გოგია უიშვილის“ ავტორი მწერალი-პრიმიტივისტია და მოვლენათა ფერწერული გადმოცემის უნარი ნაკლებად აქვს მომადლებული, მეორეთა აზრით, ეგნატე ნინოშვილის მომხიბვლელი სწორედ მის განუმეორებელ ლაპიდარულობასა და სისადავეშია, ხოლო სხარტი დრამატული სიუჟეტების შექმნითა და შთამბეჭდავი ხასიათების გამოგვირითებით „მოსე მწერლის“ ავტორი გამორჩეულთაგანია XIX საუკუნის უკანასკნელი ათწლეულის ქართულ პროზაში.

შემთხვევითი როდია ეგნატე ნინოშვილის არაჩვეულებრივი პოპულარობა, რითაც იგი გარემოსილია ლამის ერთი საუკუნის განმავლობაში. ამ დროს ქართული ლიტერატურის კაბადონზე გადაიარეს სხვადასხვა მიმართულებებმა და ლიტერატურულმა სკოლებმა, ლიტერატურულმა მოდამ არაერთი სახელი გაახმაურა და მოდამვე ჩააქრო ქარში გადგმული სანთელივით, ეგნატე ნინოშვილი კი დარჩა. კაცია მუნჯაძეს, სიმონა ძალაძეს, ოქრუა უნათლოშვილს, სპირიდონ მცირიშვილს და სხვებს გულშემატკი-

ვარი არ დაჰკლებია. რა საიდუმლოა ეგნატე ნინოშვილის, როგორც მწერლის დაუბერებლობაში? უპირველეს ყოვლისა, ეს გახლავთ მოთხრობათა მძაფრსიუჟეტუიანობა. ყოველ ნაწარმოებს კონკრეტული, უაღრესად გამჭვირვალე და საინტერესო სიუჟეტი აქვს. ეს სიუჟეტები „თითიდან კი არ არის გამოწოვილი“, უმეტესობა მათგანისა ცხოვრების სინამდვილიდან გახლავთ აღებული და მკითხველს სწორედ დრამატიზმით, რეალურობით იზიდავს. არც ერთი ამ სიუჟეტთაგანი ერთმანეთს არა ჰგავს (მოიგონეთ „პალიასტომის ტბის“, „ქრისტიანეს“, „სიმონას“, „ჩვენი ქვეყნის რაინდის“, „გოგია უიშვილის“... სიუჟეტები): გარდა ამისა, ეგნატე ნინოშვილის მოთხრობები სავსეა შთამბეჭდავი, ოსტატურად გამოკვეთილი ხასიათებით. მწერლის პერსონაჟთა გალერეა მრავალფეროვანია და თითოეულ მათგანს განუმეორებელი ხიბლი შესძინა ავტორმა. საუკუნის წინანდელი გურია დასახლებული იყო სწორედ რომ სიმონა ძალაძეებით, მოსე მწერლებით, გაბრიელ ჩამწარდაძეებით, გოგია უიშვილებით, კაცია მუნჯაძეებით.

აქვე შევნიშნავთ, რომ ეგნატე ნინოშვილის მოთხრობები, რასაკვირველია, შორსა დგას სრულყოფისაგან. ამ მხრივ ყველაზე მეტად თხზულებათა ენობრივი მხარე სცოდავს. ენობრივი დახვეწა-დამუშავება აკლია ეგნატე ნინოშვილის ლამის ყველა ნაწარმოებს. ამას თვით მწერალიც გრძნობდა. პერსონაჟები, თითქმის ყველანი, ერთნაირად მეტყველებენ. ინდივიდუალური საუბრის მანერით, ორიგინალური ენობრივი სტილით პერსონაჟის გამოკვეთის ხერხი უცნობია ეგნატე ნინოშვილისთვის.

ხოლო ის, რაც ჩვენს წინ დევს, ეგნატე ნინოშვილის მართალი პროზა მეცხრამეტე საუკუნის დასასრულის საქართველოს ქვეყნარბი მხატვრული მათიანის ერთი უტყუარი ფურცელია და მრავალსაუკუნოვანი ქართული პროზის ღონიერი შენაკადი.



**ვასილ ბარნოვი**  
(1857 — 1934)

ვასილ ბარნოვი ქართულ პროზაში უაღრესად საინტერესო, ორიგინალური სტილის პროზაიკოსია. თავისებურება მწერლისა ძირითადად სტილის ორი ნიშნით გამოიხატა:

I. ვასილ ბარნოვმა შექმნა ისტორიული რომანის ახალი, თავისებური ჟანრი. უფრო ნათლად რომ ვთქვათ, ისტორიული რომანის მისი რომანების უმეტესობას მხოლოდ პირობითად შეიძლება ეწოდოს. ამ რომანების ცენტრში ყოველთვის როდი დგას ისტორიული მოვლენა ან პერსონაჟი. ვასილ ბარნოვის რომანებს უმეტესწილად ასაზრდოებს ისტორიული და მითოლოგიური სიუჟეტები. ასე რომ, ვასილ ბარნოვი ორიგინალური სიუჟეტების ოსტატი არ არის, მაგრამ გამოირჩევა ცნობილი სიუჟეტების თავისებური, ახლებური ინტერპრეტაციით.

II. უაღრესად ორიგინალურია ვასილ ბარნოვის ენობრივი სტილი. დარბაისლური, ძველქართული მეტყველებით ვასილ ბარნოვი კონსტანტინე გამსახურდიას წინამორბედად გვევლინება ქართულ პროზაში, მაგრამ კონსტანტინე გამსახურდიას ხელში ენობრივი ძიებანი, ან უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ძველი და ახალი ქართულის სინთეზი უფრო თანამიმდევრული გახდა, ანუ უფრო გამოი-

კვეთა და სისტემური სახე მიიღო. ძირითადად ეს ორი თვისება აკუთვნებს ვასილ ბარნოვს გამორჩეულ ადგილს ქართული ლიტერატურის ისტორიაში.

ვასილ ბარნოვი დაიბადა 1857 წელს სოფელ კოდაში (შუა ქართლი). მამამისი, ზაქარია, მღვდელი გახლდათ. ბარნოვმა გვარი სამცხე-ჯავახეთიდან არის (ბარნოვი მისი ფსევდონიმია). ვასილ ბარნოვმა თბილისში დაამთავრა სასულიერო სასწავლებელი და სასულიერო სემინარია. შემდეგ მოსკოვის სასულიერო აკადემიაში განაგრძო სწავლა. მოსკოვში დიდი ხალხით არ ღებულობდნენ ქართველებს, ამიტომ მან განცხადება ბარნოვის გვარით დაწერა. მერე მთელი სიცოცხლე ვასილ ბარნოვმა გაატარა პედაგოგიურ და ლიტერატურულ საქმიანობაში. ასწავლიდა ქართულ ენას, ლიტერატურის ისტორიას. იგი უფრო მეტად სამეგრელოში მოღვაწეობდა, ბოლოს კი თბილისში იყო. შედგენილი აქვს სხვადასხვა ლექსიკონები და მონაწილეობის „ქართული სიტყვიერების ისტორია“.

ვასილ ბარნოვის მთავარი საქმიანობა მწერლობა იყო. მან საკმაოდ დიდხანს იცოცხლა იმ ეპოქის პირობაზე. გარდაიცვალა 1934 წელს, 76 წლის ასაკში, თბილისში.

ვასილ ბარნოვმა შემოქმედებითი ცხოვრება მოთხრობებით დაიწყო და მერე რომანებზე გადავიდა. მისი მოთხრობები არ არის იმ მხატვრული სიმაღლის და ლიტერატურული პოტენციისა, როგორცაა ვასილ ბარნოვის რომანები, მაგრამ, შეიძლება ითქვას, რომ ისინი ერთგვარ ეტაპს ქმნიან ქართული მოთხრობის ისტორიაში.

ვასილ ბარნოვი ერთ-ერთი პირველი ქართველი პროზაიკოსია, რომელმაც XIX საუკუნის დასასრულის და XX საუკუნის ათი-ოცნიანი წლების თბილისის სინამდვილე ასახა.

მოაბიჯებს მოთხრობის გმირი, დათიკო, თბილისში და ავლავს ხიდთან ქვემოთ შენიშნავს ჭიანურზე დამკვრელ კაცს, რომელიც ამით შოულობს ფულს. მივიდა მასთან გასამრჯელოს მისაცემად და დაინახა, რომ ჭიანურს ერთი სიმი განასკვული აქვს. ჰკითხა ამის მიზეზი – „გამიწყდა, ბატონო, და ყიდვის საშუალება არ მქონდაო“. შემდეგ გაირკვევა, რომ ისინი ერთმანეთს იცნობდნენ. დათიკომ დიდი ხნის უნახავი მეგობარი სოსიკო იპოვა. იპოვა ცხოვრებისგან გატეხილი, მათხოვრად ქცეული. მოიკითხეს ერთმანეთი და ერთად მიდიან სახლისკენ. შინ სოსიკოს ავადმყოფი

ფი მეუღლე მაკრინე ელოდა, რომელმაც არ იცის, რომ მისი ქმარი მათხოვრობს. გზაზე მეგობარმა დამკვრელს ახალი სიმი უყიდა. ჭიანურის სიმის გამთელება შეიძლება, მაგრამ რა გაამთელებს სულში ჩამწყდარ სიმს, სიმს წარსული ცხოვრებისას, რომელიც ერთხელ და სამუდამოდ არის განწყვეტილი („განასკვული სიმი“).

მოთხრობაში „ტკბილი დუღუკი“ ვასილ ბარნოვი ფილოსოფოს მწერლად გვევლინება. იგი წარმართულ-იდეალისტური ფილოსოფიის წარმომადგენელია; არის ახალგაზრდა კაცი მიხა და ჰყავს მეგობარი დათიკო. ეს მიხა უცნაური კაცია, ქალებში მორიდებული. ერთხელ დათიკომ მიხა სტუმრად წაიყვანა მეგობრის ოჯახში, რომელსაც რუსი სიძე ჰყავდა. მიხამ იქ ნახა რუსის ცოლი ქეთეთო და ელდაცემულივით შესცქეროდა მას. მერე დათიკოს არ მოეწონა მისი მეგობრის მიშტერება უცხო ქალისადმი. უკან მობრუნებულზე მიხამ უთხრა: ეს ქეთეთო ადრე ჩემი ცოლი იყო და, ბუნებრივია, ახლაც ჩემი ცოლი უნდა გახდესო. იმ დღის მერე ვერაფრით ვერ ამოიგდო მიხამ თავიდან ეს ახირება, მაგრამ მისი სურვილი არ შესრულდა. როცა ქეთეთო გარდაიცვალა, ორი დღის შემდეგ მიხამ თავი მოინამლა. დათიკო იგონებს: მედუღუკეთა თანხლებით მივდიოდი მის საფლავზე, რომ მისი სიყვარული მეგლოვაო.

სოციალური პრობლემა დასმული მოთხრობაში „თებერას დანიშნული“.

თებერა მელორეა. ცხოვრობს თბილისის მახლობელ სოფელში და კონფლიქტი აქვს მედუქნე თევდორასთან. კონფლიქტის მიზეზია სოფლელი გოგო, გზირის გერი ეონა. ეონას მშობლები ფულიან კაცს უფრო წყალობენ და თევდორა გადანყვეტს, ხელში ჩაიგდოს ქალი. თევდორამ ჯერ ძალას მიჰმართა, მაგრამ რომ ვერა გააწყოს, ხერხი იხმარა, ეონას მამინაცვალი კაკლუა მოიწყიდა. ვერც კაკლუას რჩევამ გაჭრა. ეონას გული თებერას დაეპყრო. გაგულისებულმა კაკლუამ სახრით სცემა საცოდავი გერი, რის გამოც ეონა შიშით დაავადდება. მკითხავმა ურჩია მშობელს, სამი წელი ეკლესიაში უნდა იყოს და ღმერთს უნდა ემსახუროსო. თევდორამ გული აიცრუა სულით დაავადებულ ქალზე. მაშინ გამოჩნდა თებერას ერთგულება. იგი ეკლესიის მახლობლად მიწურში დადგა და ზრუნავდა ავადმყოფზე. გავიდა სამი წელი. სამი წლის შემდეგ სოფელს უბრუნდება თებერა თავისი დანიშნულით. ეონა მორჩა.

უაღრესად საინტერესოა ქალაქად ვაჭრულ-ჩარჩული დამოკიდებულების მხილებით გაჟღერებული მოთხრობა „გველის ზიმი“.

მოქმედება ხდება თბილისში. აღწერილია კაპიტალისტურ-ვაჭრული ურთიერთობის გაჩენა. ყვითელი პეტრე ჰქვია იმ კაცს, რომელსაც თვალები ყვითლად, გველისებურად უელავს ხოლმე. იგი ფულს შოულობს, ხოლო „ფულის მშოვნელ კაცს სხვა ბუზად ეჩვენება“. მის მეზობლად ცხოვრობდნენ გობრონი და მაიკო. მწერალი პარალელურად გვიხატავს თბილისის მახლობელ ფერდობზე მოსრიალე გველს და მის პროტოტიპს – ყვითელ პეტრეს. ამ უკანასკნელს უბედურება მოაქვს ყველასთვის.

უპირველესი ყანრი ვასილ ბარნოვისთვის მისი რომანისტიკაა. რომანებს შორის აღსანიშნავია: „მიმქრალი შარავანდედი“, „ისნის ცისკარი“, „გიორგი სააკაძე“, „ტრფობა წამებული“, „არმაზის მსხვერვა“.

ჩვენ ზემოთ ხაზი გაფუსვით ვასილ ბარნოვის რომანების განსაკუთრებულობას. უპირველეს ყოვლისა, ეს გამოიხატება მწერლის დამოკიდებულებით ორიგინალური სიუჟეტების პრობლემისადმი და თავისებური, დარბაისლური ენობრივი ქართულით, რითაც ვასილ ბარნოვი, კ. გამსახურდიასთან ერთად ქართული ენის რეფორმატორად გვევლინება. ფეოდალური საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის დამახასიათებელი ურთიერთშუღლი და ქიშპობა, სიყვარულის პრობლემა, ქრისტიანობის გავრცელება საქართველოში და მასთან დაკავშირებული პერიპეტიები – აი, ვასილ ბარნოვის რომანების ძირითადი თემატურ-პრობლემური არე.

**„არმაზის მსხვერვა“.** საქართველო წარმართული კერპთაყვანისმცემლური რელიგიის ერთგულებით, ბომონთა დიდების საუკუნური ცხოვრებით ცხოვრობს. მეხუთე საუკუნეა. საქართველოში მეფობს მეფე მირიანი. საქართველოს, ერთი შეხედვით, მეგობრული, სინამდვილეში კი ვასალურ-ყმური დამოკიდებულება აქვს სპარსეთთან. სამყაროსთან, სხვა ქვეყნებთან საქართველოს ურთიერთობის გზა ძირითადად აბრეშუმის გზაზე გადის მცხეთიდან ისპანისკენ და საქართველოს რელიგიური ცხოვრების მყუდრო იდილიას ერთბაშად არღვევს კაბადოკიიდან 19 წლის ქრისტიანი ქალის, წმინდა ნინოს, შემოსვლა საქართველოში. ფეხშიშველამ გამოიარა მან სამცხე-ჯავახეთი და თრიალეთის მთები თავისივე თმებით შეკრული ვაზის ჯვრით ხელში და არა მარტო

მხურვალე ლოცვით იქცევს ყურადღებას, არამედ შესანიშნავად ფლობს გრძნეულების, მკურნალობის იმგვარ მეთოდებს, რომლებიც მაგიური ძალით მოქმედებს ადამიანებზე.

წმინდა ნინოს ქრისტიანული მოძღვრებისკენ გადახარა თვით დედოფალიც. მირიან მეფე კი მკვიდრად ერთგულებდა არმაზის კერპს. სპარსეთიდან ჩამოდის შესანიშნავი რაინდი ამზაილი, ასევე კერპთაყვანისმცემელი და ისიც კატეგორიული წინააღმდეგია ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებისა. ხვარამზეს (ქართველ ქალს) შეუყვარდა ამზაილი, ხოლო ხვარამზე წმინდა ნინოს გავლენას განიცდის. დიდია წმინდა ნინოს ქადაგების ძალმოსილება, დღითი დღე იზრდება ქრისტიანთა ლაშქარი საქართველოში. დაბოლოს, ხდება ერთი სასწაული. მეფე მირიანი ზედაზენზე ნადირობს. მას თან ახლდა ამაღა და უეცრად ჩამოხველდა. ისეთი ჩვეულებრივი მოვლენა, როგორცაა მზის დაბნელება, მაშინ აუხსნელი იყო და ეს ღვთის რისხვად იქნა გაგებული. მეფემ თავის კერპს – არმაზს, მიმართა საშველად, მაგრამ არ განათდა. მეფე და მისი ამაღა შიშმა შეიპყრო. ამ დროს მირიანს გაახსენდა წმინდა ნინოს ღმერთი – წმინდა ნინოს მეუფეო! ოღონდ ახლა გვიხსენი და გინამებ მარადის. ცა, მართლაც, განათდა და მაშინ ირწმუნა მირიანმა და მისმა ამაღამ ნინოს ღმერთის უპირატესობა და სამუდამოდ შეეპარა ბზარი მის წარმოდგენაში არმაზის კერპს.

რომანს ორიგინალური ფინალი აქვს. ამზაილი ომში იღუპება. გაურკვეველია, არმაზის რისხვაა ეს, თუ ახალი ღმერთისა. ალბათ, ახალი ღმერთისა – ქრისტესი, დაასკვნის ხვარამზე. ქრისტეს ჯვარს მოიხსნის და გადააგდებს. ხანჯალს ამოიღებს, თავს მოიკლავს და სატრფოს დაეკონება. მთავრდება სიყვარულის სენტიმენტალური ისტორია, მაგრამ არმაზის მსხვერვა უკვე დაწყებულია, ქრისტიანობა უკვე იმარჯვებს. მწერლის მიერ ბრწყინვალედ არის დახატული იმდროინდელი ყოფა-ცხოვრების რეალიები.

რომანი **ტრფობა წამებული** დაწერილია გიორგი მერჩულეს ცნობილი თხზულების „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ მიხედვით. კერძოდ, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებიდან მწერალმა აიღო საერო სიუჟეტი: მეფე ამოტ კურაპალატის, დედოფლისა და „სიძვის დიაცის“ მიჯნურობის ამბავი. აგრეთვე საერო და საეკლესიო წყობილების ურთიერთობის ისტორია და, რაც მთავარია, გრიგოლ

ხანძთელის დამოკიდებულება ამ მოვლენებთან – მეფის განკაცებასთან, სიყვარულთან.

„გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ ამ ამბავს დიდი ადგილი როდი უჭირავს, მეფეს უყვარს „სიძვის დიაცია“. მათი ურთიერთობა იქამდე მიდის, რომ მეფემ „სიძვის დიაცია“ სასახლეში მიიყვანა. „სიძვის დიაცმა“ კარგად იცის, რომ უკანონოა მისი ყოფნა სასახლეში, მაგრამ მეფის წინააღმდეგ უძლურია, რადგან „გარდა-რეული სიყუარული აქუს მას ჩემი“. ერთადერთი კაცი, მღვდელმთავარი და ეპისკოპოსი, რომელმაც, მაშინდელი გაგებით, მეფეს სირცხვილი მოსწმინდა, მოკიდა ხელი და „სიძვის დიაცია“ თებრონიას მიუყვანა. დედათა მონასტერში იყო გრიგოლ ხანძთელი. მან იცოდა, რომ ქვეყნის მმართველს არ შეშვენის ასეთი ამჩატება, მითუმეტეს, რომ ქრისტიანული რელიგია მკაცრი მორალური დოგმების დამცველია. მეფემ როცა გაიგო ეს ამბავი, მაშინვე მონასტრისაკენ გაეშურა, მაგრამ, სამწუხაროდ, ერთმპყრობელს და მონარქს ეკლესიის კარი ცხვრინინ მიუკეტეს. შეწუხდა მეფე და მაშინ აღმოხდა მას სიტყვები, რომლის წარმოთქმის უფლება ყველას ჰქონდა, მეფის გარდა: „ნეტარ მას კაცსა, ვინ არღარა ცოცხალ არსო“.

ვასილ ბარნოვმა თავის მხატვრულ ქურაში გაატარა ეს სიუჟეტი და მიიჩნია, რომ ყველაფერი ასე „მარტივად“ არ განვითარდებოდა, არც ის შეიძლებოდა, რომ ქალი ტიკინა ყოფილიყო მეფის ხელში. მწერალმა გრიგოლ ხანძთელშიც სცადა ისეთი მამაკაცის აღმოჩენა, როლის გულსაც შეიძლება დროდადრო ანათებდეს ხოლმე სიყვარული. რომანში მთელი რიგი პერიპეტეიები იმის შემდეგ იწყება, რითაც მთავრდება გიორგი მერჩულეს მოთხრობაში. იქ „სიძვის დიაცს“ სახელიც არა აქვს. ვასილ ბარნოვმა მას შუქია დაარქვა. იგი ლამაზი, ჭკვიანი და ეროვნული თვისებების მატარებელი ქალია. მეფისადმი სიყვარულის გარდა, მას მეფის ხელისუფლების გამოყენება ქვეყნის მდგომარეობის გასაუკეთებლადაც სურს. ამავე დროს შუქია ამაყია და მისი სიყვარულის და ღირსებების შელახვას არავის აპატიებს. მწერალმა შუქია აქცია პიროვნებად, რომელსაც საკუთარი „მე“ მიანიჭა.

აშოტი ბრძენი, გონიერი მეფეა და ერთადერთი, რამაც შეძლო მისი დამარცხება – სიყვარულია. მსოფლიო ლიტერატურაში საერთოდ ასეა: უძლეველნი არიან მეფენი. ისინი მტერთა ურიცხვ

არმიებს ამარცხებენ, საოცარი სისასტიკით გამოირჩევიან მართლმსაჯულების დროს, მაგრამ სრულიად უძლურნი რჩებიან ქალის სიყვარულის წინაშე. სრულიად სწორი, ადამიანური მოვლენაა. აშოტ კურაპალატი სქემატური სახე იქნებოდა, რომ მისი ცხოვრება სიყვარულით არ იყოს გაცისკროვნებული

სიყვარულის ძალას მერე უფრო ფართო მხატვრული მასშტაბებით ძლიერნი ამა ქვეყნისანი დაუმონა კონსტანტინე გამსახურდიამ.

არც გრიგოლ ხანძთელი, შეუვალი მღვდელმსახური, დარჩენია უყურადღებოდ ვასილ ბარნოვს. ნუთუ ასეთი ძლიერია, მკაცრია გრიგოლი, როცა საქმე მინიერ, ამქვეყნიურ სიყვარულს შეეხება? არამც და არამც. ეპისკოპოსის მანტიის ქვეშ მისი შეყვარებული გული ძგერს. მას სიცოცხლის ფასად უჯდება თავისი რელიგიური სიმტკიცის შენარჩუნება. იგი შეყვარებულია თებრონიასზე. მათ საუბარში და მეფის სიყვარულისადმი დამოკიდებულებაში, ზოგჯერ სინანულიც გაკრთება ხოლმე. ღირდა კი ამოდენა მსხვერპლად, ჩვენი სიყვარულის შენირვად, ჩვენ მიერ მოპოვებული რელიგიური მდგომარეობა? ბოლოს ისინი ერთ დასკვნამდე მიდიან: ღირდა, რადგან ჩვენ სულიერი სიმშვიდე ვპოვეთ, მაგრამ, ვაი, ასეთ სიმშვიდეს. ეს აზრი გამოსჭვივის თებრონიას და გრიგოლის სევდიან საუბრებში.

სიყვარულის პრობლემას ეძღვნება ვასილ ბარნოვის უაღრესად საინტერესო რომანი „მიმქრალი შარავანდედი“, აქაც მწერლის სასიყვარულო „თეორია“ გამოსჭვივის. კერძოდ, ვასილ ბარნოვი დაჟინებით ქადაგებს იმას, რომ სიყვარული უძლიერესი, ამამალელებელი გრძნობაა, რომ სიყვარულმა არ იცის, არც ნოდებრივი განსხვავებულობა და არც ეროვნული ბარიერი. წინააღმდეგობა სიყვარულის უძირო გრძნობასა და საზოგადოებრივ მდგომარეობას შორის ხშირად ორი ადამიანის ტრაგედიის მიზეზი ხდება – ეს აზრი მსჭვალავს „მიმქრალ შარავანდედსაც“. გურიელის ქალს, თინათინს, აზნაური ნოშრევანი შეჰყვარებია, მაგრამ ამაყი გურიელის პარტიკულარული ინტერესები დაბალი ნოდების ნოშრევანის სიძედ მოკიდებას როდი ითვალისწინებს. თინათინს კახთა მეფე ლევანზე გაათხოვებენ, მაგრამ ამ სახელმწიფოებრივ გარიგებას ბედნიერება როდი მოაქვს ლევანისა და თინათინისთვის. ლევანს, თავის მხრივ. ლეკთა ბელადის ასული ლეილყზი შეჰყვარებია. დედოფლისა და მთავრის მანტია მხოლოდ გარეგნულად



ჰფარავს შეყვარებულთა გულებს. ორივენი იტანჯებიან. ლევანის გაორებული ცხოვრება ტახტის მემკვიდრის პრობლემასაც წარმოშობს და ფეოდალური შუღლის მიზეზი ხდება, რაკილა ლეილყზის ვაჟსაც გაუჩნდება სურვილი თავისი მამის მემკვიდრეობა ერგოს. სიყვარულში დამარცხებული თინათინი იძულებული ხდება მონაზვნად აღიკვეცოს.

ვასილ ბარნოვის ნაწარმოებთა უმეტესობა მწერლის ორიგინალურ თეოლოგიურ-ფილოსოფიურ პოზიციას ამჟღავნებს. ვასილ ბარნოვს სწამს ღმერთი, როგორც სამყაროს გამგებელი, პირველმიზეზი, მაგრამ არა განკაცებული და ქრისტეს მსგავსად ყაჩაღთა გვერდით დასჯილ-წამებული. აქვე ვასილ ბარნოვი ადამიანთა ცხოვრების პერიპეტიებში დიდ წილს მიაგებს ბედისწერას. ადამიანი ბედისწერის მსხვერპლია. ბედისწერა ის სასტიკი ბომონია, რომელსაც ვერსად გაექცევი. ასეთია მწერლის მრწამსი. უნდა აღინიშნოს, რომ ვასილ ბარნოვის რელიგიური ორიენტაცია არ არის ორთოდოქსული. ზოგიერთ ნაწარმოებში ავტორი წარმართული ფილოსოფიისკენაც საკმაოდ იხრება.

ეს მსოფლმხედველობა განსაკუთრებით ნათლად ჩანს რომანში „გიორგი სააკაძე“, რომელიც იოსებ ზილიხანიანის „დიდმოურავიანის“ ერთგვარ მხატვრულ პერსევერაციას წარმოადგენს. ნაწარმოებში მოქმედების მდინარეა იქითკენ მიდის, რომ მწერალი გვიჩვენებს გიორგი სააკაძის გონებრივ და ფიზიკურ უპირატესობას ბაგრატიონ მეფის წინაშე. ტახტი სწორედ რომ უკეთესს ეკუთვნის და ასეთად განგებამ გიორგი სააკაძე მოავლინა, მაგრამ გიორგი სააკაძემ გადამწყვეტ ჟამს უკან დაიხია. არ იკადრა ბაგრატიონთა ტახტის მიტაცება და სწორედ ეს გახდა მისი დამარცხების მიზეზი. ბედისწერის ძახილს წინ არ უნდა აღუდგეთ, ასეთია რომანის ლაიტმოტივი.

მეთვრამეტე საუკუნის დასასრულის საქართველოს ორიენტაციის ურთულეს პრობლემას ეხება ვასილ ბარნოვის რომანი – „ისნის ცისკარი“. რა იყო კრწანისში ქართველთა დამარცხების მიზეზი, ჩანდა თუ არა ხსნის გზა ჩვენი ქვეყნისთვის მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს და მართალი იყო თუ არა ერეკლე მეფის გადაწყვეტილება – რუსეთისთვის დაეკავშირებინა დამოუკიდებელი საქართველოს ბედი. ამ თავსატეხ კითხვებს დასტრიალებს „ისნის ცისკრის“ ავტორი და შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ

რომანში რადიკალურ ავტორისეულ ორიენტაციას თითქმის არ ამჟღავნებს. ვასილ ბარნოვი ხატავს დროს, ადამიანთა ურთიერთობებს, ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკურ ვითარებას და მკითხველს უტოვებს განსჯა-დაფიქრების საგნად საქართველოს ორიენტაციის პრობლემას.

ვასილ ბარნოვის დინჯი თხრობის მანერა, პროზის რიტმულობა და რომანტიული, ზეანეული სტილი მკითხველთა განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს. მწერალს ფრაზის დახვეწის და ენობრივი ფერადოვნების არაჩვეულებრივი უნარი გააჩინა. სწორედ კლასიკურმა სიმწყობრემ, სათქმელის გამობატვის ფერწერულობამ და სწორმა ეროვნულმა პოზიციამ მოუპოვა ვასილ ბარნოვს მეოცე საუკუნის ლიტერატურის კლასიკოსის სახელი.



**დავით კლდიაშვილი**  
(1862 – 1931)

დავით კლდიაშვილი ქართული პროზის ბრწყინვალე წარმომადგენელთა პლეადას ამშვენებს. „სამანიშვილის დედინაცვლის“ და „სოლომან მორბელაძის“ გარდა რომ არაფერი დაენერა, დავით კლდიაშვილი მაინც ჩაითვლებოდა ქართული ლიტერატურის კლასიკოსად და მსოფლიო ნოველისტიკის ერთ-ერთ თვალსაჩინო მეტრად.

„სამანიშვილის დედინაცვალს“ და „სოლომან მორბელაძეს“ სიუჟეტით და შესრულების უზადო ოსტატობით, შეიძლება თამამად ითქვას, რომ მცირე ჟანრის ნაწარმოებთა შორის ოქროს ფონდში აქვთ დამკვიდრებული ადგილი. ყოველ შემთხვევაში, მსოფლიო ლიტერატურაში, ჩვენ ვერ ვხედავთ მოთხრობას, რომელშიც შუა ხანს მიღწეული შვილი საკუთარ მამას მაჭანკლად უდგება. დადის იგი იმერეთის მტვრიან გზებზე, კარიდან კარად, რომ მოძებნოს ორნაქმარევი, უშვილო დედაბერი და არც მეტი, არც ნაკლები, მამამისს შერთოს ცოლად. რატომ ორნაქმარევი და რატომ უშვილო? თურმე, აზნაურ – პლატონ სამანიშვილს ასეთი „ცუღლუტი“ გაზრახვა აქვს. ემანდ ბეკინამ, მამამისმა, შვილი არ გააჩინოს და პლატონს თავისი ნახევარძმა მამულის მოცილედ არ მოევიწიოს,

მსოფლიოში არაერთი მძაფრი სიუჟეტი არსებობს („მატეო ფალკონე“, „პალატა №6“), მათ შორისა „სამანიშვილის დედინაცვლის“ სიუჟეტი, რომელიც თავის შთამბეჭდაობით და სარკასტულობით სამუდამოდ ამახსოვრდება მკითხველს.

დავით კლდიაშვილმა საოცარი ფერწერულობით და რეალისტის კეთილსინდისიერებით ასახა XIX საუკუნის დასასრულისა და XX საუკუნის დასაწყისის საქართველო თავის პროზაში. შეიძლება თამამად ითქვას, რომ მან ლიტერატურაში სრულიად ახალი სამყარო შექმნა. დაასახლა იგი განუმეორებელი ხასიათებით, სევდანარევი იუმორით აღწერა მათი ცხოვრება და სამუდამოდ შემოუნახა ლიტერატურის ისტორიას პლატონ სამანიშვილის, ბეკინა სამანიშვილის, სოლომან მორბელაძის, კირილე მიმინოშვილის, ოტია ქამუშაძის, პორფირი ბიაშვილის და სხვათა სახეები. ცხოვრება, რომელსაც დავით კლდიაშვილი აღწერს, დრამატიზმითა და ტრაგიზმით არის აღსავსე, ხოლო სტილი მწერლისა უხვად შეიცავს ირონიას, იუმორს, ზოგჯერ – გროტესკსაც კი. მწერალი ერთგან ამბობს – ეს ამბავი, ჩემო მკითხველო, ფრიად სასაცილო იქნებოდა, რომ სატირალი არ ყოფილიყო. კომიკური დავით კლდიაშვილის სტილის თვისებაა. სინამდვილეში იგი არასოდეს არ დასცინის თავის პერსონაჟებს. როდესაც მხცოვან დავით კლდიაშვილს თბილისში იუბილეს უხდინენ და ერთ-ერთმა მომხსენებელმა ბრძანა – რა კარგად დასცინა დავით კლდიაშვილმა შემოდგომის აზნაურებსო. დავით კლდიაშვილმა, იუბილარმა, თავის სიტყვაში იქვე გასცა პასუხი: – ეს სიცრუეა, მე არასოდეს არავისთვის დამიცინიაო.

რაკი დავით კლდიაშვილის სტილზე ჩამოვარდა საუბარი, ორიოდ სიტყვა ვთქვათ სიცილზე. ფილოსოფოსები დღემდე დაობენ იმაზე, თუ რა არის კომიკური, რატომ იცინიან ადამიანები. ერთნი ამბობენ, რომ სიცილს იწვევს ფორმისა და შინაარსის შეუსაბამობა. მეორენი კი ხაზს უსვამენ, რომ სასაცილო იბადება მოვლენებზე საკუთარის უპირატესობის შეგნების გამო. ქართულ ლიტერატურაში კომიკურის ჟანრად აღიარების პირველი ნიშანი ჩანს „ვეფხისტყაოსანში“, „მესამე ლექსი კარგია სალალობოდ, სამღერელად“. ასევე რუსთაველმა ჰაგიოგრაფიული მწერლობისაგან განსხვავებით, პირველმა შემოგვთავაზა სატირული იგავი: „ორნი კაცნი მიდიოდეს სადაურნი სადმე გზასა“.

დავით კლდიაშვილის იუმორი ყოველთვის ფორმისა და შინა-არსის შეუსაბამობით, განწყობილებით, გარემო პირობებზე და სიტუაციაზე ღრმა დაკვირვების შედეგად არის შექმნილი და არასოდეს არ არის თვითმიზნური, პომპეზური. სიცილი სიცილისთვის არასოდეს არ ჩანს მის შემოქმედებაში.

დავით კლდიაშვილი დაიბადა 1862 წელს სოფელ სიმონეთში, აზნაურ სამსონ კლდიაშვილის ოჯახში. იგი ხან მამისეულ სახლში იზრდებოდა, ხან – დედულეთში (წყალტუბოს რაიონი). ცხრა წლის იყო, როცა ორმოც ქართველ ბავშვთან ერთად კიევიში წაიყვანეს, ყოველწლიურად რუსეთის თვითმპყრობელობა საქართველოში აგროვებდა თავადაზნაურთა შვილებს და მიჰყავდა ისინი რუსეთში თითქოსდა განათლების მისაღებად, სინამდვილეში კი გასარუსებლად, რათა იქიდან რუსეთის საიმედო ჩინოვნიკები დაბრუნებულნი იყვნენ. დავითი კიევიდან მოსკოვის სამხედრო სასწავლებელში გადაიყვანეს. მხოლოდ ოცდახუთი წლისა დაბრუნდა საქართველოში (მანამ სულ ორჯერ იყო საქართველოში). იგი თითქმის გარუსებული იყო და როდესაც „პოდპორუჩიკად“ გაამწესეს ბათუმში, მეფის მთავრობას დავით კლდიაშვილთან მიმართებაში თავისი ამოცანა შესრულებული ჰქონდა. ბათუმში გაიცნო მან იმერელი აზნაური, პავლე მაჭავარიანი, ენაწყლიანი ქართველი კაცი და, როგორც მწერალი იგონებს, თუ ვინმემ სცა ყველაზე დიდი პატივი დავით კლდიაშვილს, იყო სწორედ პავლე მაჭავარიანი. მან მიათხოვა ქალი დავითს და აჩუქა „სამანიშვილის დედინაცვლის“ და „სოლომან მორბელაძის“ სიუჟეტები.

კლდიაშვილმა პოლკოვნიკობას მიაღწია რუსეთის სამხედრო სამსახურში. მისი ბათუმში ოფიცრობის დროს იყო მუშათა გამოსვლები. ერთ-ერთს ახალგაზრდა სტალინიც მიუძღოდა წინ და რამდენჯერაც უბრძანეს ოფიცერ დავით კლდიაშვილს ცეცხლის გამოყენებით შეეჩერებინა გამოსვლები, მას ერთხელაც არ უსვრია ამბოხებულთათვის. ამის გამო იგი სამსახურიდან დაითხოვეს. ცოტა ხანს ქუთაისში იყო, მოხუცებულობა კი სოფელში გაატარა და იქვე გარდაიცვალა 1931 წლის 24 აპრილს. დაკრძალეს მთაწმინდის პანთეონში.

დავით კლდიაშვილმა დაგვიტოვა არაერთი მოთხრობა და მათგან სწორუპოვარია შემოდგომის აზნაურთა შესახებ დაწერილი მოთხრობები, პიესები: „დარისპანის გასაჭირი“, „ირინეს ბედნიერება“, „უბედურება“. ასევე „მნათობის“ რედაქციის შეკვეთით დაწერ-

ილი მემუარების წიგნი – „ჩემი ცხოვრების გზაზე“, რომელიც არა მარტო მისი ცხოვრების ცალკეულ ეპიზოდებზე გვიამბობს, არამედ ძვირფას მასალას შეიცავს 1900-1910 წლების საქართველოს და, კერძოდ, აჭარა-იმერეთის საზოგადოებრივი ცხოვრების შესასწავლად. განსაკუთრებული ყურადღებით მემუარებში მწერალი გადმოგვცემს ცარიზმის მოხელეების თვითნებობას საქართველოში და ჩინოვნიკთა თავგასულ, ბატონკაცურ დამოკიდებულებას ქართველი ერის სრულიად სამართლიანი პრეტენზიების მიმართ. ადრეული მოთხრობები: „შერისხვა“ და „მსხვერპლი“ თავისი შინაარსით და მიმართულებით ხალხოსნურ მოთხრობათა რიცხვს მიეკუთვნება. რელიგიური ფანატიზმი და ცრურწმენათა გაფეტიშება გამოსჭვივის ამ ორ მოთხრობაში.

მართალია, დავით კლდიაშვილის შემოქმედების პირველ პერიოდში ხალხოსნური მოტივები შეინიშნება, მაგრამ იქვე იგრძნობა, რომ მწერალი შემოქმედებით ძიებაშია. ხალხოსნური ტიპის მოთხრობებშივე შეინიშნება იუმორის ელემენტები და აშკარად ჩანს, რომ მომავალი დიდი მწერალი ტექიათა მოტრფიალების იდეოლოგიის ჩარჩოებში ვერ ჩაეტევა. ასეც მოხდა. გავიდა ცოტა ხანი და ქართულ ლიტერატურას ერთიმეორის მიყოლებით შეეძინა დავით კლდიაშვილის სამი მოთხრობა: „სამანიშვილის დედინაცვალი“, „სოლომან მორბელაძე“, „ქამუშაძის გაჭირება“. ეს ის მოთხრობებია, რომელთაც განსაზღვრეს დავით კლდიაშვილის ადგილი, როგორც კლასიკოსისა, ქართული ლიტერატურის ისტორიაში.

**„სამანიშვილის დედინაცვალი“** პრივილეგიადაკარგული თავადაზნაურული კლასის იმ პერიოდის ცხოვრებას ეხება, როდესაც ამ კლასის წარმომადგენელთა შეგნებაში ჯერ კიდევ არ იყო აღმოფხვრილი ნოდებრივი უპირატესობის კუდაბზიკური შეგნება, ხოლო სინამდვილე იმდენად მკაცრი გახლდათ, რომ მათ გლახური პრაქტიციზმისაკენ უბიძგებდა. ეს გლახური პრაქტიციზმი საკმაოდ მარტივი რამ იყო. თუ თავის რჩენა გსურდა, თოხი უნდა აგელო ხელში და ოფლითა შენითა უნდა მოგეპოვებინა სარჩოსაბადებელი. მკაცრი სინამდვილე და აზნაურული ამპარტავნობა, სრულიად ბუნებრივად დრამატულ წინააღმდეგობრივ ეფექტს ქმნის და ეს დრამატიზმი ხშირად კომიკურ ელფერს იძენს.

ბეკინა სამანიშვილი, „ერთობ გადაპრანჭული“ და საკმაოდ ხანდაზმული იმერელი აზნაური, მისი ნოდების სხვა წარმომადგენელ-

თა მსგავსად ჯერ კიდევ ილუზიებით იკვებება გარდასულ დროზე და წარსულ დიდებაზე, ხოლო მის შვილს – პლატონ სამანიშვილს, უკვე შეხებია ეპოქის მსახვრალი ხელი და შეგუებია თავის მდგომარეობას. ოყიანი თოხი უჭირავს ხელში და მინას უჩახუნებს. სამანიშვილთა ოჯახის ერთფეროვნება ერთ დღეს სამოცდაათი წლის ბეკინას ახირებულმა სურვილმა დაარღვია. ბეკინამ თავის შვილს გაანდო განზრახვა ცოლის შერთვის შესახებ. პლატონს თავზარი დაეცა. ჯერ მოხუცი მამის სურვილს ისედაც უცნაურად მიიჩნევდა, ძველებური ყოფა-ვითარებაც რომ ყოფილიყო. ახლა კი პლატონს თავისი პრობლემა ანუხებს. ბეკინას ახალ ცოლთან შვილი არ გაუჩნდეს, რომელიც პლატონს მამულს გაუყოფს და ისედაც მშიერ ოჯახს დალუპვის კარამდე მიიყვანს. დიდი ფიქრისა და ცოლთან მოთათბირების მერე პლატონმა თვითონ იკისრა იმერეთში ლამის გაუგონარი საქმე – საკუთარი მამის მაჭანკლობა. ბეკინას ეჭვზე, შენ რალაცას ცუდლუტობ, ყმანვილო, შენ რა დაგიშვდება, მე ერთი ბებრუცუნა მოვიყვანო, შენს ცოლსაც ხელს ნაუკრავს და მოხუცებულობაში მომივლისო, პლატონმა სასონარკვეთით ამოიგმინა და უთხრა: „შვილი გეყოლება, ბატონო, შვილი“. ოჯახის ახალი წევრი, სხვა ვითარებაში ასე რომ გაახარებდა სამანიშვილთა საგვარეულოს, ახლა ტრაგედიად ქცეულა.

პლატონი თვითონ შეარჩევს ორნაქმარევე, უშვილო ქალს და გული საგულეს ექნება. პლატონ სამანიშვილს ერთი გარემოებაც უძნელებს საქმეს. ბეკინას თავისი ემმაკურ-მერკანტელური სურვილიც აქვს. მთლად გადაღრძუებულ, შეუხედავ დედაბერზე თანახმა არ არის. და დაინყო პლატონ სამანიშვილის ეპოპეა კარდაკარ. უნდა მიდგეს-მოდგეს, გაიარ-გამოიაროს, მიიკითხ-გამოიკითხოს და აღმოაჩინოს მისთვის სასურველი დედინაცვალი. ამ ერთობ ძნელი და ცოტა არ იყო უხერხული საქმის აღსრულებისას პლატონ სამანიშვილს მისი დარდიმანდი სიძე, კირილე მიმინოშვილი, აეტორღილა, თითქოსდა დახმარების მიზნით, მაგრამ სინამდვილეში, კირილეს სადედინაცვლო დედაბრები ფეხებზე ჰკიდია და მით უმეტეს, ორნაქმარევი და უშვილონი. მას თავისი მიზნები აქვს: იქეიფოს, დრო გაატაროს და სადაც მაღალი კვამლი ამოდის, იქ შევიდეს, თუნდაც დაუპატიჟებლად. ოღონდ ლხინით და კაი ხასიათზე ყოფნით გაატაროს ეს ცხოვრება.

ისევ კომიკური სიტუაცია. ერთად მოდიან ლამის ანტიპოდები. ერთი მხრივ, პლატონი თავისი კონკრეტული და პრაქტიკული

საქმით, მწუხარე სახის აზნაური, და მეორე მხრივ, ნიადაგ პურის ჭამისთვის აწყვეტილი და არცთუ საიდუმლოს დელიკატურად შემნახველი კირილე.

მკითხველი დაძაბული ადევნებს თვალყურს მოთხრობის პერიპეტიებს. ღარიბი, მაგრამ ენაკვიმატი, ირონიული, სულისშემძვრელი კომიკური სცენები ერთმანეთს ცვლის და ბოლოს სადედინაცვლო გამოჩნდა. პლატონ სამანიშვილის ხეტიალმა, დამცირებამ და ჭაპანწყვეტამ შედეგი გამოიღო. შვილმა მამას შერთო ორნაქმარევი, უშვილო ქალი და დაიმედებული, რომ მამულის გაყოფაში არავინ შეეცილება, ისევ თოხს დაუბრუნდა. მაგრამ კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო. ბეკინა სამანიშვილი, სადაცაა მამა უნდა გახდეს. ეს ადგილი მოთხრობაში ზარის მსგავსად დარხეული აპოთეოზია სამანიშვილის ოჯახის ტრაგედიისა. შვილის გაჩენა ბეკინას პირად უბედურებადაც იქცა და მალე თვალწინ გადაგვეშლება მოთხრობის ლოგიკური ფინალი. სოფელში დადის პატარა ბიჭთან ერთად სამანიშვილის დედინაცვალი. ფრიად შევიწროებული თავისი გერის, პლატონის მიერ.

მოთხრობის ბრწყინვალე სიუჟეტი, უზადოდ დაწერილი ცალკეული პასაჟები, შთამბეჭდავი, ურთიერთგანსხვავებული კადრები ნაწარმოების მტკიცედ შეკრული კომპოზიცია იძლევა უტყუარი დასკვნის გაკეთების საშუალება, რომ „სამანიშვილის დედინაცვალი“ ერთ-ერთი საუკეთესო მოთხრობაა არამარტო ქართულ ლიტერატურაში.

ისევ იმერეთი, ისევ „შემოდგომის აზნაურები“. ამჟამად გამაჭანკლებული იმერელი აზნაურის, სოლომან მორბელაძის, „გაძალღებული“ ცხოვრება. მოთხრობა „**სოლომან მორბელაძის**“ მთავარი პერსონაჟი, პლატონის მსგავსად, ცხოვრებას ლამის შეგუებული, რეალისტი კაცია. მან იცის, რომ ცოტა თუ არ გაინძრა, თავისი გარდასული ნოდებისათვის ხონჩით არავინ მიართმევს სარჩო-საბადებელს. მაგრამ პლატონისგანვე განსხვავებით, სოლომანს ჯერ კიდევ შერჩენია აზნაურული კუდაბზიკობა და „მთლად სასაცილოდ“ ვერ გაუმეტებია თავი. იგი აზნაურისთვის, რასაკვირველია, შეუფერებელ, მაგრამ ლამის მებრეობისაგან ცოტა განსხვავებულ მსუბუქ საქმეს შეჭიდებია – მაშვლობას, მაჭანკლობას.

მოთხრობა იმით იწყება, რომ სოლომან მორბელაძემ, როგორც იქნა, გადაადებინა თავის მორიგ მოვალეს ვალის დაბრუნების ვადა და მეორე დღესვე შეუდგა ახალი საქმის „გაიმასქენებას“,

რათა მაშვლობით აღებული ფულით ვალიც გაისტუმროს და ორი კაპიკიც დარჩეს ოჯახის დასაპურებლად, ოჯახისა, რომლის კიდობანში თავიცი კი შიმშილით კვდება. საქარაძეებისა თუ ქათამაძეების კარზე თავისი მშვიერი, გაძვალტყავებული ჯვორით მავალი სოლომან მორბელაძე იძულებულია, ხანდახან ტყუილსაც მიმართოს. სიძე-სიმამრისაგან გაკეთებას მოელის, სიმამრს კი ერთობ შეჭირებული ეკონომიური საშუალება გააჩნია. აბა დაპირება, აბა თამასუქი, აბა უბოროტო ტყუილი, სოლომანი მოხერხებული კაცია და როგორც იქნა ქორწილამდე მიიყვანს საქმეს, თუმცა ქორწილზე გამჟღავნდება, რომ სიძის წინაშე არც პატარძლის მამა და არც სოლომანი იყვნენ პირნათელი. მაგრამ სოლომანი ამას აღარ დაეძებს. საქმე გაიმასქნებულია, ქორწილი გაჩაღებული და სოლომანის მიერ მოკვარაჩქინებული საქმე ანი აღარ ჩაიშლება. და მაინც ხდება ის, რისაც მას ყველაზე მეტად ეშინოდა – მაჭანკალი მოატყუეს. დაპირებული თუმნიანების ნაცვლად ორიოდ გროშს დააჯერეს. მიაჩიქჩიქებს შინისაკენ გულამღვრეული მაჭანკალი ჯორს და ფიქრობს: „დასწყევლოს ღმერთმა იმერელი აზნაურის გაძალღებული ცხოვრება; მოვატყუე, მომატყუეს და ხვალ ერთი მოტყუებული კარზე მომადგება“.

„ქამუშაძის გაჭირება“ შედარებით ფართოპლანიანი, მასშტაბური ხასიათის მოთხრობაა. იგი არ გახლავთ კომპოზიციურად ისე მტკიცედ შეკრული, ერთიანი, კონკრეტული ნოველური სიუჟეტის მქონე, მაგრამ ხასიათდება დიდი შინაგანი დრამატიზმით და მოვლენათა მწერლისეული შეფასების შეუვალი ობიექტურობით.

ოტია ქამუშაძეც ღარიბი აზნაურის შვილია. ოღონდ სამანიშვილების და მორბელაძეების ეპოქასთან მას გარკვეული დროითი დისტანცია აშორებს. სამანიშვილები და მორბელაძეები გარდასულან და ქამუშაძეობა, ერთ დროს რომ ასე პრესტიჟული და სანატრელი იყო სოფელში, უკვე აღარ არის პრივილეგიური, ქამუშაძეებს აღარავინ შენატრის, გლეხმა დაინახა ქამუშაძეთა კლასის უნიათობა და სიღარიბე. მონიფულ მშრომელ, პატიოსან ოტია ქამუშაძეს ქალიშვილის ცოლად მიცემაზე უარს ეუბნება მისივე თანასოფლელი. იმის მაგივრად, რომ იქვე სოფელში სხვა ქალი ეძებონ, დედა-შვილი გადწყვეტენ ქალაქიდან მოიყვანონ სარძლო და ამით კიდევ ერთხელ გააოცონ თანასოფლელები. ოტია ქამუშაძე აფერისტ პორფირ ბიაშვილის მსხვერპლი ხდება. ხელმომართული კაცის ქალიშვილის მაგიერად მას ასევე გუდამშიერ ოჯახში გაზ-

რდილი გოგონა შერთეს, ქორწილი აზნაურთა ერთ-ერთი მხარის დაკარგულ შესაძლებლობად იქცა. ისევ სოფელი, ისევ ტალახიანი შუკა და სულისგამანვრილებელი სიღარიბე. და სრულიად ახალი მოტივი გაკრთა დავით კლდიაშვილის შემოქმედებაში. ეს მოტივი აქამდე არ შეგვხვედრია. ქამუშაძეები ტოვებენ სოფელს და ქალაქში მიეშურებიან. იქნებ ქალაქში მაინც გამოჩნდეს თავის რჩენის წყარო. და იზრდება ქალაქი სოფლიდან გამოქცეული გლეხების ხარჯზე. სამწუხაროდ, ეს პროცესი დღემდე გრძელდება.

სანამ შემოდგომის აზნაურთა პრობლემამდე მივიდოდა, დავით კლდიაშვილმა, როგორც აღვნიშნეთ, ძიებისა და შემოქმედებითი ევოლუციის რთული გზა განვლო. ადრეულ მოთხრობებს აშკარად ეტყობოდა ხალხოსნური იდეების კვალი. რელიგიური ფანატიზმი, სოფლად გამეფებული სიბნელე. ბუნების მოვლენათა აუხსნელობა, გაუნათლებლობით გამონვეული ეს ტიპიური ხალხოსნური მოტივები შეინიშნება ადრეულ მოთხრობებში, რომელთაგან განსაკუთრებით შეიძლება გამოვყოთ „შერისხვა“ და „მსხვერპლი“.

კაცია საგუნაშვილმა ერთი „მოღალული“ საყანე ადგილი „შესასვენებლად გაუშვა“ („შერისხვა“). დროთა განმავლობაში იმ ადგილზე სოფელმა გზა დაიდო და როცა კაციამ თავისი ნაკვეთის დაბრუნება გადწყვიტა, მეზობლებმა ნება არ მისცეს, აქაოდა ძველი გზა უკვე აღარ ვარგა, ხოლო კაციას საყანეზე სიარული ჩვენთვის „ერთობ მოსახერხებელიაო“. კაციამ არაერთგან იჩივლა, მაგრამ ვერა გაანყო რა. დღისით, მზისით, სოფელმა მარჩენალი მიწა ჩამოაჭრა. „ამ საქმეში“ განსაკუთრებით აქტიურობდა სოფლის მოსამართლეთაგანი ანდრია ჭურაშვილი. რაკი კაციამ კაცთა შორის სამართალი ვერ იპოვა, ადგა და ანდრია ჭურაშვილი ხატზე გადასცა, აქაოდა წმინდა გიორგი უკეთ განსჯის მართალსა და მტყუანსო.

„შენ გგონია, წმინდა გიორგი, მარტო შენს ჭკუაზე გეიარს?! – იქვე უპასუხა კაციას საქციელით შეფიქრიანებულმა ანდრიამ, მაგრამ კაციას ეჭვი აღარ ეპარებოდა, რომ ღვთის სამართლი მართლის მხარეს დაიჭერდა და დამნაშავე ანდრიას სასტიკად დასჯიდა“.

დრო და ხანი გადიოდა, მაგრამ წმინდანის რისხვის ნიშნები კი არსად ჩანდა. კაციას მოუთმენლობა დაეცყო. ნეტა რად ატარებს წმინდა გიორგი ამდენს ხანს ანდრიას და არაფრით არ იჩენს იმაზე თავის სასწაულს?! ამ მოუთმენლობას ის უფრო უმატებდა, რომ

ამ ბოლო დროს ანდრიასაც მეტი რალაც მხიარულება ემჩნეოდა, იგი უფრო გათამამდა, და როგორც სხვები ეუბნებოდნენ კაცის, ვითომ არაფრად აგდებდა კაცისაგან ხატზე გადაცემას.

ბოლოს კაცის მოთმინების ძაფი გაუწყდა და აღდგომის მეორე დღეს, როცა ხატების წინ დაჩოქილ ხალხს სოფლის მღვდელი ღმერთს ავედრებდა, კაცია საგუნაშვილი ზენამოიჭრა.

„ესმის ახალი ვითომ მაგას რამე?.. ძალი ვიყავი მე, ჩემი რომ არაფერი შეისმინა მაგან?! – საშინელი ხმით წამოიძახა აცახცახებულმა ბებერმა კაცმა, ეს ისე სწრაფად, ერთი თვალის დახამხამებაში მოხდა, რომ ვერავინ მოასწრო მოხუცებულის შეჩერება, მღვდელი გაფითრებული, გონებადაკარგულივით მისჩერებოდა განრისხებულ მოხუცს“.

იმდენად დიდი იყო ღვთის გმობის ელდა თვით მგმობელისთვის, რომ კაცის ფსიქიკამ ვერ გაუძლო იმის ფიქრს, რომ გამოუსწორებელი დანაშაული ჩაიდინა, „მოტყდა, უცნაურად მალე მოტყდა. სრულად დაბერდა და მოიკუმმა წარმოსადეგი კაცია. ზედვე ეტყობოდა, რომ იგი წუხდა. წუხდა გადამეტებით, მაგრამ ხმას არ იღებდა.“

ბოლოს ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ კაცია ლოგინად ჩავარდა. ერთადერთ ნუგეშად ისლა გაჰყვა საფლავში, რომ მღვდელმა მისი ზიარება მოასწრო.

– „ვერ ვიტირებთ“, ამბობდნენ მეზობლები – ღმერთს ვანყენინებთ, რომ მგმობელი ვიტიროთ! – და ამიტომაც მიცვალებულ კაცის სასაფლაოზე მხოლოდ ცოლშვილი გაჰყვა და ესენიც მხოლოდ იმის უბედურ დღეზე გაჩენას დასტიროდნენ.

არანაკლებ ტრაგიკული მოთხრობა „მსხვერპლი“. შემზარავია ცრურწმენაზე და ავადმყოფურ ეჭვიანობაზე აგებული მისი სიუჟეტი.

ფეფენამ თავისი რძალი, მარინე, აითვალწუნა. დედამთილს არ მოსწონს, რომ მარინემ „დოურიდებლად ყბედობა“, „ლაქლაკი და კასკასი“ იცის, და არც ის, რომ „გაქუცული აზნაურიშვილი“ დავით კარუგდელიძე ხშირად დანანნალებს „ამ ბარობაზე“. რძალ-დედამთილის ურთიერთობა იქამდე გამწვავდა, რომ მარინემ ფეფენა ერთ დღეს თმით დაითრია და სახლიდან გაიქცა. უნიათო და უგერგილო ნიკამ ფეფენას დახმარებით დაიბრუნა ცოლი, მაგრამ ოჯახის მყუდროება სამუდამოდ დაირღვა. მარინე ძალით „დაიმორჩილა“ მკაცრმა დედამთილმა, მაგრამ ამ დამორჩილებას

შედეგად მარინეს ავადმყოფობა მოჰყვა. როცა შვილის ავადმყოფობით შეწუხებულმა მარკოზამ მარინეს ავადმყოფობის მიზეზი ჰკითხა, ქალმა საბოლოოდ გასწირა ავი დედამთილი და კუდიანობა დასწამა. მარკოზამ ლამის სოფლის თვალწინ ბანრით შეჰკრა „კუდიანი“, „დაავლო ხელი საკეცეს, აილო მხურვალე ნაწილი და... თეძოზე მიადო ფეფენას“. დადაღვის ცერემონიალმა დედამთილი ხომ სიკვდილის პირას მიიყვანა, მარინემაც ვერ გაუძლო ამ შემზარავ სურათს და სული განუტევა.

აღსანიშნავია, რომ დავით კლდიაშვილმა დამოუკიდებელი საქართველოს (1918-21) და საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში კარგახანს იცხოვრა, მაგრამ მის მხატვრულ პროზაში არ ასახულა რევოლუციების, სამოქალაქო ომის და „კომუნისტური აღმშენებლობების“ ეპოქა. შეიძლება ითქვას, რომ დავით კლდიაშვილმა არ მიიღო „ძალით განითლებული საქართველო“, მისი მწერლურ-არისტოკრატიული სული სამანიშვილების, დარისპანის და სოლომან მორბელაძის სანახებში დარჩა. ეს იყო დავით კლდიაშვილის იმერეთი. ოციანი წლების ბოლოს მსცოვანმა მწერალმა კვლავ სცადა თავისი მაგიური კალმის გაცოცხლება, მაგრამ, სამწუხაროდ, ღირებული ვერაფერი შექმნა. ამ პერიოდის თხზულებათაგან აღნიშვნის ღირსია მოთხრობები „შუაცეცხლის პირას“ და „კომოთე მეშველიძე“.

მოთხრობაში „შუაცეცხლის პირას“ დავით კლდიაშვილი მკითხველისთვის მოულოდნელად კვლავ მიუბრუნდა ადრე „მსხვერპლმა“ დასმულ, თვით მწერლის მიერვე მივიწყებულ კუდიანობის პრობლემას.

დიდთოვლობაა. ანდრია დვანაძის ბუხართან მიმჯდარი იმერლები ჰყვებიან მთისას და ბარისას, გარეთ ისეთი წუნკალი ამინდია, ძალი რომ არ გაიგდება. ექვთიმეს სთხოვენ, მოგვიყვი, როგორ გაისტუმრე საიქიოს ერთი კუდიანიო.

– ახალგაზრდობაში – ჰყვება ექვთიმე – სამოჯამაგირეოდ ვიყავი წასული... ერთ ზამთარს რალაც უცნაური კატა შემომეჩვია. ყოველ ღამე დავწვებოდი თუ არა – ისიც უსათუოდ გაჩნდებოდა, შეშინებულს ძილი არ მეკარებოდა. მივედი მოძღვართან და მოვუყვები ყველაფერი. – კუდიანი იქნება – მითხრა მან, დადაღე და მოგეშვებო... ვეცი კატას, დავიჭირე, მივათრიე ბუხართან, გამოვიღე ცეცხლიდან გახურებული რკინა და სახეზე მივუსემოვუსვი... მეორე დღეს მეზობელმა მითხრა, დედაჩემს უცნაური

საქმე დამართნიაო... შევეყვი სახლში ავადმყოფის სანახავად... ლოგინში წევს დედაკაცი თავპირშეფუთვნილი. ლოყაზედ სწორედ ისეთი ჯვარი აქვს, მე რომ კატას დავადალე... რამდენიმე დღის შემდეგ დედაკაცი მოკვდა. გლეხები არაჩვეულებრივი ყურადღებით ისმენენ ექვთიმეს მიერ კუდიანის დადაღვის და მოსიას საიქიოდან დაბრუნების ამბავს და ეს ინერება მაშინ, როცა რელიგიის წინააღმდეგ დიდი კომუნისტური ლაშქრობაა გაჩაღებული, ხოლო საქართველოს თავზე ეს ესაა გადაიარა 1924 წლის საშინელმა რეპრესიებმა. ერთი „პარტიული“ ანდრია დვანადის ბუხართანაც ზის, მაგრამ, როგორც ჩანს, მას ენდობიან მეზობლები „ამ ჩვენი კოლიასი ნუ შეგეშინდება – შინაური პარტიულია“, – ეუბნება ერთი ახალგაზრდა გლეხი მოსიას. მოთხრობაში ერთი გროტესკული პასაჟიც გამოკრთა ხატების ლენვის და უღმერთობის წინააღმდეგ მიმართული: „სოფლელებმა მახლობელი ეკლესიიდან გადმოსვენეს ცხრა წმინდა გიორგის ხატი. რვა დადგა და მეცხრე ვერ გააჩერეს, ძველ ადგილას იპარებოდა. ერთმა ყმანვილმა სახლში ილაპარაკა, რომ ის ხატი თავად კი არ იპარება, აქ ეშმაკობენო, ხატებს არაფერი შეუძლიათო. ერთ დღეს მოვიდა და ცხრავე ხატი ნაჯახით ლუკმა-ლუკმა აქცია. თავდაპირველში ბიჭი არხეინად ყოფილა, მერე კი ავად გამხდარა. მორჩენილა, მარა თავის ჭკუაზედ აღარ არის, თურმე ლაპარაკს უკლო და ითვლის სულ, მარა ცხრას ვერ გადასცილდება თურმე, ერთი, ორი, სამი... მივა ცხრამდი, გაჩერდება და ისევ ხელახლა: ერთი, ორი, სამი და ასე ცხრამდი...“

ოციანი წლების შემდგომი განწყობილების გამოსატყვის ცდაა პატარა ნოველა „კიმოთე მეშველიძე“, იგი მწერლის უკანასკნელი ნოველათაგანია. ნოველაში შეფარვით იგრძნობა მწერლის უკმაყოფილება რევოლუციის შედეგებით და ტოტალური უღმერთობის გამეფებით.

ნოველის ლირიკულ გმირს იმერელი აზნაური კიმოთე მეშველიძე ემასლაათება: „სულ დევებენით, ჩემო ბატონო, აღარაფერი გვესმის რა ხდება ამ ქვეყნიერობაზე... ახლა რომ აქ დაგიხვდათ, ვარდენ მშვენიერაძეა... ამასწინათ ქაქანობდა, ნიკოლოზი უნდა ჩამოვადგოთ... კინალამ თავის მახეში გაება... ერთობაში შემოდი-თო. ვინც ერთობაში არ შედიოდა, ბოიკოტს უცხადებდა. აქეთ ამ ერთობის ხალხის შიში გვექონდა, იქეთ მთავრობა გვემუქრებოდა ამ ერთობისთვის... მერე იყო და, ატყდა ეს შერყენებული ჩხუბი,

ქვეყანა რომ დაანგრია! აი, როდის გათავდება, როდის გვეშველება, ქვეყანა რომ დამშვიდდეს-თქვა. დამშვიდება კი არა, უარესი შეიქნა. იმ საცოდავმა ნიკოლოზმა ტახტიც დაკარგა და თავიც, ჩამოაგდეს, ოუსრულდა ბევრს ნატვრა, მარა ჩვენ მაინც არაფერი გვეშველა... გადალმა სოფელში ერთი პლენი ბიჭი ჩამოსულიყო – საოცარი ამბავი ჩამოეტანა... პლენიდან რომ ვბრუნდებოდი, წამიყვანეს, ტყეში დგას დიდი სახლი... დამაჯინეს ოთახში... შემოვიდა კაცი გენერლის ჩინებით, ჯვრებით, ლენტებით – სამი კაცი ახლდაო... მიცანი თუ ვერაო. იმ პლენ ბიჭს მაშინვე უცვნია – ნიკოლოზი ბრძანდებო... მე ყოველთვის მიყვარდაო, უთქვამს, კავკასია და კავკასიის ხალხიო და როცა ჩახვალო, გადაეციო, რომ მე ცოცხალი ვარო და მადაც მალე ჩამოვალო...“

კიმოთე მეშველიძე პრაქტიკულად მოაზროვნე, მკვირცხლი გონების იმერელია, მან ყველაფერი კარგად იცის, მაგრამ მოსაუბრის გამოწვევა უნდა და დასკვნების გაკეთებას არ ჩქარობს. კიმოთე არ ჰგავს მისი წოდების გულუბრყვილო წინაპრებს. იგი აშკარად დასცინის „ნიკოლოზის ჩამომგდებ“ და ხატისთვის რევოლუციის მიმშვერ ვარდენია მშვენიერაძეს, რომლისთვისაც რევოლუციას ის სიკეთე მოუტანია, რომ „ახლა გამწარებული ფულზე დარბის სასესხებლად“.

ფრთხილი და ეშმაკი კიმოთე თანამოსაუბრეს ბოლომდე არ ენდობა და თავს დაბნეულ, მოვლენებში გაურკვეველ კაცად აჩვენებს.

„ახალგაზრდაც და მოხუციც რალაც სხვა ჭკუაზედ შეიქნენ... რა მოგველის აღარ ვიცი... სულ ვერ გავართვი თავი... სულ დავიბენით... რომ ვინმე შეისხამდეს ჩვენ მადლს და დალაგებით, გულდასმით აგვისსნიდეს – რა არის, რა ამბავია, – ეგებ ჩვენც გამოვსულიყავით ჩვენი სიბნელიდან და ჩვენს გაუგებრობას და დაბნევას ბოლო მოვებოდა...“

დავით კლდიაშვილი სამი პიესის ავტორია. ესენი გახლავთ: „დარისპანის გასაჭირი“, „ირინეს ბედნიერება“ და „უბედურება“. ამათგან „დარისპანის გასაჭირი“ მწერლის უმთავრეს თემას – შემოდგომის აზნაურთა კუდაბზიკობას ეხება, – „ირინეს ბედნიერებაშიც“ ნაწილობრივ ეს საკითხია წამოწეული, თუმცა ავტორი უიღბლო სიყვარულისა და ფატალიზმის პრობლემასაც წამოსწევს, „უბედურება“ კი კვლავ ცრურწმენის და გაუნათლებლობის ხალხოსანთათვის საყვარელ თემას უბრუნდება.

უნდა ითქვას, რომ დავით კლდიაშვილის პიესები ქართული თეატრისადმი თანადგომის კეთილშობილური სურვილითაა შექმნილი, მაგრამ „დარისპანის გასაჭირის“ გარდა მწერლისთვის დამახასიათებელი გამოკვეთილი ტიპაჟით და მაღალი იუმორით არც „უბედურება“ ბრწყინავს და არც „ირინეს ბედნიერება“. ეს უკანასკნელი პირველად თბილისში დაიდგა და არცთუ წარმატებით. დავით კლდიაშვილი ამის შესახებ იგონებს: „პისა, რომ იტყვიან,, ჩაფლავდა, ჩაფლავდა უცნაურად; თბილისელები სრულიად ვერ მიუდგნენ პიესას; ვყურობ და ვკვირობ – ჩემი სახეები სად გაქრნენ, სად გადასხვაფერდნენ?! გათავდა წარმოდგენა ულაზათოდ, უშნოდ, ვნუხვარ...“

მეორე დღეს „ტიფლისისკი ლისტოკში“ რეცენზენტმა პირდაპირ „ბღღვირი ამადინა“.

რამდენიმე თვის შემდეგ ქუთაისის თეატრში გენიალურმა ლადო მესხიშვილმა მიანიჭა „ირინეს ბედნიერებას“ ღირსეული სცენური ხორცშესხმა. ისევ დავით კლდიაშვილს მოვუსმინოთ: „დაინყო რეპეტიცია. ყველა ხალისიანადაა, ხალისიანად იწყება. აბესალომს თამაშობს შალვა დადიანი – ჩინებულია. აგერ შემოფაფხურდა ფილიპე, ნამდვილი ფილიპე. ჩემს სიხარულს საზღვარი აღარ აქვს. როდამიშვილი – გიორგი თუთბერიძე, ირინე – გვეტაძის ქალი. სიხარულისგან გაბრუნებული ვარ“.

„ირინეს ბედნიერება“ ასეთ სიუჟეტურ ქარგაზეა აგებული: ფილიპე ბარბაქაძის ოჯახში დღეობაა. ლხინის დროს ფილიპეს ქალიშვილს – ირინეს თვალი დაადგა შეძლებული მემამულის, სამსონ სალამთაძის, ვაჟმა აბესალომ. აბესალო გამომწვევად იქცევა, არ მალავს გრძნობებს და მასპინძლის ქალიშვილს ზოგჯერ ამკარად უხერხულ სიტუაციაში აგდებს. ბოლოს შეზარხოშებული აბესალო ფილიპეს ირინეს ხელს სთხოვს. არ გაჭრა ქალიშვილის ხვეწა-მუდარამ, არც აბესალოს მეგობრის – ვიქტორის შუამდგომლობამ. ვიქტორმა აუნყა ფილიპეს, რომ ირინეს ხელმოკლე პავლე როდამიშვილი უყვარს და თავის მხრივ დასძინა, რომ ფილიპეს არა აქვს უფლება ჭეშმარიტ სიყვარულს ხელი შეუშალოს, მით უმეტეს, რომ აბესალო ცუდად აღზრდილი, გათამამებული, ცოტა არ იყოს უტიფარი ყმანვილია და ირინესთვის შესაფერისი სრულიადაც არ არის. ვიქტორის წინადადებაზე ფილიპემ ქვა ააგდო და თავი შეუშვირა. მან არჩევანი აბესალო სალამთაძეზე შეაჩერა და თავისი ქალიშვილის გრძნობები არად ჩააგდო.

ირინემ და აბესალომ იქორწინეს, მაგრამ როგორც მოსალოდნელი იყო, აბესალო ვერ იქცა მოსიყვარულე მეუღლედ და ოჯახის თავად. იგი სმას და ქალებს გადაყოლილი დარდიმანდია. ამას როგორმე გაუძლებდა ირინე, მაგრამ აბესალოს კიდევ ერთი ცუდი ზნეს სჭირს – უსაფუძვლოდ ეჭვიანობს პავლე როდამიშვილზე, საქმე იქამდე მივიდა, რომ ილაჯგანყვეტილი ირინე თავის მამას უხმობს. იქვეა როდამიშვილი, რომელიც სახალხოდ დაიფიცებს, რომ უბრალოა და აბესალოს ოჯახის სინმინდის შებღალვა არც უფიქრია, მაგრამ შარზე მდგარ აბესალოს როდამიშვილის ფიცი-მტკიცისა არა სჯერა. ირინეს ისლა დარჩენია, რომ ამხილოს ქმარი აღვირახსნილობასა და გაღმა შედავებაში. აბესალო ხანჯალს ამოიღებს და ირინეს დაჭრის. „აი, ჩემი ბედნიერება, მამა! ხომ ბედნიერი ვარ!“ – ტირილით ჩაეკრება გულში უბედური ქალი მამას.

სოფლად უბედურებამ დაისადგურა – ტუფას ქმარი, ანტონა, ყანაში მუშაობდა და უეცრად გული წაუვიდა („უბედურება“). ცოცხალმკვდარი შინ საკაცით მოიყვანეს. გლეხებმა ჯერ თებროლეს სთხოვეს, შეულოცე ავადმყოფსო, მაგრამ მერე გაირკვა, რომ ანტონას მეზობლები „გადალოცვას“ აპირებენ. ეს იმას ნიშნავს, რომ ავადმყოფობა გამოვა ანტონას ტანიდან და „ზევით ხომ არ შეუდგება იმ შეღმართს? ქვეითკენ წავა. აბა, საით უნდა წავიდეს?!“

ამ გადანყვეტილებამ „ქვევით მხცოვრებთა“ სასტიკი პროტესტი გამოიწვია: „რალა ჩვენკენ დენიან კიდევ თავიანთ უბედურებას, რალა ჩვენკენ გზას ულოცავენ? ჩვენი მწუხარება არ გვეყოფა თუ? ქვეითკენ არ გოუშვებ გადასალოცავად! არა, არა, ტყუილი იმედია!“ ამ ნიადაგზე გლეხები ერთმანეთს დაერივნენ და კეტებით დაუხეთქეს ერთმანეთს ცხვირ-პირი.

თუ „სამანიშვილის დედინაცვალში“ ოჯახის ახალი წევრის მოვლინება იყო სამწუხარო მოვლენა, „დარისპანის გასაჭირში“ შემოდგომის აზნაურის მთავარ პრობლემად ქალიშვილის გათხოვება ქცეულა. ოჯახს ვერ ნახავ, რომ სამი და ოთხი ქალიშვილი არ ჰყავდეს გასათხოვარი და მთხოვნელი კი არსადაა... რაღაც უბედურებამ გული შეუცვალა ახლანდელ ყმანვილებს... აღარ ეკიდებიან ოჯახებს. ე გოგოები კი გვიყრიან სახლში და გვაბერდებიან საცოდავად ხელში! (დარისპანი).



პიესა იწყება მართასა და მის ნათლიდედის, პელაგიას, დიალოგით. თავის ნათლულზე – ნატალიაზე მზრუნველი მართა პელაგიას ავალებს: „ახლავე აქ მომიყვანე... ამ სალამოს მესტუმრება ონისიმე მათარაძის ბიძაშვილის ედუკიას – ხარებაძეს რომ ჰყავს – შვილი. ეგებ ღმერთი შეგვენიოს და ჩემი ნატალიას ბედმა გასჭრას“. ნატალიას „გადანახულები“ მონყობილი შეხვედრა ერთმა მოულოდნელმა შემთხვევამ დაარღვია. ჭიშკარს გუდამშიერი აზნაური – დარისპან ქარსიძე მოადგა. დარისპანის სტუმრობა სასიამოვნოდ როდი დაურჩა მართას, მაგრამ უსიამოვნო გრძნობას უფრო ის ფაქტი ამძაფრებს, რომ დარისპანი მარტო არ არის. მას ქალიშვილი კაროჟნა ახლავს. როცა ონისიმე და ოსიკო მოვიდნენ, დარისპანმა უეცრად მოთოკა თავისი ოჯახის ხელმომართულობაზე დაწყებული „გადაპრანჭული“ საუბარი და მართას ეცა:

„დარისპან – მართა ჩემო, ეს ყმანვილი ცოლსათხოვი უნდა იყვეს, ვატყობ, ისე გამოიყურება.

მართა – არ ვიცოდე, შენ არ მომიკვდე.

დარისპან – კი, ასე უნდა იყვეს, უნდა მომეხმარო, შენ გნაცვალე!

მართა – რაში?

დარისპან – კაროჟნა უნდა შევადლო!“

...და გაიმართა ოსიკო ხარებაძის თვალწინ ნატალიას და კაროჟნას (უფრო მათი მშობლების) საპატარძლო მასკარადი. სამ-სამი ქალიშვილით შეწუხებული მართა და დარისპანი ყოველ ღონეს ხმარობენ, რომ ოსიკოს ქალიშვილი მოაწონონ. ზის ოსიკო თავისი უპირატესობის სრული შეგნებით. დარისპანი კი ნემსის ყუნწში ძვრება. გული კინალამ გაუსკდა, როცა მის მარჯვე და ხელსაქმიან კაროჟნას ჭიქა გაუტყდა („არა... თავის დღეში არაფერი გატეხია ხელში... რაღა ახლა აქ მოუვიდა მარცხი. თელათ ოჯახი მაგის კისერზედაა. მაგაა ჩემი ამშენებელი. თავის დღეში ოჯახისთვის არაფერი უზარალებია“). დარისპანი შეიტყობს თუ არა, რომ სასწორი ნატალიასკენ იხრება, კაპუეტივით მივარდება თავის ნათესავს: „მაკვირვებ, მართა ჩემო. ჩემი სისხლხორცი ხარ... უნდა მენეოდე, შენ კი პირში გეტყვი, უკან მიყენებ შვილს“. ოსიკოსაც შეპარვია პრაქტიციზმის საშინელი სენი. იგი არად დაგიდევთ გოგონათა ტანკენარობას და ლამაზ თვალებს, როგორც კი „საპატარძლო“ თვალს მიეფარება, ონისიმეს ერთსა და იმავე კითხვას აძლევს: „აქვს რამე?“, ბოლოს, რაკი სასიძოს არც ერთი ამ გოგო-

ნათაგან „თვალში არ მოუვიდა“ (ძირითადად მათი სილარიბის გამო), ოსიკომ ტყუილს მიმართა და გამოუცხადა მართას, რომ დანიშნულია, თორემ მის „რჩევას“ უსათუოდ მიიღებდა.

1925 წელს დავით კლდიაშვილმა დაამთავრა წიგნი **„ჩემი ცხოვრების გზაზე!“** ნაშრომს ვუძღვნი მათ ხსოვნას, ვინც გული სიყვარულით გამითბო, მასწავლა ადამიანის პატივისცემა და ნდობა. მოკლე მონაგონებში არაფერი შეფერადებული არ იქნება. იქნება მხოლოდ სინამდვილე. სინამდვილე, რომელსაც გადაუხრელად ვემსახურებოდი მთელი ჩემი მწერლობის განმავლობაში – წერს ავტორი წინათქმაში.

მართლაც, მემუარები დავით კლდიაშვილისთვის დამახასიათებელი რეალისტური კეთილსინდისიერებით არის დაწერილი. დასაწყისში მწერალი შთმბეჭდავად გვიხატავს დედუღეთში (სოფ. ხომული) და მამისეულ სოფელში (სოფ. სიმონეთი) გატარებულ წლებს. მერე ქუთაისში ჩამოსვლას და გიმნაზიის მოსამზადებელ სასწავლებელში მიბარებას. ქუთაისის გიმნაზიაში სწავლის გაგრძელება მომავალ მწერალს არ დასცალდა: „ერთ დღეს მამამ გამომიცხადა, რომ რუსეთში უნდა წავყოლოდი. ყოველ წლობით მთავრობას მიჰყავდა თბილისის და ქუთაისის გუბერნიებიდან თავად-აზნაურთა ორმოც-ორმოცი ბავშვი სამხედრო სასწავლებელში. მიჰყავდა იმ მიზნით, რომ გაერუსებინა და კიდევაც მიზანს აღწევდა ხოლმე, რადგან რუსეთში სამშობლოს მონყვეტილი ბავშვი ივინყებდა ქართულ ენას, ზნეს და ბრუნდებოდა ქართული გვართ, მაგრამ ერთიანად თავიდან ფეხებამდე გარუსებული“.


მერე მემუარებში მოთხრობილია „გარუსებული“ დავით კლდიაშვილის ჩამოსვლა ბათუმში. აღწერილია პორტო-ფრანკოს პერიოდის ბათუმი და იქაური ინტელიგენციის საქმიანობა. ამ თავში, მაშინ უკვე ჯანმრთელობამერყეული, ბათუმში საგასტროლოდ ჩასული ალექსანდრე ყაზბეგის პორტრეტიც გაკრთება. საერთოდ, ამ წიგნში არაერთგზის მოიხსენიებიან დიმიტრი ყიფიანი, გიორგი წერეთელი, გრიგოლ ვოლსკი, ეგნატე ნინოშვილი, აკაკი წერეთელი, ლადო მესხიშვილი და ქართული კულტურისთვის სხვა ძვირფასი სახელები. მწერალი ოსტატურად აღწერს ცარისტულ არმიას ში გაბატონებულ სულისშემძვრელ ატმოსფეროს, რუს ჩინოვნიკთა თვითნებობას, რევოლუციის აზვირთებას საქართველოში, სამედრო სამსახურიდან მის დათხოვნას ეროვნული პოზიციის გამო, თებერვლის რევოლუციას, თავის სამწერლო ბიოგრაფიას და სხვა

მომენტებს, რომელთაც დღეს მწერლის შემოქმედების შესწავლისათვის ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს.

სამწუხაროდ, დავით კლდიაშვილის მემუარები ზედ 1918 წლამდე, დამოუკიდებელი საქართველოს პარმალზე წყდება. მწერალი არც 1921 წლის 15 თებერვალს რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიაზე ამბობს რაიმეს და არც 1924 წლის ეროვნულ აჯანყებაზე. გასაგებია, ამ საკითხებს ხომ ათეული წლების განმავლობაში ნითელ საქართველოში ტაბუ ჰქონდა დადებული.

დავით კლდიაშვილი ქართული პროზის სიამაყეა. მის მიერ დახატული შემოდგომის აზნაურთა იმერეთი განსაცვიფრებელი ფერწერულობით ხასიათდება და მწერლის მარადცოცხალ პერსონაჟთა გალერეა მუდამ იქნება მკითხველის ინტერესის საგანი, რაც შეეხება „სამანიშვილის დედინაცვალს“, „სოლომან მორბელაძეს“ და „დარისპანის გასაჭირს“ – უბრალოდ ლიტერატურულ შედეგრთა შორის ნათობენ.

## შიო არაგვისპირელი (1867–1926)



შიო არაგვისპირელი ქართული კლასიკური ნოველის მამამთავრად ითვლება.

ნოველა ლიტერატურის ერთ-ერთი უძველესი და ურთულესი ჟანრია. იგი ჩამოყალიბდა ადრეულ საუკუნეებში, მაგრამ კლასიკურ სრულყოფას XIX საუკუნეში მიაღწია. XIX საუკუნის დასასრულის და XX საუკუნის დასაწყისის მსოფლიო ნოველისტიკას ამშვენებს ჩეხოვის, მოპასანის, მარკ ტვენის, დავით კლდიაშვილის და სხვათა სახელები.

XIX საუკუნეში ნოველის ჟანტრული სახე ახლებურად ჩამოაყალიბა მოპასანმა და იგი გამოჰყო მოთხრობის ჟანრისაგან.

ნოველა არის ადამიანის ცხოვრების ერთ ეპიზოდზე დაწერილი. მხატვრული თხზულება, რომელიც გამოირჩევა ლაკონიურობით, კომპაქტურობით, სისხარტით და მოულოდნელი სიუჟეტით. ან, უფრო სწორად რომ ვთქვათ, სიუჟეტის მოულოდნელი ფინალით. ნოველის კლასიკურ მაგალითად შეიძლება ჩაითვალოს იოჰანეს ნოველა „მონათესავე სულები“.

შიო არაგვისპირელმა ქართული ნოველის ჟანრულ სისტემაში იმგვარი რეფორმა მოახდინა, როგორც მოპასანმა – ფრანგულ

ლიტერატურაში. მან კლასიკური სახით მოგვცა ქართული ნოველა. სამართლიანობა მოითხოვს აქვე აღინიშნოს, რომ მის ზოგიერთ ნოველაში ყურადღებას იქცევს ნვრილმანთემიანობა, ბანალური, მოსაწყენი სიუჟეტი. სცოდავს შიო არაგვისპირელის მხატვრობაც, ხასიათების გამოკვეთას ყოველ ნოველაში ვერ ახერხებს და ნოველებს ფრაზაზე მუშაობის კვალიც ნაკლებად ეტყობათ. მაგრამ შიო არაგვისპირელის შემოქმედებას ლიტერატურის ისტორიკოსი გვერდს ვერ აუვლის თუნდაც იმის გამო, რომ იგი ერთი ეტაპია მრავალსაუკუნოვანი ქართული ლიტერატურის ისტორიისა.

შიო არაგვისპირელი დაიბადა დუშეთის მაზრაში, სოფელ ქარისხევში 1867 წ. მღვდლის, ზაქარია დედაბრიშვილის ოჯახში. დუშეთის ორკლასიანი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ამთავრებს თბილისის სასულიერო სემინარიას. მერე შედის ვარშავის საბეითლო ინსტიტუტში და ვარშავაში სტუდენტთა რევოლუციურ გამოსვლებში მონაწილეობისათვის (ვარშავაში ქართველმა სტუდენტებმა შექმნეს ფარული ორგანიზაცია „საქართველოს განთავისუფლების ლიგა“) იგი გარიცხეს და დააპატიმრეს კიდევ. მაგრამ ბოლოს მაინც აღადგინეს და 1895 წელს შეძლო ვარშავის საბეითლო ინსტიტუტის დამთავრება. მერე რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილეობა არ მიუღია და მთელი ცხოვრების მანძილზე კეთილსინდისიერად ემსახურებოდა ქვეყანას, როგორც მწერალი და როგორც ექიმი-ბეითალი. გარდაიცვალა 1926 წელს, დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

შიო არაგვისპირელი თავის დღიურებში აღნიშნავდა კიდევ: „ჩემი ნოველების მხატვრული დამუშავებისთვის დრო სად მქონდა. მე პროფესიით მწერალი არ ვიყავი და ნოველებს მხოლოდ თავისუფალ დროს ვწერდი“.

აკაკი წერეთელი წერდა – ახალ მწერლობაში განსაკუთრებით საინტერესოა ბატონი შიო არაგვისპირელი თავისი ფსიქოლოგიური ეტიუდებით, ქართულ ლიტერატურაში მან ლამის სკოლა შექმნაო.

შიო არაგვისპირელის შემოქმედებაში უმთავრესად გამოიყოფა: 1) სოციალური მოტივი ანუ არსებული სინამდვილის კრიტიკა, 2) ადამიანის როლისა და დანიშნულების პრობლემა, 3) სიყვარულის პრობლემა.

მწერლის უპირველესი დანიშნულება ის არის, რომ მან საზოგადოებას მისი გარდაქმნის, ცხოვრების უკეთესად მოწყობის გზები

უჩვენოს. ამიტომაც ყველა ჭეშმარიტი მწერალი წინ უსწრებდა თავის ეპოქას და შეძლებისდაგვარად აკრიტიკებდა გარემომცველ საზოგადოებას. თავის ეპოქით კმაყოფილი მწერალი მეხოტბედ იქცევა და მწერლის ღვთიურ დანიშნულებას ვერ შეასრულებს.

XIX საუკუნის დასასრულს და XX საუკუნის დასაწყისის სოციალურ სინამდვილეს მძაფრად აკრიტიკებს შიო არაგვისპირელი თავისი ნოველებით: „მინა“, „მომილოცნია ახალი წელი“, „ჩემი ბრალი არ არის, ღმერთო“, „ესაა ჩვენი ცხოვრება“...

მეორე მოტივი ეს არის ადამიანის როლისა და დანიშნულების პრობლემა. რა ევალეა ადამიანს? რისთვის არის მონოდებული იგი? ამ ფილოსოფიურ კითხვებს ზოგმა მწერალმა მარტივი პასუხი გასცა. ამ მოტივებს ეხება ნოველები: „შემუსვრილი სამი მცნება“, „გულციობამ“, „გმადლობთ, უფალო, გმადლობთ“...

მესამე მოტივი სიყვარულის მოტივია გაცხადებული ნოველებში „ქარი კი ამ დროს ზუოდა, გმინავდა და კვნესოდა“, „წერილის ნაგლეჯი“, „ხითხითებს და ხითხითებს“, „მხრებილა ავიჩიჩე“, „სულერთია“.

აღსანიშნავია მწერლის ორი რომანი: „გაბზარული გული“ და „გიული“.

მეურმეებმა ახალი წლის წინადღით თბილისში შეშა გაჰყიდეს, ურმებში ხარები შეაბეს, „თითო ტაქანი არაყი“ გადაჰკრეს და სოფლისკენ გამოსწიეს იმ იმედით, რომ იქნებ ალიონზე ჩაეღწიათ და მეკვლეებიც თვით ყოფილიყვნენ. შუალამე გადასული იყო, როდესაც ნარეკვავის თავდაღმართზე მეურმეთა ქარავანს შეიარაღებული ჩაფრების თანხლებით მომავალი ეტლი წამოენია. ჩაფრები დანიშნაურდნენ, ცხენდაცხენ მიცვივდნენ ურმებს და მძინარე მეურმეებს მათრახის ცემა აუტეხეს, აქაოდა, რა შუაგზაზე მიდიხართ და წინ გველობებითო: ეტლმა რომ გაიგრიალა, მეურმეებმა ხრამში გადაყირავებული ურემი შენიშნეს, იქვე „კამეჩებთან ახლო, გულაღმა გამხლართული, საფეთქელგახეთქილი სიმნო დაინახეს“.

სიმნოს საცოდაობით კრიჭაშეკრული მეურმეები დაღვრემილნი დასცქეროდნენ ცხედარს.

„მთვარე კი გულგრილად, შეუბრალებლად დასცქერის ზემოდგან და თითქოს ეუბნება: – „აი, თქვე საცოდავებო, თქვენა... რა ჩაგიკიდნიათ თავები და ჩამოგტირით ცხვირპირი?! მაგ ერთი მლილისათვის თქვენ მაგრე იქრუმებით და ინუხებთ თავებს, მამ,

მე რაღა უნდა ვქნა, როდესაც ჩემს თვალწინ უსამართლოდ დახოცილის ხალხის სისხლის მორევები დგება, როდესაც მრავალი ერი სხვის ხელში უსამართლოდ ილუპება და ანთხევს სისხლს?!“ – ასე ამთავრებს ავტორი მოთხრობას „ესა ჩვენი ცხოვრება“ და ამ ამონარიდშიც, მე მგონი საცნაური ხდება შიო არაგვისპირელის დამოკიდებულება თავისი ეპოქის სინამდვილისადმი.

სარდაფში, ჩულის ნაგლეჯებსა და ძონძებს შორის მიგდებული შიმშილ-სიცივისაგან ღონემიხდილი დედაბერი სიკვდილს ნატრობს. იმედდაკარგული მოხუცი ამ ახალი წლის ღამეს ღმერთსაც შეჰკადრებს აუგს. ღმერთს, რომელმაც ერთხელაც არ გადმოხედა მოწყალის თვალთ. „ჩემი წარსული ცოდვად მიგაჩნია და იმისთვის მსჯი? მერე მე ვარ დამნაშავე? უმანკო, გამოუცდელ თექვსმეტ-ჩვიდმეტი წლის უთვისტომო ქალს რა უნდა მომეგვარებინა? ყველას ენდობი, ყოველივე სიმათლედ მიგაჩნია, მაგრამ, თურმე ნუ იტყვი, ყოველივე შხამი ყოფილა და მათი მიკარება ადამიანს უწყალოდ სწამლავს: ჩემი გულწრფელი გრძნობა... უსინდისოდ შემილახეს და იქამდე მიმიყვანეს, რომ ჩემ ხორცს ყიდვა დავუწყე... აჰა, ორმოცდაათი წლის დედაკაცი რასა ვგავარ...“

ამ სავალალო აღსარების შემდეგ მოხუცი შურისძიების გრძნობამ აიტაცა. „გიჟივით ეზოში გავარდა და საჩქაროდ ნავთი მისახმოასხა იმ კარებთან და ფანჯრებთან, საიდანაც მხიარულების ხმაურობა მოისმოდა. სულ არ გასულა რამდენიმე წუთი, რომ ცეცხლი გაჩაღდა და მთელი ეზო გაასინათა.

სახლში უეცრივ როიალის გრიალი და ხმაური შეწყდა. ყველანი გაელვარებულ ფანჯრებს მოაწყდნენ და გულგახეთქილებმა ყვირილი მორთეს.

– ხა, ხა, ხა, მომილოცნია ახალი წელი!

ხარხართ შესძახა ამ დროს დედაბერმა სარკმლიდან და გაძლიერებულ ცეცხლს შეუერთდა („**მომილოცნია ახალი წელი**“).

სოციალური უმწეობის შემადრწუნებელ სურათს გვიხატავს შიო არაგვისპირელი ნოველაში „მამას მიწა მივაყალღეთ“, სოფელში ხოლერა მძვინვარებს. მართიკოს ქმარი გარდაეცვალა, მაგრამ სოსიკოს ცხედარს მარტოკა ასაფლავებს. ცოცხალნი ღრიჭობიდან გამოსცქერიან სხვათა უბედურებას და ახლოს მოსვლას ვერ ბედავენ, ვერაგი სენი არ შეგვეყაროსო.

მესაფლავებმა ნახევრად ამოავსეს საფლავი და გაეცალნენ. მართიკოს თხოვნაზე, ქმარს დაუმარხავს ნუ დამიტოვებთო, მე-

საფლავენი პასუხობენ: „დავიღალენით, შე დალოცვილიშვილო, ასე გგონია, ალალობა იყოს. ჩვენც ადამიანიშვილები ვართ. დღეს ეს მესამე საფლავი გაგვითხრია და მესამე მიცვალებული გაგვითხრია“.

სხვა გზა არ არის. მართიკო და მისი ოთხი წლის გოგო, სოფიკო, ტირილით აყრიან მიწას ქმარს და მამას, მაგრამ უბედურება ამით არ მთავრდება. „შუალამისას მართიკოსაც აუვარდა პირსაქმება და მუცლის წვა“.

დათუა შრომიშვილს სამი თუმანი ემართა სოფლის წურბელა ისაკა ჭამიაშვილისა, მაგრამ ისაკამ ყალბი მონმეები დაიქირავა და სამთუმნიანი თამასუქი სამოც თუმნად აქცია. მოსყიდულმა მოსამართლემ კი, რაკილა დათუას „ვალის“ გადასახდელი სახსარი არ გააჩნდა, მარჩენალი ვენახი ჩამოართვა მიუსაფარ გლესს და ისაკას გადასცა. დათუამ შურისძიება გადაწყვიტა, მაგრამ სანამ განზრახვას აასრულებდა, ღმერთს პატიება შესთხოვა სიტყვებით – „ჩემი ბრალი არ არის, ღმერთო“. მერე თოფი მხარზე გაიდო და ისაკას სახლისკენ გასწია.

ისაკას აივანზე ქეიფია.

„ – ისაკა! – სახლის კარგა მოშორებით დაუძახა ვილაცამ ისაკას... ისაკა სავსე ჭიქით ხელში წამოდგა და დაიძახა:

– ვინ არის?!

– აბა, ცოტა ხანს ეგრე გაჩერდი!

– ვინა ხარ?

თოფის გრიალმა ისაკას სიტყვა გააწყვეტინა („**ჩემი ბრალი არ არის, ღმერთო**“).

ყოფით თემაზე დაწერილი შესანიშნავი ფსიქოლოგიური ეტიუდია „**ადე, ჩამოვიდა**“. გოგიას წისქვილი კარგახანია სდუმს. ქვეყანა შიმშილობს. მენისქვილეს შიმშილისაგან კუჭი უხმება. უეცრად, თითქოს ღმერთმა გოგიას ვედრება შეისმინაო, კარი შემოაღო, გეგემ საფქვავით მხარზე. „აბა, შენი ჭირიმე, გოგი, დროით დააბრუნე, თორემ შინ სახლობა სიმშლით მიწვის!“ – უთხრა გეგემ მენისქვილეს და ბუხართან მიწვა. გოგიამ ხორბალი ხვიმირში რომ ჩასცალა და მთვლემარე გეგეს გადახედა, ავმა ფიქრმა გაუელვა. იქნებ ერთი თეფში ფქვილი მოვიპაროო. მერე მოპარვა გადაიფიქრა და ახლა უფრო საშინელი განზრახვა აეკვიატა; მოეკლა გეგე და ფქვილი მთლიანად მას დარჩენოდა. ის იყო წამოავლო ნაჯახს ხელი, რომ იდუმალმა ხმამ ჩასჩურჩულა ყურში: „აბა, შენი

ჭირიმე, გოგი, დროით დააბრუნე, თორემ შინ სახლობა სიმშლით მინივის“.

ამ ხმაზე გოგიას მკლავი მოუდუნდა და ნაჯახის მაგივრად ფეხი ოდნავ წაჭკრა თავში.

– ადე, ჩამოვიდა! – ფეხის წაკვრასთან ერთად აღელვებული ხმით დასძახა ზევიდან და საჩქაროდ გარეთ გავარდა.

სოფლიდან ქალაქში სამუშაოს საძებნელად ჩამოსული გიგლა ასეთ სურათს შეესწრო. მეჯაგვე თავის ცხენს გამეტებით სცემდა. საცოდავი პირუტყვი ცდილობდა, მაგრამ „ტაჭკა“ ადგილიდან ვერ დაეძრა. ამასობაში ტრამვაიდან მსუქანი კაცი ჩამოხტა. მეჯაგეს ყელში წვდა ასე რატომ სტანჯავ ცხოველსო. რა კეთილი კაცი ყოფილაო, დაასკვნა გიგლამ და „ცხოველთა მფარველს“ თავისი გასაჭირი შესჩივლა, მაგრამ ცხენის მიმართ მლმობელი გულის პატრონი, კაცის მიმართ გულცივი აღმოჩნდა, ჩაიარეო, დაუგდო გიგლას და ზურგი შეაქცია.

დილით თბილისისკენ მიმავალმა ბაყალმა მეხდაცემული ხის ქვეშ მკვდარი გიგლა იპოვა. „ – ვა, რა ზიზლით მიცქერის?“ წამოიძახა ბაყალმა კანკალით და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, თბილისისკენ გაჰკურცხლა“ („რა ზიზლით მიცქერის?!“).

დამპყრობელი რუსი აბუჩად იგდებდა საქართველოს ეთნიკურ თავისებურებებს. მისთვის გაუგებარი იყო პატარა ერის შვილის საოცარი სიყვარული მშობელი ქვეყნის მიმართ და ყველაფერი, რაც მისი პირუტყვი ფსიქიკისთვის უცხო იყო, სინდრომიანი ხალხის გულუბრყვილო ახირებად მიაჩნდა.

ჭლექით დაავადებულმა ბერამ, რომელსაც ციმბირში გადასახლება მიუსაჯეს, თან ცხვირსახოცში გამოკრული თავისი სოფლის მინა წაიღო. იქიდან ცოცხალი ველარ დავბრუნდები და სიკვდილის წინ გულზე დავიყრიო. ჩხრეკის დროს სწორედ ეს მინა უპოვეს ავადმყოფ ტუსალს და მიუხედავად ბერას ვედრებისა, უფროსმა უბრძანა, ახლავე გადაეყარა. ბერამ მინის გადაყრაზე უარი განაცხადა. ზედამხედველმა ურჩი ტუსალის გაროზგვა ბრძანა. ბერამ გაროზგვას ვერ გაუძლო, მაგრამ სიკვდილის წინ მისმა მეგობარმა, გიორგიმ სურვილი მაინც შეუსრულა და მომაკვდავს მშობლიური მინა მკერდზე მოაბნია („მინაა“).

უაღრესად თავისებურია სიყვარულის მოტივი შიო არაგვისპირელის შემოქმედებაში. იგი რამდენადმე შორდება სიყვარულის კლასიკურ გაგებას, ესოდენ ტრადიციულს ქართული ლიტერა-

ტურისათვის, და, შეიძლება ითქვას, ზოგჯერ არა თუ წინ უსწრებს კლასიკური (ერთჯერადი) სიყვარულის „მსხვერვის“ ეგზისტენციონალისტურ პრინციპებს, არამედ ზოგჯერ სიყვარულის აბსურდულობის ფროიდისტულ შეხედულებამდე მიდის, თუმცა სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ შიო არაგვისპირელი ადამიანის ამ უმაღლესი, გამაკეთილშობილებელი გრძნობისადმი დამოკიდებულებაში თანამიმდევრული როდი გახლავთ. სიყვარულის უარმყოფელი ნოველების გვერდით უნდა მოვიხსენიოთ ამავე თემაზე შექმნილი ორი რომანი „გიული“ და „გაბზარული გული“, სადაც სწორედ რომ სიყვარულის უკვდავებას და ერთგული ტრფიალების სიძლიერეს ასხამს ხოტბას მწერალი.

ჯერ სიყვარულის გრძნობის ეჭვის სასწორზე შემგდებ ნოველებს ჩავხედოთ.

კანცელარიის პატარა მოხელეს, ყველასაგან დაბრიყვებულ და აბუჩად აგდებულ ტიტკოს სწორედ მაშინ ეწვია „დიდი სიყვარული“, როცა ილაჯგანყვეტილ-იმედგადაწურული თავის დასახრჩობად მტკვრისკენ გარბოდა: მეზობლის მოსამსახურე გოგომ – ბათომ იგი სიკვდილს გადაარჩინა და არამარტო გადაარჩინა, ცოლობაზეც კი დასთანხმდა. ახალშეუღლებულებმა ქალაქის განაპირას ოთახი დაიქირავეს და ორი წლის განმავლობაში სამაგალითო, მოყვარული ცოლ-ქმრის ცხოვრებით ცხოვრობდნენ. ყოველ შემთხვევაში, გარეგნულად ასე ჩანდა. ერთ უბედურ დღეს ბათო ფილტვების ანთებით დაავადდა და გარდაიცვალა. მწარე მოთქმით დასტიროდა ტიტკო საყვარელი მეუღლის ცხედარს, მაგრამ წუთისოფელმა ეს სამსალაც არ აკმარა. სალამოხანს ვილაცამ ბათოს სახელზე წერილი მოიტანა. საერთოდ, ტიტკო მეუღლის წერილებს არ კითხულობდა, მაგრამ რაკილა ადრესატი ცოცხალი აღარ იყო, გაშალა და ხმამაღლა კითხვა დაიწყო. პირველივე სტრიქონებიდან პირკატა ეცა, – წერილში ეწერა: „ჩემო ბათო. მინდა ყოველ დღეს შენს გვერდით ვიყო. ყოველ წამს შენ გეხვეოდე და შენს მკერდზე ამომდიოდეს სული და შენ კი კვირაში ორი დღე დამინიშნე...“

ხომ იცი, ჩემო კარგო, ამ თვის გასულს სოფელში წავალ, სადაც ორი თვე მომიგვიანდება და მაშინ მარტო შენი წერილობითა უნდა დავსტკბე. არა, ჩემო ბათო, სანამ აქა ვარ, დამატკბე შენის ალერსით. წარსულ კვირას რა კარგი დრო გავატარეთ, ხომ გახსოვს?

ხვალ უსათუოდ მოგელი...

შენი ვახტანგი“.

ტიტიკოს მდგომარეობაში მყოფი კაციც იოლად მიხვდებოდა, რომ ბარათი საყვარლისგან იყო მოწერილი და მისი შინაარსიდან ისიც აშკარა ხდებოდა, რომ ბათო, რომელიც მეუღლეს უმანკო სიყვარულის მატარებელი ეგონა, ორი წლის მანძილზე სისტემატურად ღალატობდა მას, რომ იტყვიან, თავზე რქებს ადგამდა.

შეურაცხყოფილმა ქმარმა ვერ გაუძლო ამ ორმაგ უბედურებას.

„დაჭიმული ძარღვები მოუდუნდა, მოელეშა, ღრმად, ძალიან ღრმად ჩაისუნთქ-ამოისუნთქა და ჩულივით იქვე, ტახტის გვერდით ჩაეხვია, თითქოს ამოსუნთქვას ამოაყოლო ყოველივე ის, რაც კი წმინდათაწმინდას შეადგენდა, რაც რწმენა ჰქონდა და სააქაოსთან აკავშირებდა“ („ქარი კი იმ დროს ზუოდა, კვნესოდა და გმინავდა“).

ლამის გაცივდეს სიყვარულისადმი ადამიანთა რომანტიკული, ტრადიციული დამოკიდებულება. წმინდა სიყვარული აღარ არსებობს. იგი მხოლოდ პოეტური თავის მოტყუებაა და კლასიკოსთა ნაწერებშია დარჩა. რეალურობა კი ყოველ ფეხის ნაბიჯზე გვთავაზობს ღალატს, თვალთმაქცობას, ორპირობას... ამ „სასიყვარულო კრედოს“ შიო არაგვისპირელი უფრო აღრმავებს ნოველაში „**სითხითებს და სითხითებს**“.

თავად ქაიხოსრო მახათელის მეუღლემ, ანამ, თავისი საყვარელი, მიტრო, სოფლად სამეჯლისოდ მიიწვია. როცა შეყვარებულები განაპირდნენ. მიტრომ (როგორც მოსალოდნელი იყო) ხელი მოჭვია ნანდაურს და ტუჩებზე დაეკონა, მაგრამ „– მხეცო! – მრისხანედ წამოიძახა ანამ, როდესაც თრთოლივთ შევახე ტუჩები იმის ტუჩებს, და ერთი ისეთი სილა გამიშალა, რომ თვალთაგან ნაპერწკლები გადმომცვივდა“.

შეცბუნებულ-შერცხვენილი მიტრო იმ დღესვე გამოიპარა ამ „არასტუმართმოყვარე“ სასახლიდან და ვერაფრით აეხსნა, რატომ ჩაიდინა ანამ ასეთი რამ. სხვა არა იყოს რა, ხომ თვით ანამ გამოუცხადა სიყვარული და მიიპატიჟა შინ. მალე მიტრომ ანას წერილი მიიღო და მისთვის ყველაფერი ნათელი გახდა. ჩემო მიტრო – წერდა ანა – უთუოდ მიწყრები, რომ ისე კადნიერად მოგეპყარ. ჩემი ბრალი არ იყო... ეს კი იცოდე, ყველაფერი შენის გულისთვის ჩავიღინე...

შენ რომ შეგხვდი მთისკენ მიმავალ ბილიკთან და ლაპარაკი დამიწყე. ხომ გახსოვს, უეცრად როგორ სახე შემეცვალა? აი, სწორედ მაშინ შევნიშნე, რომ ქაიხოსრო მოიპარებოდა ჩვენსკენ და ჩუმად ხეს ამოეფარა. საშინლად მენწყინა, ავირიე, მაგრამ იმევე დროს უეცრად გამიელვა აზრმა, რომ იმისთვის თვალეები ამეხვია და იჭვნიულობა მომეშორებინა...

საუცხოოდ დაბოლოვდა განზრახვა. ვერ წარმოიდგენ ხელფეხს რანაირად მიკოცნიდა, როდესაც შენ ფეხაკრეფით გაიპარე და მე კიდევ განგებ ისევ ვეკითხებდი...

ახლა, ჩემო კარგო, ქაიხოსრო ისეა დარწმუნებული, რომ ერთ საბან ქვეშაც რომ გვნახოს, სიამოვნებით გაიცინებს და სრულებით ეჭვს არ შემოიტანს ჩემზე.

ასე არა სჯობია?“

მოთხრობით „**მხრებილა ავიჩეჩე**“ კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი შიო არაგვისპირელმა წმინდა სიყვარულის დეფიციტს.

მოქმედება ქუთაისში ხდება.

გაიოზმა ორ თვეში უნდა იქორწინოს. საცოლვე სათნო და ლამაზი გულჩინაა. რაც უფრო ახლოვდება ჯვრისწერის დრო, გაიოზს მით უფრო იპყრობს ეჭვი; არის კი გულჩინა გულწრფელი? მართლა უყვარს მას გაიოზი თუ თვალთმაქცობს? სასიძო რამდენიმე დღით თბილისში ჩავიდა. მალე თბილისში გულჩინას წერილი მიიღო.

„ჩემი გონებიდან განუშორებლო პოლიევკტ“ – წერდა გულჩინა. წერილში გასათხოვარი ქალი სამუდამო ერთგულებას ეფიცებოდა ვილაც პოლიევკტს და აშკარად დასცინოდა თავის საქმროს – გაიოზს... ჩემი ტეტია ისევ ისე ბურტყუნებს, იჩმუნება საცოდავად, მაგრამ რას იზამს? ისე მყავს გაბმული, რომ თავს ვერ დაიხსნის...

აშკარა იყო, ქალს კონვერტები შეშლოდა და საყვარლისთვის გასაგზავნი წერილი საქმროსთვის გამოეგზავნა.

გაიოზს თვალეები აეხილა, რასაკვირველია, მან ერთხელ და სამუდამოდ უარი თქვა გულჩინას შერთვაზე, წერილი თავისსავე კონვერტში ჩადო და უკანვე გაუგზავნა წარწერით: „ეს წერილი შეცდომით ჩემთან გამოგიგზავნია, მე გაუგზავნიდი პოლიევკტს, მაგრამ სჯობია, შენვე გაუგზავნო... გაიოზი“.

ეს სიუჟეტი ჩვეულებრივ მელოდრამად დარჩებოდა, მოთხრობის ლირიკული გმირის ასეთი რეზიუმე ხომ არ ახლდეს: ...ბედნიერები არიან იმით, ხომ სტყუვდებიან და ჰგონიან, მარტო ჰგო-

ნიათ. იმათ გულში რომ ჩაიხედო, ხომ შეგეშინდება. ხომ დაინახავ იმათ ცბიერებას... მარტო ეთილისმებთან ერთმანეთს, სხვა არაფერი... ორნი ერთ არსებად აღარ არიან. ეს კი ყოველ წუთს, ყოველ წამს ხდება. კაცი თუ ქალი ორნივე ღალატობენ. საქმით თუ არა, განზრახვით მაინც. განზრახვით ღალატი და საქმით ორივე ერთია... იქ ერთობას ადგილი არა აქვს, არა, არა! კაცი მარტოდ იბადება და მარტოობა, ეულობა სიკვდილამდის თანა სდევს... არ ვიცი, მოქმედებდა როდესამე ადამიანი გულწრფელად; არ ვიცი, ახლა კი, ჩვენს დროს, არა, არ მოქმედებს... („მხრებილა ავიჩიე“).

ასეთივე განწყობილებითაა გამსჭვალული ეტიუდი „წერილის ნაგლეჯი“. ავტორი უფრო შორს მიიწევს ჭეშმარიტი სიყვარულის უარყოფის გზაზე. „აგერ ერთი წელიწადია, რაც სიყვარული გამოგიცხადე და ქმრობის პირობა მოგეცე, წერს საქმრო საცოლეს – მაგრამ მხოლოდ მაშინ ხარ ჩემი ყველა, როდესაც გხედავ ან მაგონდები. როდესაც კი შენს მაგივრად სხვასა ვხედავ... მაშინ მაპატივე, ჩემო კარგო, შენდამი სიყვარული აღარ არსებობს... შენ იმასთან არ მახსოვხარ და მივიწყებული მყევხარ, როგორც შარშანდელი თოვლი... რაც ბევრს ვცდილობ გამორკვევას, უფრო გამოურკვეველად მრჩება და ჩემთვის გაუგებრად რჩება ის იდეალური სიყვარული, რომელსაც პოეტები გვიხატავენ. მე მგონია, იმათი ოცნების ნაყოფია ეს სიყვარული და ცხოვრებასთან არავითარი კავშირი არა აქვს“ („წერილის ნაგლეჯი“).

სიყვარულის მარადიულობის ეჭვის წნეხში გატარების ამ ფონზე შიო არაგვისპირელისთვის უჩვეულოდ მოჩანს ამაღლებული სიყვარულის ტრაგედიაზე დაწერილი რომანი „გიული“.

რომანის სიუჟეტი ასეთი გახლავთ.

თათარ ალიას მეუღლე, ხაჯი, გარდაეცვალა. სამოცდათექვსმეტი წლის ალიამ არც აცია, არც აცხელა და მორიგ ცოლად ქუჩუკოლლის ქალიშვილი, გიული, დაისვა. ალია თვალს არ ამორებს თავის ახალ მეუღლეს: ჯერ ერთი იმიტომ, რომ ძალიან ღამაზია და მეორეც, გიული ერთობ ძვირი დაუჯდა. ქალის საფასურად მამამისს ოცდაათი ძროხა და ხუთასი ცხვარი გადაუხადა. ახალგაზრდა დედინაცვალს ალიას შვილები აითვალწუნებენ, არც ალიას სხვა ცოლებს ეხატებათ გულზე სარეცლის გამყოფი. მერე მოვლენები დრამატულად განვითარდა. გიულის და ალიას ქართველ მოსამსახურეს, მიტრუას, ერთმანეთი შეუყვარდათ. სიყვარული ისე ძლიერი აღმოჩნდა, რომ მიტრუამ გიული „მოიტაცა“

და შორს კლდეთა შორის სენაკში გადაამალა. ეს ამბავი მიტრუამ თავის ძმადნაფიცს – ალიას ვაჟს, ქერბალაის გაანდო, ქერბალაი თავიდან თანაუგრძნობდა მიტრუას, მაგრამ ბოლოს უღალატა. ისარგებლა მიტრუას ქალაქში ყოფნით, ღამით მიეჭრა გიულის და ჯერ მოტყუებით (მიტრუა ვარო), მერე კი ცხადად სცადა ქალს დაუფლებოდა. გიული არ დაემორჩილა ვნებაშლილ გერს, დაუსხლტა ხელიდან, მაგრამ სიბნელეში კლდის ქიმს შუბლით მიენარცხა და დაიღუპა. ძმადნაფიცის მოღალატე ქერბალაი მიხვდა შეცდომას და ხანჯლით გაიპო გიული. ალიონზე სენაკთან მისული მიტრუა შუბლგაჩეხილ გიულის ცხედარს წააწყდა. იქვე სისხლიანი ხანჯალი და ქერბალაის გაცივებული გვამი ეგდო.

სიყვარულის უკვდავების ალეგორიული ჰიმნია შიო არაგვისპირელის შვიდკარიანი რომანი „გაბზარული გული“.

სიქველთა და სიმდიდრით განთქმულ თავად კაციას უღამაზესი ასული ჰყავდა – სახელად ეთერი. ეთერი მისი ხელის თხოვნის მსურველთ რამდენიმე შეკითხვას დაუსვამდა და მეყვსეულად უარით ისტუმრებდა. განსაკუთრებით სძულდა ისინი, ვინც მუხლს იდრეკდა ასულის წინაშე და სამუდამო ყმობას სთავაზობდა: „მძულს მონა! – ცივად უპასუხებდა და გატრიალდებოდა“.

ეთერის კოშკის წინ ოქრომჭედლის საამქროში შეგირდად მახარე მუშაობდა. ერთ ღამეს ახალგაზრდა ოქრომჭედელს ეთერის სიმღერა მოესმა და მოსვენება სამუდამოდ დაკარგა. გადანწყობა, ლითონში მოექცია ეთერის გრძნეული ხმა. ფიქრობდა: „თუ ეთერის ხმა დავისაკუთრე, თვითონ ველარსად წამივო“.

დიდხანს იწვალა ოსტატმა, მერე მიხვდა: „ლითონმაც რომ ისეთი ხმა გამოიღოს, როგორც ადამიანს აქვს, ადამიანის გაღებულ ბაგის სახე უნდა მისცეს და შიგ ენასავით ლითონივე უნდა დასრიალებდეს“.

ბოლოს მახარემ ამოხსნა უძნელესი საიდუმლო. ეთერის ხმა ლითონში ჩასვა-ჩაღვარა, მაგრამ სანუკვარ მიზანს მაინც ვერ ეწია. ხელოვნების უკვდავი ნიმუში შექმნა, მაგრამ გული ვერ ჩაუდგა ქმნილებას. ცხოვრებამ განზე ჩაუარა. საოქრომჭედლოდან „მეორე ეთერის“ ხმა მოესმა ნამდვილ ეთერს. ხელოვანის ჯილდოდ ის მიიჩნიეს, რომ თავის ქმნილებაში ფული შეაძლიეს: „ბატონო, ეს მხოლოდ ჩემთვის გავაკეთე. ხმა ისეთი მომხიბლავი იყო, რომ მინდოდა მაშინვე გამომემწყვდია რაშიმე, რომ მუდამ ჩემთან ყოფილიყო. და აი, მოვახერხე ეს. ახლა კი შენ მეუბნები

მომეციო. მერე მე რაღა დამრჩება? შენ შენი ქალი გყავს თავის ხმით. მე კი მხოლოდ შენი ქალის ხმის მსგავსი ხმა“.

ხელოვანის ბედის დრამატიზმი მახარესაც სწვდა. სიყვარულში მარეხი უფრო თანმიმდევრული აღმოჩნდა, ვიდრე მახარეს სიყვარულის ციური კერპი – ეთერი, ეთერი, ვისი ხმის გრძნეულ ლითონში განსხეულებას მახარემ ლამის სიცოცხლე შესწირა.

რა არის ადამიანის დანიშნულება, რისთვისაა იგი მოწოდებული ამ ქვეყნად, რისთვის მოვედით და სად მივდივართ? ამ საკაცობრიო კითხვებს შიო არაგვისპირელიც ჩაღრმავებია თავის ნოველებში და თავისებურად გაპასუხებია კიდევ.

ადამიანის არსისა და ცხოვრების მიზნის პრობლემას ეხება ნოველა „შემუსვრილი სამი მცნება“.

სეფისწულმა ნადირობის დროს სასიკვდილოდ დაჭრა ვეფხვი. როდესაც მომაკვდავ ნადირს მიეახლა და ცხენიდან ჩამოხტა, კაკუნი მოესმა, ხმას გაჰყვა და თვალი ჰკიდა თმაგანწილ კაცს ხეს რომ ქვას ურტყამდა.

„ – გამიგონე – დაეკითხა სეფისწული; თუმცა კი სახის გამომეტყველებაზე შეატყო უცნობ კაცს შეშლილობა – ვინა ხარ?

– ადამიანი! – იყო პასუხი შეშლილისა.

– სულელო, ადამიანის რა გაქვს? – ღიმილით შეეკითხა სეფისწული.

– სისულელე – ღრეჭით უპასუხა შეშლილმა“.

ამ პასუხმა გააკვირვა და დაალონა სეფისწული. ნუთუ სისულელეც სრულიად ჩვეულებრივი თვისებაა ადამიანისა? მაშ, სად არის ზღვარი სიბრძნესა და სიგიჟეს შორის? და საერთოდ, რისთვის გავჩნდით ამ ქვეყნად?

მიდის სეფისწული ლაქმან მეფის ასულის მზისადარის სათხოვნელად და ფიქრობს: „შეუძლებელია, ადამიანი ცხოვრობდეს და არ იცოდეს, რას წარმოადგენს... ჯერ ეს უნდა შევიგნო და შემდგომ მზისადარიც იქნება და მეფობაც. მანამდის კი არცერთი“.

ცნობისმოყვარეობა სიყვარულსა და სამეფო სკიპტრაზე უფრო ძლიერი აღმოჩნდა, სეფისწული მხლებლებს გაეპარა და ჭეშმარიტების საძიებლად გაეშურა.

ამის შემდეგ ბევრი წელი გავიდა.

ულამაზესი ასული ტყეში მკერდზე ქვისფირფიტაჩამოკიდებულ თეთრწვერა ბერიკაცს წაანყდა.

როდესაც ასულმა ვინაობა ჰკითხა, მოხუცმა მიუგო, რომ ამ ქვეყნის სეფისწული იყო.

გაირკვა, რომ ასულისთვის დედამისს ეამბნა ამ ოცდაათი წლის წინათ ულამაზესი და უმამაცესი სეფისწულის გაუჩინარების ამბავი.

ჭეშმარიტება-ცხოვრების აზრი, რომელსაც სეფისწულმა ოცდაათწლოვანი ხეტიალის შემდეგ მიაღწია, მის მკერდზე დაკიდებულ ფირფიტაზე წერია:

„წურასოდეს დაეკითხები შენს თავს, რა არის ადამიანი“.

„ყოველგვარ მოვლენას შენს ცხოვრებაში გულგრილად შეხვდი“.

„ეცადე, ცხოვრება სიამოვნებით გაატარო“.

ლირიკული გმირი სიზმარს ხედავს, თითქოს ეკლესიის შესასვლელთან დგას და შენდობის სათხოვნელად მოსულ მრევლს ათვალიერებს.

აგერ პატიების სათხოვნელად მოსულა შეცდენილი ქალი, რომელმაც „ბავშვს დასრულება არ დააცალა, ძალად დაჰბადა და წყალში გადააგდო“.

აგერ ყავარჯნით მოდის დედაბერი, იგი სათნოების ნიღბით მიდის საკურთხეველთან“, არადა, მთელი სიცოცხლის მანძილზე უკუღმართ საქმეებს სჩადიოდა.

ღმერთს შენდობას სთხოვს ქალი, რომელმაც ქმარი ერთი თვით გაისტუმრა და საყვარელთან მიეჩქარება.

ხელჩაჭიდებულნი მოდიან მიჯნურნი, რომლებსაც მხოლოდ მაშინ ახსოვთ ერთმანეთი, როცა ერთად არიან.

აგერ „მამულიშვილი“ მოაბიჯებს. იქნებ ის მაინც იყოს წრფელი გრძნობისა და პატიოსანი სულის პატრონი? არამც და არამც.

„ახ, რა დიდის ამბით, რა გრძნობით ახსენებენ ხოლმე წმინდა სამშობლოს, ღმერთო, ნუთუ შესაძლებელი ყოფილა მაგრე ხელოვნურად თვალები აუხვიოს საზოგადოებას და დაჰფაროს ადამიანმა ნამდვილი მოძრაობა გულისა?“

ქალიშვილი შეძრწუნებულია. ეკლესიაში თვალთმაქცთა, მოღალატეთა და ორპირთა ლაშქარი შედის.

„უფალო... უფალო, ნუთუ აღარავინ დარჩა? ერთი, ერთი ადამიანი მაინც ვნახო, რომელიც გულწრფელად მოქმედებდეს, ღმერთო!“

როცა გამოიღვიძა, „სიხარულის ცრემლის ფრქვევით წამოიჩოქა ლოგინში“ და ჩაილაპარაკა: „გმადლობთ, უფალო, გმადლობთ!“



გააოცა ქალიშვილი ღვთის უკიდევანო მიმტევებლობამ და იმ გარემოებამაც, რომ მხოლოდ სიზმარში იყო გულთამხილავი და არა ცხადში („გმადლობთ, უფალო, გმადლობთ“).

ბებრის ციხესთან კლდეზე ზის გაბრო და ავფიქრებმოდებულ ბული არაგვს ჩასცქერის. გაბროს გონება წუთისოფლის ამაოებაზე ფიქრს შეუპყრია: „ღმერთო, წყვდიადში ხეტიალი, ხელების ფათური როდემდის უნდა გაგრძელდეს? ან კი რად უნდა აფათურო ხელი, რას ელტვი, ვისთვის ან რისთვის სცხოვრობ?“

– ვისთვის და საზოგადოებისთვის – პასუხობს იდუმალი ხმა.

– ეგ ტყუილია... – ეკამათება გაბრო შინაგან ხმას – ბუნებამ გამზარდა, ხოლო საზოგადოებამ წამართვა ის, რაც ბუნებამ მომანიჭა. ან კიდევ, თუ არ წამართვა, დამიმახინჯა, გამირყვნა და შემიღახა. თავის წევრის ფეხის დამჭირებელი საზოგადოება მოდის... საზოგადოება მსხვერპლს გთხოვს, ძალას გატანს, შენ კი დანა ყელთან რომ გქონდეს მიტანილი, ხელს გამოგინჯდის საშველად?... თვით მონა, ყურმოჭრილი მონა ძლიერისა ცდილობს დაგიმონავოს, გაგანადგუროს, სისხლი გაგიშროს, და ამ საზოგადოებისთვის მიიჩვევს კიდევ ვიცოცხლო, ვალი გადავუხადო?... აი, მაგ გულცივობამ გამიტეხა გული, გულცივობამ...”

ამ აბურდულ ფიქრებს გაბროს თვითმკვლელობა მოჰყვა. წუთისოფლის ამაოებაში დარწმუნებულმა, არაგვის ტალღებს მისცა თავი („გულცივობამ“).

იმედის გაცრუება, ოცნებათა მსხვერვა, ცხოვრების აზრის უარყოფა გამოსჭვივის ნოველიდან „ადამიანი“.

ჰყინავს. სტუდენტი თედო გელდიაშვილი ჭლექით დასნებოვნებულა, სისხლს ახველებს. მისი ამხანაგი გაბრო აბურაშვილი ლუკმა პურის საშოვნელად წასულა. მალე თედოს ღარიბულ ოთახში სტუდენტები შეიკრიბნენ და პალტოს დაგირავებით მიღებული ორიოდ გროშით ნაყიდ არაყს შეექცევინან.

„მეგობრებო – ამბობს თედო – ჩვენ ახლა გალიაში ახლადგამომწყვდეულ ლომს ვემსგავსებით, რომელიც ხან ერთ კლდეს ეცემა და ხან მეორეს, უნდა გასვლა, მაგრამ ვერ გაუნგრევია მისი კედლები... არა გვაქვს გამორკვეული საგანი ცხოვრებისა, იდეალი – ჩვენი წინაპრების სასურველ-სატრფიალო უარყავით, ის აღარ გვაკმაყოფილებს, ახალი კი ჯერ არა შეგვიქმნია რა...”

ეს უკანასკნელი ტრაპეზი გამოდგა თედოსთვის. იმ ღამეს ძლიერი სისხლდენა აუტყდა და ორიოდ დღის შემდეგ საავად-

მყოფოში გარდაიცვალა. წავიდა ადამიანი, დიდი იმედით მოსული ახალგაზრდა კაცი გაქრა უკვალოდ, მიზანმიუღწევლად... („ადამიანი“).

ასეთი, ზოგჯერ ზედმეტად სენტიმენტალური, მაგრამ საოცრად მართალი და შთამბეჭდავი სახე-პასაჟებით ხასიათდება შიო არაგვისპირელის შემოქმედება.

მართალია, შიო არაგვისპირელის ფსიქოლოგიურ ეტიუდებს ზოგჯერ გულუბრყვილობის ელფერი დაჰკრავს, არც კლდიაშვილის მსგავსი ფერწერულობით და დახვეწილი ირონიულობით მოგანონებთ თავს მწერალი, მაგრამ ერთი რამ საცნაურია – შიო არაგვისპირელმა არაგვისპირა საქართველო დაგვიხატა და ცხოვრების გამოცანასაც თავისეული, ეპიგონიზმს გაცილებული პასუხი გასცა.



## ჭოლა ლომთატიძე (1878 – 1916)

1925 წელს ქართველმა მკითხველმა მანამდე თითქმის უცნობი მწერლის, ჭოლა ლომთატიძის, მოთხრობების ორი ტომი მიიღო. ამ წიგნთა ფურცლებიდან გაიცნო ქვეყანამ ციხის სარკმელსმომდგარი ნაღვლიანი სახის რევოლუციონერი, რომელიც აქამდე პროზაში დახატულ სხვა პერსონაჟებს არ ჰგავდა. თავისებური იყო მისი საუბრის მანერა, მოვლენებთან დამოკიდებულება, უტყუარი ნებისყოფა და, მიუხედავად ჭლექით დაავადებისა, პატიმრის ალგუნებულ გამოხედვაში ჩაბუდებული საოცარი ოპტიმიზმი. მოთხრობიდან მოთხრობაში გადადის ჭოლა ლომთატიძის ლირიკული გმირი და იგი სახელცვლილი ორეულია თვით მწერლისა, რომლის ტრაგიკული ცხოვრებაც საუკუნის დასაწყისის ინტელიგენტის ტიპური მაგალითია, ინტელიგენტისა სიცოცხლის აზრად თავისუფლებისათვის ბრძოლა რომ დაუსახავს.

ჭოლა ლომთატიძემ ქართულ მწერლობაში ლირიკულ პროზას მისცა გზა-სადინარი. მწერალი ძირითადად პერსონაჟთა მონოლოგებით გვაუწყებს სათქმელს და „სულში ჩაბრუნებული მზერით“ გვიჩვენებს ცხოვრების სხვადასხვა ასპექტს სწორედ რომ ახლებური ინტერპრეტაციით. მწერლის პერსონაჟები ფილოსოფოსო-

ბენ, მაგრამ ეს არ არის მოსაწყენი, განწყენებული ჩხირკედელაობა ადამიანის შინაგანი სამყაროს შეცნობისკენ მიმართული. მწერალს, უპირველეს ყოვლისა, თავისუფლებანართმეული ადამიანის ფსიქიკა აინტერესებს, ტუსაღის სიყვარული, მისი დამოკიდებულება საზოგადოებასთან, სიკვდილმისჯილის დამოკიდებულება სიკვდილთან, ის ზნეობრივი გავლენა, ციხე რომ ახდენს პიროვნების ხასიათის ჩამოყალიბება-შეცვლაზე.

ჭოლა ლომთატიძე დაიბადა 1878 წელს ოზურგეთის მახლობლად, სოფელ მენიეთში, გლეხ ბიბონ ლომთატიძის ოჯახში. დედა – ეროდიონე ნიკოლაიშვილი ადრე გარდაეცვალა. სოფლის ორკლასიანი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ოზურგეთის სამოქალაქო სკოლაში მცირე ხანი დაჰყო. 1896 წელს ქუთაისის სამეურნეო სკოლაში განაგრძო სწავლა, მაგრამ მეორე კლასიდან გარიცხეს, როგორც პოლიტიკურად არასაიმედო. ქუთაისიდან ხარკოვის სამეურნეო სკოლაში ვხედავთ, მაგრამ იქიდანაც დაითხოვეს „ბუნტოვშიკობისთვის“.

გურიაში დაბრუნებული ხან დაწყებითი სკოლის მასწავლებლად მუშაობს, ხანაც – ბიბლიოთეკარად. 1901 წლიდან თბილისში გადმოდის, სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში შედის და პროფესიონალ რევოლუციონერად ყალიბდება. როგორც სრულუფლებიანი დელეგატი, 1906 წელს ესწრება სტოკჰოლმის, ხოლო 1907 წელს ლონდონის პარტიულ ყრილობებს 1907 წელს სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატად აირჩიეს. მალე მეფემ სათათბირო გარეკა, ხოლო ჭოლა ლომთატიძე დააპატიმრეს. შვიდი წელი გაატარა მწერალმა პეტერბურგის, მოსკოვის, ხარკოვის, სევასტოპოლის, თბილისის, ბათუმის, ახალციხის და სარატოვის ციხეებში.

1915 წელს, როგორც უიმედო ავადმყოფი, გაათავისუფლეს. სამშობლოში დაბრუნების ძალა-სახსარი აღარ ჰქონდა. სარატოვის დავრდომილთა თავშესაფარს შეეხიზნა და იქვე დალია სული 1916 წელს. საქართველოში ჩამოასვენეს და, როგორც გამოჩენილი რევოლუციონერი, კუკიის სასაფლაოზე დაკრძალეს. მოგვიანებით დიდუბის პანთეონში გადაასვენეს.

მოთხრობებს აქვეყნებდა სპირიდონ მცირიშვილის ფსევდონიმით და ამით თავის წინამორბედთან – ეგნატე ნინოშვილთან, სულიერ ნათესაობას უსვამდა ხაზს.

ჭოლა ლომთატიძის ერთ-ერთ ადრეულ მოთხრობას „დავითი“ ჰქვია. იგი უბედურ შემთხვევას უკავშირდება და განზოგადების

საშუალებას ნაკლებად იძლევა, მაგრამ მოთხრობის ერთი პასაჟი შეანიშნავად გადმოგვცემს გაიძვერა რუსი ჩინოვნიკის ღორულ ბუნებას.

სასწავლებლის ღამის დარაჯს, სამოცი წლის დავითს, სამსახურიდან გაგდებით ემუქრებიან, რადგანაც ეს ერთი კვირაა, თითქმის ყოველ ღამე ეპარება ქურდი და საფუტკრეს უნგრევს. დავითი დაუდარაჯდა და შუალამისას დაიჭირა კიდეც ქურდი. ეს უკანასკნელი თვით სასწავლებლის დირექტორი ობრაზცოვი აღმოჩნდა. თურმე ნუ იტყვი, დირექტორს მეფუტკრე მასწავლებლის გაგდება სურდა და „რომ მის წინააღმდეგ კიდეც ერთი საბუთი მოენახა, სახელდობრ, საქმეში დაუდევრობა – ნამუშევარს უფუჭებდა“.

დავითი რა შუაში იყო? აქლემების ჩხუბში კოზაკივით გაიჭყლიტა სანყალი დარაჯი. „ზედმეტი სიფხიზლისათვის“ იგი დირექტორმა დასაჯა, ხელფასი ჩამოაკლო, შაქრის მიცემა შეუნწყვიტა და, რაც მთავარია, პატარა საყარაულო ოთახი წაართვა. დირექტორის ამ „ლონისძიებას“ შედეგად ის მოჰყვა, რომ ზამთრის ერთ სუსხიან დილით ბაღში დავითის გაყინული გვამი იპოვეს.

მომავლის იმედით, პატრიოტული განცდით დანერვილი ლირიკული ჩანახატია „**უბის წიგნაკიდან**“. მოთხრობის ლირიკული გმირი სამცხე-ჯავახეთში მოგზაურობს. თუ სიამაყით აღავსებს მას ძველ ციხე-სიმაგრეთა ხილვა და ჰეროიკულ დროთა გახსენება, სამაგიეროდ, გულს უკლავს რუსთაველის სამშობლოში მცხოვრებთა მიძიმე ყოფა და ზოგი უცნაური, ქართულისათვის უცხო ჩვევა, თურქთა ოთხასწლოვან ბატონობას რომ დაუტოვებია მათთვის მემკვიდრეობად.

ჭოლა ლომთათიძეს ამ ნაწარმოებში ზეციურ მეუფესთან ქართველის შეხვედრის ერთი შთამბეჭდავი სურათი აქვს დახატული:

- „ვინ ხარ შენ? – გაისმა მისი კითხვა ქართველისადმი.
- ქართველი – იყო პასუხი.
- წლოვანება!
- ორი ათასზე მეტი წლის ვარ.
- რას აკეთებდი ამდენხანს ქვეყნად?
- თავს ვიცავდი.
- სულ მუდამ?
- დიახ, სულ მუდამ, ქრისტეს დაბადებამდე და ქრისტეს დაბადების შემდეგაც თავს ვიცავდი. თავს ვიცავდი მე მაკედონე-

ლის ლაშქრისაგან. ვებრძოდი მურვან-ყრუს, ვებრძოდი ოსმალოს, სპარსეთს, ვებრძოდი ლეკებსა და კიდეც სხვებს. ურიცხვია სახელი ჩემი მტრების...

- ახლა რაღას შობი შენ?
- მე ახლაც თავს ვიცავ. მტერი ახლაც ბევრი მახვევია გარს. მოდიან ჩემზე ხმლითაც და მოქარგული ენითაც. სიყვარულსაც მიცხადებენ, რომ დამძლიონ...
- არ დაილაღე?
- დალაღვა ჩემი სიკვდილს ნიშნავს ჩემსას. არა, არ დავდლილვარ, სიცოცხლე მწყურია მე და ვერ ვძლები სიცოცხლით. არა, არ დავდლილვარ.
- არც გაბოროტდი ამდენი ბრძოლით. გრძნობები არ დაგიჩლუნგდა?! სისხლი არ გიყვარს?
- არა, არ გავბოროტებულვარ. ვინც თავს იცავს, ის არ გაბოროტდება, შენ თვითონ იცი ეს...
- და ელი კი გამარჯვებას?
- რად უნდა დავმარცხდე. მე თავს ვიცავ. ახლა მე მარტოც არა ვარ. ყველა ერში და ყველა ქვეყნის კუთხეში იზრდება და მძლავრდება იმათი რიცხვი, რომლებიც თავს იცავენ და ისინი მომეშველებიან მე, როგორც მე იმათ. რად არ უნდა გავიმარჯვო, მე თავს ვიცავ და წამოდგა ფეხზე ის, ვინც იჯდა. გაშალა მკლავი და გადაეხვია ქართველს და გადაკოცნა ის. მოსწყვიტა მნიფე ყურძენი და აჭამა მას, და კიდეც აჭამა თაფლი და შეჰკრა გვირგვინი იავარდისა და შეამკო თავი მისი. მისცა მას ხმალი ხელში და უთხრა:
- წადი, განაგრძე და კურთხეული იყოს გზა შენი, ფრიად მიძიმე და ფრიად სახარბიელო! წადი, განაგრძე!“
- ციხეში ზის სოციალ-დემოკრატი ბიკტორ აგიაშვილი („**პირველი მაისი**“) და იგონებს იმ სისხლიან დღეს, როცა ხელისუფლების დამქაშები დემონსტრანტებს გაუსწორდნენ. დაღუპულები საძმო საფლავში წვანან. მათ შორისაა ბიქტორის სატრფო – რევოლუციონერი ქალიშვილი თინა. სანამ გარეთ იყო, ბიკტორს ყოველ გაზაფხულზე იის კონები მიჰქონდა თინას საფლავზე. ახლა იგი პატიმარია, ჭლექი სჭირს და სისხლს ახველებს. თინა უშიშარი გოგონა იყო. ერთხელ, როცა ბიკტორმა ჰკითხა, სიკვდილზე თუ გიფიქრიაო, თინამ უპასუხა: „სად არის სიკვდილი, როცა მზე ასე იცინის? როცა ასე ჰყვავის სასაფლაო? როცა ასე ამწვანებულა

ველ-მინდორი? სად არის სიკვდილი, რა დროს სიკვდილია – სიც-  
რუეა სიკვდილი“.

სიცოცხლეზე შეყვარებული ქალიშვილის რომანტიკული ფიქრი  
მწარე სინამდვილემ შეცვალა. იგი თავის თანამებრძოლებთან  
ერთად დაეცა, ხოლო დაჭრილი ბიკტორი ცხედრებთან ერთად  
მორგში დააგდეს და კარგა ხნის შემდეგ პალატაში გადაიყვანეს.

„რა ბინძურია დღევანდელი საზოგადოება – ამბობს ბიკტორ  
აგიაშვილი – აქ ერთი მეორეს ართმევს ლუკმას და არც კი რცხვე-  
ნია, აქ ერთი ლხინობს, ათასს ლუკმა პური ენატრება არც კი  
რცხვენია. აქ ერთის ნამუშევარს ითვისებს მეორე და არც კი  
რცხვენია... აქ იყიდება სინდისი, აქ იყიდება ნამუსი და არც კი  
რცხვენიათ“.

ბიკტორი სვამს თევზის ქონს და იმედით შესცქერის ხვალინ-  
დელ დღეს. „არა, ბიძია, არა ვართ დამარცხებული – ეუბნება  
იგი ციხის უფროსს – მოკალით ჩვენი რწმენა? მოკალით ჩვენი  
სიყვარული? მოკალით ჩვენი თქვენდამი ზიზღი? მოკალით ჩვე-  
ნი დიდი სურვილი? ტყვია რომ გულში გვარტყით, ბანარი რომ  
კისერში მოგვიჭირეთ, ამით მოკალით რომელიმე სურვილი ჩვე-  
ნი, რომელიც თქვენ არ მოგწონდათ? მაშ, რად ამბობთ გავიმარ-  
ჯვეთო? ვცანით ჩვენი თავი დამნაშავედ და პატიება გთხოვთ?  
თუ, მოგვკალით და აღარ გეშინიათ ჩვენი, მაშ, რად დაუკარგეთ  
საფლავებს სახელი? ბნელაში რად ამოთხარეთ ორმო და მერე  
რად გადაასწორეთ ისე, რომ დილას არავის ეცნო – აქ ვინმე  
დაუმარხავთ? და ერთი რამ კიდევ: როცა საფლავებს ეძებენ,  
როცა საფლავებზე მიაქვთ ყვავილები, როცა საფლავი უყვართ  
და იქ მიდიან სალოცავად, სატირლად, შურისძიების წყურვილის  
გასაძლიერებლად, გეშინოდეთ თქვენ იმ საფლავის. ის არ არის  
საფლავი დამარცხებულის“.

თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ეს სტრი  
ქონები ინერებოდა ციხეში თვით პოლიტიკური პატიმრის – ჭოლა  
ლომთათიძის მიერ, ადვილად დარწმუნდებით, რა სულიერ სიმტ-  
კიცეს და მოქალაქეობრივ გამირობას ამჟღავნებდა „პირველი მაი-  
სის“ ავტორი.

კომპაქტური, ჭეშმარიტად ნოველური სიუჟეტით გამოირჩევა  
„შიში“. შუალამისას რევოლუციონერები, პეტრე და არჩილი, ნი-  
გოითში ივანე სანადირაძის სახლს მიადგნენ ლამის გასათევად.  
ივანე, „ძველი ნაციმბირალ-ნაუბედურალი“, სტუმრებს სიყვარუ-

ლით მიეგება (არჩილი მისი დისშვილია). ეს ამბავი რუსეთის პირვე-  
ლი რევოლუციის დროს ხდება. ის დროა, როცა „ერთ სალამოს  
დასწვეს სადგური ნატანები. მეორე სალამოს ოზურგეთი ანთო  
და გურია გაანათა. რამდენიმე დღეში გურიის ლამეებმა ცეცხლის  
თვალეზით დაიწყეს ცქერა. და ამ ცამდე ავარდნილ ალს გარს  
ეხვია შიში სავსე ზღაპრული საშინელებით – კაცისმჭამელებით,  
მოლაღატეებით, დაცინვით, უიმედობით...“

თბილმა ბუხარმა და ადესის ღვინომ თავისი ჰქნა და არაქა-  
თგამოცლილ სტუმრებს მალე ჩაეძინათ. ივანე და მურა მთელი  
ღამე დარაჯობდნენ, გაუთვალისწინებელი რამ რომ არ მომხ-  
დარიყო. და აი, დილით ძილბურანში მყოფ არჩილს და პეტრეს  
ეზოში ლაპარაკი მოესმათ. მასპინძელი სამ შეიარაღებულ კაცს  
ეუბნებოდა, „ხომ გითხარი, ერთი წიყყვანეთ, ეგერ არის, უფროსი.  
მეორე კი... შვილი რომ მთხოუ, შვილს მოგცემ და იმას ვერა –  
ავათ არის. ახლა რომ იგენის ხელში ჩავარდეს – მერმე აღარ  
გამოდგება.“

– ჰო და კარგი, ერთი იყოს... მოვაკითხავთ შუადღეზე, არსა  
გუუშვა.

– რაც ვთქვი, ვთქვი. სიტყვა არ გატყდება – ერთი წიყყვანეთ“.

რევოლუციონერებმა დაასკვნეს, რომ მოსულნი პოლიციელები  
იყვნენ და ივანემ ლალატი ჩაიდინა. ორიდან ერთ-ერთს (თავის  
დისშვილს) ვერ შეეღია, ხოლო მეორე სტუმარი განირა.

შეცბუნებულ-გაოცებულებმა სწრაფად ჩაიცვეს, იარაღი აის-  
ხეს და გასაქცევად მოემზადნენ.

– რავა ამგზავრებულხართ? – ჰკითხა მორთულმოკაზმულ  
სტუმრებს ივანემ.

„ჩვენ არაფერი ვუთხარით.“

– იგინი დღესვე წავლენ, ფიქრი არაა. გეიგონეთ, რომ სოფელ-  
ში არიენ? დღესვე წავლენ, იმიზა იყვნენ ჩემსას.

– რათ იყვნენ, ივანე? – გაკვირვებით ვკითხე მე.

– ჩოხატაურში მივლენ. ბარგის გადასატანი ხარები და ურმები  
უნდა მოგვცეთო. მევიდნენ ჩემთან ათისთავები... დაღალულია  
ჩემი ხარი, მარა მოგვშორდენ ოლონდ და... მიორე ავათ არის,  
ფეხი იტკინა. ერთს წიყყვანებენ, თუ ცალი უშოვს...“ („შიში“).

ციხის ცხოვრების აღწერით, ტუსაღის ფსიქოლოგიის უზუს-  
ტესი გადმოცემით ხასიათდება ჭოლა ლომთათიძის ვრცელი  
მოთხრობა „საპყრობილეში“.

ზის კამერაში პოლიტიკური პატიმარი მცირიშვილი. „ეჰ, და-ვიღალე ამდენი სიარულით. მომწყინდა. შვიდი ნაბიჯია, შვიდი, შვიდი. ეს მანძილი არ იმატებს არც ხვალ, არც ზეგ, არც გა-ისათ. სულ მუდამ შვიდი ნაბიჯი იქნება. შვიდი... შვიდი... და მე – დამწყვედელი გალიაში, დღითი დღე, დილიდან დილამდე, ჩემი ფიქრებით, ჩემი ტკივილებით, ჩემი ოცნებებით და იმედებით, ჩემი სიზმრებით“.

მცირიშვილი ქლექითაა დაავადებული, მაგრამ საოცრად ამა-ყი და ძლიერი ნებისყოფის მქონე კაცია. იგი კატეგორიულ უარს ამბობს შემოთავაზებულ ზედმეტ ულუფაზე, რომელიც მას დაუნიშნეს, როგორც სასიკვდილო სენით შეპყრობილს. მცირი-შვილი გონებაგამჭრიახი და უშიშარი სოციალ-დემოკრატია. ერთ-ხელ ციხის ადმინისტრაციამ მისი გამოცდა გადაწყვიტა, მიუგზა-ვნეს ზედამხედველი სუკინი, რომელმაც უჩურჩულა: თუ გნებავთ, წერილი მისწერეთ ვინმეს, მე წავიღებო. მცირიშვილმა მაშინვე დაწერა და გაატანა. წერილში ეწერა: „რა სულელათ მნახეთ, ბ-ნო ციხის უფროსო, რომ გეგონათ სუკინისთანა მხეცს ვენდობოდი. მე შეურაცხყოფილად მიმაჩნია თავი. გთხოვთ, შემდეგში არ იფიქ-როთ აგრე“.

მწერალს დიდი დამაჯერებლობით დაუხატავს პატიმრის ყოფა. ყოველ ნაბიჯზე დამცირება, შეურაცხყოფა, ღირსების შელახვა სწორედ იმათგან, ვისაც ღირსება თვით არ გააჩნია.

„არსად ისე არ სწყურია ადამიანს სიცოცხლე, როგორც აქ, სა-ტუსალოში. რაც მეტად გამდაბლებენ, დასცინიან შენს თავმოყვა-რეობას, შენს იმედებს, შენს სათაყვანოს, რაც უფრო მეტად ადა-მიანები ადმინისტრაციის ტანსაცმელში ააშკარავებენ პირუტყეულ მხარეებს, ადამიანში დამალულს, რაც უფრო მეტად რწმუნდები, რომ გარშემო გახვევია ჯალათები, ადამიანურ გრძნობებს მოკლე-ბული პირები, რომელთაც ნება აქვთ, რაც უნდათ ის გიყონ, მით უფრო გინდა იცოცხლო, უფრო გინდა იცოცხლო და იტანჯო: და ამასთან, რა ადვილია სატუსალოში თავის მოკვლა. ვერ წარმოიდ-გენ, რა ადვილია“.

უფლებაყრთილ ადამიანებს ყველაფერს უკრძალავენ. „აკრძა-ლული გვაქვს მტრედები ვკვებოთ – გართობაა ესო. ხოლო ყოველ-ნაირი გართობა აკრძალულია აქ, სატუსალოში“.

ციხეში მცირიშვილმა გაიცნო პატიმარი კოლია დროზდოვი, სწორედ კოლია დროზდოვის მიერ მოთხრობილი ამბავია მოთხრო-

ბის სიუჟეტური ხერხემალი. და უნდა დავსძინო, ფსიქოლოგიუ-რად უაღრესად ზუსტი პასაჟი:

კოლია დროზდოვს სიკვდილი მიუსაჯეს. მოქალაქე განაჩენის კითხვას ამთავრებს. „მე გავიხედე დედაჩემისკენ – ჰყვება დრო-ზდოვი – ისიც თურმე მე მიცქერდა. და იცი? მან გამიცინა მე, დიახ, გამიცინა ჩემმა ბებერმა დედამ და, მგონი, მეც ღიმილით ვუპასუხე. რომ ეყვირა იქ, თავისი ჭაღარა თმები რომ გაეშალა და დაეგლიჯა, სახე რომ დაეკანრა, ღმერთმანი, ასე არ დამამძიმებ-და, ასე არ დამიკოდა გულს. – აი ახლაც ვხედავ იმ დამზრალ, გაყვითლებულ ღიმილს. შემხედა მან თვალებში, სახე გაუფითრდა, უცებ, თითქოს ერთიან დაბერდა, ისედაც მოხუცი დედაჩემი, უცებ მოიხარა, მოტყდა წელში – მე კი გამიცინა – საჩქაროდ გავიხედე განზე, ერთი ასეთი შემოხედვა, ერთი ასეთი ღიმილი კიდევ და მე მუხლებზე დავეცემოდი, ველურ ბლავილს მოვრთავდი“.

დროზდოვი სიკვდილმისჯილთა კარცერში გადაიყვანეს: „გამი-გონია, მაგრამ ახლა მე თვითონ დავრწმუნდი, სიკვდილით დასჯა თვითონ როდია ისე ძნელი, როგორც მისი მოლოდინი. როცა იცი, რომ სიკვდილი დგას კარებთან და ეს-ესაა გადმოდგამს შენსკენ ნაბიჯს ამით შეუბრალებლად სარგებლობენ და დიდხანს, დიდხანს აჩერებენ დასასჯელს სიკვდილ-სიცოცხლის შუა“.

ბოლოს დროზდოვს ჩამოხრჩობა სამუდამო კატორღით შეუცვალეს, როგორ შეაფასა ეს ფაქტი დედამ?

„საცოდავს გაუხარდა ის, რომ მისი ერთადერთი შვილი, ცოც-ხლად იქნება დასამარებული... ესეც სასიხარულო გამოდგა“.

სულიერმა სტრესმა დროზდოვი გატეხა და მაღალი იდეალები-სთვის ბრძოლას ჩამოაშორა: „ახლა რომ გამათავისუფლონ, ტყეში დავიმალები, უღრან ტყეში, სადაც ადამიანის ხმას ვერასოდეს ვერ გავიგონებ... უზარმაზარი მუხის ქვეშ მოვილობავ ქოხს და დავ-მუნჯდები“.

უსიუჟეტო, ასოციაციური მხატვრული აზროვნებით დაწე-რილია „თეთრი ღამე“. მოთხრობა იმ პრინციპზეა აგებული, რასაც მოგვიანებით ევროპული ლიტერატურისმცოდნენი ცნობიერების ნაკადს დაარქმევენ. „თეთრ ღამეს“ ერთი ფაბულა არა აქვს. იგი პოლიტიკური პატიმრის, სოციალ-დემოკრატ მიხას (სხვათა შო-რის, ჭოლა ლომთათიძის ყოველ ნაწარმოებში აღმოაჩენთ ავტო-რის ბიოგრაფიულ მომენტებს. ამდენად, ეს ქლექით დაავადებული

სოციალ-დემოკრატიც შეგვიძლია ქოლა ლომთათიძის პროტოტი-  
პად მივიჩნიოთ) უსისტემო მოგონებებზეა აგებული.

პირველი მოგონება. ტუსალი ვასოს ცოლს – ლიზას უკავშირდ-  
ება. ლიზა პერიოდულად, წლების განმავლობაში ხვდება ციხეში  
თავის ქმარს და ერთგულებას ეფიცება. ბოლოს ვასო წერილს  
ღებულობს, საიდანაც ირკვევა, რომ ლიზა ქმარს, საყვარლისავე  
თანხმობით წლების განმავლობაში ატყუებდა, და უმაღლესადაა მწარე  
სიმართლეს, ამით სატუსალოს კედლებში აუტანელ ცხოვრებას  
უმსუბუქებდა. მიხვას მიაჩნია, რომ ეს „ლორობაა“, რომ არავისა  
აქვს უფლება სიმართლე (თუნდაც მკაცრი) დაუმალოს თავისუ-  
ფლებანართმეულ ადამიანს და ყალბი ილუზიებით კვებოს იგი.

„თეთრი ღამის“ მეორე პასაჟი ციხეში პატიმრის უმძიმეს, და-  
მამცირებელ ყოფას ეხება. ოსტატურად გვიხატავს მწერალი, რო-  
გორ აბუჩად იგდებენ, ფეხქვეშ თელავენ ციხის მოხელენი (მოსე,  
ლიტვინოვი) ტუსალთა ადამიანურ ღირსებებს.

„როცა მე ტუსალობის ვადას გავათავებ – ამბობს მიხა – თქვენ  
მკითხავთ, რა უფრო მძიმეა სატუსალოშიო, გიპასუხებთ, ყველაზე  
მძიმე არის გამოღვიძება-მეთქი. დიახ, ასე გიპასუხებთ და ეს ჩემი  
პასუხი გულწრფელი იქნება. სატუსალოში კაცი ისეთ მშვენიერ  
სიზმრებს ხედავს და უცებ გაელვიძება – რა შეიძლება იყოს უმ-  
წარესი იმაზე, რომ სიზმრის ქვეყნიდან ტუსალის ქვეყანაში გადა-  
ღიხარ ერთბაშად“.

აქვე გვიამბობს მწერალი თავისუფლებისათვის მებრძოლი,  
ამაყი ქალიშვილის ტრაგიკულ ბედზე. ელენას ხუთი წელი მი-  
უსაჯეს. მან – გენერლის ქალიშვილმა, არ ისურვა შეწყალების  
ბარათზე ხელის მოწერა და თავისი პატიმარი თანამებრძოლების  
ბედი გაიზიარა. ციხეში თავი ღირსეულად უჭირავს. ზიზღს  
უცხადებს სატუსალოს ადმინისტრაციას იქამდეც კი, რომ ფეხზე  
არ დგება, როცა ზედამხედველი ან ციხის უფროსი შედის მასთან  
საკანში. ბოლოს ციხის დამქაშებმა იზრუნეს „ურჩი პატიმრის“  
ჯანმრთელობაზე და ელენას სიფილისი შეჰყარეს. ელენამ თავი  
მოიკლა.

„თეთრი ღამის“ მესამე ეპიზოდი მოთხრობის მთავარი გმირის,  
მიხას, ერთი უიღბლო სიყვარულის ისტორიას ეხება. რევოლუ-  
ციონერი ქუჩაში შეხვდა სომეხ ქალიშვილს მანუშკას და მოეწონა.  
მანუშკამაც თანაგრძნობით უპასუხა და ახალგაზრდებს შორის  
სასიყვარულო ძაფი გაიბა. მიხამ „სტიოპად“ გააცნო თავი შეყვა-

რებულს და თავისი რევოლუციური წარსული დაუმალა კონსპირა-  
ციული მოსაზრებით. ისე კი ერთი სული აქვს ამცნოს, რომ იგი  
თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მებრძოლი ჯარისკაცია, რომ  
„ჯერ კიდევ ძლიერი არიან მტრები. მათ ხელში აქვთ ძალა და  
უფლებაც. მათ ხელში აქვთ ბრძოლის იარაღები, მოსყიდულ მეც-  
ნიერეთა რაზმები, მორალისტები და მქადაგებლები, არტისტები,  
მომღერლები და მწერლები. ყველაფერი ეს მათ ეხმარება. მათ  
იცინან ბორკილების ქედვა, მათი, თითქოს სათუთი და სუფთა ხე-  
ლით უკმეხი და უსულო სატუსალოები შენდება, მაგრამ მაინც  
მათი აღსასრული ახლოა“.

პოლიციამ ამ სიტყვების უთქმელადაც „აღმოაჩინა“ რევოლუ-  
ციონერი. მას „სულ უბრალოდ დაუმტკიცეს, რომ სტიოპა არ იყო  
და არხანგელსკის გუბერნიაში უკრეს თავი“. პატიმარმა სამი წელი  
მშვენიერ მანუშკაზე მოგონებებით იცხოვრა და როცა გაათავი-  
სუფლეს, პეტერბურგისაკენ გასწია. სწორედ პეტერბურგში შემ-  
თხვევით წააწყდა მოსეირნე წყვილს და რაკილა სიცილი ეცნაურა,  
დაინტერესდა. პატიმარყოფილი არ შემცდარა – მისი სატრფო,  
მანუშკა, ვილაც ოფიცერთან სეირნობდა... ეს ღალატი მიიღო  
მიხამ თავისი თეთრი ღამეების, მანუშკასადმი პატიმრული ერთ-  
გულების და ციხეში აგებული ოცნებათა კომპლექსის პასუხად.

ქოლა ლომთათიძის ნოველათაგან შედარებით მოისუსტებს  
**„ძე კაცისა“**. აქაც ციხეში ხდება მოქმედება, აქაც ზნეობის პრობ-  
ლემა წინ წამოწეული, მაგრამ როგორც ჩანს, მწერალს პარტი-  
ულმა ორიენტაციამ სძლია წერის დროს და ოჯახის ტრადიციულ  
სიმტკიცე-სინმიდეს „თავისუფალი სიყვარულის“ სოციალ-დე-  
მოკრატიული გულუბრყვილო პრინციპი დაუპირისპირა.

მიყვავთ მოთხრობის სიუჟეტს: ტუსალი გიორგი ადამაშვილი  
ცოლმა – ნინომ ინახულა. ცოტა არ იყოს ცივად შეხედა მეუღლე  
პატიმარ ქმარს. ნინომ ბავშვიც არ მოიყვანა მამასთან იმ დღეს,  
ცხელა და შენუხდებოდაო. წასვლისას ნინომ გიორგის წერილი  
ჩაუდო ხელში. წერილში გარკვევით ეწერა: მე შენი სიყვარულის  
ღირსი არა ვარ, მე ერთი უნამუსო, საძაგელი დედაკაცი ვარო.  
გიორგი ადამაშვილი შეადრწუნა ამ ამბავმა. მას თავზარი დაეცა.  
ჩაუწყდა გულში ის იმედის ძაფი, გარე სამყაროსთან რომ აკავ-  
შირებდა. დაასკვნა, რომ ნინო უკვე სხვისი ცოლია და ვინ იცის, ამ  
ორი წლის განმავლობაში იქნებ ატყუებდა კიდევ, სანახავად რომ  
მოდიოდა და ერთგულებას ეფიცებოდა. გიორგი საკანში არავის

უმალავს თავის ოჯახურ ტრაგედიას. ტუსალები გულწრფელად თანაუგრძნობენ „რქებდადგმულ“ პატიმარს. ზოგი არწმუნებს, გულს ნუ გაიტყვ, ყველა ქალი ერთნაირია, ლალატი ქალის ჩვეულებრივი თვისებააო.

სინამდვილეში საქმე არც ისე ტრაგიკულადაა. ნინომ მეგობრებთან ერთად ქალაქგარეთ გაისეირნა და სეირნობის დროს მას „ყოფილმა პაკლონიკმა“, ვასო ზამბახაძემ, აკოცა. მეორე დღეს სინდისის ქენჯნამ სეანუხა ნინო და მისი უცნაური წერილის მიზეზად სწორედ ეს ფაქტი იქცა. მეგობარი ქალი, მაგდა, არწუნებს ნინოს, რომ სისულელე ჩაიდინა, მცირე შემთხვევა ქმარს რომ გააგებინა. მაგდას აზრით, ნინოს სინამდვილეში ქმრისთვის არ უღალატინა. ის კოცნა წუთიერი გატაცების შედეგი იყო და ასეთი ეპიზოდების გამოცხადებით ქმარს პრობლემები არ უნდა შეუქმნაო. ნინოს ვერ წარმოუდგენია, როგორ შეიძლება საყვარელ ქმარს დაუმალოს ეს, თუნდაც „უნებლიე“ ლალატი.

ახლა ვნახოთ გიორგი ადამაშვილმა როგორ შეაფასა ნინოს საქციელი. თავდაპირველად, როგორც აღვნიშნე, შენუხდა, გაშრა, სასონარკვეთაში ჩავარდა პატიმარი, მერე კი ძალა მოიკრიბა და ცოლს ასეთი წერილი გაუგზავნა.

„გამაკვირვა, ნინო, შენმა წერილმა. რისი გრცხვენია?! სიყვარული განა სირცხვილია. დარწმუნებული ვარ, ვინც შეგიყვარდა, ღირსი იქნება შენი სიყვარულისა, შენსავით პატიოსანი და კარგი. რა გაქვს, შე კაი ქალო, საბოდიშო ჩემს წინაშე?.. ჩვენ შემდეგ-შიაც კარგი და ერთგული მეგობრები ვიქნებით ერთმანეთის... მე რომ ვინმე შემყვარებოდა, მოვიდოდი ყველაფერს დაწვრილებით გეტყოდი და ოდნავადაც არ შემრცხვებოდა... რა თქმა უნდა, ძნელია ჩემთვის ყველაფერი, მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ მქონდეს უფლება — გისაყვედურო. მაშ, ველი შენს დაწვრილებით პასუხს და ვრჩები შენი ისევე და ისევე ერთგული, მადლიერი და მოყვარული მეგობარი გიორგი“.

ჭოლა ლომთათიძის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია მოთხრობას „სახრჩობელის წინაშე“. 1907 წელს დაწერილ ამ ნაწარმოებით ავტორი პროზის ჩინებულ ოსტატად გვევლინება. სიკვდილმისჯილის ფსიქიკაში ღრმა წვდომა, სიცოცხლის უძლეველობის განწყობილება, თავისუფლებისათვის ბრძოლის სიდიადე, სიკვდილის წინაშე სრულიად ბუნებრივი შიში და ამავე დროს ადამიანის შინაგან ძალაში დარწმუნებული ლირიკული გმირის

განსაცვიფრებელი ოპტიმიზმი ჩანს განწირული კაცის სულიერ მდგომარეობაზე დაწერილ ამ უაღრესად საინტერესო მოთხრობიდან.

ოცდახუთი წლის მეზობლს, ჯეირან ვარდოსანიძეს, ჩამოხრჩობა მიუსაჯეს. პროკურორის გამოსვლა მოკლე და მაღალფერდოვანი იყო, მან ბრალი დასდო, ჯეირანს როგორც მეფის, ოჯახის, ზნეობის, სინდისის, საკუთრების, კულტურისა და საზოგადოების დაუძინებელ მტერს, რელიგიის შეურაცხმყოფელს. განსასჯელი გარეგნულად მშვიდად შეხვდა სასიკვდილო განაჩენს, მაგრამ როცა საკანში დააბრუნეს და მომხარი გააანალიზა, შიშმა აიტანა.

„მე დამახრჩობენ. გულგრილად გამომიყვანენ აქედან განთიადისას. წინდანინ დამიმზადებენ საფლავს. ხელებს ზურგსუკან გამიკრავენ, მიმიყვანეს სახრჩობელასთან, ერთხელ კიდევ წამიკითხავენ განაჩენს რათა არ დამავინყდეს, რომ ამ სიკეთეს ყაჩაღი კი არ სჩადის, არამედ კანონი. ჩამომაფარებენ სახეზე ტომარას, შემაყენებენ სკამზე და ორბოძშუა გადმოკიდებულ, გასანთლულ ბანარში გამაყოფინებენ თავს. ჯალათი გამომაცლის სკამს ფეხქვეშ, დამეკიდება ფეხებზე, რომ თოკი უფრო შემომეხვიოს კისერზე და შემდეგ გამაკონწიალებს.“

ერთი პირობა ჯეირანმა ისიც კი გაიფიქრა, ჩემს სიკვდილს არავის გავაგებინებ, ციხეში არეულობა რომ არ დაიწყოს და ტუსალები არ დაისაჯონო.

„როცა ჩემს წასაყვანად მოვლენ, ჩუმად გავყვები, არავის დავემშვიდობები, ვიცი, ატყდება ერთი ალიაქოთი, ყვირილი, დაამტვრევენ სკამებსა და ფანჯრების მინებს. მე უფრო აველდები და შევწუხდები. არაფერი კი არ გამოვა გარდა იმისა, რომ რამდენიმე კაცს კარცერში დაამწყვდევენ. მე კი მაინც ჩამომახრჩობენ“.

მერე ამ განწყობილებას ცვლის მოგონებათა კალეიდოსკოპი. ჯეირანი იგონებს ადრე გარდაცვლილ დედას, რომელიც მას ველარ დაიტირებს და საფლავზე ხელს ვერ გადაუსვამს, იგონებს სატრფოს, რომელსაც ხეირიანად სიყვარულიც ვერ აუხსნა, იგონებს ქუჩებში შეფეთებულ მეძავსაც, რომელიც ოთახისკენ ექაჩებოდა, ჯეირანმა კი ხელში მანეთიანი ჩაუდო და გაოცებული ქალი ქუჩასვე შეატოვა.

დრო ელვის სისწრაფით გარბის. განთიადი ახლოვდება, პატიმარს სიკვდილის ქმენა უახლოვდება. სიცოცხლის შენარჩუნების უკანასკნელი, მკრთალად მბჟუტავი იმედიც ჩაქრა. ჯეირანს ეწვია

ვექილი და აუწყა, რომ უმაღლესმა სასამართლომ უყურადღებოდ დატოვა მისი საჩივარი. ეს უკვე უეჭველ სიკვდილს ნიშნავს.

სიკვდილმისჯილის არსება პანიკურმა შიშმა მოიცვა. იგი ბრალს სდებს მთელ საზოგადოებას, თვით ღმერთსაც კი, რომ მისივე შექმნილი, ჯანმრთელი არსება სრულიად ულოგიკოდ უნდა გამოასალმონ სიცოცხლეს.

„როცა ღმერთის წინაშე წარვსდგები, ენაგადმოგდებული, კბილებდაკრეჭილი, თვალებგადმოცვენილი „მურავიოვის ჰალსტუხით“ კისრში, მე გამოვიფხიმები მის წინაშე და ვეტყვი: მაქვს პატივი უღირსსა მონას შენსას, მოგახსენო, მეუფეო, რომ როცა ვირთვებოდი ამრიგად, თუმცა მე არ მომწონდა მორთულობა ჩემი, მაგრამ იქვე მდგომარე სულიერი მამა ჩვენი – მღვდელი ჯვრით ხელში, კანონი, რომლის მორჩილება გვიბრძანებ შენ მონათა შენთა, შენს მიერ მოვლინებული მთავრობა და ეკლესია იქვე იდგნენ, მაგრამ არც ერთ მათგანს შენიშვნა არ შემოუტანია და ასე ამრიგად მორთულ-მოკაზმული გამომიძახეს წინაშე შენსამეთქი, როგორ ფიქრობ, იქაც ხომ არ გადამინყვეტენ ჩამოხრჩობას, კადნიერებად ხომ არ ჩამითვლიან ამ სიტყვებს?“

დაბოლოს, პატიმრის სიცოცხლის დათვლილი წუთების ჩამთავრებისას ჯეირან ვარდოსანიძემ თავის თავში საოცარი ძალა იპოვა. მან სძლია სიკვდილს.

„მამ, ასწიეთ, მაღლა ასწიეთ დროშა სიცოცხლისა და ბრძოლა სიკვდილის... სიკვდილი სიკვდილს! დაუტოვეთ სიკვდილი მკვდართ! – სად არის ახლა ჩემი პროკურორი, აბა, ერთი ნახოს დამძლია თუ არა... სიკვდილო, ნუთუ ასეთი სუსტი ხარ, რად ველარ მაშინებს შენი გულგრილი სახე, შენი ცივი ქმენა? ვერა, ველარ დამძლევ, ბებერო, ველარ. ამაყად, უშიშრად გიყურებ თვალებში. ამაყად, უშიშრად ავაბიჯებ ფეხს სკამზე... აჰა, ჯალათო! მზადაა კისერი!“.

არა მარტო თავის წარმოდგენაში გაიმარჯვა სიკვდილზე, ჯეირანმა თავის ამხანაგებზეც იზრუნა. არ ისურვა გამოთხოვების სენტიმენტალური სურათების ხილვა და სხვა პატიმრებსაც ოპტიმიზმი დაუტოვა საგზლად ცივი საკნების გრძელ საათებში გულის გასათბობად. ხმა გაავრცელა, რომ ჩამოხრჩობა ოცი წლის კატორღით შეუცვალეს და ხვალ სხვა ციხეში გადაჰყავთ. ერთ ტუსალს (სპირიდონი) სამახსოვროდ საათი აჩუქა, მე, როგორც კატორღელს, საათის ტარების უფლება აღარ მაქვსო.

ამ ტყუილით ჯეირან ვარდოსანიძემ თანამებრძოლებს მოსალოდნელი ამბოხების უსიამოვნებანიც ააცილა.

ჯალათის ფეხის ხმა ახლოვდება.

წავიდა ჯეირანი, როგორც გმირი, სიკვდილმა იგი მოკაკეული და დამარცხებული ვერ იხილა.

„ვარდოსანიძე ჩამოახრჩვეს“ – იუწყებოდნენ გაზეთები.

ჭოლა ლომთათიძე ლირიკული პროზის ოსტატია. მის ნაწარმოებებში რეპორტაჟული, აღწერითი ელემენტები სჭარბობს დინჯ, ეპიკურ თხრობას. თითქოსდა ჩქარობს ავტორი, მოთხრობის პასაჟს ზოგჯერ დაუმთავრებელს გვანდის, სტრიქონებს შორის სვეგამწარებული მწერლის ნერვულ სუნთქვას გრძნობთ, აკი, თვითონვე აღნიშნავს ერთგან:

„ეს სტრიქონები მხატვრული ნაწარმოები როდია. ეს სტრიქონები უბრალო წერილებია გამწარებული ადამიანისა, რომელიც ვერ მოთავსებულა სატუსაღოს ოთხ კედელში, რომელიც ვერ შეჩვევია ტყვეობას, რომელიც მთელი არსებით ილტვის იმათკენ, ვისაც ის უყვარს. ეს სტრიქონები მხატვრული ნაწარმოები როდია, ეს ნაწერი აჩქარებული ხელით, ჩხრეკისა და სხვა ასეთების მოლოდინში“, რომ უცებ შესაძლებელი იყოს მათი მოსპობა – იმიტომ, რომ მე არ მსურს წაიკითხოს ეს იმან, ვისაც არ ვუყვარვარ, თან არ ვიცი, ვის გავუგზავნო ეს რვეული. რვეული, ნაწერი თეთრ ღამეებში, მწვავე წუთებში, როცა განსაკუთრებით ვგრძნობდი ხოლმე ტყვეობასა და დამცირებას“ („თეთრი ღამე“).



## ოცინანი წლების ლიტერატურული დაჯგუფებანი

1917 წლის თებერვლის რევოლუციამ რუსეთის იმპერატორი ტახტიდან ჩამოაგდო, ეს იყო მსოფლიო ისტორიის ერთ-ერთი არცთუ მოულოდნელი, მაგრამ ლამის უპრეცედენტო შემთხვევა. ამბოხებული ინტელიგენციის ბანდამ ხელყო მეფის კანონიერი ხელისუფლება. იმპერატორი ნიკოლოზ II გადადგა. მისი ადგილი დროებითა მთავრობამ დაიკავა. ეს, თურმე, ჯერ კიდევ არ იყო რევოლუციის დასასრული. დროებით მთავრობას კრიჭაში ჩაუდგა ინტელიგენციის მეორე ფრთა ბოლშევიკების სახით. ამ უკანასკნელთ ლენინი და სტალინი მეთაურობდნენ. ინტელიგენციას ხაზს იმიტომ ვუსვამ, რომ თებერვლისა და ოქტომბრის შეთქმულებები სრულიადაც არ იყო მუშურ-გლეხური აჯანყებები, როგორც ამის შესახებ შემდგომში წერდნენ კომუნისტური იმპერიის დამქაში ისტორიკოსები. ეს იყო ბრძოლა ძალაუფლების გაყოფისათვის. ბოლშევიკებმა შეთქმულება მოუწყეს დროებით მთავრობას და გაიმარჯვეს. დაიწყო ახალი ერა კაცობრიობის ისტორიაში, რომელსაც კომუნისტური იმპერიის, ანუ კომუნისტური ტირანიის ერა დაერქმევა. საქართველოს რუსეთის იმპერატორის ტახტიდან ჩამოგდებაში მონაწილეობა არ მიუღია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ გარემოებას, რომ რევოლუციის საჭესთან იდგა ქართველი კაცი – იოსებ ჯულაშვილი (სტალინი). არც ამ ყოველად უსამართლო და უღმერთო აქტში მიუღია ქართველ კაცს მონაწილეობა, რასაც ჰქვია იმპერატორ ნიკოლოზ II და მისი ოჯახის გაუგონარი და მხეცური, უმონყალო დახვრეტა ლენინის ბრძანებით 1918 წელს. იმპერია დაინგრა. საქართველო თავისუფლების მეჩჩეზე დარჩა. ამის შესახებ შემდგომში გალაკტიონი დაწერს:

ჩვენ, პოეტები, ვართ არეული,  
ვართ შინაური და გარეული,  
ჩვენ დეპეშებით მივიღეთ ომი  
და ოქტომბერი მზამზარეული.

1918 წლის 26 მაისს საქართველომ თავი დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოაცხადა. დასრულდა საქართველოში რუსეთის ბატონობის ასრვიდმეტწლოვანი ხანა და ქვეყანამ შვებით ამოისუნთქა, წარსულს ჩაბარდა ქართული ენის სწავლების აკრძალვა სკოლებში, აგრეთვე – ქართული ჟურნალ-გაზეთების უმონყალო დევნის ჩინოვნიკურ-ცენზურული პერიოდი. საქართველომ ყველაზე დიდი სარკმელი ევროპისკენ გამოაღო და უხვად შემოუშვა თავისუფალი კულტურის მაცოცხლებელი ჰაერი. ეროვნულ თავისუფლებას, რასაკვირველია, კულტურული თავისუფლებაც მოჰყვა. საქართველოში გაჩნდა ევროპული ლიტერატურული სკოლები სიმბოლიზმის, ფუტურიზმის, იმპრესიონიზმის, ექსპრესიონიზმის, ავანგარდიზმის, იმაჟინჯიზმის და სხვათა სახით. საქართველო აღარ იყო მსოფლიო ცივილიზაციისაგან ლამის განმარტოებული ეროვნულ-ეთნიკური კუნძული, ჩვენი ქვეყანა ევროპული ცივილიზაციის ფერხულში ჩაება. მაგრამ რუსეთი არ აპირებდა ასე იოლად თავისი კოლონიის დათმობას. ხალხთა საპყრობილის – ცარისტული იმპერიის ადგილას გაჩენილი მოდერნიზებული ბოლშევიკური იმპერია არა თუ რუსეთის მიერ ადრე დაპყრობილი ტერიტორიების კვლავ შემოერთებას, არამედ ახალი მიწების დაპყრობასაც ცდილობდა. მსოფლიოს ერთ მეექვსედს საბედისწეროდ მოდებული მარქსისტული შავი ჭირი მთელი მსოფლიოს განითლებისაკენ ისწრაფოდა. ომგადატანილი და რევოლუციით შემკრთალი ევროპული სახელმწიფოები დამოუკიდებელი საქართველოს ცნობას და ქმედით დახმარებას არ ჩქარობდნენ. ეკონომიკურად შეჭირვებულ, სამოქალაქო ომით გათანგულ და თავდაცვის უნარს მოკლებულ საქართველოს კი ნელ-ნელა უახლოვდებოდა ბოლშევიკური იმპერიის აჩრდილი. მსოფლიომ უდიდესი ცივილიზაციის მქონე, პატარა მუსულმანურ ოკეანეში ლამის ეულად მყოფი ქრისტიანული ქვეყანა – საქართველო, ბედის ანაბარად დააგდო. 1921 წლის 12 თებერვალს საქართველოს ერთდროულად ოთხი მხრიდან შემოესია იმპერიის ახალი პირსისხლიანი მმართველის – ლენინის მიერ შეკონინებული ბანდა, ე. წ. XI არმია. საქართველომ მტერს მედგარი წინააღმდეგობა გაუწია. განსხვავებით XX საუკუნეში რუსეთის მეორე აგრესიისაგან (1992 წ.), მაშინ საქართველოს ეროვნულმა ხელისუფლებამ სამშობლოს დასაცავად საყოველთაო მობილიზაცია გამოაცხადა. სტუდენტები ლექციებიდან მიემურებოდნენ ფრონტზე და

სამშობლოსათვის ბრძოლაში თბილისის მახლობლად კვდებოდნენ, რათა სამოცდაათი წლის შემდეგ მამულს შენირული გმირების ძეგლებად აღმართულიყვნენ. ამის ერთი თვალსაჩინო მაგალითია კოტე მაცაშვილის ქალიშვილი, მარო მაცაშვილი, რომელიც უნივერსიტეტის ეზოდან მოხალისედ წავიდა ომში და ხუთას გმირ იუნკერთან ერთად დაეცა. ბოლოს ძალამ თავისი გაიტანა. 1921 წლის 25 თებერვალს თბილისში შემოვიდა დამპყრობელი მეთერთმეტე არმია, რომელსაც მოუძღოდნენ კიროვი და ორჯონიკიძე. დიახ, ჩვენდა სავალალოდ, საქართველოს მტერს, როგორც ეს ჩვენს ისტორიაში არაერთხელ მომხდარა, ამჯერადაც გამყიდველი ქართველი შემოუძღვა. საქართველო დაიპყრო ბოლშევიკურმა რუსეთმა და იგი რამდენიმე ხნის შემდეგ ე. წ. საბჭოთა კავშირში შემავალ რესპუბლიკად გამოცხადდა.

ოციანი წლების ლიტერატურულ სკოლათა და დაჯგუფებათა შორის განსაკუთრებით ოთხი გამოირჩეოდა: ქართველი სიმბოლისტები, ანუ „ცისფერყანწლები“, აკადემიური ასოციაცია, ფუტურისტები და პროლეტარული მწერლობა.

**„ცისფერყანწლები“** – ახალგაზრდა პოეტმა, პაოლო იაშვილმა, XX საუკუნის ათიან წლებში პარიზიდან სიმბოლისტთა პოეტური კრებულები და ამ ერთ-ერთი უდიდესი და თვითმყოფადი, სახელოვანი ლიტერატურული სკოლის ესთეტიკური პრინციპები ჩამოიტანა.

სიმბოლიზმი, როგორც ცნობილია, ევროპაში ჩაისახა, როგორც შემოქმედებითი ინტელიგენციის რეაქცია იმპერიალიზმის პერიოდში გამეფებული ყოფის მიმართ. ეს მიმდინარეობა ხელაღებით უარყოფს კლასიკურ ლოზუნგს: – „ხელოვნება ხალხისათვის“ და ესთეტიკურ აზროვნებას მხოლოდ და მხოლოდ ერთი მუჭა ელიტის – ე. წ. თანამოაზრეთა საკუთრებად მიიჩნევს. სიმბოლიზმის მიმდევარნი კატეგორიულად აცხადებენ, რომ არ არის საჭირო ხელოვნების ნაწარმოები ყველას ესმოდეს. მხატვარი (მწერალი) უნდა აზროვნებდეს სიმბოლოებით, რომელიც მხოლოდ მისთვის და მისი მკითხველისთვის იქნება გასაგები.

1913 წელს ქართველმა სიმბოლისტებმა გამოსცეს ჟურნალი „ოქროს ვერძი“, ხოლო 1916 წელს – ჟურნალი „ცისფერი ყანწები“.

„ცისფერყანწლთა“ პოეტური ორდენი აშკარად განიცდიდა ფრანგი სიმბოლისტების შემოქმედების გავლენას და სიმბოლისტთა იმ დროს გახმაურებული ლექსები: არტურ რემბოს „მთვრალი

ხომალდი“, პოლ ვერლენის „ყორანი“ და ედგარ პოს „ელდორადო“ მათ თავიანთი ესთეტიკური კრედოს ამოსავალ შემოქმედებით ძეგლებად მიაჩნდათ. კოლაუ ნადირაძე იგონებს, რომ „ცისფერყანწლთა“ პირველი ჯგუფი თანამოაზრე, პოეზიაზე ფანატიკურად შეყვარებული და ლიტერატურის გარდაქმნის მოსურნე ახალგაზრდა პოეტების გაერთიანება იყო. ისე ფანატიკურად იყვნენ გატაცებულნი ფრანგი ძმების შემოქმედებით, რომ პოეტური აზროვნების მწვერვალად მხოლოდ ისინი მიაჩნდათ და ქუთაისის სადარბაზოებში ზოგჯერ გათენებამდე მსხდომი ახალგაზრდა პოეტები, მათი აზრით, იმდროინდელ დამყაყებულ მწერლობას შიგნიდან აფეთქებას უპირებდნენ. კლასიკოსი ქართველი მწერლებიდან უპირველესად პატივს სცემდნენ შოთა რუსთაველსა და ვაჟა-ფშაველას და ამათაც უპირატესად იმიტომ, რომ ამ ორი გენიოსის შემოქმედებაში სიმბოლიზმის ელემენტებს ხედავდნენ. რაც შეეხება ილიასა და აკაკის, პირველს სოციალურ-პოლიტიკურ საკითხებზე გადაყოლილ მოღვაწედ თვლიდნენ, ხოლო მეორეს უბრალო მესაზანდრედ მიიჩნევდნენ.

ქართველ სიმბოლისტთა შეხედულებანი უფრო დაიხვეწა და ლიტერატურული სკოლის ნიშნებით აღიჭურვა ჟურნალ „ცისფერი ყანწების“ გამოსვლით. ჟურნალის რედაქტორი პაოლო იაშვილი გახლდათ. მასვე ეკუთვნის ჟურნალის პირველი ნომრის უაღრესად საინტერესო წინასიტყვაობა, სადაც ვკითხულობთ: „ვცხოვრობთ ნათელში და სიმთვრალეში. გვწამს ყოველგვარი ორგია. ვადიდებთ დამსხვრევის მშვენიერებას. უარყოფთ წარსულს, როგორც მზით განათებულს, ისე ღამეში შეწუხებულს... ძლიერება ხალხის სულს და ავადმყოფ სხეულს... შევერთდით და საქართველოს მომავლის მტრებს ერთხმად შევძახით: „არული!“, „არული!“, „არული!“.

„ცისფერი ყანწების“ პირველი ავტორები იყვნენ: პ. იაშვილი, ტ. ტაბიძე, გ. ტაბიძე, ვ. გაფრინდაშვილი, გრ. რობაქიძე, ი. გრიშაშვილი, ნ. ლორთქიფანიძე და სხვანი.

უნდა ითქვას, რომ „ცისფერ ყანწებში“ დაბეჭდილი ლექსები, ჩანახატები და თარგმანები მაღალი ლიტერატურული ღირსებით არ გამოირჩევა. ჟურნალის ღირებულება ამჟამად უპირატესად ის გახლავთ, რომ „ცისფერყანწლები“ ხშირად გადადიან ლიტერატურის ტრადიციული, მაგისტრალური ხაზიდან ზოგჯერ უცნაურობამდე რებუსური სტრიქონებით ლიტერატურის განახლებას ცდილობენ. უმთავრესი, რითაც შეიძლება „ცისფერი ყანწების“

დამსახურებაზე იმსჯელოს კაცმა, ის გახლავთ, რომ „ცისფერი ყანების“ პირველ ნომერში გამოქვეყნებულია გ. ტაბიძის ორი გენიალური ლექსი: „მთანმინდის მთვარე“ და „ლურჯა ცხენები“.

„ცისფერი ყანების“ ამკარად გამოხატულმა ხელოვნურმა ორიგინალურობამ გააღიზიანა იმდროინდელი საზოგადოება და გაზეთებში დაიბეჭდა არაერთი კრიტიკული გამოხმაურება „ცისფერი ყანების“ შესახებ. ჟურნალის მეორე ნომრის მოწინავე ამ გამოხმაურებათა შედეგი გახლავთ. ავტგორი წერს, რომ საზოგადოებამ ჟურნალს ვერ გაუგო, კონსერვატორმა მამებმა მისი ჩანახლა მოინდომეს და ა. შ. ყური დავუგდოთ მოწინავეს ავტორს: „ჩვენ მოვისმინეთ თქვენი წყევლა, დავინახეთ, როგორ ანთებდით კოცონს ჩვენი მღელვარებით სავსე გულების დასაწვავათ... ვიცით, კიდევ დიდხანს იქნება ჩვენს გარშემო თქვენი საცოდავი ყვირილი“.

როგორც აღვნიშნეთ, ჟურნალმა მეორე ნომრიდანვე შეწყვიტა არსებობა, მაგრამ „ცისფერყანელთა“ ორდენი სიცოცხლეს განაგრძობდა ამ ლიტერატურული სკოლის სხვა გამოცემებში: „მეოცნებე ნიამორები“, „მშვილდოსანი“, „ბარიკადი“, „ბახტრიონი“.

თავდაპირველად ქართველ „ცისფერყანელთა“ სათავეებთან 13 ახალგაზრდა მწერალი იდგა და ისინი თავიანთ მასწავლებლად და სულიერ მამად გრ. რობაქიძეს მიიჩნევდნენ. შემდგომში ორთოდოქს „ცისფერყანელებად“ ჩამოყალიბდნენ პაოლო იაშვილი, ტიცვიან ტაბიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი, კოლაუ ნადირაძე, სერგო კლდიაშვილი, გიორგი ლეონიძე, გრიგოლ რობაქიძე, ნიკოლო მინიშვილი, სანდრო ცირეკიძე, შალვა კარმელი და სხვები.

„ვუარყოფთ წარსულს, ჩვენ გვსურს შევექმნათ გაუგებარი და უცნაური სიტყვები“ – ეწერა „ცისფერყანელთა“ მანიფესტში და ისინი აღიარებდნენ რა სიმახინჯის აპოლოგიას, სერიოზულად თვლიდნენ, რომ „ლამაზი სტატიურია, მახინჯი – დინამიური“, რომ, ჩვეულებრივ, სიფხიზლის მდგომარეობაზე გაცილებით უფრო საინტერესოა მთვრალ მდგომარეობაში ყოფნა, რომ იდეალი ადამიანური შემეცნებისა, ეს არის ჩვეულებრივი ნორმებიდან გადახრა. შეიძლება ბევრი რამ იყოს საკამათო „ცისფერყანელთა“ ესთეტიკურ ნააზრევში, მაგრამ ერთი რამ ნათელია: „ცისფერყანელებმა“ ქართულ ლიტერატურას ჭეშმარიტად განახლების სიო დაჰქროლეს. მათი სწრაფვა ლიტერატურული ევროპეიზაციისაკენ

თუ ბუნდოვნების არეალში მხატვრული აზროვნების შენიღბვა, ერთგვარი პროტესტი იყო იმ დროს მომძლავრებული ბოლშევიკური წითელი ფერისა და იმპერიული იდეოლოგიის წინააღმდეგ, რომელიც ქვეყანას მხატვრული აზროვნების მარნუხებში მოქცევით ემუქრებოდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „ცისფერყანელები“ არ დარჩენილან ფრანგი და რუსი სიმბოლისტების უბრალო ეპიგონებად. მათი შემოქმედება, უპირველეს ყოვლისა, ქართული სინამდვილიდან საზრდოობდა და ამკარად იგრძნობოდა ზოგჯერ პირდაპირი („მაგრამ ჩვენ სხვა დრო წამოგვეწია. ჩვენც, ალბათ, სადმე ჩაგვაძაღლებენ“), ზოგჯერ კი ეზოპური დამოკიდებულება არსებული რეჟიმის მიმართ. 1937 წლის რეპრესიების დროს ხელისუფლების ბნელი ძალები რამდენიმე „ცისფერყანელს“ მთელი სისასტიკით გაუსწორდნენ, სწორედ მათი სიმბოლისტური წარსულის გამო.

**„აკადემიური ასოციაცია“** აღმოცენდა 1917 წელს შექმნილი „ქართველ მწერალთა კავშირის“ ბაზაზე. იგი იყო ძირითადი ბირთვი ქართული მწერლობისა და ილია ჭავჭავაძის შეხედულებათა ერთგულებით გამოირჩეოდა. 1922 წელს კონსტანტინე გამსახურდია წერდა: „ილია ჭავჭავაძე გმირობისა და პატრიოტიზმის აპოლოგეტი იყო, ჩვენ – მისი სულიერი შვილები, ვინც მისი ტრაგიკული სიკვდილის შემდეგ ფეხზე ვდგავართ, მისგან ვისწავლეთ მამაცი მამულიშვილობა და კეთილშობილი საქმისათვის ბრძოლა“.

აკადემიური ასოციაცია, როგორც ლიტერატურული სკოლა, 1921 წელს გაფორმდა და მის შემადგენლობაში ვხედავთ კონსტანტინე გამსახურდიას, კოტე მაყაშვილს, გალაკტიონ ტაბიძეს, ალექსანდრე აბაშელს, იოსებ გრიშაშვილს, ვახტანგ კოტეტიშვილს, ვარლამ რუხაძეს, ლეო ქიაჩელს, პავლე ინგოროყვას, ნიკო ლორთქიფანიძეს და სხვებს.

აკადემიური ასოციაცია სხვადასხვა დროს გამოსცემდა ლიტერატურულ ჟურნალებსა და გაზეთებს: „საქართველოს სამრეკლო“, „ხომალდი“, „ილიონი“, „ლომისი“, „კავკასიონი“, „ახალი კავკასიონი“ და „ქართული სიტყვა“.

1930 წლამდე იარსება ქართველ მწერალთა „აკადემიურმა ასოციაციამ“. 1930 წლის 15 ნოემბერს საქართველოს საბჭოთა მწერლობის ფედერაციის პლენუმმა შალვა რადიანის, ბესო ჟღენტის, სიმონ ჩიქოვანისა და იაკინთე ლისაშვილის წინადადებით დაშალა „აკადემიური ასოციაცია“, ხოლო 1931 წლის 17 მაისს ფედერაციის

პრეზიდენტის სხდომაზე მწერალთა კავშირიდან გარიცხეს „აკადემიური ასოციაციის“ წევრები: კონსტანტინე გამსახურდია, პავლე ინგოროყვა, შალვა შარაშიძე, გერონტი ქიქოძე, ირაკლი ტატიშვილი, იოსებ იმედაშვილი, სიმონ ქვარიანი, სიმონ ჯანაშია, მიხეილ მრეველიშვილი, სიმონ ყაუხჩიშვილი და დიმიტრი უზნაძე. რა იყო „აკადემიური ასოციაციის“ ასე უმონყალოდ დარბევის მიზეზი? „აკადემიურმა ასოციაციამ“ არ მიიღო საბჭოთა წყობილება. ისინი საქართველოს ოკუპირებულ ქვეყნად თვლიდნენ და მიაჩნდათ, რომ 1921 წლის 25 თებერვალი იყო წითელი ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის დღე.

„აკადემიური ასოციაციის“ ერთ-ერთმა წევრმა, იოსებ გრიშაშვილმა, 1921 წლის 25 თებერვალს დაწერა ლექსი – „ახალ ხელისუფლებას“, რომელშიც ვკითხულობთ:

ჰა, აღსრულდა, თქვენ მოხვედით,  
ჩვენც მიგიღეთ ცრემლით ცხელით,  
მაგრამ ხალხი არ შეგინდობთ,  
რომ სხვის ხიშტით შემოხვედით.

„აკადემიური ასოციაციის“ აქტიურ ლიდერად ითვლებოდა კონსტანტინე გამსახურდია. საოცარია მისი ეროვნული პოზიცია სწორედ იმ წლებში, როდესაც ქართული სკოლებიდან უმონყალოდ იდევნებოდა ილია ჭავჭავაძე, ხოლო საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის სურვილი ნაციონალისტობად ეთვლებოდა მწერალს და რეპრესიების მსხვერპლად იქცეოდა იგი. ამ დროს მედგრად აფრიალებდა დროშას „აკადემიური ასოციაცია“ და კონსტანტინე გამსახურდია აცხადებდა, რომ იგი ილია ჭავჭავაძის მიმდევარი და უმცროსი თანამზრახველი იყო.

ოციანი წლების პრესაში ხშირად წაანყდებით კონსტანტინე გამსახურდიას წერილებს, სადაც იგი ეჭვს გამოთქვამს ბოლშევიკური ხელისუფლების მიმართ, ხაზს უსვამს საქართველოს იარაღით დაპყრობით ისტორიულ უსამართლობას და იმ პერიოდში დაწერილ ერთ-ერთ ლექსში ბაგრატიონთა საქართველოს წარსულისადმი აშკარა ეროვნული ნოსტალგიით წერს:

დაეფინა მტკვარს მკერდზე საფირონის სიონი,  
მოკვდა ბაგრატიონი, მოკვდა ბაგრატიონი.

რუსეთის ხიშტით საქართველოს დაპყრობასთან ერთად არა მარტო ბაგრატიონთა მზე, არამედ საქართველოს თავისუფლების მზეც ჩაესვენაო. ასეთია კონსტანტინე გამსახურდიას საიმდროო განწყობილება. ხოლო ცოტა ადრე „დიონისეს ლიმილის“ ავტორის მოქალაქეობრივი სიმამაცე იქამდე მიდის, რომ ახალგაზრდა მწერალი ღია წერილს სწერს, არც მეტი, არც ნაკლები – რუსეთის ახალგამომცხვარ წითელ იმპერატორს, ლენინს. წერილში გატარებულია აზრი პატრიოტი ქართველი კაცისა იმის შესახებ, რომ რუსეთი არ წავიდეს ისტორიის დინების საპირისპიროდ და არ დაიპყროს საქართველო. რუსეთი დიდი ქვეყანაა. მას მიწები და ძალით შემოერთებული კოლონიები არ აკლია, ხოლო საქართველოს ხელყოფით რუსეთი ვერ განიმტკიცებს თავის პოზიციებს კავკასიაში, პირიქით, დაუშვებს რუსი მეფეების ადრინდელ შეცდომას და მთელ კავკასიას გადაიმტკიცებს. რუსეთი დაინტერესებული უნდა იყოს კავკასიაში ერთმორწმუნე, თავისუფალი საქართველოთი. იმპერიის ახალი ტირანის რეაგირება კონსტანტინე გამსახურდიას ამ წერილზე არსად ჩანს. უფრო საფიქრებელია, რომ ლენინი არ იცნობდა ამ წერილს, ხოლო რაც შეეხება იმას, თუ როგორ უგდო ყური ლენინმა კონსტანტინე გამსახურდიას მსგავს „ვიწრო ნაციონალისტებს“, იქიდანაც კარგად ჩანს, რომ სწორედ ლენინის დასტურით შემოვიდა საქართველოში ავადსახსენებელი XI არმია და 1921 წლის 25 თებერვალს დააჩოქა საქართველო. „აკადემიური ასოციაციის“ თავმჯდომარე ერთხანს იყო პოეტი კოტე მაცაშვილი. იგი თანამიმდევრულად იბრძოდა ქართველ მწერალთა ოჯახის გასაერთიანებლად და იმისთვისაც, რომ ეროვნული მწერლობა ეროვნული დროშის ქვეშ დამდგარიყო და ეს დროშა სხვა არა იყო რა, თუ არა ილია ჭავჭავაძისა და მისი მამაცი რაზმის ეროვნულ-განმათავისუფლებელი სიმბოლო-ალამი, რომელსაც ეწერა ერთ მხარეს – ძმობა, ერთობა, თავისუფლება, მეორე მხარეს – ენა, მამული, სარწმუნოება.

პოეტი კოტე მაცაშვილი იმ გმირი ქართველი სტუდენტის მარო მაცაშვილის მამა გახლავთ, რომელიც რუსეთის ინტერვენციის დროს პირდაპირ ლექციებიდან წავიდა კოჯორში. იქ იბრძოდა ლეგენდარულ იუნკრებთან ერთად და მტრის ტყვეით განგმირული დაეცა. საქართველოს გულმდუღარე ჭირისუფალი, კოტე მაცაშვილი, ამ შემთხვევის გამო დაწერილ ლექსში ერთდროულად

დასტირის თავისუფლებანართმეულ თავის სამშობლოს და სიცოცხლენართმეულ თავის ქალიშვილს:

არც სიკვდილის, არც სიცოცხლის,  
ალარა მაქვს ხალისი,  
თებერვალმა დამიზამთრა  
სამუდამოდ მაისი.

ბუნებრივია, ეროვნული იდეებით აღჭურვილი „აკადემიური ასოციაცია“ არაერთგზის იქცა ბოლშევიკური პრესის სამიზნედ. წითელი ხელისუფლება „ხალხის მტრებს“ უწოდებდა „აკადემიური ასოციაციის“ წევრებს. ყოველმხრივ, ყოვლის ღონისძიებით უშლიდა ხელს მათი ჟურნალ-გაზეთების გავრცელებას. ბუნებრივია, ხელისუფლების ამ დანაოლას ვერ გაუძლო „აკადემიურმა ასოციაციამ“ და ოციანი წლების მინურულს მისი წევრები დაიქსაქსნენ. ზოგი სხვა დაჯგუფებებს შეუერთდა, ზოგი კი საბჭოთა მწერლების ოჯახში გაერთიანდა. თუმცა, მათ უმეტესობას ბოლომდე შერჩა ილიას საქმისადმი, ეროვნული სახელმწიფოსადმი ერთგულების გრძნობა.

„ფუტურიზმი“ – მესამე ლიტერატურული მიმდინარეობა ოციანი წლებისა, რომელსაც ლიტერატურის მეისტორიე გვერდს ვერ აუვლის, იყო „ფუტურიზმი“, „ფუტურიზმიც“ ევროპული ლიტერატურის წიაღში დაიბადა და მისი იდეოლოგი იყო იტალიელი პოეტი მარინეტი, რომლის მიერ საუკუნის დასაწყისში დაწერილი მანიფესტი ასეთი მყვირალა ფრაზით იწყებოდა: „ცეცხლი ბიბლიოთეკებსა და მუზეუმებს“. ფუტურიზმი უშუალოდ რუსეთის გზით შემოვიდა ჩვენთან და ქართველ ფუტურისტთა ჯგუფს ამშვენებენ: სიმონ ჩიქოვანი, ბესარიონ ფლენტი, ნიკოლოზ ჩაჩავა, დავით გაჩეჩილაძე და სხვანი. ფუტურისტებმა საქართველოში გამოსცეს თავიანთი პრესა და ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ მოდურ ლიტერატურულ სკოლათაგან საქართველოში ფუტურისტული სკოლა ყველაზე რადიკალური იყო, ხოლო ფუტურისტთა მხატვრული შემოქმედება – რებუსებითა და გაუგებარი სიტყვებით სავსე. ფუტურისტების ჟურნალ-გაზეთებს ერქვა: „H<sub>2</sub>SO<sub>4</sub>“, „ლიტერატურა და სხვა“, „დროული“, „მემარცხენეობა“... ფუტურისტებმა მოითხოვეს სინტაქსის შეცვლა, პუნქტუაციის მოხსნა და მხატვრული სახე-სიმბოლოების ნაცვლად მათემატიკური

ციფრების შემოტანაც კი. ამ მხრივ განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩეოდა ვლადიმერ ხლენიკოვი, თუმცა ფუტურიზმი რუსეთში რამდენადმე გარდაიქმნა, როცა ამ ჯგუფს შეუერთდა უნიჭიერესი პოეტი ვლადიმერ მაიაკოვსკი. აი, ერთ-ერთი მაგალითი ფუტურისტული მწერლობისა. ეს ლექსი დაიბეჭდა ჟურნალში „H<sub>2</sub>SO<sub>4</sub>“.

გოგონა. მოგონა, ხანძარი,  
სოფელი, მოფორა, მოშარა,  
თან სურდა შურდული ხვანჯარი,  
თან შურდა შანდი და შროშანი.

**„პროლეტარული მწერლობა“** – ოციანი წლების მეოთხე მიმდინარეობა პროლეტარულ მწერალთა გაერთიანება გახლდათ და ამ სკოლის სახელწოდებიდანაც კი ნათლად ჩანს, რომ ეს იყო ბოლშევიკების უბემი შეყუყულ მწერალთა ასოციაცია. პროლეტარულ მწერლობაში გაერთიანებულნი იყვნენ: სანდრო ეული, ალიო მაშაშვილი, კარლო კალაძე, კონსტანტინე ლირთქიფანიძე, პანტელეიმონ ჩხიკვაძე და სხვები. გამოსცემდნენ ჟურნალ-გაზეთებს: „ქურა“, „პროლემაფი“, „ლიანდაგი“ და „პროლეტარული მწერლობა“. ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ბოლშევიკური ხელისუფლება ენერგიულად ცდილობდა ქართული მწერლობის არა მარტო იდეურ, არამედ წოდებრივ გადახალისებასაც. მას სურდა, რაც შეიძლება მეტი მწერალი და შემოქმედი ყოფილიყო მუშათა და გლეხთა წრიდან. პროლეტარული მწერლობის წარმომადგენლები ამკარად უპირისპირდებოდნენ სხვა ლიტერატურულ სკოლებს და განსაკუთრებით „აკადემიურ ასოციაციას“. ხოლო თვით პროლეტარ მწერალთა ნაღვანი ხშირად შედგებოდა ასეთი „მარგალიტებისაგან“.

ო, მოვკლავ დედას და მოვკლავ მამას,  
რევოლუცია თუ მეტყვის ამას!

პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია განსაკუთრებული რიხით იდგა მუშურ-გლეხური სახელმწიფოს სადარაჯოზე, ხოლო მათი კრიტიკოსების ნააზრევში ლიტერატურულ განსჯას ხშირად

ენაცვლება აშკარა დასმენა და იგრძნობა ნაწარმოების შეფასება მხოლოდ ერთი – იდეური კრიტერიუმით.

\*\*\*

რას აკეთებს ამ დროს გალაკტიონ ტაბიძე? იგი ხან „ცისფერყანწილებს“ მიეკედლა, ერთხანს „აკადემიურ ასოციაციამ-იც“ ვხედავთ, მაგრამ „ლურჯი ცხენების“ ავტორი ვერა და ვერ თავსდება რომელიმე „იზმის“ პროკრუსტეს სარეცელზე და 1922 წლის 3 დეკემბერს გამოსცემს საკუთარ ჟურნალს, რომელსაც „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი“ ჰქვია. ეს ჟურნალი ლიტერატურის განახლების სურვილით და ამავე დროს ქართული პოეზიის ტრადიციების ერთგულებით არის გამსჭვალული.

\*\*\*

1926 წელს ჩატარდა ქართველ მწერალთა პირველი ყრილობა. ამ ყრილობაზე გამოიკვია, რომ ქართველ მწერალთა ერთ ეროვნულ რაზმად გაერთიანება ამ ეტაპზე ვერ მოხერხდებოდა მათი მრწამსის სხვადასხვაობის გამო. 1928 წელს მწერალთა მეორე ყრილობა შეიკრიბა. ბოლშევიკური ხელისუფლების წარმომადგენლებმა, ვალია ბახტაძემ და ფილიპე მახარაძემ, მწერლებს თითო დაუქნიეს მათივე ტრიბუნიდან და განუცხადეს: „ჩვენ საკმაოდ დიდხანს ვითმინეთ თქვენი დაბნეულობა და ახლა კი ბოლშევიკური საქმეების აშკარა ღალატს აღარ გაპატიებთ“. კიდევ ცოტა ხანს იბოგინეს ტრიბუნანართმეულმა ლიტერატურულმა სკოლებმა და პარტიის ცეკას 1932 წლის აპრილის დადგენილებით მათ არსებობას ოფიციალურად დაესვა წერტილი. საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე გაუქმდა ყველა ლიტერატურული დაჯგუფება და შეიქმნა ერთიანი საბჭოთა მწერლების კავშირი, რომელმაც თავისი პირველი ყრილობა 1934 წელს ჩაატარა.

ამ ყრილობაზე ჟდანოვმა საბჭოთა მწერლების ერთადერთ შემოქმედებით მეთოდად სოციალისტური რეალიზმი გამოაცხადა. სოციალისტური რეალიზმი ჩვეულებრივი რეალიზმისაგან იმით განსხვავდებოდა, რომ იგი გულისხმობდა სოციალისტური სინამდვილის ასახვას მის პერსპექტიულ-ოპტიმისტურ განვითარებაში.

მაშ ასე, ასახეთ ცხოვრება ოპტიმისტურად! – მისცეს მითითება მწერლებს და შემოქმედების უაღრესად ინდივიდუალური მდი-

ნარება ერთიან სოციალისტურ არხში მიუშვეს. „რაკი საბჭოთა ქვეყანაში ცხოვრობ, სიზმრებიც საბჭოური უნდა გქონდეს“, იტყვიან მოგვიანებით ილფი და პეტროვი, რა თქმა უნდა ირონიულად.

სოციალისტური რეალიზმი იმთავითვე იქცა დასავლეთელ ესთეტიკოსთა კრიტიკის საგნად. როგორ შეიძლება, უზარმაზარ ქვეყანაში ხუთათასამდე მწერალს ერთი შემოქმედებითი სკოლა თუ მეთოდი ჰქონდესო, წერდა პარიზში მცხოვრები ლიტერატურისმცოდნე ვიტტე.

მაგრამ საბჭოთა ლიტერატურული ქარავანი უკვე დაძრული იყო და მსოფლიო დისკუსიებში ჩაბმას არ აპირებდა.

სამოცდაათი წლის განმავლობაში მძვინვარებდა დედამიწის ერთ მეექვსედზე ლიტერატურული ალიკაპი სოციალისტური რეალიზმის სახით.



**შალვა დადიანი**  
(1874-1959)

მეოცე საუკუნის ქართულ დრამატურგიას სათავე შალვა დადიანმა დაუდო. დრამატული ქმნილებების გარდა იგი რამდენიმე თვალსაჩინო რომანის, მოთხრობისა და ლიტერატურული მინიატურის ავტორია. ეწეოდა აქტიურ თეატრალურ საქმიანობას როგორც მსახიობი და რეჟისორი. „თეთნულდის“ ავტორის სახელი ქართული კინოს წარმოშობასთანაცაა დაკავშირებული. მან 1911 წელს დაწერა სცენარი ფილმისათვის „ვეფხისტყაოსანი“, ხოლო 1912 წელს – „ბაგრატ IV“.

შალვა დადიანი დაიბადა 1874 წლის 20 მაისს დაბა ზესტაფონში. შალვას მამა ნიკო დადიანი იმდროინდელ საქართველოში ცნობილი პუბლიცისტი და მთარგმნელი გახლდათ. გაზეთ „დროებაში“ ხშირად იბეჭდებოდა სამეგრელოს მთავართა ამ ერთ-ერთი უკანასკნელი ნაშიერის წერილები, ნიკო დადიანი იყო „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისიის წევრი და მშობლიური კულტურის წინსვლისათვის არაერთი სასარგებლო საქმის ინიციატორი და მონაწილე.

მწერლის დედა – ლიდა წულუკიძე იმერელი არისტოკრატის ანტონ წულუკიძის ასული – სათნო და განათლებული ქალი, სამ-

წუხაროდ ადრე გარდაიცვალა (შალვა დადიანი მხოლოდ ოთხი წლისა იყო). დედის გარდაცვალების შემდეგ მომავალ მწერალს ზრდიდა ძიძა – კატო მზარელუა.

ბავშვობა შალვა დადიანმა მამისეულ სახლში, მაშინდელი სენაკის მაზრის სოფელ ბერთემში გაატარა. რვა წლის რომ შეიქნა, ახლობლები ფიქრობდნენ, რომ შალვას სასწავლებელში მიაბარებდნენ, მაგრამ ნიკო დადიანმა, ყველასათვის მოულოდნელად, უარი თქვა „რუსიფიკატორულ“ სკოლაში შვილის მიყვანაზე. ეს იყო პროგრესული ქართველი ინტელიგენტის პროტესტი იმ სკოლის მიმართ, რომელიც ნიკო დადიანისვე თქმით, უმეტესწილად „ჩინოვნიკებს ზრდიდა და ტვინს ულაცებდა ბავშვებს ბერძნულისა და ლათინური ენის გაკვეთილებით“.

მეფის ერთგულ მსახურთა აღმზრდელი სკოლის გაუფლევლობა მხოლოდ კეთილად დაეტყო შალვა დადიანის პიროვნებას. მან დადიანთა უმდიდრესი საგვარეულო ბიბლიოთეკის მეოხებით და განსწავლული მამის ხელმძღვანელობით ენციკლოპედიური განათლება მიიღო. რა სარგებლობას მოუტანდა თავისი ერის სამსახურისთვის ოცნებად ქცეულ ყმანვილს გიმნაზიის გარუსებულ მოხელეთა პუტუნი, როცა თვით ნიკო დადიანის ოჯახი წარმოადგენდა დასავლეთ საქართველოს კულტურული ცხოვრების ერთ საიმედო და მყუდრო ნავსადგურს, სადაც სასურველი მასპინძლის წყალობით დროდადრო იკრიბებოდა ქართველ საზოგადო მოღვაწეთა ძვირფასი ელიტა ილია ჭავჭავაძის, ნიკო ნიკოლაძის, აკაკი წერეთლის, სერგეი მესხის, ბესარიონ ლოლობერიძის, პეტრე უმიკაშვილის, იონა მეუნარგიას, კირილე ლორთქიფანიძის, რაფიელ ერისთავის, დავით კლდიაშვილის და სხვათა შემადგენლობით.

ლიტერატურული საქმიანობისადმი ინტერესი შალვა დადიანმა ადრევე გამოამჟღავნა. დაიწყო ლექსებით. თოთხმეტი წლისა იყო, როცა ხელნაწერი ჟურნალი „მოზარდი“ (1909 წ.) დააარსა. ამ ჟურნალს დიდი გულისყურით ეკიდებოდა ახალგაზრდა მწერალი (ოთხი წლის განმავლობაში ოთხმოცამდე ნომერი გამოცა) და შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი ლიტერატურის ისტორიაში არ არსებობს სხვათა მაგალითი, რომ ხელნაწერი ჟურნალი ასე პროდუქტული, მკაცრ პერიოდულობას დამორჩილებული და თავისი დროის კულტურული ცხოვრების ობიექტურად ამსახველი ყოფილიყო.

„მოზარდში“ ვხვდებით არა მარტო ლექსებსა და მოთხრობებს, არამედ ახალბედა მწერლის ვრცელ საინტერესო კორესპონდენციებსაც ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკურ და ეკონომიკურ საკითხებზე, საკმაოდ კვალიფიციურ ლიტერატურულ-კრიტიკულ სტატიებს და თეატრალურ რეცენზიებს. გასაოცარია შეგნება იმისა, რომ ამ ურთულეს ლიტერატურულ სამუშაოს თავს ართმევდა 14-18 წლის ბიჭი, თვითონ აგროვებდა, ასწორებდა და, რაც მთავარია, თვით იყო უპირველესი ავტორი „მოზარდში“ დაბეჭდილი მასალებისა.

1892 წელს ნიკო დადიანის ოჯახი ქუთაისში გადასახლდა და ჭაბუკ მწერალს მეტი საშუალება მიეცა განეხორციელებინა ოცნება – ხელოვნებისა და თავისი ერის უანგარო სამსახური. ერთი წლის შემდეგ ქუთაისის თეატრის სცენაზე გამოჩნდა მაღალი, პირტიტველა, სასიამოვნო ხმისა და რაინდული მიხვრა-მოხვრის მქონე ყმანვილი, რომელსაც ძირითადად ეპიზოდურ როლებში ასაქმებდნენ. შალვა დადიანის გამსახიობებას მისი არისტოკრატიული წრე დიდი აღფრთოვანებით როდი შეხვდა. ამ პერიოდს ეკუთვნის ახალგაზრდა მსახიობის ჩანაწერი, რომელშიც ხელოვნების სამსახურისთვის მისი ჯიუტი სურვილია გაცხადებული და მომავალი დიდი მწერლის მოქალაქეობრივი სისპეტაკის დასტურიც გახლავთ:

„...არც მამას მოსწონს მაინცდამაინც ეს ჩემი კარიერა, მაგრამ რა ვქნათ... ეს სოფელი ასეთია, მოეთია, მიეთია... მამა მიტომ მიწუნებს, რომ შენგან ქვეყანა მეტს მოელისო და მოვალე ხარ კიდევ მეტი მისცეო, შენ ჩვენს ტანჯულ სამშობლოს სცენაზე გრეხითა და მანჭვით კი ვერ დაუამებ წყლულს, არამედ უფრო ხელმოსაკიდი, სისხლის, ოფლმონანური ღვანლი უნდა დაუდოო. ეს შეიძლება ეგრეც იყოს, მაგრამ ერთი, რომ ლიტერატურის და ხელოვნების წინ წაწევა განა ხალხსაც წინ არ წასწევს? უფრო მეტ ღვანლს რომ მთხოვს, საიდან მთხოვს, მაგისი თავი მე არ მაბია. მე ჩემი ღონის შესაფერისად ვცდილობ, რომ მთლად არ დაფუკარგო უნაყოფოდ ერთი ახალგაზრდა ძალი, რომელიც მე ბუნებამ ჩამაბარა... სანამ პირში სული მიდგია“ („მნათობი“, №12, 1975.გვ.121).

ამ დღიდან სიცოცხლის ბოლო წლებამდე შალვა დადიანს ქართული თეატრის სცენიდან ფეხი არ ჩამოუდგამს. მან ასზე მეტი სპექტაკლი დადგა და სამასამდე როლი შეასრულა. ჩვენი თეატ-

რის ორმოცდაათიანი წლების მაყურებლებსაც კი ახსოვთ, როგორ იდგა ქართული მწერლობის პატრიარქი, ქართული დრამატურგიის კლასიკოსი სტატისტიკის გვერდით სცენაზე და რა გულმოდგინებით თამაშობდა ხშირად სრულიად უმნიშვნელო როლსაც კი. მართალია შალვა დადიანის რეჟისორულ საქმიანობას ქართული თეატრის ისტორიისათვის საეტაპო მნიშვნელობა როდი აქვს, მაგრამ საგულისხმოა თვით ფაქტი იმისა, რომ „გუშინდელის“ ავტორს არასოდეს ჰქონია ხელოვნებაში ვინრო სპეციალიზაციის და თვითმიზნური „გაპროფესიონალების“ სურვილი. ამ საკითხში ჩვენი მეცხრამეტე საუკუნის მწერლები დიდებულ მაგალითს იძლევიან; ალექსანდრე ყაზბეგი დიდხანს ცეკვავდა „ქართულს“ პროვინციულ სცენაზე, როგორც მოხეტიალე დასის მსახიობი, გიორგი წერეთელი თავს სოფლის მეურნეობის სპეციალისტად თვლიდა, ხოლო შიო არაგვისპირელი მთელი სიცოცხლის მანძილზე ბეითლად მუშაობდა და სრულიადაც არ ეთაკილებოდა, რომ მას „გიულისა“ და „ციცინათელას“ ავტორს ზოგჯერ შუალამისას შეაწუხებდნენ და ფურ-კამეჩის სამკურნალოდ მიარბენინებდნენ. დღეს ვინ არ იცის, რომ მათთვის უპირველესი საფიქრალი მწერლობა იყო, მაგრამ დიდხანს ვერ „ბედავდნენ“ („თავი არ ეღირსებოდათ“) ჩვენი ლიტერატურის ეს წმინდა მამები მხრებზე პროფესიონალი მწერლის მანტია მოეგდოთ და „ორომტრიალს ამა ცხოვრებისას“ გარიდებოდნენ.

1893 წელს შეასრულა კოტე მესხის თეატრში შალვა დადიანმა თავისი პირველი როლი და იმ წელსვე გამოსცა ლექსების პირველი კრებული („ნაპერწკალი“) ქუჯის ფსევდონიმით.

1905 წლის რევოლუციის წინა დღით შალვა დადიანს მოსკოვში ვხედავთ. უნივერსიტეტში სწავლის მისაღებად ჩასულმა ახალგაზრდა მწერალმა ვერც ამჯერად განახორციელა თავისი განზრახვა, რადგანაც ამ დროს უკვე მტკიცედ ჩამოყალიბებული პროლეტარულ-დემოკრატიული იდეების მქონე შალვა დადიანმა, ბუნებრივია, ვერ შეძლო გულგრილი დარჩენილიყო რევოლუციის მოახლოებული გუგუნის მიმართ. მან სტუდენტთა ერთ-ერთ გამოსვლაში მიიღო მონაწილეობა და პოლიციის დევნას რომ გარიდებოდა, სამშობლოსაკენ გამოემურა.

ამ წლებში შალვა დადიანი აქტიურ ლიტერატურულ და პროპაგანდისტულ მუშაობას ეწევა. რევოლუციის მხარდაჭერის უტყუარ ფაქტებად შერჩა ისტორიას ამ პერიოდში დანერგილი და სცენაზე



განხორციელებული ძველის ნგრევისა და ახლის, პროგრესულის დამკვიდრების იდეით აღბეჭდილი პიესები – „მღვიმეში“ და „როს ნადიმობდნენ“, ეს უკანასკნელი 1907 წელს რეაქციის მძვინვარების პერიოდში შ. დადიანმა თვითონ დადგა ქუთაისის თეატრის სცენაზე, მაგრამ მამხილებლური ტონისა და დიდი რეზონანსის გამო სპექტაკლი მალე აიკრძალა.

ოქტომბრის რევოლუციის წინა წლებში შალვა დადიანმა შექმნა ბალაგანური ტიპის თეატრი „მოგზაური დასი“. ამგვარი თეატრის შექმნას ორი გამართლება ჰქონდა. ჯერ ერთი, ცენზურა იოლად ვერ ბოჭავდა მომთაბარე თეატრს და მეორეც შალვა დადიანი ამგვარი დასით უკეთ ახერხებდა რევოლუციური იდეების პროპაგანდას საქართველოს ყველა კუთხეში. „მოგზაური დასის“ დაუცხრომელი მეცადინეობით შეიქმნა ამ პერიოდში ბათუმისა და სოხუმის დრამატული თეატრები.

აქტიური რევოლუციური საქმიანობისათვის პოლიციამ 1913 წელს ხელმეორედ სცადა შალვა დადიანის დაპატიმრება. საქმე შედგენილი და სანქცია გაცემული იყო, მაგრამ „გეგეჭკორის“ ავტორი ახლაც სასწაულებრივად გადაურჩა თვითმპყრობელობის კლანჭებს.

საქართველოს ტერიტორიაზე შალვა დადიანის თეატრალურ-პროპაგანდისტული მუშაობის გაგრძელება რომ შეუძლებელი შეიქნა, მწერალი ბაქოს გაემგზავრა და 1916-17 წლებში ბაქოს პროლეტარიატს რაზმავდა, როგორც მუშათა თეატრალური დასის მეთაური და სულისჩამდგმელი.

ოქტომბრის რევოლუციის პირველი დღეებიდანვე შალვა დადიანი საქართველოში ბრუნდება და დამოუკიდებელი საქართველოს კულტურის მშენებელთა პირველ რიგებში დგება.

განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო შალვა დადიანისთვის ოცდაათიანი წლები. ამ პერიოდში გამოაქვეყნა მან „გიორგი რუსი“ და ქართული საბჭოთა დრამატურგიის საეტაპო ნაწარმოებები – „კაკალ გულში“ და „თეთნულდი“.

შალვა დადიანის როგორც მწერლისა და მოქალაქის პოზიცია კარგად ჩანს მისი ერთი გამოსვლიდანაც: „ვისურვოთ, რომ ყველას, ყველას ჰქონდეს პური არსებობისა, რომ იყოს ჩვენს შორის ტკბილი, ძმური მეგობრობა, სუყველანი დავეტევიტ ამ ქვეყანაზე, როგორც ეტევა ზღვაში ზვირთი და ვარსკვლავი ცაზე. ვისურვოთ, რომ საუკუნიდან საუკუნემდე ყოველ წლობით უმჯობესდებოდეს

ხალხის ცხოვრება, რომ აღარავინ გრძნობდეს თავს დაჩაგრულად და ადამიანი, რაგინდ პატარა იყოს იგი, ეკუთვნოდეს პატარა ერსა, მაინც სიამაყით იღერებდეს ყელს, როგორც თანასწორი თანასწორთა შორის, რომ რა ენაზეც არ უნდა ლაპარაკობდეს ის და მისი ერი, როგორც არ უნდა ჰქონდეს კანის ფერი, ყველგან, ყველა ვიზაზე და ანკეტაზე თამამად და დაუბრკოლებლივ მონაწირდეს ხელს. მინდა, რომ ყველგან უმღეროდნენ ბედნიერებას, რომ მტრობამ არვის დაუყენოს მერმისს თვალები“ (სიტყვა წარმოთქმული აჭარაში 1954 წლის 17 ოქტომბერს).

გარდა პრაქტიკული სამწერლო და სათეატრო მოღვაწეობისა, შალვა დადიანი თავისი ოფიციალური თანამდებობითაც ჩვენი კულტურის განვითარების საჭესთან იდგა. 1914 წელს იგი ქართველი თეატრალების პირველ ყრილობაზე მსახიობთა ამხანაგობის თავმჯდომარის მოადგილედ, ხოლო 1917 წელს თავმჯდომარედ აირჩიეს. 1921 წელს მას განათლების სახალხო კომისარიატის თეატრებისა და მუსიკალურ განყოფილებათა გამგედ ვხედავთ, ხოლო 1924 წლიდან ქართული კულტურის სახლის დირექტორად მოსკოვში, სადაც იგი ოთხი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა ჩვენი ხელოვნების ამ მნიშვნელოვან კერას. 1928 წლიდან იგი ხელოვნების მთავარი სამმართველოს უფროსია, ხოლო 1935 წლიდან საავტორო უფლებათა დაცვის განყოფილების ხელმძღვანელი. 1945 წლიდან სიკვდილამდე იგი სათავეში ედგა საქართველოს თეატრალურ საზოგადოებას, როგორც მისი დამაარსებელი და სულისჩამდგმელი.

სიცოცხლეში ოთხჯერ გადაუხადეს შალვა დადიანს იუბილე – 1923 წელს, 1939 წელს, 1944 წელს და 1955 წელს. ყოველი საიუბილეო საღამო თავისი უანგარო მოღვაწისადმი ხალხის სიყვარულის დიდი დემონსტრაცია იყო.

სიკვდილამდე ორი თვით ადრე მხცოვანი მწერალი რადიოთი გაესაუბრა თავის ერს. მისი სიტყვა ვალმოხდილი მოღვაწის ოპტიმიზმითა და სიყვარულით გამსჭვალული სიტყვაა: „ასე იტყვიან ჩვენში, კარგი მოწეულიაო. მეც ეგრე მოწეული ვარ, 84 წლის, შენ კი, სიკვდილო, არავითარი მკაცრი ზომები არ მიგიღია. სრულიად არ მესმის ჩემს ახლოს შენი ჩონჩხის ძვლების ჩხრიალი. პირიქით, მეტად ჯენტლმენურად მაგრძნობინებ დაუძლურებას, გულისცემის ზოგჯერ აჩქარებულ ძვრას. ჩემდამი რატომღაც მეტად ზრდილობიანი ხარ. არ გინდა დამაშინო. თუმცა, აგერ ერთი

ხანია გავიძახი, სიკვდილის არ მეშინია-მეთქი და ეს მართლაც ასეა. მოვიდეს თუნდა, აი, ახლა, როდესაც ამ სიტყვებს მე თქვენ გეუბნებით. მართლაც, რა კარგი იქნებოდა, ეფექტური – მე ხომ თეატრის კაცია ვარ, მიყვარს ეფექტები, მოვიდეს თუნდა, რას დამაკლებს. დღეებს ნამართმევს სასიცოცხლოს? დიდი ამბავი. განა არ ვიცი, რომ მე უკვე ჩემი კალო გავლენე, მწერლობაშიც, საზოგადოებრივ მუშაობაშიც. მართალია, გასაკეთებელი კიდევ ბევრია ჩემს ქვეყანაში ჩემისთანა პიროვნებისთვისაც, მაგრამ ასე რომ გავყვეთ, აკაკისა არ იყოს, „რა მოჰკლავს მამულიშვილის სურვილსა“...

„გვირგვინიანების ოჯახის“ ავტორი 1959 წლის 15 მარტს გარდაიცვალა თავისი მემუარების წიგნის („რაც გამახსენდა“) კორექტურით ხელში.

დასაფლავებულია მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა მთაწმინდის პანთეონში.

\*\*\*

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შალვა დადიანის პირველი ნაბიჯი მწერლობაში 1993 წელს ქუჯის ფსევდონიმით გამოცემული ლექსებით („ნაპერწკალი“) დაიწყო. სევდითა და ელეგიური განცდებით აღსავსე ამ ეპიგონურ ლექსებს მალე დაემშვიდობა ავტორი და 1896 წელს „ივერიაში“ გამოაქვეყნა პირველი პროზაული ნაწარმოები „წმინდა ცრემლები“.

შალვა დადიანის ორიგინალური სტილი და, რაც მთავარია, რევოლუციისადმი მისი დამოკიდებულება განსაკუთრებით გამოიკვეთა ცხრაასიან წლებში ქართული პრესის ფურცლებზე (განსაკუთრებით „ცნობის ფურცელში“) მის მიერ გამოქვეყნებული მინიატურების ციკლში, რომელსაც შემდგომში მწერალმა „ჩამოკრულები“ უწოდა.

ამ წლებში გამოქვეყნებული პირველივე მინიატურა განახლების ყიყინითაა სავსე და ბნელი ძალების დამხობისაკენ მწერლის აშკარა მონოდებას შეიცავს:

„ქალაქში გესმით რა ხრიალია?! არა ეს არ ჰგავს მოთქმა-კენესას, ეს ყიყინაა, შორი კი, მაგრამ მყარი, ძლიერი, თითქო შედედდა ძალთა ძალი და ჰე, მქუხარებს.

მესმის საიმედო, გამრული ხმები: ხელი გავმართოთ, ან შევინ-

ძრეთ, ირიჟრაჟაო. აღსდექი მონავ, ან შეიგნე – ბნელში აღარ ხარ! რალად ემხოზი აბა პირქვე, თამამად და წინ!“

შალვა დადიანის მინიატურები – „მონა – ყმა – მუშა“, „მდინარე“, „მეორე მდინარე“, „მზის ჭიატი“, „ხმა“, „ნამოვიზარდენით“ და სხვანი აშკარა რევოლუციური პათოსით გამოირჩეოდნენ და მასათა მობილიზებისათვის სათანადო როლს ასრულებდნენ რევოლუციის წლებში. მინიატურაში „მდინარე“ მწერალი ყოველგვარი ალეგორიულობის გარეშე ხატავს თავისუფლებისათვის მებრძოლი ლაშქრის გრანდიოზულ მსვლელობას:

„ლაშქარი მოდის!

...ბევრი დაშავდა ამ გზაზე; ბევრი გაკანრა გზის ეკალ-ნარმა; ბევრიც ამ უშველებელი მდინარის ზვირთებში გადაიჩნება.

მაგრამ მაინც წინ მივდივართ.

უკვე ველარაფერი შეგვაკავებს!“ („მდინარე“, რჩეული თხზულებანი, ტ.1, გვ.20).

რევოლუციის დროებითმა მარცხმა, სტოლიპინის რეაქციის მძინვარებამ გული როდი გაუტეხა მწერალს. იგი მაშინაც ქართველ ინტელიგენტთა იმ მცირე ჯგუფს ეკუთვნოდა, მომავალს იმედიანი თვალთ რომ შეჰყურებდნენ. რეაქციის წლებს ეკუთვნის შალვა დადიანის ერთი უსათაურო ალეგორია, რომელშიც მოთხრობილია, თუ როგორ დატორა დათვმა (რეაქცია) სიმართლის შვილი – მზეჭაბუკი (რევოლუცია), მაგრამ დათვს ისევ ჩაეძინა, ხოლო „მოფრინდა ზღაპრული ფასკუნჯი და თავისი უებარი ფრთის შეხებით იარას უმრთელებს ჭაბუკს“.

კლასობრივი ბრძოლის სურათებისა და იმდროინდელ სოციალურ ურთიერთობათა ფართო პლანით გამოხატვა მოცემულია შალვა დადიანის მიერ 1905 წლის რევოლუციის დროს შექმნილ პიესებში „მღვიმეში“, „როს ნადიმობდნენ“, „გეგეჭკორი“ და სხვა.

„მღვიმეში“ შალვა დადიანის ერთ-ერთი პირველი პიესაა.

პიესისი სიუჟეტი ალეგორიულ-სიმბოლური სინამდვილის ფონზე იშლება, მაგრამ ძნელი მისახვედრი როდია, რომ მისამართების ამგვარი შენიღბვა ავტორს დასჭირდა მხოლოდ და მხოლოდ ცენზურისათვის თვალის ასახვევად.

ნაწარმოების ძირითადი კონფლიქტი მღვიმის სახელმწიფოში დახავსებული თალის დანგრევას უკავშირდება. ერთი მხრივ დგანან „ბედის მჭედელნი“ თალის დანგრევისათვის მებრძოლი ადამიანები, რომელთაც ღრმად სჯერათ, რომ სიბნელისა და მონობის

სიმბოლოს – თალის ჩამოქცევით მღვიმეში მზე და თავისუფლება დამკვიდრდება. ხოლო მეორე მხარეს დგანან „ხავსის მოყვარულნი“, ძველი რეჟიმის დამცველნი, დარწმუნებულნი იმაში, რომ თალის დანგრევით ბოლო მოეღებოდა საუკუნეებით განმტკიცებულ კლასობრივ იდილიას და ერთბაშად ჩამოშვებული მზე თავისუფლებას მიუჩვეველ ადამიანებს დააბრმავებს.

საქმე ამ მარტივი ალეგორიით როდი მთავრდება: „მღვიმეში“ უაღრესად რთული და ნოვატორული პიესა იმიტომაც არის, რომ შალვა დადიანმა შეძლო ისტორიკოსის შეუმცდარი თვალთ გამოეხატა რევოლუციის მამოძრავებელთა, მოწინააღმდეგეთა და რევოლუციის დამგზავრებულთა სულისკვეთება კონკრეტულ პერსონაჟთა მისწრაფება-შეხედულებების ჩვენებით.

„მღვიმეში“ მკაფიოდ ჩანს მეზობელი მუშა (მუშა ფიცხელა), რადიკალურად განწყობილი წვრილი ბურჟუაზია (სახიერი და მზენათი), ანარქისტული შეხედულებების ინტელიგენცია (მგოსანი ზენისი), კონსერვატიულ-რეაქციული თავადაზნაურობა (დედოფალი, ქურუმთქურუმი), თავადაზნაურული ინტელიგენციის პროგრესული ნაწილი (ნაზიბროლა) და მსხვილი ბურჟუაზიის იდეოლოგია (უშუყ-ვეზირი).

მუსა ფიცხელა ომახიანად აცხადებს:

„გამოვალთ ჩვენ, შავი ხალხი, შიშველ-ტიტველნი, მაგრამ თავისუფალნი და ჩვენის გაშლილის თითებით დავლენავთ იმ ბუნაგებს, სადაც ჩვენი დამლუპველნი ჩაბუდებულან. დავანგრევთ ამ მყარ კედლებს, სულის შემხუთველს, ჩამოვთხლევთ ამ ხავსს, კედლების გამამაგრებელს და ჩვენვე დავანგრევთ თალს, ესე მყარსა და მტკიცეს. ჩვენ ჩამოვშლით მას და ჩამოვშვებთ იმ საუცხოო მზეს, რომელიც ყველას აგრე ენატრება. მაშ, გაუმარჯოს მუშა ხალხს!“.

„მღვიმეში“ იმ დროს იწერებოდა, როცა 1905 წლის რევოლუცია ზენიტში იყო და მწერლის ფანჯარაში ნაძალადევისა და ნასაკირალის ყიჟინა შემოდოდა. შალვა დადიანმა თავისებურად იწინასწარმეტყველა რუსეთის პირველი რევოლუციის ფინალი: აზვირთებული მასის შეტევამ თალი ძირს დასცა. მღვიმე მზის თვალისმომჭრელმა ელვარებამ გაანათა: მუშა ფიცხელა შეეწირა თავისუფლებისათვის ბრძოლის სტიქიას, ხოლო ხელისუფლებისათვის ბრძოლის ანარქიაში უშუყ-ვეზირმა მოახერხა მუშათა სისხლით მოპოვებულ თავისუფლებაზე ხელის მოთბობა. ძალაუ-

ფლება ყალბი დაპირებების ოსტატმა, გაიძვერა უშუყ-ვეზირმა ჩაიგდო ხელთ. ამ ფინალით ავტორმა ხაზი გაუსვა 1905 წლის რევოლუციის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ ხასიათს და პიესის საერთო პათოსით მუშათა საქმის საბოლოოდ გამარჯვების დიდი ისტორიული სიმართლე გვიქადაგა.

რევოლუციის პერიოდის თემას, რაც ავტორმა ზემოხსენებულ პიესით დაამუშავა, უშუალოდ აგრძელებს „ერთმოქმედებიანი სანახაობა – „როს ნადიმობდნენ“. ამ პიესით შალვა დადიანი იმდროინდელი ურთიერთობების და ხალხის სხვადასხვა ფენის სულისკვეთების უზუსტეს მხატვრულ გარდასახვას აღწევს. იმდენად ტიპიურია პიესის პერსონაჟები, ისე ზუსტად მოარგო მწერალმა თითოეულ მათგანს თავიანთი კლასის ზნეობრივი თუ ეკონომიკური პრინციპები, რომ მოქმედი პირების უმეტესობას კონკრეტული სახელი არც კი გააჩნია. სანადიმო სუფრას უსხედან საუკუნეობრივი რუტინიზმით მოღლილი, თავიანთ ბედსა და სოციალურ როლს შეგუებული პერსონაჟები: ბატონი, ქალბატონი, ბერი, მეცნიერი, მგოსანი და სხვანი.

ნადიმს გაძვალტყავებული გლეხი უახლოვდება, მაგრამ მისი ცრემლიანი თხოვნა სუფრაზე თავისი ადგილი გამოუძებნონ, „ძლიერთა ამა ქვეყნისათა“ სასაცილოდ არ ჰყოფნით და სწორედ ამ დროს გრგვინვასა და მეხთატეხაში სუფრას საიდანაც დააცხრება „მარსელიოზას“ თავზარდამცემი ჰანგი და უკანასკნელი მეჯლისის უბადრუკ მონაწილეთა წინაშე მუშის ღონიერი ფიგურა აღიმართება. განაჩენივით გაისმის მისი მონოლოგი:

„ჩვენს უკან ლაშქარია!...“

...მოვა ეს ლაშქარი და ძალით წაიღებს იმას, რაც სიმართლით მას ეკუთვნის!“

ეპოქის სოციალური სინამდვილის ოსტატური ჩვენებით, ნიად-აგამოცლილი ადამიანების ულიმლამო ცხოვრების ხატვით განსაკუთრებით გამოირჩევა შალვა დადიანის ორი პიესა „შენი ჭირიმე“ და „გუშინდელნი“.

„შენი ჭირიმე“, 1912 წელს დაიწერა. ამ პიესით ავტორმა არა მარტო გადაგვარებული თავადაზნაურობის სულიერი სიცარიელე დაგვიხატა, არამედ წინ წამოსწია და განავითარა მის მიერ ადრინდელ პიესებში კონტურების სახით წარმოდგენილი ბურჟუაზიული ინტელიგენტის სახე.

პიესის სიუჟეტი, ერთი შეხედვით, ისეთი არაორიგინალური და ტრადიციული კონფლიქტის ფონზე იშლება, როგორც გახლავთ სასიყვარულო სამკუთხედი. თავად სოსიკო გრანბატოვანს და გლეხის შვილს, უმაღლესი განათლების მქონე აგრონომს – სოლომონ ბურდულს კნიაჟნა ოლლა შეჰყვარებიათ. წინააღმდეგობა ამ ორ შეყვარებულ რაინდს შორის იქამდე მიდის, რომ ფუქსავატი თავადისგან შეურაცხყოფილი ინტელიგენტი რევოლუციით ჰკლავს თავის მეტოქეს. სიკვდილის წინ სოსიკო გამარჯვებულს – სოლომონ ბურდულს ბედნიერ ცხოვრებას უსურვებს და ხაზს უსვამს, რომ მისი სიკვდილი თავისივე აღვირახსნილი ცხოვრების ლოგიკური შედეგია.

„შენი ჭირიმეში“ მოცემული ტრაგედია ბანალური მელოდრამის შთბეჭდილებას დატოვებდა, რომ სასიყვარულო კონფლიქტი აქ გარეგნული ხერხი არ იყოს პრივილეგიადაკარგული თავადაზნაურობის და პრაქტიციზმით შეპყრობილი ბურჟუაზიული ინტელიგენციის დასაპირისპირებლად. ამ წინააღმდეგობას ღრმა სოციალური ფესვები აქვს. აქამდე ლიტერატურაში ბურჟუა უპირატესად ვაჭრის სახით იყო გამოყვანილი და მისი საზოგადოებრივი გამძლეობა მხოლოდ და მხოლოდ ფულის ყულაბას უკავშირდებოდა, შალვა დადიანმა კი სოლომონ ბურდულის სახით პირველმა ჩასჭიდა ხელი გლეხთა წრიდან გამოსულ ბურჟუა-ინტელიგენტს, რომელსაც საოცარი შემგუებლობის და გამძლეობის გარდა მეცნიერული ცოდნაც უმაგრებს მხრებს. სოლომონ ბურდულის ნიჰილისტურ შეხედულებებში, მის არათანმიმდევრულობაში და რევოლუციის საქმისადმი ზერელე დამოკიდებულებაში ავტორმა იმდროინდელი ინტელიგენციის ერთი ნაწილის მსოფლმხედველობრივი ატროფია გვიჩვენა.

სოფელს განუკითხაობა ღრღინის და სჭამს. „ეკლესია დანგრეულია, სასწავლებელი დაკეტილია, გზები არ ვარგა, ბალი გავერანებულა, ბოგირი ჩაქცეულია“. სწორედ იმ დროს სოფლად ხმა დაირხა, რომ მაზრის უფროსი აპირებს ჩამოსვლას. ამ ეპიზოდით იწყება „გუშინდელი“. ამ კომედიით შალვა დადიანმა სამარცხვინო ბოძზე გააკრა არა მარტო რუსული ჩინოვნიკური „არისტოკრატია“ და მათი მლიქვნელები, არამედ ის ადამიანებიც, საზოგადო საქმე რომ არად მიაჩნდათ და თხუნელასავით თავისი სოროს იქით ვერაფერს ხედავენ. სოფლის გასაჭირზე მაზრის უფროსს უნდა მოხსენდეს. მართალია, ხელისუფლების წარმომად-

გენელი ჩამოსვლისთანავე აცხადებს: „გადაეციტ სოფელს ჩემი გულწრფელი მადლობა და უთხარით, რომ ამჟამად მე საქმისთვის არ ჩამოსვლავარო“, მაგრამ სოფელი მაინც თავისას არ იშლის. უმეტესობას გულუბრყვილოდ სჯერა, რომ მაზრის უფროსი როცა საქმის ვითარებას შეიტყობს, შეეცდება უწამლოს მათს ჭირსა და ვარამს. ვინ შეაბამს კატას ეჟვანს? ვინ წარსდგება უფროსის წინაშე სოფლის სატყვივრით?

მამასახლისი მალხაზ პიტრიშაძე მაზრის უფროსს ვრცელი პათეტიკური სიტყვით მიმართავს და ამ უთავბოლო პანეგირიკში „საქმეზე ლაპარაკი“ დაავინყდება, თავადი კონია მინერალების გასაღებაში შემწეობაზე ევედრება უფროსს, ხოლო მისი მეუღლე საზიარო გზის გაყოფაში დახმარებისათვის, გლეხი ჯიბო კვანტრიშვილი ბოგირის შეკეთების ნაცვლად მამასახლისზე საჩივარს ჩაუჩურთავს ჯიბეში მაზრის უფროსს, ლეგალური სოციალისტი კარლო ყაყუტაძე „მთავრობისგან სასიკეთოს არაფერს მოელის“ და უფროსთან შეხვედრაზე უარს ამბობს. ერთადერთი იმედი დავრდომილი გენერალი ბერდოსანია, მაგრამ ეს უკანასკნელიც ზურგს შეაქცევს სასოფლო საჭიროებას და სტუმარს პენსიის მომატებაზე ესაუბრება.

„გუშინდელი“ დიდი სოციალური ჟღერადობის პიესაა. მას დღესაც არ დაუკარგავს თავისი დიდი ემოციური მნიშვნელობა. მწერალმა „გუშინდელთა“ უბადრუკი ცხოვრების ჩვენებით ჩვენს წინაშე თამამად დააყენა დაქსაქსულობის, საერთო მიზნის უქონლობის, საზოგადოებრივი გულგრილობის პრობლემა.

კომედია „კაკალგულში“ შალვა დადიანმა 1928 წელს დაწერა ჯერ კიდევ მაშინ, როცა ზოგს საეჭვოდ მიაჩნდა „საბჭოთა დრამატურგიაში“ ამ ჟანრის არსებობის შესაძლებლობაც, ქართულ სცენაზე გამოჩნდა ჩვენს სინამდვილეში გაჩენილი ახალი ტიპის ბიუროკრატისა და კანცელარიის ვირთხების წინააღმდეგ მიმართული პირველი ქართული კომედია, რომელიც დადგმისთანავე გახმაურდა.

ერთ დაწესებულებაში თავი მოუყრიათ თავიანთი უმეცრებით, უნიათობით, მლიქვნელობითა და ანგარებით ერთიმეორეზე უფრო „ძლიერ მუშაკებს“. ოთახიდან ოთახში გარბი-გამორბიან კვეჟინაძე, გოჩოლავა, რინკველი, პარასკიდი, ირაკლი და სხვანი და თავიანთი უმწეობით მაყურებლის მრისხანე სიცილს იწვევენ. განმკითხავი არავინ ჩანს. დაწესებულების უფროსის „აღმზრდელ

ქალბატონ მაკას თვალში მოუვა შირმა და სახელმწიფოს საკუთრება დაუფიქრებლად შინ მიაქვს. სადაც ბიუროკრატიას, იქ მექრთამეობაც ჩნდება. მის მზაკვრულ სახეს ვერავითარი შირმა ვერ დაფარავს. პიესაში ასეთ დიალოგს ვხვდებით:

„მე-2 მთხოვნელი – ამ საქმემ შეიძლება ბოლო მომიღოს, უნინ აქ რომ შენი მაგიერი იყო, ვერაფერი გავანყვე იმასთან. ერთი უცოდინარი, ხეპრე კაცი იყო. ვენაცვალე ღმერთს, გადაუგდიათ ახლა... რალაც ამბავი შეხვედრია პარტიაში, რას დავეძებ, ახლა შენ ხარ, ჩემი დიდი ხნის კარგი ნაცნობი და მეგობარი და ნულარ მიჭიანურებ საქმეს. შენი ხელის მონერა უნდა მხოლოდ.

ირინარხი – გეუბნები, მე არაფერი არ მინდა... რა საკადრისია ამისთანა სიტყვები, მხოლოდ ჩვენ ინვალიდთა კასას უნდა შესწირო მეათედი მთელი სუმიისა.

მე-2 მთხოვნელი – ჰო, კარგი, ვიცი... მხოლოდ მეათედი ძალიან ბევრია, ხუთასი მანეთიც გეყოფა.

ირინარხი – მე რა? გევაჭრები თუ როგორ არის? ჩემთვის ხომ არ მინდა?

მე-2 მთხოვნელი – ჰო, ვიცი ვისთვისაც გინდა, მაგრამ მეტისმეტად ბევრია, ოჯახი ვერ აიტანს“...

პიესაში განსაკუთრებით მკვეთრად ჩანან მაუდის მონათა, რუს ჩინოვნიკთა უახლოესი ნაშიერნი. ახალ ვითარებაში მათ მხოლოდ სამოსი გამოუცვლიათ, თორემ ფაქტიურად, შეხედულებით, საქციელით, ჭკუა-გონებით ისევ ძველებურად გამოიყურებიან. აი, როგორ ახასიათებს აქტივისტი გოგონა ამ დანესებულების პერსონაჟებს: „ერთი სულ „იასნო დალშეს“ გაიძახის, მაგრამ მისი იასნოსი კაცს ვერა გაუგია რა, მხოლოდ დალშე სად მივყავართ, თვითონაც არ გაეგება. მეორეა და ყოველ ქართულ ფრაზას, ყოველ სიტყვას რუსულად გითარგმნის, თითქო ამითი მაღალი ნოტარიუსის მონმობა უნდა დაარტყასო. და თან ისეთი გველაძეაა, რომ მისგან ხეირიანს ვერაფერს გამოიტან, ერთია კიდევ და მის წინ იუბკიანს ვერავის ვერ გაუვლია, რომ მოურიდებელი და მსუნაგი წინადადებით არ მიმართოს. ამბობენ თანაც მექრთამეა თურმე გაცხარებული და კომბინატორი უსაშველო. არის ერთი კაცი, თითქო ცოცხალ ადამიანსა ჰგავს, მაგრამ მასაც ყველაფერზე ხელი ჩაუქნევია და მხოლოდ ჭორებსა ჰკრეფს“...

ძველისა და ახლის ჭიდილი, კონსერვატიზმისა და უმეცრების წინააღმდეგ შემართული მეცნიერული ჭეშმარიტებით ლიბოგა-

მაგრებული სინამდვილე დაედო საფუძვლად მწერლის მიერ 1931 წელს დაწერილ ტრაგედიას „თეთნულდი“.

როცა თავის მამაპაპეულ ტახტზე მთვლემარე ქორა მახვშმა არგიშდმა შეიტყო, რომ ახალგაზრდა ინტელიგენტები ლაჰილ და გელახსან სვანეთის გასანათლებლად ჩამოსულან, ელდა ეცა; „ყველამ იცოდეს, ჩვენ არსაით ვიძვრით, არსად მივდივართ და ნურც ისინი მოდიან ჩვენკენ“ – ასეთია არგიშდის დევიზი. ცივილიზაციისადმი შიში არგიშდს იმიტომაც უღრღნის გონებას, რომ ექიმი და მეცნიერი მის სოფელში მოდის მისი მოკვეთილი შვილიშვილის ლაჰილის და ამ უკანასკნელის ქმრის – არგიშდის ძველთაძველი მოსისხლის გელახსანის სახით. წინაპართა ტრადიციებისადმი მონური მორჩილება, მამა-პაპათა წმინდა ადგილების ხელყოფის შიში აიძულებს ქორა მახშვს სინათლის წინააღმდეგ უმზაკვრესი გზებით იმოქმედოს. იგი თეთნულდის დასალაშქრავად გამზადებულ გელახსანს თავის შვილიშვილს სოთრანს მიუჩენს, რათა ამ უკანასკნელმა უდანაშაულო მთამსვლელი კლდეზე გადაჩეხოს. ამაოა სოფლის მასწავლებლის ციქვილდის ცდები, არგიშდის ბნელ გონებას სიკეთისაკენ ველარაფერი შემობრუნებს. კიდევ კარგი ახალგაზრდა სვანებს – სოთრანს და გურანდას ეყოთ კეთილგონიერება და ვერაგი პაპის მიერ ნაჩვენებ გზას გადაუხვიეს, მაგრამ ამაყ თეთნულდთან ჭიდილში გელახსან მაინც დაიღუპა. ის-ის იყო სვანეთის ერთ სოფელში კვლავ იღვიძებდა მითი თეთნულდის მიუვალობისა და დაუპყრობლობის შესახებ, რომ თეთნულდის თეთრ შუბლს ფეხი დაადგა ქალმა – ლაჰილმა. ამით მან თავის ღირსეულ ქმარსაც დაუდგა უკვდავების ძეგლი და პატრიარქალური სვანეთის ფსიქიკაშიც დიდი ზნეობრივი გარდატეხა მოახდინა. აკი სწორედ თეთნულდის აღება იქცა სვანეთის სინმინდის შებლავის პირველ ნიშნად არგიშდისათვის და სწორედ თეთნულდზე ჰგოდებდა იგი თვითმკვლელობის წინ: „ფუჭია ამიერით ჩვენი ცხოვრება! სიმტკიცე ჩვენი დამსხვრეულ არს, სინმინდე ჩვენი შეგინებული: აზრი ჩვენი დარღვეული; ზნენი და ჩვეულებანი ჩვენი დამხობილი... აღარა ღირს სიცოცხლე, არა აქვს მას ნიშატი არსობისა...“

თეთნულდის აღება მხოლოდ ერთი სიმბოლური დეტალია პიესის იდეური ხერხემლისა. ახლის მიერ ძველის, დრომოჭმულის დამარცხება აქ გამოხატულია ოცდაათიანი წლების სვანეთის ზნეობრივ-ეთიკური პრობლემების მთელი კომპლექსით,

ახალ ცხოვრებას სვანეთისათვის განახლების გრიგალი მოაქვს; ცრურწმენების, შელოცვების, მახშვისადმი მონური ერთგულების, კერპებისადმი უაზრო თაყვანისცემის სვანეთი კვდება და ახალ სვანეთს უთმობს ასპარეზს.

**„გიორგი რუსის“** ავტორის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს 900-იანი წლების საქართველოს სინამდვილის ამსახველ დრამას **„ნაპერწკლიდან“**. აქ დრამატურგის მიერ გამოგონილი პერსონაჟების გვერდით მოქმედებენ ისტორიული პიროვნებებიც, სიუჟეტის ორიგინალურ განვითარებაში ჩართულია ჩვენი საუკუნის დასაწყისის ბათუმის რევოლუციური ფაქტები; 1901 წლის ახალი წლის ღამე, 1902 წლის 9 მარტის მუშათა დემონსტრაცია, მანთაშევის და როტმილდის ქარხნების მუშათა გაფიცვა და სხვ., პიესის ფინალში ქართველ ბოლშევიკთა ბრძოლის ბუნებრივ გაგრძელებად მოჩანს ლენინისა და სტალინის შეხვედრა ტამერფორსის კონფერენციაზე.

მართალია, ქართული ლიტერატურის ისტორიისათვის საეტაპო ღირებულება და განუმეორებელი ადგილი შალვა დადიანს როგორც დრამატურგს ეკუთვნის, მაგრამ მშობლიურ კულტურას „თეთნულდის“ ავტორმა ამავე დროს დიდი ამაგი დასდო როგორც პროზაიკოსმა. მწერლის მინიატურულ პროზაზე ჩვენ ზემოთ ვისაუბრეთ, ამჟამად შ. დადიანის მრავალრიცხოვან პროზაულ ქმნილებათაგან მხოლოდ ისტორიულ რომან **„გიორგი რუსზე“** საუკუნის პირველი ათწლეულის სინამდვილის ამსახველი ეპოპეა – **„გვირგვლიანების ოჯახზე“** და მემუარების წიგნზე (**„რაც გამახსენდა“**) შევიჩერდებით.

ისტორიული თემატიკით შალვა დადიანი-დრამატურგიც არაერთხელ დაინტერესებულა („გეგეჭკორი, „ბედიის ერისთავი“, „ვარამი“ და სხვ.), მაგრამ მწერლის მიერ ისტორიული წარსულის ღრმა ცოდნა და გარდასული ეპოქის თანამედროვეობის პრობლემატიკასთან მისადაგებით ხატვის უნარი შალვა დადიანმა შესანიშნავად გამოამჟღავნა 1916-1924 წლებში დაწერილი ისტორიული რომანით **„გიორგი რუსი“**.

გარეშე მტრების თარეშით თავგაბეზრებული ქართველი თავადების ერთმა ჯგუფმა სახლთუხუცეს ვარდენ დადიანის ხელმძღვანელობით გადანყვიტა ახალგამეფებულ თამარს ერთმონივნე და ძლიერი სახელმწიფოს უფლისწული შერთოს. ასეთად

იური დოლგორუკის შთამომავალი ანდრეი ბოგოლუბსკის შვილი გიორგი (იური) მიიჩნის. დიდებულთა ამ გადანყვიტებას ის „კეთილმობილური“ განზრახვაც ედო საფუძვლად, რომ „საქართველო ოდიტგან ისწრაფოდა დიდ ჩრდილოეთელ მეგობართან ძმური კავშირის დამყარებისაკენ“, და ცდუნება მით უფრო დიდი იყო, რომ ქართველ ფეოდალებს არასწორი ცნობები ჰქონდათ რუსთა სამთავროების ურთიერთდამოკიდებულებაზე და შეცდომით ფიქრობდნენ, რომ გიორგი რუსს მართლაც „სამასამდე რუსთა მთავარი ემორჩილებოდა“. დიდგაჭარმა ზაქან ზორაბაბელმა მალე მოჰგვარა ქართველთა სამეფო კარს ჩრდილოეთელი სასიძო, რომელმაც თავდაპირველად დიდებულებზე ცუდი შთაბეჭდილება როდი დატოვა. სიკეთითა და სიბრძნით აღსავსე თამარი საქართველოს მომავლისთვის დათანხმდა ამ მისთვის უნებურ ქორწინებას. ქორწინების მეორე დღესვე მიხვდნენ ვარდენ დადიანის მომხრენი, რომ კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ, თამარი სამეფო სკიპტრის დათმობას და ქვეყნის მართვა-გამგებლობის თავისი უცხო ტომის ქმრისთვის გადაბარებას არ აპირებდა. მალე ყველა დარწმუნდა, რომ გიორგი რუსი თამარ მეფის მეუღლედ ვერ გამოდგებოდა. რუსი მთავრების ამ უდღეურ შთამომავალს ჭკუამოკლეობასთან ერთად ლოთობისაკენ მისწრაფება და მამაკაცისთვის ფრიად დამამცირებელი უკუღმართული სენი სჭირდა. კარგა ხანს ითმინა თამარმა თავისი ავადმყოფი ქმარი, კარგა ხანს დაფარა ბრძენმა მეფემ უბედური რუსის საზიზღარი საიდუმლო და ბოლოს კათალიკოსისა და მხარგრძელის დასტურით გიორგი რუსი საქართველოდან გააძევეს. შეურაცხყოფილი სიძე არ დაცხრა. მან მომხრეები იშოვა და ნიალის ველზე თამარის ლაშქართან შებმა გაბედა, მაგრამ სასტიკად დამარცხდა. საქართველოს მეფე დავით სოსლანზე დაქორწინდა. ასეთი გახლავთ გიორგი რუსის სიუჟეტური ხერხემალი.

ამ რომანის შესაქმნელად შალვა დადიანს დიდალი ისტორიული მასალა გამოუყენებია. გარდა „ქართლის ცხოვრებისა“ იგი საფუძვლიანად გასცნობია რუს ისტორიკოსთა წყაროებსაც, რათა გიორგი რუსის ტრაგედია ჭეშმარიტების ბეჭდით დაედასტურებინა. მკითხველი ეცნობა დავით აღმაშენებლის მიერ დაწყებულ იმ დიდ ბრძოლას ერთიანი საქართველოსთვის, რაც თამარის მეფობის ადრეულ წლებში ჯერ კიდევ არ დამთავრებულა. გავლენის

სფეროებისთვის დიდებულთა ურთიერთშულის მიზეზით ხსნის მწერალი თამარის ამ პირველ უიღბლო ქორწინებასაც. ნაწარმოებში მკითხველის ყურადღებას იმსახურებს შთამბეჭდავ პერსონაჟთა მთელი წყება ვარდენ დადიანის, გიორგი რუსის გამზრდელის ბრძენი და წინდახედული რუსის – კუზმას, კახაბერის, კათალიკოსის, რუსუდანის, დავით სოსლანის და სხვათა სახით.

ორმოცდაათიან წლებში დაამთავრა მწერალმა თავისი ტრილოგიად ჩაფიქრებული წიგნის „მენჯი რობუს“ პირველი ნაწილი „გვირგვილიანების ოჯახი“. „მენჯი რობუს“ სხვა წიგნების შექმნა შალვა დადიანს არ დასცალდა, მაგრამ შეიძლება ამთავითვე ითქვას, რომ „გვირგვილიანების ოჯახის“ სახით ქართულ რომანისტიკას შეემატა კიდევ ერთი მონუმენტური ქმნილება, ხოლო ჩვენი საუკუნის პირველი ათეულის საქართველოს სამოქალაქო ისტორიის ვრცელ წიგნს ერთი უტყუარი მხატვრული ქრონიკა.

„ამ ნაწარმოებში შემრჩა მხოლოდ „ნამოქოჩრილი“ ხალხი, შემდეგი მათი საგულისხმო საქციელი, ნებისყოფა და ხასიათის გამოვლინება აუნერელი დამრჩა“ – წერს ავტორი „გვირგვილიანების ოჯახის“ ბოლოთქმაში. მართლაც, ნაწარმოებში მოქმედება ზედ 1905 წლის პარმალზე წყდება, მაგრამ მწერალმა ისეთი მხატვრული სისავსით და დამაჯერებლობით დახატა ეპოქის სოციალურ-ეკონომიკური თავისებურებანი, ძალთა დაჯგუფება მოახლოებული რევოლუციის წინაღობებში და ადამიანთა წინაშე მდგარი მსოფლმხედველობრივი პრობლემები, რომ მკითხველს ადვილად შეუძლია ამოიცნოს არა მარტო მთხრობელის სწორი პოზიცია, არამედ მიმართულებათა ეპოქისეულ სიმრავლეში სათანადო ორიენტირებაც მოახერხოს.

გვირგვილიანების მრავალრიცხოვანი ოჯახი ძველი ფეოდალური ბუდის რუტინული ცხოვრებით ცხოვრობდა, მაგრამ მეცხრამეტე საუკუნის დასასრულს მძლავრმა სოციალურმა ზარებმა იგი საუკუნეობრივი ზამთრის ძილისგან გამოაღვიძა და ახალი ცხოვრების ფერხულში ჩააყენა. ამ ოჯახის ბუდის მაგალითზე მწერალმა თვალნათლივ გვიჩვენა არისტოკრატიული საზოგადოებრივი ინსტიტუტის გარდაუვალი რღვევის პროცესი და ის ტიპური შედეგები, რაც მიიღო კეთილი ნების საზოგადოებამ ამგვარ ოჯახთა სახეცვლილი შთამომავლებისაგან.

რომანი მრავალპლანიანი ნაწარმოებია. ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული მოვლენებით და დახლართული სიუჟეტით

მწერალი ცდილობს საზოგადოების სხვადასხვა ფენის, სხვადასხვა რწმენისა და შეხედულებების ეპოქის პანორამული სურათები წარმოგვიდგინოს.

„გვირგვილიანების ოჯახში“ მაინც გამოირჩევა რამდენიმე უფრო სრულყოფილად გამოკვეთილი სიუჟეტური ხაზი. ერთი გახლავთ ვამეხ ლიპარტილიანის ცხოვრება – ამ „პროგრესული ფეოდალის“ და ტიპიური ლიბერალის დრამატიზმით აღსავსე ყოფა. მეორეა – სოციალ-დემოკრატიული იდეების მატარებელი, რევოლუციონერ ტაია გვირგვილიანის ბრძოლითა და იმედებით აღსავსე გზა, მესამეა გვირგვილიანთა კონსერვატულ მდუმარებას ჩაბლაუჭებული ნექტარინასა და მისი გაიძვერა საყვარლის გუტატის ხაზი. რომანის მეოთხე ასევე ბოლომდე გამოკვეთილი ფაბულური სისტემა გახლავთ შესანიშნავი რუსი ქალის მარინა რიაბინინას და ბეგი გვირგვილიანის ცხოვრების ისტორია. რომანის მრავალრიცხოვან გმირთა მოქმედება, რასაკვირველია, ამით არ ამოიწურება. აქ უსათუოდ უნდა ვახსენოთ ავტორის მიერ შესანიშნავად გამოკვეთილი ფარნა ბჟალავა, მანჩა ჯგერენაია, ობიხშია, კოტია, გუდუდია და, რაც მთავარია, დიდი ცხოვრებისეული სიმართლით დახატული და-ძმა ჩელა და მიქე.


სიცოცხლის ბოლო წლებში შალვა დადიანმა დაწერა მემუარების შესანიშნავი წიგნი „რაც გამახსენდა“. მეოცე საუკუნის ქართული მწერლობის პატრიარქს, რომელმაც ცხოვრების დიდი გზა გამოიარა, მართლაც და ბევრი რამ გახსენებია. ეს წიგნი არა მარტო დროის კოლორიტის აღსადგენადაა ისტორიისათვის ძვირფასი, იგი თვით მწერლის მოქალაქეობრივი სისპეტაკისა და მისი პოზიციის დასახასიათებლადაც ბევრ შესანიშნავ მასალას გვანვდის.

შალვა დადიანის, როგორც ეპოქის მწერლის, განსაკუთრებული ადგილი ჩვენი საუკუნის ლიტერატურაში მისმა მხატვრულმა ინდივიდუალობამაც განაპირობა. შალვა დადიანი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იმ გამონაკლისთა რიცხვს ეკუთვნის, რომელთა შემოქმედებასაც თავისი კვალი ვერ დაატყო ლიტერატურულმა მოდამ. მიუხედავად ათასგვარი ფორმალისტურ-იმპრესიონისტული ცდუნებებისა, რასაც უხვად აწვდიდა მწერალს იმდროინდელი ლიტერატურული სინამდვილე, იგი ბოლომდე ერთგული დარჩა რეალისტური ტრადიციებისა. მკითხველს ხიბლავს შალვა დადიანის მიერ დრამატურგიის კანონების შესანიშნავი ცოდნა (რაც ასე

კარგად ჩანს მის პიესებში) და პერსონაჟთა ოსტატური გამოკვეთი-  
სა და საინტერესო სიტუაციების ხატვის უნარი. რასაკვირველია,  
„თეთნულდის“ ავტორს – როგორც მხატვარს, აქვს ხარვეზები,  
მისი ზოგი პიესა (მაგ., „შავი ქვა“, ან „ცოცხი და ლოკოკინა“) მხ-  
ატვრულად მოიკოჭლებს, „გვირგვილიანების ოჯახი“ კომპოზიცი-  
ურად საგრძნობლად შეუკვრელია და მოსაწყენი პუბლიცისტურ-  
რი მსჯელობებით აშკარად გადატვირთულია, მაგრამ ამ ნაკლს  
თითქმის მთლიანად ფარავს შალვა დადიანის მიერ ცხოვრების  
ღრმა ცოდნა და მოვლენათა ობიექტურად ჭვრეტის უნარი.

მეოცე საუკუნის ქართული დრამატურგიის მამა – შალვა და-  
დიანი ჩვენი აქტიური თანამედროვეა.

## ბრიგოლ რობაქიძე (1880–1962)



კომუნისტური ტირანიის დროს, განსაკუთრებით ორმოციან-  
ორმოცდაათიან წლებში, ფანჯრის დარაბებს რომ მივკეტავდით  
და უცხო ტალღის მოსასმენად რადიოს შემოვუსხდებოდით, ხმის  
საბჭოური ჩახშობის ბრდღვინვა-ღრჭიალში ზოგჯერ გამოაღწე-  
და ხოლმე „თავისუფლების“ დიქტორის ნათქვამი: „დღეს ჩვენი  
სტუმარია გრიგოლ რობაქიძე!“ შიშითა და მოკრძალებით გავი-  
რინდ-გავისუსებოდით. შიშით იმიტომ, რომ გრიგოლ რობაქიძის  
სახელის ხსენებაც კი აკრძალული გვექონდა, მოკრძალებით იმი-  
ტომ, რომ მისი მხოლოდ და მხოლოდ „გველის პერანგი“ ნაგვე-  
კითხა მალულად, ყველაზე საიმედო კაცის ხელით მოწვდილი,  
გაზეთშემოხვეული, გაცრეცილი, ყვითელი წიგნი. მეტი არაფერი  
ვიცოდით გრიგოლ რობაქიძისა და იგი ჩვენს თვალში საიდუმ-  
ლოებით მოცული, ლეგენდარული კაცი იყო „საბჭოთა სამოთხი-  
დან“ გაქცეული და თავისი სამშობლოსათვის ნიადაგ მლოცველი.

რადიორეპროდუქტორში გაისმოდა გრიგოლ რობაქიძის  
მომწუსხველი, ბოხი ხმა. იგი აკაკი ხორავას ხმას წააგავდა და  
„ოტელოს“ ინტონაციებსაც კი ვიჭერდით ტრაგიკული ქართველის  
ოკეანისმიღმურ დაძახილში – „ქართველნო!“



რა ერქვა გრიგოლ რობაქიძის რადიომიმართვებს? „რა უნდა აგონდებოდეს ქართველს“, „მიმართვა ახალგაზრდობისადმი“, „მიმართვა ქართველ ხალხს“, „სულის დაშლა“, „მიმართვა ქართველ მწერლებს“...

რაზე სწუხდა, რაზე ჰგოდებდა, რას მოუწოდებდა მშობლიურ ერს საქართველოს ეს დაღვრემილი ჭირისუფალი?

ბოლშევიზმის დემონურ ძალას ქედი არ მოუხაროთო, „ადამიანი მხოლოდ მაშინაა ადამიანი, როცა თავისუფალიაო“, ვიცი, „საბჭოეთში კაცს შიშის გამო მოსვენებით ვერ დაუძინია“, მაგრამ ქართული ამაყი ჯიშის ყვირლს, ქართულ გენს გაუფრთხილდით. მსოფლიოში ქართული კულტურის დიდი წვლილი გაითავისეთ და როგორმე გასძეღითო. ქართველო მწერლებო, თავი ანებეთ პარტიის კარნახით წერასო, არ ეკადრება განსახურდიას და ლეონიძეს ბელადის ხოტბა და ვერც გრიშაშვილს მოვუწონებ ბერიაზე ლექსის გაშანშალებასო“.

შენყდებოდა ნახევარსაათიანი ქართული სიტყვა რადიოთავისუფლებისა და შეთქმულებივით გამოვდიოდით ქუჩაში. თითქოსდა, დიდს რასმე საიდუმლოს ვატარებდით გულით. გრიგოლ რობაქიძემ ჩვენ მოგვმართა – ქართველ ახალგაზრდებს, ჩვენ დაგვმოძღვრა. უკვე ჩვენი საიდუმლო გვექონდა. ერთმანეთსაც არ ვუმხედდით, რომ სხვებსაც მოესმინა მიუხედავად გრიგოლ რობაქიძის მთრთოლვარე სიტყვა.

დრო გადიოდა. იმპერია ცვდებოდა. ჰაერში საქართველოს თავისუფლების სუნი ტრიალებდა და დღითი დღე უფრო და უფრო ახლოს მოდიოდა ჩვენთან ტანჯული ემიგრაციის სახელოვან შვილთა საქმე და სახელი; გრიგოლ რობაქიძე, ვიქტორ ნოზაძე, მიხაკო წერეთელი, გიორგი გამყრელიძე, ილია კუჭუხიძე, პაპავეზი, კარლო ინასარიძე, გიორგი ყიფიანი...

იმპერიის ნაწილობრივ დაშლას გრიგოლ რობაქიძე ვერ მოესწრო.

1962 წლის 19 ნოემბერს გარდაიცვალა იგი ჟენევაში ლამის უპატრონოდ, მარტოხელა, ბედისაგან დევნილი, მოხუცი, მაგრამ ამაყი და ქედმოუხრელი ბოლომდე.

მერე, როცა კვლავ გვეღირსა მეოცე საუკუნეში სამწლიანი დამოუკიდებლობა, გრიგოლ რობაქიძე მთელი სისრულით წარმოსდგა ქართული ლიტერატურის კაბადონზე.

ხელახლა დაიბეჭდა მისი თხზულებანი. ითარგმნა გერმანულ ენაზე დაწერილი ნაწარმოებებიც.

რასაკვირველია, „აკრძალული ხილის“ სინდრომმა თავისი ჰქმნა. ნებადართული გრიგოლ რობაქიძე აკრძალულ გრიგოლ რობაქიძესთან შედარებით რამდენადმე სხვა თვალთ დავინახეთ, რაკილა რეალური პროფილით მოგვევლინა. მოლოდინის ეიფორიამ გაგვიარა და ახლა საშუალება გვაქვს, ეს მშვენიერი ქართველი მწერალი ლიტერატურისმცოდნის საზომებით „ახლოით განვჩხრიკოთ“ და თავისი ადგილი მივუჩინოთ ქართული მწერლობის ისტორიაში.

რა განაპირობებს გრიგოლ რობაქიძის ორიგინალურ, განუმეორებელ როლს ჩვენი კულტურის წიაღში?

უპირველეს ყოვლისა, მოვლენებისადმი არტისტული, რომანტიკული დამოკიდებულება, განუწყვეტელი ჭიდილი ქართულ სიტყვასთან (თვითეული სიტყვის „სუნის და გემოს გასინჯვასთან“ ერთად მისი ფონეტიკური დანაწევრებაც, ფუძის ძიება სემანტიკურ-ისტორიულ ფესვთა აღმოსაჩენად) განსაცვიფრებელი ეროვნული სიამაყე, რომელსაც მე სრულიად ვეთანხმები, მაგრამ „რაფინირებულ“ ევროპელს შეიძლება ზოგჯერ პროვინციულად მოეჩვენოს, გაუზზარავი, შეუცვლელი რწმენა საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობათვის მებრძოლი პატრიოტისა.

გრიგოლ რობაქიძემ და მისმა რაზმმა ირწმუნეს, რომ ბოლო ორი საუკუნის მანძილზე საქართველოს ყველაზე დიდი მტერი, მისი დამმონებელ-დამპყრობელი რუსეთია და საქართველოს რუსეთისგან ხსნის ისტორიულ გზაზე ყოველგვარი კომპრომისი დაუშვებელია.

გრიგოლ რობაქიძე წერდა რომანებს, მოთხრობებს, ლექსებს, პიესებს, ნარკვევებს, ესსეებს, ლიტერატურულ-კრიტიკულ წერილებს და მეოცე საუკუნის ათიანი წლებიდან მოკიდებული, სანამ „სამშობლოს მოლაღატედ“ და „ხალხის მტრად“ გამოაცხადებდნენ, ქართული მწერლობის ავანგარდში იდგა. მის შემოქმედებაში საოცრად შენივთდა-შედულაბდა და მონოლითურ ლიტერატურულ ფენომენად ჩამოყალიბდა ნაციონალიზმით ლიბოგამაგრებული მოდერნიზმი. ლიტერატურული მოდა ფორმაში, ხოლო შინაარსში – ილია ჭავჭავაძის ხაზის ერთგულება, ქართველი მწერლის ტრადიციული სათქმელის გამოხატვა – ასე შეიძლება დახასიათდეს მწერლის სტილი.

მეოცე საუკუნის ქართულ ლიტერატურაში ავანგარდიზმისა და მოდერნიზმის მამამთავრად იწოდება გრიგოლ რობაქიძე. ენციკლოპედიურად განსწავლული მწერალი არა მარტო ქართული ლიტერატურის ისტორიაში შევიდა უაღრესად ორიგინალური სტილის მქონე პუბლიცისტად, პროზაიკოსად და პოეტად, არამედ ემიგრაციაში წასვლის შემდეგ თავისი დროის ლიტერატურულ ევროპაშიც ფრიად ანგარიშგასაწევ მწერლად ითვლებოდა. გარდა მოდერნისტული ლიტერატურის აკვნის დარწმუნისა, გრიგოლ რობაქიძის დამსახურებაა საუკუნის დასაწყისში კოსმოპოლიტური აზროვნების მოძალების ვითარებაში მოდური ლიტერატურული სკოლისთვის ეროვნული აზროვნების, ეროვნული პრობლემატიკის მორგება და ქართული ფენომენის განსაკუთრებულობის ქადაგება, რაიც ასე საშური საქმე გახლდათ ერთა შორის განსხვავებათა ნიველირებისა და „მსოფლიო მოქალაქის“ ძიების პარადოქსულ შეხედულებათა აყვავების საუკუნეში.

გრიგოლ რობაქიძე 1880 წელს დაიბადა იმერეთში, ვარციხის მახლობლად, სოფელ სვირში. ქუთაისის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ მას ევროპაში მოუხდა სწავლის გაგრძელება. სწავლობდა ტარტუსა და ლაიპციგის უნივერსიტეტებში და, შეიძლება ითქვას, რომ ევროპული განსწავლის წლებმა ჩამოაყალიბა მისი აზროვნების სტილიც და ევროპული კულტურისადმი თაყვანისცემამდე მისული მიდრეკილება, რასაც ახალგაზრდა მწერალი საქართველოში დაბრუნების შემდეგ ფართო საზოგადოების წინაშე დაუცხრომელად ქადაგებდა. ახალგაზრდა ლექტორს დიდი პოპულარობა მოუპოვა ევროპულ და მსოფლიო ცივილიზაციაზე ლექციებით გამოსვლამ ფართო საზოგადოების წინაშე. ერთ-ერთ ლექციას თვით აკაკი წერეთელიც დასწრებია და ფრიად კმაყოფილი დარჩენილა. მას გაზეთ „თემში“ გამოუქვეყნებია სტატია, სადაც ხაზგასმით აღნიშნავს: „მოვესწარ, ვნახე ის, ვისაც მთელი სიცოცხლის განმავლობაში ვნატრობდი – ქართველი ინტელიგენტი“, ათიან და ოციან წლებში გრიგოლ რობაქიძის სახელი ქუხდა. „ახალი“, „ორიგინალური“, „უჩვეულო“ ხშირად გაისმოდა ეს სიტყვები გრიგოლ რობაქიძის შემოქმედების შეფასებად. იგი თითქმის ყველა მიმართულების ლიტერატურული პრესის რედაქციათა სასურველი სტუმარი იყო. განსაკუთრებული მეგობრობა კი სიმბოლისტებთან და, რაოდენ პარადოქსულადაც უნდა მო-

გეჩვენოთ, სიმბოლისტებისაგან რადიკალურად განსხვავებული მიმართულების აკადემიურ ასოციაციასთანაც ჰქონდა.

1923-26 წლებში გრიგოლ რობაქიძე ქართულ თეატრს დაუკავშირდა. თეატრის განახლების ზარი დარეკეს მისმა პიესებმა: „ლამარამ“ და „ლონდამ“. პიესებს, ლექსებს და ესსეებს მოჰყვა იმ დროისათვის პოპულარული რომანი „გველის პერანგი“ (1926 წ.), რომლის ფილოსოფიურ-მითოლოგიური შრეებიც მკითხველთა შორის კამათს იწვევდა, მაგრამ ყველა კრიტიკოსი უკამათოდ ერთ რამეს აღიარებდა: ჩვენს წინაშე არისო უაღრესად ნიჭიერი მწერლის ახლებურად, არატრადიციულად დაწერილი ნიგნი.

ოცდაათიანი წლების შემდეგ, როცა კომუნისტურმა პარტიამ ხელოვნებას თანდათანობით მოუჭირა ცენზურის მარწმუნები, ხოლო „ჩეკა“ ყოველი ცნობილი მწერლის შემოქმედებაში გაფაცვიცებით დაეძებდა რასმე არასაბჭოურს, გრიგოლ რობაქიძემ თავისი უტყუარი მწერლური ინტუიციით იგრძნო საშიშროება და მეუღლის მკურნალობის საბაბით გაემიგრანტდა. 1931 წლიდან ბერლინში ცხოვრობდა, ხოლო 1945 წლიდან – შვეიცარიაში, ჟენევის მახლობლად.

ტრაგიკულად აენყო მწერლის პირადი ცხოვრება. ორივე ქალიშვილი მცირეწლოვანი გარდაეცვალა. ბოლოს წლების განმავლობაში სარეცელს მიჯაჭვული მეუღლეც მოუკვდა და მარტოსულად დარჩენილი, ნოსტალგიით შეპყრობილი დენდი თითქმის ორი ათეული წლის განმავლობაში სამშობლოში დაბრუნებაზე ამო ფიქრით ათენ-ალამებდა და თავის უსამველო სევდას ებრძოდა. საქართველოში გრიგოლ რობაქიძის, როგორც სამშობლოს მოღალატის, ხსენება აკრძალული იყო. ათასში ერთხელ იგი ოფიციალური წერილით თუ შეეხმიანებოდა საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარეს – ირაკლი აბაშიძეს, და იმ პირად წერილებშიც პოეტის საწუხარს ორი რამ წარმოადგენდა: რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობა და მისი სახელისადმი გულგრილი დამოკიდებულება, იქამდეც მისული, რომ მას ვაჟა-ფშაველას ნაწარმოების მოპარვაც კი ბრალდებოდა. ერთ-ერთი უკანასკნელი ნათელი და სამშობლოსთან ზიარების შემთხვევა იყო გრიგოლ რობაქიძისათვის სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე საქართველოს სიმღერისა და ცეკვის დამსახურებული ანსაბლის გასტროლები ევროპაში და გრიგოლ რობაქიძის დასწრება მათ კონცერტებზე. „კაგებესაგან“ შეშინებული ანსამბლის წევრები და ხელმძღ-

ვანელები იქით-აქეთ ყურებით, შიშითა და რიდით ართმევდნენ ხელს პარიკოსან მოხუც ემიგრანტს და, ვინ იცის, ზოგი მათგანი იქნებ ვერც აცნობიერებდა, რომ ეს თვალცრემლიანი ემიგრანტი სხვა არავინ იყო, თუ არა სოციალისტური იდეების რისხვა, ხალხის მტრად წოდებული – გრიგოლ რობაქიძე. ამ გასტროლებთან დაკავშირებით გრიგოლ რობაქიძემ დაწერა ბრწყინვალე წერილი: „ქართული გენია როკვაში განფენილი“, სადაც მან გაიმეორა ადრე „გველის პერანგსა“ და „ესსეებში“ გამოთქმული შეხედულებანი ქართული გენის სიდიადისა და განსაკუთრებულობის შესახებ.

1962 წელს ჟენევაში მის პატარა, ჩვეულებრივ გერმანულ კოტეჯში შეწყდა მარტოხელა გრიგოლ რობაქიძის მაჯისცემა. თავდაპირველად იგი ჟენევაში დაკრძალეს. მერე ქართველ ემიგრანტთა ძალისხმევით პარიზის მახლობლად ლევილის სასაფლაოზე გადაასვენეს. საქართველოში კი გრიგოლ რობაქიძის ლეგალიზაცია ოთხმოციანი წლების დასაწყისში მოხდა, მაშინ როდესაც იმპერიას კბილები მოუცვდა და ერთა დამონების პრინციპით შეკრულმა ამ ბოროტების ხუხულამ ნგრევა იწყო. გერმანიაში გერმანულ ენაზე დაწერილი რამდენიმე ესე და მოთხრობა დღესაც არ არის თარგმნილი ქართულად, გრიგოლ რობაქიძის არქივი დღესაც არ არის მთლიანად ქართველი ერის საკუთრება, რომ მის სულიერ მემკვიდრეს – ქართველ ერს, სრული წარმოდგენა ჰქონდეს „გველის პერანგის“ ავტორის მრავალწინაგოვან შემოქმედებაზე.

დაბრუნდა გრიგოლ რობაქიძის სახელი საქართველოში და შეიძლება ითქვას, რომ აკრძალული გრიგოლ რობაქიძე უფრო პოპულარული იყო საქართველოში იმ დროს, ვიდრე დღეს გახლავთ. თუ ემიგრანტობის მომხიბვლელ, ლეგენდარულ ნათელს ყურადღებას არ მივაქცევთ და ობიექტური შემფასებლის თვლით შევხედავთ, გრიგოლ რობაქიძე, როგორც მხატვარი, რასაკვირველია, ვერ გაუტოლებს თავის შემოქმედებით ფრთებს საუკუნის ქართული პროზის ორ მწვერვალს: კონსტანტინე გამსახურდიას და მიხეილ ჯავახიშვილს.

ამჟამად იწერება ნარკვევები და გამოკვლევები გრიგოლ რობაქიძეზე. ზოგ მათგანში სწორად არის შეფასებული მწერლის ჩვენს ხელთ არსებული მემკვიდრეობა, ზოგი ავტორი კი ამკარად ტენდენციურია და მთელი სერიოზულობით იმასაც კი ამტკიცებს, რომ ფაშისტურ გერმანიაში ცხოვრების დროს გრიგოლ რობაქი-

ძეს ოპოზიციური დამოკიდებულება ჰქონდა ჰიტლერთან და მუსოლინთან და ლამის ფაშისტური რეჟიმის საწინააღმდეგო მოძრაობის წევრობაც დასწამონ. ნამდვილი კი ის გახლავთ, რომ 1941 წელს გერმანიაში ათიათასიანი ტირაჟით გამოვიდა გრიგოლ რობაქიძის ბროშურა: „მუსოლინი“, ხოლო უფრო ადრე იენაში 1939 წელს ასიათასიანი ეგზემპლიარით გრიგოლ რობაქიძის მაშინდელ გერმანიაში საკმაოდ გახმაურებული წიგნი: „ადოლფ ჰიტლერი“.

გრიგოლ რობაქიძის სიმპათიები რაიხის მესვეურთადმი სრულიად ბუნებრივია, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ფაშიზმის ბრძოლაში რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ გრიგოლ რობაქიძე ხედავდა იმპერიისაგან მისი სამშობლოს დახსნის ერთ გზა-საშუალებას და გერმანიის მაღალ წრეებში წინასწარ ამზადებდა რუსეთის დამარცხების შემთხვევაში დამოუკიდებელი საქართველოს აღდგენის საფუძვლებს. მას სძულდა მარქსიზმის გამფეტიშებელი საბჭოთა წყობილება. არა მარტო თავის საეტაპო ნაწარმოებში გამოხატავდა იგი დამთრგუნველი საბჭოური „დემოკრატიზმისადმი“ ზიზღს, არამედ რადიო „თავისუფლების“ ტრიბუნდანაც პირდაპირ მიმართავდა ქართველ ახალგაზრდობას, ხალხს. სამაგალითოდ მოვიხმობ გრიგოლ რობაქიძის 1854 წლის მიმართვას ქართველი ახალგაზრდობისადმი მიუწმინის რადიოდან: „მამური გულით გიხმობთ შორეთიდან ახალგაზრდებო! თუ ჩემი მწერლური ნამლი უცნობია თქვენთვის, სახელი მაინც გაგეგონებათ ჩემი. შემეკითხებით, თუ რატომ დავტოვე საქართველო, ჩვენი მამული და დედული, ეგზომ მშვენიერი და ტკბილი. მოგიხსნობთ: ბოლშევიკები გაჰყვირიან ხალხურ დემოკრატიას ვამყარებთო. სიყალბე ამ სახელდებაშიც ჩანს. „დემოს“ ბერძნულად ნიშნავს ხალხს. მაშასადამე, „ხალხური დემოკრატია“ ასე უნდა იკითხებოდეს – ხალხური ხალხოსნობა... ადამიანი მხოლოდ მაშინაა ადამიანი, როცა იგი თავისუფალია... ვინაა თავისუფალი საბჭოეთში? არავინ! იქ ყველაფერი აკრძალულია... საბჭოეთში შიშის გამო მოსვენებით ვერავის დაუძინია. ეშინია სიზმარში ბოდვით არ წამოსცდეს გულნადები აზრი რაიმე. ასეთია საბჭოეთის სამოთხე. ეს სამოთხე მივატოვე და არა ნამდვილი სამოთხე“ (რადიო „თავისუფლება“, 1954 წელი, სექტემბერი).

გერმანიაში ტყვედ ნამყოფი ერთი მეზობელი იგონებს, რომ გრიგოლ რობაქიძეს ზოგჯერ ახვედრებდნენ საკონცენტრაციო ბანაკებში მყოფ ქარველ ტყვეებს. ეს იყო ფაშისტური პროპაგან-

დის ერთი ხერხი, რომ ჯარისკაცებისათვის შეეძლებინათ თავი-  
ანთი „საბჭოთა სამშობლო“ და გრიგოლ რობაქიძის პირით ეთქვათ,  
თუ რა ფუჭი საქმე იყო ვერმახტის წინააღმდეგ ბრძოლა. გრიგოლ  
რობაქიძე, რასაკვირველია, თავიდან უამბობდა ჯარისკაცებს საბ-  
ჭოთა წყობილების სულისშემხუთველ რეჟიმზე, კაპიტალისტური  
სამყაროს თავისუფლებაზე, მაგრამ იქვე ბოლოს დასძენდა ხოლმე,  
„იცოდეთ, ბიჭებო, მე ტრაგიკული კაცი ვარ, სამშობლოზე ძვირ-  
ფასი და საყვარელი არა არის ამქვეყნად და საერთოდ მშობლი-  
ური ჯოჯოხეთი გერჩინოთ სხვაგან სამოთხესო“.

როცა გრიგოლ რობაქიძეს კითხვით მივმართავდით, ღირს თუ  
არა უცხოეთში დარჩენა, იგი არამც და არამც არ გვირჩევდაო,  
დასძენს ტყვედყოფილი. ასე რომ გრიგოლ რობაქიძე მთელი სი-  
ცოცხლის მანძილზე დარჩა თავისი სამშობლოს გულმხურვალე  
პატრიოტად. მისი ეროვნული სიამაყისა და მამულის ჭირისუ-  
ფლის იერსახისთვის ოდნავადაც არ მიუყენებია ჩრდილი ფაშისტი  
ლიდერებისადმი მცირეოდენი სიმპათიის გაღებას მხოლოდ და  
მხოლოდ მისი უბადრუკი სამშობლოს გადარჩენის მიზნით. რო-  
გორც ზემოთ აღვნიშნეთ, გრიგოლ რობაქიძე მრავალმხრივი მწე-  
რალი იყო. იგი წერდა ესსეებს, კრიტიკულ წერილებს, ლექსებს,  
მოთხრობებსა და რომანებს. გადაჭრით ძნელია თქმა, რა იყო მისი  
შემოქმედების უმთავრესი ჟანრი და რითი დაიწყო: ლექსებით,  
დრამატურგით თუ ესსეებით ლიტერატურული ცხოვრება. იგი  
საქართველოში უკვე ცნობილი პოეტი იყო, „ცისფერყანწელთა“  
ერთ-ერთი იდეოლოგი და „ავანგარდიზმის“ ერთ-ერთი პიონე-  
რი, სახელგანთქმული დრამატურგიც (განსაკუთრებით ლონდას“  
დადგმის შემდეგ), როდესაც გამოაქვეყნა თავისი მთავარი წიგნი  
„გველის პერანგი“.

**„გველის პერანგი“** – სოციალურ-ალეგორიული რომანია. იგი  
გვიამბობს პირველი მსოფლიო ომისა და ოქტომბრის რევოლუცი-  
ის პერიოდის მსოფლიო ამბებზე და ამ პროცესში საქართველოს  
მონაწილეობის მომენტებზე. რომანი ისევე, როგორც გრიგოლ  
რობაქიძის ყველა თხზულება, მძიმედ იკითხება ხაზგასმული რო-  
მანტიკულობის, ჭარბი ფილოსოფიზმისა და სპეციფიური, ერთი  
შეხედვით, ოდნავ ღვარჭნილი, ცოტა არ იყოს „ნაწვალები სტი-  
ლის“ გამო, მაგრამ რომანის მძაფრი სიუჟეტი და ავტორის მკვე-  
თრი პოზიცია ქართული გენის აპოლოგიასთან დაკავშირებული,  
რომანს სულმოუთქმელად წაგაკითხვით და მისი ნოვატორი ავ-

ტორისადმი დიდი სიმპათიით განგანყოფილ. არაერთგვაროვანი იყო  
„გველის პერანგის“ შეფასება. ილია ჭავჭავაძის, დავით კლდიაშვი-  
ლის, ეგნატე ნინოშვილის, აკაკი წერეთლის და შიო არაგვისპირე-  
ლის პროზას მიჩვეულ მკითხველს ერთბაშად ეხამუშა გრიგოლ  
რობაქიძის არაორდინალური მწერლური მეტყველება. რეცენზენ-  
ტებიდან ზოგნი ამბობდნენ, ეს რეზუსური რომანი ანტილიტერ-  
ატურაა, რომლის წაკითხვა არ შეიძლებაო, ზოგნი კი „გველის  
პერანგს“ ახალი პროზის ზარის დარეკვას ადარებდნენ და დიდ  
ლიტერატურულ გზას უწინასწარმეტყველებდნენ.

სპარსეთის ქალაქ ჰამადანში, ისტორიულ ჰეკატანაში ინგ-  
ლისელი მხატვარი, არჩიბალდ მეკეში, თავის საყვარელთან, ოლგა  
ბალაშოვასთან ერთად მოგზაურობს. სპარსეთში მან ერთ-ერთ  
რესტორანში გაიგონა საოცრად მწყობრი, მელოდიური სიმღერა,  
რომელსაც არა ჰქონდა რა საერთო სპარსულ ბაიათებთან. დაინ-  
ტერესდა არჩიბალდ, სუფრას მიუახლოვდა და სიმღერაზე არანაკ-  
ლებ გააოცა სპარსელთაგან განსხვავებული მოქალაქეების ჩაც-  
მულობამ და იერმა. მოქეიფებმა სუფრასთან მიიწვიეს. ისინი  
ქართველები აღმოჩნდნენ. მათი სიმღერის და სადღეგრძელოე-  
ბის მოსმენის შემდეგ არჩიბალდს უცნაური გრძნობა დაეუფლა.  
თითქოს სადღაც ენახა ეს ხალხი... თითქოს სადღაც მოესმინა მათი  
სიმღერა. სხვებთან შედარებით უფრო ახლოს გაიცნო ქართველ-  
თაგან ვამეხი და სერგი პეტრიძე. შინ დაბრუნებულ არჩიბალდს  
არ ასვენებს ქართველებზე ფიქრი. უკვირს არა მარტო მწყობრი,  
რომანტიული წესი სუფრისა და განსაცვიფრებელი სიმღერები,  
უკვირს ისიც, თუ ამ ახალდანყებულ, თავბრუდამხვევ საუკუნეში  
როგორ აძლევენ ქართველები თავს იმის უფლებას, საათობით  
ისხდნენ სუფრასთან და ლხინის დროს ჭირვეული ყოფის ბარი-  
ერები ლამის დაივიწყონ. ამ ფიქრით არის იგი ერთიანად სავსე  
და გაახსენდება მამამისის დანატოვარი პატარა ყუთი წარწერით:  
„გახსენი, როცა ერთი ფიქრით იქნები ლითონივით სავსე“. გახსნა  
ყუთი და იქ აღმოჩნდა ნაწყვეტ-ნაწყვეტი ქრონიკები ირუბაქიძეთა  
გვარის ცხოვრებიდან. ირკვევა, რომ ირუბაქიძე ძველი ქართული  
გვარია, რომ ჯერ კიდევ გრიგოლ ხანძთელის დროს ცხოვრობდა  
მისი ერთ-ერთი წინაპარი, რომელსაც მტრები გამოეკიდნენ და  
ცოლმა სთხოვა: „გადამაგდე, დაე, მე დავილუპო, ოღონდ შენ გა-  
დარჩეო“. ირუბაქიძემ მცირე ყოყმანის შემდეგ გაიმეტა ცოლი და  
ხრამში გადააგდო. გავიდა წლები, მეთევზეებთან ერთ-ერთი სტ-

უმრობის დროს ირუბაქიძეს მოახსენეს, რომ მათთან არის ქალი, რომელიც ქმარმა ხრამში გადააგდო და მათ იპოვეს. ირუბაქიძეს წარუდგინეს ცოლი. სინდისის ქენჯნამ სძლია საყვარელ ცოლთან შეყრის სიხარულს. „რა პატარა ვყოფილვარ, როგორ გაგიმეტე“, ჩაილაპარაკა ირუბაქიძემ და თავი მოიკლა. აი, ასეთი დეტექტიური სიუჟეტებია ირუბაქიძეთა გვარის ისტორიიდან და ბოლოს, ამ ქრონიკების ავტორი თავის პირად ცხოვრებაზე გვიამბობს, მისი გვარი წარმომდგარა ირუბაქიძეთა თავადური გვარიდან, რომ ირუბაქიძეთა გვარის შთამომავლები კახეთში მაცაშვილებად იწოდებიან. მას კახეთში ცხოვრებისას ხუთი შვილი დაეღუპა, შემდეგ გადასახლდა საირმეში. ბოლოს მოკიდა ხელი თავის ერთადერთ შვილს და წავიდა ემიგრაციაში, რათა გვარის გამგრძელებელი გადაერჩინა და თავის ავტობიოგრაფიას თამაზ მაცაშვილი ასე ამთავრებს: მე, თამაზ მაცაშვილი, გადახვეწილი საქართველოდან, ვწერ ბოლო სიტყვას. მეც ხომ ირუბაქიძე ვარ. ჩვენი გვარი ბოლო საუკუნეებში კახეთს დაბინავდა – იყალთოში, მოედვა სენი, ბნედა და შეშლილობა. მამაჩემი იმერეთში გადასახლდა, საირმის ახლოს. იქაც გაჰყვა უბედურება. მოკვდა მამა ავი სენით. დედაჩემი გადაჰყვა ძეობას. მომიკვდა ოთხი ძმა და სამი და. მათში ერთი ძმა მტერს შეაკვდა და მეორე ცხენით ხრამში გადაიჩეხა. დებში ერთი ქმარმა მოჰკლა და მეორე ავმა ზნემ გააქრო, დავკარგე სამი ვაჟი და ორი ქალი. ცოლიც ძეობას გადაჰყვა. დავრჩი მარტო. დამრჩა ოთხი წლის ვაჟი. მომადგა გადაშენება. გავყიდე მამული. მოვაშურე ევროპას, სადაც ყმანვილობაში ვსწავლობდი. მყავს სიყრმის მეგობარი ლორდ კ-რტ. ევროპაში ვაჟიც თან წამოვიყვანე. სახელი „არჩილ“ „არჩიბალდად“ შევუცვალე. გვარად მეძახდნენ „მაცაშ“, „მეკეშად“ გადავაკეთე. სევდა აქაც მკლავდა. რალაც აუხსნელი, მომენატრა საქართველო. მოვისურვე დაბრუნება. ველარ გავბედე. შემდეგ ვაჟი მეგობარს ჩავაბარე. ის უპატრონებს. დავუტოვე 30000 სტერლინგი. მე კი მივალ ბასკეთის მხარეში. თუ მოვრჩი, შვილს ვნახავ, მკლავს სევდა საქართველოსი. გული იხსენებს ლამაზ ნ-ს“.

რა თქმა უნდა, თავისი ფესვების ძიებამ მოიყვანა არჩიბალდ საქართველოში. მანამდე კი გამოიარა არეული ქვეყანა – რუსეთი, თავისი რევოლუციური კოლონიებით, წარმოდგენა შეექმნა ლენინზე, როგორც ამ რევოლუციის ბელადზე.

ოლგა ბალაშოვა შეენიერება ვამეხის გადარჩენას. ბოლოს საირ-

მეში არჩიბალდ მეკეში თავის მამას შეხვდება. ეს არის დრამატული და ტრაგიკული შეხვედრა. ფინალში გაირკვევა, რომ ეს უცნაური მოხუცი, რომელმაც მამაპაპური ხმალი იცნო და კოპიტის ხეებს მოუქნია, თამაზ მაცაშვილი იყო. იგი უკანასკნელმა ალტკინებამ სიკვდილის კარამდე (საფეთქელში ქვა მოხვდა) მიიყვანა.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ რომანს თავიდან ბოლომდე გასდევს ქართული სულის უკვდავების, ქართული გენის განსაკუთრებულობის გრიგოლ რობაქიძეული კონცეფცია.

„გველის პერანგი“ 1926 წელს დაიწერა. სწორედ იმ პერიოდში, როცა ბოლშევიკები მსოფლიო რევოლუციაზე გაჰყვიროდნენ და ერთა ნიველირების, ერთმანეთში გათქვეფის, „საბჭოთა ხალხის“ თეორია სიცოცხლეს იწყებდა. ამ დროს რომელიმე ერის განსაკუთრებულობაზე და მისი გენეტიკური ძირების შესახებ სიტყვის დაძვრა რასიზმის მიმდევრობად ინათლებოდა და თუ იმ ვითარებას გავითვალისწინებთ, ადვილად მივხვდებით, რომ „გველის პერანგი“ ნოვატორული მარტო ფორმით როდი იყო, აი, რას ვკითხულობთ რომანში ქართული ცეკვის შესახებ: „მოშორებით უკრავს საზანდარი (ახლოვდება), ცეკვავენ ლეკურს. ეს სახელი შეუსაბამოა. ლეკს აქ რა უნდა. ეს ცეკვა ქართულია და გარდა ქართველისა მას ვერ იცეკვებს ვერავინ, რასსა არ ეყოფა“.

რომანი „ჩაკლული სული“ გრიგოლ რობაქიძემ 1932 წელს ემიგრაციაში დაწერა, გერმანულ ენაზე. ნაწარმოები სულისშემხუთველი კომუნისტური რეჟიმის წინააღმდეგაა მიმართული და, შეიძლება ითქვას, რომ ამ რომანით მწერალმა ჯერ კიდევ 1932 წელს იწინასწარმეტყველა მრისხანე 1937 წელი.

რომანის მთავარი პერსონაჟია თამაზ ენგური. იგი ნიჭიერი ახალგაზრდა მწერალია. მუშაობს კინოსტუდიის სასცენარო განყოფილებაში და აშკარად არ მოსწონს ახალფეხადგმული კინოს პოლიტიკური აგიტაციის საშუალებად გადაქცევა. იგი თავისუფალი ხელოვნების მომხრეა და პოლიტსცენარებს ათვალწუნებით უცქერის. თამაზის შეხედულებებს აშკარად არ იზიარებენ მასთან „შემთხვევით“ დაახლოებული თანამდებობების პირები: ლატვიელი ბერზინი და ქართველი პოეტი ნიკო ბრეგვაძე, რომელიც პოეტობას მშვენიერად უთავსებს დამსმენის საძრახის მისიას. თამაზს ერთგულად უდგას გვერდით მომხიბვლელი საცოლე – ნატა. ერთხელ, ნადირობის შემდეგ, ლექსების კითხვის დროს, ბერზინი გაბრაზდა: ლენინზე რატომ არ კითხულობთ, ისე იქცე-

ვით, თითქოსდა თქვენთან არც ყოფილა რევოლუციამ, დილაღაც, არ ყოფილა, გიორგი სააკაძის ნაკვალევზე ფეხს ვერ მოიკიდებს რევოლუციამ, პასუხს აძლევს თამაზ ენგურის მეგობარი ლევანი. რასაკვირველია, თამაზისა და ლევანის ეს „ურჩი“ განწყობილება-გამონათქვამები მათივე „მეგობრების“ დახმარებით გროვდება სადაც ჯერ არს. ჩეკა საბაბს ეძებს „სხვაგვარად მოაზროვნეთა“ დასაპატიმრებლად.

თამაზს მწერალთა ყრილობამ დაავალა მისალმებოდა საბჭოთა წყობილების ათი წლისთავს. გამოსვლისას ახალგაზრდა მწერალმა „სხვათა შორის“ თქვა: „რევოლუცია სისხლის გამოშვებაა“. ამ „მკრეხელობას“ ზედ ერთი ფაქტიც დაერთო. თამაზმა ვინმე პეტროვს (როგორც შემდეგ გაირკვევა, იგი ჯაშუში აღმოჩნდა) ათხოვა დოსტოევსკის წიგნი, რომლის არშიებზე თამაზის უნებლიე მინანქრებში ერთგან ეწერა: „ჯულა – რკინის წიდას“ ნიშნავს. ამ გარემოებით ჩეკა უფრო იმიტომ დაინტერესდა, რომ მოსკოვში ერთ-ერთი ეჭვმიტანილი პოლიტიკოსის ჩხრეკისას დოსტოევსკის წიგნის არშიაზე მსგავს მინანქრს მიაკვლიეს და ჰგონიათ ეს, რაღაც ერთიანი ოპოზიციური ორგანიზაციის საიდუმლო შიფრია.

ჩეკა თვლის, რომ საკმარისი სამხილი აქვთ „პოლიტიკური მტრების“ დასაპატიმრებლად. ამიტომაც თამაზს და ლევანს აპატიმრებენ. ფეხმძიმე ნატა დარბის თამაზის გადასარჩენად. ბერზინი, რომელსაც მოსწონს ნატა, დახმარებას აღუთქვამს და, როგორც ჩანს, არც თუ უანგაროდ, სანაცვლოდ ქალის სიყვარულის მოპოვებას ცდილობს. მალე ბერზინსაც დაიჭერენ.

რომანში საბჭოთა წყობილების განმაქიქებელ სხვა პასაჟებთან ერთად არის ერთი თავი – „სტალინის ჰოროსკოპი“, რომელიც იმპერიის ქართველი მეთაურისადმი აშკარა ზიზღისა და პროტესტის გრძნობით არის დაწერილი. ამ თავს რომანის სიუჟეტურ ქსოვილთან ორგანული კავშირი არა აქვს, მაგრამ იგრძნობა, რომ ემიგრანტი მწერალი აშკარად არ იზიარებს ბოლშევიკური იმპერიის ახალგამომცხვარი ბელადის ცხოვრების წესს და „ჩეხვის“ მისეულ მეთოდებს.

შემდეგ რომანში მოვლენები ამგვარად ვითარდება. თამაზს ნებისყოფამ უმტყუნა და ერთ-ერთი დაკითხვის დროს გასცა თავისი მეგობარი ლევანი, რომელმაც იგი ბათუმში ემიგრანტს შეახვედრა.

ლევანი დახვრიტეს. თამაზი კი იმით დასაჯეს, რომ გაათავი-

სუფლეს, რათა გამყიდველის ტიტული ატაროს ცხოვრების დარჩენილ გზაზე. თამაზი მივიდა ლევანის ოჯახში და საშინელ სინდისის ქენჯნას განიცდის ჩადენილი საქციელის გამო. მის განწყობილებას სიმძაფრეს ის გარემოებაც სძენს, რომ ლევანის ოჯახში არ იციან, რომ იგი ცოცხალი აღარ არის. ბოლოს თამაზ ენგურმა თავის მოკვლა გადაწყვიტა, მაგრამ ლევანის ძალღმა მოაბრუნა სიცოცხლისაკენ. მეგობრის საყვარელმა არსებამ სწორედ მაშინ, როცა თამაზმა თავის მოკვლა გადაწყვიტა, ლოკვა-წკმუტუნი დაუწყა.

„ჩაკლული სული“ ინტელიგენციის უმძიმეს ყოფაზე, სწორედ რომ ნათელი ტერორისტების მიერ თავისუფლების „ჩაკლულ სულზე“ დაწერილი, თუმცა აქვე უნდა დავსძინოთ, რომ იგი „გველის პერანგის“ მსგავსი მხატვრული სრულყოფილებით არ გამოირჩევა.

გრიგოლ რობაქიძის სხვა, ემიგრაციაში შექმნილი რომანებიდან გამოსარჩევია 1924 წლის აჯანყების გამომახილით შექმნილი **„გრაალის მცველი“** და დაუმთავრებელი რომანი **„ფალესტრა“**.

გრიგოლ რობაქიძის ლექსები ათიან-ოციანი წლების ლიტერატურულ პერიოდიკაში და ოცდაათიანი წლებიდან ქართულ ემიგრანტულ გამოცემებშია მიმოხილული. როგორც ჩანს, ლექსს ეს საკმაოდ ხელხვაიანი მწერალი იშვიათად მიმართავდა. ქართულად გრიგოლ რობაქიძის ლექსები ორ ათეულს ძლივს აღემატება, რამდენიმე ლექსი გერმანულადაც დაუწერია (მათ შორის განსაკუთრებით საინტერესოა „ჰაინე და ორფეოსი“, „მომაკვდავი არწივი“, „ჟანა დარკი“, „ელვანაკრავი“...) ეს არის სულ.

ამ დროს უკვე ქართველი მკითხველის გონებას ლამის ერთბაშად იპყრობს და მეოცე საუკუნის მოქალაქის სულის კვლევაში სასწაულებს აღწევს გალაკტიონ ტაბიძე, ამ დროს კვლავ მძლავრად გაისმის ვაჟასა და აკაკის ომანხიანი პოეზიის ექო და მაინც კრიტიკოსები გრიგოლ რობაქიძეს ხშირად ახსენებენ, ქართული სიმბოლისტები მას თავიანთი „ცისფერი ორდენის“ წევრად თვლიან და უფრონალ „ცისფერი ყანების“ პირველსავე ნომერში კარს ფართოდ უღებენ. მოგვიანებით გრიგოლ რობაქიძე დაწერს: „მე ვიყავ „ყანწელებთან“ მხოლოდ როგორც მეგობარი, უფროსი, დამხმარე და წამახალისებელი. ხაზს ვუსვამ „მხოლოდ“ რისთვის? რათა აღვნიშნო, რომ ჩემს შემოქმედებაში იყო გულვებულ „სიმბოლოსთან“ ერთად „მითოსიც“.

„სიმბოლოს“ და „მითოსს“ გრიგოლ რობაქიძე არა მარტო თავ-

ვისი პოეზიის, საერთოდ, თავისი შემოქმედების უმთავრეს ნიშნად მიიჩნევს და წერილში „სათავენი ჩემი შემოქმედებისა“ გარკვევით აცხადებს: „ვისაც „სიმბოლო“ და „მითოსი“ არ ესმის, იგი ჩემს შემოქმედებას ვერ გაიგებს. იქვე გარკვევისათვის დასძენს: „ჩვენში დღემდე ვერ განუსხვავებიათ „სიმბოლური“ „სიმბოლისტური-საგან“ – სამწუხაროდ, პოეზია სიმბოლურია იმთავითვე. არასიმბოლური პოეზია ქვეყანაზე არ ყოფილა და არც იქნება“.

„წმინდა ნინოს“ – ასე ჰქვია გრიგოლ რობაქიძის ერთ ფრიად გახმაურებულ ლექსს, რომელშიც არა მარტო პოეტის მსოფლგანცდაა გამოხატული, მისი პოეტური ხელწერის ტიპური თვისებებიც ლამის სრულად შეიცნობა. „წმინდა ნინოს“ 1923 წელსაა დაწერილი. ახალგადავლილია 1921 წლის ომის გრიგალი. საქართველო ოკუპირებულია ვერაგი დამპყრობლის მიერ. ჭეშმარიტი ქართველი ბოლშევიკი ცრემლს ყლავავს და თან საყოველთაო ეროვნული ამბოხებისათვის ემზადება. გრიგოლ რობაქიძე წმინდა ნინოს სახით საქართველოს იმედს ესაუბრება:

იცი – შენი ჯვარი ღვინია ლერწების,  
ტოტებს აიყრიან მეტი ახელებით,  
როცა გადასხლავენ სასტიკი სასხლავით,  
ქალწულო ნინო, ათასჯერ გვენახე,  
შენ გაალერსება დედული ვენახი.

რატომ მოისმის ამ, ერთი შეხედვით, რელიგიურ ლექსში ასე აშკარად ეროვნული რეჟიმი? რატომ უსვამს პოეტი ხაზს წმინდა ნინოსადმი მიძღვნილ, გარეგნულად უხმაურო ლექსში იმ გარემოებას, რომ ქართული ვაზი, ნინოს ჯვარი „მეტი ახელებით“ სწორედ მაშინ აიყრის ყლორტებს, „როცა გადასხლავენ სასტიკი სასხლავით?“ ამის ახსნა ძნელი არ გახლავთ „გრაალის მცველის“ ავტორის იმდროინდელი განწყობილებიდან გამომდინარე.

ლექსში სხვა ადგილზეც გამოსჭვავის საქართველოს ვერდაჩოქების პოეტისეული პოზიცია:

შორითგან გიყურებს, ავს რომ აგაშოროს,  
ხმალამოღებული მზევაჟი ლაშარი,  
ის არის ივერის მცველი და მზვერავი  
და ჯვარსა ვაზისას წაართმევს ვერავინ.

ლექსი ლოცვით მთავრდება:

დაო და დედაო,  
ღვთისმშობლის დობილო,  
ვართ შენზე დანდობილი  
და შენი შენდობით  
არ გადავშენდებით.

მაღალგემოვნებიან მკითხველს, შეიძლება, ყური მოჰქრას ლექსის ფინალის მხატვრულმა უხერხულობამ („შენდობით“, „არ გადავშენდებით“, ორი ზმნის მუსიკალურმა ახლოს ყოფნამ), მაგრამ სხვა მხრივ ლექსი მოქალაქეობრივი გაბედულების ნიმუშია. „წმინდა ნინოს“ რელიგიურ-ეროვნულ იერსახეს პოეტი გაძლების სიმბოლოდ სახავს და მტარვალთა ზრახვებს უპირისპირებს. „სხვა როგორ ვიგულვოთ აქ შენი ნაცვალი!“ მიმართავს პოეტი ვაზის ჯვრით საქართველოში შემოსულ წმინდანს და ეს სტრიქონი ლაიტმოტივად გასდევს მთელს ლექსს.

ვაზის ჯვარში ხედავს გრიგოლ რობაქიძე ქრისტიანობისა და ქართული ფენომენის ერთიანობას და სხვა, უცხო ჯვრით მოსული, მის გულს არ ეკარება:

არ გვინდა, დედაო, სხვა ჯვარი ბერწების,  
არ გვინდა სხვა მიწა და სხვა ნასახლევი.

ვიმეორებ, „წმინდა ნინო“ იმ დროს დაიწერა, როცა ბოლშევიკი ავაზაკები „დიდ რუს ძმასთან“ საქართველოს ხელახლა ჩახუტების საზიზღარ სპექტაკლს თამაშობდნენ. ჩეკა გამადიდებელი შუშით უცქეროდა ლიტერატურას, ხომ არ ღვივისო სადმე ნაციონალიზმის ნაპერწკალი. ასეთ ვითარებაში ეროვნული თავისუფლების ღვთიურ ფიქრს არ სძინავს: გრიგოლ რობაქიძე წერს „წმინდა ნინოს“, იოსებ გრიშაშვილი, ერთი შეხედვით, პოლიტიკის გარეშე მდგარი, პამაკისა და გედის ყელის ტრუბადური იოსებ გრიშაშვილიც კი ისვრის ოკუპანტებისკენ მრისხანე ყუმბარას ლექსით „ახალ ხელისუფლებას“. ამას ჰქვია ერის გვერდით დგომა და არა იმას, ჟურნალისტს სურვილი რომ გაუჩნდება ამ ძნელ დროში ხალხის საყვარელი პოეტი გადაარჩინოს, ეროვნული დაქუცმაცების პროტესტს რომ მოგიძებნის ადრეულ ლექსებში და შენ

საქვეყნოდ რომ ხელს გაასავსავებ – ასეთი რამ ფიქრადაც არ მომსვლია და ნუ შემანუხებთო.

იმპერიათა ჭიდილში არამკითხე მეომრად განვეული, თავის საბრძოლო სამიზნეს, თავის კერას მოცილებული ქართველი კაცის გამოსარჩლებაა გრიგოლ რობაქიძის „ქართველი დედის წერილი ომში გაყვანილ შვილისადმი“.

ეგებ გცივა, შვილო, უცხო მხარეში  
ყინვებია, თურმე, მანდ ნამეტნავი,  
რომ ვიცოდეთ, თუა კიდევ, ნეტავი,  
ცხრათვალა მზე საქართველოს გარეშე.

მოთქვამს ლექსის ლირიკული გმირი – ქართველი დედა და ათასობით მის ბედში მყოფის, ძუძუგამშრალი, ლოდინით თვალე-ბამოლამებული ქალის ურვას ეხმიანება:

ცრემლის დენით დაშრეტილი დედები  
ვეფინებით თმაგაშლილი ტყე-ველთა.  
საქართველოს მიწის საკურთხეველთან  
მიგვაქვს ურვა ძუძუდამშრალ მკერდებით.

პატრიოტული ლირიკის ბრწყინვალე ნიმუშია გრიგოლ რობაქიძის ერთ-ერთი უკანასკნელი ლექსი „მშობელი მიწის მიმართ“. ეს ლექსი, ბუნებრივია, ემიგრაციაშია დაწერილი და ერთგვარი აღსარებაა თავისი შორეული სამშობლოს გასაგონად თქმული, პოეტის სულის ამონაკვნესია, ნოსტალგიით შეპყრობილი სულისა.

აი, როგორ წარმოუდგენია ლექსის ლირიულ გმირს უცხოეთში თავისი მიუსაფარი ყოფნა:

დათუთქულ ლოცვას ძლივს იკავებს ობობას ქსელი.  
ღამურას შრიალს მოაქვს ჩუმად დუმილი მწირის,  
ვხედავ კრეტსაბმელს: ლოკოკინა მილოლავს სველი  
და მეც ვით იგი გამომძვრალი ქურქიდან მცირე  
მოვთქვამ და ვტირი.

ამ ლექსით პოეტმა თითქოსდა იწინასწარმეტყველა თავისი ეული აღსასრული სამშობლოს გარეთ და ღვთიურ წარმოსახვაში იქ ქართველი ქალიც დალანდა, ობოლ ცრემლს რომ გაუყინავს თვალში პოეტის გახსენების კაემანი.

„შენ იცი მხოლოდ, მშობელო მიწავ, თუ რისთვის ვენტე“ – ამ სიტყვებით მიანდობს მშობელ მიწაზე მლოცველი ემიგრანტი მისი წვის დანახვა-შეფასებას მშობლიურ მიწას და შთამომავლობას. ინტიმურ-მედიტაციური ლექსი „მშობელი მიწის მიმართ“ დინამიურია, განწყობილების უშუალობა, ემიგრანტის სულის ტკივილთან დაკავშირებული – მას შინაგანი დრამატიზმით ტვირთავს და სულმოუთქმელად გაკითხვით.

კარლო ინასარიძეს, რომელმაც 1984 წელს მიუნხენში გამოსცა გრიგოლ რობაქიძის ლექსებისა და წერილების მეტნაკლებად სრული კრებული, თავის წინასიტყვაობაში მოაქვს ერთი სტროფი პოეტის ზემოთხსენებული ლექსისა:

მიდამო, მკვდარი, გარუჯული ლანდების კუთხე,  
ძველი საჯვარე, სურნელება დამჭნარი დაფნის.  
სამარის სევდა, მოდუნება მლაშე და ნუთხე,  
ობოლ ხატის წინ აცრემლილი სანთელი თაფლის.

და ასეთ კომენტარს უკეთებს:

„აქ ყოველი სიტყვა, ყოველი წინადადება გარეგან-შინაგანი რიტმითა და ჰარმონიულობითაა გაჟღენთილი, ლაკონიურად და ძუნწად ჩამოსხმული, რაც, თითქოს, მითიურ-რეალისტურ სურათთა რიგია, რომელშიც ფორმის ფორმალური შინაარსი და შინაარსის შინაარსობრივი ფორმა ისე ორგანულადაა შესისხლ-ხორცებული, რომ მკითხველი, თითქოს, „დამჭნარი დაფნის სურნელებასაც კი ყნოსავს. აქ სიტყვა უკვე სურათია, მისი პირველადი ფორმაა; სხვა სიტყვებით: აქ საქმე გვაქვს არა „დაწერილ“, არამედ „ნათქვამ“, „მეტყველებით“, „სურათადქცეულ სიტყვასთან“.

გამორჩეული ადგილი უჭირავს გრიგოლ რობაქიძის შემოქმედებაში ორ ლექსს – „აქლემი და „ვასაკა“.

ათიანი წლების ბოლოს (1918-19) დაწერილ ამ ლექსებს ამკარად ეტყობა მოდერნისტული პოეზიის სუნთქვა. ქართული ლექსის ტრადიციულ თხრობითობას და მეტაფორულობას აქ ენაცვლება ექსპრესიონისტული დეპეშურობა და ზედსართავ მიმღეობების



ჩამოთვლით პორტრეტის შექმნა. პოეტს ამ შემთხვევაში მხოლოდ მოვლენის ხატი აინტერესებს. აღწერით, შტრიხებით ქმნის იგი სიმბოლურ სურათს იმისას, რაც პოეტური ხედვის ფოკუსში მოქცეულა. ეს სურათი კი საოცრად მსუყე და შთამბეჭდავია. მაგალითად:

აყუდებული, აყროყვილი ორკუზიანი,  
ცხუნე სივრცეთა კომმარების უგვანო ბუში.  
ბაიასავით გამომწვარი ზანგელა ბურში,

უცხო, უთვისო, მატანტალა შორიგზიანი.  
ამპარტავანი, ნელი, დინჯი, თავაზიანი,  
მოდუნებული მეოცნებე შორეთის მურში,  
მორცხვი კეკელა მოალერსე, მუსუსი, მრუში,  
გახუნებული, მაგრამ მაინც მარად მზიანი...

### („აქლემი“)

რა ფერებია, რა ზუსტი ბგერწერაა და საერთოდ, აბსტრაქტულის გამორჩევის რა მწერლური ნიჭი ჩანს. უნებლიედ მაგონდება ჩინგიზ აიტმატოვის მიერ დახატული აქლემი ამ რამდენიმე წლის წინათ გამოცემულ მის გახმაურებულ რომანში – „და დღე იყო უფრო დიდი წუთისოფელზე“.

ახლა ვნახოთ ბაყაყს – ვასაკას, როგორ ხატავს პოეტი.

უკარებელი, ზაფრანიან ტანგატრუნული,  
ხავისფერ კანზე მზის ხაოთი სქლად მოწვეთილი.  
სოველში ცოცვით მკერდზე თეთრად გადაცვეთილი,  
რუმი, გვერდულა, ალმაცერა, ცქერაქურდული.

თავისიანებს თავიძულვით ჩამონყვეტილი.  
მუხისა წყლიან ფულუროში გადაბურდული.  
ქოსა, თვალკუსა, ლორწიანი, ცხვირგასურდული.  
სოფლის ავიზნით ცხარე ტვინში ხშირად წყვეტილი.

მხატვრული სახეებით მდიდარ, კომპოზიციურად მტკიცე ამ ლექსებში ახალი არაორდინალური პოეზიის სიო ჰქრის და თუ ხე-

დვის მანერას, ხატვის ფორმალურ მხარეს ჩავეძიებით, უსათუოდ მივალთ იქამდე, რატომაც თვლიდნენ გრიგოლ რობაქიძეს ავანგარდიზმისა და სიმბოლიზმის პირველ მერცხლად საქართველოში.

პოეტური ინტუიციის წინასწარჭვრეტის ნიმუშია გრიგოლ რობაქიძის ლექსი „გერა (პაოლო იაშვილის დოვის მოგონება მაისში“).

ლექსი პაოლო იაშვილის სიცოცხლეშია შექმნილი. ავტორი აღწერს თავისი სულიერი ძმის (პაოლოს „ძმას“ უწოდებს, რ. მ.) ძაღლის სავალალო ხვედრს და ლექსის დასასრულს უეცრად სიუჟეტს ამგვარი სენტენციით შემოატრიალებს:

ლამაზო გერა! ვიცი, ძაღლის წაიღე წყენა.  
ცრემლს ნუ მიჩვენებ, თუ გიყვარდე, ამასა გვედრი.  
ვინ იცის, ეგებ შენი თრევა – მიყვილოს ენამ!  
იყოს აგრეთვე მოშხამული ჩემი ძმის ხვედრი.

მიტოვებული, დავარდნილი ღვთის ანაბარად,  
ეგებ შენსავით იგი ერთხელ ჩაიქცეს ღრეში.  
დაიტირებენ შენს პაოლოს კოლხეთის ბარად  
ჟუჟუნა წვიმა ჩვენი ყანის და რბილი ხრეში...

რა იყო ეს? მოახლოებული ოცდაჩვიდმეტის შორეული გუგუნი? პოეტური გუმანით ნაგრძნობი ხვალისნდელი დღე? ის, რაზეც ცოტა ხნის შემდეგ პოეტი იტყვის – „ჩვენ ახლა სხვა დრო წამოგვეწია, ჩვენც, ალბათ, სადმე ჩაგვაძაღლებენ“.

გრიგოლ რობაქიძე ქართველ სიმბოლისტთა ლიტერატურულ პრესაში სწორედ ლექსებითაა წარმოდგენილი „ცისფერი ყანების“ პირველ ნომერში (1916 წ.) დაბეჭდილია პოეტის ერთი ლექსი – „სირენას სიმღერა“ („რვეულიდან „ლალი და ზურმუხტი“), ხოლო ამავე ჟურნალის მეორე ნომერში ორი „სონეტი ლოცვის“ და „ვერის ხიდზე“.

„სირენას სიმღერა“ მუსიკალურ-რომანტიკული ლექსია. ზღვისა და მზის ჰარმონიით ვნებაბორეული მითიური ქალის სიმღერა-მონოლოგია ასეთი მეტაფორული სიმბოლოებით დატვირთული:

ვერთვი თვლემას, –  
ნელინელ თვალს ენისლება სიზმარეთი,  
აღარ მახსოვს თუ ვინა ვარ, ზღვის თვალი თუ მზის ნაკვეთი.

ასეთივე ეიფორიული, დინამიური, მკვეთრად გამოკვეთილი სიმბოლისტური ლექსია „ვერის ხიდზე“. ლექსის მაჟორული გამანუთისოფლის გიჟური სრბოლის ასოციაციას აღძრავს:

ვერის ხიდზე ქარი გიჟი დავლურს უვლის, სტვენს და ჰკივის,  
ჭინკა ჭინკას მისდევს ცეკვით, კუდიანი ხტის და ჰყივის.

თემატიკით და ინტონაციით ამ ლექსთაგან განსხვავებულია „ცისფერი ყანების“ №2-ში დაბეჭდილი „სონეტი ლოცვის“, რომელსაც გრიგოლ რობაქიძე უძღვნის „ახალ მხედართ: ვ. გაფრინდაშვილს, პ. იაშვილს, ტ. ტაბიძეს, გ. ტაბიძეს“.

ამ ლექსში გრიგოლ რობაქიძის ხელწერისათვის დამახასიათებელი პოეტური შტრიხების თანმიმდევრული დალაგების პრინციპი, ე. წ. დეპეშური პოეტური სტილი სევდიან განწყობილებას, რელიგიურ მისტიკურ მელოდიას ქმნის:

უძირო სევდა, ნელი სევდა, ვით ძილი ქვისა,  
ფიცხელი ფიქრის, მწვავე ფიქრის, წითელი გზნება,  
უნისლო ტევრი, ხშირად ტევრი უსიტყვო თქმისა,  
დამწვარი თვლენა: მყუდრო მკრთალი, დამწვარი ვნება.

გრიგოლ რობაქიძის პოეზიაზე სხვადასხვა დროს თავიანთი შეხედულებები გამოუთქვამთ კიტა აბაშიძეს, იპოლიტე ვართაგავას, ვახტანგ კოტეტიშვილს, კონსტანტინე გამსახურდიას, კონსტანტინე ჭიჭინაძეს, კარლო ინასარიძეს, გიორგი გამყრელიძეს, კალისტრატე სალიას და სხვებს. წერილებში საუბარია გრიგოლ რობაქიძის თითო-ორი ლექსზე და ავტორთა უმეტესობა „აქლემის“ ავტორს ქართული მოდერნიზმის მამამთავრად ასახელებს.

ლამის დაუჯერებლობის ზღვარზეა ცნობილი გერმანელი მწერლების გამონათქვამები გრიგოლ რობაქიძის ლექსებზე, რომელთაც გერმანელები ხელნაწერებში გაეცვენენ.

„განცვიფრებული ვდგავარ – წერდა გრიგოლს პოეტი ფრანკ მარაუნ – საოცარი შეთვისების წინაშე, რომლითაც თქვენ გერმანული ენა და მისი პოეტური გამოთქმების შესაძლებლობანი ჯერ მიუღწეველ, არნახულ დონეზე აიყვანეთ. ჩემი გულწრფელი რწმენაა, რომ რილკეს შემდეგ ასე სრულყოფილად არაფერი გამოსულა გერმანულ ენაზე“.

ასევე აღფრთოვანებულია გრიგოლ რობაქიძის ლექსებით ცნობილი გერმანელი პოეტი და მთარგმნელი, ჰომეროსის განთქმული მკვლევარი ტასილიო ფონ შეფერ: „ძვირფასო მანესტრო! რა შესანიშნავია თქვენი შაირი „მომაკვდავი არწივი“. როგორ შესძელით თქვენ, უცხოელმა, ჩვენი ძნელი გერმანული ენის ისე გაშლა და ამალღება, როგორც ამას ვერ შეძლებდა თვით გერმანელი? შინაარსიდან რა ვიგრძენი, ამას თქვენ მიხვდებით, როგორც დიდი პოეტი. ხოლო ამ შინაარსის ასეთ გამოთქმებში განფენა რომ შესძელით, ეს არის მეტი, ვინემ მაღლი. მე შემშურდებოდა თქვენი გენიისა, რომ რაიმე მიდრეკილება მქონდეს შურიანობისა, მაგრამ რადგან ეს არა მაქვს, დამრჩენია მხოლოდ, აღფრთოვანებული ვიყო თქვენით“ (გერმანელ ავტორთა ორივე ციტატა ამოღებულია კალისტრატე სალიას წერილიდან). მართალია, გოეთეს ერის წარმომადგენელთა ეს შეფასებანი მხოლოდ პირად ბარათებს, ეპისტოლარულ სფეროს განეკუთვნება და ამ სტრიქონების ავტორს ურჩევნოდა ეს აზრები მათი ავტორების მიერ დაბეჭდილი ეხილა, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ სხვათა შეფასებაში ძუნწი გერმანელები ეპითეტებს ჰაიჰარად არ ისვრიან, უნდა ვირწმუნოთ ამ შეფასებათა გულწრფელობა.

გრიგოლ რობაქიძეს, როგორც პოეტს და მოაზროვნეს, არაერთი ლექსი უძღვნეს ქართველმა პოეტებმა. იმ ლექსების განხილვა ამჟამად ჩვენს ამოცანას არ შეადგენს. მაგრამ პარნასზე ახლადმოვლენილი, სულ გამოქვეყნებული სამი-ოთხი ლექსის ავტორის – გრიგოლ რობაქიძისადმი მიძღვნილი ტიცვიან ტაბიძის ლექსიდან ერთ ნაწყვეტს ამოვწერ:

ხარ მეორეჯერ მონათლული დანტეს ემბაზში,  
იყავი მეფე – ზეცას გინერს ბედის მწერალი.  
დაცემის ორმო და აღდგომის თეთრი მწვერვალი  
დიდების ცეცხლი მარად გინთებს სამეფო კარავს,  
გამარჯვების მზეს უბედობა ველარ დაფარავს  
პოეტს, მეგობარს მამაყებ მელექსეთ ბაში.

რა ხდება? გალაკტიონის პირველი წიგნი შვიდი წლის გამოსულია და რა „მეფობაზე“, „დანტეს ემბაზზე“, „დიდების ცეცხლზე“ ელაპარაკება ტიცვიან ტაბიძე გრიგოლ რობაქიძეს? ამას უსათუოდ ახსნა სჭირდება და, ჩემი აზრით, ახსნა სწორედ ის გახლავთ,

რომ გრიგოლ რობაქიძემ ლიტერატურაში ახალი სკოლის შექმნით ჭეშმარიტად ახალი და სწორედ თავისი სიახლით უცნაური, უჩვეულო ლექსი მოიტანა. რასაც ჰქვია ავანგარდიზმი, მოდერნიზმი საერთოდ და სიმბოლიზმი კონკრეტულად, სწორედ რომ, ათიანი წლების მეორე ნახევარში გრიგოლ რობაქიძემ დაამკვიდრა და ამით ჩვენს მწერლობაში ევროპული მოდური სკოლების გავრცელებას ლიბო გაუმაგრა.

გრიგოლ რობაქიძე საერთოდ ხუთი, ხოლო მათგან ორი გახმაურებული პიესის ავტორია. ესენი გახლავთ „ლონდა“ და „ლამარა“. 1923 წელს მისტერია-ტრაგედია „ლონდა“ სანდრო ახმეტელმა დადგა რუსთაველის თეატრში. სპექტაკლს აღფრთოვანებული რეცენზია უძღვნა ტიცინ ტაბიძემ.

ქვეყანაში საშინელი გვაღვა. მიწა დამსკდარა. მცენარე ზეზეულად ხმება. უწყლობით პირუტყვი იხოცება. ხალხი სასონარკვეთილებას მოუცავს. მთავარმა მოიწვია ქურუმი. ქურუმი ამცნობს, რომ ღმერთი სადსადასი გამწყრალია მათზე და ქვეყანაში ყველაზე ლამაზი ქალიშვილი უნდა შესწირონ, თორემ გვაღვისაგან დაილუპებინან. ყველაზე ლამაზი ქალიშვილი ლონდაა. ლონდა თამაზ ბატონიშვილის საცოლეთა. თამაზ ბატონიშვილი უარს ამბობს ლონდას მსხვერპლად შეწირვაზე. ჩემი სიცოცხლე მიიღოს ღმერთმა მსხვერპლად. მე შევეწირები ლონდას ნაცვლადო, ამბობს იგი, მაგრამ ქურუმი უძღურია შეცვალოს ღმერთის ნება. ბოლოს თამაზ ბატონიშვილის სიყვარულს სძლევეს მოვალეობის გრძნობა ღვთისა და სახელმწიფოს წინაშე და ლონდას ღმერთს შესწირავენ – ხრამში გადაისვრიან. სქემატურად გადმოცემული ამ სიუჟეტიდანაც ნათლად ჩანს, რომ „ლონდა“ ძველი ბერძნული ტრაგედიების სტილშია დაწერილი (ქორო, ქურუმი, მისანი...), თუმცა ნაწარმოებში ძნელი შესამჩნევი როდია ეროვნული სული, ასე ძალუმად რომ ახასიათებს გრიგოლ რობაქიძის თითქმის ყველა ქმნილებას.

„ლამარა“ (1926) ადამიანი-გრძნეულის, ბუნებასთან მოსაუბრე კაცის (ვაჟას „გველის მჭამელი“...) მოარული სიუჟეტის დრამატურგიული ინტერპრეტაციაა. რასაკვირველია, როგორც ავტორი მიუთითებდა, იგი არ არის „გველის მჭამელის“ თანმიმდევრული გაპიესება, მაგრამ იმის დამტკიცება გაჭირდება, თითქოს ნაწარმოები აბსოლიტურად თავისუფალი იყოს ვაჟა-ფშაველას გავლენისაგან.

უაღრესად საინტერესოა გრიგოლ რობაქიძე, როგორც ესეისტი და ლიტერატურის კრიტიკოსი. მისი შეხედულებანი რუსთაველზე, ილია ჭავჭავაძეზე, აკაკიზე, ქართულ ლექსზე, ქართულ ფენომენზე, გალაკტიონის პოეზიაზე („ნიკორწმინდა“) და ქართულ ცეკვაზე („ქართული გენია როკვაში განფენილი“) დღესაც საინტერესო და ღირებულია.

\*\*\*

„ჩემი ნატვრაა – წერდა გრიგოლ რობაქიძე – როცა მე ამ სოფლად აღარ ვიქნები, მიდიოდეს ვინმე ქართველი დედა ყოველ წელს მცხეთას, მწიფობის, ჩემი დაბადების თვეში. სანთელს აანთებდეს ამ პანა სალოცავის წინ და ლოცვით ახსენებდეს ჩემს სახელს. მეტს არას ვთხოვ საქართველოს“.

უცხოობაში დაფერფლილ მწერალს, თავისი ერის ჭეშმარიტ ჭირისუფალს, დიახაც, უნდა შეუსრულოს ქართველმა დედამ ეს უპრეტენზიო თხოვნა.



**ნიკო ლორთქიფანიძე**  
**(1880 – 1944)**

საქართველოს დამოუკიდებლობის სამმა წელმა (1918-21) თავისი კვალი დაამჩნია ეროვნული კულტურის განვითარებას. შეიქმნა საქართველოს მწერალთა კავშირი კოტე მაცაშვილის ინიციატივით. იმპერიული მარნუხებისაგან განთავისუფლდა ლიტერატურა და დასაბამი მიეცა მოდური ლიტერატურული სკოლების დამკვიდრებას მწერლობაში. სხვა ლიტერატურულ მიმდინარეობათა შორის ფეხს იკიდებს იმპრესიონიზმიც. იგი რეალიზმისაგან ფრაგმენტული სახეობრიობით, კონკრეტული დროის ასახვის უარყოფით და ორიგინალური, დეპეშური სტილით განსხვავდება. იმპრესიონისტი, ჩვეულებრივი ტრადიციული რეალისტი მწერლისაგან განსხვავებით, ამბავს არ გვიყვება, მოვლენას თანამიმდევრობით არ ხატავს, იგი ლიტერატურული შტრიხებით აზროვნებს. იმპრესიონიზმის შემომტანი და დამამკვიდრებელი ქართულ პროზაში ნიკო ლორთქიფანიძე გახლავთ. აქვე ხაზი უნდა გავუსვათ, რომ ნიკო ლორთქიფანიძემ ბოლომდე არ უერთგულა იმპრესიონიზმს. სრულიად ბუნებრივია, რომ მის შემოქმედებაში თანდათან შემოვიდა კონკრეტული ეპოქის კონკრეტული სატკივარი და ახლა, როდესაც ნიკო ლორთქიფანიძის რჩეულ თხზულებებს ავიღებთ

ხელში, ჩვენს წინაშე წარმოდგება პატრიოტი მწერლის სევდიანი სახე, ხოლო სევდას, რასაკვირველია, ქართული სინამდვილე ასაზრდოებს. ეს არის ჟამთა სიავის გამო დანგრეული ბუდეების და გაყიდული საქართველოს სინამდვილე. იმპრესიონისტული კი მწერლის შემოქმედებაში, ნაწილობრივ დეპეშური სტილი, აღწერას არიდებული მხატვრული მეტყველება გახლავთ.

ნიკო ლორთქიფანიძე დაიბადა 1880 წელს, იმერეთში ქუთაისის მახლობლად სოფელ ჩუნეშში, ტრადიციულ იმერულ, არისტოკრატიულ ოჯახში. ჩუნეშში მთის კორტოხზე ახლაც დგას ლორთქიფანიძეთა საგვარეულო ოდა, რომელშიც მწერლის სახლ-მუზეუმიამა გამართული. სამწუხაროდ, მაღალი მატერიებისადმი გულგრილი დამოკიდებულების ამ ეპოქაში, როგორც ლიტერატურის და ხელოვნების წისქვილებს საერთოდ, ნიკო ლორთქიფანიძის სახლ-მუზეუმსაც მარტოობისა და უპატრონობის ქარი უბერავს.

პირველდანიებთი განათლება ნიკო ლორთქიფანიძემ ოჯახში მიიღო. მერე ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში შევიდა და ორი წლის შემდეგ სწავლა განაგრძო ვლადიკავკაზის გიმნაზიაში, რომლის დასრულების შემდეგაც მომავალ მწერალს ვხედავთ ხარკოვის ინსტიტუტში სამთამადნო ფაკულტეტზე. ხარკოვის უნივერსიტეტის დიპლომი არ აუღია, რადგანაც სტუდენტთა ამბოხებაში მონაწილეობის მიღებისათვის იგი დაითხოვეს და სწავლის გასაგრძელებლად ევროპაში წავიდა. სწავლობდა გერმანიის და ავსტრიის უნივერსიტეტებში. საქართველოში დაბრუნებული ნიკო ლორთქიფანიძე თბილისში ცხოვრობს. სხვადასხვა სასწავლებელში ასწავლის ქართულ ლიტერატურას და გერმანულ ენას. 1912 წლიდან საცხოვრებლად გადადის ქუთაისში და კლასიკურ გიმნაზიაში გერმანულს ასწავლის 1825 წლამდე. 1926 წლიდან კვლავ თბილისშია და პოლიტექნიკური ინსტიტუტის უცხო ენის კათედრის გამგედ ინიშნება, თან აქტიურ ლიტერატურულ-საზოგადოებრივ საქმიანობას ეწევა. გარდაიცვალა 1944 წელს, დასაფლავებულია დიდუბის პანთეონში. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა პერიოდში საკმაო ხანს იცხოვრა, იგი თავისი მსოფლმხედველობით, ლიტერატურული აზროვნებით და ცხოვრების წესითაც დიდ სამოციანელთა უმცროსი ძმა და თანამოაზრე იყო.

როგორც აღვნიშნეთ, ნიკო ლორთქიფანიძის ადრეული შემოქმედება იმპრესიონიზმს უხდის ხარკს. ეს არის ლიტერატურული ჩანახატების სახით დაწერილი მინიატურები. უმეტესობა მათგანი

პანაშვიდის ციკლის მინიატურების სახითაა წარმოდგენილი. მწერალი გვესაუბრება წუთისოფლის ამაოებაზე, ცხოვრების აბსურდულობაზე, ადამიანის ამქვეყნად მოვლინებისა და მისი დანიშნულების გაურკვეველობაზე. საერთო პათოსი ასეთი გახლავთ: ცხოვრება ერთი დიდი პანაშვიდია, სადაც ადამიანები ყოველდღე მივდივართ ერთმანეთთან და ვუსამძიმრებთ ჩვენი უბედურების გამო. უბედურებათა შორის განსაკუთრებით მწარეა ხელოვანის ხვედრი ამქვეყნად. ხელოვანი, გარდა პირადი უბედურებისა, სხვების უბედურებითაც ცხოვრობს, რადგან მის მიერ შექმნილ მხატვრულ ქმნილებებს თავისი სიცოცხლის ნაწილს აძლევს ისე, როგორც ნიკო ლორთქიფანიძის ერთი მინიატურის („მოქანდაკე“) გმირი, რომელმაც ყველაფერი მისცა თავის ქანდაკებას – სიცოცხლე, სიტბო, ცრემლი, მწუხარება და თვითონ, ყოველი ამქვეყნიური გრძნობისაგან დაცლილი, გარდაიცვალა.

გადის დრო და ნიკო ლორთქიფანიძის შემოქმედებაში უფრო ძალუმად შემოდის რეალიზმი, რომელიც აიძულებს მწერალს ყოველ ნაწარმოებში თავისი დროის და ერის დუხჭირ ცხოვრებაზე ილაპარაკოს.

აღსანიშნავია ნიკო ლორთქიფანიძის ერთი განსაკუთრებით ხაზგასმული სტილური ნიშანი; მწერლის ნაწარმოებთა უმეტესობაში თარიღიანი, კონკრეტული დრო თითქმის არ ჩანს, თუმცა ამოცნობა ამ დროისა ძნელი არ არის. ამასთან ერთად, ნიკო ლორთქიფანიძეს უპირატესად აინტერესებს ადამიანის ფსიქიურ შესაძლებლობათა ამპლიტუდა, უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, ზღვარი ადამიანურ სიკეთესა და ბოროტებას შორის. მწერალმა იცის, რომ ყოველ ადამიანშია დაბადებიდანვე ანგელოზიც და მკვლელიც, კარგიც და ბოროტიც და ნიკო ლორთქიფანიძე ცდილობს ადამიანი გვიჩვენოს ორი საპირისპირო გრძნობის გაღვიძების წუთებში და მკითხველს უთხრას: შეუქმენით ადამიანს სიკეთის გამოვლენის პირობები, ნუ გააღვიძებთ მასში მთვლემარე მხეცს. ამ შეხედულების ტიპიური ნიმუშია ნიკო ლორთქიფანიძის მძაფრსიუჟეტიანი მინიატურა „ტრაგედია უგმიროდ“ და „მრისხანე ბატონი“.

ნიკო ლორთქიფანიძემ ქართულ ლიტერატურაში დაამკვიდრა პროზაული მინიატურის თავისებური სახე. ეს არის უაღრესად კომპაქტურად დანერგილი მცირე ზომის ნოველები მძაფრი სიუჟეტით და მტკიცე კომპოზიციით.

**„ტრაგედია უგმიროდ“.** მშვიერი ბავშვების კვილს გარიდებულმა მამამ შინ ერთი ჯამი ნასესხები ფქვილი მოიტანა. „სწრაფად მოხილა ცომი და გაავარვარებულ კეცს დააკრა“. სიხარულით აჟიფივებული ბავშვები ოხრახუშზე გაგზავნა.

„ჭადის სუნმა აიტაცა“ კეციდან ჭადი აიღო, გატეხა. გასაგრილებლად დაბერა და „გასასინჯად“ ლუკმა პირში ჩაიღო. სხეულს განუზომელი მადა მოედო.

მეორე ლუკმა.

სწავდა ენას და მაინც ჭამდა.

ბავშვები შემოვარდნენ.

– მომეცი, მამა!

– მეც!

– გადით, თქვე გასაწყვეტლებო!

– მამა! მამა!

– მამა, ერთი ლუკმა!

ბავშვები ცალი ხელით მილახა და ლაფაროში გაყარა“.

მხოლოდ კარგი ხნის შემდეგ ბჟოლის ძირში მიგდებულ ბავშვებს გვერდით რომ მიუნვა, გაისიგრძეგანა თავისი საქციელი.

წავიდა და მეზობლის ეზოში, მეზობლის ხეზე, მეზობლისავე ბანრით თავი ჩამოიხრჩო.

რა გვითხრა ამ მინიატურით მწერალმა? ამაოდ დაუნყებთ მასში ძებნას რომელიმე კონკრეტული სოციალური ეპოქის კრიტიკას. ნიკო ლორთქიფანიძეს აინტერესებს, უპირველესად, პიროვნების ქცევის ამპლიტუდა. როგორ შეიძლება გრძობათა შორის ყველაზე ძლიერი და სათუთი მშობლიური გრძნობაც კი გააცამტვეროს მიზეზის გამო გაღვიძებულმა, ადამიანის არსებაში მთვლემარე მხეცმა.

**„საქართველო იყიდება“** საშობაო მინიატურების ციკლიდანაა. ციკლს ასეთი წინათქმა ახლავს: „იქ, სადღაც შორს, ბეთლემში, ცხრამეტი საუკუნის წინათ ვარსკვლავებით მოჭედილ ღამეს, მღვიმეში დაიბადა იესო, ძე ქალწულის მარიამისა, მამწვრალთა იმედი და ნუგეში, ტანჯვის შემამსუბუქებელი, სიკვდილითა სიკვდილის დამთრგუნველი. აქ კი დღეს...“

ამ წინათქმას მოსდევს ჭეშმარიტი მამულიშვილის საოცარი გოდება მამულის სვე-ბედზე. ეს გოდება, 1910 წელს თქმული, სამწუხაროდ, დღესაც გამოხატავს ჩვენს უპირველეს ეროვნულ

პრობლემას და განწყობილებას: „იყიდება საქართველო – მინდორ-ველით, მთა-გორით, ტყით, ვენახით, სათესით, წარსულის ისტორიით, მომავალი სვე-ბედით, მშვენიერის ენით, ნაქარგი ფარჩა-ხავერდით, ვაჟკაცური ხასიათით, სტუმართმოყვარეობით, დიდებული სანახაობით, წმინდა ჰაერით, ნაამაგარი სახლით და კარით, ჩუქურთმიანი მონასტრებით და ეკლესიებით, მჩქეფარე ნაკადულებით, ლურჯი ზღვით. მონმენდილ-მოკაშკაშებული ცით, ერით, ბერით, თვალწარმტაც ბანოვანთა გუნდებით, გონებაგახსნილ ვაჟებით, მალხაზი ბავშვებით, ვერცხლისფერი თმით შემოსილ პატივსაღებ მოხუცებით, იყიდება საქართველო დედით და მამით, შვილით და ძირით, ძმით, დით, ცოლით და ნათესავ-მოყვრებით.

ჰყიდის ყველა: თავადი, მღვდელი, ვაჭარი, ავაზაკი, დიდი და პატარა, ჭკვიანი და სულელი, ლოთი და პირაკრული.

იყიდება ყველგან – ქუჩაში და სახლში, თეატრში და სასამართლოში, სასწავლებელში, სატუსალოში, ეტლში, მატარებელში, დღისით და ღამით, სიცხეში და სიცივეში, დარში და ავდარში.

იყიდება ერთიანად. – შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე და ოსეთიდან სპარსეთამდე. იყიდება ნაწილ-ნაწილ; კახეთი და იმერეთი, ქართლი, სვანეთი და სამეგრელო, გურია და ლეჩხუმი, აჭარა, რაჭა და ჯავახეთი. იყიდება პატარ-პატარა ნაჭრებად, ვისაც რამდენი სურს და როგორც უნდა: ნისიად, უფასოდ, ნაღდად, დროებით და სამუდამოდ, ბანკის საშუალებით და ჩვენი დახმარებით.

იყიდეთ ბარემ მთლად, განენეთ და გაგლიჯეთ, რასაც საქართველო ერქვა და რაც დღეს ოხრადდარჩენილი აძლებს ყორნებს და გულს უკლავს უძღურ ქირისუფალს“.

შინაურ და გარეშე მტერთაგან გასაყიდად განწირული საქართველოსთვის ზრუნვა-წუხილი გამოსჭვივის მინიატურიდან „ლიტერატურული საღამო“.

ლიტერატურული საღამოს წინა დღეს მწერალმა უცნობი ექიმის წერილი მიიღო. მეო, სწერდა ექიმი, ექიმობაზე ხელი ავიღე, რადგანაც საქართველოს უბედურების გადაკვიდეს „გალუცინაციები დამენყო“ და მწერლობაში ვხედავ სულის საღბუნსო. გიგზავნით ჩემს აღსარებას და იქნებ წაუკითხოთ საზოგადოებასო. აი, ეს აღსარებაც.

„ჩემი ოჯახის ფანჯრიდან ხშირად მოჩანს თეთრი თოვლით დაფარული, მზის სხივებით დაფერილი მყინვარი და შორიდან მისი ხმა ისმის, ვით ხმა ნაზი ქალწულისა:

მოუარეთ საქართველოს“!

მთვარიან ღამეში ბაგრატის ტაძრის ნანგრევები. თალხით-მოსილ ქირისუფალსავით რომ დასცქეროან ქუთაისს, უხმოდ მეტყველებენ:

მოუარეთ საქართველოს!

ზოგჯერ ქუჩაში წინ გადამელობება სულის მესაიდუმლე შოთა და ბრძანების კილოთი ამბობს:

მოუარეთ საქართველოს!

ღამის წყვდიადში ყურს მოვკრავ მდინარეთა გალობა-სიმღერას.

ინყებს მკვირცხლი რიონი, შემოსძახებს გიჟმაჟი თერგი და ბანს ეუბნება დინჯი მტკვარი:

მოუარეთ საქართველოს!

ნუთუ, ბატონო ჩემო, გუშინწინ რომ კოკისპირულმა წვიმამ დაასხა, არ გაგიგონიათ გაუთავებელი, გაბმული ძახილი ყოველი წვეთისა – მოუარეთ საქართველოს“.

ნიკო ლორთქიფანიძეს იმპრესიონიზმის აშკარა გავლენა ეტყობა ნოველათა ციკლში „პანაშვიდი“. უიმედობის განწყობილება, სევდა მოგვრილი იმის გამო, რომ ცხოვრება ისე არაა მოწყობილი, როგორც ლირიკულ გმირს სურს, ჭეშმარიტება ზოგჯერ მაცდურის ნიღბით გვევლინება, ადამიანის ცხოვრებას ღირსებათა ჯამი ან ლოგიკა კი არ მართავს, არამედ ბედისწერა – მოირა. ხელოვანი თავის წილ სიცოცხლეს თავის ქმნილებაში ანაწილებს და ბოლოს ობობასაგან გამოხრული ფუტკარივით მშრალ „ფუტლიარად“ იქცევა – ასეთია წმინდა იმპრესიონისტული სტილით დაწერილ ამ ნოველათა თემატური რკალი. ჩავხედოთ მათგან ტიპიურობით გამორჩეულს.

„მოკვდა ადამიანი“ – საშინელებაა სიკვდილი, საზიზღარი კი ის მდგომარეობაა, რომელშიაც მიცვალებული თითქმის ყოველთვის ვარდება.

სადაც უნდა მოკვდეს ადამიანი, თითქმის ყოველთვის გამოჩნდება ყვავი, ყვავი – ან ფრთოსანი, თვალების ამომკორტნი, ან ყვავი – ადამიანი.

ფრთოსანი ყვავი სჯობია ათასწილ ყვავს – ადამიანს. შავი ყვავი თვალებს ამოგკორტნის და გათავდა.

ყვავი – ადამიანი კი სძიძგნის მთელს სულს – ყოველისფერს, რაც კი გაჰქრა და რაც კი დარჩა ადამიანისაგან, ეძებს რასმე სასარგებლოს, სახეიროს.

ნათესავები – მემკვიდრეობას.

მღვდელი – სანირავს“.

მწერალს თვალთმაქცობად მიაჩნია ცხედართან დაგვიანებული თავში ცემა და ცრემლის ღვრა, პირის ხოკვა:

„როცა მწუხარედ დაიარებოდა ჩვენს შორის ნიშნად თანაგრძობის რად არ გაჰყევით ერთი-ორი ნაბიჯი და რად არ განუბნიეთ მწარე ფიქრები? რად არ გაართეთ, რად არ შეუმსუბუქეთ მძიმე ტვირთი?“

...ნიშნად პატივისცემისა, რად არ დაგქონდათ მისი სურათი?

თუ თაყვანს სცემდით, რად არ უთხარით გასამხნეველად, რად არ გამოუცხადეთ მადლობა?“

„**ბუნება**“ ერთ მშვენიერ დილას მხატვარმა გადანყვიტა დახაოს ბუნების სინაზისა და ჰარმონიული მშვენიერების ამსახავი სურათი სახელწოდებით „დედა-ბუნება“. მოიმარჯვა მოლბერტი და გავიდა ბუმბერაზ მთათა შორის ცის სარკედ განოლილი ულამაზესი ტბის პირას. ხატავს გატაცებით, მაგრამ საღამოხანს ცა მოიღრუბლა, დიდმა, შავმა ღრუბელმა დაფარა არემარე, მიწა იძრა და დელგმა-თქეში დააცხრა ქვეყანას, მთა მოირღვა და ტბაში ჩავარდა. ნაპირებიდან გადმოხეთქილმა ტბამ ირგვლივ ყოველივე წალეკა – დაახრჩო მწყემსები, გაიტაცა საქონელი...

წარღვნას სასწაულებრივად გადარჩენილ მხატვარს აღარ სურს „დედაბუნების“ ხატვა. ფიქრობს, რომ „მოტივი იყო ბავშვური, სულელური...“ იგი ახლა სხვა სურათს ხატავს, რომელსაც „თვალთმაქც ბუნებას“ დაარქმევს.

„**შემოქმედი**“. ცნობილ მოქანდაკეს მეგობრები დაბადებიდან ორმოცი წლის იუბილეს უმართავენ – მოქანდაკის სახელოსნოში თვალს შეავლებენ დიდებულ ქანდაკებათა შორის ჩადგმულ „ავტოპორტრეტს“ და უკვირთ; „– შეხედეთ ჩვენის მოქანდაკის სურათს. როგორი ცოცხალი, ღონიერი და ლამაზი ყოფილა. ახლა კი რასა ჰგავს? სულ 15 წელი გავიდა ამ სურათის დახატვის შემდეგ და რა ცვლილებაა.“

ქანდაკებანი კი ერთმანეთს უყურებდნენ და სევდით ლაპარაკობდნენ: „სულელი ადამიანები... სულელი ადამიანები“.

რატომ იყვნენ ადამიანები სულელნი და მიაშიტნი? სვამს კითხვას მწერალი და თვითვე პასუხობს. იმიტომ, რომ ვერ მიმხვდარიყვნენ: სიჩაუქე, სიმკვირცხლე, ძალა, ვნებაც კი, რაც გააჩნდა. მოქანდაკემ თავის ქმნილებას მისცა.

ბოლოს, როცა მოქანდაკის სამუშაო ოთახში ახლადდამთავრებული, თიხაშეუმშრალ შედევრს ნაანყდნენ სახელწოდებით „სული – სიკვდილთან მეზობლი“, აღფრთოვანების გამოსათქმელად ავტორს დაუნყეს ძებმა.

„სანოლ ოთახში შევიდნენ და ლოგნზე გარდაცვლილი მოქანდაკე ჰპოვეს“.

ათიან წლებში დაწერილ მოთხრობაში „**უიალქნოდ**“ ნიკო ლორთქიფანიძე ასე გადმოგვცემს თავის იმპრესიონისტულ „არს პოეტიკას“.

„მე სხვადასხვა სურთს მოგანვდენ ცხოვრებიდან, მათი ერთმანეთთან შეკავშირება შენთვის მომინდვია, მე მაინც მგონია, რომ მკითხველს მეტი ადგილი უნდა დაეთმოს ფანტაზიისათვის, შემოქმედებისათვის. მკითხველს მოსწყინდა ყველაფერი უკვე შემუშავებული თავ-თავის ადგილზე ჰპოვოს.“

მწერალმა მარმარილო, ტილო, საერთო აზრი, ჩარჩო, ორისამი ხაზი უნდა დაამზადოს; დამთავრება, დაბოლოება ნაწარმოებისა მკითხველის გემოვნებასა და სურვილს მიანდოს“.

მართლაც, ორიოდე შტრიხით გვიხატავს მწერალი ცხოვრების ზღვაში უიალქნოდ გასული კაცის – ლაზარე კვიხაშვილის ცხოვრებას.

გუბერნატორის განსაკუთრებულ მინდობილობათა მოხელე, ლაზარე კვიხაშვილი, ქუთაისში ერთ-ერთ პერსპექტიულ ახალგაზრდად და სასურველ სასიძოდ ითვლებოდა, მაგრამ მის ავტორიტეტს და კარიერას იმ დღეს დაესვა წერტილი, როცა იგი ერთ დღეს თეატრის ლოჟაში ქალაქის ცნობილი როსკიპის გვერდით გამოჩნდა. ამ დაუფიქრებელი ნაბიჯის გამო იგი ქალაქის არისტოკრატიულმა საზოგადოებამ აითვალწუნა, ხოლო გუბერნატორმა სამსახურიდან დაითხოვა.

ერთხანს რედაქციებში მუშაობდა, მერე ფოსტის მოხელედ, ბოლოს „ცხოვრების ფსკერზე“ მთლიანად დაეშვა; ის მეძავი ცოლად შეირთო და გალოთდა.

ლაზარეს გარდაცვალების შემდეგ მისი მწირი პუბლიცისტური ნაწერები მოთხრობის ავტორს ჩაუვარდა ხელში და საბოლოოდ დარწმუნდა, რომ კვიხაშვილის სახით მაღალი სულის პიროვნება დაკარგა საზოგადოებამ.

„შენ მოკვდი, პატარა ადამიანო, ნაშრომი არ დაგიტოვებია, სახელი არ მოგიხვეჭავს.“

მართალია, არც ტკბილის ჩანგით გიმღერია, არც უზუნაესი ძალები აღგიძრავს სამოქმედოდ, მაგიერად იდუმალს, შეუგნებელს ჩვენს სურვილს ხორცშესხმულად ვხედავდი, შენში, შენს გულის სიღრმეში გალობდი ზარს ჩვენის ნაღველის და კაეშნისას.

ულრმესი პატივისცემის, უსაზღვრო სიყვარულის, უგულითადესი პატივისცემის მაგიერ, თუ სადმე სამართალია, შენ უნდა ჩამოგძახონ ჟამსა მას სანეტაროს: „თავისუფალია“.

მაშინ პირველად გაიღიმებ.

მაშინ პირველად შეგეცოდება შენი თავი.

მაშინ პირველად შეგნანდება, რომ სახელი ვერ დასტოვე ქვეყნად – ასეთია მოთხრობის ბოლო სტრიქონები.

იმპრესიონისტული მანერით დანერული მოთხრობა **„შელოცვა რადიოთი“** ნოსტალგიას – სამშობლოს სევდას ეხმაურება. იგი თავისებურად გვიჩვენებს ქართულ ფენომენად ქცეულ ერთიანობას პიროვნებასა და მშობელ მინას შორის და ქართველი ქალის რაინდულ სისპეტაკე-სიამაყესაც გვისურათხატებს.

რუსმა ოფიცერმა არისტოკრატიმა ვლადიმერ ბორენკოვმა ცოლად შეირთო შალვა გორდელიანის ასული, მშვენიერი ელი. ქორწინების პირველივე ღამეს რუსი „არისტოკრატი“ არყით გამოტყვრა, საწოლ ოთახში თავისი მთვრალი თანამესუფრენი შეიყვანა, მძინარე მეუღლეს საბანი გადახადა და მისი შიშველი ტანი „მეგობრებს“ უჩვენა; ნახეთ, რა ლამაზი ცოლი მყავსო. ამასობაში გაელვიდა პატარძალს და თავისი ქმრის ღორბაში რაკი დარწმუნდა, ფეხშიშველი გამოექცა უღირს თანამეცხედრეს. გზაში, მისდაიღბლად, იერონიმე შვინდაძე შეხვდა და მისი შემწეობით თბილისში ჩამოვიდა.

ცოტა ხნის შემდეგ ელი იერონიმე შვინდაძეს გაჰყვა ცოლად. ეს ქორწინებაც უიღბლო გამოდგა. შვინდაძესთან განშორების შემდეგ ელის თვალი დაადგა ინგლისელმა კომერსანტმა ჯონ ჰექსლიემ. ელი ჰექსლის პარიზში გაჰყვა. პარიზის მედიდურ ჰოტელებში ცხოვრებამ ბედნიერება ვერ მოუტანა ელის. მას თავისი თბილისი, ვიწრო ქუჩაბანდები და მოხუცი მამა ენატრება. პარიზში ელი ჯონ ჰექსლის მეგობარს, ამერიკელ მილიარდელს, ბრომლეის, შეუყვარდა თავდავინწყებით. ერთხელ კაზინოში სამივენი ინდოელი ქალის და გველების ცეკვას დაესწრნენ. ელის არ მოეწონა ინდოელის ცეკვა, მე უკეთესად ვიცეკვებდიო. რაკი ასე დარწმუნებული ხარ, იცეკვე და რასაც მთხოვ, შეგისრულე-

ბო, ბრომლეიმ. სამშობლოში დამაბრუნე, სულმოუთქმელად დაუდო პირობა ელიმ. ქართველი ქალი გველებთან საცეკვაოდ გამოაწყვეს, მაგრამ ინდოელმა პროდიუსერმა უარი განაცხადა, ქალბატონს შამპანიურის სუნი ასდის, გველებს კი ალკოჰოლი არ უყვართ და აუცილებლად დაკბენენო. ელიმ უკან არ დაიხია, ბოლოს ინდოელიც დაიყოლიეს. ელიმ გველებთან როკვით ყველანი გააოცა და როცა ცეკვის დასასრულს, ერთმა გველმა ალკოჰოლის სუნი იკრა, მოცეკვავეს ლოყაზე უკბინა. „უშველეთ მამას! შელოცვა როსკანმა გამომიგზავნოს“ – ეს იყო ელის უკანასკნელი სიტყვები. ელვის სისწრაფით მოძებნეს საქართველოში შემლოცველი დედაბერი როსკანი. შელოცვა რადიოთი გადასცეს პარიზს, მაგრამ უკვე გვიან იყო. ელი დაიღუპა. ნოსტალგიით შეპყრობილი ქალი, რომელმაც სამშობლოში დაბრუნების ოცნება ვერ აისრულა, ბრომლეიმ მდიდრულად დაასაფლავა.

განსაკუთრებული მიმართება აქვს ნიკო ლორთქიფანიძეს ისტორიასთან. ისტორიული ფაქტი მწერალს იმისათვის სჭირდება, რომ მისი მხატვრული განსხეულებით თანამედროვეობის პრობლემა წამოსწიოს. ამიტომაც გარდასულ საუკუნეთა ცხოვრებაზე დანერულ მის თხზულებებში იშვიათად დაუწყებთ ძებნას ცნობილ ისტორიულ პიროვნებებსა და ისტორიული ფაქტის ზედმინვენით, ზუსტ აღწერას. პათოსი ნიკო ლორთქიფანიძის „ისტორიულ“ თხზულებათა უმეტესობისა ერთ ფოკუსში იყრის თავს. ეს გახლავთ ფეოდალთა შუღლისა და შინაომის კრიტიკა. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ვრცელი ისტორიული მოთხრობა **„ჟამთა სიავე“**.

მოთხრობა ასეთი პასაჟით იწყება: იმერელ ბატონიშვილს, იულონს, მეფის მომხრე სამი თავადი ეწვია. მიკითხვ-მოკითხვისა და მეფის ნდობა-წყალობის გამოცხადების მერე ერთ-ერთმა სტუმართაგანმა ასეთი დავალება შეაპარა მასპინძელს: იულონმა მიპარვით უნდა მოჰკლას მეფის გაურჩეული ფეოდალი არჩილი. იულონის თხოვნაზე, იქნებ ხმალში გამომენვიო და ისე მომეკლაო, მეფის ერთგულმა დამქაშებმა უარით უპასუხეს: იტყვიან, აქ მეფის ხელი ურევიაო. იულონმა სასტიკად იუარა ლალატი, მუხთლად არჩილის მოკვლა და ამ „ურჩობისთვის“ გაავებულ სტუმრებს ძლივს დააღწია თავი.

ამ ნაბიჯის გამო მეფესთან დაპირისპირებულმა აიულონმა გზად მეფის კარსგარიდებულ, მოხუც მწიგნობართან, ოტიასთან,



შეუხვია, ოტიასა და იულონს შორის საქართველოს ბედსა და მომავალ ორიენტაციაზე საინტერესო საუბარი გაიმართა.

ოტია ნუხს, რომ იმერეთის მეფეს „არც გონება აქვს მახვილი და არც ხორცი არის ძლიერი, რთულ საქმეს ვერ არჩევს და იძულებულია მას დაუფეროს, ვინც რასმე ჩაჭოფუნებს“. იულონის შეკითხვაზე – „მამ დაილუპა ქვეყანაო?“ ოტია პასუხობს: „ფინიკიელები ვაჭრები იყვნენ. გვჯობნიდნენ მოხერხებით – დაილუპნენ, ჩვენ დავრჩით. ძლიერი იყვნენ ჯარში რომაელები – გვძლიეს, მაგრამ ჩვენ დავრჩით. სილამაზის მარად მსახურნი ბერძენნი – გადაშენდნენ, ჩვენ კი ვართ როგორც ჭადარნი სხვა ხეთა შორის. ჩვენ ვაჭრებიც ვართ, მეომარნიც და ქურუმნიც მშვენიერებისა, მაგრამ არაფერში ვაჭარბებთ. ჩვენი დღეც დადგება ოდესმე, უეჭველია, მაგრამ განგებას ჯერ არ გადაუნყვეტია“.

იულონის კითხვაზე, როგორ მოვიქცეთ სამომავლად, რა პოზიცია უნდა დაიკავოს იმერეთმაო, ოტია ბრძანებს:

„აი, რა, შვილო, საქართველო ირგვლივ მტრებითაა გარემოცული. ოსმალო, სპარსი, ლეკი, ახლა მოსკოვიც ძლიერდება. ცალცალკე ქართლი, კახეთი, გურია, ოდიში ვერ გაუძლებს მოზღვავებულ მტერს. ნელ-ნელა გვწენენ. გვანიავებენ. ხომ უყურებ, როგორ თათრდება საქართველოს საუკეთესო ნაწილი სამცხე, მესხეთი – სამშობლო პეტრინისა, ნიადაგი ოპიზისა, მაგრამ თუ ერთად ვიქნებით, თუ შინაური შფოთი მოისპო, მეფე თუ გვეყოლა ძლიერი და დიდებულთაგან დამოუკიდებელი – არაფერი გვიჭირს. დრო თამარისა და დავით აღმაშენებლის ისევე განანათებს ღვთისმშობლის ხვედრ ქვეყანას. საქართველოს მესამედი ოსმალეთს უპყრია, დიდი ნაწილი სპარსეთმა დაიუფლა. თავისუფალი ჩვენი პატარა იმერეთილა დარჩა და ჩვენ უნდა გადავუხადოთ წინათ ჩვენზე განუული ამაგი საქართველოს დანარჩენ კუთხეებს“.

მართალია, იულონმა არჩილის მიპარვით მოკვლაზე უარი განაცხადა, მაგრამ ცდილობს არჩილი, როგორც მეფის მოლალატე, შორს დაიჭიროს, შვილის ამ სურვილს ეწინააღმდეგება დიდი ქალბატონი, იულონის დედა გაიანე. იგი არ მალავს, რომ არჩილი მისი საყვარელია და ერთ-ერთი შეკამათების დროს თავის შვილს ნაბუშარს უწოდებს. განრისხებულმა იულონმა ეს შეურაცხყოფა ვერ აიტანა და თავისი როსკიპი დედა კლდიდან გადააგდო. დედის მკვლელს მალე სხვა უბედურება ეწვია. არჩილი ეახლა, დააპატიმრა და მეფეს წარუდგინა. თურმე მეფემ შემოირიგა არჩილი და

ახლა მას დაავალა იულონის დატყვევება. ის, რაც იულონმა არ იკადრა – ლალატი, არჩილმა სიამოვნებით ითავა. მეფის განაჩენი მკაცრი აღმოჩნდა – იულონს თვალები დასთხარეს. მალე მოლალატეც დაისაჯა. თვალებდათხრილმა იულონმა თავის ბიძაშვილს – დათუნას დაავალა არჩილის მოკვლა, რომელმაც „გადაჭარბებით“ შეასრულა დავალება – არჩილს შვილიც ზედ დააკლა. ასე ტრაგიკულად დამთავრდა ქიშპით დაბრმავებული ორი ფეოდალის ბედი. ასე ურთიერთშულის გამო პარტახდება ოჯახები და სუსტდება ქვეყანა.

ძმათა ომის საშინელებას უსვამს ხაზს ნიკო ლორთქიფანიძის მოთხრობა „რაინდები“. იგი სატირულ-ორონიული ნაწარმოებია. აფხაზნი გაუორგულდნენ საქართველოს სამეფოს. მეფემ შერვაშიძეთა დასჯა გადაწყვიტა. ენგურთან იმერეთის ჯარს მცირერიცხოვანი ოდიშელებიც შეუერთდნენ. ოდიშელთა ერთმა ნაწილმა არ ინება საომრად გამოსვლა, რაკილა „აფხაზთა“ დიდი ნაწილი მათი ძმადნაფიცნი, ახლონათესავნი და ბიძაშვილები არიან. ახლა საქმე ომის დაწყების დროზეა. ერთმანეთს „ძმები“ მუხანათურად ხომ არ დაესმიან თავს. აფხაზებმა შუამავლად მოლალატე უჩარდია გაგზავნეს.

– ღვთის წყალობა მეფეს!

– კეთილი იყოს თქვენი მოსვლა. რას გვეტყვით საყურადღებოს?

– მთავრიშვილები მოგახსენებენ, როდის ინებებთ ომის დაწყებასო?

– რაც უფრო მალე შევექცევით, მით უკეთესია, – მოკლედ მოჭრა მეფემ“.

დიახ, გაღმა-გამოღმა „რაინდები“ არიან...

ერთმა „აფხაზმა“ ქართველთ ორი სარდალი, ავალიანი და აბაშიძე, თვალწინ მოუკლა. როცა მეფის ძმა, არჩილი, გავიდა მასთან შესარკინებლად, მოულოდნელად „მტერი“ ცხენიდან ჩამოხტა და დანებების ნიშნად საყელს ღილი გაიხსნა.

– „ვინა ხარ? – დაეკითხა უცნობს უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნილი ბატონიშვილი.

– ალანელი, თქვენი ძიძიშვილი.

– მოდი აქ.

ალანელი ეახლა. არჩილი ცხენიდან გადმოიხარა და ალანელმა გულზე აკოცა, არჩილმა – თავზე“.

ასე იბრძვიან რაინდები.

მწერლის ირონია უფრო ღრმავდება.

ინალიპა და ოდიშის მთავარი ერთმანეთს შეებრძოლნენ. ინალიპა სასიკვდილოდ დაიჭრა. სიკვდილის წინ აფხაზთა მთავარმა სთქვა: „ახია ჩემზე, რაც მომივიდა. არ მომწონს დაუსრულებელი ომი ოდიშთან და იმერლებთან. გადაეცით მეფეს, რომ თავის მსხვერპლად შეწირვა არ მინდოდა, მაგრამ მის გამარჯვებას ჩემს ღმერთსაც ვევედრებოდი“.

მაშ, რალაზე ჰღვრიდნენ ერთმანეთის სისხლს?

ახლა ვნახოთ როგორია რაინდთა დამოკიდებულება დამარცხებული მტრის და მარადიორის მიმართ.

„აგიაშვილმა შენიშნა ცოლისძმის ცხენი.

მოუკლავთო, იფიქრა.

მიუახლოვდა, ვილაც მძიმედ დაჭრილის გვერდით ეგდო.

დაჭრილმა თავს ძალა დაატანა და ჩაიხროტინა.

– უნდოდა იარაღი წაერთმია... მუჭი დაკვარი.

– ადე, ზიზღით მიმართა გიორგიმ ყმანვილს – ვაჟკაცობას სწავლობ თუ ძარცვას? შეგირცხვა თავი – და მათრახი მთელის ძალღონით გადაკრა.

ბავშვი დაიკლაკნა, წამოდგა დარცხვენილი.

– შეაჯინე ეს კაცი ცხენზე. იარაღი მოუნახე და ჩემს კარავში წაიყვანე, ილარიონს უთხარი მოუაროს.

მერე დაჭრილს მიუბრუნდა და უთხრა:

– ნუ გაამხელ მაგის თავსსლაფის დასხმას, ნუ მოსჭრი სამუდამოდ თავს, ყმანვილია, გასწორდება“.

აფხაზნი დამარცხდნენ. მეფის ჯარმა გაიმარჯვა.

დამარცხებულნი და გამარჯვებულნი ერთად ნადიმობენ. აფხაზეთის მთავრის შვილს ეკითხებიან:

– „გულახდილად თქვი საჯაროდ, რატომ არ შეუტეე მეფეს, როცა ერთმანეთს შეხვდით, ხომ კი ეძებდი მას?

ბატონიშვილმა თავი ჩაღუნა და მეფეს შეხედა, თითქოს ჰკითხავდა, ვთქვაო?

– ბრძანე, ბრძანე.

– მირონცხებული მეფე – მორცხვად წარმოსთქვა ყმანვილმა – ჩემზე ხნითაც უფროსია და გვარიშვილობითაც უმაღლესი – პირველად მას უნდა ენებებინა ხმლის მოქნევა...

– მეფეც ბატონო, ახლა შენ უნდა გვითხრა, რატომ არ შეებრძოლე ბატონიშვილს?

– როგორც კი პირველად შევხედე, გავიფიქრე, ასეთი ვაჟკაცის გაფუჭებას ღმერთი არ შეუნდობს კაცს მეთქი და ჩავუარე გვერდი. მეორედ რომ ვუახლოვდებოდით ერთმანეთს, დავუპირე ხმლის მოქნევა, მაგრამ მის ცხენს ფეხი დაუსხლტა.

– და ნაქცეულს კი, არ იკადრე შეხებოდი! შენი ჭირიმე შენი!

– აღტაცებით იყვირა ვილაცამ ბოლოში“.

ასე ებრძვიან ქართველები ერთმანეთს. მოთხრობაში არსად გაკვრით, მინიშნებითაც კი არ იგრძნობა, რომ აფხაზები სხვა გვარტომისანი არიან: მწერალს სრულიად სამართლიანად აფხაზები ქართველებად მიაჩნია. მაშ, რა ქცეულა პრობლემად ომის დროს რაინდთათვის? ის, რომ აფხაზთა ლაშქარში ჩრდილოკავკასიელი გადამთიელები იქნევენ ხმალს. რა ინტერესები აქვთ ალანელთ და ჩერქეზთ? ამაზეცაა პასუხი გაცემული ნაწარმოებში.

„მეფეს წამოენია აგიაშვილი და ჰკითხა:

– მტერი გაქცევაზეა, რა ვქნათ?

– ჩვენ საზღვრამდის მივდენოთ, მერე რაც ნებავთ, ის ქნან.

– და რომ შემობრუნდნენ?

– შეუძლებელია! ყველა ეს ალანელები, ჩერქეზები როცა დაინახავენ, რომ ოდიშიდან ვერაფერს წაიღებენ, თვით აფხაზეთს შეესევინან“.

როგორ ჰგავს შუასაუკუნეთა სინამდვილეზე დაწერილი ამ მოთხრობის პრობლემა დღევანდელს. ხომ ოდნავადაც არ შეცვლილა ჩერჩენ-აფსუა-ჩერქეზ-ადიღველთა დამოკიდებულება საქართველოს ძირძველი, განუყოფელი კუთხის – აფხაზეთის მიმართ.

სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლა უნდა იყოს ყოველი ჭეშმარიტი მამულიშვილის საფიქრალი და საზრუნავი. ამ მხრივ არც ნიკო ლორთქიფანიძე ყოფილა გამონაკლისი. მწერლის ნოველათა ციკლში, რომელსაც „ერთ ტაფაში“ ჰქვია, პატრიოტული მგზნებარებით გამოირჩევა ერთი ნოველა – „ამაყი“, იგი პასუხია ყველა „დაცვედნებულ გონიერთა“ და „ფრთხილთა“ მიმართ, რითაც საოცრად ეხმაურება თანამედროვეობას.

ქვეყანა მტერსა აქვს. სამშობლო წართმეულია. სოფლის შუაგულში მთავარ ციხეს დამპყრობლები დაპატრონებინან. სოფლად შიშსა და რუტინას დაუსადგურებია. მტერთან შებმას ვე-

რაზინ ბედავს. და აი, გამოჩნდა ერთადერთი ამაყი ბიჭი. მან ვერ აიტანა დამამცირებელ-დამადედელებელი მშვიდობა.

„– დედილო!

– ა? შვილო?

– არ ღირს, დედილო, ასე ცხოვრება. ან მოკვდეს კაცი, ან ცოცხალი იყოს...

– მერე რა გინდა?

– ციხეს ავიღებ!

– გადაირიე? მოგკლავენ.

– ჯანი გავარდნია... მივდივარ, დედილო. მარტო არ მინდოდა წასვლა, არავინ წამყვა. ამ ჩემს ბოლმას მაინც ამოვიღებ გულიდან. მერე რაც იქნება, იქნება“.

და ბიჭი მარტო წავიდა.

წავიდა სრული შეგნებით იმისა, რომ მოკლავენ, მაგრამ ვილა-ცამ ხომ უნდა დაიწყოს, რათა ათასებს გზა გაუქვალოს.

„ციხის კარს ვილაცამ ძალუმად დაუკაკუნა:

– ვინ ხარ?!

– გააღე!

– ხვალ მოდი!

– ახლა გააღე!

– ვისთან გაქვს საქმე?

– შენთან!

– ვერ გიცნობ!

– გაუღე, ერთია, რას გვიზამს! – მოისმა მეორე დარაჯის ხმა.

კარის გაღებაზე შემოსულმა ხმალი შეაბრიალა. ერთი დარაჯ-თაგანი წაიქცა.

– ეს ერთი! – წაილაპარაკა შემოსულმა.

– ესეც მეორე!

ციხეში ჩოჩქოლი შეიქნა.

– ვილაც გახელებულა!

– შეკარით!

– ეს მესამე! ეს მეოთხე! ეს მეხუთე!

– ერთად მივარდით ოთხივ მხრით და ასწიეთ შუბზე.

– ესეც მეექვსე!

– ვაი! მომკლეს. ჯანი გამვარდნია, არაფერი წამიგია...“

მართალია სოფელმაც წინამასწრობად, მეტიჩრობად და ამაო თავგანწირვად ჩაუთვალა ამაყს ეს ნაბიჯი, მაგრამ გავიდა წლები

და ამ ეული გმირის მაგალითზე ათასები გაიზარდნენ. ერი ერთ მუშტად შეიკრა, შეება მტერს და დაამარცხა.

„გათავდა ომი. დაქანცული, დაჭრილი, გავერანებული ქვეყნის ჭირისუფალნი მაინც მხიარული არიან. ცრემლებისა და ოფლის იქით ბედის მადლიერი, ჯანსაღი მომღიმარი სახეები მოჩანს. თავისუფლების ცოცხალ ფერს დაუფარავს დანაკლისის ფერმკრთალი ბუნება.

– ძმებო, ნუ დაივიწყებთ, ვინც პირველმა ვერ მოითმინა და მარტოდ შეებრძოლა მტერს!

– განუსვენოს უფალმა! – გრიალებს ხალხი...

წინათ ამონყვეტილსა და გადამწვარ ორ სოფელს შორის აღმართულია ამაყის ქანდაკება, ნიშანი ერის ძლიერებისა და მტერთაგან გათავისუფლებისა“.

ადამიანის ფსიქიკურ შესაძლებლობათა კვლევას, სიკეთისა და ბოროტების რხევის ამპლიტუდის ახსნას მოიცავს ვრცელი მოთხრობა „**მრისხანე ბატონი**“. ამ თვალსაზრისით იგი ერთგვარი გაგრძელება-გალრმავებაა იმ პრობლემისა, რაიც მწერალმა ერთხელ უკვე დასვა მოთხრობაში „ტრაგედია უგმიროდ“.

მეფის სპასალარი, ლევანი, მთელ ქვეყანაში განთქმული იყო მრისხანებით და დაუნდობლობით. ამპარტავანმა ლევანმა ირმის მოკვლისთვის მამასახლისის ბიჭს თვალები დასთხარა და კოჭში გადატეხა. ლევანის გაბოროტებას ხელს ისიც უწყობდა, რომ იგი უშვილძიროდ ბერდებოდა, და წუთისოფელზე თავისი სვე-ბედის გამოც იყო აღრენილი. ლევანის ცხოვრებაში იმედის სხივად დაეშვა თვრამეტი წლის ციციწი, მეძავობით და ავხორცობით იმ მხარეში ბადალი რომ არ ჰყავდა. ლევანმა ჯერ საყვარლად დაისვა მომხიბვლელი ქალი და მერე, როცა ციციწომ გაუმყლავნა, მუცელი მეძრაო, მრისხანე ბატონმა, მიუხედავად იმისა, რომ ციციწოს წარსული კარგად მოეხსენებოდა, ჯვარი დაინერა. მეძავის გადედოფლებამ განარისხა თვით ლევანის დედა – დიდი ქალბატონიც, რომელიც მრისხანე შვილზე გამწყრალი იყო და 15 წლის განმავლობაში თავისი ოთახიდან არ გამოსულა. ციციწომ, რასაკვირველია, ჩვეულება არ მოიშალა, მაგრამ შეძლო სასახლის კარი მისი ნებისთვის დაემორჩილებინა და თვით ლევანიც მოელმობიერებინა. ერთ დღეს მოლალატე ტყისპირელმა გლეხებმა ლევანს თავისი „განდგომილი“ ძმისწული – ვახტანგი მიჰგვარეს. ვახტანგი ბატონმა საპყრობილემი შეაგდო. ახალ პატიმარს თვალი ჰკიდა

ციცინომ, სიყრმის მეგობარი ამოიციო მასში და მიძინებული სიყვარულის გაცოცხლება სცადა, არაერთხელ საკანში ეწვია ვახტანგს და ევედრებოდა, ოლონდ შენთან მამყოფე, აქედან გაგაპარებ და მთელი სიცოცხლე მოახლედ დაგიდგებიო. ვახტანგი უარზე იდგა; კანონიერ ცოლს ვერ ვუღალატებო. პატიმრისა და დედოფლის საიდუმლო სერობას შემთხვევით შეესწრო ლევანი და მის და მის არსებაში კვლავ მხეცმა გაიღვიძა. გამძვინვარებულმა უკანასკნელი იმედიც მოაშთო თავის არსებაში. მას უკვე აღარა სჯერა ადამიანების. „დამნაშავეთა“ მიმართ საშინელი სასჯელი მოიფიქრა: ბრძანება გასცა, ორივენი გავემებული მოზვრების ზურგზე დაეკრათ და ამგვარად შემკული მოზვრები ერთმანეთზე მიეშვათ. მოზვერთა რკინების საშინელმა სანახაობამ თვით მრისხანე ბატონიც კი შესძრა. ძმისწულისა და ცოლის დაფლეთილი სხეულების ხილვამ მას საერო ყოფის ერთბაშად მიტოვება გადაწყვეტინა, ბრძანება გასცა: გაეხსნათ საგანძური და ყველას წაეღო, რაც სურდა. მეფეს კი მისწერა: – თქვენის ჯარის წინამძღოლობის ღირსი არა ვარ და ვითარცა ცოდვილი, ვტოვებ რა ყოველივე მიწიერს, მსურს „ზეციურს შევავედრო სული ჩემიო!“

„მონამეთის პირდაპირ, მდინარის გაღმა, გამოქვაბულში შეაფარა თავი მოხუცმა. დაყუდებული ბერი ყველას მორჩილებით, მორიდებით ეპყრობოდა. ჩიტები თამამად ჯდებოდნენ მის თავზე და ნისკარტს იწმენდნენ თმაზე. შველი, წყალზე ჩამოსული, ხელიდან ართმევდა ჭადის ნატეხს, მოხუცი კი ლოცულობდა ხის ხატის წინ, განუწყვეტლივ კითხულობდა სახარებას, უფალს შენდობას ევედრებოდა ბალახის გადათელვისათვის, მზის სხივის შეურაცხყოფისათვის, ორიოდ ლუკმისთვის, რომელსაც შორიახლო უტოვებდნენ მცხოვრებნი. ერთ დილას მწყემსმა ნახა გამოქვაბულში გაცივებული გვამი, გულზე დაკრეფილ ხელებში მიცვალებულს ეჭირა ხის ხატი“.

ასე მთავრდება „მრისხანე ბატონი“.

„თავსაფრიანი დედაკაცი“ დედაშვილობის პრობლემას ეხება. დედააზრი მოთხრობისა მარტივია და თითქმის მოთხრობის ზედაპირზე დევს: „გიყვარდეს მოყვასი შენი, პატივი ეცი დედასა და მამასა შენსას“.

ადრე დაქვრივებულმა თავსაფრიანმა დედაკაცმა სამი შვილი წვითა და დაგვით გაზარდა. სამივენი დააოჯახა. თითქოსდა ბედნიერი უნდა იყოს. ქვეყნისა და ოჯახის წინაშე თავისი ვალი მოიხა-

და. ახლა შეუძლია მშვიდად იყოს და მიეცეს თავისი ცხოვრების შემოდგომას, მაგრამ, სამწუხაროდ, თავსაფრიანმა დედაკაცმა სულიერი კმაყოფილება ვერ ჰპოვა. თითქოსდა ფუნქცია დაკარგა. ხან ერთ შვილთან არის, ხან მეორესთან, მაგრამ „დედა სახლისა“ აღარ არის. პირველობა დაათმობინა ახალმა ვითარებამ. ერთხელ შვილიშვილს წინდა მოუქსოვა.

„ფეხი არ ჩაეცია.“

– გაიხადე ბები. ამას შენს ძამიას წავუღებ. შენ კი სხვას მოგიქსოვ.

ბავშვის ტირილი.

დედამ სთხოვა:

– მიეცი, სულერთია, ოლონდ გაჩუმდეს.

– რათა, შვილო, ამას კონიას წავუღებ... ბავშვს ნუ გაანებივრებ.

ბავშვი უფრო ტირის.

– რაა, დედა. შეგენანა განა ერთი წინდა; გინდა მეორე შვილიც მოიმადლიერო? ნუთუ ამის საღირალ პატივს არ გცემთ?

წინდები ხელიდან გაუვარდა“.

ეს შემთხვევა საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ თავსაფრიანი დედაკაცი სახლიდან გადაკარგულიყო.

„შვილებმა კარგა ხანს ვერ გაიგეს დედის გადაკარგვა. ერთს მეორესთან ეგონა“.

დედა კი ამ დროს თბილისის ქუჩებში დამათხოვრობს და შვილებს უკანასკნელ წერილს უგზავნის.

„საყვარელო შვილებო, ნუ მიწყენთ, სალოცავად წავედი. ნუ მეძებთ... შვილიშვილები დამიკოცნეთ. ჩემზე ნუ სწუხხართ... მშვიდობით სამუდამოდ“.

ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ ერთ დღეს ვაკის ჩიხში მიცვალებული მოხუცი ქალის გვამი იპოვა პოლიციამ.

იგი თავსაფრიანი დედაკაცი იყო.

იმპრესიონისტიული სტილით დაწერილი ეს მოთხრობა შესამჩნევად ფრანგმენტულია. მას არ ეტყობა მწერლისთვის დამახასიათებელი მხატვრული სიზუსტე და სინატიფე. არ მიმჩნია სწორად თავსაფრიანი დედაკაცის სახეში ქართველი ქალის ტიპური სახის აჩემებული ხილვა ზოგი კრიტიკოსის მიერ და მითუმეტეს, არც ოთარაანთ ქვრივისთვის მისი შედარება. თავსაფრიანი დედაკაცის გაგულისებაში, ცოტა არ იყოს, ავადმყოფური სჭარბობს. რძლის ნათქვამი სრულიადაც არაა საკმარისი იმისათვის, რომ ოჯახის

დედამ შვილები მიატოვოს და ამ დიდზე დიდი სასჯელით დასაჯოს ისინი, ვისაც სული შთაბერა და მთელი სიცოცხლე შესწირა.

ნიკო ლორთქიფანიძის სტილი ერთგვაროვანი არ გახლავთ. თუ იმპრესიონისტულ ნოველებში ფრაზა შეკუმშულია და ზოგჯერ დაუმთავრებელი სურათის ან რებუსური პასაჟის შთაბეჭდილება გრჩებათ, სამაგიეროდ, შემოქმედების მეორე პერიოდში ნიკო ლორთქიფანიძის, როგორც მხატვრის ოსტატობა, უზადოა. მწერალს აქვს ოდნავ სევდიანი და ზედმინევნით ზუსტი სცენები. ამავე დროს იუმორის, ირონიის გაფაქიზებული გრძნობა, რაც თვალსაჩინოდ ცნაურდება ნოველებში „ეპისკოპოსი ნადირობაზე“, „ბებრები“, „კბილთხარაძე“ „რუმბი“, „ლვინის ქურდები“, „სოფლის აშიკი“ და სხვა.

ნიკო ლორთქიფანიძის სახით ჩვენს წინაშე დგას მწერალი – დენდი, ბრწყინვალე ქართველ არისტოკრატთა ღირსეული შთამომავალი, საქართველოს დაღვრემილი ჭირისუფალი, უკომპრომისო მამულიშვილი და უანგარო, მშობელი ქვეყნის სიყვარულით გულდაფერფლილი ერისკაცი.

## მიხეილ ჯავახიშვილი (1880 – 1937)



მიხეილ ჯავახიშვილის პროზა შეიძლება ჩაითვალოს XX საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს მხატვრულ მატრიანედ. მწერლის შემოქმედება ჩვენი კაზმული სიტყვის მშვენიერებაა, ხოლო „ჯაყოს ხიზნების“ ავტორი ის მწერალია, რომელიც კიდევ დიდხანს ალაპარაკებს მკითხველთა თაობებს ჩვენი ქვეყნისათვის უაღრესად რთული საუკუნის პერიპეტეიებზე. მან ახალ სიმაღლეზე აიყვანა ქართული მოთხრობის ჟანრი და ახალი სული შთაბერა ქართულ რომანს. თუ დავუმატებთ ყოველივე ზემოთქმულს უაღრესად მძაფრი სიუჟეტების და გამოკვეთილი კოლორიტული ხასიათების მთელ გაღერებას, შეიძლება დავასკვნათ, რომ მიხეილ ჯავახიშვილის სახით ქართულ მწერლობას ჰყავს უზადლო მესიტყვე.

მიხეილ ჯავახიშვილი დაიბადა 1880 წელს, ახლანდელი მარნეულის რაიონში, მაშინდელ ბორჩალოს მაზრაში, სოფელ წერაქეში. ისტორიული უსამართლობის გამო, სამწუხაროდ ბორჩალოს მაზრა დღესაც უცხო ტომის წარმომადგენლებით არის დასახლებული. XIX საუკუნის ბოლოს კი, მით უმეტეს, მთელს მაზრაში ორიოდვე ქართული სოფელი თუ იყო.

მწერლის მამა – საბა ადამაშვილი – ქიზიყელი გლეხი იყო, ბორჩალოში გადმოსული. პირველდანიებიანი განათლება მიხეილ ჯავახიშვილმა სოფელ წერაქვის ოთხკლასიან რუსულ სასწავლებელში მიიღო, რადგანაც სოფელში ქართული მოსახლეობის მცირერიცხოვნობის გამო ქართული სკოლა არ არსებობდა. მიხეილ ჯავახიშვილმა სწავლა განაგრძო წინამძღვრიანთკარის სამეურნეო სასწავლებელში. ეს ილია წინამძღვრიშვილის ისტორიული სასწავლებელი გახლდათ, რომლის გახსნაზეც ილია ჭავჭავაძემ თავისი ბრწყინვალე მამულიშვილური სიტყვა ბრძანა. ამ სასწავლებელში სწავლების პერიოდს ეკუთვნის მიხეილ ჯავახიშვილის შეხვედრა ილია ჭავჭავაძესთან საგურამოში. ერის სულიერ ბელადთან შეხვედრამ წარუშლელი კვალი დატოვა მომავალი მწერლის შემოქმედებაში. წინამძღვრიანთკარის სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მიხეილ ჯავახიშვილი ყირიმს გაემგზავრა და მებაღეობა-მელვინეობის ინსტიტუტის სტუდენტი გახდა. მაგრამ ორიოდე წლის შემდეგ სწავლა შეწყვიტა და საქართველოში დაბრუნდა მისგან დამოუკიდებელი, ერთი საშინელი შემთხვევის გამო. საბას შინ არყოფნის დროს მის ოჯახს დაესხნენ, მისი უფროსი დის – სოფიოს გასატაცებლად. საბა შინ არ იყო, ქალებმა მოძალადეებს მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს და ყაჩაღებმა ოჯახის ყველა წევრი დახოცეს. ამ ტრაგედიის შემდეგ საბამ ცოტა ხანს იცოცხლა და დარჩა მიხეილ ჯავახიშვილი მარტო. თითქმის უპროფესიო კაცი თბილისში ჩამოვიდა და თავს დღიური შრომით ირჩენდა. ამ ტრაგედიის შემდეგ მას თავისი სოფლისკენ აღარც კი გაუხედავს. თბილისში ერთხანს ჟურნალისტობდა, დაზღვევის მოხელედაც მუშაობდა, პოლიციის მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა, ამიტომ ერთხანს ემიგრაციაში გახლდათ. იყო ჯერ სოციალ-ფედერალისტთა პარტიის, შემდეგ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი. რედაქტორობდა გაზეთებს: „ივერიას“, „ერს“ და „გლეხს“. 1923 წელს დააპატიმრეს, მაგრამ გადარჩა, 1937 წელს კვლავ დააპატიმრეს და დახვრიტეს.

მიხეილ ჯავახიშვილმა პირველი მოთხრობა „ჩანჩურა“ 1903 წელს დაწერა. ამ მოთხრობაში მწერალი გვიამბობს თბილისის ბაზარში მოხეტიალე პატარა, მახინჯ, ყრუ-მუნჯ და ლამის სულიერად დეგრადირებულ მანანალაზე, რომლის ნამდვილი სახელი არავინ იცის და ყველანი ჩანჩურას ეძახიან. ჩანჩურა დახლიდან მისთვის სამონყალოდ გადაგდებული ნარჩენებით იკვებება, მა-

გრამ ამ ნარჩენებში მას თავისი საყვარელი, „მაციონიც“ აქვს. ეს გახლავთ ფილტვის ნაჭერი, რომელსაც იგი უმად მიირთმევს. სწორედ ამ ფილტვის ნაჭრის გამო გაიმართა ჩანჩურასა და ბაზრის ძაღლის ორთაბრძოლა, რომელიც ჩანჩურასათვის ტრაგიკულად დამთავრდა. ჩანჩურა ეტლმა გასრისა.

ამ მოთხრობის შეფასების დროს, ლიტერატორები, რატომღაც, ყურადღებას მხოლოდ ჩანჩურაზე ამახვილებენ და ხაზს უსვამენ იმ გარემოებას, თუ როგორ ესარჩლება და ეხმაურება მწერალი უპატრონო, ბაზრის ბიჭს, მაგრამ მხედველობიდან რჩებათ უმთავრესი, მწერლის ბრალდება იმ საზოგადოების მიმართ, რომელიც გულგრილია საცოდავი არსების ბედისადმი. ეს არის მთელი ბაზარი – მათი ორთაბრძოლის შემყურე, საზოგადოება, რომელსაც თავისი მოვალეობა დავინყნია და ადამიანისა და ძაღლის საბედისწერო ორთაბრძოლაში მხოლოდ გასართობს ეძებს.

ხაზი უნდა გაუფსვთ იმ ფაქტს, რომ მიხეილ ჯავახიშვილის მოთხრობათა უმეტესობას დაკვირვების საგნად თითქმის ფსკერზე დასული, ავადმყოფი ე. წ. „პატარა ადამიანი“ გაუხდია და მათი უბედური ბედის დახატვით მსჯელობს მწერალი საზოგადოების მზადყოფნაზე, შეიბრალოს, ან არ შეიბრალოს მოყვასი თვისი.

ამ ტიპის მოთხრობებს განეკუთვნება „კურკას ქორწილი“, „მეჩექმე გაბო“, „უპატრონო“ და სხვები.

ბაზრის ბიჭია კურკაც. ოღონდ ჩანჩურასთან შედარებით ცოტათი ნორმალური. იგი მეჯღანე ბახჩოსთან მუშაობს. თავისი ოფლით ნაპოვნი ორიოდე გროშით კმაყოფილიც არის და მონინებით შესცქერის თავის პატრონს, ბახჩოს, რომელმაც ლუკმა გაუჩინა. ერთ დღეს ბაზარმა ბახჩოს სახით ულმობელი გადამწყვეტილება მიიღო. გაერთოს საცოდავი კურკას ქორწილით. საცოლედ შეღერებულ კურკას ბახჩო თავის საყვარელს – მაშოს „შერთავს ცოლად“. და, როდესაც ქორწინების პირველსავე ღამეს ყველაფერი გაირკვევა, კურკას გულში სამუდამოდ ჩანყდა რაღაც და ეს რაღაც სხვა არა იყო რა, თუ არა ნდობის სუსტი ძაფი, რომელიც კურკას ადამიანებთან აკავშირებდა („კურკას ქორწილი“).

ასეთივე „პატარა ადამიანის“ ტრაგედიაზე გვიამბობს „მეჩექმე გაბო“. მას საკუთარი სახლიც ჰქონდა, ცოლ-შვილიც ჰყავდა, როგორც მეჩექმე ურიგო არ იყო, მაგრამ ერთი ნაკლი დაჰყოლოდა – ქალები უყვარდა. მშვენიერი სქესისადმი განსაკუთრებულმა ლტოლვამ მიიყვანა იგი იქამდე, რომ საკუთარი სახლის ნაწილი

მეძავეებს მიაქირავა, აქაოდა შორს წასვლა არ დამჭირდება, მეც მეძავთა „ძვირფასი“ საზოგადოების ხშირი სტუმარი ვიქნებიო. თურმე მეძავთა დიასახლისი სკრუპულოზური სიზუსტით ინერდა მეჩქემე გაბოს დანახარჯს და, როდესაც წარუდგინა თამასუქი გასანაღდებლად, გაბო შეძრწუნდა, მაგრამ უკვე გვიან იყო. გაბოს სახლი მთლიანად მეძავეებმა დაისაკუთრეს, ხოლო მას ბინა სარდაფში მიუჩინეს.

გარდა ამ ნახევრად პათოლოგიურ ადამიანებზე დანერლი მოთხრობებისა მიხეილ ჯავახიშვილს წმინდა რეალისტური ხასიათის მოთხრობებიც აქვს: „ყბაჩამ დაიგვიანა“, „მართალი აბდულა“, „ტყის კაცი“ და სხვანი.

მოთხრობა „**ყბაჩამ დაიგვიანა**“ დანერლია სიყვარულის თემაზე. იგი უაღრესად კომპაქტური სიუჟეტით და მწერლისათვის დამახასიათებელი ჰუმანისტური პათოსით გამოირჩევა. მეისრე თომას ჰყავს ლამაზი, ბრმა ქალიშვილი თინა. იგი ობლად გაზრდილი გოგონაა, რომელსაც მამისა და თავისი სიყმანვილის ნანდაურის, ყბაჩას, მეტი ქვეყანაზე არავინა ჰყავს. უაღრესად კეთილ და ფაქიზი სულის პატრონ თინას მხოლოდ შეხებითი წარმოდგენა აქვს მის ირგვლივ არსებულ საგნებზე. მან არ იცის, თუ რა არის ლურჯი ცა, მწვანე ბალახი, არასოდეს უნახავს მამა და სულისლევამდე აინტერესებს, თუ როგორია მისი ერთგული ყბაჩა. მაგრამ ბედის განგებით მოვლენები სხვაგვარად ვითარდება. სოფელში ჩამოდის რკინიგზის მუშა – სოლო. დაგრეხილფეხებიანი, გრძელხელება, შეუხედავი, ხანში შესული, უცოლო კაცი, რომელსაც მიხეილ ჯავახიშვილი საოცარი ფერწერულობით ხატავს. სოლომ მეტად პიკანტურ ვითარებაში გაიცნო თინა. იგი მდინარეში ბანაობის დროს წაანყდა სრულიად შიშველ მზეთუნახავს. შემდეგ ასევე არცთუ ჯენტლმენური დაინტერესებით უკან მიჰყვა მას და როცა გაიგო, თომას ერთადერთი ქალიშვილი იყო, გადაწყვიტა ქალიშვილის გულის მოსაგებად თომას ოჯახს დაახლოებოდა. გულუბრყვილო, ბრმა ქალისთვის სოლო პირველი სიყვარული იყო. თინა მიენდო რკინიგზის მუშას, და, როცა საქმე ჯვრისწერაზე მიდგა, სოლომ ქალაქში წასვლა მოიმიზეზა და თვით სოლოსთვისაც გაუთვალისწინებელი ამბავი მოხდა; სასიძო ქალაქში ავად გახდა. გულგახეთქილი თინა რამდენიმე დღე ელოდა საქმროს, და, რაკი სოლო არ გამოჩნდა, გუდა-ნაბადი აიკრა და მარტოდმარტომ გასწია ქალაქს სოლოს საძებრად. დიდი ფათერაკებისა

და კითხვა-კითხვის შემდეგ იპოვა სოლო და იმაშიც დარწმუნდა, რომ რკინიგზის მუშას მისი ლალატი გულში არც გაუვლია, იგი უბრალოდ ავად გახდა. გამომჯობინებულმა სოლომ თინას თვალეზზეც იზრუნა; მიუყვანა თვალის ექიმს, მოხდა სასწაული, თინას თვალეზზე ლიბრი გადაუნმინდეს არცთუ რთული ოპერაციით. თინამ სინათლე იხილა. მისთვის ახალი ცხოვრება დაიწყო. ცხადი უფრო სასტიკი აღმოჩნდა, ვიდრე მის წარმოდგენაში არსებული და მხოლოდ ხმითა და შეხებით დადასტურებული. მისი ქმარი – სოლო ასატანზე უფრო მახინჯია, ქალაქში სამუშაოდ წასული და მოულოდნელად დაბრუნებული ყბაჩა კი – ტანაშოლტილი, ლამაზი ყმანვილი. ამ ცეცხლს თივას უმატებს ის გარემოებაც, რომ ყბაჩას თინა ძველებურად უყვარს. ქალაქშიც იმიტომ წასულა, რომ ორიოდე გროში ეშოვა, მომაგრებულიყო და თინა შეერთო ცოლად. დარჩა თინა სამუდამოდ თავის დიდ სიყვარულთან და ვეებერთელა სევდასთან ერთად. „რატომ დაიგვიანე ყბაჩა, ბიჭო, შე უღმერთო, რატომ დაიგვიანე?“ – ამბობს ქალი, მაგრამ მის არსებაში კეთილი სოლოსადმი მოვალეობის გრძნობა სძლევს სიყვარულსა თუ გატაცებას. მან იცის, რომ იგი სამუდამოდ ეკუთვნის კაცს, რომელმაც შეიყვარა ისეთი, როგორიც იყო და რომლის უნაპირო სიკეთემაც ბრმა ქალს თვალი აუხილა.

ასევე უაღრესად საინტერესოა „**მართალი აბდულა**“. მოთხრობა სასამართლო პროცესით იწყება. აბდულას ოთხი რუსი მოქალაქის გაძარცვა და ერთი მათგანის მოკვლა ბრალდება. ამოა ტუსაღის ქვითინი და ყელგამოღადვრით მტკიცება, რომ იგი უდანაშაულოა. აბდულას შინ მოპარული ნივთების ნაწილი უპოვეს და, რაც მთავარია, იგი დაზარალებულებმა ამოიცნეს. მოსამართლეს ისლა დარჩენოდა, რომ აბდულასთვის მიესაჯა ათი წლით თავისუფლების აღკვეთა. მართალი აბდულა ციხეშია. მან არ იცის, თუ ვინ უმუხთლა. ვის დასჭირდა და რატომ, უდანაშაულო თათრის ციხეში ყოფნა. ციხის ადმინისტრაცია მალე რწმუნდება, რომ აბდულა ალალი, უაღრესად კეთილი და მორჩილი კაცია. მას რამდენჯერმე ჩამოაკლეს პატიმრობის წლები და სულ სამიოდე წლის შემდეგ გაათავისუფლეს. სიხარულისაგან ფრთაშესხმული თათარი შინისაკენ მიიჩქარის. გულში ეჭვის მცირე ნაპერწკალი უღვივის. ექვსი თვეა თავისი ლამაზი ცოლი, ფატმა, და დედა, ზოვრა, არ უნახავს. მიაღწია თავის კარ-მიდამოს და ნახა, რომ იქ უკვე აღარავინ ცხოვრობს. სახლ-კარი გაპარტახებულია და თავისი

ნათესავებისაგან შეიტყობს, რომ დედა კარგა ხანია გარდაცვლილა, მისი ცოლი ხასად დაუსვამს მისსავე ნოქარს, ხოლო ახლახანს აბდულას ციხიდან გამოსვლის შიშით გუდანაბადი აუკრავს და ყაზანს გაქცეულა. აბდულა ერთბაშად მოიჩვარა, მისთვის ყველაფერი დამთავრდა. მას სიცოცხლე აღარ უნდა, ერთადერთი, რაც ამოძრავებს, არის შურისძიება თავისი ბიძაშვილის – მუსტაფას მიმართ, რომელმაც სწორედ აბდულას აივანზე შეინახა ნაძარცვი ნივთები. დარწმუნდა აბდულა ბიძაშვილის ავკაცობაში, მიეჭრა მუსტაფას შინ, ყელში ხანჯალი გაუყარა და ცოლ-შვილიც ზედ დააკლა. მას შემდეგ თითქოსდა ვალმოხდილი თათარი კვლავ ორთაქალის ციხეში ბრუნდება და დარაჯს ეძახის: გამიღეთ კარი, ხომ ხედავთ, სისხლში ვარ მოსვრილი და დამაპატიმრეთჃ. სასამართლოზე მართალი აბდულა მისებური პირდაპირობით და მიამიტური სილალით ჰყვება სიმართლეს. ბედად მონმეც აღმოჩნდა, სიკვდილს გადარჩენილი მოხუცი თათრის ქალი .და სასამართლოს განაჩენი ისეთია, თავისი ობიექტურობით დღევანდელ სასამართლოსაც რომ შეშურდება: მოსამართლემ იგი უდანაშაულოდ მიიჩნია და გაათავისუფლა.

მარტოობის, სოფლისაგან განდგომის ტრაგედიით სუნთქავს მოთხრობა „ტყის კაცი“. გლეხკაცს ცოლი მოუკვდა და გადანყვიტა სოფელს გაეცალოს, განაპირდეს. წავიდა და თავისი ორი ბიჭით შუაგულ ტყეში დასახლდა. თითქმის გატყუარებულ კაცს უბედურება დაატყდა თავს. ორივე შვილი დაელუპა. იგი მიხვდა თავის საბედისწერო შეცდომას, მაგრამ უკვე გვიან იყო. ამ მოთხრობაში განვითარებული განდგომა-განდევნილობის პრობლემა მიხეილ ჯავახიშვილისათვის, შეიძლება ითქვას, ახალია და ვერც მის სხვა ნაწარმოებებში ვხვდებით მსგავს განწყობილებას.

შემოქმედების ადრეულ პერიოდში „სანყალ ადამიანთა“ გალერეა მიხეილ ჯავახიშვილმა სიყვარულის მსხვერპლი ორი ქალითაც გაამდიდრა. ესენია ნუცა („უპატრონო“) და ეკა („ეკა“). ორივე მოთხრობიდან მოტყუებული ქალები გვიმზერენ. შეცდენილი მოახლე ქალები ბედს დამორჩილებული, უპრეტენზიო ადამიანები არიან. ისინი უხმოდ დაატარებენ სიყმაწვილის ცოდვას. ეს პატარა მოთხრობები შორსაა „კაკო ყაჩაღური“ ან „სურამის ციხური“ სოციალური დატვირთვისაგან, ისინი უბრალოდ „საკითხავი მოთხრობებია“.

„უპატრონო“ მექათმე ნუცას ჩვიდმეტი წელი შეუსრულდა . ქალბატონის ოჯახში სამადლოდ გაზრდილ გოგოს, დაპირებისამებრ ალბათ, გაათხოვებდნენ და მცირეოდენ მზითევსაც უბოძებდნენ, ოთხმოცდაათი წლის ქალბატონი „მოულოდნელად“ რომ არ გარდაცვლილიყო. მემკვიდრეობა ორმა ხანშიშესულმა ქალმა და ერთმა ოფიცერმა ჩაიბარა. ოფიცერმა თვალი დაადგა უპატრონო გოგოს და მექათმეობიდან პირისფარეშად „დაანინაურა“. ნუცას სალამოობით ბატონთან სამოვრით ჩაი აჰქონდა და ბატონიც მას იმაზე გაცილებით მეტხანს იტოვებდა, ვიდრე ჩვეულებრივ მოახლეს იტოვებენ ხოლმე პატიოსანი კაცები. ამ „დატოვებებს“ შედეგად ის მოჰყვა, რომ ნუცა დაორსულდა. წინდახედულმა ოფიცერმა ფეხშიძემ გოგო მჭედელ პავლეს მიათხოვა. მჭედელს ოჯახის და სიყვარულის ბევრი არაფერი გაეგებოდა, მაგრამ იმდენი ცოდნა კი ჰქონდა, რომ ბავშვი ცხრა თვეში თუ არა, უკიდურეს შემთხვევაში, შვიდ თვეში მაინც უნდა დაბადებულიყო. რაკი ნუცას ბიჭი ვადაზე გაცილებით უფრო ადრე ეყოლა, პავლემ საბოლოოდ ირწმუნა, რომ ახალშობილი მისი შვილი არ იყო. გამძვინვარებულმა მჭედელმა ჩაქუჩით მოკლა ახალშობილი. ელდისაგან ჭკუაზე შეირყა ნუცა, ხოლო პავლე დააპატიმრეს.

„ეკა“. სტუდენტი არდადეგებზე თავის სოფელში დაბრუნდა. დედამისმა მოახლე გოგო, ეკა, წარუდგინა. სტუდენტს მოეწონა მოხდენილი ეკა და ერთხელ ღამით მის ოთახში „გადაიპარა“. ვნებამ თავისი გაიტანა. ეკა წინ ვერ აღუდგა ნიაღვარივით მოვარდნილ სიყვარულს.

დილით სტუდენტის დედამ ყველაფერი შეიტყო და მოახლე გოგო სასწრაფოდ დაითხოვა.

გავიდა წლები. თბილისში განთქმული ექიმი (ყოფილი სტუდენტი) პაციენტებს ლებულობს. ლამაზ დედიკოს ათიოდე წლის ყმაწვილი ახლავს. ექიმმა და ეკამ, რასაკვირველია, იცნეს ერთმანეთი, მაგრამ ეკამ დაუშალა ექიმს, რომ ბიჭი მისი შვილი იყო. „ამას მამა ჰყავს“ – უთხრა. ძველი იარის განახლება საჭიროდ აღარ ჩათვალა და კარი გაიხურა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მიხეილ ჯავახიშვილის მოთხრობებში არაერთგან ნაანყდებით პათოლოგიურ, ჯანსაღი ფსიქოლოგიური წყობიდან გადახრილ ადამიანებს და ისეთ პასაჟებს, ესთეტიკურის სფეროს რომ სცილდება. ამგვარ ადგილებს ვხვდებით



მოთხრობებში „მუსუსი“, „უპატრონო“, „ჩანჩურა“, „ოქროს კბილი“, „პატარა დედაკაცი“, „ლამბალო და ყაშა“ და სხვ. ადამიანურ ჭეუჭყში ხელის ფათური და ავადმყოფური სულის ლაბირინთებში ჭვრეტა მწერალს, ალბათ, იმისთვის სჭირდება, რომ სიუჟეტი უფრო გაამძაფროს და ამით სათქმელი უფრო მკვეთრად გვაგრძნობინოს.

შთამბეჭდავი სიუჟეტით გამორჩეული, უაღრესად საინტერესო ფსიქოლოგიური მოთხრობაა „ჯილდო“. ვფიქრობ, მიხეილ ჯავახიშვილის ნაწარმოებთა შორის საშუალო სკოლებში ეს მოთხრობაც უნდა ისწავლებოდეს. 1905 წელს დაწერილი „ჯილდო“ გვიამბობს, როგორ შეიძლება რევოლუციურ ქაოსში სრულიად უბრალო კაცი მკვლელად იქცეს და ყველაზე დიდი ცოდვით დაიმძიმოს სული.

ალტკინებული ბრბო ქუჩაში „ნესრიგის დასამყარებლად“ გამოყვანილ ოციოდე „საღდათს“ თავს დაესხა. გაფითრებული საღდათები უკან იხევდნენ და მუშებს აფრთხილებდნენ: შესდექით, თორემ გესვირთო, მაგრამ სროლას არ აპირებდნენ და არც დაპატიმრებული ოთხი „დამნაშავის“ გაშვება სურდათ. ამ ორომტრიალში შეშინებულ, ფერნასულ საღდათს, გიორგი ჯობაძეს, „შავგვრემანი, მალალი, ჩასხმული“ მუშა დაესხა თავს და თოფის ნართმევა დაუპირა. გიორგიმ თოფი არ დათმო და მუშამ იგი წინ გაითრია. ჯერ მუშტი შემოჰკრა, მერე ქვას დაწვდა და თავი გაუტეხა. თოფს ორივენი იქით-აქეთ ექაჩებოდნენ. ამ ბლლარძუნში შუბლგასისხლიანებულმა გიორგიმ თოფს ხელი უშვა, მუშას შტიკი მუცელში მოხვდა და იქვე განუტევა სული.

ყაზარმაში დაბრუნებულმა გიორგიმ სულიერი წონასწორობა დაკარგა. იგი მკვლელია.

„თავისი დედა მოაგონდა და მოკლული მუშის მაგივრად თავისი თავი წარმოიდგინა, მოხუცი დედაკაცის მაგივრად კი – თავისი დედა და გული ეტკინა, გააჟრჟოლა, თვალეზე ცრემლი მოაწვა“.

ჯარისკაცები სოფლელ ტლუ ბიჭს მკვლელივით უცქეროდნენ, გულცივად პასუხობენ და გაურბიან. „ბიჭო, მართლა კაცი შემოგაკვდა?“ – ეკითხება მეგობარი.

ამ ამბიდან ორი დღის შემდეგ გიორგი „როტის უფროსმა“ დაიბარა, „ერთგული სამსახურისთვის“ მადლობა გადაუხადა და ოქროს თუმნიანით დააჯილდოვა.

„გიორგი ოქროს თუმნიანს კარგა ხანს ატრიალებდა ხელში და არ იცოდა, ამდენი ფული რისთვის მისცეს. ისეთი გრძნობით იყო შეპყრობილი, თითქოს ეს ფული ქუჩაში ეპოვნა და არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო. არ იცოდა, ვის დაეკარგა ეს ფული, ვინ იყო იმის პატრონი, სად ცხოვრობდა, როგორ ეპოვნა მისი ბინა, ან ვისთვის გადაეცა ის, რაც იმას არ ეკუთვნოდა“.

ბოლოს გიორგიმ კითხვა-კითხვით მიაკვლია მოკლულის სახლს, დედას და ცოლს უამბო ყველაფერი, აუხსნა, რომ უნებურად შემოაკვდა და როცა, თითქოსდა, დაარწმუნა ჭირისუფალნი თავის უდანაშაულობაში, თუმნიანი ამოიღო და მოკლულის დედას გაუწოდა. დედამ, რასაკვირველია, იუარა და „მკვლელს“ წყევლა-ქოქოლა დააყარა. გიორგი გამოიქცა, მაგრამ შუალამისას ისევ მიიპარა დედაბრის სახლთან და ოქროს თუმნიანი ფანჯარიდან შეაგდო.

ამის მერე საღდათმა შვებით ამოისუნთქა. გადაწყვიტა, სამუდამოდ გაენწყვიტა კავშირი ქალაქთან, რომელმაც იგი მკვლელად აქცია, მოეგლიჯა რუსის ჯარის საღდათის სამხრეები და თავის სოფელს დაბრუნებოდა.

„მტკიცე და დინჯი ნაბიჯით მიდიოდა. მიდიოდა ზევით, ზედაზნის მთისკენ. მიდიოდა იქ, სადაც არც პოლკი იყო, არც მყრალი ყაზარმა, არც სულიერი მოვალეობა, არც უგემური საჭმელი და არც ათასი ბატონი, მას წინდანიწვე უხაროდა თავისუფლება...“

მიდიოდა დეზერტირი და თან რალაც სიმღერას ღლინებდა“.

**ლამბალო და ყაშა**“ რუსეთის იმპერიალისტური ზრახვების მამხილებელი მოთხრობაა. იგი 1925 წელს არის დაწერილი, ესე იგი, იმ დროს, როცა წითელმა რუსეთმა სისხლში ჩაახშო საქართველოს 1924 წლის ეროვნული აჯანყება. ბუნებრივია, იმ დროს მიხეილ ჯავახიშვილი ქართულ სინამდვილეზე იმპერიის კლანჭებისაგან თავგამოხსნის იდეით გაჟღენთილ ნაწარმოებს ვერ დაწერდა, ამიტომაც მოქმედება ურმიაში, ირან-აზერბაიჯანის საზღვარზე გადააქვს და გვიჩვენებს, თუ როგორ ცდილობს რუსეთი სპარსეთს წაჰგვაროს თავისი ისტორიული მიწები. სხვისი ტერიტორიების მითვისების მეკობრული თვისება რუსს ჩვენს დღეებამდე შერჩა. ამაში ისიც ადვილად დარწმუნდება, ვინც თუნდაც უკანასკნელი დროის მოვლენებს – საქართველოში, აზერბაიჯანსა თუ ჩეჩნეთში რუსეთის მიერ გაჩაღებულ დამპყრობლურ ომებს გაიხსენებს.

აზერბაიჯანელი ალალი, პატიოსანი ყმანვილი, მაშადი ჰასანი, ქართველი ექიმის მეეტლე და მეგობარია. ჰასანი, რომელსაც მეტსახელად ლამბალოს ეძახიან, სიკეთითა და სხვა ადამიანური ღირსებებით გამორჩეული ოცი წლის ბიჭია. ურმიაში რუსები შეჭრილან. დამპყრობელ რუსს სძულს ყველა არარუსი და, მითუმეტეს, მუსულმანი. ადგილობრივი მოსახლეობის მიმართ გამოვლენილ მათს ცინიზმს საზღვარი არა აქვს. აი, როგორ ხვდება ქართველ ექიმს, ეპისკოპოსის ნიღბიანი ტიპიური რუსი შოვინისტი – პავლე.

„– დაბრძანდით, ბატონო ექიმო. როგორ იმგზავრეთ, როგორ მოგენონათ აქაურობა? თქვენ ქართველი ბრძანდებით, არა?“

– დიახ, ქართველი გახლავართ – ხაზგასმით ვუპასუხე.

მან თანაგრძნობით და ნუგეშით მიპასუხა:

– ქართველობა დიდი უბედურება არ არის, რადგან ქართველიც ადამიანია და კეთილი ქრისტიანი ქართველებშიც მოიპოვება.

მე თვალეში შევხედე, მაგრამ ამარიდა.

– მართალს ბრძანებთ, თქვენო უსამღვდელოესობავ, – ეპისკოპოსის ლმობიერ კილოზევე დავუდასტურე მე – კეთილი ადამიანი მართო ქართველებში კი არა, რუსებშიც კი მოიძებნება.

ახლა ერთმანეთი თვალებით დავხვრიტეთ, ჩემმა „რუსებშიც კი“ გაკრავებული მგელი შიგ გულში დაჭრა.

– ისიც უდიდესი ჭეშმარიტებაა, რომ „ქართველიც ადამიანია“, – დავუმატე მე.

– რა თქმა უნდა... რა თქმა უნდა. მე მოგახსენეთ ქართველობა...

– თქვენ ბრძანეთ – ჩამოვართვი სიტყვა – თქვენ ბრძანეთ, ქართველობა დიდი უბედურება არ არისო.

– მართალია, მაგრამ...

– მაგრამ – ხელმეორედ ჩამოვართვი სიტყვა და ხმაში ფოლადი ჩავისხი – გულწრფელად მოგახსენებთ, თქვენო უსამღვდელოესობავ, რომ ქართველობა ჩემთვის უდიდესი ბედნიერება გახლავთ.

– ვოოტ კაკ?“

ორი კაცის ამ სიტყვიერ დუელში ნათლად იკვეთება იმპერიის დამქაში მღვდლის სულისკვეთება და სახვალის დიდი ეროვნული დრამაც ინასკვება.

რუსების ყურმოჭრილმა მონამ, გაიძვერა აისორმა მღვდელმა, ყაშა ლაზარემ, შეიძულა ლამბალო. ყაშას პათოლოგიური სიძულვილი მუსულმანი ვაჯკაცის მიმართ იქამდე მივიდა, რომ ჯერ ახა-

ლამოთხრილი ჭა აუვსო სიბინძურით, შემდეგ კი, დაასმინა და მიუხედავად ქართველი ექიმის შუამდგომლობა-ცდისა, ლამბალო უმონყალოდ გააროზგვინა. ლამბალომ რუსული წკეპლის ქვეშ დალია სული. ბოროტებასაც აქვს თავისი აღსასრული. ლამბალოს მამამ – მაშათი იზათმა, შური იძია – გველები შეუსია მძინარე ყაშას და საშინელი წამებით ამოხადა სული. ხოლო, როცა რუსი იძულებული გახდა ურმიიდან კუდი ამოეძებინა, პავლე ეპისკოპოსი დაიჭირეს და დასასჯელად შვილმკვდარ მამას მიუგდეს. მაშადი იზათმა იმავე ეზოში დაკლა ვერაგი ეპისკოპოსი, სადაც ამ უკანასკნელის ბრძანებით მის ლამბალოს სული ამოხადეს.

მოთხრობაში შეუფარავად ჩანს ავტორის პოზიცია. მიხეილ ჯავახიშვილი აშკარა პროტესტს აცხადებს რუსი დამპყრობლის მიმართ და იმპერიის ჩექმით გათელილ კავკასიის ხალხებს ექომაგება. ეს კი, დაგვერწმუნებით, იმ დროისათვის დიდი მოქალაქეობრივი გმირობა იყო.

საბჭოთა სისტემის მიერ გონებაბრმობილი, ფსიქიკადარღვეულ, მომხვეჭელ-წამლელე („დამპატიყე“) და დოგმატური, მარქსისტული აზროვნებისაგან მანქურთადქცეულ („დამდნარი ჯაჭვი“) ადამიანთა სახეები დავახსატა მიხეილ ჯავახიშვილმა ოქროპირ-დამპატიყეს და წითელ დირექტორ, აპოლონ რაპოლიძის სახით.

უბადლო მესიტყვედ და ჭეშმარიტად ეპოქის მხატვრად აღმართულა ჩვენს წინაშე მიხეილ ჯავახიშვილი თავისი სწორუპოვარი რომანებით: „ჯაყოს ხიზნები“, „არსენა მარაბდელი“, „კვაჭი კვაჭანტირაძე“, „თეთრი საყელო“, „გივი შადური“, „ქალის ტვირთი“... ეს რომანები იმგვარ მხატვრულ ქრონიკებად უნდა ჩაითვალოს, უზუსტეს წარმოდგენას რომ უქმნიან მკითხველს XIX-XX საუკუნეთა სინამდვილეზე.

„ჯაყოს ხიზნები“ რევოლუციისშემდგომი პერიოდის ქართულ სინამდვილეს შეეხება. იგი დაიბეჭდა 1924 წელს ჟურნალ „მნათობში“.

ისტორიის გრიგალმა დაჰქროლა, შეიცვალა საქართველოს ბედი და ყოფა. საზოგადოებრივ ასპარეზზე ახალი ძალა გამოჩნდა. იგი ნელ-ნელა ეპოტინება და თავისი ტლანქი ხელით საკმაოდ მოუხეშავად იპყრობს ცხოვრების ყველა სფეროს. გაუფერულე-ბულია მაღალი კატეგორიები: დემოკრატია, თავისუფლება, დემოუკიდებლობა, ქვეყნის სამსახური. ჯაყოების დროა. ყოფილ თავდასა და საკმაოდ უნიათო ინტელიგენტს – თეიმურაზ ხევისთავს,

ლამაზი ცოლი ჰყავს, მარგო. ცხოვრობენ ისინი ქალაქად, ბედს შერიგებულნი, უმწეო ინტელიგენტის ცხოვრებით. მათ ყოფას უღიმღამოს ხდის თეიმურაზის სისხლნაკლული, კომპრომისული და ამკარად არავაჟაკური ბუნება. მარგო შესაშური აქტიურობით ამაოდ ცდილობს, ზოგჯერ ვნების სარეცელთან მიიტყუოს ქმარი, მაგრამ თეიმურაზი უფრო დიდი „საქვეყნო საქმეებით“ არის გართული, ვიდრე საკუთარი ცოლის მოფერება გახლავთ. მკითხველი გრძნობს, რომ ხევისთავთა ცხოვრება ასე დუნედ არ გაგრძელდება და მათ ოჯახში ერთბაშად შემოიჭრა ტლანქი სინამდვილე, ოსი მოურავყოფილის, ჯაყოს სახით. ხეპრე, უხეში, გაუნათლებელი, ცბიერი და ვერაგი ჯაყო ხევისთავთა სასახლემამულის მითვისებას არ ჯერდება. მისი უტიფრობა იქამდე მივიდა, რომ ნათავადარს ცოლი გაუბახა. ბოლოს გაუბედურებული მარგო საბოლოოდ ნაჰკვარა ქმარს და მორიგ ცოლად დაისვა. ეს არის სიუჟეტური ქარგა რომანისა, ხოლო ფინალი, ვითომ ჯაყოს დასჯა და გლეხთა შემართების ზეიმი, ნაძალადევის შთაბეჭდილებას ტოვებს.

„ჯაყოს ხიზნები“ – უბრწყინვალესი ევროპული ტიპის რომანი, ნიშნული და ძვირფასი სწორედ რომ თავისი ეპოქალური სინამდვილით გახლავთ. ამ რომანის შეფასებისას, ჯერ იყო და რეცენზენტებმა ჯვარს აცვეს მწერალი, აქაოდა ქართველი ინტელიგენცია, ქართველი ქალი დაამცირაო, ხოლო მწერლის რეაბილიტაციის შემდეგ მორცხვად უვლიდნენ გვერდს რომანის ქვეშეშეპრობლემეტიკას. ეს პრობლემეტიკა კი რომანში ორი მიმართულებითაა განფენილი.

1) სოციალური საკითხი, ძალა, რომელიც მოვიდა ქვეყნის ბატონ-პატრონად სოციალ-დემოკრატების სახით, არის უხეში, ტლანქი, გაიძვერა. ბატონობს ინსტინქტზე დამყარებული ძალა და იგი ქვეყანას სიკეთეს არ მოუტანს.

2) პრობლემათა მეორე ჭრილი კი ეროვნული საკითხს უკავშირდება. ნუ დაისვამ თავზე უცხოტომელს. ნუ მისცემ შენს მიწას საჯიჯგნად გადამთიელს, თორემ იგი ადრე თუ გვიან შენსავე მამულში ხიზნად გაქცევს – გაგვაფრთხილა ოციან წლებში მიხეილ ჯავახიშვილმა. დღეს კი, როდესაც სტუმარმა ხალხებმა საქართველოს ტერიტორიის მესამედი მიიტაცეს და ჩვენ ჩვენი სიმართლე მსოფლიოსთვის ვერ მიგვიწვდენია, სინანულით ვიგონებთ სამოცდაათი წლის წინათ ნათქვამ ამ მწარე სიმართლეს.

რომანი „თეთრი საყელო (1926) მრავალპლანიანია. იგი მარტოდენ ცივილიზაციისა და ტრადიციული ეთნიკური ყოფის დაპირისპირების პრობლემას როდი აყენებს ჩვენს წინაშე. აქვე ნათლადაა გამოკვეთილი რუსეთის იმპერიის წითელ ხელისუფლებასთან ქართველი ერის დამოკიდებულების, ზოგიერთ დახვასებულ ჩვეულებასთან მიმართების, სიკვდილ-სიცოცხლის, სიყვარულის და სხვა პრობლემები.

ელიზბარი სპილენძის მადნის აღმოსაჩენად მთათუშეთს გაემგზავრა, მაგრამ გზა დაებნა და ხევსურეთის ერთ-ერთ მივარდნილ სოფელში ამოჰყო თავი. ელიზბარი ოდენ სპილენძის მაძიებელი არ გახლავთ, იგი გაექცა მაცდურ, გაუტანელ ქალაქს, გაექცა საეჭვო ყოფაქცევის ცოლს – ცუცქიას და, რაც მთავარია, გაექცა – საბჭოთა ხელისუფლებას. ამის დასადასტურებლად მოვიტან ნაწყვეტს ჯურხა ნიკლაურსა და ელიზბარს შორის (ჯურხა ელიზბარის ძმადნაფიცია, რომელიც მან დიდი ხნის განშორების შემდეგ სწორედ ამ სოფელში იპოვა) დიალოგიდან:

ჯურხა – „ჩვენ ბატონყმობა არა გვექონივ, სრულ მუდამ თავისუფლებისათვის ვომობდით და ახლაც თავისუფალნი ვართ. თქვენ კი უბატონოდ არც წინაც გიცხოვრიათ და ეხლაც წითელ უღელჩი ღბიხართ.

ელიზბარ: – აგრეა, აგრე! მეც მაგ უღელს გამოვექეცი“.

რუსულ ხიშტით შემოსულ ხელისუფლებას ემალება ხევსურთ სოფელი, უპირველს ყოვლისა, და არა ცივილიზაციისა და თეთრ საყელოს, როგორც ზოგიერთ კრიტიკოსს გულუბრყვილოდ ჰგონია: გზადაბნეულ ელიზბარს მთაში ცხენოსანი შეეფეთა. ცხენოსანმა სოფლისკენ გზა არ ასწავლა.

„ფურხამ გაიღიმა და ნაქას სიფრთხილე მოუწონა.

– რას უფრთხოდა, ვის ემალებოდა? (ეკითხება ელიზბარი).

– ჯერ ჩვენ სოფელში წითელი ეშმა არ ამოსულ და იმას ვემალებით.

– რა, ამ სოფელში საბჭოთა ხელისუფლება არ ამოსულა?“

ახლა გასაგებია რას და ვის გაუბრბის ხევსურთ სოფელი. რატომ დარჩა ელიზბარი თავის ძმადნაფიცთან საცხოვრებლად, რატომ გააფრთხილა ჯურხამ ქალაქს გაბრუნებული ელიზბარის მხლებელი:

„მე გიცნობ შენ. ახმეტელი ნაჩაფრალი ხარ, გივარგის შვილი. ყური მიგდევ: თუ ეს სოფელი გისწავლება ვისმესთვის, ვაი შენი

ბრალი! მინაში რომ ჩაძვრე, მაინც გიპოვი და დაგახრჩობ. ახლა მშვიდობით“.

რისი იმედით და მოლოდინით ცხოვრობს საბჭოთა ხელისუფლებას და რუსის ჩექმას თავგარიდებული, მთაში მიყუჟული სოფელი?

„– კიდევ რას უბნობენ?

კიდევ უბნობენ; თათარიც და რუსიც ძმადნაფიცია გამხდარან.

– მაშ დავიღუპებით, კიდევ რა?

– კიდევ უბნობენ: უცხოეთში ახალი ბატონიშვილი გამოჩენილა, ნამდვილი ბაგრატიონი, ნეფის ერეკლეს შვილიშვილი.

ბორბალოს მთასავით უვნებო ჯურხა ახლა კი ზენამოიჭრა.

– ის, ას, ის! თეიმურაზ ბატონიშვილი უთქვამთ. თეიმურაზი!

ვიცნობ თუ არა თეიმურაზ ბატონიშვილს?

– არა, არ ვიცნობ. არც გამიგია. ბაგრატიონები ბევრნი არიან, მაგრამ ერეკლეს შვილიშვილები ყველანი დაიხოცნენ.

– არ დახოცილან! – ჰკვივის ჯურხა.

– დაიხოცნენ-მეთქი!

– მაშ, შვილის შვილი იქნების.

– მერმე? თუნდ ეგრეც იყოს, მერმე?

– როგორ თუ „მერმე“ – უკვირს ჯურხას.

არ ესმის, რაკი მე ეგრე ადვილად შევურიგდი „პირობის ნიგნის“ (გიორგიევსკის ტრაქტატი, რ.მ.) გაფუჭებას, მაშ, მე ქართველი არა ვყოფილვარ!

– რომელი ნიგნისა, ჯურხა?

– იმ ნიგნისა, ნეფე ერეკლემ რომ დაუდგა რუს ხელმწიფესა.

– ჰო, მაგრამ...

– ბაგრატიონ უნდა მავიდას და მცხეთას უნდა იგრგვინას! – გადასჭრა ჯურხამ და სხვებმაც ყაყანით დაუდასტურეს.

– მავას! მავას!

– იგრგვინებს! იგრგვინებს!“

თეთრი საყელოც ნაწილობრივ საბჭოთა ხელისუფლების სიმბოლოა რომანში. ამიტომაც გაურბის მას ასე დაჟინებით ტრადიციული საქართველო. რაც შეეხება ელიზბარის დაბრუნებას; ბოლოს მაინც ცივილიზაციამ გაიმარჯვაო, ამაყად რომ ასკვნიდა ზოგი კრიტიკოსი, არც ასეა საქმე. ელიზბარმა ჩათვალა, რომ მიმალვით საქმეს არ ეშველება. საბჭოთა ხელისუფლება ადრე თუ გვიან მაინც მოაგნებს ჯურხაისკარს. საჭიროა აქტიური ბრძოლა მტერ-

თან – წითელ ხელისუფლებასთან. მტერს კი არ უნდა გაექცე (ან დაემალე), ციხეში უნდა დაუხვდე.

„ – სხვა ხალხი ზვავივით მოგვასკდა და ქართულიც კი დაგვავინყეს. საკუთარი ალარაფერი შეგვარჩინეს, არც ჩოხა, არც ქუდი, არც ცხვირი და არც თვალი.

– მთაში შეხიზვნა გაქცევაა და მეტი არაფერი – მივუგე მე – ბრძოლის ველი ქალაქშია და ომსაც იქ მოვიგებთ ან დავმარცხდებით.

მომხვდურს დედაციხესთან უნდა დაუხვდე, მე კი იქიდან გამოვიქეცი და დავიმალე.

– იქ ვერ იბრძოლებ, ვაჟიკავ.

– შენ კი იბრძვი? დათვის ბუნაგში შემძვრალხარ და დამალვა მიზნად გადაგიქცევია.

ჯურხა შეეყოყმანდა. იყურა და თქვა.

– ქალაქში გაგანითლებენ“.

ამ ამონაწერებიდან ნათლად ჩანს, რომ „თეთრი საყელო“ აშკარად ანტისაბჭოთა ნაწარმოებია, ხოლო მწერლის მიერ მოქმედების ხეცსურეთში გადატანა მხოლოდ ხერხია იმის ხაზგასასმელად, რომ საქართველოში თითქმის ყველას, ქალაქელსაც და მივარდნილ სოფელში მცხოვრებსაც, ერთნაირად სძულთ წითელი ხელისუფლება და ცდილობენ გადაარჩინონ თავისუფლების ამაყი სული – ჩვენი გადარჩენის მიზეზთ-მიზეზი.

დამპყრობლისადმი ზიზლით გამსჭვალული რომანია „**კვაჭი კვაჭანტირაძე**“. მისი ბეჭდვა 1923 წელს „დროშაში“ დაიწყო და 1924 წელს „მნათობში“ დასრულდა.

მეცხრამეტე საუკუნის მინურულს სამტრედიის სილიბისტრო კვაჭანტირაძის მეუღლეს – პუპის შეეძინა ვაჟი, რომელსაც კვაჭი დაარქვეს.

რვა წლისა არც იყო კვაჭი, როცა მამამისმა ზუგდიდელი აფერისტის, აშორდიას, შემწეობით აზნაურობა მოიკვარახტინა და დიდგვაროვნება უსაგზლა სასწავლებლად ქუთაისში გაგზავნილ ყმანვილს.

თავდაპირველად „გიმნაზიელის ახალ ფორმაში გამონყობილი კვაჭი გულმოდგინედ შეუდგა სწავლას“, მაგრამ მალე დარწმუნდა, რომ პატიოსნებით გზას ვერ გაიკაფავდა. იმპერიის სინამდვილე ყმანვილს თავის გადასარჩენად მლიქვნელობას, ცბიერებას, „გაძ-

ვრომ-გამოდვრომას“, ქლესობას, ტყუილს, გაუტანლობას, ორპირობას სთავაზობდა.

...და კვაჭი კვაჭანტირაძე მისდაუნებურად პროფესიონალთა ლლითად ჩამოყალიბდა.

„გულმოსალოკი ღიმილის, გამაცურებელი ქების, ადამიანის დაბმა-მონველის“ თავისებური ნიჭის და თავისი საყვარლების წყალობით კვაჭიმ საქართველოდან იმპერიის ცენტრში გადაინაცვლა. მწერალი დიდი ოსტატობით აგვინერს ხელმწიფის კარის გარყვნილებას, რუს ჩინოვნიკთა იმპერიულ ამბიციებს, „მცირე ერებისადმი“ სიძულვილს და ველიკორუსულ ყოყლოჩინობას. აი, გრიგოლ რასპუტინისა და კვაჭის პირველი დიალოგი:

„ – შენ ვინა ხარ? – ჰკითხა.

– თავადი კვაჭანტირაძე გახლავართ, წმინდა მამაო.

– მამ კავკასიელი იქნები... არ მიყვარს... ველური ხალხია... სულ ხანჯალზე უჭირავთ თვალი. „ბასურმანები“ არიან.

კვაჭიმ ტკბილად განუმარტა:

– მე ქართველი გახლავართ, წმინდა მამაო, ქართველები კი მართლმადიდებლები არიან“.

კავკასიელთა „ველურობაზე“ ლაპარაკობს რუსეთის ხელმწიფის კართან ყველაზე დაახლოებული კაცი, გარყვნილი გრიშკა რასპუტინი, რომელიც თვით იმდენად კულტურულია, რომ დიდგვაროვანთა ერთ-ერთ წვეულებაზე შარვალს გაიხსნის და თავის „მამაკაცურ ღირსებას“ ამოიღებს ყველას დასანახავად, თავის შესარცხვენად.

ახლა ვნახოთ სუფრის ადათი როგორი აქვთ, როგორი ქეიფი იციან იმპერიის ცენტრში.

„ერთი ოთახიდან განუწყვეტელი კივილი და რჩეული რუსული გინება ისმოდა... უცებ იმ ოთახიდან, სადაც გრიშკა რასპუტინი ქეიფობდა, ქალის ხანგრძლივი კივილი მოისმა.

– მიშველეთ, მომკლეს!

კვაჭი ჯერ აივანზე გავარდა, მერმე ქუჩისკენ დაეშვა. ალაყაფის კარებთან სრულიად ტიტველი და თმაგანწილი ქალი შეეფეთა, რომელიც წივილ-კივილით მირბოდა ქუჩისკენ. უკან რასპუტინი მისდევდა. ისიც შიშველ-ტიტველი იყო. მისდევდა და თან თასმის ქამრით ტიტველ ქალს შოლტავდა“.

ასეთი გახლდათ დიდი მწერლის თვალით დანახული დამპყრობელი ქვეყანა, რომლის „განმანათლებლურ“ მისიასაც ჯერ კიდევ

ილია ჭავჭავაძემ გაუსვა ხაზი ბრიყვი „რუსის აფიცრის“ ლაღებ-ით „მგზავრის წერილებში“. რომელ დამპყრობელზე გალაპარაკებდნენ 1924 წელს, ჩვენ ხომ „საბჭოეთის ძმური ოჯახის“ თანასწორუფლებიანი წევრი ვიყავით. წითელი ცენზურის თვალის ასახვევად „კვაჭი კვაჭანტირაძის“ ავტორს პასუხი მზად ჰქონდა: იგი ხომ სამეფო კარს აბიაბრუებდა, იმ სამეფო კარს, რომელიც თვით ბოლშევიკებმა დაამხეს. იმპერიის „დამქმთა“ მხილება კი მაშინ ოფიციალურად დაშვებულიც კი იყო. და ბოლოს, ისევ დამპყრობელი იყო დამნაშავე იმაში, რომ იმპერიის ნანგრევებში მოყოლილი თავისი დაბნეული სამშობლოს და აბურდული ბედის გადამკიდემ, ოცდაჩვიდმეტი წლის ავანტიურისტმა, კარიერა საროსკიპოს მფლობელ ღიზა ხანუმის ქმრობით და ამ საძრახისი დაწესებულების „მოურავის“ თანამდებობით დაასრულა.

**„გივი შადური“** საბჭოთა წყობილების სულისშემხუთველ რეჟიმზე დაწერილი რომანია. ამ ნაწარმოებით მიხეილ ჯავახიშვილმა აუნყა მკითხველს, რომ საქართველოში მოვიდა წყობილება, რომელიც ადამიანის უფლებებს არად დაგიდევს. პოლიციურ ქვეყანაში „სამართლის დამცველს“ განუსაზღვრელი ძალაუფლება გააჩნია. იგი კამათელივით ათამამებს ადამიანის ბედს და განმკითხავი არავინ არის. ლამის ათი წლით ადრე იწინასწარმეტყველა 1937 წლის რეპრესიები. ნილაბი ჩამოხსნა რუსეთუმე მოხელეებს და მათს მოსკოველ მფარველებს.

ნაწარმოები გალოთებულ-გაუბედურებული კაცის – გივი შადურის ქართველ მწრლებთან დიალოგით იწყება. გივი სასონარკვეთილი, სამუდამოდ გულგატეხილი კაცია.

„უწინ იტყოდნენ ხოლმე: ყველა გზა რომისკენ მიდისო. მე კი მოგახსენებთ, ტყუილია, ჭორია! ყველა გზა და ბილიკი იმედის ნანგრევებზე იყრის თავს“ – ამბობს გივი.

ერთ დროს თავმოყვარე და პენიანი შადური თავის ახლანდელ ყოფას ასე გვიხატავს:

„ამჟამად მე ჩიტსა ვგავარ – უდარდელს და უზრუნველსა. არცა ვხნავ, არცა ვთესავ, არამედ თქვენისთანა მადლიანი ხალხის წყალობით თითქმის მუდამ მაძლარი გახლავართ. ნასუფრალი – აი, ჩემი ულუფა. მეტიც არ მინდა... მე უკვე ნაკაცარი ვარ. წარსულმა მომატყუა, ანმყო მანვალეებს, მომავალი მაშინებს და ისე დავდივარ ამქვეყნად, როგორც ქვრივი სასაფლაოზე“.

რამ მიიყვანა გივი შადური იმედთა ნანგრევებამდე?

გამომძიებელ ანტონ აფთარიძეს გივი შადურის ლამაზი ცოლი, რუსიკო, მოენონა და მისი ხელში ჩაგდების მიზნით გივი დააპატიმრა. ბრალდება? „ვითომ ვითაღლითე, ვიჯიბგირე, სხვის სალაროში ჩავყავი ხელი“. ქმრის ბედით შეწუხებული რუსიკო არაერთხელ ეახლა გამომძიებელს. ერთ-ერთი ვიზიტი იმით დამთავრდა, რომ არაკაც გამომძიებელს უდანაშაულო პატიმრის მეუღლე დანებდა. გივი შადური გამოუშვეს. მწარე აღმოჩნდა მეუღლის მიერ ნამუსის გაყიდვით მოპოვებული თავისუფლება. შადურმა ვერ აპატიო რუსიკოს უნებლიე ღალატი, თუმცა კარგად იცის, რომ ცოლმა ეს ნაბიჯი მხოლოდ მისთვის გადადგა. ოჯახი დაინგრა.

ეს სიუჟეტი ოციანი წლებისთვის იშვიათი, მაგრამ ოცდაათიანი წლების ბოლოსთვის ლამის ტიპიური გახლდათ სახელმწიფოში. რამდენი დაიჭირეს და გააციმბირეს ვითომდა „ტროცკისტობისათვის“, სინამდვილეში კი მისი ლამაზი ცოლის ხელში ჩაგდების მიზნით.

ბოლშევიკურ-იმპერიული რეჟიმი არა მარტო გივი შადურებს აუბედურებს, არც იმ ღამურებს ეპყრობა კარგად, ვისაც ეროვნული ღირსება დაუკარგავს და სხვას შეჰკედლებია; პეტრე შევარდენიძე რუსეთში დასახლდა.

„ოჯახი? საგვარეულო?“

– ნუ ხართ რომანტიკოსები – მოკლედ მოგვიჭრა საქმიანმა ნათესავმა (პეტრე შევარდენიძე, რ. მ)...

– სადაც მე ვარ, ჩემი სამშობლოც იქ არის – გვასწავლის პეტრე“.

გავიდა ოცდაათი წელი. ვერ პოვა სულიერი სიმშვიდე და ბედნიერება სხვის კარზე, სხვის მიწაზე პეტრე შევარდენიძემ. არ შეითვისა იგი რუსმა. არ დაუფასეს სამსახური. იგი, სიბერეში გადამდგარი გაკოტრებული და ნოსტალგიით ნერვებდალღნილი, წერილს სწერს დედას:

„ოოჰ, რომ იცოდე, როგორ მომწყურდა, როგორ მომშვიდა დედაშვილობა, მშვიდობა, შრომა და ტკბილი სიტყვა. უბედური ვარ, დედი, უბედურთა უბედური“...

წერილი რუსულად იყო დანერილი და სულ ბოლოს მინერილი ჰქონდა: „აქამდე პეტრე სოკოლოვი, ამიერიდან კი – ისე შევარდენიძე“.

დაბრუნდა ძე შეცდომილი სამშობლოში.

„პეტრე სოკოლოვი ისე შევარდენიძედ გადაიქცა. დადის და ადგილს ეძებს, დილით რომ გადის, ბინდისას ბრუნდება. მთელი დღე გარეთ დაბორიალებს:

ადვილია, შევარდენიძე სოკოლოვად გადაკეთდეს, მაგრამ სოკოლოვი რომ კვლავ შევარდენიძედ გადაიქცეს, ასე ადვილი როდია. ამიტომაც ველარ პოულობს ყოფილი სოკოლოვი სამშობლოში თავის ადგილს.

რომანში ძალუმად გაისმის რუსის მიერ დაპყრობილი, გათელილი სამშობლოს რექციემი:

„მოხვევ აღარ დარაჯობს ლარსის ყელს...“

სადღაა მთის მგელი იაგო?

...თემი ძველებურად აღარ თემობს.

ამის შემდეგ მრავლი წელიწადი გაივლის და სამაგიეროდ წითელი თემი დამყარდება, დეკანოზის ნაცვლად აღმასკომი გამოიტანს წითელ დროშას და ახალ თემთაობას გაუძღვება და თუ დასჭირდა, ახალი თემის ღალატისთვის საკუთარ მამას, გოჩასაც, გაჰგმირავს“.

როგორც იტყვიან, კომენტარები ზედმეტია.

მიხეილ ჯავახიშვილი ისტორიასაც გადანვდა და მეცხრამეტე საუკუნის ორ თვალსაჩინო მოვლენას – გლენტა 1829 წლის აჯანყებას და თავადაზნაურთა 1832 წლის შეთქმულებას უძღვნა ბრწყინვალე რომანი „**არსენა მარაბული**“.

ფეხით გათელა რუსეთმა გეორგიევსკის ტრაქტატი. საქართველოში მეფის ტახტი და ეკლესიის ავტოკეფალია გააუქმა. ქართულ მონასტრებში XI-XII საუკუნეების დიდებული ფრესკები თეთრად გადაღება და ქართული ენა განდევნა სახელმწიფოებრივი ხმარებიდან. ერთი სიტყვით, 1801 წლიდან წაიშალა საქართველო მსოფლიო რუკაზე, როგორც სახელმწიფო. იგი რუსეთის გუბერნიად გადაკეთდა და ლამის ასე განიცდება დღესაც მსოფლიოს არაერთი პოლიტიკოსის თავში.

აიქორა დამოუკიდებლობადაკარგული საქართველო. დროდადრო იფეთქებს აჯანყება-გამოსვლები, შეიარაღებული შეტაკებანი რუსის დამსჯელ ექსპედიციებთან, მაგრამ დამპყრობელი სასტიკად უსწორდება მემამბოხეებს. ჩვეულებრივი მოვლენაა ქართულ მაჯაზე საციმბირო რუსული ხუნდები, ხოლო სოფლებში ბუნტის ჩასაქრობად დამსჯელი რაზმების – ე. წ. ეგზეკუციის პარპაში.

ცალთვალა დევის, ღვთისაგარ ოძელაშვილის ნაკვალევზე, მისი შვილი, არსენა შედგა... არსენა სიყრმიდანვე აითვალნუნა ზაალ ბარათაშვილმა და დაჩაგრულთა ქომაგი ბიჭისთვის „ჭკუის სწავლება“ განსაკუთრებული სიმკაცრით მაშინ გადაწყვიტა, როცა არსენამ მოახლე გოგო ნაჰგვარა და ცოლად დაისვა. მაგრამ უკვე გვიან იყო. არსენას გვერდით ეროვნულ-სოციალური ჩაგვრით გამწარებული ლამის მთელი ქართლის გლეხობა იდგა.

ჭიდაობის სცენით იწყება აკაკის მშვენიერი ეროვნული მოთხრობა „ბაში აჩუკი“ და „არსენა მარაბდეელიც“. ჭიდაობა ანუ უსისხლო დუელი ამ ქმნილებებში დაპირისპირებულ მხარეთა შორის მომავლი სამკვდრო-სასიცოცხლო შეტაკებების პრელუდიაა. ჭიდაობა აქ მარტო სპორტი არ გახლავთ. იმ დღეს თავისი გამარჯვებით და ეროვნული დროშის მომარჯვებით არსენა მარაბდელმა შეუპოვრობის მაგალითი მისცა გლეხებს და თავისუფლებისთვის მებრძოლი სული გადაარჩინა.

ზაალ ბარათაშვილებს როგორმე აუვიდოდა გლეხობა, მის გვერდით ახალი და უფრო ვერაგი დამცველი რომ არ იდგეს რუსული კოლონიური პოლიტიკისა. ეს გახლავთ იმპერიის აღვირახსნილი მოხელე, ქართველთა მოძულე მაიორი არლოვი. შეთქმული გლეხების – ტყის ძმების ბრძოლა, უპირველს ყოვლისა, რუსი მჩაგვრელების წინააღმდეგაა მიმართული.

რომანში ძალუმად ფეთქავს ეროვნული მტრის წინააღმდეგ ქართველთა შეკავშირების იდეა. ამბოხებული გლეხები თავადაზნაურ შეთქმულთა გვერდით აღმოჩნდებიან ხოლმე, რაკილა ორივე მხარეს საერთო მიზანი – იმპერიის კლანჭებიდან თავის დახსნა აერთიანებს და სწორედ ეროვნულ ბრძოლაში შემწეობისათვის ამოდ მიმართავს არსენა ევროპას – „მოდი და გვინაპალავნეო“.

ძლიერი და დაუნდობელი დამპყრობლის წინააღმდეგ კვეთებას შეენიერებიან რომანის გმირები, მაგრამ მათ მიერ განაღდული გზა რჩება თაობათა მაგალითად. იზრდებიან ალგეთელი ლეკვები და ისინი მონობაში დარჩენას არ აპირებენ. სოფლად სასოებით ინახვენ ეროვნულ დროშებს და ძლევის ყიფინად ილესება – იფერება დაჟანგული ხმლები.

1905 წლის რევოლუციაზე, მის მამოძრავებელ ძალებზე, საიმპერიო რევოლუციაში საქართველოს პოზიციის გარკვევაზე დაწერილი რომანია „ქალის ტვირთი“. რომანში ნათლად ჩანს, რომ სახალხო ამბოხების ჩასახმობად რუსი ქართველებშივე ეძებს ძა-

ლებს და, სამწუხაროდ, პოულობს კიდევ. იმპერიის სამსახურში შესულნი ხშირად უფრო მკაცრი დამსჯელები არიან საკუთარი ხალხისა და უფრო ერთგული დამქაშები რუსული რეჟიმისა, ვიდრე იმპერიის ცენტრიდან მოვლენილი ჩინოვნიკები. ცხვრის-ქურქიანი მგელიც არაერთი ეტმასნება რევოლუციას, ამღვრულ წყალში თევზის დამჭერნიც ბლომად არიან. რევოლუცია სასტიკია, ამ სასტიკის მსხვერპლი ხდება რომანის მთავარი პერსონაჟი ქეთევან ახატნელი.

და მაინც, ბოლო კეთილია. ბნელი ძალები უნდა დამარცხდნენ. ხალხის აზვირთება უკვალოდ არ ჩაივლის... ამ იმედით და რწმენით მიჰყვება მართა გადასახლებაში თავის კატორღამისჯილ ქმარს, შეუპოვარ რევოლუციონერს, ზურაბ გურგენიძეს.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ მიხეილ ჯავახიშვილმა შემოქმედებითი გზა ჟურნალისტობით დაიწყო. იგი ჯერ არაერთი გაზეთის რეპორტიორი და პოლიტიკური მიმოხილველი გახლდათ, შემდეგ – ფაქტიური რედაქტორი. მებრძოლი პუბლიცისტიური პათოსის და საქართველოს დამოუკიდებლობის აშკარად პროპაგანდისათვის გაზეთ „გლეხის“ რედაქტორი, მიხეილ ჯავახიშვილი, ცხრაასიან წლებში სამართალშიც კი მისცეს და რედაქტორობა სამუდამოდ აუკრძალეს, მაგრამ მიუხედავად ამისა, 1917-20 წლებში მწერალი ლამის კონსპირაციულად ხელმძღვანელობდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ორგანოს – გაზეთ „საქართველოს“. მიხეილ ჯავახიშვილის პუბლიცისტიკას საქართველოს ბედში ღრმად გარკვეული ერის ჭირისუფლის ბეჭედი აზის. ჯერ კიდევ ოქტომბრის გადატრიალებამდე მიხეილ ჯავახიშვილი აშკარად მოითხოვს სხვადასხვა პარტიებისა და პოლიტიკური დაჯგუფებების ერთი მიზნის ქვეშ გაერთიანებას, ხოლო ეს მიზანი სხვა არა არის რა, თუ არა რუსეთის კლანჭებისგან სამშობლოს გამოხსნა. დამოუკიდებელი საქართველოს პერიოდში (1918-21) მიხეილ ჯავახიშვილი ქადაგებს, რომ საქართველომ ერთხელ და სამუდამოდ უნდა გაითავისუფლოს თავი მფარველი რუსეთის ქვეშევრდომობის სინდრომისაგან და აშკარად დაადგეს დასავლეთის ორიენტაციას. გაურკვეველი, გაორებული პოლიტიკა მწერალს დამლუპველად მიაჩნია. ასევე ბევრს წერს. მ. ჯავახიშვილი-პუბლიცისტი თურქეთის ვერაგულ პოლიტიკაზე, მიიტაცოს საქართველოს ძირძველი ისტორიული მიწები ტაო-კლარჯეთი, მესხეთი და აჭარა. მწერალი წუხს, რომ არც სომხეთი და აზერბაიჯანი ადგანან დამოუკიდე-

ბელი საქართველოს სამეგობრო პოლიტიკას. მიმდინარე ქაოტურ-მა ისტორიულმა პროცესმა, მიხეილ ჯავახიშვილის აზრით, მადა აღუძრა ამ მეზობელ ქვეყნებს და ერთმანეთს ასწრებენ ქართული მიწების მისატაცებლად (მიხეილ ჯავახიშვილის „საქართველოსეული“ პუბლიცისტური ნააზრევი პირველმა შეისწავლა და გააანალიზა პროფესორმა ავთანდილ ნიკოლეიშვილმა). პედაგოგიკური მგზნებარებით გამოირჩევა „წერილი შვილისადმი“ ათი მცნების სახელით რომ დამკვიდრდა ქართულ პუბლიცისტულ კაში.

საგულისხმოა მიხეილ ჯავახიშვილის წერილები ლიტერატურაზე, ენაზე, თეატრის პრობლემებზე და ა.შ.

მიხეილ ჯავახიშვილი უზადო მხატვარია.

უაღრესად აქტუალური, ცხოვრებისეული პრობლემები დააყენა მან თავის თხზულებებში მკითხველთა წინაშე. გვიჩვენა ამ პრობლემათა გადაწყვეტის გზებიც და განსაცვიფრებელი მოქალაქეობრივი გაბედულებით შექმნა XX საუკუნის საქართველოს ცხოვრების მხატვრული მათიანე.

მძაფრი სიუჟეტებით, ოსტატურად, მტკიცედ შეკრული კომპოზიციით და ფერწერული, თვალაღრი ქართულით დაწერილი მიხეილ ჯავახიშვილის მოთხრობები და რომანები უღრმეს შთაბეჭდილებას ახდენენ მკითხველზე. მარგო, თეიმურაზ ხევისთავი, ჯაყო, არსენა, ქეთევან ახატნელი, ჯურხა, ელიზბარი, გივი შადური და სხვანი მწერლის შთამბეჭდავად დახატული ლიტერატურული ტიპებია, მსოფლიო მწერლობის პერსონაჟთა გალერეას სამუდამოდ რომ შეეზარდნენ.

მიხეილ ჯავახიშვილის ნაწარმოებთა ლექსიკური გეოგრაფია ლამის მთელ საქართველოს მოიცავს და ვერსად შეხვდებით სიყალბის, ფრაზაზე მიძალეების კვალს. მწერალი ერთნაირი სიძლიერით ფლობს ქართულ, იმერულ, კახურ, ფშავ-ხევსურულ თუ ძველთბილისურ კილოკავებს.

მისი გმირების მსგავსად, მონამებრივი იყო მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრებაც.

„ჯაყოს ხიზნების“ ავტორის მოღვაწეობა გამუდმებული ბრძოლა გახლდათ სულისშემხუთველი საბჭოთა სისტემის წინააღმდეგ და აკი ამ ბრძოლას შეეწირა კიდევ ავადსახსენებელ 1837 წელს, „კაენის სულის აღზევების“ დროს.

## ლეო ქიაჩელი (1884 – 1963)



ლეო ქიაჩელის ლიტერატურული ცხოვრება საბჭოთა იმპერიის წლებში ჩატარდა. მას საბჭოური სალიტერატურო კრიტიკა თვლიდა საბჭოთა სინამდვილის მეზობტედ, სოციალისტური რეალიზმის წარმომადგენლად და საკოლმეურნეო ცხოვრებასა თუ კომუნისტურ აღმშენებლობაში წილდადებულ შემოქმედად. ასე იყო შეფასებული ლეო ქიაჩელის თითქმის ყველა ნაწარმოები, განსაკუთრებით „ჰაკი აძა“ და „გვადი ბიგვა“. ახლა, როცა დადგა დრო ზოგიერთი მწერლისა თუ ლიტერატურული ნაწარმოების გადაფასებისა, ლეო ქიაჩელის თხზულებებს რომ ჩავხედავთ, ჩვენს წინაშე წარსდგება სოციალისტური აღმშენებლობით არცთუ დიდად კმაყოფილი მწერალი, რომლის შემოქმედებაში საკმარისზე მეტად ჩანს ირონია სოციალისტური წყობილების გამო. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იმ გარემოებას, რომ საითაც არ უნდა ექაჩებოდეს მას ოფიციალური კრიტიკა, ჭეშმარიტი შემოქმედი ყოველთვის სიმართლის მხარდამჭერია და თავის სინდისს არ ღალატობს.

მენშევიკური სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი, დამოუკიდებელი საქართველოს დროს ზუგდიდის ერობის თავმ-



ჯდომარე, რევოლუციური საქმიანობისთვის არაერთგზის ციხეში მოხვედრილი ლეო ქიაჩელი, პარტიული ცხოვრების ლოგიკით საბჭოთა ხელისუფლების მხარდამჭერი უნდა ყოფილიყო, მაგრამ იგი იმთავითვე მიხვდა, რომ საბჭოების ხელისუფლება ხალხის ნებით არ მოსულა. უბრალოდ, ნითელმა რუსეთმა დაიპყრო საქართველო. ეს აზრი გასდევს ქართული პროზის ამ ერთი ჩინებულ ოსტატის მთელს შემოქმედებას. როცა ერთმა ავსტრალიელმა გამომცემელმა რომან „გვადი ბიგვას“ დისიდენტური უწოდა, ხოლო მის მთავარ პერსონაჟს – სოციალისტური წყობის მსხვერპლი, საბჭოთა კრიტიკოსებმაც ეჭვის თვალთ დაუწყეს ყურება ლეო ქიაჩელს, მაგრამ უკვე გვიან იყო. მოხუცი მწერალი არაერთი პრემია-ორდენის ლაურეატი და ქართული მწერლობის მოწინავე რაზმის წევრი გახლდათ.

ლეო ქიაჩელი (შენგელაია) დაიბადა 1884 წელს წალენჯიხის რაიონის სოფელ ობუჯში. სოფლის სამრევლო სკოლის დამთავრების შემდეგ იგი ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში სწავლობს, მაგრამ ვერ ამთავრებს მას რევოლუციური საქმიანობის გამო. მერე განსწავლის მიზნით საზღვარგარეთ მიემგზავრება, კერძოდ, ლაიპციგში და ჟენევაში. უახლოვდება რუს რევოლუციონერებს. ცოტა ხნით საქართველოში დაბრუნებულს ქუთაისის ციხეში სვამენ. იქიდან გვირაბით გაიპარება. მერე ისევ საზღვარგარეთ ვხვდავთ. 1918 წელს, საკმაო რევოლუციური ბიოგრაფიის მქონე ლევან შენგელაია დამოუკიდებელ საქართველოში ბრუნდება და ზუგდიდის ერობის თავმჯდომარედ აირჩევენ. იმის შემდეგ, რაც ნითელმა რუსეთმა 1921 წლის თებერვალში საქართველოს ეროვნული ხელისუფლება დაამხო, ლეო ქიაჩელი პროტესტს აცხადებდა საქართველოს ოკუპაციაზე. 1921 წლის 18 მარტს მან ბათუმიდან ნოე ჟორდანიას გააცვილა. თვით არ ისურვა ემიგრაციაში გაქცეულიყო, თუმცა როგორც დამოუკიდებელი საქართველოს სამსახურში მყოფს, დაჭერა ელოდა. მართლაც, დააპატიმრეს, მაგრამ 30 მარტს გაათავისუფლეს. მაინც არ დაცხრა. აშკარად უთანაგრძობდა 1924 წლის აჯანყების მონაწილეებს. როდესაც ქართველი შტრეიბფერების დახმარებით რუსეთმა სისხლში ჩაახშო 1924 წლის აჯანყება, ეს, მართლაც, ეროვნული აჯანყება, ლეო ქიაჩელი ჩამოშორდა პოლიტიკას და მთლიანად ლიტერატურულ ცხოვრებას მიეცა.

წერდა მოთხრობებს, რომანებს, ეწეოდა მთარგმნელობით საქმიანობას, თუმცა იშვიათად. იყო პროფესიონალი მწერალი, თუმცა მისი მისი ნამსახურობის ნუსხა თითქმის 1924 წელს მთავრდება, იგი სიცოცხლის ბოლომდე აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. გარდაიცვალა 1963 წელს, დასაფლავებულია მთაწმინდის პანთეონში.

**„წარსული ანწყობი“** ლეო ქიაჩელის ერთ-ერთი პირველი ნოველაა. იგი ირონიული ნაწარმოებია. ირონია კი მიმართულია საზოგადოების იმ ფენებისადმი, „მაღალი არისტოკრატია“ რომ ერქვა და დღესაც არისტოკრატობენ, თუმცა მკაცრმა სინამდვილემ მათს სოციალურ ტიტულს კარგა ხანია სიტყვა „ყოფილი“ წარუმიძღვარა. რუსეთის მიერ დაპყრობილი ქვეყნის ეს კუდაბზიკა შვილები ძველებურად ყელყელაობენ და ლამის არად დაგიდევენ, რომ მათს სამშობლოს კარგა ხანია სახელმწიფოს ნაცვლად გუბერნია დაარქვა რუსმა, ხოლო მათსავე პატარა სამთავრო-სამფლობელოს – მაზრა.

ახლა ვნახოთ იმპერიის მოხელე – მაზრის უფროსი როგორ აფასებს ბატონიშვილებს.

„თვით მაზრის უფროსი, ვეება ტანის, გრძელ-ულვაშებიანი და რიხიანი რუსი მაიორი, ჩვეულებრივად ასე უწოდებდა მათ:

– „Братья Батонишвилебови“.

ღირსშესანიშნავი იყო უთუოდ, რომ მაზრის უფროსი ორი სიტყვიდან პირველს „ბრანნის“ მაგივრად გამოთქვამდა, ყოველ შემთხვევაში, რუსულის არმცოდნეთ ეს სიტყვა, უმრავლეს შემთხვევაში, „ბრანნად“ ესმოდათ. მის წარმოთქმისას მაზრის უფროსი, ჩვეულებრივ, ცალ ულვაშს ეშმაკურად ააცმაცუნებდა და ისედაც წვრილ, ქროლა თვალს საიდუმლო მნიშვნელობით მოჭუტავდა, მაგრამ მაინცდამაინც აშკარა რომ არ გამოსვლოდა დაცინვა, ზედიზედ მაგრად დაახველებდა და ულვაშის ვითომ ძალაუნებურ ცმაცუნს და თვალის ცბიერ მოჭუტვას შეცარ დახველებას დააბრალებდა“.

დიახ, ბატონიშვილების კუთხეს ახლა უკვე ახალი მთავარი ჰყავს, მაზრის უფროსი, რომელსაც ბუზად ეჩვენება მაღალგვაროსანი ყოფილი მთავრები. „ყოფილნი“ კი იმის ნაცვლად, რომ რაიმე ილონონ, მოთმინებით იტანენ „ბრანნს“, ქვეყნის გათავისუფლებისთვის არაფერს აკეთებენ. სამაგიეროდ, ერთმანეთს კვლავ „დიდო ბატონოთი“ მიმართავენ, ნადიმობენ და დღედაღამ

„დიდებას“ ეჭიდებიან. ეს „დიდება“ კი სხვა არა არის რა, თუ არა უშველებელი, მამაპაპური ყანნი.

„ბატონიშვილი ვახტანგი მისმა სიმამრმა დადიანმა აწვია სანადიროდ“.

სიძე დიდი პატივ-ნადიმით მიიღეს.

ნადირობის მეორე დღეს დადიანის სასახლის კარი სრული შემადგენლობით გამოეფინა სიძის გასაცილებლად.

როდესაც სიძე მასპინძლებს გამოეთხოვა და თავის „არწივს“ დეზი შემოჰკრა, მოხდა სრულიად გაუთვალისწინებელი, ცხენის ფიზიოლოგიურ მდგომარეობასთან დაკავშირებული შემთხვევა, რასაც ჩვეულებრივ, ნორმალურ საზოგადოებაში ყურადღებას არავენ მიაქცევდა. დიდმა ბატონმა, თავმოყვარე სიძემ კი ვერ აიტანა ეს შეურაცხყოფა. ცხენიდან ჩამოხტა და უდანაშაულო პირუტყვს თავი წააგდებინა.

ასე სასაცილოდ გამოიყურება უადგილოდ გადმონერგილი წარსული ანმყოში. ასე გულისმომკვლევად ცხენის კუდქვეშიდან გამოცემული ხმით ეთხოვება წარსული გადაპრანჭულ არისტოკრატას.

ლეო ქიაჩელის შემოქმედების ადრეულ პერიოდზე ლიტერატურათმცოდნეთა ერთი ნაწილი მსჯელობს, როგორც იმგვარ დებიუტზე, სადაც ნათლად ჩანს სიმბოლისტურ-დეკადენტური სკოლების გავლენა. როცა კონსტანტინე გამსახურდიას ექსპრესიონიზმზე ან ნიკო ლორთქიფანიძის იმპრესიონიზმზე ვლასპარაკობთ, გაფაციცებულ კრიტიკოსს შეუძლია გამადიდებელი შუშით მაინც აღმოაჩინოს ამ მოდურ მიმართულებათა კვალი, მაგრამ ლეო ქიაჩელთან ამგვარი კვლევა, ვფიქრობ, თვითმიზნურის შთაბეჭდილებას ტოვებს. თუ მოთხრობაში ადამიანის ცხოვრების ამოვებაზეა ლაპარაკი, განა იმას ნიშნავს, რომ მწერალი დეკადენტიზმის ტყვეობაშია, ან თუ ავტორი ბოლომდე ფრჩხილების გახსნას ერიდება და მინიშნება-სიმბოლოებით გვეუბნება სათქმელს, აუცილებლად სიმბოლისტი უნდა იყოს? განა მსგავს მაგალითებს უხვად არ შეიცავს ქვეშარიტი მწერლის შემოქმედება თუნდაც შუასაუკუნეებისა, როცა მწერალს სიმბოლიზმი და დეკადენტიზმი არც კი სმენია?

ავიღოთ ლეო ქიაჩელის ერთ-ერთი პირველი ნოველა „სტეფანე“.

მეთევზე სტეფანე და სოფლის გლახა, მუნჯი ძოკო, მეგობრები არიან. საერთოდ, მეთევზეები სიტყვაძვირი ხალხია, მათი პროფესიიდან გამომდინარე, რაკილა უმეტეს შემთხვევაში მარტო უხდებათ ყოფნა. სტეფანეც სიტყვაძვირი გახლდათ და როცა ეტყოდნენ, თქვი რამეო, უხერხულობის გასაფანტავად პასუხობდა „განა ამბავი მხოლოდ სიტყვით ითქმის?! ყველაზე უკეთესი ამბავი ის არის, რომელიც უსიტყვოდ ესმის ყველას“.

ასე, უსიტყვოდ მასლაათობენ სტეფანე და ძოკო.

„სოფელს უკვირდა მათი ამბავი. ხშირად უნახავთ მდინარის პირას მარტოდ მსხდარნი და საუბრით გართულნი. ძოკო „ელაპარაკებოდა“ სტეფანეს, თუ სტეფანე უამბობდა ძოკოს, სულ ერთი იყო, ორსავე შემთხვევაში ისინი ყურადღებით უსმენდნენ ერთმანეთს“.

როცა დააძალებენ რამე მოჰყვირო, სტეფანე ტყუილებს მოიშველიებს, თუ არა და არის ჩუმად, ან ისევ თავის ძოკოსთან მიეჩქარება. მის გვერდით ჩუმად ყოფნა ურჩევნია. ეს ყოველივე სტეფანეს ხასიათის შტრიხებია. მთავარი აქ მუნჯისა და მეტყველის მეგობრობაა, მათი უსიტყვო დიალოგია და სრულიად უადგილოა ამ სამფურცლიან ნოველაში ევროპული მოდერნიზმის კვალი – სულთა მისტიური საუბარი (!?) ვეძიოთ.

ასევე არაფერია დეკადენტურ-მისტიკური „ცოდვის შვილებში“. მოთხრობა ორ დამთხვეულ, არასრულყოფილ პიროვნებაზეა დაწერილი. ორიდან ერთი – ჯვებე, უბრალოდ, შეურაცხადია, მეორე კი – ბეკო, ყოფილი მნათე – მანყევარი, კაცთა შურისძიებისაგან შეშინებული, ასევე არანორმალურის შთაბეჭდილებას ტოვებს – ღვთის სახლს გამოქცევია და წისქვილს შეხიზვნია, თუმცა თავის ყოფილ ხელობას – ნყველას, ხატზე გადაცემას აქაც არ იშლის.

საერთოდ, როცა კაცი მწერლობას იწყებს, გონებაში პირველად სიყრმის შთაბეჭდილებათაგან განსაკუთრებით დასამახსოვრებელი არაჩვეულებრი ფაქტები და ხასიათები ამოტივტივდება. ახალგაზრდა მწერალს ზოგჯერ ჰგონია, რომ ჩვეულებრივ ადამიანზე უფრო მეტად მკითხველს უცნაური, არაორდინალური, ნორმიდან გადახრილი აინტერესებს. ასე ემართება შემოქმედების ადრეულ პერიოდში ლეო ქიაჩელსაც. მწერალს სურს სწორედ თევზთან მოლაპარაკე, შიშისაგან გონებაბრმობილი, გველის მომთვინიერებელი უცნაური პერსონაჟები დაგვამახსოვროს.

რა ხდება „ცოდვის შვილებში?“

„ავი ხნით შეპყრობილსა და სულით ავადმყოფ“ ჯვებეს, რომელსაც ირგვლივ ყველანი დაეხოცა (რაკილა მათი პაპა ერთ დროს მეზობელმა სახლის გადანვისათვის ხატზე გადასცა) პატრონი გამოუჩნდა. ეს გახლავთ მნათეყოფილი მენისქვილე ბეკო. ბეკომ უპატრონო გიჟი წისქვილში შეიკედლა და სამადლოდ ლუკმა გაუჩინა. ერთხელ ჯვებე მოწმე გახდა, თუ როგორ სწყევლიდა, ხატზე გადასცემდა ბეკო თავისი ძმისშვილის მკვლელებს და ისედაც დაბინდული გონება უფრო აემღვრა. გადანყვიტა, გაცლოდა ცოდვილ მენისქვილეს, მაგრამ უკვე გვიანი იყო, რალაც უხილავი ძალა მანყევრისკენ ეზიდებოდა. ისლა მოახერხა, რომ წყევლის რიტუალის დროს ბეკოს მიერ ხეში ჩარჭობილ ლურსმნებს ჩუმად იღებდა და გულმოდგინედ მალავდა, რათა ამით დაწყევლილთა სულები გადაეჩინა. ბოლოს ჯვებემ გადანყვიტა, ბეკოს წისქვილი დაენვა, რათა ამ გზით ხატზე გადამცემელი მენისქვილე სოფლისათვის მოეშორებინა. გიჟმა ცეცხლი გაუჩინა წისქვილს, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწია. ახლა მთელი სოფლის თვალწინ დასწყევლა და წმინდა გიორგის სამსჯავროს გადასცა ბეკომ წისქვილის დამწველი. იმდენად დიდი იყო ხატის რისხვის შიში, რომ ჯვებეს ბრმობილმა გონებამ ვერ გაუძლო: შერისხულმა, შეშლილმა მდინარეში დაიხრჩო თავი. ბეკომ გადარჩენა სცადა, მაგრამ ისიც შთანთქა სტიქიამ. ასე დაიღუპნენ ცოდვის შვილები.

„ნუთისოფელი“ ჰქვია ნოველას, რომელსაც არცთუ ძალიან საინტერესო სიუჟეტი აქვს და არც რაიმე დიდი საზოგადოებრივი პრობლემის დაყენებით იპყრობს ყურადღებას. სოფლელი მშრომელი დედაკაცის – მართას ერთადერთი ვაჟი ქალაქში საუკეთესო მუშად ითვლება. მართას კი შინ ობლად გაზრდილი გოგონა – ცირა ჰყავს. ნოველაში ლირიკულ გმირს, იულონს, უყვარს ცირა და ხშირად მოდის მართას კარმიდამოსთან, რათა ჩუმად, ნაბლის ძირში მიჯდეს და ცირას სიმღერას უსმინოს. ერთ დღეს ანდრო ჩამოვიდა. მართას ბედნიერებას საზღვარი არა აქვს, შვილი დაუბრუნდა. მართას ბედნიერების კოშკი სამიოდე დღეში სავალალოდ დაიმსხვრა. ანდრომ დასავით თანშეზრდილი ცირა ქალაქს გაიტაცა და ცოლად დაისვა, მართას კი ბარათი გამოუგზავნა: „მაპატიე, დედა, მაგრამ სხვანაირად არ შემეძლო მოვქცეულიყავი“.

„ნუთისოფელთან“ შედარებით ეპოქის სუნთქვას გაცილებით ღრმად ეხმიანება „მამა ოქროპირი“. დამარცხდა 1905 წლის რევოლუცია და სოფლის მღვდელს მამა ოქროპირს იმედი მიეცა, რომ ერთობით „გაბრუებულ“ გლეხებს კვლავ მოიქცევს გავლენის ქვეშ და ძველებურად ფარად აქცევს. იგი წელში ამაყად გამართული ჩამომჯდარა ცაცხვის ძირში, ხელში გაზეთი უჭირავს და გლეხებს ატყუებს: აქ წერია, „ვისაც ამ ორი წლის განმავლობაში დრამის გადასახადი არ შეუტანია, ციმბირში უნდა იქნეს გადასახლებული“. ამ „ინფორმაციით“ შემკრთალ გლეხებს რუსის ერთგული ოქროპირი, თხოვნაზე, იქნებ ცოტა შელავათი მაინც მოგვცენო, ნიშნისმოგებით მიუგებს: „კაკრაზ შენი ჭკუით დადის სწორედ რუსი ხელმწიფეო. საქართველომ ერთი ღალატი ხომ უღალატა „ერთობის“ დროს... იმის მაგიერ, რომ რუს ხელმწიფეზე გელოცათ, სამუდამოდ მისი მადლიერი ყოფილიყავით, ჩამოგდება დაუპირეთ...“

ცხოვრება კი თავისი გზით მიდის. ბოთლიდან ჯინი ამოსულია და ველარ ჩააბრუნებ. გაღვიძებულ გლეხებს მამა ოქროპირისაც აღარ სჯერათ; მართალია, ოქროპირმა სხვების გასაგონად უტუ დააიმედა: მოდი ხვალ ჩემთან და მოწმობას მოგცემ, ვითომ გადასახადი შეტანილი გაქვსო, მაგრამ თვითონაც ეჭვი ეპარება, რომ საღამოს უტუ მიაკითხავს ძღვენით ხელში.

კვლავ უბრუნდება უცნაურ, არაორდინალურ პერსონაჟებს მწერალი „ჯადოსანში“. ჯადოსანი მენახირე ტაგუ გახლავთ. ტაგუს მომწესხველი მწვანე თვალეები აქვს და მეფური მიხვრა-მოხვრა. „სოფელი კარგად იცნობს ტაგუს. ყველამ იცის, რომ იგი უბით გველს დაატარებს. მეტიც იციან – ეს მეტი ის არის, რომ ტაგუს ჯადო აქვს თვალეებში და ისეთი ძლიერია, რომ მის ნებას უსულო საგნებიც კი მორჩილებენ. თავისი მწვანე თვალეებით მოაჯადოვა ტაგუმ მეზობლის ქალი გაიანე და თავის ვნებას დაუმორჩილა. გაიანეს აზრით, ჯადოსანი ყველაზე ძლიერი მამაკაცია მთელს დუნიაზე, ყოველდღე ხვდებიან ისინი მდინარის პირას ერთმანეთს და „არ ყოფილა შემთხვევა, რომ გაიანეს ტაგუსთან ყოფნის დროს ხმა ამოეღოს“.

ცხოვრება ერთი გრძელი მასკარადია. ადამიანები ნამდვილი სახით იშვიათად ეჩვენებიან ერთმანეთს. თითქმის ყველანი ნიღბით დადიან, ამიტომაც ძნელია პიროვნების ჭეშმარიტი ამოცნო-

ბა. ასე დაემართა ვაჟს, რომელსაც მასკარადზე ქალი მოეწონა. გამოეკიდა და ქალმა ნილაბი ხეს შეატოვა, როცა თავისი სახით წარუდგა ვაჟს, რეალობა გაცილებით უფრო მარტივი და უინტერესო აღმოჩნდა, ვიდრე ნილაბი, რომელსაც „კაცობრიობა თავისი ნაკლის დასაფარავად თვალთმაქცურად მიჰმართავს ხოლმე („ესკალდე“).

ზემოგანხილული ნოველები, ჩემი ფიქრით, მაინც ერთგვარი ლიტერატურული ვარჯიში გახლდათ უფრო სერიოზულ თემებთან შესაჭიდებლად, ლეო ქიაჩელის ნოველისტიკაში გამორჩეული ადგილი სამ ბრწყინვალე ნოველას უჭირავს, ესენია: „თავადის ქალი მაია“, „აღმასგირ კიბულან“ და „ჰაკი აძბა“.

ბოლშევიკებისაგან გაუბედურებული, სიმდიდრეჩამორთმეული **თავადის ქალი მაია** ძველებური ინერციით ზღვაზე მიდის დასასვენებლად. მაგრამ ძველებური პენი აღარ შერჩენია. შავჩოხიანი ვაჟკაცებიც აღარ აცილებენ და არც თავადური ეტლი მიაქანებს. ჭაობში გულისგამანვრილებლად მოყანყალე ურემზე ზის და გვერდით ობლად გაზრდილი ერთადერთი ერთგული მოახლე გოგო – დაფინო ახლავს. ურემს კი დაფინოზე შეყვარებული „მობოლშევიკო“ გლეხი ამბაკო მიუძღვის. „აჰა, გაძარცვულია თავადის ქალი ყოველნაირად. ქონებასა და დიდებასთან ერთად გაჰქრა მისი ახალგაზრდობაც“.

ზღვასთან თავადის ქალის ურემს მაიას ძველი საყვარელი, თავადი ბონდო დახვდა, მაგრამ მაიას გრძნეულმა თვლებმა მაშინვე შეატყვევეს, რომ ბონდოს გულში მისდამი ტრფობის ცეცხლი კარგახანია განელეებულა, თავადიშვილს ახლა სხვა სამხილი სწვავს. იგი დაფინოს ეშხით ხვდება ურემს. შეურაცხყოფილმა თავადის ქალმა შურისძიება გადაწყვიტა: ბონდო დაარწმუნა, რაკილა აღარ გინდივარ, რა გაენყობა, მინდა ჩვენი ძველი სიყვარულის სანაცვლოდ უკანასკნელად დაგაჯილდოვო – ნადი კარავში და დაფინოს გამოგიგზავნიო. ცოტა ხნის შემდეგ გულუბრყვილო მიჯნურყოფილს მან, მართლაც, გაუგზავნა მოახლე გოგონა, მაგრამ დაფინოს უკან მისი ნანდაური, ბონდოზე მოეჭვიანე და მასზე აღრენილი ამბაკოც მიაყოლა. ის იყო კარავში შესულ დაფინოს თავადიშვილმა ხელები მოხვია და ამბაკოს ტყვიაც წამოენია.

შურისმაძიებელმა ამქვეყნად თავისი მისია ამონურულად ჩათვალა. თავისი თვალმარგალიტი, ლამაზ თითებზე რომ ესხა, ზღვას „აჩუქა“ და თვითონაც სტიქიას მისცა თავი.

არაა საჭირო ამ მოთხრობაში მანცდამაინც სოციალურ-პოლიტიკური პრობლემა ვეძებოთ, აქაო და, მაია და ბონდო მომაკვდავი კლასის შვილებია და უსათუოდ უნდა ნავიდნენო, ამბაკო კი, რაკი ბოლშევიკია – მომავალიც მას ეკუთვნისო. ეს მოთხრობა დაწერილია ადამიანურ ტრაგედიაზე, ნუთისოფლის მითაჟამინდელ დრამაზე – დროის უღმობლობასა და შეურაცხყოფილი სიყვარულის გამო შურისძიებაზე, რაც ოდენ არც მაიას თავადიშვილობამ განაპირობა და არც ამბაკოს ბოლშევიკობამ. ეს დრამა ცხოვრების მკაცრმა გამოცანამ, ხასიათთა უღმობელმა ჭიდილმა ამოატივტივა და ასაზრდოვა.

ვაჟკაცობაზე, მამაშვილურ ურთიერთობაზე, სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემაზე დაწერილი ბრწყინვალე ნოველაა „**აღმასგირ კიბულან**“. სვანები ენგურზე მორებს აცურებენ. მათ შორისაა ხალღელი აღმასგირ კიბულან თავისი თხუთმეტი წლის ვაჟით – გივერგილით.

გივერგილ მოხდენილი, ჩაუქი ბიჭია – მამის სიამაყე. მორები ენგურის შუაში აღმართულ კლდესთან გაიხიდნენ, ერთმანეთზე შელაგდნენ და ჯებირი აღმართეს. მოიჯარადრე კაუზა ფიფია, „ერთ ჩერვონეცს“ პირდება, ვინც ჯებირზე გავა და ქვედა მორს თოკს გამოაბამს, რათა ნაპირზე დარჩენილებმა ღონივრად დაქაჩონ და ჯებირი დაშალონ, ეს სახიფათო საქმე გივერგილმა ითავა. იგი, მართლაც, შედგა ჯებირზე და ის იყო თოკი უნდა ჩაება, რომ ჯებირი საშინელი გრუხუნით ჩამოინგრა და გივერგილს თავზე დაეცა. შვილის დაკარგვით გამხეცებულმა აღმასგირმა შავ ზღვამდე სდია შვილის ცხედარს და ბოლოს თვითონვე დაიხრჩო ენგურის შესართავთან.

ეპოქალური, ეროვნული ტკივილების და ღრმა ქვეტექსტების შემცველი ნოველაა „**ჰაკი აძბა**“. ნაწარმოებში მინიშნებულია, რა უტიფრად უპოტინებს ხელს წითელი რუსეთი დამოუკიდებელ საქართველოს. რა ახლოსაა თავისუფალი საქართველოს ხელახალი დაპყრობა ახლა უკვე ბოლშევიკური იმპერიის მიერ.

1918 წელია. საქართველომ ესესაა დამოუკიდებლობა გამოაცხადა და სოხუმის სანაპიროზე ბოლშევიკების კრეისერი, ლეგენდარული „შმიდტიც“ გამოჩნდა. ქალაქი აფორიაქდა. პანიკამ მოიცვა. „ყველამ უნყოდა, თუ რა ინტერესი უნდა ჰქონოდა ოქტომბრის რევოლუციას შავი ზღვის სანაპირო ადგილებში... არავისთვის საიდუმლოებას არ წარმოადგენდა, რომ მიუხედავად

ყოფილი იმპერიის სამხრეთით ახლადშექმნილი რესპუბლიკების დამოუკიდებლობისა, მათი ტერიტორიები მაინც შედიოდნენ „დიდი ოქტომბრის სადარაჯოს“ ფარგლებში და, ამ მხრით გამონაკლისს აფხაზეთიც არ წარმოადგენდა.

სოხუმის ქალაქის თავს, სამსონ დავანაძეს, რომ იტყვიან, პირდაპირ თავზარი დაეცა. არ იცოდა, როგორ შეხვედროდა ბოლშევიკების სამხედრო გემს. თბილისში საიდუმლო დეკემბა გაგზავნა, მაგრამ პასუხი იგვიანებდა.

ამასობაში შეშინებული სოხუმი თადარიგს იჭერდა:

„მოქალაქენი მეტწილად თავიანთ სახლებს უტრიალებდნენ და ნითელი დროშებით ამკობდნენ. დიდი და პატარა ერთ სურვილს აეტანა; რაც შეიძლება მალე, სასწრაფოდ, მეზობლებზე უფრო ადრე გამოეკიდა თავისი სახლის წინ ნითელი დროშა და ამით ყოველი ეჭვი თავიდან აეცილებინა. ვისაც შინ დროშა არ აღმოაჩნდა, ბაზრისაკენ გარბოდა, ნითელ ნარმას ყიდულობდა და უცებ დაბრუნებული, გზადაგზა დროის მოსაგებად, დროშას სახელდახელოდ ამზადებდა, ჯოხზე ამაგრებდა“.

ბოლოს სოხუმის საბჭოს საერთო კრებამ გადაწყვიტა, ჩათრევისთვის ჩაყოლა ემჯობინებინათ და ბოლშევიკების კრეისერს გარეგნულად მშვიდად, მეგობრულად დახვედროდნენ, რადგანაც სხვა არა იყოს რა, ძალა აღმართსა ხნავდა.

რამდენიმე კაცი არ მონაწილეობდა საზეიმო შეხვედრის ფუს-ფუსში და ერთი მათგანი იყო მეფის ყოფილი ოფიცერი უჯუმ ემბა.

„– იგი ნითლების იერიშების შმაგ ნავარდს გამოქცეოდა. ათასი საფრთხისა და განსაცდელისაგან თავი დაელნია, განუყრელად მასთან მყოფი უერთგულესი მხლებლის, მისთვის მუდამ თავგანწირული ძიძიშვილის, ჰაკი აძბას, დახმარებით, რომელთანაც ერთად უვნებელი მშობელ კერას დაბრუნებოდა“.

როცა „შმიდტმა“ ღუზა ჩამოუშვა, შესაგებებლად მისული დელეგატები „შეჰზარა გემის კაპიტნის, „კუზმა მრისხანედ“ წოდებული, კუზმა კილგას საშინელი, დაჩეხილი სახის დანახვამ და მისმა მედიდურმა ფამილარობამ, რაც იმაში გამოიჟღავნდა, რომ „თვითონ ნაპირზე არ გადმოვიდა და სოხუმელების მიერ მოწყობილ ზეიმს არ დაესწრო“. მიტინგზე დასწრების სურვილი არც უტიფარ მეზღვაურს, ვასილ ხრიტანიუკს („ვასკა-პირატად“ წოდებულს) გამოუთქვამს. მან თავის ამფსონებთან ერთად, პირველ

რიგში ბაზარს მიაშურა, და როცა თვალი ჰკიდა ჩქარი ნაბიჯით მიმავალ „თეთრგვარდიელ ოფიცერს“ უჯუმ ემბას, კბილთა ღრჭი-ალით მივარდა და ეპოლეტების ჩამოგლეჯვა დაუპირა. „იმავე წამს რევოლვერი გავარდა და განგმირული ვასილ ხრიტანიუკი მიწაზე პირალმა გაიშლართა“.

როცა კილგასთან ამ სამწუხარო შემთხვევის გამო ბოდიშის მოსახდელად სოხუმის ხელმძღვანელთა დელეგაცია მივიდა, კუზმა თავისი „სამი თვალი“ მრისხანედ მიმოავლო და ზურგი შეაქცია: „ამათი დედაც... ცერემონიას მიწყობენ რალაც სულელურს და მასულელებენ. მიმიფურთხებია მე მაგათი თავადური მანჭვა-გრეხისათვის. ჰეი, მორიგევ!“ – ასეთია ბოლშევიკის დიპლომატიის (და ზრდილობის) ანი და ჰოე. კაპიტანმა სოხუმელებს ულტიმატუმი წაუყენა: ერთ საათში მოეძებნათ და ჩაებარებინათ მკვლეელი.

უჯუმმა, როგორც რაინდს შეჰფერის, გადანყვიტა სამალავიდან გამოსულიყო, მტერს ჩაბარებოდა და ამით ქალაქი გადაერჩინა, მაგრამ ჰაკი აძბამ თავის თავზე აიღო მკვლელობა და სოხუმის მილიციის უფროსს განუცხადა – მეზღვაური მე მოვკალიო. ქალაქის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა კუზმა კილგასთვის ორივენი წარედგინა.

ბოლშევიკმა კაპიტანმა, რასაკვირველია, გამოიცნო ნამდვილი მკვლეელი. ასე რომ, ჰაკის თავდადების საშუალება არ მისცა. უჯუმში საპატიმროში ჩაამწყვდია, ხოლო ჰაკის წინადადება მისცა გემზე დარჩენილიყო. ჰაკის ემბას გადარჩენის ნაპერწკალი აუკი-აფდა გულში და მთელი ღამე ერთგულებას ეფიცებოდა კაპიტანს, მაგრამ ბოლშევიკებს ხუმრობა არ უყვართ და მათ ცრემლებიც საც აღარ სჯერათ; გამთენიისას უჯუმ ემბა დახვრიტეს და ზღვაში გადაუძახეს. გაცოფდა ჰაკი აძბა. ჯერ კაპიტანს მივარდა და „სისხლიანი ძაღლი“ უწოდა, მერე მეზღვაურებს მიახტა შურის საძიებლად. „მისი თვალეები შეურიგებლობის ცეცხლის ნაპერწკლებს აფრქვევდნენ გარშემო“. ბოლოს გაქცევა სცადა, მაგრამ გემბანის მოაჯირზე შემხტარს კუზმა მრისხანეს ტყვია წამოენია.

„სულერთია ეს მონა ადამიანად მაინც არ გამოდგებოდა“ – ასე მოკლე და უღმობელია კუზმა კილგას განაჩენი. ასე უღირს ბოლშევიკს ძიძიშვილისთვის თავგანწირული კაცი.

ძნელი შესამჩნევი არ გახლავთ ის გარემოება, რომ „ჰაკი აძბა“ თავიდან ბოლომდე ნითელი რუსეთისადმი პროტესტის გრძნობითაა გამსჭვალული. მწერალი ნათლად ხედავს საქართ-

ველოს საზღვრებთან გამოჩენილ ბოლშევიკურ ურჩხულს, ესმის მისი ცხელი ქმენა, ამ ურჩხულში ადვილად ცნობს ახალი ჯურის დამპყრობელს და დროულად აფრთხილებს მკითხველსაც მოსალოდნელი საშიშროების შესახებ, თუმცა, სამწუხაროდ, უკვე გვიან არის. დამოუკიდებელი საქართველოს ბედი ბოლშევიკურ ურდოში უკვე გადანყვებილია. გაივლის ორი წელი და ლენინის განკარგულებით საქართველოს საზღვრებს წითელი რუსეთის მე-11 არმია მოადგება.

რომანი „ტარიელ გოლუა“ ლეო ქიაჩელმა ემიგრაციაში (ჟენევა) დაწერა და 1916 წელს გამოაქვეყნა.

ნაწარმოები საუკუნის დასაწყისის პირველი ათეულის სოციალურ ქარტეხილებს შეეხება. წყალშემდგარი, მაგრამ ჯერ კიდევ ძლიერი თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მასათა ბრძოლის იდეით არის შთაგონებული. მძაფრი სიუჟეტის ფონზე ნაჩვენებია საზოგადოების სხვადასხვა ფენის წარმომადგენელთა ურთიერთ-დამოკიდებულება და მათი ფსიქოლოგიური განწყობილება. რომანის ფურცლებზე საინტერესო, შთამბეჭდავი ხასიათების და მძაფრი ვნებების რკინებაა.

ახალმა საუკუნემ ახალი ძალით გააღვიძა იმპერიის კირთების ქვეშ მოთმინების ფიალააღვსილი საქართველო. გლეხმა ირწმუნა, რომ ოდენ მარქსისტული წრეებით და ინტელიგენტ მოქადაგეთა რუდუნებით თავისუფლება არ მიიღწევა. საჭიროა უფრო ქმედითი, პრაქტიკული ბრძოლა. სოფლად იქმნება ცალკეული რაზმები. ისინი არალეგალურად, მზის ჩასვლის მერე ჩნდებიან ასპარეზზე. დადიან კარიკარ და ხალხს ერთობის ერთგულებაზე აფიცებენ. სოფელ ციხისკარში ერთობის ბურჯები პოლიციის მეთვალყურეობის მიუხედავად, ატარებენ კრებებს სამცხეცხვის ძირში. ერთ-ერთი ჩამოვლა-დაფიცების დროს აზნაურ დავითის ქალიშვილი, თინა, მამის სახლს გამოარბია ერთობის მოთავემ, ტარიელ გოლუას შვილმა, მეზუხრე ლევან გოლუამ. დავითი დაეღვენა მოძალადეებს და ანტონია ბუკაძის მიტოვებულ სახლში ალყა შემოარტყა. ტარიელ გოლუას ჩარევით საქმე მშვიდობიანად დამთავრდა. ქალი მამას დაუბრუნეს. რევოლუციის ცეცხლი თანდათან მოედო სამეგრელოს სოფლებს. ამბოხებულ გლეხთა ხელმძღვანელ ბირთვში ნაყაჩაღარი გაიოზ გადალენდია შეძვრა. გაიოზს გარდა რეაქციის დაკვეთისა, პირადი მიზანიც ამოძრავებს; მასაც უყვარს თინა და გადანყვებილი აქვს მეტოქე – ლევანი გზიდან ჩამოიშოროს.

პროვოკატორმა მიზანს მიაღწია. ქურდულად, მზაკვრობით მოკლა ლევანი. თუმცა „ერთობის“ ცეცხლი ამით არ ჩამქრალა, ამბოხებულ გლეხებს სათავეში თვით ტარიელ გოლუა ჩაუდგა. მთელს მხარეში სიბრძნითა და სიქველით ცნობილი ტარიელი არც რეპრესიებს შეუშინდა და ციხიდან გამოსვლის შემდეგაც კვლავ ერთობის სამსახურშია. რაც შეეხება გაიოზ გადალენდიას, ლევანის მეგობარმა, ბეჟანამ, შური იძია, გაიოზს გზაზე დაუხვდა და სიცოცხლეს გამოასალმა.

რომანში ნათლად ჩანს, რომ ყველა უბედურების თავი და თავი რუსეთის კოლონიური პოლიტიკაა. ბოროტებას იმპერიული ძალმომრეობა უმაგრებს მხარს. მაზრის უფროსი ტარიელის დაპატიმრების დროს პირდაპირ უცხადებს მამასახლისს: „ამისი შვილი ხვალვე მომგვარე ქალაქში გაბანრული... ეს კი დაპატიმრებულია და თან მიმყავს... მაგათ ციხე და ციმბირი გაასწორებს. ვაჩვენებ, თუ რა არის „ბუნტი“, რუსის მთავრობის ძალა, სჩანს, ჯერ კიდევ არ უნახავს“.

„რუსის ძალა“ ერთნაირად ჩაგრავს ყველა ქართველს, გლეხსაც და აზნაურსაც. საილუსტრაციოდ ციხისკარის მცხოვრებთა დაჩოქების სცენაც საკმარისია:

„На колени!“ – გაიმეორა ახლა უფრო მკაცრად მაზრის უფროსმა და მათრახი მალლა ასნია. რისხვის ცეცხლი გადააფრქვია ყრილობას.

– არ გესმით? რას დგახართ?! დაიჩოქეთ, ბრძანებს! – ჩაგონებით გაიმეორეს ბოქაულებმა. მაშინ ნელ-ნელა, ჩურჩულით მოიყარა ხალხმა მუხლი და თავი დახარა. განზე მდგომი აზნაურები ღაღინებდნენ ფეხზე.

– აზნაურები ვართ... აზნაურები... – გაუბედავად უპასუხეს აზნაურებმა.

– აზნაურებს აქ ადგილი არა აქვთ. მეფის ქვეშევრდომია ყველა! – დაიყვირა მაზრის უფროსმა და თავისი მკაცრი „На колени“ კვლავ გაიმეორა“.

არ დაუფასდათ აზნაურებს ხელმწიფის სამსახური.

დამპყრობელმა ისინიც დააჩოქა.

ამ პათოსით არის დაწერილი მთელი რომანი. ნაწარმოების თითქმის ყველა პერსონაჟი (ტარიელი, ლევანი, გაიოზი, თინა, დავითი, ბარბალე, ბეჟანა, გიო, მუნჯი ბაჩუა..) უაღესად საინტერესო, ინდივიდუალური ნიშან-თვისებებით აღბეჭდილი სახეებია.

1905 წლის რევოლუციის დამარცხების შემდგომ პერიოდს, ე. წ. „სტოლიპინის რეაქციის ხანას“ ასახავს ლეო ქიაჩელის რომანი „სისხლი“ (1927). ნაწარმოებში ნაჩვენებია საქართველოს თანმიმდევრული ბრძოლა იმპერიის მიერ თავსმოხვეული ეროვნულ-სოციალური ჩაგვრისაგან თავის გამოსხნისათვის. დახატულია საზოგადოების სხვადასხვა ფენის განწყობილება და დამოკიდებულება რევოლუციისადმი. რომანში მწერალს არაერთი ბიოგრაფიული დეტალი გამოუყენებია და, რაც უთუოდ ხაზგასასმელია, ნაწარმოებში აშკარად ჩანს სოციალ-დემოკრატიის ორი დაჯგუფების ორი ტაქტიკის – მენშევიკურისა და ბოლშევიკურის ურთიერთდაპირისპირება. მიუხედავად იმისა, რომ „სისხლი“ საბჭოთა იმპერიის დროს დაინერა, როცა მძვინვარებდა ცენზურა და მენშევიკებს მხოლოდ წყევლა-კრულვით მოიხსენიებდნენ, მწერალმა მაინც შეძლო გაეპარებინა აშკარა სიმპათია მენშევიკური ხაზისადმი. რომანის მთავარი გმირი, მენშევიკი არჩილ დადაშიანი და ბოლშევიკი ნიკო ხშირად უპირისპირდებიან ერთმანეთს. ეს დაპირისპირება ძირითადად ორი მიზეზით ხდება. ჯერ ერთი, არჩილი უფრო ეროვნულია და უპირველესად სამშობლოსთვის ზრუნვას მოითხოვს, ნიკო კი აშკარად კოსმოპოლიტია და მსოფლიო პროლეტარიატის მხარდამხარ ბრძოლას ქადაგებს: მეორეც არჩილი ინტელიგენცია და რევოლუციურ საქმიანობასთან აშკარა სისხლისღვრას და ძარცვა-გლეჯას (ბოლშევიკები რომ „ექსპროპრიაციას“ უწოდებდნენ) შეუთავსებლად თვლის, ნიკო ექსტრემისტია და „რევოლუციის გამარჯვებისათვის“ მარტო იარაღით ბრძოლას კი არა, ისეთ საჩოთირო საქმესაც არ ერიდება, როგორც სახაზინო მატარებელზე თავდასხმა გახლავთ. ბოლშევიკ ნიკოს შეუძლია მოჰკლას დაჭრილი ამხანაგი, რაკილა მისი ტარება საფრთხეში აგდებს თანამებრძოლებს.

საქართველოში რეაქცია მძვინვარებს. ქვეყანა პოლიციურმა რეჟიმმა მოიცვა. ქუჩებში აღარ ისმის „მარსელიოზას“ ხმები და ვერც დემონსტრაცია-მიტინგებს ვხედავთ. სახალხო მოძრაობამ იატაკქვეშეთში გადაინაცვლა. რევოლუციონერი არჩილ დადაშიანი ფოთის მუშათა ფარულ წრეს ხელმძღვანელობს. აქვია, ნიკოც, რომელიც ვერ ეგუება მენშევიკურ ინტელიგენტობას და „თეორიულ წრეობანას“. იგი აქტიურ მოქმედებას, რეაქციის წინააღმდეგ მისივე მეთოდით ბრძოლას მოითხოვს („მტერს ტერორითვე უნდა გასცე პასუხი“). ნიკომ ისარგებლა არჩილის ქუთაისში ყოფ-

ნით, აიყოლია რამდენიმე ამხანაგი და ფულის გატაცების მიზნით თავს დაესხა საფოსტო მატარებელს. შეტაკების დროს რამდენიმე თავდამსხმელი მოკლეს, დანარჩენებმა ტყვეს შეაფარეს თავი. ამ შემთხვევის გამო „გამოფხიზლებულმა“ პოლიციამ მატარებელზე თავდასხმის ბრალდებით ქუთაისში არჩილ დადაშიანიც დააპატიმრა. გარეთ დარჩენილმა მეგობრებმა გადაწყვიტეს დაპატიმრებულთა დახსნა ქუთაისის საგუბერნიო ციხიდან. ამ საქმეში არჩილის თანამებრძოლი ანდრო ქარივაძეც აქტიურობს. შეთქმულებმა იმდენს მიაღწიეს, რომ ციხეში შემავალ გვირაბს არც მეტი, არც ნაკლები სწორედ ციხის უფროსის, მელიტონ აბლანდიას ეზოს გავლით სჭრიან. მელიტონთან ანდროს თავისი ანგარიშიც აქვს. ჟანდარმმა ადრე სოფელ ბიჭს შეყვარებული ვარდო წაართვა და ცოლად დაისვა. თუმცა ანდროსა და ვარდოს შორის წმინდა სიყვარული გრძელდება და ციხის უფროსის ცოლი ფარულად ეხმარება რევოლუციონერებს გვირაბის გაყვანაში. მოხდა გაუთვალისწინებელი რამ: მელიტონმა თავის ცოლს წაასწრო, როცა იგი არჩილს თეთრი ცხვირსახოცით ნიშანს აძლევდა. აბლანდიამ „უმკაცრესი ზომები“ მიიღო, რის გამოც შეურაცხყოფილი ვარდო რიონში გადახტა და თავი დაიხრჩო. ანდრო შურს იძიებს ვარდოსთვის და ჰკლავს აბლანდიას. ამის შემდეგ პოლიციის ზედამხედველობით თავგაბეზრებული არჩილ დადაშიანი შალვა და ცაცა რამაძეებთან ერთად მოსკოვს მიემგზავრება. არჩილისთვის მიუღებელია ბოლშევიკ ნიკოს ბრძოლის მეთოდები და იგი სამოქმედოდ სხვა ადგილ-ასპარეზს ირჩევს. რომანის ქვეტექსტში აშკარად ჩანს, რომ რევოლუციური ბრძოლის სათავეებს თანდათანობით ხელში იგდებს ბოლშევიკური ძალა, რომელიც ინტელიგენციის უარყოფით და ყაჩაღობა-სისხლისღვრით მიიწვევს ხელისუფლებისაკენ. ეს ძალა ქვეყანას სიკეთეს ვერ მოუტანს – ასეთი გახლავთ რომანის ლოგიკური ქვეტექსტი. აკი არც მოუტანა.

მეორე მსოფლიო ომის მოვლენებს ასახავს რომანი „**მთისკაცი**“.

მტერი კავკასიონსაც მოადგა, სოფელ სოუს მკვიდრი, ბათუ ქარდუა, გარემოებამ აიძულა ომში ჩაბმულიყო; იგი პატრიოტია და მიუხედავად ხანდაზმულობისა, გადამთიელს თავის სამკვიდროს არ გაათელვინებს; ესეც არ იყოს, მომხდურთ ებრძვის მისი პირმშო ჯოტო და მამა თავს მოვალედ თვლის ჯარისკაცს გვერდით ედგეს – გაამხნევოს და დაეხმაროს.

იბრძვის ბათუ, როგორც შეუძლია. იგი ჯარისკაცებს ბარგის გადაზიდვაში ეხმარება და მიუვალ ჭიუხებში გზას უჩვენებს. მთის კაცის ფიქრი ნიადაგ ჯოტოს დასტრიალებს. მებრძოლთ შვილივით შესცქერის და მათი გადარჩენისთვის თავგანწირვასაც არ ერიდება, რადგანაც მან თავისი ფუნქცია ომშიც იპოვა – შვილს ყველაზე დიდი განსაცდელის უამს გვერდით უნდა დაუდგეს, სამიზნე გაუსწოროს და თუ საჭირო გახდება, მისთვის ნასროლ ტყვიასაც მკერდი შეუშვიროს.

„მთისკაცს“ ალაგ-ალაგ ეტყობა, რომ ავტორს ომი უშუალოდ არ უნახავს და საომარი პასაჟების, ბატალური სურათების ხატვა უჭირს. თანაც ამ რომანს ლეო ქიაჩელის სხვა ნაწარმოებებისაგან განსხვავებით სოციალისტური რეალიზმის კვალი აშკარად ამჩნევია. იგი პათეტიკური, ზეანუელი ტონითაა დაწერილი. დიალოგები ზოგჯერ პლაკატურის, არაბუნებრივის შთაბეჭდილებას ტოვებს.

1934 წელს ლეო ქიაჩელმა დაწერა კინო-სცენარი **„ნარინჯის ველი!“,** ხოლო 1937 წელს „ნარინჯის ველის“ მასალებზე დაყრდნობით – რომანი **„გვადი ბიგვა“.**

„გვადი ბიგვა“ ოცდაათიანი წლების ე.წ. „საკოლმეურნეო ცხოვრების განმტკიცების“ პერიოდს ეხება. კომუნისტებმა მშრომელი გლეხობის უკეთეს გაყვლეფის მიზნით საბჭოთა იმპერიის უზარმაზარ ტერიტორიაზე შექმნეს კოლექტიური მეურნეობები. ეს იმას ნიშნავდა, რომ მიწის მუშას მიწა საერთოდ არ გააჩნდა. მის დროებით მფლობელობაში იყო (არა გაყიდვის უფლებით), მხოლოდ მკაცრად მოზომილი საკარმიდამო ნაკვეთი. საერთოდ, მიწა ეკუთვნოდა მხოლოდ სახელმწიფოს (!) და სახელმწიფოს სოფლად მიწა ულოგიკო, გაუცხადებელი კომუნისტური იჯარით დათმობილი ჰქონდა კოლმეურნეობისთვის. სახელმწიფო მიწის ყოველ გოჯს და შესაბამისად კოლმეურნეობასაც მკაცრად აკონტროლებდა. წლის ბოლოს მოსავლიდან ლომის წილს თვით წაიღებდა, კოლმეურნეს კი მხოლოდ იმდენს უტოვებდა, რომ წლიდან წლამდე თავი გაეტანა. ასე რომ, გლეხი ლამის მონის მდგომარეობაში იყო. ჯერ ერთი, მას გასაყიდი თითქმის არაფერი რჩებოდა და ზოგი სასოფლო პროდუქტის ბაზარში გატანაც აკრძალული იყო. საერთოდ, კოლმეურნეობის გამგეობა ეჭვით უყურებდა ბაზარში მოსიარულე კოლმეურნეს. კოლმეურნეობა გლეხის დამცირების, დაშინების, მოხერხებულად ძარცვის ფორმა გახლდათ და სხვა არაფერი. წითელმა ხელისუფლებამ „გენიალურად“ მოიფიქრა იგი;

რალა ინდივიდუალური ბეგარა შევანერო გლესხ და მერე მის შესაგროვებლად კარდაკარ ვიარო, ბარემ ერთად ვამუშავებ, მოსვალს მისხალ-მისხალ დავუთვლი და წლის ბოლოს მის მიერ გამომცხვარი დიდი ჭადიდან პატარ ნაჭერს გლესხაც მოვუტეხავო. ჭკვიანი გლეხი მაშინვე მიხვდა, რა „ფაფა მოხარშა“ იმპერიამ და უარი განაცხადა კოლმეურნეობაში შესვლაზე. მან უარი თქვა თავისი ოფლით მონაგარი საქონ-საყოლის საკოლმეურნეო საკუთრებად ქცევაზე. ასეთი გლეხი ხელისუფლებამ „კულაკად“, „ხალხის მტრად“ გამოაცხადა. მისი „განკულაკების“ (ქონების წართმევის და დაჭერის“), კამპანია წამოიწყო და ხალხს კიდევ ერთი ჩვარი ჩასჩარა პირში, რათა იგი მორჩილ, განსჯის უნარმოკლებულ მასად ექცია. ეს პერიოდი (XX საუკუნის ოცდაათიანი წლები) არის ასახული „გვადი ბიგვაში“.

სამეგრელოს ერთ მივარდნილ სოფელში, ბნელ ჯარგვალში ცხოვრობს გვადი ბიგვა თავისი ხუთი ობლით (ბარდღუნია, ლუტუნია, კიტუნია, კუჭუნია და ჭირიმია).

გვადი ავადმყოფი, ბუნებით ზარმაცი და ამის გამო ლარიბლატაკი კაცია. ასეთები კოლმეურნეობაში ხალხით შედიოდნენ (რა ჰქონდათ დასაკარგი), მაგრამ გვადი ფეხს ითრევს, უფრო სწორად, კოლმეურნეობაში მხოლოდ ფიქტიურად ითვლება, საკოლმეურნეო მინდორს კეთროვანივით გაურბის. ჯერ ერთი, ხელის გაქნევა ეზარება და მეორეც, არ სჯერა, რომ „კოლექტივი“ მას სიკეთეს მოუტანს. ბაზრობის დღეს გვადი მძინარე შვილებს საბანს გაუსწორებს, ჯარგვალის კარს გამოიხურავს, ეზოში თუ რამე დალანდა გასაყიდი, ხელს გამოაყოლებს და ბაზრისაკენ მიიჩქარის... იქ არჩილ ფორიას მეურვეობის ქვეშაა. საბჭოთა ხელისუფლებასთან „უბრად მყოფი“ არჩილი გვადი ბიგვას იმით ეხმარება, რომ სასპეკულაციოდ იყენებს. დახლის ბიჭის ფუნქციით კმაყოფილია გვადი. „ხალხის მტერმა“ იგი გადაიბარა, საქმე გაუჩინა და ობლების სარჩენად ორიოდ გროშის შოვნის საშუალება მისცა. გვადის „მოსახარშად“ და „საკოლმეურნეო ცხოვრების ფერხულში ჩასაბმელად“ არც მეორე მხარე – კოლმეურნეობის გამგეობაა გულხელდაკრეფილი. გვადის ოდის ასაშენებლად ფიცრები გამოუყვეს და ორი სოფლის – სანარიის და ორკეთის სოცმეჯიბრის შემომწმებელი კომისიის წევრადაც კი აირჩიეს. ამით გვადიზე დიდი ფსიქოლოგიური ზეწოლა მოახდინეს. უღირსი, მცონარა და ბოგანო დააფასეს,



ხალხში გარიეს, ეს მეორე ცდუნება უფრო დიდი იყო, ვიდრე არჩილ ფორიას „საეჭვო გზით ნამოვნი“ ნივთების იქით-აქეთ ტარება და ბაზარში გასაღება. გვადი ბიგვა კოლმეურნეობისაკენ ერთბაშად შემობრუნდება. არა მარტო შემობრუნდა, საკოლმეურნეო საკუთრების მტკიცე დამცველი გახდა და როცა არჩილ ფორიამ კოლმეურნეობისაგან მისთვის წართმეული (!) სახერხი ქარხნის დაწვა გადაწყვიტა, გვადი სიბნელეში ნამოვნი და მამაპაპური ხანჯლით თავი გაუპო.

რომანის მთელი მოქმედება სამ დღეში ხდება. დაკვირვებული თვალი იოლად შეამჩნევს, რომ „გვადი ბიგვაში“ ბევრი რამ ირონიულად გაზვიადებულია. მოვლენათა ჰიპერბოლიზება მწერალს იმისთვის სჭირდება, რომ ამ მყვირალა, დამკვრელური დროის აბსურდულობაში დაარწმუნოს მკითხველი. მხატვრულ-ფსიქოლოგიური ლოგიკით შეუძლებელია გვადის მსგავსი სიზარმაცემორეული და იოლცხოვრებასგაჩვეული მწვერილმანე, ქურდბაცაცა სამ დღეში რადიკალურად გარდაიქმნას. ზოგიერთი საბჭოთა კრიტიკოსი გვადის სასიკეთო მეტამორფოზას, საკოლმეურნეო ქონების დამცველ გმირად მის გადაქცევას საზეიმო იერით აცხადებდა. ის კი ავიწყდებოდა, რომ რომანის ბევრი პასაჟი აშკარად პაროდულია და არც გვადის „გმირობაშია“ რაიმე შესახარბებელ-მისაბადი. საკოლმეურნეო პროპაგანდამ ხომ ეს კაცი, ბოლოს და ბოლოს, მკვლელად აქცია.

კითხულობთ ლეო ქიაჩელის ნაწარმოებებს და მძლავრი ვნებების, სამკვდრო-სასიცოცხლო ჯაჯგურის ომახიანი გუგუნი გესმით. აქ ვერ იხილავთ ლიტერატურული რემინისცენციების თეატრალურ ცეცხლს, გვერდების შესავსებად გამოგონილ ყალბ-მინორულ იდილიებს, მწერლის მახვილი მზერა ორი სამყაროს ჭიდილის ტრაგედიას წვდება და იმგვარ ხატებად აგვირისტებს, დავინყება რომ არ უხერხდება.

ქართული არ უჯერებდა, მისი დიალოგები თარგმნილი გეგონებათო, ქირქილებდნენ ლეო ქიაჩელის ზურგს უკან ისინი, ვისი ჩახუჭუჭებული ფრაზებიც მათსავე თითიდან გამონოვილ, ყალბრომანტიკულ თხზულებებს სამუდამოდ გაჰყვა მოუსავლეთში.

მე კი მგონია, ქართულ პროზაში იშვიათად შეხვდებით ზღვის ღელვას ასე ფერწერულად გადმოცემულს:

„ზეცა არ ჩანდა.

კიდით-კიდემდე მხოლოდ შავი ღრუბლები მიმოქროდნენ ზღვის ზედაპირზე გართხმულები.

მთებივით მაღლა აზიდული ტალღების რაზმები ნაპირებს გრიალით ეხეთქებოდნენ და დედამინას ყუმბარებს უშენდნენ.

კვამლსა და ბოლში გახვეულ საომარ ველზე გამოსული ტანკების შემოტევას ჰგავდა მათი მრისხანე იერიში.

უფსკრულის ლაყურებით ამონაბერი შავი გრიგალი ზღვის შუაგულიდან გიჟური სტვენითა და ბლავილით იმუქრებოდა. წყლის ვეება, ჰაერში ატატებულ ლოდებს ბურთივით ათამაშებდა. სად ნგრევისა და ტეხის შემზარავი გრიალით ჩაიგუგუნებდა, სად რისხვის ჭექასა და ქუხილს დააყენებდა და ბნელი სივრცის კიდურზე შავი ელვის მსგავსად გაეკვრებოდა.

პირველყოფილი ქაოსის ნახლეჩების ბრმა სრბოლას ჰგავდა დაუსაბამო უკუნეთში მისი აწყვეტილი თარეში“ („ჰაკი აძა“).

ლეო ქიაჩელი სიუჟეტების და გამოკვეთილი ხასიათების მწერალი გახლავთ. მისი პერსონაჟები ერთი და იმავე ტიპის ვარიაციებს კი არ წარმოადგენენ, არამედ უკიდურესად განსხვავებულ, თვითმყოფად, ორიგინალურ მოქმედ პირებს. რამდენიმე მათგანს გაგახსენებთ: ტარიელ გოლუა, გვადი ბიგვა, გაიოზ გადალენდია, ტაგუ, ბათაყვა, მანია, მუნჯი ბაჩუა, სტეფანე, უჯუშ ემხა, კუზმა მრისხანე, ალმასგირ კიბულან.

ლეო ქიაჩელის, როგორც პორტრეტის ოსტატის, დასახასიათებლად მარტო ალმასგირ კიბულანის გრაფიკული პორტრეტი რად ღირს:

„აიმზირა ალმასგირ კიბულან დევის ლანდივით საშინელი.

მზისგან შერუჯულ კლდეებს შორის თვითონაც გვერდებშელენილ კლდეს ჰგავდა, რომელსაც სასწაულებრივ სული ჩასდგომოდა და ამოძრავებულოყო.

ანმახი იყო, უსწოროდ ნაგები. უხორცო, კუთხეებ-ჩამოხეთქილი. ნაკვთსა და ნაკვთს შორის შეღრუბული. მხრებსა და გულმკერდში სვანური რკინით შესალტული.

გამოხედვა ირიბი ჰქონდა, უნდობი და მალი, ჩამოზნექილ შუბლზე წარბები შავი ფრთებივით ესხა, რომლებიც მოყვითალო, ხორბლის მარცვლისფერ თვალებს უჩრდილავდნენ.

აღმართზე რომ შედგა, ბარისოდენა ხელისგული თვალებზე ჩამოიფარა და მზის უკანასკნელ სხივზე ოქროსფრად მოხამხამე შორეულ მთებს გახედა. სახის ძვალზე დაბეგვილი აბედივით გადა-

კრული კანი ჩაღრმავებულ ნაოჭებს დაესერა და ზედ გაურკვეველი შიშის ლანდი გადაფენოდა“.

ეპოქის მწერალიაო, ლეო ქიაჩელზე ითქმის.

სწორედ რომ მისმა მწერლურმა ალლომ შენიშნა დრომოჭმულის დასათრგუნავად მოსული ახალი დროის ძალის ხმები და მრისხანება, ახლისა, რომელმაც პატიება არ იცის და დასაღუპავად განწირულს მშვიდი, ცივი სახით ასეთ უღმობელ განაჩენს გამოუტანს.

„– სულ ერთია, ეს მონა ადამიანად მაინც არ გამოდგებოდა... აიღეთ, გადააგდეთ“ („ჰაკი აძბა“).

მეოცე საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს ცხოვრებას ჩვენი შთამომავლები მხატვრული სიტყვის რამდენიმე ოსტატის ნაწერებით გაეცნობიან. თითზე ჩამოსათვლელია მათი რიცხვი, ვის სიმართლესაც მომავალი თაობები ენდობიან და დაუჯერებენ, ვის ნაწერებსაც ყავლი არ გაუვა.

ერთი მათგანის, ეპოქის სანდო მემატიანის ტიტული კარგა ხანია მკითხველმა ლეო ქიაჩელს მიანიჭა.

## იოსებ გრიშაშვილი (1889 – 1965)



ახალგაზრდა პოეტი იყო იოსებ გრიშაშვილი, მის ლექსებს რომ მღეროდა თბილისი. მეოცე საუკუნის ათიანი წლების აშუღურქალაქურ ფოლკლორს, „ხარფუხელმა ფირუზამ“ ახალი გზა-სადინარი მისცა, უფრო რომანტიკულ-ლირიკული გახადა იგი. „ნუ, ნუ სტირი, ნუ, ნუ ჰგოდებ, გენაცვა“... მითხარ, მითხარ ეგრე მალე, ვარდო, ფერი რად იცვალე...“ „ბარამკა-ჯან, არ შეგცივდეს!“ ისმოდა ორთაქალის ბალებსა თუ რიყვ-ავლაბრის სამიკიტნობში და „სიყვარულით დამწვარმა“ მოქეიფე-მოქალაქეებმა არც კი იცოდნენ, რომ ამ ლექსების ავტორი სწორედ ის შავახალუხვერცხლისქამრიანი, ფერგაცრეცილი და ტანმორჩილი ბიჭი იყო, ყოველ დილით აბანობთან რომ ჩამოივაკებდა, თათრის მოედანს გადაჭრიდა და სანაპირო ქუჩით თეატრისაკენ მიიჩქაროდა.

მერე ერთბაშად მოვიდა სახელი და აღიარება, პრესა და კრიტიკოსთა კეთილი თვალი. „თბილისის მომღერალი“, „სიყვარულის ტრუბადური“, „კოცნის პოეტი“ – ასეთი გახლდათ – იოსებ გრიშაშვილის ლიტერატურული პორტრეტის კრიტიკისეული შტრიხები და ისე პოპულარული იყო გრიშაშვილის ლექსი, რომ ქუთაისში ახალგაზრდა პოეტს ვაჟა-ფშაველასთან ერთად ინვევენ პოეზიის საღამოს გასამართავად.

მაგრამ გავიდა ხანი და იოსებ გრიშაშვილმა დაამტკიცა, რომ მის სახელზე გაცემული ლიტერატურული თამასუქები სრულად როდი გამოხატავდნენ მის შემოქმედებით ბუნებას;

სწორედ იმ უბედურ დღეს, 1921 წლის 25 თებერვლის, როცა წითელი რუსეთის მეთერთმეტე არმიამ კიროვისა და ორჯონიკიძის წინამძღოლობით მეზობლ პატრიოტთა სისხლით შეღება თბილისის შემოგარენი, ქალაქის დამცველთა რკალი გაარღვია, რათა წითელი დროშის ფრიალით ეროვნული ხელისუფლების დამხობა ეცნობებინა მოსკოვისთვის, სწორედ იმ დღეს იოსებ გრიშაშვილმა დაწერა ლექსი „ახალ ხელისუფლებას“.

მართალია, დღეს ეს ლექსი ბევრ კომუნისტს გააჯავრებს, მაგრამ მაინც თამამ სიტყვას მოვახსენებ ახალ მთავრებს. თქვენ ამბობდით: საქართველო, რაც გინდ ბევრი გაიბრძოლოს, დიდ რუსეთის კომუნისტად გადიქცევა მაინც ბოლოს!

ჰა, აღსრულდა, თქვენ მოხვედით, ჩვენც მიგიღეთ ცრემლით ცხელით, მაგრამ ხალხი არ შეგინდობთ, რომ სხვის ხიშტით შემოხვედით. განა ჩვენ აქ გვქონდა ტახტი, ან ზედ დავსვით ვინმე მეფედ, რომ ქართველთა წმინდა სისხლი დაღვარეთ და აამშხეფეთ?!

განა ჩვენი არწივები გაურბოდნენ დროშას წითელს – რომ დღეს ჩვენზე ახარხარებთ ყველა ბილწს და ყველა სკვითელს. ო, ჩვენ ისე შევეჩვიეთ ჩვენს მიწა-წყალს, ჩვენს ფერს, ჩვენს ხმას, რომ ვერასდროს ვერ ავიტანთ გამარჯვებულ რუსის ჩექმას. ზეინაბად გარდვიქცევით, გულს ჩავიკრავთ ალთქმას შმაგურს და უსისხლოდ მტერს არ მივცემთ არც ერთ კუთხეს, არც ერთ აგურს...

დიახ, იმ საბედისწერო დღეს, როცა უმძიმესი ეროვნული შოკისაგან ქვეყანა ჯერ კიდევ გონს ვერ მოსულიყო, როცა ყორღანის ხელისუფლება ფაცხაფუცხით კრავდა ბარგს და თბილისიდან გარბოდა, ხოლო ერის ტრუბადურთა ერთი ნაწილი ხელისუფლებასთან ერთად საემიგრაციო მატარებელში იჯდა, ხოლო მეორე დამარცხებულ მთავრობას თეთრი ცხენით მცხეთამდე აცილებდა, რათა შემობრუნებულს „ახალმოსულისთვის“ დაეკრა თავი, ამ დროს ცრემლგამშრალი პოეტი ხარფუხიდან დასცქეროდა მგლოვიარე დედაქალაქს და ზემოთ მოტანილ სტრიქონებს წერდა.

„ახალ ხელისუფლებას“ პირველი, მეყსეული პასუხი იყო წითელი რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაცია-ანექსიაზე და – ქართველ მწერალთა ეროვნული, მეზობლი რაზმის პოზიციის გამოხატულება. სხვა რომ აღარაფერი დაენერა იოსებ გრიშაშვილს, ამ ლექსითაც შერჩებოდა იგი ქართველთა განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიას.

წითელი ურჩხული უკვე მკვიდრად ჩამომჯდარიყო საქართველოს ცისთავანზე და ხარბად ნთქავდა სამწლიანი თავისუფლების ნარჩენებს, იოსებ გრიშაშვილმა „ახალ ხელისუფლებას“ ახალი ლექსი – „ჩემი ლოცვა“ მოაყოლა:

მეუფეო, ჩემი ლოცვა დღეს იქნება სულ სხვაგვარი; მე არ მინდა სასწაულად მომივლინო ნინოს ჯვარი, ახ, არ მინდა მე არც საბა, ახ, არ მინდა არც ისახარ – დღეს ჩემს გულში, მეუფეო, სულ სხვა ლოცვა ჩაისახა; მე მინდა, რომ საქართველო – ეს სამოთხის შვების წყარო, – მტრებს არ მისცე საჯირითოდ, შეიტკობ და შეიყვარო.

მეუფეო, ყოველ მხრიდან გვეხვეოდა მტერი გველად, ჩვენი სულის ჩასაქრობად, ჩვენი ნიჭის ასაგველად, სელჯუკები, მონღოლები გვეცემოდნენ ურდო-ურდოთ... მაგრამ კმარა, მეუფეო, აღარა გვსურს გავიქურდოთ.

გვეყო, გვეყო ეს სასჯელი, ესოდენი ჭირი, სენი, საქართველო, მეუფეო, დაიხსენი... დაიხსენი.

რა გზით წარმოუდგენია პოეტს ისტორიის ამ მოსახვევზე საქართველოს დახსნა? რა უშველის საქართველოს?

და მაშ, ვიდრე ლოცვად ვდგავარ, და მაშ, ვიდრე დარი არი გაგვიმაგრე მეუფეო, ბამბაკი და დარიალი, და სიმტკიცის დასაცველად ჩვენი ციხის ზღაპრულ კედელს ჩამატანე დედისერთა, ნუ დასტოვებ ჩაუკეტელს.

დიახ, დარიალის ჩაკეტვას სთხოვს პოეტი ღმერთს, რათა დამპყრობელი რუსის ჩექმამ კავკასიონზე ვერ გადმოაბიჯოს, მაგრამ „ჩემი ლოცვა“ ოდენ თხოვნა-აჯის დონეზე როდი ჩერდება, იგი აშკარა მუქარასაც შეიცავს:

მაგრამ თუკი, ჰოი, ღმერთო, ჩაგვითვლიან ლოცვას ტყვიად; ლოცვას წყევლად გადავაქცევთ, ავადულებთ ცრემლებს ტყვიად, – და ვაი მას, ვინც მტრის სტვირზე თავის ჰანგსაც ახმატკბილებს, მას პასუხსაც არ ვაკადრებთ, მას ჩავუმტვრევთ სიბრძნის კბილებს. მას შხამადაც შერგებია ჩვენი დედის ტკბილი ხსენი... საქართველო, მეუფეო, დაიხსენი... დაიხსენი.

სამწუხაროდ, პოეტის ლოცვა უფალმა არ შეისმინა და არა თუ დარიალი გავამაგრეთ, იმ გამცემ ქართველთა რიცხვმა მომდევნო წლებში არაჩვეულებრივად იმატა, ვინც „მტრის სტვირზე თავის ჰანგს ახმატკბილებდა“. იოსებ გრიშაშვილი კი დარჩა დაპყრობილი საქართველოს და ძველი თბილისის ტრუბადურად. იგი დროდადრო დაიკვნესებდა: „ახლებში არ მყავს ძმა-მოყვარულიო“, მაგრამ ტრიუმფით მიმქროლი კომუნისტური მატარებლის ხმა ირგვლივ ერთეულთა ეროვნულ ამონაკვესს ფარავდა. წითელი ორკესტრის ზურნა-გრიალში გადიოდა დრო მეოცე საუკუნის საქართველოში.

იოსებ გრიშაშვილი დაიბადა 1889 წელს თბილისის გარეუბანში – ხარფუხში. მამა, გრიგოლ მამულაიშვილი, ჯერ კალატოზობდა, მერე მიკიტნობას მიჰყო ხელი. დედა გაქართველებული სომხის, ისაკ ოგანეზოვის, ასული გახლდათ, სახელად – ეკატერინე.

სათავადაზნაურო სკოლის მესამე კლასის მოწაფე იყო იოსები („ფირუზას“ ეძახდნენ ლურჯი თვალების გამო), მამა რომ გარდაეცვალა. მალე დედა გათხოვდა და ობლად დარჩენილმა ბიჭმა დამოუკიდებელი ცხოვრება დაიწყო. ჯერ დუქნის ბიჭად ირჯებოდა, მერე სტამბაში შეგირდად მოეწყო. ერთხანს საფლავის ეპიტაფიებს თხზავდა და იმით ირჩენდა თავს. 1906 წელს ლექსების პირველი წიგნი „სიტყვის კონა“ გამოსცა, 1907 წელს ვალერიან გუნიამ თეატრში მოკარნახედ მოაწყო. ამავე პერიოდიდან თანამშრომლობდა გაზეთ „ნიშადურის“ და „ივერიის“ რედაქციებში, ნერდა პატარა-პატარა ვოდვეილებსაც. იოსებ გრიშაშვილის ფსევდონიმებია: გრი-გრი, ახალი ყანწელი, დედისერთა იოთამი, ემე, ერთელი, იოანე მარუშიძე, ხვლიკი, მამულიშვილი, სოსო, ნიაზა აისელი, სუფლიორი, ფ. მამულოვი, შანტეკლერი, ნკიპურტიძე და სხვ.

1917 წელს საქართველოს მწერალთა კავშირი შეიქმნა და იოსებ გრიშაშვილი საბჭოს წევრად აირჩიეს.

1959 წელს სამოცდაათი წლის პოეტს „საქართველოს სახალხო პოეტის“ წოდება მიანიჭეს. გარდაიცვალა 1965 წელს. დაკრძალულია მთაწმინდის პანთეონში.

მტარვალთაგან სამშობლოს დახსნის, თავისუფლების მოახლოების გუგუნი ისმის ჯერ კიდევ 1914 წელს პატრიოტულ მოტივზე დაწერილ ლექსში „ქართული სიმღერა“.

„თავისუფლება“, თავისუფლება“  
აი, ეს სიტყვა, სიტყვა თილისმის,  
ვით მომხიბლავი ჩოგანის ცემა,  
ირგვლივ ხმაურობს, ირგვლივ გაისმის,

მტარვალო გვეყო მძლავრთ უკმეხობა,  
ჩამოვიბერტყეთ შენი დიდება,  
დამიდგა ჟამი აღსასრულისა.  
და რაც რომ იყო – ის აღარ არის,  
და რაც რომ არის – არც ის იქნება.  
ახალ ცხოვრების ახალ ყალიბში  
ახალი აზრი ჩამოიქნება.

### („ქართული სიმღერა“)

იოსებ გრიშაშვილის პატრიოტული ლირიკის უმთავრესი თვისება საქართველოს აწმყოს სწორი გააზრება („უყიდიან მიწა-წყალსა, უგინებენ ენას, რჯულსა“) და მომავლის ოპტიმისტური ჭვრეტაა. ეს ნათლად გამოსჭვივის ალექსანდრე სუმბათაშვილისადმი მიძღვნილი ლექსიდან:

...ხოლო როცა საქართველოს, ისეც დამწვარ-დატანჯულსა,  
უყიდიან მიწაწყალსა, უგინებენ ენას, რჯულსა, –  
მაშინ მყისვე მაგონდება ანანია თავის ფიცით  
და მსურს მეც ვთქვა: ხანჯლის დაკვრა ქართველებმა გულში ვიცით.

მაგრამ როცა ყოველივე მიწნარდება... მიყურდება.  
გაიანეს დასახსნელად როცა დათო არსად ჩნდება,  
როს შუღლი და მლიქვნელობა – ეს უმსგავსი კაცთა განძი,  
კვლავ ღრმად არის ტლანქის ფესვით ჩვენს გულებში განაკვანძი,

როს ანმყოზე გულგატეხილს აღარა გვწამს მომავალი,  
მაშინ შენსკენ იმზირება, ოთარბეგო, ჩვენი თვალი.  
და ეს სახე, ფრთა წარსულის, ჩვენთან დაჰქრის, ჩვენთან ფრინავს  
და ჩვენც ვამბობთ აკაკივით: „არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს“.

### („ალექსანდრე სუმბათაშვილს“)

ასევე საქართველოს თავისუფლებისთვის ბრძოლის მზადყოფნით და აშკარა მოწოდებითაა გაუქმებული ვალერიან გუნიას იუბილეზე წაკითხული ლექსი:

კმარა, რაც რომ დაყვავებით მტერმა გული აგვიჭრელა,  
ჩვენ ერეკლეს თოფხანაში გაზრდილნი ვართ, თითქმის ყველა.  
ვიციტ ბრძოლა უშიშარი, ვეტრფით მახვილს მოჭახჭახეს,

ან ვის უნდა შევეუშინდეთ, მტერმა ჩვენს ზურგს მოუარა?  
ჩვენ წინ დავხვდეთ! დიდი შოთას მემკვიდრენი ვართ თუ არა?!

### („დათოვლილი მედროშე“)

მოვიდა 1924 წელი. საქართველოს ეროვნულმა აჯანყებამ ქვეყანა რუსის ჩექმისგან ვერ იხსნა. პოეტის განწყობილება მინაგამსკდარ ტფილისს ეთანანწყობა:

მაგრამ არ მწყალობს ბედი ფიცხელი,  
მინა გამსკდარი, ცა მონალრუბლი,  
და პოეზიაც თვალში მიცქერის,  
როგორც ილიას დაჭრილი შუბლი.

### („ტფილისის მინა“)

გაივლის წლები. სამშობლოს ბედისადმი იოსებ გრიშაშვილის დამოკიდებულება ისე დრამატული აღარ არის, როგორც ოციან წლებში იყო. ჩანს, წითელმა უთომ – საბჭოთა ცენზურამ, თავისი საქმე გააკეთა. პოეტის პატრიოტული ლირიკა ასეთ ზოგად, დეკლარაციულ კალაპოტში მიედინება:

„ეს მთა ჩვენი“, „ეს ხე ჩვენი“,  
მე ვიმეორებ ყოველ განთიადს,  
თუკი რამ კარგი გადამრჩენია,  
ისიც სამშობლოს დროშად ანთია.

### („სამშობლოსადმი“)

არც ახალი თბილისი აღავსებს პოეტს ძველებურად სევდით. ძველ დედაქალაქთან პოეტს ანგარიში გაუსწორებია, ხოლო ახალი საზეიმო-სასიმიღეროდ განაწყობს მისი სულის სიმებს:

შენ სულ სხვაგვარი ფერი გაქვს,  
სხვა ზურმუხტი და ლალები,  
სამშობლოს ნატურისთვალი ხარ  
თბილისო, გენაცვალე!

### („ახალი თბილისი“)

სანამ ეს სტრიქონები დაინერებოდა, პოეტმა თბილისისადმი მიძღვნილი მთელი ეპოპეა შექმნა. სწორედ რომ ოციან წლებში დაწერილ ლექსებში ჩანს ავტორის ჭეშმარიტი პოზიცია და რელიქვიებისადმი ეროვნული დამოკიდებულება.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ იოსებ გრიშაშვილმა ახალ სიმაღლეს აზიარა ქართული პოეზიის ერთი თავისებური ტოტი – თბილისის აშუღური ლექსი. მართლაც, პოეტი იყო და რჩება ჩვენი დედაქალაქის ერთ-ერთ უპირველეს მომღერალ-მეხოტბედ. ძველი თბილისი იოსებ გრიშაშვილის სიყვარულისა და ზრუნვის საგანია. 1925 წელს დაწერილ ლექსში, „გამოთხოვება ძველ თბილისთან“, ვკითხულობთ:

სიძველისადმი გრძნობა, პატივი,  
თუ შენში ოდნავ მაინც ელვარებს –  
მიხვდები, ასე ანდამატივით  
რისთვის ვდარაჯობ თბილისის კარებს.

მაგრამ ამავე ლექსში ნათლად ჩანს, რომ პოეტის გუშაგობას თბილისის კარებთან მარტოოდენ „სიძველისადმი გრძნობა, პატივი“ არ ასაზრდოებს.

დუდუკის ნაცვლად – ქარხნის საყვირი,  
დუმბო და ძილი დაახშო რკინამ.  
ბულბულს – ყაფაზა, გრძნობას – ალვირი,  
აღარც დუდუკი... აღარც ყიფინა.

და მე არ ვიცი, ვილას ვემონო.  
ასეთ ყოფაში თითქოს მოვბერდი.  
ვრჩები ოტელო უდეზდემონოდ  
მე სხვა ცხოვრების წინამორბედი.

დიდი მიგნება არ სჭირდება იმ ფაქტს, რომ პოეტის სევდას  
ახალ თბილისთან მიმართებაში სწორედ რომ „გრძნობის ალვი-  
რი“ ბოჭავს (ასე უხვად რომ მოიტანა კომუნისტურმა ყოფამ) და  
კიდევ იმის შეგნება, რამაც პოეტს თამამად ათქმევინა: „მე სხვა  
ცხოვრების წინამორბედი“ ვარო.

ძველი თბილისის ნოსტალგია იოსებ გრიშაშვილს მარტო იმის  
სათქმელად როდი სჭირდება, „ძველი ღვინის სმა“ და „ყარაჩოლე-  
ლი“ მოისაკლისოს, იგი ახალთა მიმართ თავის დამოკიდებულე-  
ბასაც შემოგვაპარებს ლექსში და პირდაპირ გვიმჟღავნებს, რომ  
„ახლებში არ ჰყავს ძმა-მოყვარული“.

მოქეიფენო, ძველმა თბილისმა  
მეც ჩამომართვა უძარღვო ხელი,  
მაგრამ სად არის ძველი ღვინის სმა,  
სად არის ძველი ყარაჩოლელი?

გრძნობა ყალბი აქვთ, ხმა – ნაქურდალი,  
ბრაზით შევეყურებ ამ სურათს უჩვევს,  
და მერიქიფე ლოთი, მურდალი,  
ტუჩზე დამადებს გაქონილ ტუჩებს.

გავტეხავ ჭიქას, რომ ვათქმევინო:  
ახლებში არ მყავს ძმა-მოყვარული,  
და ავტირდები, როგორც ეს ღვინო  
კინტოს პერანგზე ჩამოღვარული.

(„აშპაშხანისკენ“)

ახალმა ვითარებამ, სხვათა შორის, ის სიკეთე მოიტანა, რომ  
კლასიკოსთა წიგნებიდან ამოხეულ ფურცლებს ბაზარში სანოვა-  
გის შესახვევ ქალაქად ჰყიდიან. პოეტს ანუხებს „გენიოსების  
ბედი თბილისის ბაზარზე“ და ეს ლექსი განგაშია ჩაძინებული  
საქართველოს შესანჯღრევად ატეხილი:

ქვევით, ბაზარზე კვირადლით, ვანქთან,  
მტვრიან ქუჩებში, დამპალ ჰავაზე,  
წონით ვიყიდე ექვსი გირვანქა:  
შოთა, აკაკი და ჭავჭავაძე.

...აი, სად ჰყრია ჩვენი დიდება!  
ლამის სირცხვილით ამენვას ლოყა,  
აი, ქართლის ხმა სად იყიდება, –  
ჯავახიშვილო და ინგოროყვა!

(„გენიოსების ბედი თბილისის ბაზარზე“)

იოსებ გრიშაშვილის შემოქმედების დიდი ნაწილი სატრფია-  
ლო ლირიკას ეთმობა. ქალი მთელი თავისი მომხიბვლელით,  
ვნებით, მაცდური ღიმილით, ლალატითაც პოეტის ლირიული ხე-  
დვის მთავარი ობიექტია. აქ სიყვარული სულისშემძვრელი, ადა-  
მიანის არსების მთლიანად მომცველი, სიკვდილივით უძლეველი  
გრძნობაა, რომელიც ხშირად დამუხტულია გაორების, ლალატის  
დრამატიზმით.

რად არ მითხარ, თუ იცოდი,  
რომ ეგ გული სხვისკენ რბოდა,  
რად მომშხამე, რას მერჩოდი?  
რა გინდოდა, რა გინდოდა?!

(„სინანული“)

ისეთ ჩვეულებრივ, სიყვარულის თანმხლებ მოვლენად ესახე-  
ბა ლირიულ გმირს იჭვი და ლალატი, რომ წმინდა სიყვარულის  
გრძნობასაც ეჭვის ქვეშ აყენებს:

სიომ ფიჭვი ნედლი ფიჭვი,  
სათუთ ღელვით შეარხია  
და დამძახა – „ა, შენც იწვი? შენი მუზაც აქვითინდა?  
ჩემო ბავშვო, არ არსებობს სიყვარული ყოვლად წმინდა –  
მხოლოდ ცოცხლობს ტრფობის იჭვი და თვით შვებაც შიგ მარხია“

**(„სიოს ვკითხე“)**

სატრფოსთან დამოკიდებულება ზოგჯერ ნატურალისტურად  
გულუბრყვილოა და, შეიძლება ითქვას, პრიმიტიულ-სექსუალ-  
ურიც. მაგალითად „მანოლაც“ იკმარებდა:

შენ აბანოდან გამოდიოდი,  
მარტო კი არა, ქმართან – ხელკავით,  
და ბოტანიკურ ბაღის სიოთი  
გეგრილებოდა ხუჭუჭა თავი.

...არც კი გრცხვენია! ვით ალამდარი  
აფენ შენს სხეულს ვაჟის მახლობლად.  
აბანოს ბოხჩით მოგდევედა ქმარი  
და ზედ ეწერა: „ჩემი სახლობა!“

...ახლა რა მეთქმის? ვნების ონავარს  
გეტყვი, რომ უკვე დაეშვი ტაფობს.  
გიცქერ საჯაროდ ნააბანოვარს  
და ეგ სინითლე ყველაფერს ამბობს.

მაგრამ ამგვარი „გაშიშვლებული გრძნობა“ მხოლოდ გამონაკ-  
ლისია ი. გრიშაშვილის სატრფიალო ლირიკისათვის. ჩვეულებრივ  
საყვარელ არსებასთან ლირიული გმირი ამღერებული და თავდა-  
ვინწყებამდე ერთგულია:

რა კარგი ხარ, რა კარგი,, კობტა, ზღვისფერთვალეა,  
თმებზე ღამე გიცინის, პირზე – დღის ბრწყინვალეა.  
რა კარგი ხარ, რა კარგი! შუშპარა და მჩქეფარე,  
როცა მოგვკვდე, გენაცვა, ძეგლად გადამეფარე.

**(„რა კარგი ხარ, რა კარგი“)**

ზოგჯერ ეს სიყვარული გრიშაშვილის ლირიკისათვის სრული-  
ად მოულოდნელად ასეთი ჰაეროვანი და ზეალმავალია:

თქვენმა ბუნებამ წამახალისა,  
მხიბლავს განცდები ლექსით ნაფერი,  
მე მხოლოდ მიყვარს სული ქალისა,  
სხვა არაფერი... სხვა არაფერი...

**(„დიანას ისრები“)**

იოსებ გრიშაშვილის სატრფიალო ლირიკას ამშვენებენ აგრეთვე  
ლექსები: „ყურთბალიში“, „სიყვარულის ნეკროლოგი“, „გლარჯის  
მილი“, „ვარდის კვნესა“, „არც ჰოს“, ამბობს, არც „არას“, „ჩემი  
დანიშნული“, „მოლაღატეს“, „ზღაპარი გამაკვი“, „ხელთათმანის  
ლილის“, „დააჩქარე“, „ტყეში“, „ჩემთან მოდი“, „ჩემი აღმართი“  
და სხვ.

იოსებ გრიშაშვილი ბავშვების საყვარელი პოეტი იყო. „ბაბაჯა-  
ნას ქოშები“, „მუსტაფას ვირი“, „ონავარი“, „ზარმაცა“, „მიყიდე“  
და სხვა ლექსები მარად დაამშვენებენ ქართულ საყმაწვილო მწ-  
ერლობას.

მიუხედავად იმისა, რომ პოეტს ოფიციალურად (უმადლეს  
სკოლაში) არსად უსწავლია, იგი ცნობილი მნიგნობარი, მეცნიერი  
და საერთოდ, ენციკლოპედიურად განათლებული პიროვნება  
იყო. დაწერილი აქვს საინტერესო გამოკვლევები საიათნოვასა  
და ალექსანდრე ჭავჭავაძეზე. განსაკუთრებით საყურადღებოა  
1926-27 წლებში დაწერილი „ძველი თბილისის ლიტერატურული  
ბოჰემა“, რომელშიც მიმოიხილა ძველი თბილისელი აშუღების:  
გივიშვილის, სკანდარნოვას, ანტონ განჯისკარელის, იეთიმ  
გურჯის, ბეჩარას და ჰაზირას შემოქმედება. აგრეთვე – თბილი-  
სური ყოფის განუყრელი ატრიბუტები: ყეენობა, კრივი, ამქრო-  
ბა, აბანო, ნაღლი, აშუღები დღეობებში, კინტო და ყარაჩოღელი  
და სხვ.

...იოსებ გრიშაშვილის პოეზია და მეცნიერული გამოკვლევები,  
მისი საზოგადო ღვაწლი, ერთი გამორჩეული ფურცელია მეოცე  
საუკუნის კულტურის ისტორიისა, ისეთივე უანგარო და უპრეტენ-

ზიო, როგორც გახლავთ პოეტის ხელითვე დაწერილი საკუთარი საფლავის წარწერა:

განა არ ვიცი, მოვკვდები, ჩემი მზეც დაინწერება,  
ერთი პატარა წერილი ჩემზედაც დაინწერება.  
გაზეთის ბოლო ფურცელზე მოათავსებენ ცნობადა:  
სიყვარულს უმღეროდაო, სიცოცხლის უკვდავ ნობათად.

სიყვარულს უმღეროდაო, განა სიძულვილს? ფლიდობას?  
სიყვარულს უმღეროდაო და ერთა შორის მშვიდობას.  
როდი ყოფილა სანუთრო უნდო და დასაძრახელი,  
რადგან ამქვეყნად დავტოვე შეუბღალავი სახელი.  
თუ ჩემი ლექსის ჯავარი ერთს მაინც ემახსოვრება,  
ვიტყვი: უქმად არ გავლიე ჩემი პატარა ცხოვრება.

## კონსტანტინე გამსახურდია

(1891–1975)



კოლხური კომუნიდან საქართველოს უმზერს ორი განსაცვიფრებლად მეტყველი და მარადჟამს ფხიზელი თვალი.

ამ თვალების პატრონს – კონსტანტინე გამსახურდიას ერთი შეხედვით კუმტი გამოხედვა ჰქონდა. მაღალი ქუთუთოები, წინ წამოწეული თაფლისფერი თვალები, ნიადაგ მოკუმულივით, თითქმის უტუჩებო პირი, ჩავარდნილი, ოდნავ ნერვიული ყბები, არწივისებური ცხვირი, ნიადაგ გაბრაზებული კაცის იერს აძლევდნენ მისი სახეს.

იგი შიშისა და რიდის გრძნობას იწვევდა იმათ თვალშიც კი, ვინც ახლოს იცნობდა.

საქართველოს დიდხანს არ დააძინებს დიდოსტატის ის ორი ფხიზელი და გრძნეული თვალი.

ჩემი თაობის კაცი ბავშვობისას რომ იდუმალი გარინდებით ჩაუვლიდა კოლხური კომუნი გალავანს და მერე კონსტანტინე გამსახურდიას მოწაფეობა და უმცროსი მეგობრობა არგუნა ბედმა, ახლაც მისი სულის კამერტონზე ზომავს და სწონის თავის ნაბიჯს: „ბატონი კონსტანტინე როგორ იტყოდა, ბატონი კონსტანტინე მოინწონებდა თუ არა...“



იტყოდა, „კლასიკოსთა დაფნის გვირგვინები სასტიკად მძულსო“, მაგრამ მთელი ცხოვრება კლასიკოსივით იცხოვრა. მისი ცხოვრების წესი ამპარტავანი კაცის შთაბეჭდილებას უქმნიდა იმას, ვისაც „დიდოსტატის მარჯვენის“ დამწერის სიმაღლე აღიზიანებდა.

შეიძლება, მართლაც იყო მის ყოველდღიურობაში რაღაც არქაული და პატივმოყვარული, მაგრამ ვერავინ დაამტკიცებს, რომ ორიგინალურობა მისთვის ხელოვნური პოზა იყო თავის გამოსაჩინად მოგონილი.

თავის გამოჩვენისთვის ფართოფურთი მას სიყმანვილიდანვე არ სჭირდებოდა, – „დიონისის ღიმილი“ ქმნიდა მაღალოსტატობისა და მისი ნიჭისადმი თაყვანისცემის გარანტიას.

განა ახლა, როცა იგი კარგა ხანია აღარ არის ჩვენს შორის, გასაოცარ ცისფერ შუქს არ გვფენს მისი არაჩვეულებრივი სვლა თავის წუთისოფლებში?

იქნებ იმ განმარტოებით და საიმედოდ შემოღობილი კოლხური კომპით ჩვენ, ტექნიზაციისა და ურბანიზმის ქაოსით დამტვერილებს, თავისებური, ამაყი თეატრალიზმით გაკვეთილი მოგვცა იმისა, თუ როგორ უნდა ცხოვრობდეს კლასიკოსი.

გვასწავლა, როგორც უნდა შეინარჩუნოს მან ცხოვრების ქარტახილებში სიძლიერე და შეუვალობა სულისა, როგორ არ უნდა ააყოლოს ფეხი ზოგიერთი შემთხვევით აღზევებული „პოლიტიკოსის“ საეჭვო უზუნდარას.

ამას წინათ „მერანის“ ფოიეში ერთ მსცოვან ლიტერატორს ეკითხებოდნენ უმრწამსნი – გაურბოდა თუ არა ჟურნალისტებსო, იყო თუ არა მიუკარებელი, მოჰკიდაო თუ არა ერთხელ ყურში ხელი ამა და ამ მინისტრს უადგილო ხუმრობის გამო?

„იყო, იყო... ბევრი რამ სწორია, ხანდახან ვერ მოზომავდა კიდეც, მაგრამ მას ყველაფერი უხდებოდაო“, უპასუხა იმ კაცმა.

ღიახ, მას ყველაფერი უხდებოდა...

უხდებოდა თბილისის ქუჩებში პროვინციიდან ჩამოსულ მეყავრესავით ტყავის ჯუბანით, კრაველის ბოხობითა და „გალიფეაზიაცკებით“ სიარული, მწერალთა კავშირში ამოჩემებულ „კონსტანტინეს სავარძელში“ განმარტოებით ჯდომა, ტელევიზიიდან არცთუ მთლად საბუთიანი სიტყვის თქმა ლამაზ ქალებზე და კოლხური კომპის ქისკრის სვეტებზე თავისი ხელით გაკრული,

არცთუ მთლად სტუმართმოყვარული, წარწერაც: „წინასწარ შეუთანხმებლად ნუ შემანუხებთ“.

სიტყვასთან იაკობივით დღემუდამ მორკინალ ღმერთკაცს ჰქონდა უფლება სიბერეში, ცოტა არ იყოს, ახირებული და არისტოკრატიულად პატივმოყვარე ყოფილიყო.

მით უმეტეს, რომ მას გამოეწო ნლები, როცა მრავალტანჯული სამშობლოსადმი მისი ერთგულების სიმტკიცე სურდათ გაეტეხათ, კაენის სულის აღზევების პერიოდში კოლხურ კოსკთან მათრახიც გატკაცუნებულა და „მოსათათბირებლადაც“ არაერთხელ შეუწუხებია ღამეულ სტუმარს კონსტანტინე გამსახურდია.

მის მიერ გაცოცხლებულ უკვდავ ისტორიულ გმირთაგან გამოედო ხასიათის სიკერპე და მედროვეთა თვალში ოთხმოცი წლის მოხუცი ბოლომდე დარჩა „ურჩ გამსახურდია“.

ხშირად მიფიქრია დიდოსტატის ორსახოვნებაზე: შინაურებში სამურზაყანოელი გლეხივით უბრალოდ, შესამჩნევი მეგრული აქცენტით და ზოგჯერ ჭირვეული ბავშვივით გულუბრყვილოდ მოსაუბრე, თუ ახლომახლო უცხო კაცის გეშს დაიცემდა, წელში გაიმართებოდა, გამოიცვლებოდა და „ბატონობით“ და აფორიზმებით იწყებდა ლაპარაკს. შეკითხვაზე მაშინვე არ გიპასუხებდა, ყოველ სიტყვას ზომავდა და სწონდა.

დალახვროს ღმერთმა, ისე გამიტყუებს ფიქრი, რომ აღარც კი ვიცი, რომელი იყო ნამდვილი კონსტანტინე გამსახურდია: შინაურებში შინაურულად რომ მოიჩლიქავდა ენას, თუ კოლხური კომპის ბანიდან უხომადლო ადმირალივით რომ გადახედავდა დედაქალაქს და თავისი ევროპული განსწავლულობის სალაროდან ისეთ ტყუილსა თუ მართალს ამოიღებდა, რომ გამოუცდელ მოსაუბრეს პირი დაგელო – „ეს მაინც საიდან იცის, საიდან ახსოვს ამდენი?“

მთელის პასუხისმგებლობით ვიტყვი: ერს ეს „მეორე გამსახურდია“ უფრო დაამახსოვრდა. ალბათ იმიტომ, რომ იგი უფრო სჭირდებოდა. ერთიან, თავისუფალ საქართველოზე მეოცნებე თავის მეფეებსა და ხუროთმოძღვართ შორის ჩამდგარი, ჩოხა-ახალუხში თითქოს სულ სასურათედ გამოწყობილი.

რომანტიულად მაღალი, ქამარ-ხანჯალზე ხელებდანყობილი, თითქოსდა კლასიკოსთა კოლექტიური პორტრეტიდან შემთხვევით გადმოსული კონსტანტინე გამსახურდია მომწესხველ შთაბეჭდილებას ახდენდა.

უკანასკნელად მე მას ვესაუბრე სასიკვდილო სარეცელზე მიჯაჭვულს, თვალეზრამქრალს და მაჯადასუსტებულს. მივედი, რომ მეცრუა მის წინაშე, ცრემლები დამემალა, გამემხნეებინა, მეთქვა, რომ ცხოვრება ჯერ კიდევ წინ არის, ჯერ ცოცხალ კლასიკოსს იმ სიყვარულის მომკა არც კი დაუნყია, რა სიყვარულითაც უყვარს იგი მოაზროვნე, შეგნებულ საქართველოს.

ეს ყველაფერი მინდოდა მეთქვა, მაგრამ ვის დასჭირდა ჩემი გამხნეება. თავი ასწია და დაიჩვილა: კალამს მიმაღავენ ექიმები, თორემ „თამარზე“ მუშაობას გავაგრძელებდიო. მერე მისებურად, გვერდულად გამომხედა და დაბეჯითებით მითხრა: იმ კვირაში ფეხზე უნდა წამოვდგე და ტყვიით სროლაში ვარჯიში დავიწყო, ნადირობის სეზონი მოდის, უნდა გავემზადო.

ისე გადამდები იყო მისი ჯიუტი ნება და სიცოცხლისადმი დაუოკებელი ლტოლვა, რომ ძალაუნებურად ავყევი და საუბარი დავუნყე სანადირო თოფებზე და ძაღლებზეც კი, თუმცა ვიცოდი, რომ კარგა ხანია ჟანგი მოჰკიდებოდა დიდოსტატის სანადირო თოფებს და არც მისი ერთგული მწევარი – გერი იყო ამ ქვეყანაზე.

მწერალთა სასახლეში რომ დაასვენეს, დიდხანს შევსცქეროდი საყვარელი მოძღვრის დაღლილ სახეს, ამ წუთისოფელთან ანგარიში რომ გაესწორებინა და უკვდავების გრძელ გზად გამზადებულიყო.

გამიკვირდა გულზედაჭდეულ ხელებში სანთელი რომ არ კიაფობდა და არც ხანჯალი ედო გვერდით, ის ხანჯალი, ასე ლამაზად და მართლად რომ აკვესებდა თავისი ძნელი სიცოცხლის მანძილზე.

სხვა პენი ჰქონდა როგორც მოქალაქეს და სხვა ფხა და ჭრა მის ნათქვამს.

თუ სადმე გამოჩნდებოდა, იმ შეკრების ბედი გადანყვეტილი იყო. კაციშვილი ფეხს არ მოიცვლიდა დარბაზიდან – იქნებ ბატონმა კონსტანტინემ ბრძანოსო ორიოდე სიტყვა.

იცოდა, საყოველთაო ყურადღებით იყო გარემოცული და თავის სიტყვას ფასს სდებდა, წამდაუნუმ მიკროფონთან დგომით არ გვანებვირებდა. თუ რაიმეს იტყოდა ხმადაბლა და საქმიანად, ყვირილისა და გულზე ხელის ბრაგუნის გარეშე.

ერთხელ ფარსმანის პირით არსაკიძეს მშვიდად ცხოვრების ასეთი ზნეობრივი სიბრძნე უქადაგა: „ბრძენკაცი უნდა იყვე და შლეგად მოაჩვენოო თავი, გმირი უნდა იყვე და ჯაბანივით დადიოდე, ოსტატი უნდა იყვე და ხელმოცარულად მოგქონდეს თავი,

რადგან არავის იმდენი მტერი არა ჰყავსო ამქვეყნად, რამდენიც ბრძენკაცსა, გმირსა და ოსტატს“.

მაგრამ სვეტიცხოვლის ტოლფასი ლიტერატურული ძეგლის ამგები, თვით არასოდეს ყოფილა შეგუების ამ პრინციპთა მიმდევარი. ამაყი იყო და ვაგლახად ბუზს ვერ აუფრენდა ვერავინ, რადგანაც თავისი ფასი იცოდა, არც არავის უსამართლოდ დაჩაგრავდა და არც არავის დაეჩაგვრინებოდა.

თუ „დიდი ღონისძიებების“ ორგანიზატორები „შემთხვევით“ მოსაწვევ ბარათს დაუგვიანებდნენ, დაუპატიჟებლად მოვიდოდა. სცენაზე გამოჩნდებოდა, პრეზიდენტს თავს როდი დაუკრავდა, გრძელ მაგიდას თავში მიუჯდებოდა და იჯდა გარინდებული. ტაშის გრიალითლა თუ მიხვდებოდნენ სხვანი, რომ კონსტანტინე გამსახურდია მობრძანდა.

თვით კი თითქოსდა, არც ტაშს დაგიდევდათ, იჯდა წელში გამართული, სახეზე ნერვიც არ ერხეოდა, თითქოსდა თავის თავთან იყო, თავის ლანდს ფიქრებით ებასებოდა. მერე ასევე უნებართვოდ (რა მკაცრი სიტყვაა) ადგებოდა და წავიდოდა.

„მწერალი უნდა იყოს დიდი და კეთილშობილი გულის პატრონი. მხოლოდ გულით სპეტაკი ვაჟკაცები თუ გამხდარან დიდი მწერლები“ – წერდა.

მთელი ცხოვრება ასე, შუასაუკუნური რაინდივით სპეტაკ ვაჟკაცად იარა. თავად დიდი და მონყალე გულის მქონე, ავანასავით შეიმართებოდა, როცა საქმე სიმართლის დაცვას შეეხებოდა. პოლემიკაში შემტევი და უკომპრომისო იყო. ავყაობას, გულდელობას, წაჯექ-უკუჯექობას არ გაპატიებდა.

როგორც მისმა სწორუპოვარმა არსაკიძემ, კონსტანტინე გამსახურდიამაც საყვარელ ხელოვნებას მთლიანად მისცა სული.

შეაღია სიცოცხლე „ულრმესი სიბრძნის ნათლადჩენას უბირთაგან უბირისთვისაც“.

მე იგი თავისსავე მნათე ოქროპირს მაგონებს მკლავების დაწყვეტამდე რომ არისხებდა გრიგალში ზარებს, განწირული მამალმერთივით რომ იდგა ლიბოგამოთხრილ, ჩასაქცევად გამზადებულ სამრეკლოზე. მრევლის გაღვიძების ექსტაზში რომ დაილუპა და ანგელოზებმა მისი სული ცისკენ რომ გააქანეს.

ეს მან, მსოფლიოს ყველაზე პატარა მდინარის პირას დაბადებულმა კონსტანტინე გამსახურდიამ, ერთ დულაბად შეკრა სხვა-

დასხვა თაობის ქართველთა ოცნება და გულისთქმა, ეს მან უმღერა ერს უკვდავების სულისშემძვრელი ჰიმნი.

ეს ამნ „ასნია ადამიანი მალლა, სულ მალლა და დასვა შემოქმედის მარჯვენა მხარეს“.

მეოცე საუკუნის ქართული ლიტერატურის უპირველესი რომანისტი და უაღრესად ორიგინალური სტილის მწერალი – ასე შევიდა კონსტანტინე გამსახურდია მსოფლიო მწერლობის ისტორიაში. ქართული კულტურის საგანძურში მის მიერ შეტანილი ნვლილი შეიძლება ამგვარად განისაზღვროს:

კონსტანტინე გამსახურდიამ ჩვენი ეპოქის მწერალთაგან ერთ-ერთმა პირველმა სცადა გაეგრძელებინა და განეახლებინა ლიტერატურაში სულხან-საბა ორბელიანისა და დავით გურამიშვილის მიერ ლიბოდადებული ტრადიცია ქართულ კულტურაში აღმოსავლური და ევროპული კულტურების იმგვარი სინთეზისა, ორგანულად რომ შეერწყმოდა ქართულ ეროვნულ სულს და ნაციონალურ ფსიქოლოგიას.

კონსტანტინე გამსახურდიანმ ოციანი წლების მოდური ლიტერატურული ჯგუფების მიერ „რომანის ჟანრის კვდომის“ თეორიის კამპანიის ვითარებაში ახალი სული შთაბერა ქართულ რომანს, განაახლა და არნახულ მხატვრულ სიახლეებს აზიარა იგი.

კონსტანტინე გამსახურდიამ დიდი შრომა შესწირა ქართული კლასიკური ნოველის შექმნას. ნოველის საყოველთაოდ მიღებული ჟანრული კანონების ერთგულებით ამ ჟანრის ქართულ ლიტერატურულ ნიადაგზე გადმონერგვა კ. გამსახურდიას უშუალო დამსახურებაა.

კონსტანტინე გამსახურდიამ ქართული პუბლიცისტიკის არსენალს შესძინა მისთვის მანამდე სრულიად ახალი ჟანრი, ლიტერატურულ-პუბლიცისტური აზროვნების ორიგინალური ფორმა – ესსეის სახით.

კონსტანტინე გამსახურდიამ ქართული ენის განვითარებაში თითქმის ისეთივე მნიშვნელობის გარდატეხა მოახდინა, როგორც თავის დროზე შოთა რუსთაველმა და ილია ჭავჭავაძემ. მან ერთ-ერთმა პირველმა გამდაბიურების საექვო ინერციებს გამოგლიჯა ქართული ენა, ძველი და ახალი ქართული სალიტერატურო ენის თავისებური სინთეზით, აგრეთვე დიალექტთა სალი ყლორტების გათვალისწინებით შექმნა განუმეორებელი, დარბაისლური მხატვრულ-ენობრივი სტილი, რომელსაც გასაოცრა მდიდარი ლექსიკა

და ფრაზის თავისებური კონსტრუქცია სხვა თანამედროვე ქართველი პროზაიკოსის სტილისაგან განსხვავებულ იერს ანიჭებს.

კონსტანტინე გამსახურდიამ შექმნა რა ისტორიული რომანის ახლებური, თავისებური კონცეფცია, რითაც, სხვათა შორის, ისტორიულ ჟანრს ალევორიულად, უპირველს ყოვლისა, თანამედროვე პრობლემატიკით დაინტერესება დააკისრა, დაწერა ბრწყინვალე სერია ისტორიული რომანებისა. შეძლო გაეცოცხლებინა შორეული წარსულის ძვირფასი სურათები და ისტორიულ-მხატვრულ ქრონიკებად ამოეყენებინა გვერდით „ქართლის ცხოვრებისათვის“. ამ რომანებმა უდიდესი როლი შეასრულეს, ერთი მხრივ, ქართველი კაცის ეროვნული თვითშეგნების განმტკიცებისა და, მეორე მხრივ, მსოფლიო ცივილიზაციის ისტორიაში ქართული კულტურისა და ფილოსოფიური აზროვნების ადგილის გარკვევისათვის.

და, რაც მთავარია, კონსტანტინე გამსახურდიამ შეძლო შთამბეჭდავად და სისხლსავსედ გამოეხატა ჩვენი დრო. თანამედროვე ქართულ პროზაში ძალიან ძნელი მოსაძებნია ოციანი წლების საქართველოს სხვადასხვა სოციალური ფენის და განსაკუთრებით ევროპული განსწავლის გზებზე ხეტიალით დაღლილი, ერთ დროს პრივილეგირებული ნოდების წარმომადგენელთა ცხოვრების ასახვის ისეთი მართალი სურათები, როგორსაც „დიონისოს ღიმილში“ ვხვდებით. ოცდაათიანი წლების წინააღმდეგობრივი ბუნება, ძველის ნგრევისა და ახლის დამკვიდრების გრანდიოზული სურათები დიდი რეალისტური სისავსით და მხატვრული მონუმენტურობით დაიხატა „მთვარის მოტაცებაში“, ხოლო ომამდელი და ომისშემდგომი პერიოდის ქართულ სინამდვილეს დიდი შემეცნებითი ღირებულებით ასახავს „ვაზის ყვავილობა“.

ასე რომ, მიუხედავად ისტორიულ ჟანრში ეპოქალური მნიშვნელობის ღირებულებათა შექმნისა, კონსტანტინე გამსახურდია, უპირველეს ყოვლისა, თანამედროვეობის მწერალია. განსაკუთრებით საგულისხმოა კ. გამსახურდიას ეროვნული პოზიცია. დამპყრობელი რუსეთისადმი უკომპრომისო დამოკიდებულება ჩანს თითქმის ყველა მის თხზულებაში და განსაკუთრებით რომანში „დიონისოს ღიმილი“.

\*\*\*

კონსტანტინე გამსახურდია დაიბადა 1891 წლის 15 მაისს სოფელ აბაშაში აზნაურის სიმონ გამსახურდიას ოჯახში. მწერ-

ლის დედა ელისაბედი აბაშელი აზნაურის სიკო თოფურის ქალი იყო. მომავალი მწერლის მშობლები თავისი დროის კვალობაზე განათლებული, ნიგნიერი ადამიანები იყვნენ. სიმონ გამსახურდიას ოჯახში შოთა რუსთაველის, დავით აღმაშენებლის, ქართული ფოლკლორული და კლასიკური პოეზიის, საქართველოს ბრწყინვალე ისტორიული წარსულის კულტი იყო და თავად ქართული კულტურის შესანიშნავი მცოდნე და დამფასებელი, თავის ექვს შვილსაც (ბესარიონ, ალექსანდრე, ბიკტორი, ვანო, სოფიო, კონსტანტინე) ამ სულისკვეთებით ზრდიდა.

სიყრმეში მიღებული შთაბეჭდილებანი, მეგრული ფოლკლორის ნიმუშები და ისტორიული წარსულით დაინტერესება ცხოვლად დააჩნდა პატარა კონსტანტინეს სულს და შემდგომ მის შემოქმედებაში თავსაჩინო გამოვლენა ჰპოვა.

ინტელექტუალური საზრდოს გარდა სიმონ გამსახურდია თავის შვილებს ფიზიკური სრულყოფის საკმაოდ გაბედულ გაკვეთილებსაც აძლევდა. ბავშვობიდანვე აჩვენებდა ამტანობას და მტკიცე ნებისყოფას უნერგავდა.

„ერთხელ თავად (მამა, რ. მ.) ხედნიდა საკმაოდ ოჩან ულაყს, ხელი წამავლო და უბელო და უაღვირო ცხენზე შემაგდო, ულაყს მათრახი გადაჰკრა გავაზე, შემომძახა: აბა, მარჯვედ გააჭენო. ცხენი საოცარის სისწრაფით გაჭენდა თემშარაზე. მე ძლიერ შევშინდი, გზაში შემხვედრ გლახს ვევედრებოდი – მიშველეთ-მეთქი. ბოლოს, რა დავრწმუნდი ვერავინ მშველოდა, ორივე ხელით ფაფარზე მოვეჭიდე ცხენს და შვება ვიგრენი. ბოლოს ისე გავთამამდი, ქუსლი ვკარი და შინ მივბრუნდი“ – წერს პოეტი თავის მოგონებათა ნიგნში – „ლანდებთან ლაციცი“.

თანახმად ქართველ თავად-აზნაურთა ძველი ჩვეულებისა, კ. გამსახურდიას გამდელიც მიუჩინეს. გამდელი ეკაია ქართული კულტურის ისტორიაში სახელდამადლდამკვიდრებული გამდელეების (აკაკის, ილია ჭავჭავაძის, ნ. ნიკოლაძის და სხვ.) ღირსეული შთამომავალი გახლდათ და ყმანვილის შემეცნება იმთავითვე გამდიდრდა კოლხური ლეგენდებით, ზღაპრებითა და შელოცვებით.

აბაში სამრეკლო სკოლის დამთავრების შემდეგ მამამ კონსტანტინე და მისი ძმა ვანო სენაკში ჩამოიყვანა და სათავადაზნაურო სკოლაში მიაბარა. ამ სკოლაში აბაშელ ყმანვილს მშობლიური ენისა და ერისადმი სიყვარულს ცნობილი პედაგოგები – არსენ წითლიძე და ნიკო ჯანაშია უნერგავდნენ.

1905 წლის რევოლუციის ქარტეხილმა სიმონ გამსახურდიას ოჯახსაც გადაუქროლა. გიმნაზისტი ყმანვილის სული შეძრა იმ დღეების ქუთაისმა, თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მუშტად შეკრულმა ბარიკადებმა, მამის დაპატიმრებამ რევოლუციონერთა გადამალვაში ხელშეწყობის გამო.

ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში მოხდა კ. გამსახურდიას ადრეული სულიერი ფორმირება. ერთი მხრივ, რევოლუციური გარემო, ხოლო მეორე მხრივ, იმდროინდელი საქართველოს კულტურის მექა – თავისი ევროპული ესთეტიზმით და ლიტერატურული სალონებით ხელს უწყობდა მომავალ მწერალში პროგრესისათვის ბრძოლისა და განსწავლის გრძელ გზაზე შედგომის დაუოკებელი სურვილის გამომუშავებას.

განსაკუთრებული სიყვარულით კ. გამსახურდია გიმნაზიის მაშინდელ დირექტორს – იოსებ ოცხელს იგონებს. უანგარო საზოგადო მოღვაწემ და დიდმა პედაგოგმა იმთავითვე შენიშნა კ. გამსახურდიას განსაკუთრებული სიყვარული ლიტერატურისადმი და სწავლაში გასაოცარი გულმოდგინება, ამიტომაც თვეში ათი ოქროს მანეთი სტიპენდია დაუნიშნა.

მწერლის მაშინდელი განწყობილების თვალსაჩინო ფაქტად უნდა მივიჩნიოთ ის გარემოება, რომ გიმნაზიაშივე, კ. გამსახურდია და მისი პატარა თანამზრახველები აარსებენ საიდუმლო ჯგუფს სახელწოდებით – „ცხრა მუხა“. ამ ჯგუფს საკმაოდ მკაფიოდ გამოხატული ანტიმოვიზისტური განწყობილება ჰქონდა.

თვითმპყრობელობის წინააღმდეგ აშკარა საქმიანობისათვის (პროკლამაციების დაბეჭდვა და გავრცელება, რეაქციონერი მასწავლებლის ცემა, საიდუმლო კრებები...) ჟანდარმერიამ „ცხამუხელები“ დააპატიმრა და იოსებ ოცხელი რომ არ გადაფარებოდა ახალბედა მემბოხეებს, ვინ იცის, როგორ წარიმართებოდა მათი ბედი.

1912 წელს კ. გამსახურდიამ ფრიალებზე დაამთავრა ქუთაისის კლასიკური გიმნაზია, ქალაქის გამგეობისაგან გაინაღდა ილია ჭავჭავაძის სახელობის სტიპენდია და კიტა აბაშიძის სარეკომენდაციო წერილით ხელში პეტერბურგის გრძელ გზას დაადგა. იმ წერილში ცნობილი ქართველი კრიტიკოსი თხოვდა პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორ ნიკო მარს ნიჭიერი ყმანვილისადმი ყურადღება და მზრუნველობა გამოეჩინა.

კ. გამსახურდია პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის სტუდენტი გახდა, მაგრამ მალე

იძულებული შეიქნა დაეტოვებინა უნივერსიტეტი. უნივერსიტეტიდან წასვლის მიზეზი ამ სასწავლებლის მესვეურთა უმეტესობის აშკარად ნაციონალისტური განწყობილება და მცირე ერის წარმომადგენელთა მიმართ შოვინისტური ქედმაღლობა იყო, ხოლო საბაბი ნიკო მარის მიერ ერთ-ერთ სემინარზე ილია ჭავჭავაძის უპატივცემულოდ მოხსენიება.

კენიგბერგის, ლაიპციგისა და მიუნხენის უნივერსიტეტებში სხვადასხვა დროს ეუფლება კ. გამსახურდია ევროპულ ლიტერატურას და ფილოსოფიას, მიუნხენში ეცნობა და უახლოვდება იგი თომას მანს. მიუნხენის გაზეთებში აქვეყნებს წერილებსა და თარგმანებს. პირველი მსოფლიო ომის დაწყებისთანავე კ. გამსახურდიას რუსეთის ჯაშუშად მიიჩნევენ და აპატიმრებენ. თომას მანის მეცადინეობით ათავისუფლებენ მომავალ მწერალს ტრანუშტიანის საპყრობილედან.

ბოლოს კ. გამსახურდიას ბერლინში ვხვდავთ. 1919 წელს მან დაამთავრა ბერლინის უნივერსიტეტის ფილოსოფიური ფაკულტეტი და იტალიაში გაემგზავრა. იტალია, შვეიცარია, ინგლისი, საფრანგეთი, სკანდინავიის ქვეყნები... ასე ვრცელი და მასშტაბური გახლავთ კ. გამსახურდიას სწავლის გეოგრაფიული გარემო.

ენციკლოპედიურად განსწავლული, იმდროის ევროპის მონინავე სულისკვეთებას ზიარებული, უცხო ენების ცოდნით აღჭურვილი კ. გამსახურდია 1919 წელს საქართველოში ჩამოდის და მაშინვე აქტიურად ებმება ლიტერატურულ ცხოვრებაში.

1919 წელსვე აარსებს ჟურნალ „პრომეთეს“, 1922 წელს გამოსცემს „ალიონს“, ამავე პერიოდში რედაქტორობს გაზეთებს: „საქართველოს სამრეკლოს“, „ქართულ სიტყვას“, (1923), „ლომისს“ (1922).

1922-1927 წლებში სათავეში უდგას „აკადემიურ ასოციაციას“. ამ ასოციაციით კ. გამსახურდიამ შეძლო ქართული ლიტერატურის დემოკრატიული ტრადიციებისათვის ბრძოლის დროშის ქვეშ გაერთიანებინა ისეთი პირველხარისხოვანი მწერლები, როგორიც იყვნენ: ა. აბაშელი, შ. დადიანი, ლ. ქიაჩელი, ს. შანშიაშვილი, ნ. ლორთქიფანიძე, კ. მაყაშვილი, კ. ჭიჭინაძე, პ. ინგოროყვა, ი. გრიშაშვილი, ხ. ვარდოშვილი, ი. მჭედლიშვილი, ა. ჭუმბაძე...

1944 წელს კ. გამსახურდია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად აირჩიეს, ხოლო 1965 წელს მას მიენიჭა რუსთაველის პრემია ტეტრალოგისათვის „დავით აღმაშენებელი“.

კ. გამსახურდიას რომანები თარგმნილია რუსულ, უკრაინულ, ბელორუსულ, ლიტვურ, ლატვურ, ესტონურ, უზბეკურ, ტაჯიკურ, ფრანგულ, გერმანულ, ინგლისურ, რუმინულ, ჩეხურ და სხვა ენებზე.

უკანასკნელ წლებში, მიუხედავად მწერლის ავადმყოფობისა, კ. გამსახურდიას „კოლხურ კომპი“, მის სამუშაო კაბინეტში ღამ-ღამობით კვლავ კიაფობდა სინათლე. ღვანლმოსილი მწერალი ახალ ისტორიულ რომანზე – „თამარზე“ მუშაობდა.

იგი კვლავ ჩვეულ ენერგიით იღვწოდა საზოგადო სარბიელზე. იყო სხვადასხვა გამომცემლობათა სამხატვრო საბჭოებისა და ჟურნალ-გაზეთების რედაქტორების წევრი. მწერალთა კავშირის პრეზიდენტის წევრი. რჩევა-დარიგებითა და გზის დალოცვით ხელს უმართავდა ახალგაზრდა მწერლებს.

„დიდოსტატის მარჯვენის“ ავტორი თავის უახლოეს მეგობართა შორის ასახელებდა გიორგი ნიკოლაძეს, კონსტანტინე ჭიჭინაძეს, ივანე ჯავახიშვილს, ჯვებე იოსელიანს, აკაკი შანიძეს, გრიგოლ წერეთელს, კორნელი კეკელიძეს, ანდრია რაზმაძეს, ქრისტეფორე რაჭველიშვილს, გალაკტიონ ტაბიძეს, პაატა გუგუშვილს, ალექსანდრე აბაშელს, ირაკლი აბაშიძეს, აკაკი განერელიას, პავლე ინგოროყვას, სერგი ჭილაიას, გიორგი ნატროშვილს, ბესარიონ ჟღენტს და ელგუჯა მალრაძეს.

1973 წელს კ. გამსახურდიას ქართველმა ხალხმა დიდი ზეიმით გადაუხადა დაბადების 80 წლის იუბილე.

1975 წლის 17 ივლისს შეწყდა დიდი ქართველი მწერლის მარჯვისცემა. მადლიერმა ქართველმა ხალხმა კონსტანტინე გამსახურდია მისი ანდერძისამებრ დიდის პატივით დაკრძალა გალის ქუჩაზე მდებარე მწერლის საცხოვრებელი სახლის – „კოლხური კომპის“ ეზოში.

\*\*\*

ევროპიდან კონსტანტინე გამსახურდიას ფართო განათლებასთან ერთად იმდროინდელი მოდური სკოლების ლიტერატურული გავლენები ჩამოჰყვა. განსაკუთრებით განიცდიდა იგი ექსპრესიონიზმის გავლენას. ექსპრესიონიზმი სხვა დეკადენტურ მიმდინარეობათაგან განსხვავებით ცხოვრებასთან აქტიურ დამოკიდებულებას ქადაგებდა და თავისი კოსმიურობითა და რელიგიურ ფანატიზმთან კავშირით უფრო უახლოვდებოდა კ. გამსახურდიას ახალგაზრდულ ტემპერამენტს და იმდროინდელ განწყობილებას.

სწორედ ამ პოზიციიდან „მკვდართან შეხვედრის“ ავტორმა 1922 წელს დაწერილი წერილით „იმპრესიონიზმი თუ ექსპრესიონიზმი“ („ლომისი“, №1, 1922) სხვა დეკადენტურ მიმდინარეობებს (იმპრესიონიზმს, სიმბოლიზმს) ბრძოლა გამოუცხადა.

მართალია, კ. გამსახურდია, როგორც ყველა დიდი მწერალი, ვერ ეტეოდა რომელიმე მოდური სკოლის ჩარჩოებში, მისთვის იმთავითვე ვინაო აღმოჩნდა ექსპრესიონიზმის პროკრუსტეს სარეცელიც, მაგრამ მას, ვინც ხელალებით უარყოფს კ. გამსახურდიას მონაწილეობას ოციანი წლების ლიტერატურულ დაჯგუფებებში და მწერლის მრავალფეროვან ქმნილებებში უცხოურ გავლენათა კვალს ვერ ხედავს, თვით მწერლისავე სიტყვებს მოვაგონებთ:

„განსწავლისა და მოგზაურობათა წლებში მე არ დამკლებია ბერგსონის, ედუარდ ჰარტმანის, არტურ შოპენჰაუერის, სევდენბორგის, შტაინერის და კირკეგოს ზეგავლენანი.

უფრო მეტს ვიტყვოდი, განსაზღვრულ პერიოდებში ანგელუს სილეზიუსს, სუზოს და ფრანჩესკო ასიზელის სუნთქვაც მომწვდენია, იმავე წლებში გატაცებული ვყოფილვარ ჩინური, არაბული და ინდური ფილოსოფიის შედეგებითაც.

ისიც ცხადია, ვინც სიჭაბუკეში არავის დამონაფებია, მას სიბერეში არავის ოსტატობა არ შესძლებია“.\*

ამ ამონაწერიდანაც ნათლად ჩანს, რომ კ. გამსახურდიასათვის დეკადენტობა ერთი ეტაპი იყო მისი შემოქმედებითი ძიებების გრძელ გზაზე, მაგრამ მოდურ ლიტერატურულ გავლენას მთლიანად როდი დაუპყრია ახალგაზრდა მწერლის მაძიებელი გონება, მაშინაც კი იგი ეჭვის თვალთ შესცქეროდა ცხოვრებისაგან განდგომის მქადაგებელ დეკადენტურ მოძღვრებებს და ჩინურ, არაბულ, ინდურ ფილოსოფიაში ეძებდა ჭეშმარიტების ამოხსნის საიდუმლოს, თუ ამას დაუშვებთ იმთავითვე მწერლის წინაშე მდგარ ეროვნულ პრობლემებს და ძვალ-რბილში გამჯდარ ტრადიციებს ქართული მწერლობისას, ამაოდ დაუწყებთ ძებნას კ. გამსახურდიას იმდროინდელ შემოქმედებაში წმინდა სახის ექსპრესიონიზმს. ეს უკანასკნელი სხვადასხვა მსოფლმხედველობრივი მინარევებით გამდიდრებული, მაგრამ მაინც გვხვდება კ. გამსახურდიას ადრინდელ ლექსებსა და ნოველებში.

კ. გამსახურდიამ ლიტერატურაში ლექსებით შემოგვა ფეხი. ათიანი წლების მრუმე, ფილისტური ევროპა. ხელმოკლეობით და

ნოსტალგიით გაღიზიანებული ფილოსოფიის ახალგაზრდა დოქტორი. გერმანიის მკაცრი სინამდვილე პოეტის ჭაბუკურ ილუზიებს ერთბაშად ამსხვრევს. ახალგაზრდა ლირიკოსის ნერვებს სიმებივით ათამაშებს მიუსაფარობის საშიში მერმისი. გარეთ სიბნელეა და საოსწარკვეთა. ფანჯრებზე მათხოვრის ხალათგადაცმული ბოროტი ბებერივით აკაკუნებს ნოემბრის ქარი. ეს ყველაფერი სევდიანი მისტიკის იმპულსად იქცევა კ. გამსახურდიას ადრეულ ლექსებში. პოეტის ევროპული დღიურები მისი შემფოთებული განწყობილების ანარეკლია მხოლოდ და არა ლიტერატურული რემინისცენციებით კეკლუცობა. მისტიციზმის ლანდებთან ლაციცი კ. გამსახურდიასათვის მწარე სინამდვილით გამონვეული დროებითი მოვლენაა და მის ჯანსაღ სულს დიდხანს არ შერჩება. ჰარმონიისა და სულიერი სითბოს ძებნამ „მარია სტელლას“ ღვთიურ ჰანგებს გამოდევნებული პოეტი ღვთაების საკურთხეველთანაც მიიყვანა.

დავეძებ ღვთიურ ჰარმონიას, ჰანგად დარხეულს,  
დავეძებ ტაძარს ღვთაებისას და ვითხოვ შევლას!  
წავალ ვემთხვევი მაცხოვარის წამებულ სხეულს,  
და მუხლმოდრეკით მეც ვიმღერებ „მარია სტელლას“

#### („მარია სტელლა“)

სწორედ ამ სტრიქონებში ჩანს კ. გამსახურდიას ექსპრესიონისტული გატაცება, მაგრამ მარტოობის „დემონური სილუეტები“ და „მარია სტელლას“ ღვთაებრივი მელოდიები მალე იფანტება პოეტის სულის შინაგანი ამბოხებით.

...ამ ჩემს ბობოქარ სულს ველარ იტევს,  
ჩემი რხეული, ძველი სხეული.  
მოველ სატანავ, კიდე შემრჩა მე სითამამე,  
მოველ სატანავ, გამოვსწორდეთ თუ გინდა ხმალში.

#### („მოველ სატანავ“)

განსწავლის პერიოდში მყოფი ახალგაზრდა მგოსნის სულიერი პერიპეტეები – ქართული ნაციონალური ბუნების დასავლურ მისტიკურ ატმოსფეროსთან დაჯახებით გამოწვეული, დამოუკიდე-

\* კ. გამსახურდია, რვატომეული, ტ.VIII, 1967, გვ. 892.

ბელი საქართველოს ნატვრა, ლიტერატურული მოდით გატაცება და „ვერჰარნების“, გრაფ ცეპელინების თუ „რემანების“ თვით-მიზნური ხსენება, ოდნავ სასონარკვეთილი და გაბრაზებული ლირიკული გმირი, უცხო სიტყვებითა და გამოთქმებით კეკლუცობა და პირველად მომჩინის მრავლისაღმქმელი პოზა, ლექსის რომანტიკული ხასიათი და რომანტიკოსებისთვისვე დამახასიათებელი არქაული ლექსიკური მარაგი – ზოგადად ასე შეიძლება კ. გამსახურდიას ადრეული ლექსების დახასიათება.

დაეხატა მტკვარს მკერდზე საფირონის ციონი,  
„მოკვდა ბაგრატიონი, მოკვდა ბაგრატიონი“,  
აგუგუნდნენ ზარები, აქვითინდა სიონი.

### („ტფილისური საღამო“)

ეს სტრიქონები 1917 წლის ოქტომბერში დაინერა. ამ ლექსის დაწერის დროს კომენტარები არ სჭირდება. როცა რევოლუციის ქარიშხალი ქვეყანას აზანზარებს და მსოფლიო ახალი, ჯერ გამოუცნობი მოლოდინით არის აღსავსე, ახალგაზრდა ქართველი პოეტი გუშინ პეტერბურგში მარის ლექციებს რომ ისმენდა და ახლა ბერლინის მწვანე შტრასეებზე ათენ-ალამებს, ზის თავის სტუდენტურ მაგიდასთან და თითქოს რევოლუციურ ხმებს გამოექცაო, ნაციონალური სევდით ჩურჩულებს: „მოკვდა ბაგრატიონი, მოკვდა ბაგრატიონი“. რა მოტივები ასაზრდოებენ ამ ლექსის ნაღვლიან განწყობილებას, რატომ ჩაესმის ახალგაზრდა პოეტს სიონის ზარების ხმაში სასონარკვეთილი „მოკვდა ბაგრატიონი?“ დღეს ადვილია იმ დღეთა ცივი გონებით განსჯა, მაგრამ, ალბათ, კ. გამსახურდიას ამ ერთ-ერთი პირველი ლექსის დაწერიდან უნდა გასულიყო დიდი დრო, რომ მწერლის აზროვნებაში „მთვარის მოტაცების“ ფილოსოფია მომნიშვნეულიყო. დიდი ილიას ტრადიციებზე დაფუძნებული მისი ლიტერატურულ-ფილოსოფიური პროფილი, ალბათ, სწორედ ასეთი უნდა ყოფილიყო და ახალგაზრდა მგოსნის მოქალაქეობრივი სისპეტაკის დასტურია სწორედ ის, რომ იგი ასეთი იყო, რომ იგი არ ტყუოდა და გუნდრუქს არ უკმევდა მისთვის მანამდე განუცდელ სოციალურ და პოლიტიკურ ჭეშმარიტებებს.

კ. გამსახურდიას პოეტურ სულს, მის განწყობილებას მოერგო მეოცე საუკუნის დასაწყისის ევროპულ ლიტერატურაში გამეფებული მისტიციზმისა და მარტოობის მოტივები, მაგრამ ამ დამთხვევას ახალგაზრდა პოეტი ეპიგონთა რიგებისათვის არ მიუმატე-

ბია. დააბიჯებს ქვეყნად ყარიბი ახალგაზრდა – კ. გამსახურდიას ადრეული ლექსების ლირიკული გმირი, საყვლოანეული ემიგრანტის ჯიუტ თვალებსა და მოხრილ ბეჭებში შეუცნობელის შეცნობის დაუოკებელი წყურვილი იგრძნობა. მან იცის, რომ „კაცთა მოდგმა გულმაღიწყია“ და „სახელისათვის მათხოვრობას“ არ აპირებს. იგი მოვიდა ამქვეყნად თავისი პატარა სამყაროთი და სურს სწრაფადვე განვლოს სოფელი „ვით მძინარ ტყეში შუალამის მატარებლმა“.

კ. გამსახურდიას ადრეული ლექსების ლირიკულმა გმირმა მშვენივრად იცის, რომ ისტორიის დიდი ჟამთაცვლა მოახლოვდა, რომ მეოცე საუკუნემ უმძლავრესი ქშენით დაიწყო ცხოვრება და შეხედულებათა საოცარი გადაფასების ამ უსაშველო ორომტრიალში სადღაც, რევოლუციის სისხლით მორწყულ ქუჩაზე „ფეხშიშველი და განუკითხავი უფალი მოდის“. და საბოლოოდ ყველაფერი უნდა დაცხრეს, უნდა დამშვიდდეს. ამბობებთა გრიგალი ჩადგეს და ახალგაზრდა მგოსნის განსწავლის ბობოქარ პერიოდს დასასრული მოეძებნოს. გზა სამშობლოსაკენ – ერთადერთი გზაა. შორს, ლურჯი ცის კაბადონზე მშობლიური სანახები ირეკლება – „ისლის სახლი, ისლის სახლი, ქარი! ქარი! ქარი“.

კ. გამსახურდიას ლირიკული გმირი ამ დროს გაფართოებული თვალებით შესცქერის ატორტმანებულ სამყაროს და ცდილობს მის წინაშე წამოჭლილ უამრავ კითხვას ახსნა მოუძებნოს. იგი იმ დღეთა პოეტია, როცა „რევოლუციის აღვირახსნილი დაჰქროლავს რაში“ („პარიზი, 1919 წ.“). მან იცის, რომ ევროპის მთვლემარე სინამდვილეზეც მალე გადაივლის „ამბოხების პირქუში მდევი“, რათა ადამიანთა მიერ თვით ადამიანებისვე დასათრგუნავად გამოგონილი „კანონები ფეხქვეშ გათელოს“.

პოეტის იმდროინდელი განწყობილების საილუსტრაციოდ საინტერესოა 1918 წელს დაწერილი ლექსი „ბერლინი“. ეს ლექსი დიდი ქალაქის ხასიათის შექმნის ერთ-ერთი პირველი ცდაა ჩვენს პოეზიაში და კ. გამსახურდიას დემოკრატიული ორიენტაციის სასიამოვნო დასტურიც არის: შპრეეს ნაპირად უზარმაზარი სინათლის რგოლი ტორტმანობს. ამ რგოლში, როგორც პროფექტორის შუქზე, მთელი ქალაქი იხატება. ბერლინის მაჯისცემის ჯადოსნურ რიტმში „ისმის ხრიალი, ხრაშა-ხრუში, ზარების ჟღერა, ქშენა, ზანზარი, თქარათქური, რბენა, განგამი“ და დედაქალაქის ძილგატეხილ ქუჩებში მისი „ავხორცობის წითელი რაში დაშლიგინებს“. ღამით ბერლინი პოეტის ზღვის წიაღიდან ამოტყორცნილ, სავა-

ლალოდ მქმინავ გველემას აგონებს, დღისით კი იგი ქალაქის „მაცდური ფერიების“ გარდა ბერლინში სხვა რამესაც ხედავს:

შენს ქარხნებს ასდის ოხშივარად ოხვრა მიწისა,  
ვხედავ ჭირნახულს და სადღაა შემქმნელი ხელი,  
კაცუნებს ვხედავ პირშებურვილთ ტყვიისფერ მასკით.

ტყვიისფერ „მასკებში“ გამონყობილ ადამიანთა ნებას „უხილავი დისკო“ მართავს. ადამიანი გაუთელავს არსებობისათვის ბრძოლის მომქანცველობას, იგი „ყვითელი ეშმაკის“ და „ციფერბლატის მონად ქცეულა“.

მოზრაობს დისკო უხილავის და შეუცნობის,  
მილიონები ერთის ნების გამომხატველნი.  
მუნჯი მსახურნი ვილაც კუმტის, ვილაც უცნობის,  
აქ უფლის ნაცვლად ელექტრობას ევედრებიან.

ყვითელ ლითონსა შეუცვლია მაცხოვრის ხატი.  
მილიონები თვალის ფშვნეგით ფეხზე დგებიან,  
აქ ისარია მბრძანებელი და ციფერბლატი.

სამყაროს გარდაქმნის ჟამის მოახლოების წინათგრძნობა პოეტს ამ პერიოდში დაწერილ სხვა ლექსებშიც არ ტოვებს:

ჰკრთოდეთ,  
მაღალო,  
თვალშეუდგამო  
სასახლეებო,  
ჰოტელებო,  
ღამის ბარებო! –

მიმართავს იგი ჩვენი საუკუნის დასაწყისის პარიზს და უწინასწარმეტყველებს:

ვისაც ოცნებით ზრდიდნენ მონები,  
მოველინება მსოფლიოს ცხადად  
ახალი მოდგმა ადამის ტომის  
მაღალ ღვთაებას უმღერს ოსანას.

ასეთი იყო პოეტი კონსტანტინე გამსახურდია. მიუხედავად ექსპრესიონიზმის მოტივებითა და ფორმალისტური ძიებებით გატაცებისა, მისი პოეტური შემოქმედება შორს იყო წმინდა ესთეტიკის თითის წოვისა და უკიდურესად დეკანდენტური განწყობილებისაგან.

ექსპრესიონიზმით გატაცება განსაკუთრებით საგრძნობია კ. გამსახურდიას ადრეულ ნოველებში: „მკვდართან შეხვედრა“, „ტაბუ“, „ლილ“, „პორცელანი“, „კლარა“, „ფოტოგრაფი“, „საათები“ და სხვ.

**„მკვდართან შეხვედრაში“** დაუპირისპირდა ერთმანეთს პირველად ქართული კლასიკური მწერლობის მაგალითებით ნასაზრდოები მწერლის რეალისტური ტენდენციები და ლიტერატურული მოდის ძლიერი სიმპტომები. უკანასკნელმა დროებით გაიმარჯვა.

ბერლინის მახლობელ ტყეში, საღამო ხანს, სასაიროდ გასული ახალგაზრდა მკვდარს წააწყდა. შემზარავმა სურათმა და თავზარდამცემი აქტის სრულიად მოულოდნელმა სინამდვილემ მხილველი დააბნია. მას ძალა აღარ ეყო მიცვალებული ხიდან ჩამოეხსნა. სირბილით შინ მობრუნებულმა თავის ოთახში იგრძნო სინდისის ქენჯნა. იგრძნო, რომ მანაც დანაშაული ჩაიდინა მკვდრის წინაშე. როგორც მკითხველი შეამჩნევს, ამ ნოველის ფაბულაში ულტრადეკანდენტური არაფერია. ექსპრესიონისტული შეფასება მოვლენისა მხოლოდ ნოველის ფინალში ხდება საცნაური: „თვალს ვახელ და ორი სინათლისაგან დაცლილი თვალი შემომცქერის საყვედურით: სასთუმალი, საბანი, საგები ყველაფერი ცხელია. ჩამოვდივარ ლოგინიდან და ცივ იატაკზე გართხმული ვისვენებ, როგორ მიამა სიგრილე! ასე უნდოდა ამ კაცსაც, ძირს ჩამომელო და მომესვენებინა.“

ფუი შენს კაცობას, შე მშიშარა, შე მშიშარა!..

ვნევარ პირაღმა იატაკზე და ვფიქრობ: ჩვენ ყველანი საგნების თოკზე ვკიდევართ დღე და ღამ და გამველ-გამომვლელს ველრიჯებით: „ძირს ჩამომილე, დამასვენე, შე ქრისტიანო“.

როცა ეს ნოველა იწერებოდა, სწორედ იმ ხანებში გერმანული ექსპრესიონიზმი თავის თეორიულ სისტემას აყალიბებდა. სწორედ მაშინ ქვეყნდებოდა ლიტერატურულ პერიოდიკაში ადამიანის არარაობის, გარეშე საგნებსა და მოვლენებზე მისი სამარდჟამოდ მიჯაჭვულობის, ადამიანის გაუტანლობის, ახალი ღმერთის შექმნის საჭიროების და სხვა ექსპრესიონისტული „გაბედულების“ აღმნუსხველი მასალები. „მკვდართან შეხვედრა“ ამ განწყობილების უშუალო ანარეკლია.



რეალისტური სინამდვილის ჩვენებისაგან ხელოვნების განთავისუფლების ტენდენცია გამოკვეთილად „პორცელანში“ გვხვდება. ერთ-ერთ მასკარადზე ნოველის გმირმა გაიცნო მაღამ როსტრუპი. მალე ახალნაცნობებს შორის მეგობრული ურთიერთობა დამყარდა. კაცს, როსტრუპის ოჯახში, სხვათა შორის, ჩინური ჩაის ჭურჭელი „პორცელანი“ იზიდავდა. ერთ მშვენიერ დღეს სტუმარს ჩაის სხვა ჭურჭლით გაუმასპინძლდნენ, ხოლო თავაზიანმა მასპინძელმა აცნობა, რომ პორცელანი ერთ ამერიკელ ჟურნალისტს მიჰყიდა ნიუ-იორკის ერთ-ერთი მუზეუმისათვის.

იმ დღიდან ნოველის გმირს იმ ოჯახში ფეხი არ დაუდგამს.

პორცელანის დაკარგვით განწყდა ჯაჭვი, რომელიც მას როსტრუპების ოჯახთან აკავშირებდა.

ამ სევდიან ნოველაში ავტორის პოზიცია გამჟღავნებულია მაღამ როსტრუპთან დიალოგში და პორცელანის ჭურჭელთან გმირის არქაიზებული მიმართებაში.

„ჩვენი სინამდვილე მტკნარი სიცრუე ყოფილა მეთქი. კიდეც ყოფილა მეორე სინამდვილე. ხელოვნება კი მესამე სინამდვილეა მხატვრის მიკროსკოპში დანახული. ამ შეგნებამდის ამ ათიოდე წლის წინათ მივედი და ირაციონალის ფერების შეხამება დავინყე. მაშინ სად იყვნენ ექსპრესიონისტები? მე მათდა დამოუკიდებლად მივაგენი რაციონალურ ექსპრესიონიზმს“ – ამბობს მაღამ როსტრუპი და მისი მოსაზრება თანამოსაუბრის მხრიდან არავითარ ეჭვს არ იწვევს. ამ „ჰიპოთეზას“ სალი ესთეტიური აზრი არ უპირისპირდება.

არსებული სინამდვილე არ აკმაყოფილებს ნოველის გმირს („შენც ფეხი შესდგი, მეგობარო, უკულტურობის მოლიპულ გზაზე... ქალაქის ნაგლეჯებით მოფენილ გზაზე...“), მაგრამ არც პორცელანის „აკადემიური“ დროის დაბრუნებისთვის ბრძოლის ძალი შესწევს. პორცელანი მისთვის ხელოვნების უნიკალური ქმნილებაა და წარსულთან დამოკიდებულების დამსხვრეული ჰარმონია. რაც შეეხება ამ ძვირფასი ჭურჭლის სამუზეუმო ექსპონატად ქცევას, ავტორს ამაზეც ოპოზიციური თვალსაზრისი აქვს: „ჰმ, მუზეუმი!

მუზეუმი სხვა რაღაა, თუ არა უშველებელი სასაფლაო, სადაც ყოველი ერი თავის გრძნობებს ჰმარხავს... საფლავი მიცვალებულ გრძნობათა, დრომოჭმულ ფერადებისა და რითმებისა“.

თუ გავიხსენებთ დეკადენტურ სკოლათა იმდროინდელ ახირებულ ლოზუნგებს („ცეცხლი მუზეუმებს და ბიბლიოთეკებს“), ად-

ვილად დავრწმუნდებით, რომ კ. გამსახურდიას ადრეულ ნოველებში დეკადენტურ-ექსპრესიონისტული სიო დაჰქრის.

„ფოტოგრაფი“ (1919 წ.) სამშობლოდან გადახვენილი ხელოვანის მოსაწყენ ცხოვრებაზე გვიამბობს. დაეხეტება პარიზში ფოტოგრაფი, მისი სურველი, შექმნას სურათი, რომელიც დროს შეაჩერებს, უფრო ზუსტად ეპოქის ფოტოგრაფიული ასლი იქნება, სურვილადვე რჩება, რადგანაც თავბრუდამხვევი დროის შეჩერება არავის ძალუძს. ფოტოგრაფს სევდა მორევია. იგი ზედმეტი კაცია ამ მატყუარა ქალაქში. „ფოტოგრაფმა ვერსად ადგილი ვერ იშოვა, ისევ ქუჩას მიაშურა“.

მოზიემ ხალხის ტალღა ბარებისა და რესტორნების კარებს აწყდება, ფოტოგრაფმა რამდენიმე რესტორანში შეუხვია, ვერსად ადგილი ვერ იშოვა. ისევ ქუჩას გაჰყვა, ბოლოს მელანქოლით შეპყრობილი, ავი ზმანებებით და უძილობით განამებული ფოტოგრაფი თავის სოფელში ჩადის, მაგრამ სანუგეშოს იქაც ვერას პოვებს. სოფლად ღმერთდაკარგული ჩოხოსნები (ერთმა მათგანმა ხატს რევოლვერი ესროლა), ციებიანი ბავშვები და სიძვის ისტერიით შეპყრობილი დიაცები მომრავლებულან. ფოტოგრაფს იმედის პატარა ნაპერწკლებიც ჩაუქრა, „ელექტრონი“ ჩააქრო, სამარესავით ცივ ლოგინში ჩაწვა, „ქვეყანა შემძულდა“, ამბობდა იგი ხმა-მაღალი ფიქრით.

ექსპრესიონიზმისადმი ერთგულებით დაწერილ ამ ნოველას სიკვდილისა და უიმედობის ლაიტმოტივად გასდევდ მაგიური „შავი ფრინველის“ აჩრდილი, რომელიც ხან ფოტოაპარატზე ჩამოჯდება, ხან დასაღუპავად განწირული გემის ანძაზე და ხან რადიოტელეგრაფის მავთულზე ნამოსკუპული ფოტოგრაფს ავის-მომასწავებელი ყრანტალით თავს აბეზრებს. „ქვეყანა“ სურათის გადაღებად არა ღირს!“ შავი ფრინველის ეს სასონარკვეთილი ჩხავილი გახლავთ სწორედ ამ ნოველის დედააზრი. ძნელი შესამჩნევი როდია, რომ აქ ყველაფერი, ჩანაფიქრიდან მოყოლებული თვით წერის მანერამდე, ექსპრესიონისტული განწყობილების ანარეკლია და „ლიტერატურული მოდი“ ახალგაზრდა მწერლის გატაცების თვალსაჩინო დასტური გახლავთ. თუმცა ამ მოთხრობაშიც აქა-იქ შეინიშნება ეროვნული კოლორიტით ნასაზრდოები მხატვრული აზროვნება, მაგ., როდესაც პარიზის ქუჩას აღწერს, რეკლამების ფეიერვერკს და დიდი ქალაქის ღრიანცელს გვიხატავს, უეცრად „ჩაუვარდება ფეხი“ მშობლიურ ნიადაგში, „პოლიციელები ისევე

დადიოდნენ ავტომობილებში, როგორც იოანე ზედაზნელი მხეცთა შორის“.

ექსპრესიონიზმით კ. გამსახურდიას გატაცების ერთ პერიოდს ნერტილს უსვამს „ლილ“. ამ ნოველაში მხატვრული პირობითობის და ხაზგასმული სიმბოლოზობის ადგილს გაშიშვლებული სახეობრიობა და შესამჩნევი ნატურალიზმის იჭერს. ნოველის სიუჟეტი ასეთი გახლავთ: ახალგაზრდა პაციენტს მოეწონა და შემდეგ შეუყვარდა კიდეც ექიმ შარუხიას ულამაზესი მეუღლე ლილ. ვინ იცის, რით დამთავრდებოდა მეოცნებე პაციენტის რომანი და მისი ხშირი ვიზიტები შარუხიას ბინაზე, რომ თვით ექიმს არ გამოეჩინა ინიციატივა. ექიმმა შეყვარებულ ყმანვილს მალულად დაანახვა ზღვაში მობანავე ლილ. ნოველის გმირს თავზარი დასცა იმ გარემოებაში, რომ მისი საყვარელი არსება – ულამაზესი ლილ რახიტიანი აღმოჩნდა. ასე უგემურად (ცოტა არ იყოს უხერხულადაც – რ. მ.) დამთავრდა ეს რომანი.

თავისი მწერლური პოზიციის დადგენისა და შემოქმედებითი ძიების რთულ გზაზე ასეთი ზიგზაგებით მიემართება კ. გამსახურდიას შთაგონება. იგი ერთსა და იმავე პერიოდში ხან ექსპრესიონიზმს უხდის ხარკს და ხან, უნებლიედ, ნატურალიზმის ქაობში ხვდება.

ერთი რამ იმთავითვე ცხადია: ახალგაზრდა მწერალს არ აკმაყოფილებს თავისი შემოქმედებითი პრინციპები, ცხოვრების დანახვის ის მხატვრულ-ფილოსოფიური მოდელი, რომელსაც შემოქმედების ადრეულ ასაკში ეზიარა.

ამ წლებში კ. გამსახურდიას შემოქმედებით ლაბირინთში მესამე გზაც გაილანდა. მწერალმა სცადა თავისი დეკადენტური განწყობილებანი ქართულ ეროვნულ ნიადაგზე გადმოენარგა და მითოლოგიურ-ფოლკლორულ სანყისებზე დაემყნო. ახალგაზრდა ნოველისტის ეს სურვილი განსაკუთრებით „ტაბუში“ გამომჟღავნავდა.

„ტაბუ“ ხარბედიებისა და ბისკაიების საბედისწერო შერკინების ბურუსით მოცულ ამბავს გვიამბობს. სოფელ ნაჭყვედში ბისკაიებმა ხარბედიებს ჩაგვრა დაუნყეს. შენუხდნენ მონის ულელს მიუჩვეველი ხარბედიები, მაგრამ შურისძიება მამაკაცთაგან ვერვინ გაბედა. ბოლოს აისხა იარალი ქალმა – ხვარამზე ხარბედიამ. ბისკაიების დასჯის სურვილით ანთებულმა მან ეშმაკს გაუყო საარეცელი და შვა მორიელი, რომელმაც სიცოცხლეს გამოასალმა

ბისკაიების ბელადი ლომკაცია ბისკაია. მისტიციზმის ბურუსითაა მოცული ამ ნოველის მთელი რიგი პასაჟები. აქ ლეგენდა და სინამდვილე, რეალური და ზღაპრული, ფოლკლორული და მითოლოგიური ერთმანეთშია არეული და აშკარად ჩანს მწერლის მისწრაფება დეკადენტური თვით ფოლკლორისა და რელიგიური ფანატიზმის ნიაღში იპოვოს. ნოველაში ოსტატურადაა ჩართული ხალხური შელოცვები, ცრურწმენათა გამომხატველი სიუჟეტები და მოჩვენებანი. ეს მისტიკური გარსი ნოველას რეალური სამყაროს ჩვეულებრივი მოვლენებისაგან ათავისუფლებს და ირეალურის ბურუსში ახვევს.

ექსპრესიონისტულ-მოდერნისტული ნოველების გვერდით კ. გამსახურდია წერდა რეალისტური ხასიათის ნაწარმოებებსაც. მაგალითად, შეიძლება 1919 წელს დაწერილი ნოველა „კლარა“ დავასახელოთ. ეს არის ნოველის ჟანრული კანონების სრული გათვალისწინებით დაწერილი, ფსიქოლოგიურად უაღრესად დამაჯერებელი ნაწარმოები. „კლარა“ ეხება მოულოდნელი შეხვედრის იმ ძვირფას წუთს, რომელიც ზოგჯერ ჩვენს ცხოვრებაზე წარუშლელ კვალს სტოვებს, თუმცა, შეიძლება არასოდეს აღარ განმეორედეს.

ბერლინის საგარეუბნო მატარებელში ნოველის გმირს შეხვდა კლარა – მომხიბვლელი გერმანელი ქალი. კუპეში მათ გარდა არავინაა. ქალ-ვაჟს შორის ნდობისა და ურთიერთსწრაფვის უხილავი, იდუმალი ძაფი გაიბა. ვაჟი ვერ ბედავს სიტყვის თქმას, ვაითუ ამით დაირღვეს ეს სანეტარო ჰარმონია, დაირღვეს ეს უსიტყვო შეთანხმება (თუ თანაგრძნობა), რაც ყოველგვარ სიტყვაზე ძლიერია.

„იცოდე, კლარა, ეს წამი აღარ მობრუნდება, საკმარისია ახლა შენ ადგე, შემდეგ სადგურზე ჩამოხვიდე და ბრბოში გაერიო, მერმე ვინ იცის, სად გიპოვნი ამ ხუთმილიონიან მასაში“.

ასეც მოხდა, ერთ-ერთ სადგურზე კუპეში უამრავი მგზავრი შემოცვივდა და ნოველის გმირმა მიმავალი კლარას მრგვალ მხრებისთავეს მოჰკრა თვალი. მთელი ნოველის მანძილზე მათ სიტყვაც კი არ უთქვამთ ერთმანეთისათვის, მაგრამ ეს იყო თავისი დრამატულობით სულისშემძვრელი შეხვედრა, დიდი ოსტატობით დახატული მწერლის მიერ.

მაგრამ ამ ზედმინევიანით მართალ ნოველაშიც გაკრთება აქა-იქ კ. გამსახურდიას ექსპრესიონისტული განწყობილებანი. მაგ.:

„ადამიანებს რაღაც ზრდილობის კანონები გამოუგონიათ. თუ ვინმემ არ გაგვაცნო დიდ ქალაქში ქალი, ისე არ შეიძლება მასთან დალაპარაკება, რა იციან ამ შლეგებმა, ეგებ ჩვენი სულები ერთხელაც განუკვეთელი ერთეულები იყვნენ, მირიად საუკუნეების სახეცვლაში ისინი გასთიშა სივრცემ, დრომ და გარდაცვალებამ და ახლა ისევ შევხვდით ერთიმეორეს ამ ბნელ გვირაბში“.

საკმარისია საგარეუბნო მატარებლის ქროლაში წამით ჩათვლიმოს კლარას თანამგზავრმა, რომ მაშინვე ამგვარი ქიმერული აზრები დაესევა: „ლიწინლიწინი გააქვთ გამხმარ შტოებს ცხენის ტორების ჩქამზე და მე იგი აღარა ვარ რაცა ვარ და არც იქა ვარ, სადაც ვარ და მეც ის არა მქვია, რაცა მქვია“.

ეგზოტიკურ ძიებებსა და ნატურალიზმს კ. გამსახურდია „ქალის რძით“ გამოეთხოვა და 1924 წელს გამოაქვეყნა პოეტური ნოველა „ზარები გრიგალში“, რომლითაც სრულიად ახალი ეტაპი დაიწყო მწერლის შემოქმედებაში. ამ ნოველაში, როგორც ფოკუსში, თავი მოიყარა იმ სამაგალითო მხატვრულმა ნიუანსებმა, რამაც შემდგომში გამსახურდიას რომანისტიკაში პოვა განვითარება. ეს გახლავთ, პირველ ყოვლისა, პოეტური პროზა – რომანტიზებული მხატვრული პასაჟები და თხრობის ამლერებულ-ამაღლებული, მეტაფორული მანერა.

„ექსტაზში დაღუპულთათვის“ დაწერილ ამ ნოველაში კ. გამსახურდიამ შეძლო დაეხატა ადამიანი, რომელსაც ძალუძს თუნდაც ერთხელ და საბედისწეროდ აუჯანყდეს თავის თავს, სძლიოს მის არსებაში ჩაბუდებულ მთვლემარე ანგელოსს და გრიგალში მიწვდეს მისი რუტინული ცხოვრების დამანგრეველ ზარებს. ეს ნოველა ერთ-ერთ საუკეთესოა არამარტო კ. გამსახურდიას შემოქმედებაში. იგი ასე იწყება:

„მნათე ოქროპირ მხოლოდ მაშინ მიხვდა, რომ „ქვეყანა გამოიცვალა“, როცა დიდმარხვის ორშაბათს, წმ. ზაქარიას ეკლესიის გუმბათზე ჯვარი ველარ ნახა, ჯვარი აღარ იყო სამრეკლოზედაც“.

მნათე ოქროპირ საჭირო აღარ არის. სამრეკლოზე სდუმან ზარები. ხუცესი შეგუებია ახალ დროს. სოფლის ბოლოში სამიკიტინო გაუხსნია და „ყვითელი ეშმაკისათვის“ მიუყვია სული. ოქროპირ კი სხვა კაცია. იგი ასე ადვილად ვერ შერიგებია „ღმერთის სიკვდილს“. მას აღარ ძალუძს ახალ ღმერთს სცეს თავყვანი. ამიტომაც გულამღვრეული დადის და მელანქოლიას შეუპყრია მისი არსება.

ერთ საღამოს ოქროპირ გამოექცა გაღებულ ნახუცარს, მიაღ-

ნია ეკლესიის ეზოს, სამრეკლოს კიბეზე აფორთხდა და ზარებს მიწვდა.

უაღრესად დამაჯერებელი და ღრმად სიმბოლურია მნათე ოქროპირის ეს ნაბიჯი. თავისი სუსტი ხელებით იგი თავდაუზოგავად რეკავს ზარებს, თითქოს გზასაცდენილ სოფელს წარსულისაკენ მოუხმობს, თითქოს ღრუბლების თავზე მიძინებულ ღმერთს აღვიძებს, რათა მან ერთხელ კიდევ მზრუნველი თვალი მოავლოს თავის სამწყსოს.

მაგრამ განმკითხავი არავინაა.

ზარებს მხოლოდ ქარაშოტი გამოეხმაურა.

„და მთელი ცხოვრება ფიქრობდა ოქროპირ, რა იყო, თუ არა ზღაპარი ხანმოკლე? ზარების ჯარები ფოლადის აბჯარში, მდევერები უშიშო, თავგამეტებულნი მისდევდნენ გრიგალის გაფრენილ მერნებს. მიჰქროდნენ მთვარისკენ ღრუბლების გემები ალისფერ სისხლით გამურულ აფრებით და პირქვე ეკიდა იესო ზეცაში, ღრუბლების ანძაზე, ვით მალი ფოცხვერი სისხლს მოწყურებული. გასდრიკა წელში მძლე გოლიათები, სამრეკლო ტკრცი-ალით შეირყა, გაჰქანდა. ტორტმანით დაეცა მიწაზე“.

სამრეკლო ჩაიქცა და მნათე ოქროპირ დაიღუპა.

ასეთი აღმოჩნდა მნათეს აღსასრული, მაგრამ ექსტაზში დაღუპულ ღვთისმოსავს ნოველის ავტორის ცრემლები იმიტომ ეფრქვევა, რომ მან შეძლო რწმენისთვის თავგანწირვა, იგი აქტიური კაცი აღმოჩნდა. სწორედ ეს სულის სიძლიერე ხიბლავს მკითხველს ოქროპირის სახეში.

„არ ვიცი, სად წაიყვანეს (ანგელოზებმა, რ.მ.) მნათე ოქროპირის საბრალო სული.“

მე ვიტყვოდი: ასწიეთ ადამიანი მალლა, სულ მალლა და დასვით შემოქმედის მარჯვენა მხარეს, რადგან სიბნელეში დაბრმავებულმა ერთხელ მაინც იგრძნო აღტაცება და ექსტაზში დაიღუპა.

მე მიწვდა ვიმღერო ექსტაზში დაღუპულთათვის“.

„ზარები გრიგალში“ წერის მანერის თვალსაზრისით აქა-იქ თუ კიდევ ატარებს ექსპრესიონიზმის დაღს, „ქოსა გახუ“ და „დიდი იოსები“ წმინდა რეალისტური ხასიათის ნაწარმოებებია.

უკვე აღარ სჭირდება მწერალს ნოველის საშენი მასალისთვის დეკადენტური თვალების სრესა, ევროპულ ლიტერატურულ სალონებში, ან წარმართულ ქიმერათა შორის ხეტიალი, ამ ნოველებით კ. გამსახურდია გაბედულად მივიდა ცხოვრების სინამდვილ-

ესთან. ხოლო ამ უკანასკნელმა მწერლის მახვილ თვალს მაშინვე მიანოდა წარუშლელი ხასიათები და რეალური ყოფის დაუვინყარი სურათები.

**ქოსა გახუ,** თავად მანუჩარის ნაშიერი, ფეოდალური წარსულის ერთ-ერთი უკანასკნელი მოჰიკანი, ხეზე ცხოვრობს. გიჟის პერანგი ჩაიცვა გახუმ, რომ თანასოფლელებმა შეიცოდონ და ისტორიის ქარტეხილს, განადგურებას გადაარჩინოს ბატონიშვილთა შთამომავალი, თავისი პირმშო თემრა. თემრა იზრდება. ქოსა გახუ და ნახუცარი იონა დარწმუნებული არიან, რომ ძველი დრო დაბრუნდება და ბატონიშვილის შენახვის დიდი მისია მათ აწევთ კისერზე. ისინი ეფუთში ამაოდ ეძებენ „ბოლშევიკების წასვლის დღეს“, მაგრამ ყველაფერი სხვაგვარად წარიმართა. თემრას მსხლის ტოტი ჩამოუტყდა და დაიღუპა. ქოსა გახუ იმედი დაჰკარგა. მან მოიცილა შეშლილის ნიღაბი და ანგარიში გაასწორა „უკულმართ“ ცხოვრებასთან. ცეცხლს მისცა ხეზე აშენებული ფაცხა, ხოლო თვითონ მდინარეში თავი დაიხრჩო.

ნოველაში **„დიდი იოსები“** დგას ლიტერატურისათვის კარგად ცნობილი, ერთი ზოგადადამიანური პრობლემა – პატარა ადამიანი და სიმდიდრე. ნაჩვენებია უბრალო კაცის სულიერი პერიპეტიები მოულოდნელი გამდიდრების მოლოპულ გზაზე.

დიდი იოსები – რაჭველი მეკურტნე, შემთხვევით ძვირფასი სახლის და ავეჯის მფლობელი გახდა. „დიდი კაცი“ საქართველოს გასაბჭოების დროს მენშევიკურ მთავრობას გაჰყვა და მისი სახლი მეკურტნეს დარჩა.

ნივთებმა შესცვალეს მეკურტნე. იგი, რასაკვირველია, თავის „პროფესიას“ აღარ სწყალობს. ახალი საქმე, ახალი საზრუნავი გაუჩნდა. მაგრამ მალე იოსებს თვითნებურად მითვისებული ბინა ჩამოართვეს და მეეზოვედ გაამწესეს. დიდი იოსები ისევ ქუჩაში აღმოჩნდა, მაგრამ ცოტა ხანს „გამართლებამ“ სამუდამოდ დაამახინჯა მისი სული. იოსები ვეღარ დაუბრუნდა მუშის ალალ ლუკმას. იგი გაბოროტდა, გალოთდა. მერე ვიღაც კონტრაბანდისტ სტუდენტს დაუკავშირდა და ეს კალაპოტიდან ამოვარდნილი, საკუთარი სინდისის მსხვერპლი მანქანამ გასრისა, სწორედ მაშინ, როცა ყალბი ფულით სავსე ჩემოდანი დანიშნულების ადგილზე მიჰქონდა.

კ. გამსახურდიას ნოველების განსაკუთრებული ადგილი თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში იმანაც განაპირობა, რომ

ამ ნოველებით ჩვენს წინაშე წარმოსდგა სრულიად ახალი სტილის, ბრწყინვალე ოსტატობის მქონე მწერალი, რომელმაც თავისი რამდენიმე ნოველით იმდროინდელი მსოფლიოს საზოგადოებრივი ცხოვრების ბევრი ისეთი მხარე მოიცვა, რომელსაც ჩვენში ჯერჯერობით მწერლის კალამი არ შეხებოდა.

ნოველა ქართულ ლიტერატურაში იმ დროს საკმაოდ დიდ პატივში იყო. მაგრამ სამყარო, რომელიც კ. გამსახურდიამ თავისი ნოველებით მოიტანა, არ ჰგავდა შ. არაგვისპირელის, ჭ. ლომთათიძის, ნ. ლორთქიფანიძის და სხვათა მიერ დახატულ ლიტერატურულ გარემოს. ქართველმა მკითხველმა მაშინვე იგრძნო, რომ კ. გამსახურდიას სახით ლიტერატურულ ასპარეზს უაღრესად თვითმყოფადი ნიჭი შეემატა.

ოციან წლებშივე მოჰკიდა ხელი კ. გამსახურდიამ ახალი ეპოქის შესატყვისი, თანამედროვე რომანის შექმნას. ამ უმძიმეს ლიტერატურულ საქმეს შეაღია მან მთელი შემდგომი ლიტერატურული ცხოვრება. ერთიმეორეს მიუმატა უბრწყინვალესი ეპიკური ტილოები, ხოლო, რაც შეეხება ლექსს და ნოველას, ამ უანრებში თავისი შესაძლებლობანი ამოწურულად ჩათვალა და შემდგომ ლექსსა და ნოველას აღარ დაბრუნებია.

1924 წელს კოკნსტანტინე გამსახურდიამ გამოაქვეყნა რომანი **„დიონისოს ღიმილი“**. იგი სრულიად ახალი სიტყვაა ქართულ რომანისტიკაში. მისი ნოვატორული ბუნება შემდეგში მდგომარეობს:

ა) ქართულ რომანში პირველად გამოჩნდა ევროპულად განსწავლული პერსონაჟი, რომლის ფსიქიკას თავისი დროის ფილისტერული ევროპის მოდური ფილოსოფია ასაზრდოებს.

ბ) თუ მანამდე ქართულ ლიტერატურაში პრივილეგიადაკარგული თავადაზნაურობის დეგრადაცია ი. ჭავჭავაძის, დ. კლდიაშვილის, ნ. ლორთქიფანიძისა და სხვათა ოსტატური კალმით გამოიკვეთა და დაიხატა ქართული სინამდვილის პოზიციიდან, თუ კუდაბზიკა აზნაურთა უბადრუკი ცდები თავის გადასარჩენად არ შორდება ქართული ეროვნული ასპარეზის ფარგლებს (ვაჭართა წრესთან დაახლოება, მამულების გაყიდვა-გაგირავება, შრომით საქმიანობაში ჩაბმა, მაჭანკლობით თავის გატანა, ქალაქს გადმოსახლება და სხვ.), გამსახურდიამ თავის გმირს ახალი გზა მოუძებნა – ევროპულ ცივილიზაციას აზიარა.

გ) „დიონისოს ღიმილი“ თემატურ-პრობლემატური მასშტაბებით უაღრესად ორიგინალური ნაწარმოებია. იგი მხარს უსწორებს

ჩვენი საუკუნის დასაწყისში ევროპულ ლიტერატურაში მიმდინარე ძვრებს. დაწერილია შინაგანი მონოლოგის, ცნობიერების ნაკადისა და დედრამატიზაციის ამ ახალი ფორმებით, რაც ლიტერატურის ისტორიაში ჯოის-კაფკა-პრუსტის ნაწარმოებთა პრიორიტეტადაა მიჩნეული.

დ) „დიონისოს ლიმილი“ ნოვატორულია იმითაც, რომ იგი ჩვენს ლიტერატურაში პირველი ცდაა რომანის ჟანრულ სისტემაში რეალისტური და მოდერნისტული პრინციპების (ეს განსაკუთრებით ავტორის თხრობის მანერას ემჩნევა) გაერთიანებისა. ბუნებრივიცაა, ეს რომანი დაწერილია მაშინ, როდესაც კ. გამსახურდია – ექსპრესიონისტს ცვლიდა კ. გამსახურდია – რეალისტი და ცხოვრების სინამდვილის უტყუარი სურათები უფრო და უფრო ღრმად მკვიდრდებოდა მწერლის შემოქმედებაში.

„დიონისოს ლიმილის“ ჟანრის შესახებ ერთგან თვით ავტორი შენიშნავს: „დიონისოს ლიმილით მე მოვძებნე სინთეზური გეზი ევროპულსა და სპარსულ სამიჯნურო რომანს შორის“. სპარსული სამიჯნურო რომანის ელემენტებად მწერალი იმ სენტიმენტალურ რომანულ ეპიზოდებს მიიჩნევს, არცთუ იშვიათად რომ გვხვდება კონსტანტინე სავარსამიძის არეულ ცხოვრებაში, ხოლო ევროპული რომანის ნიშნებად ნაწილობრივ ნაწარმოებში მიმობნეულ ცალკეულ ექსპრესიონისტულ სურათებსაც გულისხმობს, მაგრამ თავის დროზე სალიტერატურო კრიტიკამ ყურადღება არ მიაქცია „დიონისოს ლიმილის“ ორ უაღრესად საყურადღებო ჟანრულ ნიშანს. პირველი ის გახლავთ, რომ „დიონისოს ლიმილში“ პრინციპად იქცა მწერლის სტილის ის შესანიშნავი თვისება, რაც მის ნოველებში კრთოდა და რაც, პირობითად, პოეტური პროზის სახელით შეიძლება მოინათლოს. გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ მეოცე საუკუნის ქართულ ლიტერატურაში პოეტური პროზის ნიმუშები პირველად კ. გამსახურდიასთან გვხვდება.

იმდროინდელი სალიტერატურო კრიტიკის მიერ სათანადოდ გაუშიფრავი მეორე ჟანრული ღირსება ამ რომანისა ისაა, რომ ავტორის პოზიციით, ცხოვრების ლოგიკის გამოხატვით „დიონისოს ლიმილი“ უაღრესად რეალისტური ნაწარმოებია. რომანის თვალმისაცემმა ფორმალურმა ექსპერიმენტებმა მკითხველთა ერთ ჯგუფს იმგვარი წარმოდგენა შეუქმნა, თითქოს კონსტანტინე სავარსამიძე ხელოვნური, მოგონილი, ლიტერატურული რემინისცენციებით ნასაზრდოები სახე იყო და ქართულ სინამდვილესთან

ცოტა რამ ჰქონდა საერთო. ფაქტიურად კი მწერალმა „დიონისოს ლიმილში“ დაგვიხატა ჩვენი თავადაზნაურობის ერთ-ერთი უკანასკნელი მოჰიკანის უაღრესად კოლორიტული სახე“, რომლის ფსიქიკაც, ნასაზრდოები საუკუნის კლასობრივი ტენდენციებით და შეფერადებული ევროპული განსწავლულობით, ვერ შეჰგუებია საქართველოს ახალ სინამდვილეს. სავარსამიძის მელანქოლიას უაღრესად მართალი სოციალურ-ფსიქოლოგიური მოტივები ასაზრდოებს. მაშინ, როცა მის სამშობლოში „რევოლუციის დაჰქროდა რაში“ (გალაკტიონი), სავარსამიძე, ევროპული „ინტელექტუალიზმის“ მყუდრო ყურეებს ეძებდა. ახალგაზრდა ინტელიგენტის მადიებელმა სულმა ვერ პოვა შვება უცხო მხარეში და თავის ქვეყანას მოაშურა, მაგრამ სამშობლო განითლებული და დაპყრობილი აღმოჩნდა. კრახი გარდაუვალი იყო და კონსტანტინე სავარსამიძე დამარცხდა. ცხოვრების ნახევარგზაზე შემოაღამდა. მისი ეული სულის ამოკვნესაა მისი მონოლოგი: „ტაია შელია, მე მარტო ვარ ამ უღრან ტყეში. შვიდი პროფესია გამოვიცვალე და ვერ ვიპოვე ჩემი ადგილი ამ ცხოვრებაში. ტაია შელია გიგონებ და გეძახი – გულთმისანო ჩემო გამზრდელიო. ეგებ შენ მასწავლო გზა, როგორ გავიდე ამ უღრან ტყიდან“.

კონსტანტინე სავარსამიძე უაღრესად რთული, მრავალპლანური სახეა. ცხოვრების მორევში დიდი იმედებით შეჭრილ ახალგაზრდა კაცს ეპოქის სინამდვილემ არ გაუმართლა, დამარცხდა იგი კარიერის კიბეზეც, სახელის მოხვეჭის ასპარეზზეც, სიყვარულშიც, მეგობრობაშიც. კონსტანტინე რომანის მთელს მანძილზე მკითხველის ინტერესს და თანაგრძნობას ინვეს იმის გამო, რომ იგი აქტიური კაცია, ბოლომდე ებრძვის და ებლაუჭება ცხოვრებას. უმეტესწილად კეთილი ზრახვებით და საყოველთაო ჰარმონიის დამკვიდრების სურვილით. ცხოვრებაში საკუთარი ადგილის ძიების გზებზე სრულიად ბუნებრივია სავარსამიძის წუნწნი: „ჩემი სამშობლო მე არ მიცნობს და არ მაფასებს, საქართველოში ზედმეტი კაცი ვარ... ჩემი გზა გასცილდა საქართველოს ცხოვრების გზას... საქართველო ველარ ვიცანი“.

მართალია, „დიონისოს ლიმილს“ თითქმის არ გააჩნია ერთიანი მკვრივი სიუჟეტური ხაზი (იგი ამ მხრივაც ნოვატორულია), მაგრამ ნაწარმოების სიუჟეტური ხერხემალი მაინც ჯენეტისა და კონსტანტინეს ტრაგიკული სიყვარულის ისტორიაზე გადის. ხშირად დაბნეული და აჩქარებული კონსტანტინე, რომლის სამიჯნურო

თავგადასავლებს ბოლო არ უჩანს (ინგებორი, ბლუტი, ლუჩია, თინა), ჯენეტის სიყვარულში მეტნაკლებად თანმიმდევრულია. სპარსეთის ელჩს – ალი მირზა ხანს წაგვარა სავარსამიძემ ჯენეტი. ამ ქალისადმი სიყვარული სავარსამიძეს მთელი თავისი ბედდამნვარი ცხოვრების მანძილზე შერჩა. მელანქოლიის ყველაზე მძიმე დღეებშიც კი, როცა კონსტანტინე ჰკარგავდა რწმენას არა მარტო სიყვარულისადმი, არამედ საკუთარი პიროვნების მიმართაც, საკმარისი იყო ჯენეტის ნახვა, რომ ოცნებათა წიაღში მოხეტილად „პოეტი“ მინაზე დაშვებულიყო და ცხოვრების ხალისი დაბრუნებოდა. გვარტომით ქართველი, სპარსეთის ელჩის ნაცოლარი, ჯენეტი თავისი ერთადერთი ავადმყოფი შვილით – ფარვიზით საქართველოში ბრუნდება. აქ კვლავ შეხვდნენ შეყვარებულნი ერთმანეთს. მაგრამ შეხვდნენ ვნებაჩამქრალნი, ცხოვრებისაგან დაღლილნი და, ახლა უკვე მერამდენედ კონსტანტინე ხდება ჯენეტის გაუბედურების მიზეზი. ავადმყოფ ჭაბუკს დედის ნებადაურთველად კონსტანტინე ცხენზე შესვამს და ფარვიზი ტრაგიკულად იღუპება.

განყდა ის ძაფიც, სავარსამიძეს ცხოვრებასთან რომ აკავშირდება. წინ გაურკვეველობის ბურუსი დგას, უკან დაბრუნება შეუძლებელია: „ტაია შელია, ჩემი ცხოვრების ნახევარ გზაზე შემომალამდა“.

გამზრდელი ტაია შელია, ქართველი გლეხი, – რომლის სახე-ბაც ნიადაგ თან დაჰყვება სავარსამიძეს, რომანის აურაცხელ პერსონაჟთაგან გამოირჩევა თავისი ინდივიდუალობითა და კოლორიტულობით. უპირველესად ტაია შელია აკავშირებს გზადაბნეულ სნობს თავის სამშობლოსთან. ტაია შელიაც განაპირობებს იმ გარემოებას, რაც კონსტანტინე სავარსამიძის წინააღმდეგობრივ ხასიათში ყველაზე ნათელი მხარეა – „გმირი ხალხის ნაბოლარას“ უსაზღვროდ უყვარს სამშობლო, ამაცობს მისი ხალხის დიდებული წარსულით და თავისი „ლაზური სისხლით“.

**„მთვარის მოტაცება“** პირველი ლიტერატურული ქმნილება გახლავთ, რომელშიც საუკუნის ოცდაათიანი წლების დიდი სიმართლე არაჩვეულებრივი ეპიკური სიცხადით და პოეტური შთაგონებით გამოიხატა.

თარამ ემხვარი და არზაყან ზვამბაია — ორი სამყარო, ორი უაღრესად კოლორიტული ტიპი ოცდაათიანი წლებისა, ორი სხვადასხვა თვალსაზრისი, სხვადასხვა მიდგომა იმ ეპოქალური

ძვრებისადმი, ლალუმების ღრიალითა და პატრიარქალური ყოფის დაუნდობელი ნგრევით რომ მიიკვლევს გზას „ახალ საქართველოში“. ამ ორი პიროვნების ცხოვრებისეულ კონფლიქტში, მათს ფარულ თუ აშკარა ჭიდილში, მძაფრად იგრძნობა დროის მაჯისცემა. ეს ორი ახალგაზრდა კაცი დასაბამს და დასასრულს აძლევს რომანის ცალკეულ კოლიზიებს. მათს ვნებებსა და ბრძოლაზეა დაფუძნებული „მთვარის მოტაცების“ უაღრესად დრამატული ინტრიგები და სიუჟეტური ხვეულები. თუმცა აშკარად ჩანს, რომ მწერლის სიმპათია თარამ ემხვარს ეკუთვნის.

ჩვენს სალიტერატურო კრიტიკაში გამოითქვა აზრი იმის შესახებ; თითქოს თარამ ემხვარი კონსტანტინე სავარსამიძის ლიტერატურულ დუბლიკატს წარმოადგენდეს და ავტორს თავის ამ ახალ რომანში სავარსამიძის სახის გაგრძელება-განვითარება, მისი მომავალი ბედის კვლევა დაესახოს მიზნად. მართლაც, ერთი შეხედვით, სავარსამიძესა და თარამ ემხვარს ბევრი რამ აქვთ საერთო – ორივენი ფეოდალური საქართველოს უკანასკნელი წარმომადგენლები, ორივენი ევროპულად განსწავლულნი და ცხოვრებაში ხელმოცარული ადამიანები არიან, მაგრამ, თუ კარგად დავაკვირდებით, ადვილად დავასკვნით, რომ ეს ორი პერსონაჟი, ორი სხვადასხვა ეპოქის შვილი, თავიანთი ფსიქიკით და ხასიათის ნიშნებით რადიკალურად განსხვავდება ერთმანეთისაგან. სავარსამიძეს ახალ დროსთან შეგუება თითქმის არ უცდია, ყოველ შემთხვევაში წითელ საქართველოსთან საერთო ენის გამონახვის გზაზე მის მიერ გადადგმული ორიოდე გაუბედური და უნიათო ნაბიჯი საიმედოს არაფერს უქადის, მაშინ როდესაც, თარამ ემხვარი ტრაგიკულად განიცდის თავის მდგომარეობას და არა მარტო ანუხებს ეპოქის ორომტრიალისაგან მისი განმარტოება, არამედ ენერგიულად იღვწის თავის გადასარჩენად, ცხოვრების ფერხულში ჩასაბმელად. თარამ კარგად იცის, რომ ბოლშევიკურ საქართველოში მისი წარმომავლობაც გადაულახავ ბარიერად ქცეულა: „პირადად ჩემთვის ცოცხალიც რომ დავრჩე, ალბათ, ეს გზაც დახურული იქნება. ერთი იმიტომ, რომ თავადი ვარ და წინაპრების ჩემის ცოდვებს უთუოდ მომკითხავენ... გარდა ამისა, მე სულ სხვა კულტურაზე ვარ გაზრდილი და ძალიან საეჭვოა, ბოლშევიკებმა ჩემი გულწრფელობა ინამონ“. თარამ ემხვარის ტრაგედიის ერთი მიზეზი ისიც არის, რომ მას აღარ დაუჯერებენ, აღარ ენდობიან. სავარსამიძე თავის ქაოტურ ურწმუნოებაში უფრო მტკიცე და თანმიმდევრუ-

ლია, ვიდრე თარაშ ემხვარი. ამ უკანასკნელმა გადანყვიტა ერთის ხელის დაკვრით ჩამოიშოროს კლასობრივი ამპარტავნობის მრუმე სამოსელი, დასახლდეს სვანეთში, თოხს და ბარს მოჰკიდოს ხელი, ცოლად შეირთოს უბრალო სვანის გოგო ლამარია და ცხოვრების ფერხულში ჩაებას, მაგრამ აქ უკვე მისგან დამოუკიდებელმა მიზეზებმა შეუშალა თარაშ ემხვარს ხელი. ლამარია წმინდა სიყვარულის ღირსი არ აღმოჩნდა. იგი მიჯნურმა არზაყან ზვამბაიასთან ალერსში შეისწრო და ერთხელ კიდევ გაუტყდა გული ემხვარების გვარის ზვიად წარმომადგენელს ცხოვრებაზე, ჭეშმარიტ სიყვარულზე. თარაში უფრო პრაქტიკული კაცია, ვიდრე სავარსამიძე. იგი ამ უკანასკნელივით ოცნებათა სამყაროში უნაყოფო ხეტიალს, საქმეს არჩევს. საღისერტაციო ნაშრომით წარუდგება უნივერსიტეტს, მაგრამ აქაც უმტყუნა ფორტუნამ, აქაც იმედგაცრუება – უნივერსიტეტში მისი დისერტაცია დაინუნეს. სავარსამიძისაგან განსხვავებით, თარაშ სიყვარულშიც უფრო თანმიმდევრულია. მაშინ, როდესაც სავარსამიძეს წარმოუდგენლადაც კი მიაჩნია დიაცისადმი ერთგულება და მას ხშირად უცქერის როგორც ჟინის მოსაკლავ, ცოდვებითა და კომპლექსებით დაზუზლულ არსებას. თარაშ ემხვარი, თუ მისი გაორების ზოგ ეპიზოდს მხედველობაში არ მივიღებთ (და ესეც სრულად ბუნებრივი, ადამიანური სიმპტომია), ერთგული რჩება თამარის სიყვარულისა. ამ სიყვარულის მოწოდებით შეაგელვებს იგი ცხენს აბობოქრებულ ენგურში და საყვარელი არსების ხილვისათვის სტიქიასთან უთანასწორო ჭიდილში ილუპება კიდევ.

თამარ შერვაშიძე ნახუცარ ტარიელ შერვაშიძის ულამაზესი და უსათნოესი ქალიშვილი ერთდროულად შეყვარებიათ თარაშ ემხვარსა და მისი ძუძუმტეს არზაყან ზვამბაიას. ქალის სიმპათიები თარაშის მხარეზეა, თუმცა არც არზაყანს უცქერის იგი ყოველთვის გულგრილად. რომანული ხაზი დრამატულ განვითარებას იძენს. ძუძუმტეებს შორის სწორედ ის განხეთქილების ვაშლი გაგორდება, რომელმაც შერიგება და დათმობა არ იცის. მაგრამ თარაშ და არზაყან ბოლომდე რაინდულად, ერთმანეთის ღირსების შეულახავად ცალ-ცალკე ეზიდებიან სიყვარულის ამ უმძიმეს ტვირთს. ბოლოს თამარი მაინც თარაშ ემხვარს რჩება, მაგრამ ქალისათვის ყველაზე კრიტიკულ მომენტში აფხაზ არისტოკრატთა გვარის ამ ამპარტავან წარმომადგენელს მამაკაცური სული, ვაჟკაცობა არ ჰყოფნის, რათა ქალს საბოლოოდ გაუნო-

დოს ხელი. რომანის დასასრულს ლუკაია ლაბახუას ცნობით შეძრწუნებული თარაში, რომელშიც კვლავ გაიღვიძა ამ უდიდესმა ადამიანურმა ტკივილმა, სულთმობრძავი თამარის სანახავად მიილტვის. მაგრამ უკვე გვიან არის. უნატიფესი თამარი თარაშის სახელის ხსენებით ილუპება ზუგდიდში, ხოლო ემხვარი მთვარის მოტაცების საოცრად ფერწერულად დახატული სიმბოლური სურათის განწირულ დეტალად რჩება.

რომანის მეორე და მთავარი ხაზი, რითაც „მთვარის მოტაცება“ უდიდეს შემეცნებით ღირებულებას იძენს, იმ სოციალური ფონის ჩვენებაა, რომელშიც რომანის მრავალრიცხოვანი, მკვეთრი ინდივიდუალობით წარმოდგენილი პერსონაჟები ცხოვრობენ. კომუნისტურ უხეშობას და თვითნებობას საზღვარი არა აქვს: რაიკომის მდივანმა არენბა არლანმა რაკი კაც ზვამბაისაგან ცხენის მიყიდვაზე უარი მიიღო, არზაყანი თანამდებობიდან გადააყენა, ხოლო კაც ზვამბაია კულაკად გამოაცხადა და მისთვის ცხენებისა და საქონლის ჩამორთმევის დადგენილება გამოიტანა. კაც ზვამბაიამ პროტესტის ნიშნად პირუტყვი დახოცა. შემადრწუნებელი შთამბეჭდაობით დაგვიხატა ეს სურათი ავტორმა. დაბოლოს, ამ რომანში ჩვენს ყურადღებას იმყრობს სულისშემძვრელი პასაჟი:

ბოლშევიკური პროპაგანდით დაბრმავებული არზაყან ზვამბაია საკუთარ მამას – კაც ზვამბაიას ჰკლავს. საბჭოთა ნყობილებისადმი მწერლის დამოკიდებულება ამ ტრაგედიიდანაც ნათლად ჩანს.

სიცოცხლის სიყვარული, ბრძოლის ჰეროიკა, გაუტყეხელი ნებისყოფა – ქართველი კაცის ყველა ეს თვისება შარავანდედად დაჰყვება რომან „**ვაზის ყვავილობას**“.

ვახტანგ კორინთელისა და გოდერძი ელანიძის თაოსნობით ბერმუხაში, არაშენდა გველეთის ზეგანზე, ქართული ვაზი გაცოცხლდა, მკვდრეთით აღსდგა.

ბერმუხა მასშტაბშემცირებული საქართველოა. ამ სოფლის სიხარული და სატკივარი, სამეურნეო თუ სოციალურ, მორალურ-ეთიკურ პრობლემათა დიდი ნაწილი, რასაც მწერალი ბერმუხის ცხოვრების მაგალითზე წარმოგვიჩენს, იმდროინდელი ქართული სოფლის უაღრესად თანადროული და მწვავე პრობლემატიკა გახლავთ.

ისტორიის ყოველ მოსახვევს თავისი განუმეორებელი ელფერი და ორიგინალური საზოგადოებრივი ფსიქოლოგია აქვს. კონსტანტინე სავარსამიძისა და არზაყან ზვამბაიას შემდეგ ომისდროინდელ ქართულ სოფლამდე საკმაოდ დიდი დრო გასულა. დროს ახა-

ლი საზრუნავი, თუ გნებავთ, ახალი სატკივარი მოუტანია: გვანჯ აფაქიძეთა და ტარიელ შერვაშიძეთა ნაფუძარზე აბრია უჯრი-აულები და სპეკულანტი კობერიძენი ამოსულან. გუნებადამძიმებულ ადამიანთა ერთ ნაწილს აშკარა ბრძოლაზე უარი უთქვამს და ქონების დაგროვებაზე, მომხვეჭელობაზე გადასულან.

„ვაზის ყვავილობას“ უპირველესი ღირსება სწორედ ის გახლავთ, რომ კონსტანტინე გამსახურდიას უტყუარმა მხატვრულმა ალლომ სწორად შენიშნა ადამიანის ფსიქიკაში მომხდარი ცვლილებანი და პერსონაჟთა ბუნების ზედმინვენიტი ცოდნით წარმოგვიჩინა ის სიმახინჯენი პიროვნების სულს რომ დაამჩნია კომუნისტურმა ნყობილებამ.

სიკეთისა და ბოროტების ტრადიციულ რკინებაში ზოგი პერსონაჟი ილუპება, ზოგი კი მძიმედ ტრამვირებული ეშვება მინაზე, მაგრამ მთელი რომანის მანძილზე მკითხველს მძლე ლაიტმოტივად ჩაესმის ქართველი კაცის გაუტეხელი სულის ამონაკვეთი: „კიდევაც დაიზრდებიან“.

აქვე უნდა შევნიშნოთ „ვაზია ყვავილობის“ ერთი თვალშისაცემი ნაკლი; მისი პერსონაჟები მეტნაკლებად სწორხაზოვანი ხასიათის, ზოგჯერ ერთპლანოვან ადამიანებად გამოიყურებიან. სწორედ ამ რომანში იგრძნობა ნათლად მწერლის სურვილი დაჰყოს ისინი დადებით და უარყოფით პერსონაჟებად. ერთ მხარეზე დგანან მოქალაქეობრივი ღირსებით შემკული გმირები (გოდერძი ელანიძე, ვახტანგ კორინთელი, ნუნუ უჯრიაული, სუსქია მინდელი, რაიკომის მდივანი ციხისთავი და სხვ.), ხოლო მეორე მხარეზე, ბნელეთის წარმომადგენლები აბრია უჯრიაული, კობერიძე, კანკრე, დეიდა ვარა და სხვანი. რატომღაც მწერალმა ჩათვალა, რომ ეპოქაში, რომელსაც იგი ხატავს, უპირატესად სწორედ ამგვარი ადამიანები ცხოვრობენ, რაშიც სწორედ ავტორს კატეგორიულად ვერ დავეთანხმებით. რომანის ფურცლებიდან არ უნდა გამქრალიყო ადამიანთა ის რთული, წინააღმდეგობრივი ბუნება, რითაც ასე მრავალნახნაგოვანი და საინტერესო ჩანდნენ კონსტანტინე გამსახურდიას სხვა რომანთა პერსონაჟები.

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ კონსტანტინე გამსახურდიას სახელთანაა დაკავშირებული ქართული ისტორიული რომანის აღორძინება და ამ ჟანრის ორიგინალური კონცეფციის გამოიმუშავება. ჩვენი ისტორიული რომანის სწორუპოვარ ნიმუშებად ითვლება „დიდოსტატის მარჯვენა“ და ტრილოგია „დავით აღ-

მაშენებელი“, ხოლო ჟანრის მწერლისეულ ინტერპრეტაციად ავტორის მიერ არაერთგზის განვითარებული თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ ისტორია მას აინტერესებს მხოლოდ თანამედროვეობის სამსახურისათვის და ცდილობს თავის ისტორიულ თხზულებებში ის პრობლემები დააყენოს, დღესაც რომ ინარჩუნებენ თავიანთ ცხოველმყოფელობას.

მწერალს სურდა თავისი ისტორიული რომანები მხარში ამოეყენებინა ქართული ისტორიული ქრონიკებისათვის. ამ იდეის განხორციელებაა მის მიერ შექმნილი უძვირფასესი მხატვრული ძეგლები მეათე-მეთერთმეტე საუკუნეების საქართველოს ცხოვრებისა. მეთორმეტე საუკუნის საქართველოს მატერიალური და სულიერი ცხოვრების მხატვრულ მატრიანედ იყო ჩაფიქრებული „თამარ“, რომლის დამთავრებაც ავტორს არ დასცალდა.

„დიდოსტატის მარჯვენა“ მეოცე საუკუნის ქართული ლიტერატურის მშვენიერებაა ჩათვლილი. იგი თარგმნილია მსოფლიოს მრავალ ენაზე და ყველგან აღიარებული პოპულარობით და სიყვარულით სარგებლობს. კონსტანტინე გამსახურდია ამ რომანით წარმოგვიდგება ისტორიული რეალობისა და შუასაუკუნური კულტურის ბრწყინვალე მცოდნედ, გარდასულ სახეთა გაცოცხლების, მათთვის უკვდავი სულის შთაბერვის სწორუპოვარ ოსტატად. მწერლის ისტორიული რომანები, უპირველეს ყოვლისა, იმით განსხვავდებიან ისტორიულ თემაზე ჩვენში ადრე შექმნილი თხზულებებისაგან, რომ ამ ნაწერამოებებში პირველად გადაილახა ის ზღვარი, რომელსაც ისტორიზმის ტყვეობაში მყოფი მწერლები აღმართავდნენ ხოლმე მეფე-დიდებულებსა და მდაბიოთა შორის. კონსტანტინე გამსახურდიამდე იშვიათად რომ ვინმეს დაეხატოს ასეთი ცხოველმყოფელობით მეფე-ადამიანი: ტრადიციული სქემატურობით და ფრესკული ერთპლანოვნებით კი არა, არამედ თავისი ადამიანური ვნებებით და თუ გნებავთ, წინააღმდეგობრივი ბუნებითაც.

„დიდოსტატის მარჯვენა“ მეათე საუკუნის მიწურულსა და მეთერთმეტე საუკუნის დასაწყისის ამბებს გვისურათებს. ნაწარმოების ძირითადი პრობლემა – ხელოვანის ბედი მონარქიულ სახელმწიფოში გადაჯაჭვულია უამრავ სოციალურ და ზნეობრივ საკითხთან. შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ კონსტანტინე გამსახურდიამ იშვიათი ოსტატობით, არაჩვეულებრივი მეცნიერული ალლოთი და სათანადო კომპაქტურობით გააცოცხლა



ჩვენს თვალწინ „ოქროს ხანის“ წინააღმდეგ, ის რთული და ძნელბედი ეპოქა, რომელიც წინ უძღოდა რუსთაველის საუკუნეს.

– ხელოვნება ეკუთვნის ხალხს, ჭეშმარიტი ხელოვანი ერის მომავლისათვის ბრძოლის სამსახურში უნდა იდგეს, ქედუხრელად იტანდეს ცივილიზაციის მტერთა ავბედით შემოტევებს და მთელი არსებით უნდა ეკუთვნოდეს იმ დიდებულ საქმეს თავისი ცხოვრების მიზნად და აზრად რომ აურჩევია. – საუკუნეების განმავლობაში ათას ესთეტიკურ უკიდურესობათა წინააღმდეგ ბრძოლაში გამოტარებული და ჩვენამდე მსოფლიოს უკვდავ ხელოვანთა მხრებით მოტანილი ეს ჭეშმარიტება მწერალმა კონსტანტინე არსაკიძე მიჰმადლა. არსაკიძის შარავანდედით მოსილი სახე, როგორც მის მიერ ხელთქმნილი სვეტიცხოველი, არასოდეს დაკარგავს მომხიბვლელობას. იგი ჩვენს ლიტერატურაში მუდამ იქნება თავისი საყვარელი საქმისათვის, თავისი სვეტიცხოველისთვის თავდადებული ხელოვანის სიმბოლო, სახე მხატვრისა, რომელმაც თავისი სული და სხეული მთლიანად და უყოყმანოდ თავისი ერის უკვდავებას, ხალხის ეროვნული გენიის გამოვლენას მოახმარა. უჭირს ტირანულ სახელმწიფოში ცხოვრება ხელოვანს! – „დიდოსტატის მარჯვენის“ ქვეტექსტში მიმალული ეს ბრალდება კომუნისტურ ეპოქაზეც ვრცელდება.

ლაზ კონსტანტინე არსაკიძეს საქართველოს მეფემ გიორგი პირველმა სვეტიცხოვლის აშენება მიანდო. ახალგაზრდა ხუროთმოძღვრისთვის ეს დიდი პატივი უკვე საკმარისი იყო იმისათვის, რათა „აღზევებულ“ ხელოვანს მეფის კარზე მტრები გაეჩინა. შეუდგა არსაკიძე ტაძრის აგებას. მას შესანიშნავად ესმის თავისი ისტორიული მისია, მხოლოდ და მხოლოდ ღვთის სახლს კი არ აგებს, არამედ ხელოვნების უნიკალურ ნიმუშს უტოვებს შთამომავლობას. ამიტომაც ერთი ხელის დაკვრით უარყოფს ბერძნულ და ბიზანტიურ ტაძართა მიმბაძველობას. მიაჩნია, რომ მართალია, სვეტიცხოველი მსოფლიო ხუროთმოძღვრების მონაპოვართა გამძლე საყრდენებზე უნდა იდგეს, მაგრამ მასში, უპირველესად ყოვლისა, ქართული სული უნდა ენთოს, მის სვეტებსა და ჩუქურთმა-გუმბათებში ჩვენი ეროვნული თავისთავადობა, ნაციონალური კოლორიტი უნდა გამოსჭვიოდეს. არსაკიძემ გაიმარჯვა. სული სხეულზე უფრო ძლიერი აღმოჩნდა. სვეტიცხოველი – ქართული კულტურის „იგავმიუნვდენელი ლეგენდა“ დღესაც შეურყევლად დგას ათი საუკუნის ქარ-წვიმით დამძიმებული, ხოლო მის ფასა-

დზე ამოკვეთილი არსაკიძის მოჭრილი მარჯვენა სვეტიცხოვლის შემქმნელის ტრაგიკულ ბედზე სინანულით დაგვაფიქრებს. მაშინ, როცა არსაკიძე სვეტიცხოვლის გრძნულ ჩუქურთმებით იყო გართული, მის თავზე ნელ-ნელა გროვდებოდა ეპოქისა და მუხთალი ბედის შავი ღრუბლები. ჯერ იყო და მელქისედეკ კათალიკოსმა შეიძულა არსაკიძე, რადგანაც ახალგაზრდა ხელოვანი ღმერთთან შერკინებულ კაცს ხატავდა და მოუცლელობის მომიზეზებით, ნირვასაც აცდენდა ზოგჯერ. მელქისედეკის გაგულისებას საფუძველი ჰქონდა. არსაკიძის სახით ეკლესიას რელიგიური ფანატიზმით შეპყრობილი, მორჩილი მორწმუნე როდი ჰყავდა, ღმერთთან ადამიანის რკინების ფერწერით და რელიგიური სქოლასტიკის არტახების რღვევით სვეტიცხოველის ამგები თავის ახალ ღმერთს ქმნიდა და მთელი არსებით მას ემსახურებოდა. ფარსმან სპარსი – „აგორებული ქორი“, უეროვნო და უსინდისო კაცი დაუძინებელ მტრად გაუხდა ახალგაზრდა ლაზს იმ დღიდანვე, რაც მეფემ სვეტიცხოველის აგება მას მიანდო. დაბოლოს, პირად მტერთა გულისწამლები ნკავწკავი იქნებ ვერ მორეოდა არსაკიძეს, რომ ერთ დღეს ავ ენათა დაუცხრომელი მეცადინეობით მეფე გიორგიც მის მოწინააღმდეგეთა შორის არ აღმოჩენილიყო. გიორგი პირველი, ალბათ, არ აპყვებოდა მელქისედეკისა და ფარსმან სპარსის ქორებს, რომ საქმე შორენამდე არ მისულიყო. შორენას სიყვარულის გზაზე კი მეფე არავის და არაფერს ინდობდა. მან მოანამვლინა ჭიაბერ ერისთავი, სიყვარულში მოქიშპის პოზიციით დაღუპა ყველისციხის პატრონი – გირშელ და ბოლოს შორენას ტრფობაც იყო ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ მეფის ბრძანებით სვეტიცხოვლის ამგებ კონსტანტინე არსაკიძეს მკლავი მოჰკვეთეს.

მეფე გიორგი „დიდოსტატის მარჯვენის“ ერთი უაღესად საინტერესო და ამოკვეთილი სახეა. ბაგრატიონთა ამ სახელოვან შთამომავალს მძიმე დროში მოუხდა მეფობა. მას, ჯერ კიდევ უწვერულ ჭაბუკს, თორმეტი წლის ყმანვილს სამეფო სკიპტრა მისცეს ხელთ და ქვეყნის საშინაო და საგარეო საკითხების ურთულეს პოლიტიკაში გარკვევა მიანდეს. ავტორმა საოცარი ზომიერებით, მოკრძალებით და მხატვრული ტაქტით შექმნა მეფე-მონარქის კოლორიტული სახე. გვიამბო ტრაგიკულ ბედზე ახალგაზრდა ბრძენი მეფისა, რომელმაც ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე ყველა ღირსება და ნაკლი თავისი ერისა შეურცხვენლად ატარა, როგორც მეფემ და როგორც კაცმა.

„დიდოსტატის მარჯვენის“ სხვა პერსონაჟებს თავიანთი ადამიანური ვნებები ამოძრავებთ, მისწრაფებათა თავიანთი კონკრეტული სფერო აქვთ, გიორგი მეფეს კი, უპირველეს ყოვლისა, თავისი სამეფო ვალი უმძიმებს ბეჭებს და აიძულებს ყველაზე და ყველაფერზე მაღლა იდგეს. ეს მან უნდა უპასუხოს ბიზანტიის კეისრის მეღურ პოლიტიკას ხან ხმლითა და ხან ერთმმართველის სიბრძნით, მან უნდა უწინამძღვროს ლაშქარს სარკინოზთა წინააღმდეგ დამღლეულ, გაჭიანურებულ ომებში, მან უნდა ალაგმოს თავგასულ ფეოდალთა თვითნებობა სრულიად საქართველოს ერთი, მონარქიული დროშის ქვეშ გასაერთიანებლად, გვერდით უნდა ედგეს კათალიკოსს ქვეყნის საბოლოოდ მოქცევაში ქრისტეს ჯვრის თაყვანისცემად, ზოგჯერ რელიგიური ლიტანიის ნიღბით, ზოგჯერ კი ძალით შეუტეოს წარმმართთა ყოვლისწამლეკავ შემართებებს ქრისტეს სავანეთა დასარბევად, დაბოლოს, გიორგი მეფის ბრძოლას კიდევ ერთი არანაკლებ რთული სამიზნე ახლავს – საკუთარი თავი. მეფე ნიადაგ ებრძვის მის პიროვნებაში ჩაბუდებულ მეორე კაცს, რომელიც ხანდახან სამეფო გვირგვინს მოახსნევენებს, მდაბიურ ჩოხას გადააცემევს და ყმათა ცხოვრებისაკენ მოუხმობს. მეფეს თავდავინყებით უყვარს თალაგვა კოლონკელიძის ასული შორენა. წარმოიდგინეთ მდგომარეობა კაცისა, რომელსაც გარეგნულად თითქოსდა განუზომელი უფლებები აქვს, მაგრამ იძულებული ხდება მთელი რომანის მანძილზე ტანჯვითა და ტკივილებით ფარულად ზიდოს სიყვარულის უმძიმესი ტვირთი. ჯერ ერთი, შორენა იმ ფეოდალის შვილია, რომელსაც ურჩობისათვის მეფემ თვალები დასთხარა (და აქედან გამომდინარე, შორენა პოტენციური მტერია მეფისა), ხოლო მეორეც, მეფეს სასახლეში საქართველოს დედოფალი, კანონიერი მეუღლე ჰყავს და გამიჯნურებულმა მმართველმა კიდევაც რომ გადანყვიტოს მისი ლალატი, ამის ნებას არც მისი მდგომარეობა მისცემს და არც კათალიკოსი მელქისედეკი, თვალმოუხუჭავად რომ იცავს თავისი სამწყსოს ღირსებისა და ზნეობის საქმეს. სიყვარულის მწველი ძალის ქვეშ ქედმოხრილი მეფე კამათლებივით ათამაშებდა იმათ ბედს, ვინც ამ სიყვარულის გზაზე ელობებოდა. ბოლოს, როდესაც შორენა თავის სასახლესთან გადმოიყვანა და ყველაზე ახლოს იყო თავის სანუკვარ მიზანთან, მეფეს ახალი მეტოქე გაუჩნდა კონსტანტინე არსაკიძის სახით, იმდენად თვალსაჩინო იყო სვეგამწარებული მეფის ამპარტავნული ბუნება და იმდენად დიდი იყო მასში შორენას სიყვარული, რომ

სვეტიცხოველის ამგებიც კი არ დაინდო და მისთვის მარჯვენის მოკვეთა ბრძანა, იმ მარჯვენისა, რომელმაც სვეტიცხოველის ზღაპრული ჩუქურთმები გამოჰკვეთა და ქვაში განსხეულებული პოეზიით ერს უკვდავების პასპორტი მისცა.

სინატიფით და ლირიულობით, სიბრძნით და სიყვარულისადმი ერთგულებით გამოირჩევა შორენა. იგი მარტო ლამაზი ქალი როდია და პასიური მჭვრეტელი ყოველივე იმისა, რაც მის გარშემო ხდება. შორენას რომანში დიდი სიუჟეტური დატვირთვა აქვს და თავისი მკვეთრად გამოხატული პოზიციითაც გამოირჩევა. თავი რომ დავანებოთ იმ ფაქტს, რომ შორენაა შთამაგონებელი რომანის გმირთა უმეტესობისათვის საქვეყნო და სარაინდო საქმეებისა, ამასთან ერთად, შორენა უძლიერესი ნებისყოფის და დიდი შინაგანი პოტენციის მქონე ქალია. მან არა და არ გასცვალა სადედოფლო სავარძელი თავისი უტყას, თავისი თანამეზრდელი ლაზის სიყვარულზე, მან თავის სუსტ ბეჭებზე აიღო რომანის დასასრულს ფხოველთა ამბოხების მოწყობის და მამამისის ამომანთუელი თვალებისათვის მტრისათვის ზღვევის უმძიმესი მოვალეობა და ბოლოს შორენამ თავის თავშივე ჰპოვა ძალა მონასტრის კბოდედან ფრესკის ანგელოზივით გადაფრენილიყო და თავისივე ნებით გასცლოდა ამ გაუხარებელ სიცოცხლეს.

მწერლისთვის დამახასიათებელი ეპიკური სიცხადითა და მონუმენტურობითაა გამოკვეთილი რომანის სხვა პერსონაჟებიც: თალაგვა კოლონკელიძე, ზვიად სპასალარი, მამამზე ერისთავი, მელქისედეკ კათალიკოსი, ფარსმან სპარსი, გირშელ, ჭიაბერი, დედოფალი მარიამ, შავლეგ ტოხაისძე და სხვანი.

საქართველოს ისტორიაში დავით აღმაშენებლის როლის გადაჭარბებით შეფასებვა ძნელია. საუკუნეთა წყვედიადიდან სამშობლოს სიყვარულისა და გამჭრიახი მმართველის მაგალითად გვინათებს უკვდავი მეფის მჭმუნვარე სახე. ქვეყნის წინაშე სასახელოდ მოხდილი ვალისათვის ერმა იგი წმინდანად შერაცხა და აღმაშენებელი უწოდა. მეტერთმეტე საუკუნის დასასრულის და მეთორმეტე საუკუნის დასაწყისის საქართველო დავით აღმაშენებლის მეფობის წყალობით პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარების ისეთ მდგომარეობას აღწევს, რომ თავისი დროის მსოფლიოს უძლიერესი სახელმწიფოები ანგარიშს უწვევენ და მასთან საერთო ენას ეძებენ. საქართველოს საბოლოოდ გაერთიანება ერთხელისუფლებიანობის და ერთსარწმუნოვანი მონარქიის პრი-

ციპებით, თბილისის გათავისუფლება თურქ-სელჯუკთა ოთხას-ნლოვანი ბატონობისაგან, რეგულარული არმიის ჩამოყალიბება და მისი განმტკიცება ორმოცი ათასი ყივჩაღის ჩამოსახლებით, რუის-ურბნისის კრება და საერო თუ საეკლესიო მმართველობის გრანდიოზული რეფორმები, არა მარტო მეცენატობა ქართული აღორძინებული კულტურისა, არამედ თავისი კალმითაც („გალობანი სინანულისანი“) აქტიური მონაწილეობა მშობლიური ლიტერატურის განვითარებაში – დავით აღმაშენებლის სასახელო საქმეთა ეს არასრული სიაც ნათელს ხდის, თუ რა რთული ამოცანა იდგა კონსტანტინე გამსახურდიას წინაშე თავისი ვრცელი ეპოპეის, ტეტრალოგია „დავით აღმაშენებლის“ წერისას.

ამ რომანზე კონსტანტინე გამსახურდია თითქმის ოცდახუთი წლის განმავლობაში მუშაობდა. მკითხველს აოცებს ის მძიმე და შრომატევადი სამუშაო, მწერალს ჩვეული კეთილსინდისიერებით რომ შეუსრულებია ისტორიულ მასალათა მოპოვების და მათი შედარება-შეჯერების წმინდა მეცნიერულ საქმეშიც.

რომანში თანმიმდევრულადაა გადმოცემული დავით აღმაშენებლის ბოხოქარი ცხოვრება, იმ დღიდან, რაც მან, ჭაბუკმა უფლისწულმა, მამამისის მისაშველებლად პირველად ჩაიცვა თორნი, იმ დღემდე, როცა მან სიკვდილთან უკანასკნელი ომი გადაიხადა. დავით აღმაშენებელი თამამად უსწორებს მხარს მსოფლიო ლიტერატურაში სხვადასხვა დროს შექმნილ მეფეთა ისტორიულ სახეებს (დიკენსის, ფლობერის, ჰიუგოს, ვალტერ სკოტის, ალექსეი გოლსტოის, ჰაინრიხ ჰაინეს, ლიონ ფოიხტვანგერის, დერენიკ დემირჭიანის და სხვათა რომანებში წარმოდგენილთ). თუ პარალელს გავავლებთ დავით აღმაშენებელსა და მწერლის მიერ ადრე შექმნილ გიორგი პირველის სახეს შორის, დავინახავთ მწერლის სურვილს, ეს ორი მეფე განსხვავებული ინდივიდუალური თვისებებისა და სხვადასხვა გონებრივი დიაპაზონის მოღვაწეებად წარმოედგინა. გიორგი პირველი უფრო ჩქარი და გრძნობის ამყოლია, იგი მზად არის თავის სიყვარულისათვის ყველაფერი გასწიროს, მაშინ, როდესაც დავით აღმაშენებელი ყველაფერზე მაღლა საქვეყნო საქმეს აყენებს და იგი საქართველოს გასაძლიერებლად დედისიმედსაც თმობს – თანხმდება ათრაქა შარალანძის წინადადებაზე ორმოცი ათასი ყივჩაღის საფასურად ცოლად შეერთოს ყივჩაღთა ბელადის ქალიშვილი – გურანდუხტი. გიორგი მეფე ულმობელი მბრძანებელია. იგი შეუბრალებელია ორგულ ფეო-

დალთა მიმართ და მათი ფიზიკური განადგურების გზასაც უყოყმანოდ მიმართავს, დავითმა კი შესანიშნავად იცის ძმათა ომის საშინელება და არაერთგზის მშვიდობიანი გზით ცდილობს ვერაგი ლიპარიტ ორბელიანის და მისი შვილის – რატის შემომტკიცებას. გიორგი მეფე ზოგჯერ ზედმეტად რომანტიკული და ჯიუტია. იგი ცოტა თავკერძაცაა, მაშინ როდესაც დავითი პრაქტიკული გონების კაცია და სხვათა რჩევას დიდი გულსყურით უსმენს. საერთო კი ამ ორი თავდადებული მეფის ცხოვრებაში ის არის, რომ ორივენი რაინდები არიან. ორივე მათგანს სამეფო ტოგის შიგნით ცხოვრების ტრფიალით ანთებული გული უცემს და მათი ცხოვრების ტრაგედია, გარდა ქვეყნის მძიმე მდგომარეობისა, იმითაცაა გამოწვეული, რომ მათი სამეფო სკიპტრა და გვირგვინი ზოგჯერ ასატანზე უფრო მძიმე ხდება, მათი უკიდევანო ძალაუფლება ზოგჯერ ბორკილებადაც იქცევა ხოლმე. დავით აღმაშენებლის სახის მთელი დიდებულება იმაშიც მდგომარეობს, რომ იგი თავიდან ბოლომდე ადამიანის შინაგანი თავისუფლებისათვის ბრძოლის ჰიმნია და სწორედ ამით ხდება „გალობანი სინანულისანის“ ავტორი ჩვენი თანამედროვე.

საყოველთაო სიყვარულით გარემოცული მეფე, რომელმაც დიდგორის ომი გადაიხადა და ოჯახური დრამის მორევშიც ღრმად შესცურა, რომელმაც თბილისი გაათავისუფლა და თავისი სამეფოს საზღვრები ზღაპრულად გააფართოვა, ბოლოს მაინც მარტო დარჩა სიკვდილთან და როცა სულთმობრძავს დიდი ხნის წინათ უგზოუკვლოდ დაკარგული, დედათა მონასტერს შეხიზნული დედისიმედი დაადგა თავს, ვალმოხდილმა მეფემ თავის გამშრალი ბაგეებით შენდობა სთხოვა: „მაპატიე დაო, შენი და ჩემი სიცოცხლე საქართველოს რომ შევწირე ტარიგად“.

„დავით აღმაშენებელი“ ყურადღებას იპყრობს არა მარტო დიდი ისტორიული სიმართლით და ეპოქის ხასიათის ყოველმხრივი გადმოცემით, იგი ძვირფასი ძეგლია ჩვენი ლიტერატურისა პერსონაჟთა სიუხვითა და თითქმის ყველა მათგანის ოსტატური, შთამბეჭდავი გამოკვეთით. გარდა ისტორიულად ცნობილი პირებისა, ნაწარმოებში უხვად არიან მწერლის ფანტაზიით შექმნილი პერსონაჟები. „დავით აღმაშენებლის“ მოქმედ პირთა შორის მკითხველს განსაკუთრებით ამახსოვრდება: დედისიმედი, გიორგი ჭყონდიდელი, ნიანია ბაკურიანი, მახარე, შერგილ ლიპარტიანი, ჯონდი ერისთავი, ლიპარიტ ორბელიანი, რატი, გვანცა, დედო-

ფალი რუსუდან, მარიამ დედოფალი, გურანდუხტ დედოფალი და სხვ.

რომანში გვხვდება უბრალო წრის წარმომადგენელთა ეპიზოდური, მაგრამ კოლორიტული სახეებიც. მაგ., მექათმე თეონა, გუთნისდედა გაბრიელ ხორგაი, ასისტავი ლათერია, რუსი მჭედელი ნიკალა, ნადიაკენარი ხახუტა და სხვანი.

\* \* \*

კონსტანტინე გამსახურდიას ქართულმა სალიტერატურო კრიტიკამ პროზის დიდოსტატი შეარქვა. „მთვარის მოტაცების“ ავტორი თავისი ბრწყინვალე ნიჭით და მხატვრულ საშუალებათა მრავალფეროვნებით ჭეშმარიტად იმსახურებს ამ ტიტულს.

კონსტანტინე გამსახურდიას მხატვრულ-გამომსახველობითი სამყარო სპეციალური კვლევის საგანია. გამომსახველობითი არსენალის მრავალფეროვნებისა და მხატვრულ ფიქრულკეთა ამ ოკეანეში ჩვენ მხოლოდ მწერლის ოსტატობის ზოგიერთ მხარეს შევხებით.

უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია მწერლის ორიგინალური ენობრივი სტილი, რომელზედაც ზემოთაც გვქონდა ლაპარაკი. ეს გახლავთ სხვათა სიტყვის ო-ს ხშირი გამოყენებითა და ზმნის წინადადების თავში ან შუაში მოქცევით მიღწეული, ქართულისათვის სრულიად ბუნებრივი, ჰარმონიული და დარბაისლური მეტყველება. მე ვფიქრობ, კამათს არ უნდა იწვევდეს კეთილხმოვანება ამგვარი ფრაზისა „ლაინისფერი გადაჰკვროდა ზღვას მშვიდად მთვლემარეს“ (გამსახურდია), ამავე ფრაზის თანამედროვე კონსტრუქციასთან შედარებით. მაგ., „მშვიდად მთვლემარე ზღვას ლაინისფერი გადაჰკვროდა“.

თანამედროვე ქართულ პროზაში ძნელად მოიძებნება სხვა მწერალი, რომელსაც უფრო მეტი რამ შეეძინოს სალიტერატურო ქართული ენის განვითარებისათვის, რომელიც ისე მომჭირნობით და დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებოდეს თითოეულ ფრაზას, როგორც ეს კ. გამსახურდიას ნაწარმოებებიდან ჩანს. მის მიერ გაცოცხლებულ ძველ სიტყვებს რომ თავი გავანებოთ, ჩვენს ენაში უკვე წარუშლელად დამკვიდრდა მწერლის მიერ შემოტანილი ისეთი ახალი სიტყვები, როგორიცაა ქვემეხი, შინაბერა, ოტეხული და სხვ.

კ. გამსახურდიას პროზის სტილი უფრო პოეტურია, ვიდრე პროზაული (ამ ცნების ტრადიციული მნიშვნელობით). იგი თავს არიდებს დაწვრილებით აღწერებს, საგანთან პროზაულ ახლოს მისვლას და ხშირად მოვლენების პოეტური მჭვრეტელის პოზიციით კმაყოფილდება. ეს პოეტური ხერხი კ. გამსახურდიასთან სისტემად იქცევა და მისი რომანების ერთი ნაწილი ზოგჯერ რიტმული პროზით, აშკარად გამოხატული თეთრი ლექსით არის დაწერილი.

მისი თხზულებები სიუჟეტის განვითარების თვალსაზრისით უაღრესად ტრადიციულია. თითქმის ყველა ნაწარმოები საინტერესო სიუჟეტის შემცველია. მწერალი ერიდება სიუჟეტის ზედმეტ განშტოებებს, სიუჟეტის განვითარებისათვის უსარგებლო პარალელებს, თვითმიზნურ ხვეულებს. კომპოზიცია კონსტანტინე გამსახურდიას რომანებისა უაღრესად დახვეწილია. ამ სქელტანიან რომანებში ეპიზოდები ისეა შერჩეული, რომ მკითხველი არ იღლება, თანაც მწერლის მეთოდი, მოვლენას სხვადასხვა ასპექტით შეხედოს, მას სიტუაციების შექმნის დიდ გასაქანს აძლევს. თანაც „მთვარის მოტაცების“ ავტორი მისხალ-მისხალ სწონის ცალკეულ სცენებს, იშვიათად შეხვდებით გამეორებულ სიტუაციებს, მსგავს ეპიზოდებს.

კონსტანტინე გამსახურდია უმეტესად ხატავს, იგი იშვიათად ჰყვება. ამიტომაც მისი სურათები უაღრესად ფერწერული და მონუმენტურია. გავიხსენოთ შორენას თვითმკვლელობის სცენა „დიდოსტატის მარჯვენიდან“.

– მცირე ხანს გატრუნული იჯდა, მერმე წამოდგა, მთვარეულივით წაბარბაცდა ქარაფისაკენ. ალვისხემდის რომ მიაღწია, ეფემიამ მიაძახა:

სად მიხვალო შუშანიკ!

ახლავე მოვლო, დედაო ეფემია.

ეს სთქვა, პირჯვარი გადაინერა, გარღვეულივით დაბარბაცდა და გადაეშვა ქარაფიდან შორენა.

ჯერ ისე მხრებგაშლილი წავიდა ძირს, როგორც გაფრენილ ანგელოზებს ჰხატავდნენ ხოლმე ფრესკის ოსტატები“... ამ დეტალში არ არის არც ერთი ზედმეტი სიტყვა, არც ერთი ზედმეტი ნიუანსი, ეპიზოდი უაღრესად კომპაქტურია და ხატოვანი.

თითქოს მთელი თავისი მხატვრული გრძნეულება ერთბაშად მიეძალაო, განსაკუთრებით ძლიერია მწერალი თავისი რომანების ფინალური სცენების ხატვისას. აქ კ. გამსახურდიას პოეზია თავ-

ვის აპოგეას აღწევს. მოიგონეთ „დიდოსტატის მარჯვენის“, „მთვარის მოტაცების“, „დავით აღმაშენებლის“ უკანასკნელი თავები. კონსტანტინე გამსახურდიას გმირები ისეთი დიდებული, მეფური სიკვდილით გვეთხოვებიან (არსაკიდე, დავით აღმაშენებელი), რომ უცრემლოდ ძნელია იმ ადგილების წაკითხვა. თავისი რომანების ფინალში კ. გამსახურდია წუთით ტოვებს რეალისტური თხრობის მანერას და ღრმა სიმბოლოურობაში გადადის. თარამ ემხვარი ასე კვდება:

„გაშალა მკლავები ემხვარმა. მოსტაცა თვალი მოვარვარე დისკომ მთვარისამ, თითქოს უფსკრულეთს დარჩენოდა ცეცხლებ მგზნებარე ცალი თვალი და მიჰყვა მთვარეს ცნობანართმეული ცურვით. მაგრამ იძალა ისევ ენგურმა, იბურთავა მთვარე, გამო-სტაცა ქანცმილეულ მცურავს და გააქანა უფსკერო შავეთში.

უთენია შავი ზღვისაკენ მიჰქონდა ენგურს პირალმა მწოლიარე შავროხიანი ცხედარი“. სტიქიასთან ბრძოლის ქაოსიდან უკანასკ-ნელ დეტალამდე ისეთი ზღვარია, ისეთი გრაფიკული პერსპექტი-ვა და მასშტაბურობა (თავგანწირული კვეთება მთვარესთან და შედეგი – ენგურს ზღვისკენ პირალმამწოლი შავროხიანი ცხედარი მიაქვს), რომლის დანახვა მხოლოდ და მხოლოდ დიდ მხატვარს შეუძლია.

კონსტანტინე გამსახურდია პორტრეტის ხატვის შესანიშნავი ოსტატია, იგი ზოგჯერ ერთი დეტალის ხაზგასმით ადამიანის გარეგნობის დაუფინყარ სურათს გვანვდის. აი, რა ფერწერული სისავსითაა დახატული „მთვარის მოტაცებაში“ მეზორნის ხელები:

„გარუჯული, დაკორძებული ხელები გამოუნოდა მეზორნემ არზაყანს და აკვავარის ნაჭერი ჩაბლუჯა მოხარშულ კიბოსავით წითელ და დახეთქილ თითებში.


არზაყანს არსად ენახა ასეთი უზარმაზარი და წითელი ხელები. ველური ვაზის ლერწმებსავით დაღვარწნილი ძარღვები მოსჩანდ-ნენ. დამსკდარ, დაკოჟრილ თითებს თითების ნიშატი დაჰკარგო-დათ, დახეთქილი კანის არეებში შავად ჩაღეკოდა წვირე, ზედ შეხორცებოდა და ეს თითები რომელიღაც მტაცებლის ქანგებს დამსგავსებოდნენ. მოშვებული ფრჩხილები ბებერი მამლის დეზე-ბსავით ყვითელი იყო და გაკაჟებული“.

საკმარისია მკითხველმა გაიხსენოს მწერლის მიერ შესანიშნა-ვად დახატული ბატალური სცენები, პეიზაჟები, ხალხური ადათ-ნესებისა და რიტუალების გამომხატველი ეპიზოდები და ნათლივ

დარწმუნდება, თუ რა მახვილი თვალის მქონე მწერალთან და დე-ტალების ხატვის ოსტატთან აქვს საქმე კონსტანტინე გამსახურ-დიას სახით.

თითქმის არ არსებობს ლიტერატურის ჟანრი, რომლისთვისაც არ მიემართოს XX საუკუნის ქართული მწერლობის კლასიკოსს – კონსტანტინე გამსახურდიას და თავისი კვალი არ დაემჩნიოს მისი განვითარებისათვის. გარდა ზემოჩამოთვლილისა მას დაწერ-ილი აქვს შესანიშნავი მხატვრულ-დოკუმენტური რომანები – „ბე-ლადი“ და „გოეთს ცხოვრების რომანი“, აგრეთვე ნარკვევების მთელი ციკლი, რომელთაგან აღსანიშნავია: „უკრაინის თემიდი“, „ნატახტარი“, „კოლხეთში“ და სხვ. ეწეოდა მთარგმნელობით საქმიანობასაც (დანტეს „ღვთაებრივი კომედია“, გოეთეს „ახალ-გაზრდა ვერტერის ვნებანი“, შექსპირის პიესათა ფრაგმენტები) და როგორც თავისი დროის დიდი მწერალი და მოაზროვნე აქტიურად მოღვაწეობდა საზოგადოებრივ ასპარეზზე. გამოაქვეყნა უამრავი კრიტიკული წერილი, ჩვენი ლიტერატურისათვის ახალი ჟანრის – ესსეის ნიმუშები.

„კურთხეულია მხოლოდ ნაბიჯი ვალმოხდილისა“ – ათქმევინა კონსტანტინე გამსახურდიამ ერთ თავის პერსონაჟს და შეიძლება ითქვას, რომ მეოცე საუკუნის ქართული პროზის ოლიმპიელი სა-სახელოდ ვალმოხდილ მამულიშვილთა პლეადას ამშვენებს.



**გალაკტიონ ტაბიძე  
(1891–1959)**

1959 წლის 17 მარტს თბილისის ერთ-ერთ საავადმყოფოში (ილია ჭავჭავაძის პროსპექტი №3) მეოთხე სართულიდან გადმოხტა და თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე ქართული პოეზიის მშვენიერებამ, მეოცე საუკუნის ერთ-ერთმა უდიდესმა პოეტმა, გალაკტიონ ტაბიძემ.

დაიბადა 1891 წელს, ვანის რაიონში, სოფელ ჭყვიშში. მამა, ვასილ ტაბიძე, სოფლის მასწავლებელი იყო. სიცოცხლის ბოლო წელს მღვდლად აკურთხეს, მაგრამ მშობლიურ სოფელში წირვა-ლოცვა არ დასცალდა. დედა, მაკრინე ადეიშვილი, დიდხანს გაჰყვა პოეტის ცხოვრებას ნათელ იდეალად და შთაგონების წყაროდ. რვა წლისა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში შეიყვანეს. 1908 წლიდან თბილისის სასულიერო სემინარიაში აგრძელებს სწავლას. სემინარიაშივე რედაქტორობდა ხელნაწერ ჟურნალს – „შუქი“.

პირველი წიგნი 1914 წელს გამოსცა, მეორე – 1919 წელს.

1915 წელს ოლღა ოკუჯავაზე დაქორწინდა. მალე მოსკოვში გაემგზავრა და სარეჟისორო კურსების მსმენელად მოეწყო.

1916 წელს სიმბოლისტთა „ცისფერ ყანებში“ ორი დიდებული ლექსი დაბეჭდა: „ლურჯა ცხენები“ და „მთანმინდის მთვარე“.

ოქტომბრის რევოლუციას პეტროგრადში შეხვდა.

გულმა მალე დამოუკიდებელი საქართველოსკენ გამოუწია. ამ დროიდან მოსკოვში, სადაც მეუღლე პარტიულ სამუშაოზე იმყოფებოდა, იშვიათად ჩადიოდა. ცოლიც თითქმის შეეგუა უგალაკტიონობას. ვიცი, შენი ყოფნა მანდ უფრო აუცილებელია და მწყინს, რომ ეს ჩემი სიყვარულის მსხვერპლად შეწირვის ფასად ხდებოა, წერდა.

1937 წელს ოლღა ოკუჯავას ტროცკისტობა დასწამეს და დააპატიმრეს. იგი ციმბირში, პოლიტიკურ პატიმართა „გულაგში“ გარდაიცვალა.

1922 წელს „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი“ გამოსცა.

1924 წელს აჯანყების ცხელ კვალზე დაწერა პოემა „მოგონებანი იმ დღეებისა, როცა იელვა“, რის გამოც ჟურნალ „მნათობის“ მთელი ნომერი გაანადგურეს, ხოლო გალაკტიონი სამი დღით დააპატიმრეს.

მერე დაიწყო კომუნისტურ ტირანიასთან პოეტის „თანაცხოვრების“ ურთულესი პერიოდი.

პოეტი ვერ ეგუება საბჭოთა წყობილებას, რომელმაც მის სამშობლოს თავისუფლება წაართვა და იმპერიის წიაღში შეათრია, მაგრამ იძულებული ხდება მის არსებაში გენიოსი პოეტის გადასარჩენად იშვიათად, ძვალისფერად გადაუგდოს სულისშემბნუთველ წითელ ქოფაკს საბჭოური ლექსი. თითო-ოროლა ასეთი ლექსის წყალობით ოფიციალური ხელისუფლება ქმნის მითს გალაკტიონზე, როგორც სოციალისტური აღმშენებლობის მომღერალზე, სინამდვილეში, თუ პოეტის შემოქმედების ურთულეს ხვეულებს ობიექტური მკვლევრის გონებით ჩავუღრმავდებით, ადვილად დავასკვნით, რომ „ლურჯა ცხენების“ ავტორი საბჭოთა წყობილების მხარეს ერთი დღეც არ მდგარა.

ძნელი აღმოჩნდა ლამის ორმოცდაათი წელი პოეტური ნიღბის ტარება.

უმიძიმესი ცხოვრებისეული სტრესების შედეგად გალაკტიონი რამდენჯერმე მიიყვანეს თვითმკვლელობამდე, ბოლოს გალოთდა და ქრონიკული ალკოჰოლის დიაგნოზით მოათავსეს იმ კლინიკაში, საიდანაც საბედისწერო ნახტომი გააკეთა.

ეს ყოველივე საუკუნის უპირველესი პოეტის ბოხოქარი სიცოცხლის მშრალი თარიღებია. ამ თარიღებშია მოქცეული გრძნეული კაცის იდუმალებით სავსე ცხოვრება.

როცა გალაკტიონი უკვე აღარ იყო ამქვეყნად და ლიტერატურის იდეოლოგიური შეფასების საბჭოური კრიტერიუმებიც წარსულს ჩაბარდა, ერთმა კრიტიკოსმა პოეტისთვის კომპლიმენტის თქმის სურვილით განაცხადა: გალაკტიონი პოლიტიკას ახლოსაც არ ეკარებოდაო.

არ არის მართალი.

მეოცე საუკუნის ქართული პოეზიის ზევსი ნიადაგ ყელამდე იყო ჩაფლული თავისი ეპოქის ტკივილ-საზრუნავში, ათასი უხილავი ძაფით იყო მიბმული თავისი სამშობლოს ბედზე და მისი განსაცვიფრებლად მგრძნობიარე პოეტური ნერვები კამერტონით აბრუნებდნენ პოეტის სულზე დარხეული ურთულესი ყოველდღიურობის ექოს.

განა პოლიტიკის გარეშე დგას 1917 წელს დაწერილი ლექსის სტრიქონები: „ხანმა უნდობარმა გზა რომ შეეღება, უხვად მოიტანა სისხლი და „ცხედრები“.

განა პოლიტიკის გარეშე დგას, ერთი შეხედვით, სიყვარულზე დაწერილი ლექსის ასეთი სტროფი:

ძვირფასო, ძვირფასო,  
ბედი ჰკლავს ჩემს სხეულს,  
თვალეში ყორნების  
მქენჯნიან კლანჭები,  
ამირანს მიჯაჭვულს და  
მგოსანს ნაქცეულს  
ვილაც ფრთებს მიკვეცავს,  
აჰა, ვიტანჯები...

ანდა, პოლიტიკას განა ახლოს არ ეკარება მსახვრალი დროისაგან განწირული პოეტის ამონაკენესი:

სიმკაცრით შემხედავს საშვენი  
თვალეში შეკრული კამარის,  
ჯვარს ეცვი, თუ გინდა, საშველი  
არ არის, არ არის, არ არის!

როგორ ჰგავს თბილისში მდგარი გალაკტიონის სიმბოლურ ძეგლს თვით საქარველო: თითქოს ალიდან ამოსვლას ლამობსო,

ქარისგან წვერგახრილი, თავანუელი, ღონიერი ქედითა და შორს გამიზნული მზერით დგას იგი, საუკუნის მოხუცი, ბიბლიურად ლამაზი და დაუჯერებელი. დგას და თავისი ნერვიული ხმით დროჟამს გასძახის: „ო, უბრალო ხმებისთვის არასოდეს მეცალა, დაისერა სამყარო გამოუცნობ წყლულებით“.

გარდა იმისა, რომ ქართული ლექსის მხატვრული დონე დიდებულ, თვალშეუდგამ მწვერვალებს აზიარა, გალაკტიონმა პოლიტიკასთან, ცხოვრების სინამდვილესთან დამოკიდებულების დაუწინყარი გაკვეთილებიც მოგვცა.

ჯერ ერთი, გვასწავლა, რომ ეპოქის ტკივილებსგან მოწყვეტილი „დროის, ეპოქის და სივრცის გარეთ“ დაწერილი ლექსი არავის სჭირდება.

მეორეც, გვასწავლა, რომ უნდა შეგვეძლოს ჩვენი სიმართლის სადარაჯოზე მკვიდრად, გაუტეხავად დგომა და, დროებით დამარცხების შემთხვევაშიც კი, ძლიერთა ამა ქვეყნისათა წინაშე ქედი არ მოვიხაროთ, მოიგონეთ:

რა საჭიროა ახლა გოდება,  
მე ვიცი, ამ გზას რაც ენოდება,  
მატარებლისგან როს მიმიღია,  
ან მოწყალეა, ან შეცოდება.

დაბოლოს, გალაკტიონმავე აგვიხსნა, რომ პოლიტიკა მაცდური ქალივით არის, შეიძლება შეგიყოლიოს და უფსკრულში გადაგჩეხოს, ამიტომ ჭეშმარიტი მწერალი პოლიტიკანის ჭირვეულობაზე მაღლა უნდა დადგეს, „მაღლა მხედის“ პიედესტალიდან დასცქეროდეს მოვლენებს და როცა საჭირო გახდება, იქნებ შემოიბუროს კიდეც გრძნეულის საბურველი, გაიკეთოს გულუბრყვილო, მიამიტი კაცის ნილაბი მკაცრი დროის, მკაცრი ხელისაგან პოეზიის ოქროს ზოდების გადასარჩენად.

დაბოლოს, როცა შემოდგომის მზე მოახლოვდა და ირგვლივ „ყოველივე განაზდა“, გალაკტიონმა მოიცილა განზე მდგომი, ბევრ რამეში ვერგარკვეული კაცის ნილაბი და დაიჩივლა:

არ ვემდური ამ ცხოვრებას,  
არ ყოფილა თითქმის,  
არყოფილზე საყვედური  
აბა, როგორ ითქმის.

პოეზიის მეტრის თვითმკვლელობის მიზეზი გაუბედურებულ სინამდვილესთან პოეტის დამოკიდებულებით გამონვეული სასოწარკვეთაც იყო.

ცხოვრება გაცვდა ვით ძველი გროში,  
უდაბურებად იქცა ყოველი...

ოცნებები მტვრად და ნაცრად იქცა, ტაძრისკენ მიმავალი გზა გამრუდდა, ჩამავალ მზეს მკაცრად მიჰყვებოდა იმედების ქარავანი:

ო, ფიქრებო, მსვლელნო ტაძრად,  
ო, ქცეულნო, მტვრად და ნაცრად  
რად მიჰყვებით ასე მკაცრად,  
ჩამავალ მზეს, ჩამავალს...

გალაკტიონმა მის შემდეგ მოსულ თაობებს ისიც ასწავლა, რომ პოეტს და მწერალს სათუთი მოპყრობა სჭირდება, პოეტის სულზე მედროვის ტლანქი ხელები საბედისწერო დანაშრევს ტოვებს და ერმაც და ბერმაც უნდა ააცილოს მტერთა ცილისწამება ხელოვანს, რადგანაც

ის მალალია, დიდია მაინც,  
მისთვის მოისმის ზარების ზარი!

დიახ, გალაკტიონი ჩვენი ბობოქარი თანამედროვეა. ჩვენს სულზე უფრო და უფრო მეტს სასიკეთო ზემოქმედებას ახდენს და ამ რთულ ვითარებაშიც პოეზიის წმინდა ლამპრით წინ მიგვიძღვება.

როგორ ეხმაურება და ესადაგება გალაკტიონის ერთ-ერთი ბოლო ლექსის სტრიქონები ჩვენს დღევანდელ განწყობილებას:

...წყარო ჩანს და წყალი არსად არი,  
ყველაფერი არის ძლიერ კარგად,  
ყველაფერი ძლიერ ცუდად არის.

უღმობელი დრო თანდათანობით შლის მარჯანიშვილის ქუჩაზე მცხოვრები მოქალაქის – გალაკტიონ ტაბიძის კვალს, რადგანაც

დღითი დღე იპყრობს ჩვენს სულსა და გონებას უფრო დიდი გალაკტიონი – ჩვენი მარადიული სულიერი თანამგზავრი, მესაიდუმლე, საუკუნის პოეზიის აზრთა მპყრობელი.

მოგონებების გაყვითლებულ ფურცლებსლა შემორჩა ის ბილიკები, რითაც „ლურჯი ცხენების“ ავტორი დიდი ცხოვრებისაკენ მიაბიჯებდა: ჭყვიშის ფშანები, იმერული ოდა რიონის პირად, ქუთაისის სასულიერო სასწავლებელი, თბილისის სასულიერო სემინარია, ფარცხნალის დაწყებითი სკოლის მასწავლებლობა, ხელნაწერი ჟურნალებიდან პირველ წიგნებამდე მისვლა. დღიურებმა და პირადმა წერილებმალა შეინახეს პოეტის მეუღლის – უსათნოესი ოლღა ოკუჯავასა და გალაკტიონის სიყვარულის ტრაგიკული ისტორია. სადღაც ევროპის სანახებში გაიცრიცა ოცნებასავით მიუწვდომელი მერი შერვაშიძე. ცოტასლა ახსოვს ამ საუკუნის გარიჟრაჟზე სოფლის მასწავლებელთა ყრილობის მონაწილე გალაკტიონი და არც კომინტერნის VI კონგრესის დელეგატთა შორისაა ბევრი ცოცხალი, „ეპოქის“ ავტორის შთაგონებული სახე რომ შემოენახა.

და მაინც, გონების თვალი დღესაც ხედავს ელბაქიდის ხიდზე რწევით მიმავალ, დიდჩანთიან მალალ კაცს, რომელიც თავის პატარა საქმეებზე გაქცეულ მოქალაქეს ჯიუტად აკვირდება, თითქოს რაღაც უნდა ამცნოს, რაღაც უნდა უთხრას. უბრად ჩავლილს ნაღვლიანად გააყოლებს თვალს, ხელს ჩაიქნევს და გზას განაგრძობს.

ეს ყველაფერი გალაკტიონის ყველასთვის ადვილად დასანახი, ჩვენთვის ძვირფასი გარეგნული ხატი გახლავთ, მაგრამ ნამდვილი გალაკტიონი სულ სხვა იყო. გასაოცარია, არც ერთ ფოტოზე თავისთავს არა ჰგავსო, თქვა ამასწინათ ერთმა მისმა თანამედროვემ გალაკტიონის გამოფენის დათვალეერებისას და იგი მართალი იყო. ჩვეულებრივ ადამიანთაგან, სამწუხაროდ, ძალიან ცოტას ძალუძდა სწორი ლოგიკური კავშირი დაემყარებინა იმ გალაკტიონსა, ხანდახან კომუნალურ გადასახადს დაგვიანებით რომ იხდიდა და წყნეთში მიმავალი ავტობუსის ბოლო სავარძელზე მგზავრებს შორის ჩაჭედილიყო, და იმ გალაკტიონს შორის, რომლის გონების მეფური მოძრაობა მის სწორუპოვარ პოეტურ შედეგებშია.

მწიგნობარი ტაბიძეების ტრადიციულ ოჯახში აღზრდილი, ადრე წასული მასწავლებლის ვასილ ტაბიძისა და დიდებული მაკრინე ადვიშვილის პირმშო, ბოლოს ათას ქარში გამოვლილი აკ-



ადემიკოსიც, ისეთივე ალალი და წმინდა იყო, როგორც რვა წლის ყმაწვილი, ქუთაისს რომ გააგზავნა მოსიყვარულე დედამ.

გასაოცრად კეთილშობილი პიროვნება გახლდათ. მისი ნაცნობ-მეგობრები ჰყვებიან, თუ როგორ მოახერხა, ზოგჯერ სათანადოდ ვერშეცნობილმა უახლესი პოეზიის მეფემ, არ გარეულისყო კაცთა ჭირვეულობასა და პატივმოყვარულ კინკლაობაში, მისი პიროვნული და პოეტური მანტია ყანაოთივით თეთრი და სუფთა იყო მიწყვი. როგორ ახარებდა მცირეოდენი ყურადღებაც კი თანამედროვეთა, რა გულმოდგინედ და კეთილსინდისიერად ეკიდებოდა თავის მოვალეობას იმ პატარა, თითქოსდა უმნიშვნელო სამსახურებრივ სკამებზე, რაც მისთვის სიცოცხლეში გაიმეტეს (პოეზიის სექციის თავმჯდომარედ რომ აირჩიეს, თავისი მხრებით აიტანაო მეორე სართულზე, სადღაც, სარდაფში მიგდებული ძველი წიგნების კარადა; „კომუნისტის“ ლიტერატურული კონსულტანტობა რომ დაავალეს, გულისამაჩუყებელ წერილებს სწერდა თურმე ხელმოცარულ პოეტებსა და გრაფომანთ, ბავშვური გულმოდგინებით უსმენდა და თავს უქნევდა მისი ახალი წიგნის გაჭირვეულებულ რედაქტორს, ხშირად უკანა რიგებში რიგით მაყურებლად მჯდარი აღფრთოვანებით უკრავდა ტაშს თავის ლიტერატურულ კოლეგებს).

ნამდვილი მეგობრები ცოტა ჰყავდა. ბუნებრივიცაა. თავის ხვაშიადს მხოლოდ იმას გაუზიარებდა, ვისაც იმის ღირსად ჩათვლიდა. ასეთები კი ბევრი როდი ეხვია ირგვლივ. გრძნეულებით ცნობდა მოსაუბრეს. ამიტომაც თვალს დიდხანს არ უსწორებდა, განზე გააპარებდა ხშირად მზერას. თითქოსდა დიოგენით მთელი ცხოვრება ვიღაცას ეძებდა — კაცს ნამდვილს და ჭეშმარიტს.

იმქვეყნად ვალი არავისი გაჰყოლია. უსიყვარულოდ და ულექსოდ არ დაუტოვებია ის შორეული, ცისფერთვალეა, უცნობი ქალიც კი, ერთხელ ქარში მოსასხმაზე პოეტს ქინძისთავი რომ დაუმაგრა.

\* \* \*

პირად ცხოვრებაში ასე ჩუმი და მორიდებული, მხატვრულ შემოქმედებაში უაღრესად ამაყი და უკომპრომისო იყო.

კარგად იცოდა, ზედმეტი თავმოდრეკა ჭეშმარიტ ხელოვანთა სიღიადეში მხოლოდ დააეჭვებთ გულუბრყვილოდ მზირალთ.

როგორც მეოცე საუკუნის პოეტური სიტყვის მესიამ, მან

ერთბაშად მოიტანა მხატვრული შემოქმედების ოქროს ზოდები და თავისი ჯიუტი ნებით არა მარტო აიძულა ლიტერატურული აზრი, დაენახა და დაეფასებინა ეს ოქროს ზოდები, გამოჩინისთანავე დადგა ეროვნული პოეზიის საჭესთან და სიცოცხლის ბოლო დღემდე არ გაუშვია ხელიდან წინამძღოლის ჩირაღდანი.

მეოცე საუკუნეში არავის მოუხდენია ქართულ მწერლობაზე ესოდენ გრანდიოზული გავლენა და დღესაც, თითქოსდა, გალაკტიონის მისწერი ხელი მართავს თანამედროვე ქართულ პოეზიას.

დიდებული პოეტური ტრადიციის უდღეურ გამგრძელებელთა ხელში დაღლილი ქართული ლექსი გალაკტიონმა აიტაცა, შვილივით შეიფარა და ახალ სიმაღლეებს აზიარა.

„ლურჯა ცხენების“ ავტორის მიერ მოხდენილი ვერსიფიკაციული სასწაულები ჩვენს პოეზიაში დღემდე მიუღწეველი და განუმიერებელია.

გალაკტიონმა უმშენიერესი ქართული სიტყვა ისეთ არნახულ კონტექსტებში წარმოგვიდგინა, რომ ჩვენი ენის სიღბო და სინატიფე ნათლივ დაგვანახა, ახალი მასშტაბები და განზომილებანი მოუძებნა პოეტურ მეტყველებას.

ამ გენიალურ პოეტ-კომპოზიტორს გააჩნდა სიტყვის მუსიკალურ საიდუმლოებათა ამოცნობის არაჩვეულებრივი უნარი..

სალიტერატურო ასპარეზზე გალაკტიონის გამოჩენას როდი ახლდა პოეტური სიყრმის გაუბედავი ნაბიჯები. თითქოსდა იგი ახალგაზრდა პოეტი არასოდეს ყოფილა, ამ ცნების საშელავათო გაგებით. იმთავითვე დასრულებული ოსტატი იყო. „არტიტული ყვავილები“ გალაკტიონის მეორე წიგნია და პოეტის მხატვრული ოსტატობის ყველაზე მკაფიო გამოვლინებაც.

სწორედ გალაკტიონს ხვდა წილად ჩანვდომოდა ჩვენი თანამედროვის სულის ურთულეს ხვეულებს, შეუმცდარად ევლო ჩვენი ფიქრების ლაბირინთებში, იუველირის სიზუსტით აეხსნა და მზის სინათლეზე გამოეტანა ყოველივე ნატიფი და მშვენიერი, ადამიანთა ადამიანობას რომ ადასტურებს. ალბათ, იშვიათია კაცთა განწყობილება, გალაკტიონის უზენაეს პოეტურ კამერტონზე რომ არ არეკლილა, ალბათ, იშვიათია მკითხველი „მერის“ ავტორის პოეზიაში რომ ვერ იპოვოს სალბუნი სულისა.

ამ საუკუნეს ქართული მწერლობის ისტორიის დიდ წიგნში გალაკტიონის საუკუნეს დაარქმევენ მომავლის მკვლევარნი.

\* \* \*

რუსეთის იმპერიის საბედისწერო წლებში, როს ჰაერში დენტის სუნი იდგა და მდუმარე „ავრორა“ სადაცაა ახალი ერის მაცნედ დაიქუხებდა, მოსკოვის ქუჩებში დააბიჯებდა შავ კოსტიუმში გამოწყობილი, მაღალი, გამხადრი ახალგაზრდა კაცი. მისი საგულდაგულოდ დავარცხნილი, შუაზე გაყოფილი თმით, გახამებული თეთრი პერანგითა და მოდური შავი ყელსახვევით თუ იმსჯელებდით, რომელიმე საკონსულოს ჩინოვნიკი გეგონებოდათ. მეოცნებე, წყლიანი თვალეებით აკვირდებოდა იგი თვითმპყრობელობის განწირულ ტალანებს, რევოლუციით დანადმულ ქუჩებში ეული ფრანტის საეჭვო სვლით დაინტერესებულ პოლიციელს უჩვენებდა საბუთს, რომ სარეჟისორო კურსების მსმენელი იყო და საცხოვრებლად მოსკოვში გადმოსულიყო ბედისმადიებელი, რომელსაც სურდა თეატრალური ხელოვნებისათვის შეეწირა ცხოვრება. სინამდვილეში კი სარეჟისორო კურსების მსმენელს უკვე განადღებული ჰქონდა უკვდავება. „ოცდახუთი წლისაც არ იქნებოდა და უკვე დაენერა „ლურჯა ცხენები“, „თოვლი“, „მერი“, „მთანმინდის მთვარე“, „მამული“, „მესაფლავე“, „ატმის ყვავილები“, „გეტერა“, „რომელი საათია“, „უსიყვარულოდ“, „მე და ღამე“, „გურიის მთები“, „შემოდგომის დღე“... პოეზიის ცაზე ასე ერთბაშად და მკაფიოდ გაბრწყინებულს უკვე დაესწრო ლუბემომარჯვებულ ისტორიკოსთათვის და მორცხვობაგაშვებით ეთქვა: „რომ მეფე ვარ და პოეტი...“

რა მოხდა? რად გამოქცეოდა იგი უმანკო ჩასახების მამათა სავანეს, მწუხარე სახის ანგელოზს გრძელი პერგამენტიტ ხელში, ნანვიმარში ჩასილულ ვარდს, ატმის „დაღალულ რტოს“, – მის მიერ შექმნილსა და ფერშესხმულ ხატებს ჭემმარიტი პოეზიისას?

რევოლუციის აკვნის ადგილას ქართველი პოეტი სწორედ მისმა უტყუარმა პოეტურმა გუმანმა, სამყაროს განახლების წინააღმდეგ ჩამოვარდნილმა დიდმა და საშიშმა სიჩუმემ მოიყვანა.

იგი არ იყო პროფესიონალი რევოლუციონერი. ვაგონებში არ შეხვდებოდით შრიფტით სავსე ჩემოდნით ხელში და არც არალეგალურ სტამბებში უთევია ღამე, მაგრამ გზა, გალაკტიონი „მგლოვიარე სერაფიმებიდან“ „ჯონ რიდამდე“ რომ მიიყვანა, მარტო „მთანმინდის მთვარეზე“ როდი გადიოდა, პოეტის სულ-

ში სიყრმიდანვე მზადდებოდა ხალხის აზვირთების ლოგიკური დასასრულის ძლიერი სოციალური დრამა. ჯერ კიდევ პირველი რევოლუციის გარიჟრაჟზე ქუთაისში, რიონის პირას, ნაცვლიშვილების სახლში იკრიბებოდა მონაფეთა რევოლუციური წრე. უწვერულ შეთქმულთა შორის ვლადიმერ მაიაკოვსკი და გალაკტიონ ტაბიძეც ჩანდნენ. ვინ იფიქრებდა მაშინ, რომ ცეცხლის პირას, ჯორკოზე ჩამომჯდარ ამ აღგზნებულ ყმანვილთაგან ერთს რუსული პოეზიის განახლება მოუნევდა, ხოლო მეორეს – მეოცე საუკუნის ქართული პოეზიის მეფის გვირგვინი.

მებრძოლი პოეტის ფარაჯა მძიმე იყო, მით უმეტეს, რომ გალაკტიონის თვალწინ რევოლუცია თეატრალური დეკორატიულობით კი არ ჩატარდა, არამედ მთელი თავისი სისასტიკით („გასაოცარნი და იდუმალნი ვიდოდნენ მძიმე კრეისერები“).

რა ღვთიური პოეტური სმენა ჰქონდა. რა დიდებულად ითავსებდა მისი მუზა ერთ დღეს „დროშები ჩქარა“ დაენერა და მეორე დღეს მუხლმოყრილს, „დაღლილ ქალივით“ ხატებთან მისულს, იდუმალი ჩურჩულით ეთქვა:

მზეო თიბათვისა, მზეო თიბათვისა,  
ლოცვად მუხლმოყრილი გრაალს შევედრები,  
იგი, ვინც მიყვარდა დიდი სიყვარულით  
ფრთებით დაიფარე, ამას გვედრები.

...დიდ მწერლებს მაღალი იუმორის გრძნობაც ახასიათებთ და, ბუნებრივია, გალაკტიონიც არ იყო ამ მხრივ გამონაკლისი.

კომუნისტური რეჟიმი ადამიანის თავისუფლებას რომ ყოველმხრივ თრგუნავდა, იმ რეჟიმით ნაკარნახევი ცხოვრების წესი პოეტისა – მარტოსულობა, რა თქმა უნდა, იძლეოდა საფუძველს, „ლურჯა ცხენების“ ავტორს ირონიით შეეხედა ზოგიერთი მოვლენისათვის, სატირის მახვილით გაეკენწლა, რაც არ მოსწონდა, სიცილის ფარიც მიეშველებინა უმდიდრესი ლიტერატურული არსენალით აღჭურვილს.

თანამედროვეებს ახსოვთ მწერალთა კავშირის ფოიეში „უბრალო რამეზე“ ახარხარებული გალაკტიონი და უფრო ხშირად ირონიულად თვალმოჭუტული, თვალეებში ათასი ეშმაკი რომ უთამაშებდა და მოსაუბრეს „ბოლომდე არ გაეხსნებოდა“, ეზოპეს ენით, გადაკვრით პასუხობდა და საუკუნის ხუმრობას თითქოსდა ისე, სხვათაშორის სტყორცნიდა ხოლმე.

შემოქმედების ადრეულ წლებში გალაკტიონი წმინდანით იშვიათად ილიმება. ახალგაზრდა პოეტის განამებულს სულს და დეკადენტურ განწყობილებას თითქოსდა, არ უხდება (და ამიტომაც არ ახლავს) სატირა და იუმორი. მერე სევდის გრიგალები რომ გადაივლის, ასაკთან ერთად პოეტს ირონიული ხედვის უნარიც ემატება, მასში პოლემიკოსიც იბადება და პოლემიკა ხომ სატირის მახვილის გარეშე იშვიათია.

ბრწყინვალე მედიტაციურ პოეზიაში გალაკტიონი ზოგჯერ ირონიულ ლირიკასაც გაურევს, მაგრამ სატირას და იუმორს გაცილებით უხვად შეიცავს პოეტის კრიტიკული ჩანახატები, წერილები, მოგონებები და სხვადასხვა ვითარებაში წარმოქმული სიტყვები.

გალაკტიონის პოეზიას ნიადაგ ახლავს ფარული თუ აშკარა პოლემიკა აღზევებულ უნიჭოთადმი, პოეტის სიცოცხლეშივე მედროვის დაუოკებელი ინსტინქტებით უტიფრად რომ ეპოტინებოდნენ პოეტის გვირგვინს:

როდესაც პოეტი ყალბი პოეტია,  
ამაოდ ფიქრობს, რომ იგი გოეთეა...  
ვაიმარს გაგზავნონ ავიოკალათით,  
ვირზე ჩამობრუნდეს ხახვით და სალათით.

როდესაც პოეტი მავნე პოეტია,  
ენაჭარტალაა, მიეთ-მოეთია –  
ნინ ჩოთქი უდევს და ნაბოძი ხალათი,  
პოეტი კი არა – ის არის ჯალათი!

ტაშის მაძიებელთადმი ირონიით აღსავსე ლექსია „საუბარი ტალღებთან“:

პოეტი მიჰყვეს, მიჰყვეს  
სასახლესა და ქუჩას –  
თუ ტაშისცემა ბრიყვის  
დიდ დაფასებად უჩანს.  
დგას უსაზღვრობა დროთა,  
ჰქუხს მარადისის რაში...  
ო, თავს მოიკლავს შოთა,

თუ არა დაუკრეს ტაში.

თუ ვერ გაიგეს წმინდა  
გენია დღეთა მნათი,  
არც მათი დაფნა მინდა,  
არც ტაშისცემა მათი.

იგი მიართვან იმას,  
ვინც პოეზიის დიდის  
აზრს იდიოტის ღიმის  
ნება-სურვილზე ყიდის!

მაგრამ ნუგეში სხვაა  
დიდი ეპოქის ხმაშიც,  
იგი მღელვარე ზღვაა...  
ტაშიც არის და ტაშიც.

უნიჭო შვებას ჰპოვებს,  
იგი სენისგან მორჩა:  
კლაკიორების ბრბოებს  
მოისყიდის და მორჩა.

გალაკტიონის სატირული მახვილი ზოგჯერ მკითხველსაც გადასწვდება ხოლმე:

არის მკითხველი  
მშვენიერ წიგნის  
და არის მხოლოდ  
გადამკითხველი...

ის ფურცლავს, ნიშნავს,  
ადარებს, ჩიჩქნის,  
მაგრამ ვინ არის  
აქ გამკითხველი?

გალაკტიონი ზოგჯერ სარკაზმის მახვილს იმარჯვებს და მაშინ იგი მრისხანე და დაუნდობელია. ერთი ხელის მოსმით გამოაქვს

ერთსტროფიან ლექსში განაჩენი თავისი დროის ქართული კრიტიკისადმი:

გონებაჩლუნგი და  
კვლავ ენატიკტიკა –  
აი, როგორია  
ქართული კრიტიკა.

არამკითხე „მრჩეველ კრიტიკოსზე“ აშკარა განაწყენება ჩანს ამ სტრიქონებშიც:

ერთმა მასებთან კავშირი,  
მარქსის ტომები ურჩია...  
რომ არ მიიღო არცერთი,  
ერთხმად იძახეს: ურჩია!

მკითხველს ვთხოვ, გალაკტიონის მოქალაქეობრივ გაბედულებას კიდევ ერთხელ მიაქციოს ყურადღება. მარქსის ირონიულად ხსენებას სხვა ლექსშიც ვხვდებით და ეს ლექსიც ოცდაათიან მრისხანე ნლებს ეკუთვნის:

ჩემო მაქსიმე,  
რა გზა მაქვს, ი, მე!  
რომ არ ვიკითხო  
ახლა მარქსი მე.

საუკუნის აზრთა მპყრობელი კომუნისტური სამოთხის იმ „სიკეთესაც“ კარგად ხედავს, ათეული წლების შემდეგ ერთა და კულტურათა გათქვეფის (საბოლოო ჯამში გარუსების, რ. მ.) უწყინარ თეორიად რომ ჩამოაყალიბა მარქსიზმის „დიდმა შემოქმედებითად განმავითარებელმა“ – ბრეჟნევმა:

ეს ვალიას, ეს თედორეს,  
ეს ტარიელს, ეს კი მოსეს,  
ჯერ ვითვლებით ქართველებად,  
თუ არ გაგვაესკიმოსეს.

და ამ სტრიქონების დამწერი ზოგჯერ ამოიკვნესებდა:

სათქმელი სხვებზე  
და თავის თავზე  
აქვს, მაგრამ პირი  
წყლითა აქვს სავსე,

პოეტის ირონიულ ლირიკაში ილანდება „ახალი დროის“ პირმშოს, მოჩვენებითად საქმიანი (სინამდვილეში კი უსაქმო) კაცის სატირული პორტრეტი. ეს იმ გაფუყული კაცის წინაპარია, ასე მწვავედ რომ გაამათრახეს შემდგომ მურმან ლებანიძემ და შოთა ნიშნიანიძემ. მოვუსმინოთ გალაკტიონს:

ღმუის ტყიანი ქედი,  
როგორც ბებერი მგელი –  
კაცის ბოროტი ბედი!  
გადაგვარება ნელი!

წიგნთა არეულ თაღებს  
ჰგავდა ფიქრები მკაცრის,  
სიმპათიური სახის  
მუდამ უსაქმო კაცის.

ფეოდალური ბალის  
უკანასკნელი ნაძვი –  
სიმპათიური სახის  
მარად უსაქმო კაცი!

უცხოა გალაკტიონისთვის მედროვე, ფულს და ლოჟა-პარტერს გამოდევნებული პიროვნება. ერთსტროფიან ლექსში ცხადად დაგვიხატა პოეტმა თავისი და „იმ კაცის“ პორტრეტის კონკრეტული შტრიხები:

თქვენ გენატრებათ ლოჟა, პარტერი,  
თქვენ გინდათ გახდეთ მილიარდერი.  
მე კი ვარჩევდი გზას უნაპიროს,  
ცოტა სიყვარულს და ღერ პაპიროსს.

უნიჭო პოეტთა და მედროვეთა გაკილვა-გაკენწვლიდან გალაკტიონი მრისხანე სოციალურ სატირაზეც გადადის. იქ უკვე სატირის სამიზნე მთელი სინამდვილეა. ვისაც კომუნისტური რეჟიმის მარწუხებზე ოდნავი წარმოდგენა მაინც აქვს, დამეთანხმება, რომ რადიოს სარკასტული ხსენება ლექსში იმ დროისათვის მოქალაქეობრივი გამირობის ტოლფასი იყო:

წარმოსთქვა რა სიტყვა თვისი  
გრძელი და საპატიო,  
ერთხელ კიდეც აღრიაღდა  
და გაჩუმდა რადიო.  
ვიფიქრე, თუ ახლა მაინც  
მოისვენებს ტანჯული,  
მაგრამ აგერ მოქალაქე  
მოდის გადაღრანჯული.

ცა ქუდად არ მიაჩნია  
და გაჰკივის შიქასტებს,  
მთელ თვის გრძნობას უსინდისო  
თავდადებით შიგა სდებს.

თითქოსდა ამ ლექსისი პირველ სტროფში ჩადებულმა თავისივე ნაღმმა („რადიო“) შეაშინაო, გალაკტიონი მომდევნო ორ სტროფში აკონკრეტებს ლექსის ადრესატს და ჯოხს „გადაღრანჯულ მოქალაქეზე“ გადატეხს, მაგრამ დაკვირვებული თვალი შეამჩნევს, რომ სატირის მახვილი სწორედ არსებული სოციალური სინამდვილის წინააღმდეგაა მიმართული. სინამდვილისა, ასე მკაცრი და უმაღური რომ იყო „ლურჯი ცხენების“ ავტორის მიმართ.

გამახვილებული გრძნობა იუმორისა, ასე უხვად რომ მოჰმადლა გალაკტიონს ბუნებამ, მხოლოდ სიტუაციურ იუმორსა და მოვლენასთან ირონიულ მიმართებაში როდი მყდვენდება. პოეტს სატირული პორტრეტის შექმნის იშვიათი უნარიც ახასიათებს. აი, რა შთამბეჭდავად, მეტაფორულად დაგვიხატა მან პოემა „ჯონ რიდში“ რევოლუციის დღეების ბებერი რუსეთის სატირული ხატი:

„სდგას ერთი გრანდიოზული სკამი, რომელსაც, მართლაც, მოტეხილი აქვს სამი ფეხი და ზედ ძლივს ზის ჯერ ისევ ძველი რუსეთი. ქვეშ დახეული ხალიჩა უგია. წინ დამტვრეული ჯამი უდ-

გას ქაშით. აქვს ცარიელი სკივრი, სავსე სატკივრით. ამ სიცივეში საწყალს არ აქვს ქვეშსაგები, მისთვის ბალიში არ არსებობს და არც საბანი, მხოლოდ თოვლია მისი ბუმბული ქარში, თოვლ-ჭყ-აპში ამონუმული სანთელი დიდი ხანია გაუქრო ქარმა. ზურგზე ჰკიდია ტომარა, ხელში ცარიელი დოქი, ქამრის მაგიერ თოკი. წელზე ჰკიდია ქვაბი და გატეხილი ტაშტი, წასული დროის ნაშთი. ხელში უჭირავს ჯოხი, თავზე ახურავს გობი – ყოველივე ამის შესახებ შემდეგ მოვა ვილაც, რომელიც რომანებს დაღვრის ჩაფებით, ის იტყვის: უზარმაზარი ბოქლომი დაადო რუსეთს მონობამ, გასაღები ხალხმა იპოვა. მეფემ უმძიმესი ურდულით გამოხურა რუსეთის კარები. მისი სკიპტრა ახლაც მიყუდებულია რომელიღაც მუზეუმში – ხალხმა ამოიღო კვესი, მონახა აბედი, გაჰკრა კვესს, მაშინ, როდესაც პირსახოცით მხარზე და ხელში სავარცხლით წყაროსკენ მიმღეროდა ფეოდალობა“.

გალაკტიონის უბის წიგნაკში აღმოჩნდა 1948 წელს დაწერილი სიუჟეტური სატირული ლექსი. ამ ლექსის დედააზრი ალეგორიულად შეიცავს პროტესტს არსებული რეჟიმისადმი და, ალბათ, ესეც იყო მიზეზი იმისა, რომ გალაკტიონს იგი არც ერთ კრებულში არ შეუტანია:

თევზმა თევზს უთხრა;  
რა გითხრა, იცი,  
დაიძარ ცოტა  
იქით მიიწი.  
მან უპასუხა:  
– სად წავალ, აბა,  
ვიხრაკებითო  
ორივ ერთ ტაფას.

იუმორისა და ირონიის ადგილს საუკუნის პოეზიის მეტრის ცხოვრებასა და შემოქმედებაში ყველაზე უკეთ თვით გალაკტიონის ლექსი – ავტოპორტრეტი მიუთითებს:

შენს თეთრ შუბლზე თვით გენიის  
ზეციური მირონია,  
მხოლოდ ბაგის კუთხეში კრთის  
ღვთაებრივი ირონია.

ზღვაებრ დიდი, ვრცელი გრძნობა  
მწუხარებას შვენის მარტოს,  
სახის შენის გამოცნობა  
ძალუძს მხოლოდ ლეონარდოს.

გალაკტიონის სწორუპოვარი ლირიკა ტრადიციულად სამ მოტივად განიხილება: **სიმბოლიზმისა და მისტიციზმის მოტივები** („თოვლი“, „უდაბნო“, „მე და ღამე“, „შავი ყორანი“, „ლურჯა ცხენები“, „მთანმინდის მთვარე“, „შემოდგომის დღე“, „სად?“, „რომელი საათია?“, „ატმის ყვავილები“, „შემოდგომის ფრაგმენტი“, „ათოვდა ზამთრის ბალებს“, „ატმის რტოო, დაღალულო რტოო“, „ეფემერა“, „სალაჟვარდე ანუ ვარდი სილაში“, „შემოდგომა უამნკო ჩასახების მამათა სავანეში“, „ანგელოზს ეჭირა გრძელი პერგამენტი“, „მას გახელილი დარჩა თვალები, როგორ ებრძოდნენ ზარებს ზარები...“), **პატრიოტული ლირიკა** („ჰე, მამულო“, „გურიის მთები“, „მშობლიურო, ჩემო მინავ“, „წერილი მეგობრებისადმი“, „ნამყე ბეთანიისაკენ“, „სადღეგრძელო იყოს მისი“, „სამშობლო“, „ქებათა ქება ნიკორწმინდას“, „ასპინძა“, „მესხის გამოხედვა“, „მამულო სიცოცხლე“, „ეს მშობლიური ქარი“, „მშობლიური ეფემერა...“) და **სატრფიალო ლირიკა** („მერი“, „უსიყვარულოდ“, „მე მოვალ“, რაც უფრო შორს ხარ, „ისევ ეფემერა“, „ცამეტი წლის ხარ“, „მზეო თიბათვისა“, „მოვა, მაგრამ როდის?“, „მესაფლავე“, „გაგონდება თუ არა“, „ღვინოს დააბრალებენ“, „წინანდალეული ნათელი“, „რა დროს რომანსეროა“, „ქარი ჰქრის“, „ქალავ“, „მაინც დავიმსახურე“...).

გენიოსი ვერასოდეს თავსდება რომელიმე „იზმის“ პროკრუსტეს სარეცელზე.

გალაკტიონთანაც ყოველგვარი კლასიფიკაცია ლიტერატურულ სკოლასთან თუ რომელიმე მოტივთან მისი თანაზიარობის დასამტკიცებლად, პირობითია.

სიმბოლისტურად მიჩნეული გალაკტიონის ლექსები ბოლომდე არ არიან სიმბოლისტურნი, ამ სკოლის ჩამოყალიბებულ კრიტერიუმებს ბოლომდე ვერ აკმაყოფილებენ.

ასევე ნებისმიერ ლექსში, როცა მას რომელიმე მოტივს აკუთვნებ, შეიძლება აღმოჩნდეს სხვა თემისა და პრობლემის ნიუანსებიც...

ასე რომ, ვფიქრობ, გალაკტიონის შემოქმედების მოტივებად დაყოფაც სახიფათოა ისე, როგორც „ეფემერის“ ავტორის შემოქმედებაში ორი პერიოდის აშკარად ხელოვნური ძიება.

\* \* \*

გალაკტიონი ოცზე მეტი პოემის ავტორია. მათგან **„საბედისწერო ფიქრი“** და **„თასი“** პირველად პოეტის თხზულებათა თორმეტტომეულში გამოქვეყნდა, ორი პოემა: **„ალვის ხეები“** და **ძველი კოშკი“** დაკარგულია. სამი პოემა: **„ეპოქა“**, **„პაციფიზმი“** და **„რევოლუციური საქართველო“** პოეტმა სიცოცხლეშივე დაშალა ლექსთა ციკლებად, დაიწყო ტრადიციული, სიუჟეტური პოემებით, მერე პოემის ჟანრში დაუცხრომელმა ძიებამ ლირიკულ **„ჯონ რიდამდე“** მიიყვანა, თუმცა **„ჯონ რიდის“** შემდეგაც დაუბრუნდა ეპიკურ, სიუჟეტური პოემებს (**„აკაკი წერეთელი“**, **„მშვიდობის წიგნი“**, **„ამირანი“**, **„ძლეული სენი“**, **„ამბავი ერთი ღამისა“**, **„ქიტესა“**, **„სინათლის ყვავილი“**), გარდაცვალებამდე რამდენიმე წლით ადრე გალაკტიონმა დაწერა ლირიკული პოემა **„საუბარი ლირიკის შესახებ“**, რომელშიც ფაქტიურად პოეტის „არს პოეტიკაა“ გადმოცემული (არსებობს ამ პოემის პროზაული ვარიანტიც).

მრავალფეროვანია გალაკტიონის პოემების თემატიკა. თავისი მასშტაბურობით და პორბლემათა მრავალგვარობით, პოეტის ეპიკური მემკვიდრეობა ნათლად წარმოგვიდგენს თავისი ეპოქის საჭირობოროტო საკითხებზე ღრმად დაფიქრებულ პოეტ-ტრიბუნს.

...და მაინც, გალაკტიონ ტაბიძემ ვერ მოახერხა პოემა თავისი მცირეფორმიანი ლირიკული შედეგებისთვის გვერდით ამოეყენებინა. პოეტს ეპიკური სუნთქვა აშკარად არ ჰყოფნის. ამ პოემათა მეტ-ნაკლები მხატვრული ნათება საფუძველს გვაძლევს იმისათვის, რომ „მერის“ ავტორის გენიალობის საბუთი ისევ მის ბრწყინვალე ლექსებში ვეძებოთ.

\* \* \*

გალაკტიონის ერთ უკანასკნელ ლექსში წერია:

საღამოთი ნაცნობ შარით  
შენ სახლისკენ გასწევ ნელა  
და შეკრთები ერთი წამით –  
შენს ფანჯრებში ისევ ბნელა.

ყოველგვარი გაჭირვება ვადა...  
არ ემჩნევა ფანჯრებს ნთება,  
თითქოს ვილაც ნავიდა და  
არასოდეს დაბრუნდება.

ლოდინით, მარტოობით დაღლილი მოხუცი, რომლისთვისაც  
„ყოველგვარი გაჭირვება ვადა“, თავის ჩამქრალ ფანჯარას შეჰყურებს  
და სამუდამოდ ნასულზე ფიქრობს.

ამ ფიქრიდან ერთი ნაბიჯია სასონარკვეთამდე.

„რა ჰქნა?“ – ეს კითხვა ანუხებდა დიდსა და პატარას გალაკ-  
ტიონის სიკვდილის დღეს.

მურმან ლებანიძემ კინოკადრის სიზუსტით დაიჭირა „მერის“  
ავტორის უცნაური სიკვდილით გამოწვეული გაურკვეველობა თვით  
ქართველ მწერალთა შორისაც:

კონსტანტინე ბატონთან ლეონიძეც იქ იდგა.

„რა ჰქნა?“ – უმისამართოდ ჩიქოვანმა იკითხა.

„რა ჰქნა? – ახლა ირაკლიმ თქვა და თავი დახარა, –  
იმ დღეს ავად მენიშნა ეს ამდენი ჭალარა.“

სიკვდილით კიდევ ერთი კითხვის ნიშანი დაუსვა ჩვეულებრივ  
მოკვდავთათვის ძნელად ჩასანვდომ თავის სიცოცხლეს და შემო-  
ქმედებას.

თითქოს მისებურად, ეშმაკურად გაგვეხუმრა სიკვდილითაც კი.

ერთი თვის წინ რადიოში თავის ყველაზე პათეტიურ, ოპტი-  
მისტურ ლექსებს გვიკითხავდა სიცოცხლით, იუმორით, იმედით  
სავსე (ასეთი ჩანდა ერთი შეხედვით). გალაკტიონისაგან თვითმკვ-  
ლელობა დაუჯერებელიც კი ჩანდა.

„რა ჰქნა?“ – ეს კითხვა მაშინ სრულიად ბუნებრივი კითხვა  
იყო, მაგრამ ახლა, როცა გალაკტიონის უკანასკნელ ლექსებს  
ვფურცლავ, მე ცხადად ვხედავ, როგორ მზადდებოდა ამ დიდი  
სიცოცხლის დასასრული, საუკუნის მოხუცის მიმავალი ნაბიჯების  
ხმა მკაფიოდ ჩამესმის.

იშვიათზე იშვიათია თავის სიცოცხლეში ბოლომდე შეცნობილი  
შემოქმედი.

მიზეზი ამისა მარტივია; პოეტის პიროვნება თავისი ხასიათით,  
ჭირვეულობით, უცნაურობებით (თუნდაც მხოლოდ ის, რომ ჩვენ-

სავით იცვამს და ჩვენს შორის დააბიჯებს) ხშირად ხელს გვიშლის,  
უცდომელი კავშირი დავამყაროთ ადამიანსა და მის მიერ შექმ-  
ნილს შორის.

რა დასამალია, და ბევრი დიდი პოეტის მსგავსად გალაკტიონ-  
იც არ იყო სიცოცხლეში ბოლომდე ნაკითხული.

მისი მეფური გონება გრძნობდა ამ ზღვარს: „ნეტა, როგორ  
ხდება ასეთ სიბნელეში, შენ ცას რომ ანათებ და შენ ვერვინ გხე-  
დავს და შენ ვერ უგრძნობხარ, ო, რა მიზეზია, ნეტა გაცოდინა  
ასეთ დაბრმავების, გასაოცარია, ძლიერ, მეტისმეტად“.

ამ ფიქრიდან კი ერთი ნაბიჯია სასონარკვეთამდე.

სიცოცხლის მიმწუხრს დაწერილ ლექსებში ხშირად ისმის  
„მოახლოვებული ორთქმავლის გუგუნი“, „სახლიდან გასვლის და  
არდაბრუნების“, „ჩამავალ მზის“ მწუხარე ჰანგები:

ო, ფიქრებო, მსვლელნო ტაძრად,

ო, ქცეულნო მტვრად და ნაცრად,

რად მიჰყვებით ასე მკაცრად

ჩამავალ მზეს, ჩამავალს.

პოეტი, თითქოსდა, ისევ უბრუნდება ყრმობის გარდასულ ხილ-  
ვებს, ისევ გაისმის ლექსში სასაფლაოსა და სიკვდილის რექვიემი:

როგორ გაცივდა თქვენი ოცნება

როგორ დამშვიდდა თქვენი ქაფნება,

თქვენი მზე აღარ დაიკოცნება,

თქვენი მზე აღარ დაიდაფნება.

სამარე მძიმე თქვენი სულისა,

მხოლოდ სიცივით არის მდიდარი,

არც მოგონება სიხარულისა

არც წარწერები არავითარი.

ნახეთ, როგორ მოაბიჯებს იდუმალების ტაძარში წუთისოფლის  
გზებზე დაღლილი ლირიკული გმირი ყვითელი (მწუხარების ფერი)  
ყვავილებით ხელში:

მე მომაქვს, მე მომაქვს ყვითელი სანთლები,  
ყვითელი ვარდების ლივლივი ელვარე,  
ყვითელი ფოთლების ოცნება მღელვარე,  
ავანთებ ჩირალდნებს და ლოცვად დავდგები.

ოსანა, სად არის ყვითელი ვარდები?  
რად ჩაქრა სიმღერა, სიმღერა მჩქეფარე?  
მე მომაქვს ყვითელი ვარდები ელვარე,  
მე მომაქვს, მე მომაქვს ყვითელი ვარდები.

ამაოების ამ განცდიდან, მოახლოებული აღსასრულის ამ ტკივი-  
ლიდან კი ერთი ნაბიჯია სასონარკვეთამდე.

ჩვენი საუკუნის სამოციანი წლები ისტორიაში შევა, როგორც  
მნიშვნელოვანი გარდატეხის წელი ადამიანის ფსიქიკაში, ბევრი  
შემოქმედისათვის ერთბაშად გახდა ცნობილი, რომ მისი ნაწერების  
საკმაოდ მოზრდილი ნაწილი პანეგირიკის ხელოვნურ ყვავილებს  
წარმოადგენს და დროის უღმობელი ჩრდილი მალე გამოხრავს.  
ყოველ შემთხვევაში, თვით ეპოქამ ბევრი რამ ახლებურად წარმო-  
აჩინა. ურატენტუზიანობით, ყალბი რომანტიკით (რითაც ზოგი მწ-  
ერალიც ასე უხვად საზრდოობდა) ძველებურად ცხოვრება აღარ  
შეიძლება.

გალაკტიონის მელანქოლიას ღრმა სოციალური ფესვებიც  
გააჩნია.

ქვეყანა გაცვდა ვით ძველი გროში,  
უდაბურებად იქცა სოფელი,  
ნუ გაოცდები, რომ ასეთ დროში  
მცირე ბედისაც ვარ მადლობელი.

...ვით შეიძლება იქნე ლამაზი,  
როცა სიტლანქე მოდის მგმობელი!  
დროა, დავტოვო ფიქრი ამაზე  
მკაცრი ბედისაც ვარ მადლობელი.

გალაკტიონმა სიცოცხლეშივე მოიპოვა კლასიკოსის სახელი.  
იგი XX საუკუნის ქართული პოეზიის სათავესთან დგას, შექმნილი  
აქვს „ლურჯა ცხენები“ და „მთანმინდის მთვარე“, დაწერილი აქვს

„ეპოქა“ და მაინც უკმარისობის გრძნობა, რაც ყველა ჭეშმარიტი  
შემოქმედის თვისებაა, სიცოცხლის ბოლო წლებში გალაკტიონ-  
ისთვისაც არ არის უცხო:

წარსულთა დღეთა ენამჭევრობავ,  
გაფრენავ ქორის,  
რამდენი დარჩა გაუგებრობა  
ჩემს და შენს შორის.

„გაუგებრობათა“ ერთ წყებას პოეტი აშკარა შეცდომებად ნათ-  
ლავს:

ნეტავ, ხელახლა ჩამსვა იმ ნავში,  
რა სიღიადეს მივსცემდი შრომას,  
არ დავუშვებდი ამდენ შეცდომას,  
დამანყებინა ოლონდ ხელახლა.

მაგრამ დროის უღმობელი ცელი თავისას მიიქნევს. რუსთაველ-  
ზე მოაბიჯებს წვეროსანი პოეტი თავისი დიდი ცისფერი წიგნით  
ხელში, თავისი სიმალლისა და პირველობის შესანიშნავი მცოდნე.

ცხოვრების წიგნის ზოგ სტრიქონს რომ ჩახედავს, სინანულით  
ჩაიღიმებს: „დრო აღარ დარჩა, რომ ახალი იწყო ცხოვრება“.

ძნელი ამოსაცნობი როდია, რატომ ლაპარაკობს მრავალბრძო-  
ლაგადატანილი უკვე გაღმა, უკვდავების სამუდამო ნაპირზე გა-  
სული გალაკტიონი რწმენის დაკარგვაზე:

შემოქმედებავ, აზრო, გონებავ,  
უბრალოებათ წარსულთა წამთა,  
ის აღარა მწამს, რაც წინათ მწამდა,  
როდემდე ვივლით ასეთ ტკივილით?

არა, ეს მარტო სიბერის ტკივილი არ არის, პოეტს, რომელმაც  
დაწერა: „სიკვდილის გზა არრა არის ვარდისფერ გზის გარდაო“,  
ძუ მგელივით მომხტარი სიბერეც ვერ შეაშინებდა, გალაკტიონის  
სევდას, მისტიკის და ცრემლის ადრეულ პოეზიასთან მის დაბ-  
რუნებას სამოციანი წლებში კომპლექსური მიზეზები განაპირო-  
ბებდა. მათ შორის იქნებ სამედიცინო დასკვნებიც მოვიშველიოთ,



იქნებ მარტოკაცის განცდებიც, იქნებ სიბერისა და დაძაბუნების შიში და მაინც რატომ გაისმის „ჯონ რიდის“ ავტორის ხმაში ასე უღმერთოდ რწმენის დაკარგვის საგანგაში ზარი?


მაგრამ ეს დღე დღევანდელი  
გულს დაანვა მსგავსად ლოდის,  
რწმენაც ჩაჰქრა, ვით კანდელი  
და მოელო ბოლო ლოდინს.

რწმენის ჩაქრობიდან კი, მოგეხსენებათ, ერთი ნაბიჯია სასო-  
ნარკვეთამდე.

და ის ერთი ნაბიჯიც გადაიდგა.

გალაკტიონის ჯიუტი ნება იყო დირიჟორი აქაც.

როგორც ჩანს, თვით არ ისურვა ძალანართმეული, რწმენაშ-  
ერყეული, საპყარი გალაკტიონი ენახა საქართველოს.



## პოლიკარპე კაკაბაძე (1893 – 1972)

პოლიკარპე კაკაბაძის დრამატულმა ქმნილებებმა ახალი თე-  
მებით და პრობლემებით გაამდიდრეს ქართული მწერლობა, ხოლო  
„ყვარყვარე თუთაბერმა“ მთელი ეპოქა შექმნა ქართული თეატრის  
განვითარებაში. ყვარყვარე მეოცე საუკუნის იმ თითზე ჩამოსათვ-  
ლელ კლასიკურ ლიტერატურულ ტიპთა შორის ნათობს, ქართულ  
მწერლობას და ხელოვნებას მსოფლიო რეზონანსი რომ შესძინეს.

პოლიკარპე მალხაზის ძე კაკაბაძე დაიბადა 1893 წელს ხონში.  
ბავშვობა ბათუმში გაატარა. სწავლა ბათუმის გიმნაზიაში დაიწყო  
და ქუთაისის გიმნაზიაში გააგრძელა. თვრამეტი არ შესრულებო-  
და, ოჯახი თბილისში რომ გადავიდა საცხოვრებლად და მერე პო-  
ლიკარპე კაკაბაძის მთელი სამწერლო-საზოგადოებრივი ცხოვრე-  
ბა თბილისში ჩატარდა. გარდაიცვალა 1972 წელს. დაკრძალულია  
დიდუბის პანთეონში.

რაკი პოლიკარპე კაკაბაძის შემოქმედების მწვერვალს (თუ სა-  
ერთოდ ქართული დრამატურგიის არა) „ყვარყვარე თუთაბერი“  
წარმოადგენს, ჩვენც საუბარი ამ პიესით დავიწყოთ. იგი 1929  
წელს დაიწერა და მალე ბრწყინვალედ დადგა კოტე მარჯანიშვილ-  
მა. ლამის ოთხმოცი წელია გრძელდება „ყვარყვარე თუთაბერის“

სვლა ქართული თეატრის სცენაზე. რუსთაველის და მარჯანიშვილის თეატრების გარდა, პიესა მეტ-ნაკლები წარმატებით თითქმის ყველა თეატრში დაიდგა. ამ ტრიუმფის საიდუმლო ის გახლავთ, რომ „ყვარყვარე თუთაბერში“ დასმული პრობლემა ერთი რომელიმე ლოკალური დროის ფარგლებში არ თავსდება. გააზნაურებული მდაბიო, გარემოების წყალობით აღზევებული უღირსი, კაცი არა თავის ადგილზე... მარადიულად ანუხებს კაცობრიობას და ცხოვრების ნორმალურად მონყობაში ხელს უშლის. „ყვარყვარე თუთაბერის“ ყოველი პრემიერიდან მაყურებელი იმ ფიქრით გამოდის, რომ პიესა სწორედ დღევანდელ დღეზე, მის ცხოვრებაზეა დაწერილი და უყოყმანოდ დაგისახლებთ კიდეც, ხელისუფლებაში დღეს მოკალათებულ არაერთ ყვარყვარეს. ასე რომ, ყვარყვარე არ ბერდება ისე, როგორც – ყვარყვარიზმი საერთოდ. ჩვენს პოლიტიკაშიც კი დამკვიდრდა ყვარყვარიზმის ცნება არაპროფესიონალიზმის, უვიცობის, ბედის მაძიებელი ავანტიურისტის, მეტიჩარა, ამბიციური, ცრულიდერის დასახსიათებლად. მართალია, ყვარყვარეს ისე, როგორც ილიამ ლუარსაბ თათქარიძეს, პირველმა პოლიკარპე კაკაბაძემ ჩასჭიდა ხელი და ცხოვრების სამსჯავროზე გამოტანით უკვდავება მიანიჭა, მაგრამ ყვარყვარეს, რასაკვირველია, წინაპრები ჰყავდა (ოლონდ არა ლიტერატურაში, – ისტორიაში), ხოლო მეოცე საუკუნის ქართული მწერლობის ლიტერატურულ პერსონაჟთაგან, როგორც სწორად შენიშნა უახლესი ქართული ლიტერატურის ცნობილმა მკვლევარმა ავთ. ნიკოლეიშვილმა, ყვარყვარე ჰგავს მ. ჯავახიშვილის ტიპებს – ჯაყოს, დამპატიყეს და კვაჭი კვაჭანტირაძეს (ავთანდილ ნიკოლეიშვილი, XX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიის ნარკვევები, ქუთაისი, 1997).

ზოგიერთებს ყვარყვარე თუთაბერის ძირითადი პრობლემა ცალმხრივად, მარტივად ესმით. თითქოსდა, მწერალმა ამ პიესით ამხილა ყვარყვარე – შემთხვევითი კაცი, აღზევებული გაიძვერა და მეტი არაფერი. ნაწარმოებს გაცილებით უფრო ფართო სოციალურ-პოლიტიკური დანიშნულება აქვს. ყვარყვარე თუთაბერის გენიალური სახის შექმნით პოლიკარპე კაკაბაძემ, უპირველეს ყოვლისა, გააკრიტიკა ის საზოგადოება, ის ისტორიული ვითარება, სადაც შეიძლება ყვარყვარიზმი განვითარდეს. ასე რომ, ამაოდ უკრავდ-

ნენ ტაშს ლოყის სიღრმეში მიმჯდარი ცეკას მდივნები სპექტაკლს, ჩვენ რა გვენალვლება, მოქმედება თებერვლის რევოლუციის წინა დღეებში მიმდინარეობსო. სინამდვილეში ყვარყვარე თუთაბერის აღზევება სწორედ რომ რევოლუციის შემდეგ მოხდა. სანამ მეფეს ჩამოაგდებდნენ, თუთაბერი ერთი საცოდავი ნაცარქექია იყო, სწორედ, რომ თებერვლის შემდგომ ამღვრეულ წყალში დაიჭირა ყვარყვარე თუთაბერმა თევზი. მისი პარპაში მუშურ-გლეხური ხელისუფლების დადგომას მოჰყვა., ყვარყვარემ წარმატებით გაიარა მენშევიკების მმართველობის ხანა და ბოლშევიკური ქურქიც მშვენივრად მოირგო. ასე რომ, ყვარყვარე თუთაბერი – გაფრთხილებაა, იგი მწერლის მკვახე შეძახილია მომავალი თაობებისათვის: განსაკუთრებით დიდი ისტორიული კატაკლიზმების დროს გამართებთ ყურადღების გაფაციცება. ე, მანდ, სადმე ყვარყვარე თუთაბერი არ შემოგეპაროთო. ყვარყვარე მასათა ბრძოლის შედეგად მოპოვებულ სიკეთეს უსირცხვილოდ დაეპატრონა და მერე სწორედ რევოლუციის შემოქმედ ხალხს მოაჯდა კისერზე ახალი ჯურის ნურბელად.

მივყვეთ ყვარყვარეს ნაბიჯებს.

პიესა იმით იწყება, რომ ყვარყვარე თუთაბერი წისქვილში ჩამქრალ შუაცეცხლთან ზის და ნაცარში ქექვით ერთობა. იქვე მენისქვილე ფუსფუსებს. მენისქვილის ნათქვამიდან ჩანს, რომ მას უკვე მოსწყინდა ეს შეკედლებული მუქთამჭამელი, შეშის დაჩხვავაშიც რომ არ ეხმარება და მისი ქალიშვილის შემწეობით (რომელიც სადაცაა გამოჩნდება) გაგდებას უპირებს. მართლაც, მალე გამოჩნდებიან მენისქვილის ქალიშვილი გულთამზე და რევოლუციონერი სევასტი, მათ ფეხდაფეხ საიდუმლო პოლიციის აგენტები მოსდევენ. პოლიციელებმა წისქვილის კარი შემოგლიჯეს. ყვარყვარე გადაცმულ რევოლუციონერად მიიჩნიეს, გაკოჭეს და მიუხედავად წუნუნისა, მე არ ვარ ის კაცი, თქვენ რომ ეძებთო, თან წაიყვანეს. გამოძიებელი დაბეჯითებით ურჩევს ყვარყვარეს, ყველაფერი აღიაროს და აღიარების შემთხვევაში იმდენ პატივს სცემს, რომ ჩამოხრჩობას დახვრეტით შეუცვლის. დაკითხვის დროს პეტროგრადიდან გამოგზავნილი დეპუტა შემოაქვთ. დეპუტა მეფის გადადგომას იუნყება. ყველაფერი თავდაყირა დადგა. გენერალი, პოლკოვნიკი, პოდპოლკოვნიკი და საიდუმლო პოლიციის

მთელი შტაბი „ცნობილ რევოლუციონერს“ ფეხქვეშ ეგება, რომ მოიღოს მონყალება და შეიბრალოს. ყვარყვარეს ჯერ ჩამოხრჩობისნინა თვალთმაქცობა ეგონა, მერე კი მიხვდა, რამ აუნვათ კუჭი პოლიციელებს, ნელში გაიმართა და რევოლუციონერობა შეიშნო. ამასობაში მიტინგზე უხმეს. ყვარყვარე ასეთ „მარტივ“, მაგრამ „მგზნებარე“ სიტყვას ამბობს:

„სიტყვა გითხრათ? რა ღირსი ხართ, თორემ სულ წყალივით ვილაპარაკებ. ვინც შრომობდა, მდიდარი ატყავებდა. იყვნენ ბრმები, მაგრამ გათენდა! გადასახადებს აწესებდით ჩემი სახრჩობელის წინ ღიპით ძირმომპალ ტახტზე, მაგრამ გაიმარჯვებთ სიმართლე და ხალხი შურისძიებით და ხელებით, და ფრჩხილებით, და კბილებით!.. უსაძირკვლო ჯალათებო! ციხის კედლები სულ დაიმსხვრა, ახლა რას მიპასუხებთ, მტარვალებო!“

და დაიწყო თვითმარქვია რევოლუციონერის ტრიუმფი.

...დროებითი მთავრობის ამიერკავკასიის რწმუნებულთან მაზრის კომისარი ტიტე ნატუტარი შედის და მაგიდაზე მანდატს უდებს.

„რწმუნებული – რას მაძლევ?“

ტიტე – თქვენი მოცემული მანდატია.

რწმუნებული – ეს ქალაქის ნაფლეთია, მე კი თქვენ მაზრა ჩაგაბარეთ“.

და მაშინ, როცა მაზრის კომისარს თავის გაბოლშევიკებულ მაზრაში დაბრუნებაზე ლაპარაკიც არ უნდა, რწმუნებულს შეატყობინებენ, რომ ქალაქისკენ რუსეთ-თურქეთის ომიდან მობრუნებული ჯარი მოემართება, რომელსაც ლეგენდარული ყვარყვარე თუთაბერი ხელმძღვანელობს. დროებით მთავრობას იმედი მიეცა. ათი-ათასკაციანი რკინისებური დისციპლინის მქონე ჯარი ხუმრობა არ არის. დაიწყო ქებათაქების ნიაღვარი ყვარყვარე თუთაბერის მიმართ. ყვარყვარე შეიარაღებული ჯარების სარდლად დანიშნეს. ტიტე ნატუტარი „ახლავე მზად არის დაჯდეს და დახუჭული თვალით დაწეროს ბედნიერი სახელმწიფოს სრული კონსტიტუცია“. ხოლო, როცა „ბრბოსაგან“ შეწუხებულმა „ხელისუფლებამ“ ყვარყვარეს თავისი ათიათასკაციანი არმიიდან წესრიგის დასამყარებლად ერთი ასეულის გამოყვანა მოსთხოვა:

„ყვარყვარე (ტიტეს) – კაცო, უთენია, რომ დამეცი თავზე, ამ ქვეყნის მთავრობა ვარო, ახლა ერთი ასეულიც არა გყავთ?“

ტიტე (შეძვრება მაგიდის ქვეშ) – შემოდი!

ყვარყვარე – კაცს ქვეყანას მპირდებოდი და ახლა მანდ მაძვრენ?“

სინამდვილეში „სახალხო გმირს“ არავითარი ლაშქარი არა ჰყავს და არც ჰყოლია. იგი შემთხვევით ფრონტიდან გამოქცეული დემორალიზებული ლაშქრის სათავეში მოექცა. ამ ლაშქრიდან ზოგმა თავის კერას მიაშურა, ზოგი გაყაჩაღდა, ერთი ნაწილი გაბოლშევიკდა და ყვარყვარე პანლურისცემით მოისროლა

ჯარიდან და რწმუნებულის რეზიდენციიდან გამოგდებულმა ყვარყვარე თუთაბერმა ფარ-ხმალი არ დაყარა და კარიერის კიბეზე კი კიდევ ერთხელ სცადა აბობლება: რომელიღაც რევკომში რევკომის თავმჯდომარის მოადგილედ მოენყო.

„აი, ყვარყვარეს „ხელმძღვანელობის მეთოდები“,

„ყვარყვარე – ხალხი თავის მტერია. თუ არ მოწყემსე, უჭკუო საქონელივით ხრამში გადავარდება. თუ შნო გაქვს, ჯოხს თვითონ მოგცემს, ოღონდ ძალიან ჭკვიანად უნდა დაარტყა (შემოდის პირველი რაზმელი).

პირველი რაზმელი – ამდენი ხალხი ერთ სარდაფში არ ეტევა!

ყვარყვარე – კარი ხომ მიუხურე?

პირველი რაზმელი – როგორ არა!

ყვარყვარე – მაშ დატეულან და ეგ არი“.

პირველი რაზმელი – სასუნთქავ ფანჯარას მაინც გავუღებ, თორემ სულს ვერ ითქვამენ.

ყვარყვარე – მერე იქიდან რომ გადმოცოცდნენ? არა, მიხურე.

პირველი რაზმელი — ვინც სუსტი გულისაა, იმ სარდაფში მოკვდება.

ყვარყვარე – სუსტი გულის პატრონი პროლეტარიატს რად უნდა. მეტ ტვირთად დაანვება. ახლა ეს მითხარი, გინდა პორლეტარიატი რომ შეწუხდეს?

პირველი რაზმელი – არ მინდა.

ყვარყვარე – აბა, დადექი შენს ადგილზე.

ყვარყვარემ უყოყმანოდ დააპატიმრა თავისი მეზობლები და ბავშვობის მეგობრები: ქუჩარა და კაკუტა (ეს უკანასკნელი ახალშერთული ცოლით) იმის შიშით, რომ ისინი სიმართლეს იტყოდნენ „რევოლუციის გმირის“ ნაცარქექიული წარსულის შესახებ.

ყვარყვარე თუთაბერის კაბინეტში ქალი შედის. რევეკომის თავ-  
მჯდომარის მოადგილეს თვალში მოუვიდა ფერ-ხორციანი ქალი.

„ქალი – მე გთხოვთ, გაათავისუფლოთ ერთი უსამართლოდ  
შეპყრობილი ადამიანი.

ყვარყვარე – შეიძლება.

ქალი – ოჰ, როგორ მადლობელი ვარ, სულ უდანაშაულოა.

ყვარყვარე – ვინ არის, ბრძანეთ და ამ წუთში გავათავისუფ-  
ლებ. ის კი არა, სული რომ მთხოვოთ, ამ ყელიდან ამოვიღებ და  
მოგცემ (უახლოვდება ქალს).

ქალი – ის ჩემი ქმარია (ქალი უკან დაიხევს).

ყვარყვარე – ქმარიო? ეს სხვა საქმეა, ის დიდი დამნაშავეა. მე  
ახლა კანონს ფეხს ვერ გადავადგამ იმისთანა კონტრრევოლუციო-  
ნერის გულისათვის.

ქალი – რას ბრძანებთ, სულ მთლად მართალია.

ყვარყვარე – ვითომ არ გყოლიათ, უნდა დაივიწყოთ.

ქალი – ვინ დავივიწყო, შე მხეცო?! ქმარი დავივიწყო?!“

ბოლოს მაინც იცნეს ყვარყვარე. ნილაბი ჩამოგლიჯეს და მისი  
ნამდვილი სახე გამოაშკარავეს. რევოლუციონერი სევასტი ამხელს  
მას:

„ – მეფის დროს ჩემს მაგივრად დაიჭირეს და ამ შემთხვევის  
წყალობით თავი გაუსაღებია რევოლუციონერად!“

ყვარყვარე შეიპყრეს და როგორც „ჭკუანაკლები“ გაათავი-  
სუფლეს.

ამ დიდებულ პიესაში ფინალი მოიკოჭლებს. იგი პათეტიურ-  
დეკლარაციულია და ვერ დგას პიესის სხვა სცენების სიმალეზე.  
აშკარად ჩანს, რომ ავტორს კომუნისტური იმპერიის მძვინვარების  
ხანაში ეს ფინალი ხელისუფლების და მკაცრი ცენზურის თვალის  
ასახვევად სჭირდება. სევასტი ამბობს:

„ – საბჭოთა ხელისუფლების პირობებში ეს ადამიანი არავი-  
თარ საშიშროებას არ წარმოადგენს და ამიტომ ვათავისუფლებთ...  
მხოლოდ იმ ხელისუფლებაში, რომელიც აქ ჩვენამდე, ნაჩქარევად  
შედგა იმ არეულობაში, შეეძლო ყვარყვარე თუთაბერს გმირის ად-  
გილი დაეჭირა და ხალხისთვის ვნება მიეყენებინა. ჩვენ კი, ახლა  
მას ნილაბი მოვხსენით და, დეე, თავისი ნამდვილი სახით, ნაცარ-  
ქექიას სახელით იაროს ქვეყანაზე!“

ნაცარქექია კი იმედს არც ახლა კარგავს:

„ – გული არ გაიტეხო, ყვარყვარე. დაილუპა ის, ვინც სირ-  
ცხვილით სოროში ჩაძვრა. მე კიდევ ავცოცდები!“

მართლაც, მერეც არაერთგზის „აცოცდა“ ყვარყვარე კარიე-  
რის კიბეზე. აცოცდა საბჭოთა იმპერიის „აყვავების დროს“, აც-  
ოცდა საქართველოს მეორე სამწლიანი თავისუფლების (1990-93)  
დროს და ახლაც გამოჩნდა ნეოკომუნისტურ საქართველოში.  
ყვარყვარის მიზნის წყალობითაა, ხალხს თვალში ნაცარს რომ აყრიან  
და რუსეთისგან ამ საუკუნეში ხელმეორედ დაპყრობილ ქვეყანას  
დამოუკიდებელ, დემოკრატიულ საქართველოდ რომ აცხადებენ.

ცდება სევასტი, როცა ამბობს: „მხოლოდ იმ ხელისუფლებაში“  
შეეძლო ყვარყვარე თუთაბერს გმირის ადგილი დაეჭირაო. არც  
ახალ (სოციალისტურ) ხელისუფლებაზეა პოლიკარპე კაკაბაძე  
იდეალური წარმოდგენის. პიესაში ამის დამადასტურებელი ფრა-  
ზები ცოტა როდია:

„ქუჩარა (კაკუტას) – ასეა. ხომ გესმის, სოციალისტები მარტო  
იმას თვლიან სიმართლედ, რასაც თვითონ ამბობენ“.

ვინ არიან ბოლშევიკები? თავისუფალი ძარცვის მხარდამჭერნი:

„ქუჩარა – აქ ბოლშევიკებმა იქადაგეს, რომ ეს მთავრობა ლა-  
რიბს ნებას არ აძლევს მდიდარი გაძარცვოსო. მთავრობა აგინეს“.

ვერც რკინის სტრატეგიით და პრინციპულობით გამოირჩევიან  
სოციალისტები:

„მდივანი – ამ სოციალისტების ამბავი მე მკითხე, კუდს ეშმაკ-  
საც გადაუსკვნიან“.

როცა მესიად მოვლენილ სოციალისტს, ყვარყვარე თუთაბერს,  
ტიტე ნატუტარი ურჩევს: „ეს დრო შენია და მოიხმარე, გეგმას მე  
მოგცემო“, ყვარყვარე მშვიდად პასუხობს:

„შენი გეგმა რად მინდა. როგორც არ უნდა შეიცვალოს მთავ-  
რობა, სულ ერთია, ვინც იქნება, თავი მე უნდა დამიკრას“ – ასე-  
თია „დარწმუნებული მარქსისტის“ ფილოსოფია.

მენშევიკები რომ ბოლშევიკებმა შეცვალეს, ყვარყვარე არ  
დაბნეულა, ახალ ვითარებაშიც გამოკრა ხელი თანამდებობას. ეგ  
არის, „ბოლშევიკურ ლაპარაკში უნდა განაფვა“ და მეტი არაფერი.

პოლიკარპე კაკაბაძის პირველი პიესა – „გზაჯვარედინზე“ –  
1918 წელს დაიდგა ბაქოში.

„გზაჯვარედინზე“ ნათლად ავლენს პოლიკარპე კაკაბაძის დამოკიდებულებას რევოლუციისადმი საერთოდ და სოციალ-დემოკრატიულ გადატრიალებისადმი, კერძოდ.

პიესის მთავარი პერსონაჟი, ბორისი, რომელმაც მთელი სიცოცხლე რევოლუციას შესწირა, თებერვლის რევოლუციის დროს სასიკვდილო სარეცელზე წევს და კარგად ხედავს, რომ მისი ბრძოლით მოპოვებული სიკეთე სხვას ერგო წილად. რევოლუციის მონაპოვარს მიტმასნილები და ანგარებიანი მედროვენი (შალინი) დაეპატრონენ. „ყვარყვარეს“ ტრადიცია შემთხვევითი ხალხის ხელისუფლებაში მოსვლისა – ამ პიესაშიც იგრძნობა.

ამავე პიეროდში დაწერილი პიესა, „სამი ასული“, მაყურებელს აქტიური მოქმედებისაკენ მოუწოდებს. ყოყმანისა და ორჭოფობის სავალალო შედეგებზე მიანიშნებს. სამი ასული ციხე-კოშკშია გამომწყვდეული. უსიხარულოდ რბიან ქალიშვილთა მოლოდინით აღსავსე დღეები. და აი, შუალამისას კოშკის კარებზე კაკუნის გაისმა. ვილაც ვაჟი მუდარით ითხოვს, გაუღონ კარი. ასულებს ჯერ შეეშინდებათ, მერე დიდი კამათისა და ჭოჭმანის შემდეგ გადანყვეტენ კარის გაღებას, მაგრამ უკვე გვიან არის. იდუმალი სტუმარი კარებთან მკვდარი წევს. იგი გაყინულია. პიესა თავისებურად სახარების ფრაზასაც ეხმიანება, მაცხოვრის მიერ თქმულს: „დაგიკაკუნეთ და არ გამიღეთ, გეძახდით და არ გამეცით ხმა...“

რუტინისა და ერთფეროვანი ცხოვრების იდილიას „სამი ასულის“ ფინალში მოახლოებული ლაშქრის გუგუნი არღვევს.

ოცდაათიან წლებში ქართული თეატრების რეპერტუარს ამშვენებდა კომედია „კოლმეურნის ქორწინება“. რეცენზენტები ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ იგი საკოლმეურნეო ცხოვრების სიკეთეზე დაწერილი პიესა იყო. დღევანდელი გადასახედიდან „კოლმეურნის ქორწინება“ უმეტესწილად პაროდიული ნაწარმოებია. ბევრი პასაჟი (და დიალოგიც) აშკარა დაცინვაა არა მარტო საკოლმეურნეო სინამდვილისა, არამედ იმ პათეტიკური პიესებისა, რომლებიც ოცდაათიან წლებში სოციალისტური სოფლისთვის ხოტბის შესასხმელად იწერებოდა. პიესას სახელიც პაროდიული აქვს – „კოლმეურნის ქორწინება“. მწერალი ირონიულად მიგვანიშნებს: ჩვეულებრივი ქორწინება არ გეგონოთ. სწორედ კოლმეურნის ქორწინებააო. ხოლო კოლმეურნის ქორწინება იმი-

თაა ორიგინალური, რომ ხიდობნის მოწინავე კოლმეურნე, გასათხოვარი ქალიშვილი გვირისტინე – კარგა ხანია თავისი პირადი საქმეებისათვის ვერ იცლის. მას მოხუცი მამის (ხახულის) მოსავლეადაც არა სცალია, ხოლო ოჯახში ყველაზე სასიხარულო ამბავი ის გახლავთ, რომ გვირისტინე სტახანოველთა შეკრების დელეგატადაა არჩეული. გვირისტინე საკუთარ ბედსაც ვერ განაგებს. მისი გათხოვების პრობლემაც განზოგადებულია. ხიდობანის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს, ჯამლეთს, თავზარი დაეცა, როცა ჭორი დაირხა, გვირისტინე მეზობელ სოფელ ბუქნარში თხოვდებაო. ბუქნარის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, ხარიტონი, კი სიხარულით ცას ეწია. რა ხდება? თურმე ნუ იტყვი, მოწინავე კოლმეურნის „დაკარგვით“ ხიდობნის „მზე ჩაესვენება“, სამაგიეროდ, ბუქნარის კოლმეურნეობა გვირისტინეს სახით „ვარსკვლავს“ შეიძენს და სოცშეჯიბრში დანიშნურდება... და არის საქორწინო ბაგირის გადაქაჩვა ხიდობანსა და ბუქნარს შორის. ასე „დიდება“ საკოლმეურნეო ყოფა. ასე წაართვა ინდივიდუალობა პიროვნებას სოციალისტურმა აღმშენებლობამ. ნამოჯამაგირალი ხახული ნაბატონარ მანუჩარს ქალიშვილის რძლად მიცემაზე მტკიცე უარს ეუბნება. მიზეზი? „ჩემი ქალი ორდენოსანია, შენი კი სტახანოველიც არ არის“.

1954 წელს პოლიკარპე კაკაბაძემ ისტორიულ თემაზე შექმნა პიესა „კახაბრის ხმალი“ (თავდაპირველად მას „დავით მერვე“ ერქვა). პატრიოტული ჟღერადობის ეს ნაწარმოები მეთოთხმეტე საუკუნის პირველ ნახევარს, ე. ი. იმ ძნელბედით პერიოდს მოიცავს, საქართველო მონღოლთა ბატონობის ქვეშ რომ გმინავდა.

მე ვფიქრობ, რომ ისტორია აქ დრამატურგმა უპირატესად თანამედროვეობის ალეგორიად გამოიყენა. პოლიკარპე კაკაბაძეს სურს გვიჩვენოს, თუ რა ემართება დაპყრობილ ერს, როგორ ცდილობს მტერი მისი ძალების დაქსაქსვას და ხალხში თავისუფლების ნყურვილის ამოშანთვას. აქვე ხაზგასმულია, რა ევალება დაპყრობილი ქვეყნის მოქალაქეს უცხო ტომის კირთებისაგან თავის დასახსნელად. კომუნისტური ტირანიის მძვინვარების ეპოქაში ამაზე მინიშნებაც კი იოლი როდი გახლდათ, ამიტომ კარგა ხანს იდო „კახაბრის ხმალი“ ჩვენი თეატრების უჯრებში და მის დადგმას ვერავინ ბედავდა.

სახალხო გმირის, კახაბრის ხმალი პიესაში ხსნის, ერთიანობის, იმედის სიმბოლოა, ისე, როგორც გრაალის თასი გრიგოლ რობაქიძის რომანში „მცველნი გრაალისა“.

...ქვეყანა შიმშილს და სასონარკვეთას მოუცავს... გლეხის ქალი, გულქანი, თავის ქმარს, გოსტაშაბს, კარს არ უღებს, რადგანაც გოსტაშაბი ნაცარქეჩიაა ბოსტანში სამუშაოდ გაგზავნილი, ხელსაც არ ანძრევს სარჩო-საბადებელი რომ მოიპოვოს. უღარბებს ოჯახს შეჰკედლებია მოხუცი როსტომ ბრძენი, არც მას აქვს ხალხში გასვლის და ქვეყნის შველის სურვილი. შიმშობს „სახელი ერთიდან მეორისთვის გადასაცემად მჩატეა. ხორციელი კაცი კი ემძიმებათ. შარაზე დამაგდებენო“. ასეთ დროს სოფელში პატარა იმედი აკიაფდა. ლიპარიტე კი კოტემ გოსტაშაბს კახაბრის ხმალი შესთავაზა. გოსტაშაბმა იგი გამოსაცდელად ჯირკს დაჰკრა. ხმალი ჯირკს ისე ღრმად ჩაესო, რომ ამომღები არავინ ჩანს.

ლიპარიტე ასე პათეტიურად მიმართავს ღარიბ კერიასთან ჯირკში გაჩხერილ ხმალს; „რა ჟამი დგება? პატიოსანო ქართულო გორდა, ერის ცეცხლით გაჭედდილო, სად გდისხარ?... შენი სიმართლით მომერიე, მაგრძნობინე, რომ იმ რტოს ვჭრიდი, რომელზედაც ვიჯექი... მე ისე მწარედ ვიყარე შენზე ჯავრი, უკან დასახევი გზა აღარ მაქვს. ქარქაში გაგიყიდე, გაგიძარცვე და მურაში გადაგაგდე“.

პიესაში ჩანს, რომ ლალატი და ქიშპი, შინააშლილობაა ქვეყნის უბედურების თავი და თავი. ლალატით ჩააგდეს ორმოში გმირი კახაბერი და მისი ხმალი გაიტაცეს, ხოლო ძმის მოლალატე ბაგრატ ხანი თათრებს (მონღოლებს) შემოუძღვა და ეკლესიები ააოხრა, „ხატები ფოლორცებში გადაყარა“.

ქვეყანა მაინც უბრალო ხალხის სიბრძნემ დააყენა ხსნის გზაზე. ხმლიანი ჯირკი კერიის ცეხლში დაიწვა და კახაბრის ხმალი უვნებელი დარჩა, ხოლო მრისხანე ბაგრატ ხანს თავის ღვიძლ ქალიშვილად ბახტრიონის ციხეში გლეხის ცოლი, გულქანი, მიჰგვარეს. გულქანი მწარე სიმართლეს შეჰკადრებს მოლალატე ბაგრატ ხანს, ბაგრატ ხანი კი ამ სიმართლისთვის იმით ასაჩუქრებს, რომ ჯერ ყაენის მესამე ცოლად უპირებს გაგზავნას, მერე კი ურჩობისათვის დილეგში აგდებს.

ერს ოდენ კახაბერი და მამაცი მეფე კი არა, გამარჯვების რწმენა ამარჯვებინებს. გოსტაშაბმა კახაბრის გულა გააკეთებინა

და თითქოს კახაბერი უძლოდა ჯარს, ამით გამხნეებულმა ქართველებმა გული მოიცეს, ხოლო მტერი კახაბრის სახელმა შეაშინა და უკუიქცნენ.

პოლიკარპე კაკაბაძის ერთ-ერთი ბოლო პიესაა „ლოპიანე“. ეს კომედია მწერალმა 1958 წელს დაწერა, მაგრამ მის დაბეჭდვას და დადგმას ვერ მოესწრო. „ლოპიანეს“ დღემდე არ ელირსა სცენური სიცოცხლე.

ლოპიანე თემატურად თითქოს „ყვარყვარე თუთაბერის“ გაგრძელებაა. ჩაუვლია რევოლუციების ეპოქას. აღარ არის ქაოსი და მაუზერობანა. ქვეყანაში საბჭოური წესრიგი დამკვიდრებულია. ზის რბილ სავარძელში ახალი დროის ყვარყვარე-ლოპიანე ძვალძვალჩი. მისი საქმიანობა და მოვლენებისადმი დამოკიდებულება თითქმის არაფრით განსხვავდება ყვარყვარეს საქციელისაგან, ოღონდ ეგ არის კარიერის კიბეზე იგი თავისი ნაცარქეჩიული გაძვრომგამოდვრომით როდი შესკუპულა. მთლიანად და სავესებით დევკაჟიანის „კეთილ თვალზე“ დამოკიდებული. დევკაჟიანი კი იქ ზის მალლა (დევკაჟიანის პიროვნებაში და ბედში შეიძლება ბერიას პროტოტიპი შეიცნოს კაცმა) და ბუზსაც ვერავინ აუფრენს.

ლოპიანეს მიღება აქვს, ვინ არ ტრიალებს მის ირგვლივ. რა მლიქვნელობის კორიანტელს აყენებენ მლიქვნელობით აღზევებული ზეფორე და ქარხნის დირექტორი გერასიმე, მამადაჭერილი საყვარელი ზაბლონია და პოეტი მიჭუჭუნე (რომელიც თავის კერპზე წელიწადში 5-6 სახობტო ლექსს წერს)... ზოგ მათგანს სახელიც კი არ აღირსა დრამატურგმა და „პირველი მომუშავის“, „მეორე მომუშავის“ იარლიყით მოიხსენიებს.

ლოპიანეს აზროვნების მასშტაბები ჩვენთვის თითქმის ცნობილია:

„გენიოსები ამ დროში რომ გაცოცხლდნენ, ჩვენს ქუაზე დავანერინებდით და რაც წინათ დაწერეს, იმაზე ბოდიშს მოვანდევინებდით... ჩვენ გენიოსებს ვაფასებთ, მხოლოდ მათი აზრების ამყოლს ცოცხლებში, ტყავს ვაძრობთ“.

ლოპიანეს „გემოვნება“ უფრო დახვეწილია, ყვარყვარეს გემოვნებასთან შედარებით:

„მუზეუმებიდან გამოვიტან ძვირფას ნივთებს და აქ ავაზიმ-ზიმებ“, სამაგიეროდ „სპეკულიანტების სინსილას არ გავუშვებ“,

კოჭის ძაფის ქურდობისათვის ვსპობ, ვწმენდ ქვეყანას ხარბები-საგან, მხვეჭელებსაგან, ხალხის მტრებისთვის მახვილს ვლესავ“.

ლოპიანე მისი პიროვნების ოდნავი გაკილვისთვისაც კი ციხეში ამოღობით იმუქრება, რატომ?

„მე ჩემს თავს არ ვეკუთვნი. ხალხის ვარ და ჩემი გაკილვა ქვეყნის შეგინებაა“.

ლოპიანეც ყვარყვარესავით მშიშარაა. როგორც კი კრიტიკის სუსტმა ნიაჟმა დაჰქროლა, დამლაგებლებს მდიდარი ავეჯი ძველით შეაცვლევინა, ფარდებიც ჩამოხსნა და უბრალო ხალათი მოირგო ბეჭებზე, ხოლო როცა ძველმა სკამმა კანი გაუფხაჭნა, აკანკალდა, სისხლი არ მომენამლოსო. მიჭუჭუნეს წინადადებაზე, ახლავე ცნობილ პროფესორებს დავუძახებო, ლოპიანე პასუხობს:

„ჰო, მაგრამ თითომ, თითო ნამდვილი ექიმი წამოიყვანოს, უბრალო, დაუჯილდოებელი, თორემ მაგენს ჩემი წარდგენით აქვთ წოდება მიღებული და როცა თვითონ ჭირდებათ მკურნალობა, ერთმანეთს არ ენდობიან“.

ამდენი მედიცინაზე ყვარყვარემ ნამდვილად არ იცოდა, დიახ, ლოპიანე უფრო დახვეწილი გაიძვერაა. როგორ უცქერის იგი ხალხს, მასას?

„თქვენ ზარის ხმას გაიგონებთ, მაგრამ საიდან არის ეს მე ვიცი მხოლოდ. ჩემზე კარგად დევკაჟიანმა იცის. მის ყურში ხალხის ტირილი ტკბილს გალობად მიდის, ხოლო ხალხის გალობა და სიცილი ესმის აჯანყებად და აღშფოთებად. მეც მისი ყურით ვისმენ და აქ მისთვის ვარ, რომ გაცინებული ავატირო და ატირებულს „ვაშა“ ვაძახებინო“.

როგორია ლოპიანეს დამოკიდებულება მართლმსაჯულების მიმართ?

„თუ მარტო მტყუანი დასაჯე, მაშინ მართალი თავს აიშვებს. პირიქით, მტყუანი ისედაც შეშინებულია. მართალი უნდა დაისაჯოს და მაშინ ყველა მორჩილი იქნება“.

ბოლოს, რასაკვირველია, ყველაფერი მთავრდება და ლოპიანეს პარპაშმაც ბოლო ეღება; მოსკოვიდან ხმა დაირხა, დევკაჟიანი, როგორც საბჭოთა სახელმწიფოს მტერი, ჯაშუში დაიჭირესო.

„მე რომ დევკაჟიანს ვეძახდი, მისი სურათები ყველა ოთახიდან სასწრაფოდ ჩამოხსენითო“, სასწრაფოდ „მიიღო ზომები“

ლოპიანემ და მის მფარველს „ბოლო წიხლიც“ მიაყოლა, მაგრამ ამ ფანდმა ვერ უშველა.

მოსხნეს და ერთ-ერთ ქარხანაში ინჟინრად გაამწესეს.

იმედს არ კარგავს. ყვარყვარესავით „ისევ აცოცების“ იმედი აქვს.

„მოვიმაგრებ ფეხს და ახლად ვისკუპებ...“

რაოდენ მართალია მწერალი, როცა ყვარყვარეებსა და ლოპიანეებს ერთხელ კიდევე აღზევების შანსს უტოვებს.

აკი არ გამოილია ჩვენს ცხოვრებაში ყვარყვარე-ლოპიანეთა ხტომა-ნავარდი.

აკი დღემდე ვერ განთავისუფლდა კაცობრიობა ყვარყვარიზ-მის სინდრომისაგან.

## პაოლო იაშვილი, ტიცინან ტაბიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი

ქართულ პოეზიაში სამჯერ მოხდა კლასიკური რეფორმა. ჯერ იყო და მეთორმეტე საუკუნეში რუსთაველმა გაათავისუფლა პოეზია ჰიმნოგრაფიულ-სახოტო და არქაისტულ-სქოლასტიკური არტახებისაგან, მერე აკაკიმ და ილიამ შთაბერეს ახალი სიცოცხლე ლექსს, რომელიც შუა საუკუნეთა ინერციით მიედინებოდა და „ცრურუსთაველთა“ ხელში უდროოდ ბერდებოდა. მოვიდა მეოცე საუკუნე და ლექსის რეფორმის საჭიროება კვლავ დადგა დღის წესრიგში. ილიასა და აკაკის დევური რუდუნება – ლექსი ხალხური მეტყველებისთვის დაეახლოვებინათ, სხვა პოეტთა ხელში ტეტიურ-მდაბიურ გაგრძელებას ჰპოვებდა და თუ ასე გაგრძელდებოდა, ორლობის პოეზია შეგვრჩებოდა ხელთ. ...და მოვიდა გალაკტიონი, მეოცე საუკუნის პოეზიის მესია. მან ახალი გზა — სადინარი მისცა ქართულ ლექსს. იგი ევროპულ-ქართულად გარდაქმნა, უფრო რაფინირებული და ინტელექტუალური გახადა.

გალაკტიონის კვალზე და მხარდამხარ მეოცე საუკუნის ქართული ლექსის რევოლუციის აკვანს არწევდნენ ქართველი სიმბოლისტები. თავდაპირველად ისინიც ცამეტ სირიელ მამათა მსგავსად ცამეტნი იყვნენ. ჟურნალ „ცისფერი ყანების“ და ქართველ სიმბოლისტთა სხვა ორგანოების გავლენა ქართულ პოეზიაზე უაღრესად მნიშვნელოვანია.

...საუკუნის ათიანი წლების დასაწყისში ქუთაისიდან რამდენიმე ახალგაზრდა გაეშურა სწავლის გასაგრძელებლად. ტიცინან ტაბიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი და ალი არსენიშვილი მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტები გახდნენ. პაოლო იაშვილმა მოსკოვს გვერდი აუარა და პარიზს მიაშურა.

ყმანვილი პოეტები უპირველესად ლიტერატურულ ცხოვრებას დაენაფნენ. ეს ის პერიოდია, როცა ევროპაში ყველაზე მოდურ ლიტერატურულ მიმდინარეობად სიმბოლოზმია აღიარებული. მოსკოვშიც ძალუმად ჰქროდა სიმბოლოზმის ნიავი, პაოლო კი პირდაპირ „დაწყველილ პოეტთა“ ორდენის თანამგზავრი გახდა და სიმბოლისტ პოეტებთან თუ მხატვრებთან ერთად ხშირად ჩანდა

მონმარტრის ახლომახლო კაფე-შანტანებში, განსაკუთრებით „როტონდაში“.

განსწავლის წლებმა გაიქროლეს და მეგობრები „სიმბოლოზმით მონამულნი“ დაბრუნდნენ ქუთაისში. „ლიტერატურულ გეზზე“ ბევრი არ უფიქრიათ. მაშინვე სიმბოლისტთა კაფე „ქიმერიონი“ და ჟურნალი „ცისფერი ყანები“ დააარსეს. ეს იყო 1916 წელს.





**პაოლო იაშვილი**  
**(1892 –1937)**

ქართველ სიმბოლისტთა ლიდერი, ცისფერყანწელთა სკოლის მეთაური და „ბეჭის დამჭრელი“ (ირაკლი აბაშიძე) პაოლო იაშვილი „ცისფერი ყანწების პირველი ნომრის „პირველთქმაში“ წერდა „...ჩვენი ამაყი ოცნება გადასცილდა ყოველ საზღვარს და იქ, სადაც ჩვენ, უკვდავი ძმები, შევიკრიბეთ ახალი სილამაზის სადიდებლად – ვხედავთ, როგორ ახალისებს ჩვენს რაინდულ არსებას ყოველი ნუთი აღტაცებულ სიცოცხლისა... ჩვენ ვადიდებთ სიტყვას ახალს, მკაცრს და ისეთ გაბედულს, როგორც მეფური ხელის გაფრენა გაგიჟებულ დირიჟორისა... ყოველი სიმშვიდე, სიჩუმე და მთვარის სინაზით გაშუქებული მშვენიერება დავივიწყეთ ჩვენ, – მღელვარების, ხმიერობის და სიჩქარის მადიდებლებმა“. ასე დაუპირისპირდნენ თავიანთი „ახალი სილამაზით“ „ცისფერყანწელები“ ძველს, რუტინულს და ერთფეროვნად მშვიდს ლიტერატურაში. უფრო მეტიც, „ცისფერყანწელებში“ ისე დიდი იყო განახლების სურვილი, რომ კინალამ ღმერთსაც დაუპირისპირდნენ „იმ ტაძარს, რომელშიც ხალხი უკანასკნელ ცოცხალ ძალას ნისლიან ლოცვაში კლავდა, ჩვენ ვუცქერით, როგორც ბოროტების სახლს...“

ქართულმა სიმბოლიზმმა, მართლაც, დიდი როლი შეასრულა პოეზიის განახლებაში. მან აღმოსავლურ-აშუალო მეტაფორუ-

ლობის საეჭვო ინერციებს გამოგლიჯა ილიას, აკაკის და ვაჟას მიერ ლიბოდადებული, ჭეშმარიტად სახალხო ლექსი და ევროპული პოეზიის ინტელექტუალურ დინებას აზიარა.

და მიუხედავად მოდერნიზმისადმი ფანატიკური ერთგულებისა, სიმბოლიზმი ჩვენში მაინც ქართული სიმბოლიზმი იყო. აკი ამბობდა ელენე დარიანის პირით პაოლო იაშვილი:

გაყვეთ სიმღერებს! ჩემი ვნება აღდართულია,  
და ის მახარებს, მამაისებს ბალში შემოსულს,  
რომ ჩემი კოცნა, სიყვარული, ხმაც ქართულია,  
ყოველთვის ციურს ჯერ უცნობი სიგიჟე რომ მსურს...

**(„უვერტურა“)**

პაოლო იაშვილი 1892 წელს დაიბადა საჩხერეში (სოფ. არგვეთი). ჯერ ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში სწავლობდა, მერე – ანაპაში. 1913 წელს თანამოაზრე ახალგაზრდებთან ერთად ჟურნალი „ოქროს ვერძი“ გამოსცა და იმავე წელს პარიზს გაემგზავრა. 1816 წელს „ცისფერი ყანწების“ ორი ნომრის დაბეჭდვალა მოასწრო. 1917 წელს თბილისში გადმოვიდა საცხოვრებლად. თან წამოჰყვა „ცისფერი ორდენის“ წევრთა ერთგული ჯგუფი. მწერალთა კავშირის შექმნის დღიდან აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწეოდა. იყო არაერთი კულტურული წამოწყების მოთავე და სულისჩამდგმელი. ინჟინერ ვლადიმერ შიქიასთან მეგობრობდა და რიონჰესის მშენებლობას მეცენატობდა. ამ მეგობრობამ იმსხვერპლა კიდეც. 1937 წელს ვ. ჯიქია რომ ხალხის მტრად გამოაცხადეს, პაოლო იაშვილს წინადადება მისცეს, ემხილებინა „მტერი“. რაინდული სულის პოეტი არ დაჰყვა ჩეკას სურვილს. ურჩობისათვის პაოლოს შემოუბრუნდნენ და ხალხის მტერთან შეთქმულებაში მონაწილეობა დააბრალეს. ლეგენდარული ცისფერყანწელის თავზე შავი ღრუბლები გროვდებოდა. როგორც ასეთ დროს არც თუ იშვიათად ხდება, გუშინდელი მეგობრებიც კი განუდგნენ პაოლოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმში და „ჭკუის რიგება“ დაუნყეს. პაოლომ არ ინდომა მეგობართა ლალატში ბოლომდე დარწმუნებულიყო. არც უგვანო მოსამართლეებს ჩაუგდო ხელში საჯიჯგნად სხეული. 1937 წლის 22 ივლისს მან მწერალთა კავშირის შენობაში სანადირო თოფით თავი მოიკლა.

დადის ქალაქში ბევრის მსგავსი ჩემი სხეული.  
ჩემზე ამბობენ, ეს კაცია ლექსის მწერალი,  
მაგრამ ვინ იცის, რა ცეცხლშია გამოხვეული  
ეს ჩემი ტვინი – დასაქცევი, ტვინი ვერანი. –

წერდა პაოლო იაშვილი და თითქოს იწინასწარმეტყველა თავისი დამოკიდებულება მკაცრ სინამდვილესთან. ლექსის მწერალი კაცის ფაქიზი სული ვერ შეეთვისა ჯალათურ ეპოქას. სინდისის კომპრომისი მისი რაინდული ბუნებისთვის შეუძლებელი აღმოჩნდა. სწორედ ეს იყო პაოლოს თვითმკვლევლობის მიზეზი. იგი არ გაქცეულა. მწერალთა კავშირში, თავის კაბინეტში, თავის საგუშაგოზე დაეცა.

ცოტა ხნით დავტოვოთ პაოლო იაშვილის ტვინშესხმული ცივი კედელი და მისი ბრალმდებლების ცივი სახეები (სიკვდილის მერეც არ დაინდეს „მეგობრებმა“ და მის უკანასკნელ ნაბიჯს „პრავაკაცია“ უწოდეს) და ცისფერყანწელთა ბელადის შემოქმედებითი გზის დასაწყისთან მივიდეთ.

იგი სავსეა ასეთი თამამი, მცდარი, მაგრამ გულწრფელი განავარდებით კლასიკოსთა ავტორიტეტის დამორგუნველი გავლენის უარყოფის მოსურნე ჭაბუკისა:

პაოლო იაშვილს მომეწყინა ყვითელი დანტი,  
ვაქებდი შექსპირს, მაგრამ ფარდა, შექსპირს უარი,  
რა ვქნა, რომ ჩემთვის ბეთხოვენი მხოლოდ ყრუ არი  
და რომ წარსულმა ვერ გადმომცა მე ანდამატი.

ვფიქრობ ლექსებით, ჩქარი და ხან გველივით ზანტი,  
მაგრამ ყოველთვის მიხარია ცეხლის ანთება,  
ჩემი ოცნების ნაპერწკალი ხალხს გადუფანტე,  
და უკვდავება ცივ ხელებით მე მელანდება.

(„პაოლო იაშვილს მომეწყინა“)

პოეტებს განსაცვიფრებელი ინტუიცია, ტელეპათიის მსგავსი წინასწარჭვრეტის უნარი აქვთ. ოცდასამი წლის პაოლო იაშვილმა 1916 წელს დაწერა „ფარშევანგები ქალაქში“. ლექსში ამგვარ ხილვებს წააწყდებით:

სისხლისფერ გველეშაპს ბრაზი ემატება,  
ქალაქში შენიშნეს ჰაერის ანთება.  
მოულოდნელად, მდულარე მზის მთვრალი განგებით  
ჰაერი აყვავილდა წითელ ფარშევანგებით.  
იყო მათი მოვლენა წითელი ქარტყილი,  
იყო მათი ყვირილი მხურვალედ დატყეხილი...

გაივლის სულ რაღაც ოთხი წელი და „წითელი ხელისუფლება“ დააცხრება „ახლადფრთებშესხმულ“ დამოუკიდებელ საქართველოს. იმპერიის მეთაერთმეტე არმია ცეცხლითა და მახვილით შემოესევა თბილისს, ასე რომ, ლექსში შემთხვევით როდი ფიგურირებს საბედისწერო წითელი ფერი „სისხლისფერი გველეშაპის“, „წითელი ფარშევანგების“, „წითელი ქარტყილის“ სახით.

აინთენ სახლები აღმურის მოდებით  
ხალხი ირეოდა კვნესით და ვაებით,  
ყვირილით მოჰქროდნენ ჩქარი ტრამვაები,  
და ფარშევანგები ჰკიოდნენ, ჰკიოდნენ.  
მაღალ სახლებიდან კატები ცვიოდნენ  
და გიჟი ცხენები... ხედვა ახვეული  
მოჩანდნენ სვეტებზე, მკერდგადახეული.  
ოხრავდნენ ჰაერში მზისგან დევნილები,  
სისხლით ატლასობდნენ ძირს ქვაფენილები.  
წითელ ქარში ზართა რეკა  
შემოესმა ყრუ და ჩქარი,  
ყველა შიშმა გადარეკა,  
მხოლოდ მკვდართან მოჩანს მკვდარი,  
ცხელი ორთქლი, ცრემლისფერი,  
მდულარე ცას ეფინება,  
ჩუმად არის ყველაფერი  
ქალაქს წითლად ეძინება.

(„ფარშევანგები ქალაქში“)

ლექსს თარიღად „1916“ რომ არ ეწეროს, დაეჭვდებოდა კაცი მისი დაწერის დროში, ისე პოეტურად ზუსტად, კალედოსკოპურადაა აღწერილი საქართველოს ანექსიის პირველი დღეები. მართლაც, წითელი ძლით ეძინა მაშინ სისხლისგან დაცლილ ქალაქს.

მოაბიჯებდა ქართული პოეზიის ცისფერ ტაძარში პაოლო. მოდიოდა მხნედ, ღონიერი ნაბიჯებით, თავის ძალებში დარწმუნებული, ამაყი და ცოტა არ იყოს, საყვარელი ბავშვივით განებივრებული:

ამპარტავანი და ყოველთვის პირგაპარსული,  
ბუნებით შავი, ხელოვნურად გათეთრებული,  
ლამაზ რითმისთვის ერთი წუთით ჩაფიქრებული,  
ვამაყობ იმით, რომ არა მაქვს ვრცელი წარსული.  
...საქართველოსი არ ინამეს ჩემი დენდობა,  
მე მახალისებს მხოლოდ ჩემი „სალტო-მორტალე“,  
მაგრამ ბოდლერის ცივი ლანდი თუკი მენდობა  
ხალხის წინაშე მე ვიქნები მუდამ მართალი.  
შევხარი მზესა, ვეტრფი მთვარის ყვითელ ხავერდსა  
და რუსთაველთან გადავდივარ მე ალავერდსა.

#### („ავტოპორტრეტი“)

1918 წელს თურქეთის სულთანმა აჭარის წართმევა დაგვიპირა. პატრიოტ ქართველთა სისხლის ღვარი ჭოროხს ერთვოდა. რუსმა, ტრადიციისამებრ, „ნე ვიჟუს“ პოლიტიკა იფარა („და შენს მეომარ, ამართულ მთაზე სძინავს ზარბაზანს რუსული ძილით“), ჩვენი შემწე მთელს დუნიაზე ჩვენი მკლავის გარდა არავინაა. ამ დროს სანგრებთან პაოლო იაშვილი პოეტ-ტრიბუნად აღიმართება:

„ამხანაგებო, ნუ ხართ დარდულად,  
დღეს საქართველო მე ვეღარ ვცანი,  
დროა აყვირდეს უკვე ქართულად  
მრისხანე თოფი და ზარბაზანი.

ბრძანება ისმის და სმენა ჩქარა,  
გაშალეთ მზეზე კრიალა ხმლები,  
ან დავიბრუნოთ ჩვენი აჭარა,  
ანდა ბათუმთან დავტოვოთ ძვლები!

#### („დაცემულ ბათუმს“)

1915 წლითაა დათარიღებული პაოლო იაშვილის ლექსების ციკლი „ელენე დარიანის დღიურები“. ქალის ფსევდონიმით პოეტი ლექსებს თითქმის რვა წლის განმავლობაში წერდა და აქვეყნებდა. „ელენე დარიანმა“ დაამკვიდრა ჭეშმარიტად თავისუფალი და შეიძლება ითქვას, ქალური მორცხვობა – კდემისგანაც თავისუფალი ლექსი. ამით, ვფიქრობთ, პაოლო იაშვილმა სიმბოლისტთა შორის პოეტი ქალის თავისუფალი ადგილიც შეავსო ქართული პოეზიის „ტაბულაზე“. ვნებიანი, მუსიკალური, მეტაფორული დარიანული ლექსი მალე საოცრად პოპულარული გახდა და მიუხედავად იმისა, რომ „ყანწელებმა“ კარგად იცოდნენ, ვინ იყო „დარიანი“, დაინტერესებული მკითხველები მაინც დიდხანს ეძებდნენ „პოეტ ქალს“. ეს ძებნა ჩვენს დღეებამდე გრძელდება. თუმცა სტილით, ლექსიკური კონსტრუქციით, ფრაზათა დალაგებით და მხატვრული სახეებით ადვილად დგინდება, რომ ელენე დარიანის ლექსები სწორედ რომ პაოლო იაშვილს ეკუთვნის და სხვას არავის.

ვისლა დავუმალოთ, საქართველოს გასაბჭოების შემდეგ პაოლო იაშვილი ახალი ცხოვრების ფერხულში ჩაება. არაერთი ლექსი უძღვნა კომუნისტურ მშენებლობას და ლენინიც ცრემლიანი სიტყვით („ლენინს“, 1924 წ.) დაიტირა, მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ იმ დროშიც პოეტს არაერთგზის ეწვეოდა ხოლმე „მონყენილობა და მწუხარება“ იმის გამო, რომ ახალმა ყოფამ იმედები ვერ გაამართლა:

მე მენატრება ცხოვრება  
პატიოსანი  
მაგრამ რა ვქნა, რომ გამათხოვრება  
ბედი ყოფილა ქართველ მგოსანის.  
ნუ გეშინია, გულო, დარჩები  
ყოველთვის ოქრო უზარმარზარი,  
ვინ მისცემს ნებას მართლაც ჩარჩებმა  
გამართონ „ძვირფას გულთა ბაზარი“.

რა არის ფული, რა არის ვალი,  
მონყენილობა და მწუხარება,  
როდესაც ხალხის ხორცი და ძვალი  
გადაქცეულა მშრომელ ხარებად.

#### („პოეტი და ადამიანი“)

სევდა და მარტოობის გრძნობა უფროდაუფრო ეძალევა პოეტს:

ქართულად ვთარგმნი პუშკინის ამბავს,  
ახლა ჯერშია მისი „ციგნები“,  
მაგრამ სიჩუმე საუბარს აბამს;  
„მარტო ხარ, მარტო, მარტოც იქნები“.  
ვკითხულობ შოთას, ვაჟას და საბას  
და ვერ მშველიან მათი ნიგნებიც,  
ვნვები, თავამდე ვიხურავ საბანს  
მესმის: „მარტო ხარ, მარტოც იქნები!“

**(„წერილი კოლაუ ნადირაძეს“)**

ერთფეროვან, რუტინულ, ჩარჩოებიან კომუნისტურ მწყობრში პაოლო იაშვილს სული ეხუთება, სინამდვილე „ვაჟკაცური გაქროლების“ საშუალებას არ აძლევს:

როგორც ფართო ჭადართან  
ჩეროების ჯერი,  
ისე ჩუმად ჩატარდა  
ჩემი ლექსი ბევრი.

„როგორც აფრის ტკაცუნი,  
მოვარდნილი ზღვიდან,  
ისეთი ვაჟკაცური  
გაქროლება მინდა

**(„როგორც აფრის ტკაცუნი“)**

ზოგჯერ უმწეობის მძაფრი შეგრძნება პოეტს აშკარა პროტესტის, სარკაზმისა და ირონიის გუნებაზე აყენებს:

უფალო, უსმინე შევარდენს,  
მის ხელით გიგზავნი ბარათს,  
მიშველე ღორებში ჩავარდნილს,  
ღორებში დარჩენილს მარად.

...ფიქრები სამწყემსო ღორებზე  
ყოველდღე ცრემლებით მსჯიდა.  
უფალო გალაენის ყორეზე  
დამნიშნე ბელურა ჩიტად.

**(„მელორის ლოცვა“)**

ახლოვდება ოცდაჩვიდმეტი. მიუხვდნენ, მშვენიერად მიუხვდნენ ჩეკას მეძებრები პაოლო იაშვილს იმ „მარტოობის მიზეზსაც, „მელორის ლოცვასაც“ და... პაოლო იაშვილისთვის ტყვია უკვე ჩამოსხმულია:

ნუ ჩაგაფიქრა ჭირვეული ჭორის ხროებმა,  
ჩემთვის სიჩუმე ღამეში რომ მოიზანტება,  
საშინელია, როგორც ომის მოახლოება,  
საშინელია, როგორც ჩემთვის ტყვიის მზადება.

**(„ლირიკული მისამართებიდან“)**

მერე იყო თოფის დაქუხება ოცდაჩვიდმეტის ივლისის იმ საბედისწერო დღეს.

იმ თოფის ექოსაგან ელდანაკრავი საქართველო დიდხანს იყო ჩუმად. პაოლო იაშვილის სახელი არ ჭაჭანებდა საბჭოთა საქართველოს ნაბეჭდ ფურცლებზე.

რეაბილიტაციის (სასაცილოა!) დროც დადგა, მაგრამ ეს უკვე უკან მიდევნებული ლამპარი იყო.

პაოლო იაშვილი წერდა მოთხრობებს („ფერადი ბუმტები“, „სამი ტკივილი“), თარგმნიდა პუშკინს, მაიაკოვსკის, ბალმონტს, სევერიანინს, ბოდლერს, არტურ რემბოს, ოსკარ უაილდს... არაერთი საინტერესო წერილიც გამოაქვეყნა; კერძოდ, „ვეფხისტყაოსანზე“, იაკობ ნიკოლაძეზე, ლადო მესხიშვილზე, ნიკო ფიროსმანზე...

სიცოცხლეში ერთი წიგნის გამოცემაც ვერ მოასწრო.



## ტიციან ტაბიძე (1895 – 1937)

ტიციან ტაბიძის ცნობილი პორტრეტი სანდომიანი პირისახის, ოდნავლაბაბიანი, ლამაზნაკვთება დენდი. შუბლზე თმაჩამოვარცხნილი, აჩაჩული, მოდური, ჯიბეებიანი ხალათით. გულისჯიბესთან წითელი მიხაკი უბრწყინავს, ლამაზ თითებში სიგარეტი მოუჩანს. ფოტოგრაფს პირდაპირ შესცქერის, რაღაცნაირი ერთგულებით და სიამაყით. ეს სიამაყე არ აპატიეს.

დაიბადა 1895 წელს ვანში, სოფელ ჭყვიშში.

ქუთაისის კლასიკური გიმნაზია...

მოსკოვის უნივერსიტეტი.

1910 წელს დაბეჭდა პირველი ლექსი.

თანმიმდევრული სიმბოლისტი იყო. „ცისფერი ყანწების“ ერთ-ერთი სულისჩამდგმელი.

ლექსების გარდა პოემებს, მინიატურებს, მოთხრობებს, წერილებს და ნარკვევებს წერდა:

ლონიერი ქედით ეწეოდა ქართველი მწერლის მძიმე უღელს.

1937 წელს ხერხემალი გადაუმტვრიეს სამშობლოს სიყვარულისთვის, პოეზიის ერთგულებისთვის, სისპეტაკისთვის...

ერთ ავტობიოგრაფიაში ტიციან ტაბიძე თავის მშობლიურ შუა-

მთას, ორპირის ფშანებს და რიონის წყალდიდობას რომ იგონებდა, სხვათაშორის, წერდა: „დიდებულ მდინარეს თან მოჰქონდა დანგრეული სახლები, აკვნები, გარღვეული საფლავეებიდან წამოღებული კუბოები“.

ეს სტრიქონები პოეტის სიკვდილამდე ერთი წლით ადრე დაიწერა. უჩვეულო სურათია ისეთი მშვიდი ჟანრის თხზულებისათვის, როგორც გახლავთ ავტობიოგრაფია. ხომ არ იყო ეს მაგიური პოეტური წინათგრძნობა იმისა, რომ მალე ტიციანსაც მიწვებოდა დელგმა – წყალდიდობა, რათა პოეტის კუბოც გაეტაცნა და შთამომავალთათვის სამუდამოდ დაეკარგა მისი საფლავი.

ბედის ირონია იქნება, თუ დღესაც ცოცხალია ის უკეთური კაცი, ჯვაროსნული მეთოდებით რომ ცდილობდა ტიციან ტაბიძის „გამოტყუვას“, რათა აღიარების შეთითხნილ ქალაქში „ხალხის მტრის“ ხელმძღვანელად ყოფილიყო და იმ ნაძირალას დამშვიდებული სინდისით შეეკერა „საქმე“ პოეტის განადგურების, საუკუნის დანაშაულად რომ ამოტივტივდებოდა წლების შემდეგ.

რა დანაშაული მიუძღოდა? იქნებ მხოლოდ ის, რომ ჭეშმარიტი პოეტის სიყვარულით უყვარდა ეს ქვეყანა, მხოლოდ ის, რომ მის დიდრონ ცისფერ თვალებში ნიადაგ ერთა ძმობისა და მოყვასის თანადგომის სურვილი ენთო; მხოლოდ ის, რომ უდანაშაულო კაცის ალალი სისხლის წვეთივით გულთან წითელი მიხაკი უელავდა და ამაყო იყო. ამაყო იყო – თავისი საქართველოთი, თავისი რუსთაველით, თავისი შთამაგონებელი პოეზიით. იქნებ ის იყო ტიციან ტაბიძის დანაშაული, რომ ერთხელ პატრიოტულ ამოოხვრას ამოაყოლა: „სჯობს, აღარ გქონდეს სულაც სამშობლო, ანდა არ იყოს ასე ლამაზი“.

თითქოსდა ტიციანი იმთავითვე გრძნობდა, რომ არ აცლიდნენ „ოცნებათა დავაჟვაცებას“. მის ადრეულ ლექსებსაც ეტყობა, რომ მათ დამწერს ავი ბედი უთვალთვალეებს. ამიტომაც ჩაიკვნესებდა ზოგჯერ პოეტის არცთუ უმიზეზო სიფრთხილით: „საკუთარ ძმასაც ვეღარ გავუმხელ, რაც ჩაკირულა გულში ბალღამი“.

ჯერ კიდევ შორს იყო აღსასრულის წყეული ჟამი, როცა პაოლო იაშვილს დაუწერა: „საქართველოს მზე გაანათებს სიცოცხლეს ლამაზს, მაშინაც, როცა პოეზიით დავიღუპებით... სხვა მეგობარმა და პოეტმა გვადარა აღმასს, ვიცი გავტყდებით და არასდროს მოვიღუნებით“.

ორი ათეული წლის შემდეგ ამ სიტყვებს უმკაცრესი გამოცდა მოუწყო ცხოვრებამ. ჭეშმარიტად, „სიამის ტყუპნი“ და „ცისფერი ძმები“ ავი ბედის წინაშე არ მოხრილან, არ გადრეკილან.

ხოლო საქართველოს სიყვარულს ზვარაკად შენირული კაცი ჩვენ მაინც არ გვემდურის და სულგრძელად გვიტოვებს გულში იმ იმედის ნაპერწკალს, რომ კაენის ცოდვები ჩვენ არ მოგვეკითხოს: „მე ყაჩაღებმა მომკლეს არაგვზე, შენ ამ სიკვდილში არ გიდევეს ბრალი“.

მადლობა ყველას, ვინც პოეტის მტერობა არ დაიჯერა და ტიცციანის ლექსთა წიგნაკი ბალიშქვეშ საიმედოდ შეჩურთა, რათა შუალამისას, მთვარის სინათლეზე, იქნებ საკუთარი ცოლ-შვილისაგან დამალულად წაეკითხა: „მივალ, მივდივარ და მივიმღერი, თან საქართველოს მიმაქვს ოცნება, ვარ გაუთლელი ლერწამის ღერი, ტუჩმიუდებლად რომ იკოცნება“.

შემოგვცქერის პორტრეტიდან „ორპირის ფშანზე გაზრდილი ბიჭი, დენდურად მშვიდი და პენიანი. თეთრი კვართი აცვია, ლამაზად მოხრილ თითებში აბოლებული სიგარეტი უჭირავს. შემოგვცქერის ოცდაათიანი წლებიდან აგერ ოცდამეერთე საუკუნის მოქალაქეებს. შემოგვცქერის იმ თავმდაბლური იმედით, რომ მისი სტრიქონები „ერთ პოეტს მაინც გულზე მოხვდება და ეს ეყოფა გამოსარჩლებად“. ამ სურათზე პოეტი ახალგაზრდა და ლამაზია, თან სევდიანიც.

ტიციან ტაბიძის სიცოცხლე მარტო ერისთვის დამაშვრალი პოეტის ბრწყინვალე და ჯიუტი ფაქტი როდია, იგი სამუდამო გაფრთხილებაცაა გულის ფიცარზე იმის დასაწერად, რომ ხელოვანის სიცოცხლეს კეთილ დარაჯად უნდა ვედგეთ და „ნიადაგ სული უნდა ვუბეროთ“, – ჩასაქრობად კი არა, გასაღვივებლად, გასალონიერებლად.

ბებერი ვანის სანახებიდან ჩვენი საუკუნის დასაწყისში ორი არწივის მართვე აფრინდა. ერთ მათგანს საუკუნის აზრთა მპყრობელის და უახლესი პოეზიის მამის როლი არგუნა ბუნებამ, მეორეს უფრო მოკრძალებული, მაგრამ ერის კულტურის ისტორიაში თვითმყოფადი, კაშკაშა ადგილი მიაკუთვნა.

საუკუნის პოეზიის სარდლებს ერთმანეთთან ძმების მკაცრსიყვარულიანი, მორიდებული, საჯაროდ გაუცხადებელი ურთიერთობა ჰქონდათ, მაგრამ ერთმანეთის ფასი ძალიან კარგად იცოდ-

ნენ. სწორედ ეს თბილი თანალმობა იყო ზოგჯერ თავისი გრძნეული ლირიკის აბრეშუმში მთვარესავით გახვეულ, თითქოსდა სააქოს დროებით მოწვევტილ გალაკტიონს რომ დააძახებინებდა ხოლმე საქვეყნო საქმეების ორომტრიალში ყელამდე ჩაფლულ, შუბლზეოფლგადამდინარე თავისი ბიძაშვილისთვის: – ტიტე, ძამიკო!

ქუთაისის გიმნაზიის პერიოდს რომ იგონებს, ტიცციანი ერთგან წერს:

„მაშინ ქართული ენა იდევენბოდა და კვირაში მხოლოდ ერთი გაკვეთილი გვქონდა, მაგრამ ჩვენთან ამ დროს ფართოდ გავრცელებულ ლიტერატურულ წრეებში წარმატებით მიმდინარეობდა მშობლიური ენის სწავლება“.

რა გასაკვირია, რომ დედაენას აკრძალული ხილივით, ლამის ქურდულად დანაფებულ ტიცციანს უდიდესი სიყვარულით ჰყვარებოდა თავისი მრავალტანჯული ქვეყანა და სამშობლოს თავისუფლების ფასიც სცოდნოდა.

ეპოქის შვილი იყო და დროის დამლა აჩნდა მის რაინდულ სულს. ეს მოუთოკავი სული ტიცციანის განსწავლის წლებში ყალიბდებოდა და იწრთობოდა. მოსკოვის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე სწავლისას თავისი თვალთ ნახა, როგორ დატოვებს ერთ დღეს პროგრესულად მოაზროვნე პროფესორებმა უნივერსიტეტი, რადგანაც განათლების მინისტრმა, კასომ, უნივერსიტეტის ავტონომია გააუქმა და მეცნიერების ეს უმაღლესი კერა ჩინოვნიკურ ინსტანციებს დაუმორჩილა

მერე, ქართული ლექსის თემატურ-ვერსიფიკაციული განახლების სურვილით ცისფერყანწელთა ორდენის შექმნა, სიმბოლისტური ნიავის უცხო ქროლა ეროვნული პოეზიის საუფლოში, ქუთაისის სადარბაზოებში მგზნებარე კამათი და მანიფესტების წერა. დროს მიჰყვება ეპიგონური პოეზიის სიყვითლენი, მაგრამ რჩება ლიტერატურული დებატების კეთილი კვალი – პოეტთა მიერ თავისი თავის აღმოჩენა, ქართული სიტყვის ახალ შესაძლებლობათა საიდუმლოებების მიკვლევა, მსოფლიო პოეზიისთვის ფეხნაწიკის გაბედული სურვილი.

და მაინც, ტიცციანის პოეზია თავისი ქვეყნის ცისარტყელიდან არ გასულა.

მაშინაც კი, სიმბოლისტურ სამოსს რომ ირგებდა ტანზე და თავის მეგობრებთან ერთად „დაწყველილ პოეტთა“ ქოლგის ქვეშ

დგებოდა, მშობელი ქვეყნის სვეს არ გამოჩნდებოდა მისი ფიქრი, ქართული ურვა უთრთოლებდა სულის ნერვებს, ერის გამოფხიზლების ზარს რეკავდა, რადგანაც კარგად უწყოდა, რომ „ყველა დაარტყამს თავზე უროს, თუკი ნახა ხალხი მძინარე“.

ყველაფერს ხარბად ისრუტავდა მისი პოეტური გონება, ბობოქარ დღეთა ცხელი კვალი ატყვია ტიცციანის ლექსებს, რას იფიქრებდნენ პოეტთა პურისჭამის მგალობელი თანამგზავრები – დედას ლევანი და დანიელა ურია, რომ სწორედ იმ მკერდმხაკიანი და ხავერდისხმიანი, შუბლზე მონაფურად თმაშეჭრილი და ნაბახუსევზე ძლივს შესამჩნევად დარწმუნებული ბიჭის წყალობით მოუწევდა მათს ბოჭემურ სახელებს პოეზიაში სამუდამოდ დარჩენა.

სიმონ ჩიქოვანს ტიცციანზე დაწერილ ერთ ნარკვევში პოეტის შემოქმედებითი პორტრეტის შტრიხებად, სხვათა შორის, ორი ლექსის ნაწყვეტიც მოაქვს: „ბათომი მისცეს და ორპირზე მოდის თათარი“ და „აქ რომ მღეროდა რუსთველი, ვინ გააჩუმა, აქ რომ იბრძოდა სააკაძე, ვინ გააკავა?“ ეს დვრიტა, ეს ეროვნული სევდა იყო ტიცციანის პოეზიის ანი და ჰოე.

პოეტის ყურს ისტორიის ნერვიული ხმები წვდებოდა, – სიონის ზარების კვილი და ომში მიმავალ სამას არაგველთა „საყვირების კორიანტელი“, ყურს მიაპყრობდა განწირულთა ძახილს და შემკრთალი კითხულობდა: „ვინ გააჩერებს ამ ხმების გრიგალს, ამდენი ძვლები რად დამიგროვებ! მე თუ მომთხოვდით სიმღერას ახალს, მე თუ გინდოდით თანამედროვედ?“

დიახ, ტიცციანს სრული მორალური უფლება აქვს, დღეს ქართველ მწერლებს, თავისი გრძელი, ნატიფი თითი დაგვიქნიოს, თუ ერის სატკივარს ყურს ნავუყრუებთ და ყალბი ქებათაქების ბუკსა და ნალარას დავცემთ.

ახალი ეპოქის გრდემლს რომ დაჰკრეს, პოეტმა ტრიბუნის მანტია მოისხა ბეჭებზე, სიჭაბუკის სიმბოლისტურ ოცნებათა გამოგლოვაც მოასწრო და „ახალი ცხოვრების ალავერდობაც“, კრემლში შეხვედრილი ორპირელი კომკავშირელისათვის ოდის შეთხზავც, დოლორესისა და ტელმანის საბრძოლო ყიჟინასაც ააყოლა ლექსის ნალარა და ამგვარი ლოზუნგური სტრიქონიც აახმიანა: „ვინ დახრის დროშას მალალტარიანს, როცა ის მიაქვს პროლეტარიატს“, მაგრამ ეს არ იყო ნამდვილი ტიცციანი. ეს იძულებითი, „სიმწრის სიმღერა“ იყო.

საოცარ ხმებს გამოსცემდა მისი ლექსის „გაუთლელი ლერწამის ლერი“, ეს მხოლოდ ტიცციანის ხმა იყო. ხან ერის მეზარაზხტრედ, სამყაროს ბედზე პასუხისმგებლად, პოეზიის სპასალარად თვლიდა თავს, ხან კი რუსთაველისა და ვაჟას აჩრდილთა შემყურე, შეკრთებოდა და მორცხვად ნაჩურჩულვებდა: „ერთ სანყალ პოეტს ამაზე მეტი სინდისით აღარ მოეთხოვება“.

ტიციანი არ იყო დახვეწილი ფრაზის და რაფინირებული ჰანგების პოეტი. ურმულივით სადა და უბრალოა მისი პოეზია. წერდა „ისე უბრალოდ, როგორც მუხრანზე გაზაფხულისპირს მოდის ბალახი... ისე უბრალოდ, როგორც მერცხალი დაუბრუნდება შარშანდელ ბუდეს“.

წუხდა იმაზე, რომ არაერთ პოეტს „ლექსის გზა-კვალი აუბნიეს“, რომ პოეზიად სალდებოდა მშრალი დეკლარაცია.

თავის პოეტურ მიმართებებში უკომპრომისოდ პირდაპირი, ვაჟკაცური და კატეგორიულია.

მასშტაბური ხედვა ჰქონდა და ერის ჭირისუფლის ატკივებული გული. ოცი წლისა არც კი იყო, როცა საქართველოს ისტორიაზე ამ სტრიქონებს წერდა:

„რა არის მთელი ისტორია ძველი საქართველოსი, თუ არა საბედისწერო დუელი.“

ღმერთის უზარმაზარ ქვეყანა-ცირკში იდგა საქართველო, როგორც უკვდავი გლადიატორი. ტანი მისი იყო დაჭრილი და ელავდა მენამული იარებით, მაგრამ იდგა და იბრძოდა“.

მამინ, როდესაც თვით ილია ჭავჭავაძის შეფასებაშიც კი ერთსულოვნება არ სუფევდა და „ოთარაანთ ქვრივის“ ავტორის სახელი უგუნური განსჯის საეჭვო სასწორზე შეაგდეს, ტიცციანმა დაწერა: „გადაუმეტებლად შეიძლება ითქვას, რომ მე-19 საუკუნე საქართველოში ილიამ კიდევ მოიგონა, კიდევ შექმნა და თავისი სისხლით კიდევ დაჰკირა... ამ ხნის განმავლობაში ილია ჭავჭავაძე იდგა, როგორც გიგანტი. ყოველი მოზღვავებული ტალღა, უცხო თუ შინაური, იმას დაეტაკებოდა და ილიაც მოიგერიებდა... ილიას სიკვდილმა გულის ძარღვამდის შეარყია საქართველო. უბრალო ხალხიც ამბობდა: აქ არის დასაწყისი ახალი ეროვნული შეგნებისო. ამის ფაქტებს ჩვენ ყოველდღე ვხედავთ“.

ორმოცდაორი წლისა წავიდა ამ ქვეყნიდან. ამ ასაკის პოეტს ჩვენ ახალგაზრდა პოეტს ვეძახით.

რამდენი მოასწრო! გაოცებას მარტო ტიცვიანის მონოლითუ-რი პოეზია კი არ იწვევს, საზოგადო მოღვაწის ის ვეებერთელა ტვირთიც, ჯვრად რომ აიტანა თავისსავე გოლგოთაზე.

რა დიდი გული ჰქონდა, რა ფართო დიაპაზონის კაცი იყო! მარტო ლიტერატურით კი არა, მომხიბლავი პირადი თვისებებითაც. როგორ მოახედეს საქართველოსკენ ტიცვიანმა და მისმა მეგობრებმა პირველხარისხოვანი რუსი მწერლები. რა გულისმომკვლევლად დაიტირა ესენინი: „ლამაზო ბიჭო, სერგეი ესენინ, ცოცხალს არ გესმის ეს საფიცარი“.

დავბადებულვარ, რომ ვიყო მონა,  
და საქართველოს მედგას უღელი,  
– მაშ, გამარჯვება, ტკბილო სიცოცხლევე,  
დავრჩებით ერთად ჩვენ განუყრელი –

წერდა ტიცვიანი.

საქართველოს უღელდადგმულ კაცს ვერ გადავეფარეთ სისხლიან ოცდაჩვიდმეტში.

იგი „ტკბილ სიცოცხლესთან“ უდროოდ გაყარა უგუნურმა კვეთებამ, მაგრამ ქართულ ძარღვმამარ პოეზიასთან, მართლაც რომ განუყრელია მისი ლექსი.

შემოქმედის მარადი სიცოცხლეც ხომ ეს არის.

ხუთი პოემის დაწერა მოასწრო: „ცხენი ანგელოსით“, „თვრამეტი წელი“, „რიონი-პოეტი“, „როაღდ ამურდსენ“ და „გულდაგულ“.

აქედან განსაკუთრებით საყურადღებოა „თვრამეტი წელი“ და „გულდაგულ“. პირველი დამოუკიდებელი საქართველოს მძიმე დღეებზე გვიამბობს და სომეხ-ქართველთა უგუნურ სისხლისღვრასაც ეხმიანება, მეორე ლიტერატურულ ორატორიას ჰგავს. იგი თავისებური რადიომონოლოგია და ერთგვარ პოეტურ მანიფესტაციას წარმოადგენს.

...დაბოლოს, ისევ იმ წლებთან მივიდეთ, საბედისწერო რომ აღმოჩნდა საქართველოსთვის და ცისფერყანწელებს მტკიცედ გადააწყვეტინა, სიცოცხლის შესანარჩუნებლად კარგა ხანს საბჭოური ნიღბებით უნდა ევლოთ.

1921 წლის აგვისტოში ტიცვიან ტაბიძე დაწერს:

სხვა მეგობარმა და პოეტმა გვადარა აღმასს  
ვიცი, გავტყდებით და არასდროს მოვიღუნებით,  
ძველ პოეზიას კადნიერად ვახურავთ ჩალმას,  
მაგრამ სავსეა სიყვარულით თვალის უბეები.

(„პაოლო იაშვილს“)

ოცნებისთვის იჭერენ და ციხეში სვამენ. საკმარისია ყელსახვევი და ინტელიგენტის იერი, რომ მუშურ-გლეხურმა ხელისუფლებამ საზოგადოების მუნუკად გამოგაცხადოს. ტიცვიანს ჩაესმის შურისმაძიებელთა გუგუნი და ტანი უგრძნობს მოსალოდნელ რეპრესიებსაც:

ძველი ორდენი თავისმკვლელთა: ილო, ზენონი,  
ჩვენი ორდენი პოეტების, შხამის ყანებით.  
თავისმკვლელობის თავზე დაგვფრენს იგივე დემონი;  
მე ვხედავ იმ მორგს, მონამლული სადაც დავენებით.

(„ნინა მაყაშვილს“)

ლექსში ზოგჯერ გამოთხოვების რექვიემიც გაერევა:

მართალი გულით, უკანასკნელ თავის განწირვით,  
მივმართავ ყველას, უსათუოდ გამომიტირონ.

(„სეზონის ფალავანი“)

როდემდე შეიძლება გულში ინახავდე დაპყრობილი, გათელილი ქვეყნის დარდსა და ვარამს:

ჩოფურაშვილთან ვიყავით წუხელ,  
შენზე ღრიალით გასკდა არღანი.  
საკუთარ ძმასაც ველარ გავუმხელ,  
რაც ჩაკირულა გულში ბალღამი.

(„სერგეი ესენინს“)

მეტი გამხელა რალა იქნებოდა.



თითქმის ბოლო ლექსი, 1937 წელს დაწერილი . დახვრეტამდე რამდენიმე თვით ადრე... ლექსი უსათაუროა. იგი ასე იწყება:

რა მინდა მე აქ, რისთვის მოვედი,  
განა მე ვიტყვი ჩემს გულის სათქმელს?  
ყელნაგდებული იმღერის გედი,  
პირდაპირა სცემს ყურს და საფეთქელს.

და ასე მთავრდება:

შორიდან ვუმზერ მყინვარს, იალბუზს,  
ამ ორმა დევმა მხოლოდ იციან,  
პოეტის გული რა ცეცხლით მიდულს  
და რაც ატირებს სანყალ ტიცინანს.

ტიციანის ტირილი მხოლოდ ლექსში გაისმა და ლექსშივე ჩარჩა. იგი არც გამტყდარა და არც გაღუნულა.

ცოლს ლოყაზე მოუთათუნა, შვილს აკოცა. გაიღიმა და გაჰყვა ჯალათებს შუალამისას.

არ მოუხედავს. იცოდა, სად მიდიოდა.

**ვალერიან  
გაფრინდაშვილი**  
(1890 - 1941)



თუ ნითელმა ტერორმა შეფიცულ სიმბოლისტთა ერთი ჯგუფის (პაოლო იაშვილი. ტიცინან ტაბიძე...) გატეხვა ასე თუ ისე მაინც მოახერხა, თუ უარი ათქმევინა ცისფერყანწელთა შემოქმედებით პრინციპებზე და სოციალისტური რეალიზმის ფერხულში ჩააბა (ყოველ შემთხვევაში, გარეგნულად ასე ჩანდა), ვალერიან გაფრინდაშვილი ლამის ბოლომდე სიმბოლისტად დარჩა. თუმცა მკაცრ დროს ხარკი მაინც გაულო რევოლუციის ბელადებზე დაწერილი რამდენიმე ლექსით. რაც მთავარია, ოციანი წლების ბოლოს, როცა ცისფერყანწელები ლიტერატურული სიყვითლის ევროპული სენით დაავადებულ მჯღაბნელებად გამოაცხადეს და მერე ოფიციალურად აკრძალეს ყველა ლიტერატურული დაჯგუფება, ვალერიან გაფრინდაშვილმა არ მოიხრგო საბჭოური ლიტერატურული ქურქი, არ აჰყვა საბჭოთა მოღვაწეებად გარდაქმნილ თავის მეგობრებს. მართალია, არც ენერგიული პროტესტი განუცხადებია კომუნისტურ არხში ლიტერატურის მიშვების გამო, მაგრამ ის კი მოახერხა რომ, რამდენადმე განზე გადგა, ჩრდილში ყოფნა არჩია. ტიცინანისა და პაოლოს მსგავსად, ნითელი ხელისუფლებისთვის ერთგულების დამტკიცება არ უცდია და ვერც ცაკის ღონისძიებებზე შეხვდე-

ბოდიტ მგზნებარე სიტყვებით გამოსულს. კარგა ხანს ლიტერატურული ფირფიტა გამოიცვალა, სხვა ჟანრებზე გადავიდა, ლექსების წერას უკლო და მთარგმნელობით-ესეისტური საქმიანობით იკმაყოფილებდა თავის ლიტერატურულ ჟინს. ვერც სულიერი ძმების – პაოლოს და ტიცინანის სავალალო ბედმა შეაშინა „მეოცნებე ნიამორების“ რედაქტორი. ფიზიკურად გატეხა კი. ოცდაჩვიდმეტის ტერორს იგი, რასაკვირველია, ელოდა, მაგრამ „ნიჭიერთა ჟღერა“ თუ ასე ფართო მასშტაბებს მიიღებდა, არ ეგონა. „ჰეროიკულ დროში“ დიდხანს აღარ უცოცხლია. ჯერ ცისფერი ორდენის ლიტერატურული ოცნებანი თავის ძმადნაფიცებთან ერთად დაასამარა და მერე თვითონაც გამორდა ნუთისოფელს.

წავიდა ვალერიანი და თან გაიყოლა დატანჯული სიყრმე, გვემული სული, იმპერიის მიერ შემსხვრეული ლიტერატურული ფრთები და ოცნება თავისუფალ საქართველოზე. იმგვარ ქვეყანაზე, სადაც ლექსის დაწერისთვის მარჯვენას არ გკვეთენ და სადაც თამამად შეგიძლია შენს მკითხველს ისე წარუდგე, როგორც შენი სული გკარნახობს და შენს ფანტაზიას ესურათხატება.

ვალერიან გაფრინდაშვილი 1890 წელს დაიბადა ქუთაისში, სწავლობდა ქუთაისის კლასიკურ გამნაზიაში, მერე – მოსკოვის უნივერსიტეტში ტიცინან ტაბიძესთან ერთად. პირველი წიგნი, „დაისები“, 1919 წელს გამოსცა.

გარდაიცვალა 1941 წელს.

ათასი მიზეზით გაპირობებული სევდით, უიმედობით, სასტიკი დროის შეგნებით, მაგრამ მტკიცე მიზნის უქონლობით მოვიდა ვალერიან გაფრინდაშვილი ლიტერატურაში. ერთ-ერთ პირველ ლექსში (შეხვედრა, სონეტი) იგი წერს:

ქალწულთ გროვაში მე არ ვიცი ის რომელია,  
ვიცანი, ვინვი მის წინაშე, როგორც სანთელი,  
უეცრად თვალებს გადაეკრა სუდარა ბნელი:  
...ის ბრბოს მორევში ჩაიძირა, ვით ოფელია.

სალამო ნაზად მონარნარე ჩემთვის მწველია,  
ცის კამარაზე რად აინთო ვარსკვლავთ კანდელი?  
მე ვარ წარსულში, არ მახარებს მე ახლანდელი:  
ეგ წუთი ჩემთვის სასტიკი და უღმობელია.

რა დიდი იყო სიმბოლისტური ცდუნება. რა გამეტებით ეძახდა ახალგაზრდა პოეტს ლიტერატურული მოდის წიაღი:

ავანთებ სანთელს ვრუბელის წინ მოთენთილ ხელით,  
გადავმლი ბოდლერს, გადავიკითხავ მის „მარტოობას“,  
მეტყვიან ლანდნი, უცხო ლანდნი: ისეე მოგელით,  
შემოგვიერთდი ახლობელო, გიცხადებთ ძმობას.

ჩვენ შეგვიყვარდა შენი სახე, ჩვენსავით მკრთალი,  
შენი ოცნება უიმედო, გრძნობა სნეული,  
ნუ შეგაშინებს ღამისფერი ჩვენი შრიალი,  
ჩვენი ალერსი, ჩვენი კრთომა, ხმა შორეული...

ავახელ თვალებს და გაჰქრება ლანდთა ღრუბელი,  
– ჩემს წინ ბოდლერი, გადაშლილი ვით სახარება;  
გიჟურ თვალებით შემომხედავს ჩემი ვრუბელი,  
სინამდვილეში დაბრუნება დამეზარება.

(„...პირველი“)

მარტოოდენ სიმბოლოებით აზროვნება კი არ მსჭვალავს ვალერიან გაფრინდაშვილის ადრეულ ლექსებს, სიმბოლისტურია პოეტის მსოფლგანცდაც, მოვლენებთან დამოკიდებულება. იდუმალების ქვეყანაში დაგატარებთ ლირიკული გმირი, დროდადრო მთვარის მკრთალი პატიოსნებაც ავინყდება და ღამეულ მთასთან მარტოობის ქორწილს იხდის:

ჩავიდა მთვარე ღმობიერი, ზანტი, კეთილი,  
და დამავინყა თვისი მკრთალი პატიოსნება.  
ქალაქის გარეთ, სად ძონძების მთა დაფლეთილი  
ამაყობს შავად, მე მეძახის ჩემი ოცნება.

მოვდივარ ჩუმად – ქვეყნისაგან დასაფარავად,  
და ვყნოსავ ჰაერს, ყვავილების სუნით დალორწილს.  
და ის ძონძები მიმზადებენ მე – ღამის თავადს  
ყრუ მარტოობის და წყვდიადის საყვარელ ქორწილს.

სევდამორეული პოეტი თავს ზამთარში მოწყენილ ბელურას ადარებს:

ვარ მოწყენილი ვით ზამთარში ნაზი ბელურა,  
ვით შემოდგომის ღამეებში თეთრი ვერსალი.  
შენს სილამაზეს ჩემი ტრფობა ესაფეხურა.  
ვარ მოწყენილი, ვით ზამთარში ნაზი ბელურა.

**(„სენტიმენტალური ტრიოლეტი“)**

რა რეალურიც უნდა იყოს „ადამიანის“ მგზნებარე ავტორი, მამია გურიელი, და რა ცხადადაც უნდა ესახებოდეს პოეტს ჭლექიანი გურიელის გამხდარი ტანი, ლექსში ეს „მწველი სინამდვილე“ სიმბოლისტურ-მისტიკურ ბურუსშია გახვეული.

ისევ მაოცებს დადუმებულ ლექსთა ზრახვანი,  
და ყვითლად მხიბლავს მოქეიფე ლოთი მამია,  
მისი მარადი საკუთარი მაკადამია,  
საბედისწერო, სასიკვდილო, ყრუ ბალახვანი.

იყო ორგია და საზღვრების გადალახვანი;  
რიონის პირად რუხ ფაცხაში ბნელი წამია,  
წევს და არ სძინავს გაფითრებულს იქ ადამიანს,  
რადგან ძვირფასობს ლალ-თვალებით გამხდარი ტანი...

**(„მამია გურიელი“)**

გაჰყურებს მშობლიურ ქალაქს ქარში პოეტი და „მომხიბლავ ქაოსში“ კვლავ და კვლავ თავის ძვირფას სიმბოლისტურ აჩრდილებს ხედავს:

ბევრი მგოსანი მეჩვენება დამსხვრეულ მტვერში,  
როგორც მიმინოს, ათამაშებს ყორანს ედგარი  
და განრისხებულ აჩრდილებით სავსე ეთერში,  
გაურბის ვერლენს არტურ რემბო დაუდეგარი.

ისევ კანკალებს გრიგალიდან ლალის დაისი  
ლალის დაისში აჩრდილები წარსულს სტირიან...  
მხოლოდ ქარის დროს შევიყვარე მე ქუთაისი –  
საფირონ ქარში ეს ქალაქი სხვანაირია.

**(„ქუთაისი ქარში“)**

ისევე, როგორც გალაკტიონის სენტიმენტალური სიყვარულის შთაგონება რომანტიზმის ბურუსიდან გამოსული მერის ძვირფასი სახეა, ვალერიან გაფრინდაშვილის სიმბოლისტურ ლექსებში ხშირად გაიელვებს ოფელია:

და მზე თანდათან წყლის უფსკრულში ჩაესვენება,  
როგორც ხომალდი დატვირთული ბნელ ჰამლეტებით.  
და კიდევ ერთხელ ოფელიას ნაზი ჩვენება  
იხრჩობა წყალში, დანატირი შავი გედებით.

**(„დაისების სინაქსარი“)**

მარტოობის, მიუსაფრობის, მოურჩენელი სევდის მრუმე ღამეებიდან ვალერიან გაფრინდაშვილის ლირიკული გმირი სიგიჟის, ჭლექის და თვითმკვლელობის აპოლოგიამდე მივიდა:

სამარცხვინოა პოეტისთვის სხვა კარიერა  
გარდა თვითმკვლელობის.  
არ მსურს ვიყო ვიქტორ ჰიუგო, ან აკაკი,  
მე მირჩვენია დავილუპო, როგორც ბოჭმეა.  
სამარცხვინოა პოეტისათვის სხვა კარიერა  
გარდა სიგიჟის.

არა მსურს ვიყო ბედნიერი, როგორც გოეტი.  
მე მირჩვენია დავილუპო როგორც როლლინა.  
სამარცხვინოა პოეტისთვის სხვა კარიერა  
გარდა ჭლექისა!

დღეგრძელ მალარმეს მირჩევნია ისევ ლაფორგი.  
პოეტისათვის მე ვინამე ეს კარიერა:  
სიგიჟე, ჭლექი და თვითმკვლელობა,  
სალამი შენ – ტროტუარის პოეტო!..

### („ბოჰემის მონოლოგი“)

გავიდა ცოტა ხანიც და ოცდაოთხი წლის სისხლისღვრამ მუ-  
ზეები ქარში მიმოფანტა, მერე კი პოეტებს ხელი დაუქნია, სიმ-  
ბოლისტურ-ფუტურისტული წარსული მკაცრად უანგარიშა და  
თითის ქნევით გააფრთხილა საბჭოთა მწერლის პლათფორმაზე  
დამდგარიყო:

დღეს ბევრი არის მომდურავი და ბრალმდებელი  
და ბევრისაგან ულმობელი მესმის მტყუნება;  
რისთვის ვიყავი ოფელიას მონა-მხლებელი,  
და ჩემი ქედი წარსულის წინ რად ილუნება?

### („პასუხი“)

1925 წელს ვალერიან გაფრინდაშვილმა დაწერა პოემა „პარიზის  
კომუნა“.

ჩემთან მოდიან ლამეები,  
დატვირთულნი კომუნარების  
დაცხრილულ ტანით;  
ჩემთან მოდიან ლამეები  
ბარიკადებით და ქუჩებით,  
სადაც კვდებიან  
ბავშვები და ქალწულები,  
მოხუცნი და ჭაბუკნი.  
ჩემთან მოდიან ლამეები,  
როგორც ნავები ტრაურულ დროშით,  
როგორც ხომალდი,  
რომლის კაპიტანია  
თვით ულმობელი  
და ხარბი  
სიკვდილი –

ვკითხულობთ პოემაში.

რამ გაახსენა 1925 წელს პოეტს პარიზის კომუნა? მართალია,  
პოემაში ოქტომბერიცაა ნახსენები და ლენინიც... ისიცაა ნათქვა-  
მი, რომ პარიზის კომუნა ოქტომბრის რევოლუციის პრელუდიაა,  
მაგრამ მაინც რატომ ჩაესმის მკითხველს ამ პოემის კითხვის დროს  
სულ რამდენიმე თვის წინათ თბილისში დარხეული კვნესა-ვაება?  
სწორედ ამ დროს დაწერა გალაკტიონმა 1924 წლის აჯანყებაზე  
პოემა „მოგონებანი იმ დღეებისა“ და იგი იტალიის განმათავისუ-  
ფლებელ მოძრაობას მიუძღვნა. ახლა აშკარაა, რომ იტალია გალ-  
აკტიონმა შირმად ააფარა თავის ცეცხლოვან პოემას ცენზურის  
თვალის ასახვევად (მაინც ვერ აუხვია, „მნათობის“ მთელი ტი-  
რაჟი გაანადგურეს). ვალერიან გაფრინდაშვილის „პარიზის კომუ-  
ნაც“ ალბათ, 1921 ან 1924 წლის გამოცხილია. კვლავ ჩავხედოთ  
პოემას:

შემოდინ პარიზში.

მაგრამ არ არის აღებული კიდევ ქალაქი,  
ტიერი იცინის და ნაპოლეონის პოზით  
მოელის პარიზის  
უკანასკნელ კვნესას.  
ტიერი-ტარტიუფი, ტიერი-გომბეშო,  
ტიერი-გონჯი!  
მეკ-მაგონი – „სედანის გმირი“.  
ისევ აღადგენს თავის თავს,  
როგორც სარდალი.  
პარიზი იბრძვის და კვდება  
მომაკვდავი გედის სიმღერით...

თითქოსდა რუსი ჯალათების — მეთერთმეტე არმიის სისხ-  
ლიან კვალზეა დაწერილი პოემა. თითქოსდა... „პარიზის“ ნაცვ-  
ლად „თბილისი“, „ტიერის“ ნაცვლად – სერგო და ყველაფერი თა-  
ვის ადგილზე დადგება.

მაგრამ ეს ისე... ჯერჯერობით ვარაუდის სახით.

ვალერიან გაფრინდაშვილი უაღესად ნაყოფიერი და მაღალი  
პროფესიონალიზმით გამორჩეული მთარგმნელიც იყო. თარგმნა  
პუშკინი, ნეკრასოვი, შევჩენკო, ბლოკი, ბრიუსოვი, მაიაკოვსკი,  
ესენინი, გოეთე, ჰაინე, ედგარ პო, ბოდლერი, თეოფილ გოტიე.

ლაფორგი, ვერლენი, არტურ რემბო, მალარმე, ვერჰარნი, ოვანეს თუმანიანი და სხვები.

საგულისხმოა ვალერიან გაფრინდაშვილის ესეები და ლიტერატურული ნარკვევები დავით გურამიშვილზე, მალარმეზე, ილია ჭავჭავაძეზე, ტერენტი გრანელზე, ბარათაშვილზე, ბრიუსოვზე, ლერმონტოვზე, ბელისნიკიზე, გრიგოლ რობაქიძეზე და სხვ.

წერილში „გამძლეობა პოეზიაში“ ვალერიან გაფრინდაშვილი წერდა „ცისფერ ყანწებამდე“ ლიტერატურული სკოლა, ამ სიტყვის სწორი მნიშვნელობით, საქართველოში არ არსებობდაო.

იქნებ მართლაც ასე იყო.

ყოველ შემთხვევაში არც ერთი ლიტერატურული დაჯგუფების წევრებს ისე არ უხდებათ ერთად, ერთი ლიტერატურული აღმის ქვეშ დგომა, როგორც პაოლოს, ტიცვიანს და ვალერიანს.

თითქოსდა პოეზიის ნათელიც სამივეს ერთი ადგათ თავზე, გვირგვინიც, თუ შეიძლება ასე ხდებოდეს, საზიარო აქვთ.

## ტერენტი ბრანელი (1898 – 1934)



1934 წლის 27 სექტემბრის ღრუბლიან დილას თბილისში საბარგო მატარებელს ჩამოჰყვა საშუალოზე მაღალი ტანის, ბეჭებში მოხრილი. თმანვერგაძეძილი, გამხდარზე გამხდარი, ცისფერთვალეა კაცი.

სახელოგაცვეთილი, ყავისფერი პალტო ეცვა, თეთრი ტილოს შარვალი და ხაკის ლანჩამძვრალი ფეხსაცმელი.

პალტო შიშველ მხრებზე მოეცვა. ყელზე კი გრძელი მოლურჯო კაშნე შემოეხვია.

მამადავითს ახედა, რაღაც ჩაიბუტბუტა და ტრამვაის გაჩერებისკენ წავიდა.

მერკვილაძის ქუჩაზე, სადაც ათიოდე წლის წინათ კიბის ქვეშ ერთი პატარა ოთახი ჰქონდა დაქირავებული, ღამის გათევაზე უარი უთხრეს.

რუსთაველზე გავიდა.

ნაცნობები ხვდებოდნენ, მაგრამ არავის მისალმებია.

ისინიც ვერ ცნობდნენ და, კაცმა რომ თქვას, გულში უხაროდა კიდევ, რომ ვერ ცნობდნენ.

ახალგაზრდა პოეტმა გენო ქელბაქიანმა გზა გადაუჭრა, ხელე-  
ბი გაშალა და გადაეხვია.

– სსუ... არავის უთხრა, რომ შემხვდი. მომსდევენ და შეიძლება  
ნუთი-ნუთზე დამიჭირონ, მარცხნივ აიხედე, იმ სახურავიდან მით-  
ვალთვალელებენ... ნავედი!

რამდენიმე დღე ეულად იხეტილა თბილისის ქუჩებში.

გაზეთ „ქართული მწერლობის“ რედაქციას მიაკითხა, კარგა  
ხანს იდგა კარებთან. მერე პირველსავე გამვლელს სთხოვა ეს ლე-  
ქსები ამა და ამ ოთახში შეიტანე და, ვინც დაგხვდეს, დაუტოვეო.

„გლეხის სახლში“, სადაც უყვარდა ხოლმე მისვლა, ტევა არ  
იყო. „მასწავლებელთა სასტუმროშიც“ არ შეუშვეს.

ლამეს სადგურის ბაქანზე, თავშესაფარში ათევედა.

სადგურს გვიან ღამით აკითხავდა. მანამდე კუკიის სასა-  
ფლაოზე იჯდა გარინდული, ავი ფიქრებით შეპყრობილი.

გაცივდა და მალაღსიციხიანი თავშესაფრიდან ვილაც ღვთიან-  
მადლიანმა ავლაბარში, ქალაქის პირველ საავადმყოფოში, მიიყვანა.

მხოლოდ იქ აუწყა მონყალების დას ჩურჩულ-ვედრებით: მე  
პოეტი ტერენტი გრანელი ვარ. სურამის საგიჟეთიდან გამოვიქე-  
ცი. თუ და ხარ, ჩემი სახელი აქ არავისთან დაგცდეს, თორემ  
დამიჭერენ და ისევ სურამში წამათრევენო.

გარდაიცვალა 1934 წლის 10 ოქტომბერს.

მონყალების დამ მხოლოდ სიკვდილის შემდეგ გაამჟღავნა  
ავადმყოფის ვინაობა.

პოეტის გარდაცვალება თბილისს, რასაკვირველია, არ შეუ-  
ტყვია.

არა და, გარდაიცვალა ტერენტი გრანელი – ლექსის კაცი.  
რომლის სახელიც ოციან და ოცდაათიან წლებში, გადაჭარბებით  
რომ არა ვთქვა, ქუხდა.

ჯიბეში ოთხად გაკეცილი რვეული უპოვეს, რომლის დანასვე-  
ლებ-შენაშრობ, გაყვითლებულ გვერდებზე ძლივს იკითხებოდა:

„ღია სამარეს ჰგავს ჩემი საკანი.

წმინდაო ღმერთო! მე ვილუპები თანდათან და ვგრძნობ  
უკანასკნელი წამის მოახლოებას.

...დრო სიზმარივით გადის.

ჩემი გული, რომელიც ჩამოვარდა ნუხელ, დღეს ქალებმა იპო-  
ვეს ბაღში.

მე ახლა აღარა ვარ.

ჩემი გული გადაეცით თბილისს, თუ აღმოჩნდა სადმე“.

დაკრძალეს პეტრე-პავლეს სასაფლაოზე.

პრესაში არც ნეკროლოგი დაბეჭდილა და არც სამგლოვიარო,  
გამოსათხოვარი სიტყვებით შეუნუხებია ვინმეს თავი.

დროთა ვითარებამ წაშალა ტერენტი გრანელის საფლავი.

ოდენ სამოციანი წლების დასაწყისში მოხერხდა მისი რჩეულის  
გამოცემა (1961 წელს).

გარდასული დიდების ვარსკვლავი კვლავ აკიაფდა.

სევდის პოეტის ნეშტი ქართველმა მწერლებმა 1987 წელს  
დიდუბის პანთეონში გადაასვენეს.

უცნაური და უჩვეულო იყო ამ მარტოსული კაცის ცხოვრების  
გზა.

გეგონებოდათ, საფლავიდან აღმდგარი ლანდია და, რაც ირ-  
გვლივ ხდება, მას არ ეხებაო; რევოლუციები, ლიტერატორთა  
ჭირვეულობა და ურთიერთობის დრამატული გარკვევა ახალ  
სინამდვილესთან, პოეზიის მაჟორული ქარები და დაფნის გვირგ-  
ვინისთვის გამართული მარულა...

ტერენტი გრანელის ცისფერ ოცნებათა ქვეყანას ვერ სწვდე-  
ბოდა ყოფის ჭრელი კალეიდოსკოპი.

იგი არ იცვლებოდა.

გულზეხელდაჭდეული, საკუთარი თავის და სამშობლოს პანა-  
შვიდს ესწრებოდა ერის ეს დაღვრემილი ჭირისუფალი და მისი  
პოეზიაც საოცრად ჰგავდა ავტორს.

განუმეორებელი იყო მისი ცხოვრების წესიც და ლექსიც.

მგლოვიარე ლანდები... პესიმიზმი... უმიზნო ხეტიალი მწუხარე  
სულის ლაბირინთში... გაუთავებელი გლოვა... მისტიციზმი... სა-  
საფლაოს განწყობილება – ამგვარი ფრაზებით ახასიათებდა ყვე-  
ლა კრიტიკოსი, ვისაც კი ტერენტი გრანელზე ორიოდე სიტყვა  
დასცდენია.

ცრემლიან პოეტზე ცრემლიანი ფრაზებითვე საუბრობდნენ  
ტერენტის სიკვდილის შემდეგ მისი გულწრფელი დამფასებელი  
– გენო ქელბაქიანი. დავით კობიძე. სერგი ჭილაია, გივი ცქიტი-  
შვილი. ლერი ალიმონაკი, ელიზბარ უბილავა, სოსო სიგუა...

...და მაინც, ტერენტი გრანელი არ არის ოდენ მრუმე ღრუბლე-  
ბზე შემდგარი, ცხოვრებას ღამის მოწყვეტილი სევდიანი მეოცნებე.

ტერენტის ურვაც ღრმად ცხოვრებისეულია და მისი ტრა-  
გედიაც ადამიანთა გულცივობით ნასაზრდოები – როგორიცაა,

საერთოდ, ყოველი ნიჭიერი კაცის არსებობის ტრაგედია ამ ჩვენს უთავბოლო წუთისოფელში.

ტერენტი გრანელი სწორედ მაშინ გამოვიდა ასპარეზზე, როცა რევოლუციების მრისხანე ეპოქა დროებით ჩამცხრალი იყო და საქართველოს ცაზე უღიმღამო დამოუკიდებლობის ეიფორიული ათინათი კრთოდა.

პოეტს ისე, როგორც მის სამშობლოს, არ დააცალეს, დამოუკიდებლობის მტევნები ეგემნა.

1921 წლის 25 თებერვალს წითელმა რუსეთმა საქართველო დაიპყრო, ხოლო სამიოდე წლის შემდეგ თავისუფლებისთვის ოდნავი გაფაჩუნებაც არ აპატია ილია ჭავჭავაძის ქვეყანას და ბოლშევიკურმა ჩეკამ სისხლის კალო დაატრიალა.

სანამ მწერლობას საბოლოოდ ამოსდებდნენ სოციალისტური რეალიზმის ალიკაპს, საქართველოში ლიტერატურულ სკოლათა და დაჯგუფებათა გამრავლების არნახული ხანა სუფევდა.

ტერენტი გრანელი არცერთ დაჯგუფებას არ მიკედლებია.

არც სიმბოლისტთა და ფუტურისტთა რებუსური მხატვრული „ორიგინალურობა“ იზიდავდა და არც პროლეტარულ მწერალთა პრიმიტიული „სისადავე“.

მისმა პოეტურმა შთაგონებამ სრულიად ახალი ბილიკი გაკვალა და ახალი სადინარი ჰპოვა. კერძოდ:

ტერენტი გრანელმა ჯიუტად დაამკვიდრა სასაფლაოს სიჩუმეში დაბადებული და სევდა-სიკვდილის იდუმალ განწყობილებაზე აღმოცენებული. სწორედ რომ „გრანელური“ ლექსი.

ამ ლექსს არ ახლავს სიმბოლისტთათვის დამახასიათებელი ვერსიფიკაციული „ბრწყინვალება“, არც „აღმშენებლობის ეპოქის“ პუბლიცისტურობა და მომწოდებლური დაფდაფები.

როცა ტერენტი გრანელის ლექსებს კითხულობთ, თვალში არც მოჭარბებული – თვითმიზნური „სახეობრიობა“ გეცემათ.

პოეტი გესაუბრებათ უბრალოდ და მოკრძალებით.

იგი როდი გიმტკიცებთ რასმე, ოდენ გეჩურჩულებათ განსაცვიფრებლად სადა, მშვენივრად უბრალო სიტყვებით ცრემლებზე, სიკვდილზე, მარტოობაზე, მიუსაფრობაზე, სულიერ საპატიმროზე (რადაც მისი სამშობლო ქცეულა).

...და კარგა ხნის შემდეგ, პოეტის ლექსთა კრებულის თითქმის ნახევარი რომ ჩაგიკითხავს, ერთბაშად იგრძნობ, რომ ჭეშმარიტი

პოეტის გრძნეულმა ლექსმა გაგიყოლია, იდუმალების ნაცნობ, ნაღვლიან ნაპირზე გაგიყვანა.

პრიმიტიულობისა და გენიალურობის ზღვარზე, მის მიერვე ქამანდნასროლი ლიტერატურული ციხესიმაგრის თოკის ხიდზე გადის და წუთისოფლის (მაყურებლის) ყაყან-ღრიანცელი ოდნავადაც არ აკრთობს.

ყოველთვის გამარჯვებული რჩება.

მისი შემოქმედებითი პროფილი ლამის მისივე თაობის უკვდავ (მაგრამ სიცოცხლეში ვერშეცნობილ) ნიკო ფიროსმანის პროფილს გვაგონებს. ცოტა ხნით ტერენტიზე ადრე ასევე უპატრონოდ და მიუსაფრად რომ მიინავლა კიბის ქვეშ.

გადავხედოთ ტერენტის უბედური მინიერი სიცოცხლის დღეებს.

1998 წლის 17 ივნისს დაიბადა ნალენჯიხაში. მამას – სამსონ კვიციანიას – იქვე ეზოში სახარაზო ჯიხური ედგა.

უნაგირისა და მათრახის ხელობა იცოდა და წულა მესტებსაც კერავდა. დედა, ივლიტა ლუკავა, 28 წლისა გარდაიცვალა.

სამი ობლის (ტერენტი, მაშო, ზოზია) აღზრდა დედინაცვალმა დარია მეზონიამ იკისრა.

პირველი სულიერი ტრავმა ცამეტიოდე წლისამ მიიღო – მამისეული სახლი დაენვა და იმ ხანძრის კომმარის კარგა ხანს არ ასვენებდა.

საშუალო სკოლა ვერ დაამთავრა. ოჯახის უსახსრობის გამო მამას ეხმარებოდა სახელოსნოში.

თვრამეტი წლისა, მამის რჩევით, თბილისს გაემგზავრა სწავლის გასაგრძელებლად.

თბილისში ტერენტიმ და მისმა უფროსმა დამ – მაშომ პატარა ოთახი დაიქირავეს.

მამის მიერ გამოგზავნილი ორიოდე გროშით და მაშოს კერვით ნაშოვნის კაპიკებით ირჩენდნენ თავს.

მალე სამსონ კვიციანი გარდაიცვალა.

მაშო გათხოვდა მასავით ღარიბ კაცზე.

ტერენტი მარტო დარჩა.

სწავლის გაგრძელების ოცნება შორეულ მირაჟად იქცა.

მერკვილაძის ქუჩაზე კიბის ქვეშ ოთახის მსგავსი ოთხმეტრიანი საკანი დაიქირავა, სადაც, რომ იტყვიან, თავი კუდს ვერ მოიქნევდა.

რამდენიმე წლის შემდეგ ბინის ქირის გადაუხდელობის გამო დიასახლისთან ურთიერთობა რომ გაურთულდა, ქუჩაში აღმოჩნდა.

სადაც დაულამდებოდა, იქ ათენებდა.

ერთხანს ალიო მირცხულავას შეეკედლა, მაგრამ „კომკავ-შირელმა პოეტმა“ პოემა „მე და ბარათაშვილი“ რომ გამოაქვეყნა, წაეჩხუბა და ახლოს აღარ გაჰკარებია.

ცოტა ხანს გაიოზ იმედაშვილთან ცხოვრობდა.

ბუნებით ამაყი იყო.

„სტუმრად ყოფნას“, „სამადლო ლუკმას“ ვერ იტანდა და „უპატრონოთა თავშესაფარში“, „გლეხთა სახლში“ ან სასაფლაოებზე ათევდა ღამეს.

ნახევრადმშვიერი, უბინაო, ოჯახურ სიტბოს მოკლებული ტერენტი პროფესიონალი პოეტის ცხოვრებით ცხოვრობდა.

იმ პერიოდში ბევრს წერდა და ბევრსაც ბეჭდავდა.

შეხვედრებს უწყობდნენ, პოეზიის მოყვარული გოგონებიც ტაშითა და მოწონების თვალთ მიაცილებდნენ რუსთაველის პროსპექტზე ეულად მიმავალს.

შესახედავდაც მოხდენილი ყმანვილი იყო. მაღალი, ღამაზ-შუბლა, ხუჭუჭთმიანი, ლურჯთვალეა...

არავის შესჩივლებდა უსახსრობას, არავის შეანუხებდა პირადი გასაჭირით.

ჰონორარს ცოტას როდი იღებდა, მაგრამ მაშინვე ხარჯავდა. მომჭირნეობა უცხო იყო მისთვის.

სამსახური ხელს შემოშლის, პოეზიის ოქროს წუთებს წამართმევს, ამბობდა და ჩინოვნიკურ საქმეებს გულს ვერ უდებდა.

ერთხანს შიკრიკად და კორექტორად იმუშავა რედაქციებში, რკინიგზაზე კონდუქტორობაც მოსინჯა, მაგრამ მალე გაანება თავი.

ოცდაექვსი წლისამ სმას მოუხშირა და ალკოჰოლმა უფრო გაუშიშვლა, დაუსუსტა ისედაც სუსტი ნერვები.

ცოლი არ შეურთავს.

ოჯახის შექმნის ფორტუნამ ერთხელ გაუღიმა, მაგრამ უშედეგოდ.

კიევიდან ვიღაც რუსის ქალი სასიყვარულო წერილებს სწერდა. შენს მეტს ცოლად არავის გავყვებიო, ეფიცებოდა.

ტერენტიმაც უცნობ „ბეატრიჩესთან“ ყოფნის ოცნების კომპი ააგო. თბილისში მოინვია. სადგურზე დიდჩემოდნიანი ბანოვანი რომ დაინახა, არ მოეწონა და არცთუ რაინდულად მოიქცა – საერთოდ დაემალა „მინერ-მონერით“ შეყვარებულს.

„იმხელა ჩემოდანი ეჭირა, მივხვდი, სამუდამოდ დარჩენას აპირებდა ჩემთან. ჯერ ერთი, სად წამეყვანა უბინაოს, მეორეც, პოეტურ, ბოჰემურ თავისუფლებას სამუდამოდ წამართმევდა და, მესამეც, ის ქალი წერილებიდან უფრო ღამაზი ჩანდა, სინამდვილეში ცოტა ხნიერი და ტანსრული აღმოჩნდაო, – იტყოდა თურმე და ისიც მაშინ, როცა მთვრალი იყო.

განსაკუთრებული, თბილი, ნაზი სიყვარულით უყვარდა დები – მაშო და ზოზია. არაერთი მშვენიერი ლექსი აქვს მიძღვნილი მათთვის. ზოზიას შვილიშვილები – მამანტი და გიზო როგავეები ცნობილი ექიმები და მეცენატები – ერთგულად ზრუნავენ თავიანთი სახელოვანი ბიძის შემოქმედებითი მემკვიდრეობის უკვდავსაყოფად.

ხომ გულჩახვეული და მარტოკაცი იყო, გულითადი მეგობრობა იცოდა და მეგობარ-თაყვანისმცემლებიც არ აკლდა.

ხშირად ხედავდნენ უახლოესი მეგობრებით (ზაქარია ჭიჭინაძე, გალაკტიონი, გიორგი ქუჩიშვილი, კორნელი სანაძე, გენო ქელბაქიანი, დავით კობიძე, დარია ახვლედიანი, გაიოზ იმედაშვილი...) გარემოცულს.

საქართველოს თავისუფლების დაკარგვას (1921) ვერ შეეგუა და, როგორც შეეძლო, ისე გამოხატავდა პროტესტს კომუნისტური ტირანიის მიმართ – საპროტესტო ქვეტექსტებით და ზოგჯერ პირდაპირი მინიშნებებით აღსავსე ლექსებით, უიმედობის აპოლოგიით, ცხოვრების წესითაც.

„მე ამათთან არა ვარ... ესენი მე არ გამახარებენო“... არაერთ-გზის უთქვამს თანამეინახეთათვის.

„მოყურიადეთ“ ტერენტი გრანელის „ანტობა“ არ გამოჩინიათ და ხშირად უქმნიდნენ უსაგნო წინაღობებს.

ერთხელ რუსთაველის თეატრში პოეზიის საღამო ჩაუშალეს.

ცენზურა მის ყველა სტრიქონს გაფაციცებული სიმკაცრით კითხულობდა.

ფსევდონიმი „გრანელი“ ლათინური ძირისაგან (მარცვალს ნიშნავს) აიღო.

ნამდვილი გვარი, როგორც მოგახსენეთ, კვირკველია გახლავთ.

პირველი ლექსი 1918 წელს „სახალხო გაზეთში“ გამოაქვეყნა.

რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, სიცოცხლეში 5 წიგნის გამოქვეყნება მოასწრო: „პანაშვიდები“ (1920 წ.), „სამგლოვიარო ხაზები“ (1921 წ.), „სულიდან საფლავები“ (1922 წ.), „memento mori“ (1924 წ.) და „ლექსები“ (1927 წ.).



ოფიციალური კრიტიკა ხშირად თავს ესხმოდა, „უიდეო“, „ბნელეთის პოეტს“ უწოდებდა.

თავს იმით ინუგეშებდა, რომ მონონების ხელი დაჰკრეს მხარზე ახალგაზრდა თანამოკალმეს ვასილ ბარნოვმა, ვალერიან გაფრინდაშვილმა, ივანე გომართელმა და კონსტანტინე გამსახურდიამ.

მკაცრი დრო იყო.

არ მიხედვს, ქარის მხრიდან არ ამოუდგნენ. თავშესაფარი ვერ გაიმეტეს ნიჭიერი პოეტისათვის.

1928 წელს, მე მგონი, ჩეკამ დაამთავრა ურჩი პოეტის „ნელ ცეცხლზე დაწვის“ ოპერაცია და სულით ავადმყოფის დიაგნოზიც დაუსვა.

ასე „აჯილდოებდნენ“ ხშირად ძნელად აღსაზრდელ შემოქმედთ ბოლშევიკური იდეოლოგიური სამსახურის მუშაკები.

განა თბილისში არ იყო სულით დავრდომილთა საავადმყოფო (სადაც ალექსანდრე ყაზბეგი გარდაიცვალა), მაგრამ ტერენტი გრანელს სურამის საგიჟის საგზური გამოუწერეს.

ჩანს, ჩეკას ჯურღმულებში მიიჩნიეს, რომ მემბოხე სულის პოეტი დედაქალაქიდან რაც შეიძლება შორს უნდა ყოფილიყო.

მაინც ვერ დააოკეს.

ექვსი წელი „მკურნალობდნენ“ სურამში და თითქმის ყოველ სამ-ოთხ თვეში გამოიპარებოდა.

რედაქციებში ლექსებს ჩამოარიგებდა, მეგობრებს ინახულებდა, მამადავითზე ავარდებოდა, თავის სულიერ სავანეს – სასაფლაოს მოივლიდა.

ამასობაში „აღმოაჩენდნენ“ და მკაცრ „სანიტართა“ ეტაპით უკან, სურამში, აბრუნებდნენ.

ბოლო გამოქცევის სავალალო შედეგზე უკვე მოგახსენეთ.

ტერენტი გრანელის ახლად აღმოჩენილ სტრიქონს ახლა რომ ოქროს ფასი აქვს, ასე არ იყო პოეტის სიცოცხლეში.

შერისხული კალმოსნისგან თავმოებურებული ზოგი რედაქტორი ემალებოდა, ხელნაწერს უკარგავდნენ, ყალბი დაპირებებით ისტუმრებდნენ.

მთავრობას არ სიამოვნებს მისი გვარის ხსენებაო და თანამედროვე პოეტთა ყველაზე გრძელ სიაშიც კი გამოტოვებდნენ ხოლმე „იდეური კრიტიკოსები“.

ტერენტი გრანელი კი წერდა... წერდა ყველგან და ყოველთვის: ძველი ნიგნის ყდაზე, ასანთისა და პაპიროსის კოლოფზე. ავადმყოფობის ისტორიის ფურცელზე, ტუჩის მოსანმენდ ქალაქდებზეც, ოთახის კედლის ფიცარზე...

ვინ იცის, რამდენი ლექსი დაეკარგა.

იგი ოდენ პოეზიით ცოცხლობდა, პოეზია იყო მისი ცხოვრების აზრი და ერთადერთი განძიც.

დღეთა სიმძიმე ჩემს გულს აჩნია

და ვხედავ ფოთლებს ბაღში დაფენილს.

ლექსების გარდა, რა გამაჩნია,

იყოს ლექსები, სხვა არაფერი.

(„შენსკენ მოჰქრიან...“)

ტერენტი გრანელის პოეზიის ძირითადი მაგისტრალი ინტიმურ-მედიტაციური ლირიკაა.

ამ რკალში სჭარბობს ფილოსოფიური პოეზია — სევდისა და მისტიციზმის მოტივები. შეინიშნება სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემატიკა და კანტიკუნტად სიყვარულის მოტივი.

თუმცა ქალს პოეტი ოცნება-მოლოდინის, ზეციური, წმინდა არსების არეალში განიხილავს და ქალი, როგორც ვნების წყარო, მას არ აინტერესებს.

სამოქალაქო-პუბლიცისტური, სოციალური პოეზია ტერენტი გრანელის სულსა და გულს იშვიათად იპყრობს, თუმცა ამ განასერშიც თვალსაჩინოდ წარმოგვიდგება პოეტის ურვის მიზეზი — ბოლშევიკთა მიერ დამონებული სამშობლო და ჭანჭიკადექცეული პიროვნების უილაჯო, მიუსაფარი ყოფა.

ჭაბუკობისდროინდელ ლექსებში ღვთისადმი შიშისა და მორჩილების განწყობილება ბოჰემური ცხოვრების წესის შეუთავსებლობის შეგნებაში განსხეულდება და პოეტი შენდობას ითხოვს:

სევდიან სარკეში და უცხო ღამიდან

სანთლებით მისდევენ ყვავები ამ აპრილს.

პოეტს გარინდებულს როგორც პირამიდას, —

ზარების ტირილში გრიგალი გამაფრენს.

...მე, ჩუმი, მივყვები ლანდების ასეულს,

ღამე უდაბნოა, ვნება კოშმარია.

ქუჩაში მცხოვრებს და სახლიდან გაქცეულს,

შემინდე, შემინდე, წმინდაო მარიამ!

(„ფარული ვედრება“)

მერე პოეტი თანდათანობით რელიგიური მისტიციზმისგანაც თავისუფლდება.

იგი ხსნას უკვე უფლისგანაც აღარ ელის და ნანამები ლირიკული გმირი სიკვდილის გზაზე გულხელდაკრეფილი მიაბიჯებს:

ო, ეს გული, ისევ გული მტკივა,  
სიჩუმეა უსიცოცხლო ველების,  
რანაირი ნანამები მივალ,  
მიმაქვს ჩუმი დაკრეფილი ხელები.

ნითელი მზე აელვარდა მინებთან,  
მოდის ჩუმი და ცისფერი ღამე,  
უიმედო გულის ძგერა მინელდა,  
შენ, წმინდაო მაცხოვარო, ამინ!

#### („სიცოცხლის გრადაცია“)

ზამთარი, თოვლი, ქარი, სიკვდილი, სამარე... აი, მწუხარე პოეტის ლექსის ნისლიანი ატრიბუტები:

იგი ნავიდა გვიან,  
თეთრი თოვლივით ცივი,  
ზამთარი, როგორც ტყვია,  
მოვა ქარით და წვიმით.

შენსკენ მოვდივარ ერთი  
და მესმის რეკა ზარის.  
სიკვდილი მომდევს გვერდით  
და ვარ მოლლილი მგზავრი.

#### („მოგონება შორეულზე“)

ერთ ჩანახატში პოეტი თავისი დასაფლავების ცერემონიალსაც წინასწარმეტყველებს:

„მოვკვდები ღამით, გათენებისას, როდესაც გარეთ იქნება ზამთრის გაცივებული მთვარე და ყინვა...“

გადავეციმი სიკვდილის მდუმარე ხელებს...

ჩემი წამებული სხეული შეუერთდება მსოფლიო ელემენტებს.

და მე ვიგრძნობ უმაღლეს მოსვენებას.

კუბო ჩემი იქნება სადა და პროცესია უცრემლო...

პანაშვიდი გათავდება ქარში.

ჩემს ცხედარს ნელა ჩაუშვებენ სამარეში...

და ჩემი სამარის სამუდამო დარაჯი იქნება ჩემი უნაზესი და – სიჩუმე“.

#### („სიკვდილის შემდეგ“)

პოეტი სიკვდილთან ისეა გაშინაურებული, რომ მასზე წერს არა როგორც მოსალოდნელ უბედურებაზე, არამედ – როგორც „უმაღლეს მოსვენებაზე“, ნანატრ სიჩუმესთან მიახლებაზე.

რა პოეტური მასშტაბებია, თუ გნებავთ, სიკვდილზე ამალღებაც და ზეციური, მაგიური ხილვებიც ლექსში „მიცვალებულის დღიურიდან“:

შენ ვერ მიხილავ და ნურც დამეძებ,  
სადღაც წამიღეს ბნელი მკლავებით.  
მე წუხელ მოვკვდი შუალამეზე,  
როდესაც კრთოდნენ ცად ვარსკვლავები.

...და ეცემოდნენ სადღაც წვიმები  
შორეულ ღრუბლის სანაპიროდან.  
კუბოსთან იდგნენ სერაფიმები  
და ღვისმშობელი ჩემზე ტიროდა.

არც შორეული დების ლოცვები  
ჩემს გადარჩენას ხელს არ უწყობდა.  
მიმასვენებდნენ ანგელოზები  
და კუბოს ქრისტე წინ მოუძლოდა.

ტერენტი გრანელის გრძნეული გონება თითქოსდა საკუთარი სხეულიდან ამოხტომას ღამობს, კანონიკურ ჩვეულებრიობას (სიცოცხლე, სიკვდილი) ვერ ეგუება და მესამე გზის ძიებით იმუხტება:

„არა სიცოცხლე,  
არა სიკვდილი.  
არამედ რალაც სხვა.  
ვამბობ: არ არიან სიტყვები გრძნობისათვის...  
გარეთ ისევ ქარიშხალია, წვიმის წვეთები ისევ ეცემიან მინას  
და ისევ სიმორეზე ტირის როიალი“.

**(„გულიდან სისხლის წვეთები“)**

დედამინაზე ვერდატეული ხილვები პოეტისა ზეციურ-ღვთიურ  
პოეზიად კრისტალდება:

წამი აღმაფრენის,  
და ფიქრი ნაჩვევი.  
ღმერთო! გამაფრინე  
და ქრისტე მაჩვენე...

ნეტავ, ზღვის ძახილზე  
გრიგალს გავეტაცე.  
ღმერთო, გამალვიძე  
მე სხვა პლანეტაზე.

**(„ლოცვა გაფრენისათვის“)**

გალაკტიონთან განსაკუთრებულ სულიერ ნათესაობას გრძნობდა.  
საათობით შეეძლო ელაპარაკა „მერის“ ავტორის პოეზიაზე.  
საოცარი სინაზით ახსენებს დღიურებში გალაკტიონთან ყოველ  
შეხვედრას.  
და მაინც, როგორც თანამედროვენი იგონებენ, იყო რალაც  
ქვეშეცნეული ქიშპობა მის გარინდებაში, როცა გალაკტიონს თავის  
პოეტურ ფრთებს ატოლებდა:

ავად ვიყავი, ნუხელ ვკვდებოდი,  
ახლა მიგონებს, ალბათ, ზოზია,  
გალაკტიონში არის დემონი  
და ჩემში უფრო ანგელოზია.

**(„მე და გალაკტიონი“)**

ვერ ეტევა პოეტის სული დედამინაზე.  
დროდადრო გაარღვევს ყოველდღიურობის მოსაწყენ ერთ-  
ფეროვნებას და უმიზნო ხეტიალს სამყაროს უკიდევანო სივრცე-  
ბში იწყებს.

იმ სივრცეებიდან გამოხედავს დედამინას და:

შენ, დედამინავ, უფრო მაშინებ,  
როცა ოცნებით ზეცას მოვიარ,  
წმინდაო ღმერთო! რად გამაჩინე,  
მე ხომ სიცოცხლე არ მითხოვია?!

**(„უმიზნო ხეტიალი“)**

არა მაჟორული ხმები რევეოლუციის ან სირენების ჭირვეული  
განგაში, არა ქუჩის უთავბოლო კაკაფონია ან თუნდაც მოქეიფეთა  
ამღვრეული ხმები, არამედ სიჩუმე, სიმშვიდე, გარინდება ენატრე-  
ბა პოეტის სულს.

მხოლოდ სიჩუმეს – პოეტის უნაზეს დას – მოაქვს გაზაფხუ-  
ლის გრძნეული სუნთქვა და ასეთი იდილიური სურათი:

გაზაფხულის სალამოა მშვიდი,  
ხიდან ხეზე გადაფრინდა ჩიტი.

წინ მეშლება სხვა ოცნების არე,  
მინის ცქერით დაიღალა მთვარე.

**(„გაზაფხულის სალამო“)**

ტერენტი გრანელმა კარგად იცის მისი პოეზიის ფასი.  
თუ რამ ანუხებს, ესაა კაცთა გულგრილობით და ვერშეცნობის,  
ვერგაგების კედლით გამონეული გაუცხოვება საზოგადოებისა,  
არაერთი დიდი შემოქმედის ცხოვრებას ქუდბედად რომ დაჰყოლია.

ნელა გადის დღეები და ძნელია გარჩევა,  
მე, ძვირფასო, ვერ მოვალ, გზა შენამდე შორია.  
ჩემი გვარი – გრანელი პოეზიას დარჩება,  
ჩემი გული და სისხლი ეს „memento mori“-ა.

**(„memento mori“)**

ძნელია მოიძებნოს სხვა პოეტი, სიკვდილს რომ ასე შეჩვევია და გაშინაურებია.

ლირიკული გმირი ისე უბრალოდ, სხვათა შორის, ჩაილაპარაკებს:

მე იმდენად შევეჩვიე სიკვდილს,  
აქამდე რომ ცოცხალი ვარ, მიკვირს!

**(„საახალწლო ელეგია“)**

დრო გადის და გრძნობს, წასვლის ჟამიც მალე დარეკავს:

ჩემო ზოზია, მე წავალ მალე,  
არარაობა გამაბნევს ქარში.  
ამ ნათურების ცოფიან თვალებს  
ჩუმი სანთლები შეცვლიან მაშინ.

ჩემო ზოზია, მე წავალ მალე,  
დედის აჩრდილი მომელის გზაში,  
ამ ნათურების ცოფიან თვალებს  
ქრისტეს თვალები შეცვლიან მაშინ.

**(„ჩემო ზოზია, მე წავალ მალე“)**

ავადმყოფობის ისტორიასავით დაწერილი, თითქოსდა პოეტის დრამატული ცხოვრების ლირიკული პანორამაა, თითქოსდა პოეზიით ატკივებული გულის კარდიოგრამაა ტერენტი გრანელის ლექსები.

უმიზნო ხეტიალი, საფლავებს შორის ღამისთევა, შეშლილის სახით გამოცხადება გულცივი საზოგადოების წინაშე, სადაც მისი ფასი არ იციან... და აი, უკანასკნელი ლექსებიც:

გადარჩება? – ექიმებს ეკითხება ზოზია.  
გადარჩება? – გმინავენ ლაზარეთის კედლები...  
დაო, შენი ცრემლები ჩემთვის ავგაროზია,  
დაო, მჯერა სიცხიანს, სადღაც დავეხეტები...

**(„გადარჩება?“)**

და ბოლოს, რაკილა მიწამ თავისი მოითხოვა, ავმა სენმა მიწისკენ დაქაჩა და სულს აფრენა წამით გაუჭირდა:

სადღაც სდუმს მთები, სადღაც ნისლია,  
ვერ გადურჩები სულის წვალებას.  
მე რომ გაფრენა არ შემიძლია,  
ეს უკვე ნიშნავს გარდაცვალებას.

**(„სადღაც სდუმს მთები“)**

ეს უკვე დასასრულის დასაწყისი იყო.  
დაღლილი სხეული მიწაზე დარჩა.  
სულის ღალადის მთვარემ გაიგონა.  
იგი წამით შეყოვნდა პოეტის სევდის ფანჯარასთან. მხოლოდ წამით და მერე თავისი უჟამო-დაუსაბამო სვლა განაგრძო კოსმოსში პოეტის ცადამალლებულ სულთან ერთად.

და ფიქრმა ისევ მაღლა გასწია,  
გაჩნდა ოცნების ცისფერი მხარე.  
დგას ფანჯარასთან ეს აკაცია  
და ფანჯარასთან ჩერდება მთვარეც.

**(„მთვარე ფანჯარასთან“)**

სანამ ცხოვრება გარიყავდა, ტერენტი გრანელმა თვითონ თქვა უარი მკაცრ საბჭოურ სინამდვილეზე.

დამთრგუნველად იმოქმედა მის სულზე საქართველოს ანექსიამ (1921) და თავისუფლებისათვის ეროვნული აჯანყების სისხლში ჩახშობამ (1924).

„ახალ ეპოქასთან“ ასეთი დრამატული დამოკიდებულება ჰქონდა:

ქალაქის კვამლი, მლელვარება, ღამის ალები  
და შორეული რაინდების უმწეო შფოთი.  
სამარადისო მწუხარება მოკლულ თვალების  
და ჩემი სული ამართული, ვით ეშაფოტი.

**(„სულის ცეცხლი“)**

რაც უფრო გროვდებოდა შავი ღრუბლები დამოუკიდებელი საქართველოს ცაზე, მით უფრო მშფოთვარება იპყრობდა.

აფიქრებდა საქართველოს ბედი და მის ტკივილს განიცდიდა („სამშობლოს“), ხოლო, როცა კოჯრის თოვლი იუნკრების სისხლით შეიღებდა და თბილისის თავზე დამპყრობელთა წითელი დროშა აფრიალდა, ტერენტი გრანელმა დაიკვნესა:

ახლა ეს ფიქრი სხვა სამარეა,  
მოვიდა ქარი, ხე შეარხია.  
და საქართველო ეს ის მხარეა,  
სადაც ცოცხალი ხალხი მარხია.

(„1921“)

იმ დროიდან დაიწყო ჩეკას მეთვალყურეობა პოეტზე. ხშირად გრძნობდა ზურგთან ტყავისჯუბაჩიანი მეთვალთვალის ნაბიჯებს.

რამდენიმეჯერ დაგეგმილი დებოში გაუთამაშეს და დააპატიმრეს. არაერთგზის იხილა ციხის კედლები ისედაც სულიერ სატუსალოში მყოფმა. ამიტომ გაჩნდა ტერენტი გრანელის შემოქმედებაში „ციხის პოეზია“ (იხ. ლექსები: „პოეტი პატიმარი“, „ციხის ელეგია“, „მთვარე ციხიდან“, „ვდგავარ მალლობთან“...).

მოგვიანებით „დღიურში“ დანერს: „მე წავედი ორთაჭალის ბაღში, ახლოს დავინახე ის ციხე, სადაც მე ვიყავი დამწყვედი. მიხარია, რომ თავისუფალი ვუმზერ სატუსალოს. ვზივარ ერთ პატარა ჯირკვზე და ვწერ ლექსს“.

რა უპრეტენზიო და სადაა პოეტის დამოკიდებულება სამშობლოსადმი.

რა ცოტა ჰყოფნის თავისი გულმდულარე სიყვარულის საფასურად:

ქვევით საფლავებია და ზევიდან ფიქრები,  
(ალბათ, გენიოსი ვარ და ცისფერი სიმორე).  
დაო, ასე მგონია, ბედნიერი ვიქნები,  
სადმე ახლოს, თბილისთან, თუ სამარე ვიშოვებ.

(„ციხური სიმორე“)

რაც შეეხება სატრფიალო მოტივს, ტერენტი გრანელის ლირიკულმა გამირმა სიყვარულიც არამინიერი, ორიგინალური, სიფაქიზით გამორჩეული იცის.

დეპრესიის ჟამს იგი არაერთგზის მოუხმობს ქალს – საყვარელ არსებას, რომელიც სულიერ ტკივილს დაუამებს, მაგრამ ეს „მორით დაგვა“ არასოდეს გადადის ფიზიკური სიახლოვის განცდაში.

ქალი პოეტს ოდენ დისტანციაზე ეგულება და მასთან განშორების დრამატული მომენტი უფრო აინტერესებს (იხ. ლექსები: „ქალის აგონია“, „რვა ივნისია“, „შენს მოლოდინში“, „ძვირფას ქალს“, „განშორების შემდეგ“, „მონოლოგი უდაბნოს ყვავილებზე“).

მიჰქროდა წამი თანდათანობით,  
სულით დალუპვას გრძნობდი წინათაც,  
შენ განშორებას უფრო ნანობდი  
და თვალში თეთრი ცრემლი ბრწყინავდა.

ნელა წყდებოდა ფოთლები ხეებს  
და სადღაც სდუმდა ხე გაძარცული.  
შენ იგონებდი გაფრენილ დღეებს  
და თვალწინ გედგა ჩვენი წარსული.

(„განშორების შემდეგ“)

ლექსებს უძღვნის თამარ ჯაფარიძეს, ირა რადოვსკაიას, სხვა ქალებსაც. მაგრამ ტერენტი გრანელის პოეზიაში სიყვარულის მოტივის საერთო მახასიათებლად პოეტის ეს სტროფი გამოდგება:

დავრჩი ბედის კუთხეში, ბრბო მიცქერის უხეში,  
მოვა ქალის ნუგეში საიდუმლო ქნარებით.  
მირაჟების კრებული არის გათეთრებული  
და მე გაფითრებული შენსკენ მოვექანები.

(„მონოლოგი უდაბნოს ყვავილებზე“)

ტერენტი გრანელის ლექსი ვერსიფიკაციული იერსახით, ერთი შეხედვით, გალაკტიონის ლექსს ჰგავს. ოღონდ გალაკტიონი უფრო

რაფინირებულია, თუ გნებავთ, უფრო დახვეწილი და მხატვრული სახეებით მოკაზმული.

„ციხის ელეგის“ ავტორის ლექსი შედარებით სადაა, ოღონდ ღვთაებრივად სადაა და იოლად აღსაქმელი.

ეს სრულიად ბუნებრივია.

პოეტის მელანქოლიურ განწყობილებას რიტმის ხშირი ცვა-  
ლებადობა და თვალშისაცემი გარეგნული სამკაულები არ მოუხ-  
დებოდა.

ასე რომ, ტერენტი გრანელის ლექსის მუსიკა სწორედ რომ შემოქმედის შინაგანი წვის ანარეკლია, ხოლო მხატვრული სახეები უაღრესად შთამბეჭდავია; ზოგჯერ ავადმყოფური ხილვის ნაყოფიც. მაგ., „და ვხედავ მალლა, რომ სოველ ჭერზე კაცის სახეა გამოსახული“. ან „ციხე დგას, როგორც საშინელება, დამძიმებული და კეთროვანი“...

ტერენტი გრანელის თითქმის ყველა ლექსი კონკრეტულ-სახეობრივი და გამჭირვალეა (საოცარია, რატომ მიაკერეს კრიტიკოსებმა მისტიკურის და ბუნდოვანის იარლიყი).

იგრძნობა ოსტატის ხელწერა. განწყობილების უშუალობა, შინაგანი სიუჟეტი და დრამატიზმი.

ერთადერთი ნაკლი ტერენტი გრანელის პოეზიისა თემატურ-პრობლემური ერთფეროვნებაა, რაც ერთ გამაზე აწყობილის, მონოტონურის იერს აძლევს მის პოეზიას. თუმცა იგივე ნიშანი საოცარ თვითმყოფადობასაც სძენს: ტერენტი გრანელის ლექსი სხვის ლექსებში არ აგერევათ.

\* \* \*

ლამით უპატრონოდ გარდაიცვალა იგი – უთვისტომო, მიუსა-  
ვარი, ლარიბი პოეტი თბილისის პირველ საავადმყოფოში.

უკვე დაღამდა, მე ისევ ვტირი  
და უხილავი სივრცე მიტაცებს.  
სული გაფრინდა თეთრი მტრედით,  
სხეული დარჩა ცოდვილ მინაზე.

(„მარადისობის ლაჟვარდები“)

წავიდა... ამაღლდა... პოეტის მსოფლიო სევდა მარადისობის ცისფერ შუქს შეერია და ლაჟვარდებში შთაინთქა.

ტერენტი გრანელი, თავისი სიკვდილის თავისივე თვალთ და-  
ნახავი გრძნეული კაცი, ლექსით – „საიდუმლო მისალმება“ თავის ეპოქაზე გულდაწყვეტილი და გაბრაზებული, თანამედროვე მკითხველთან გადმოდის ალავერდს:

ზარების რეკვა ნერტილებით შემომესია,  
უიღბლო ყოფნის სინანული სულში გროვდება.  
საქართველოში მხოლოდ შენ ერთს თუ გაგონდება, –  
გაბრწყინებული ჩემი სახე, ვით ეკლესია.

მაისი, 2004, თბილისი



## გიორგი ლეონიძე (1899 – 1966)

გიორგი ლეონიძის პოეზია უაღესად ორიგინალური და ჭეშმარიტი პოეტური მადლით მოსილი ლიტერატურული ფენომენია, ხოლო სამოციან წლებში დაწერილი ნოველების კრებული „ნატვრის ხე“ ჭეშმარიტი პროზაიკოსის მაღალი ოსტატობით გამოირჩევა. გიორგი ლეონიძე საზოგადო მოღვაწეობით ღარიბ ჩვენს საუკუნეში იმ გამონაკლისთა რიგს ამშვენებს, რუდუნებით რომ ზიდეს ერის გულშემატკივრის, მამულიშვილის მძიმე უღელი.

1899 წელს დაიბადა საგარეჯოს რაიონის სოფელ პატარძელში, მამა – პუბლიცისტი ნიკო ლეონიძე, ადრე გარდაიცვალა, დედა – სოფიო გულისამვილი, სათნო და თავისი დროისათვის ფრიად განათლებული მანდილოსანი გახლდათ.

1913 წელს მომავალმა პოეტმა თბილისის სასულიერო სასწავლებელი დაამთავრა და სწავლა სასულიერო სემინარიაში განაგრძო.

სემინარიის დამთავრების შემდეგ „ცისფერყანელთა“ ორდენს დაუახლოვდა და ქართველ სიმბოლისტთა გამოცემებში აქტიურად თანამშრომლობდა.

სიცოცხლის ბოლო წლებში შოთა რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორად მუშაობდა. გარდა

წმინდა ლიტერატურული საქმიანობისა, საინტერესო მეცნიერულ გამოკვლევებსაც წერდა.

უაღრესად პოპულარულის პოეტი და კოლორიტული პიროვნება იყო.

„ძმობამ, ცეცხლმა, სიყვარულის იარამ“ ბოლოს მაინც თავისი გაიტანა და ყივჩაღის პაემანის“ ავტორი საქართველოს თვალწინვე ჩაქრა და დაიფერფლა 1966 წელს.

კარგი ტაროსი დაუდგა მის პოეზიას. რაც დრო გადის, უფრო და უფრო ხშირად მივდივართ გიორგი ლეონიძესთან – მაშვრალნი სიბრძნისა და სილამაზის წყაროს ენაფებიან, სვეგამრუდებულნი იმედს პოვებენ, უმრწემესი პოეტები ეროვნული ჩანგისადმი რაინდული დამოკიდებულების და ტკბილქართულის გაკვეთილებს იღებენ მისგან. საქართველოს ქომაგი და მეხოტბე იყო გოგლა და მისი ვაჟკაცური ლექსი სამშობლოს დარაჯადვე დარჩა. მან გვასწავლა ქვეყნის მოვლა-პატრონობის ბევრი საიდუმლო, მან გვიქადაგა ჩვენი პიროფლიანი წინაპრების ღვანლის დაფასების სიბრძნე და ახლა, როდესაც თვითონვე იქცა წინაპრად, აზრიანი საქართველო მის მიერვე ზარხმობილი და გამოფხიზლებული გროვდება მის საფლავთან და ჩურჩულით: იმეორებს „გაუმარჯოს, ვისი გულიც გულია!“.

წლები რომ ემატებოდა, თანდათან უფრო და უფრო ემსგავსებოდა ბებერ არწივს და მისი მძლავრი ფრთების ქვეშ მთელი მისი ამქარი ეტეოდა, სხვის კარგ სტრიქონზე ბავშვივით გაიხარებდა და წყრომის ბუხუნს მოჰყვებოდა, გულსგარეთ დაწერილს რომ წააწყდებოდა. ლიტერატურული ღლაბუცი ჭირივით სძულდა.

პროფესიონალი იყო, ამ სიტყვის უმკაცრესი და უფართოესი მნიშვნელობით. ცოტა მეგულეობა პოეტი, მისებრი პასუხისმგებლობით რომ ეკიდებოდა ქალაქდზე დაწერილ თითოეულ სიტყვას. ლექსს ისე ჩამოასხამდა, ჩამოაგვირისტებდა, ბზარს ვერ უპოვიდი. ვიქექებით ახლა მის უზარმაზარ არქივში და ყველაზე კრიტიკული განწყობის დროსაც კი ვერაფერი აღმოგვიჩენია გიორგი ლეონიძის მემკვიდრეობაში ჰაიჰარად შექმნილი. გულით შეებმოდა, რასაც ჩაიფიქრებდა, ეტრატთა და პალიმფსესტთა ამოკითხვით დღე და ღამეს ასწორებდა, როცა „თბილისს“ წერდა და ვახტანგ გორგასალის ლეგენდარულ აჩრდილს უხმობდა ჩვენს საუკუნესთან. ფიროსმანის კვალის ძებნაში თბილისის სარდაფსირაჩხანა არ დაუტოვებია უნახავი. პროზას მოჰკიდა ხელი და

განსაცვიფრებელი, ამატირებელი „ნატვრის ხე“ დანერა, მეცნიერებაში სცადა კალამი და მშვენიერი ძეგლები დაუდგა იოსებ ტფილელს, ბესიკს, სულხან-საბა ორბელიანს, სიათნოვას...

და მაინც, უპირველს ყოვლისა, პოეტი იყო სულით, მოწოდებით, მსოფლხედვით, და, თქვენ წარმოიდგინეთ, გარეგნობითაც. პოეზიის მძლავრი სუნთქვა გვესმის მარტო მისი ლექსებიდან კი არა, პროზაული ქმნილებებიდან, მეცნიერული ნარკვევებიდან და საზოგადო საქმეებიდანაც. პოეზია იყო მისი ცხოვრების სტილი და სიცოცხლის აზრი. პოეტურადვე გაგვმორდა უღმობელი სენით შიგნიდანვე გაბზარული, მაგრამ შესაყვარებლად ბიბლიური და სიკვდილისაგან დაუმარცხებელი.

„სამშობლოს ჩუქურთმის მჭრელმა“ კარგად უწყოდა, საით მიდიოდა საქართველოს ხომალდი, შეგნებული ჰქონდა პოეტის ისტორიული მისიაც თაობათა წინაშე, იცოდა, რომ, მართალია, „ჩალაგდნენ ყველა ჩინგისხანები“ და ერს მშვიდი ცხოვრებისა და შენების საშუალება მიეცა, მაგრამ ახლაც არანაკლებ საჭიროა ეროვნული არსენალის საგულდაგულო აღესვა. დროდადრო უნდა შეეხსენებინა თავისი მკითხველისათვის – „ვისი გორისა ხარ“ და რა გევალება რუსთაველის შთამომავალს. სამშობლო იყო მისი უპირველესი დვრიტა და მისი ლექსის სახელი; „მხოლოდ შენ – მინდა ჩემს ჩანგურს უკვდავი სული მობერო, ჩემო ცავ, ჩემო ქვეყანავ, ჩემო გულგაუყოფელო“.

მზესავით განაწილდა მისი მართალი ლექსი საქართველოში. ხშირად უყვარდა თავისივე სტრიქონების გამეორება:

განა ლექსი ლექსი არი,  
თუ დარჩება მუნჯი,  
პოეტებო, გულსაც უნდა  
ბერტყვა, როგორც ხურჯინს.

საქართველოს რომელ კუთხეში არ შეხვდებოდით ყველასათვის სასურველ სტუმარს გოგლა ლეონიძეს „გულის საბერტყავად“, „ქართველი კაცის მოსაფერებლად და სანუგეშოდ მისულს. არაერთ ოჯახში ნააწყდებით „ოლეს“ ავტორის ხელით საშინაო ალბომში ჩანერილ სტრიქონებს.

ჩემი საქმე რომ იყოს, მის საფლავზე ამ სტრიქონებს ნავანერდი – ყველა გარდასული მეომრის ნაცვლად მის მიერვე თქმულს:

თუ გაუჭირდა სამშობლოს,  
კვლავ ცეცხლით დავიდაგებით,  
ჩვენ გამოვამტრეთ საფლავებს,  
ხმლით ქართლის მთებზე დავდგებით.

გიორგი ლეონიძე, როგორც აღვნიშნეთ, შემოქმედების ადრეულ წლებში სიმბოლიზმის გავლენას განიცდიდა, სიმბოლისტური მსოფლხედვით და მხატვრული სტილით ხასიათდება პოეტის ლექსები: „**ზამთრის მელოდია**“, „**ლურჯი თვალი**“, „**სონეტი ქართველ ჰუსარებს**“, „**უცნობ ქალს კაბარეში**“, „**ოფორტი**“, „**ავტოპორტრეტი**“, და სხვ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გიორგი ლეონიძის სიმბოლისტური ლირიკა შორსაა ფრანგ სიმბოლისტთა ეპიგონობისგან. პოეტს ამკარად იზიდავს ეროვნული საწყისი, უყვარს „დროშები საქართველოს გამოყვანილი“ და ტანზე „რასის ქრილობებს ითვლის“.

რასის ქრილობებს ტანზე ვითვლი, როგორც ყვავილებს,  
ქართლის თავადი და პარიზის დიდი ტრიბუნი,  
მიყვარს დროშები საქართველოს გამოყვანილი,  
მზე – ჩემი გვარის ლაშქრობაში გათეთრებული.

პოეზიაში, როგორც რუმბში ჩაყუდებული,  
ყველა წვენებში, ყველა შხამში სული ჩავანე,  
არტურ რემბოსთან ბოროტ ტყუპად ჩახუტებული  
მადგამენ გვირგვინს თეიმურაზ და ჭავჭავაძე.

### („ავტოპორტრეტი“)

მეოცე საუკუნის ათიანი თუ ოციანი წლების პერიოდიკაში მიმოხეული გიორგი ლეონიძის ადრინდელი ლექსები დღემდე არაა შეკრებილი და ცალკე წიგნად გამოცემული. მაშინ, როცა სიმბოლიზმს პოეტს „სიჭაბუკის სენად“ უთვლიდნენ, თვითვე გაემიჯნა (ყოველ შემთხვევაში, გარეგნულად ასე ჩანდა) მათ და სიცოცხლეში გამოცემულ არც ერთ კრებულში არ შეუტანია. არა და, გიორგი ლეონიძის სიმბოლისტური გატაცების არაერთი ნაყოფი ჭეშმარიტი, მაღალი პოეზიით სუნთქავს.

უმთავრესი მოტივი „ოლეს“ ავტორის შემოქმედებისა პატრიოტული მოტივია. გიორგი ლეონიძე პატრიოტული განწყობის პოე-



ტი გახლავთ და სწორედ რომ ყელამდე ჩაფლული თავისი ქვეყნის საზრუნავ-საფიქრალში:

მშობელ მინაში მიდგას ფესვები,  
როგორც წყალში დგას წნორის ძირები,  
სიცოცხლეს ვერვის დავესესხები,  
თუ სამშობლოსგან გავინირები.

მარადი შუქით ბრწყინვალეებს იგი,  
მისი ნათელი დამთოვებია,  
სიცოცხლე – მისი მშვენების იქით –  
ერთ ნაბიჯზედაც არ მდომებია.

... გულის ნათელი მე მიპოვია,  
ქართლის დიდების მე ვარ მნახველი  
სამშობლო – ჩემი გულის ფეთქვაა,  
სამშობლო – ჩემი ლექსის სახელი.

#### („ვემღერ სამშობლოს“)

ჯერ კიდევ 1917 წელს თვრამეტი წლის ჭაბუკი ლექსში „საქართველო“ მინიშნების გარეშე მიუთითებდა იმაზე, თუ როგორ გააშავა უცხოელმა სამშობლოს „თეთრი გვირგვინი“ და მზადყოფნას გამოთქვამდა, ჩანგის ნაცვლად შუბი დაეჭირა ხელთ:

ჩაჩქან-მუზარადს დასჩნევია ჟანგი ჟამისა,  
თეთრი გვირგვინი უცხოელმა შეგიღამისა –  
საკურთხეველსაც შემოსძარცვა მან მენამული.

ზღვად ობოლ ხომალდს მივამსგავსე ჩემი მამული,  
როგორ მაჟღერებს საქართველოს ნაზი ნალველი,  
ო, ჩანგის ნაცვლად მეპყრას შუბი პირნამახული.

ამავე სახელწოდების სხვა ლექსი 1924 წლით თარიღდება. აქ უკვე აშკარად ჩანს ჩრდილოელი მეზობლისგან საქართველოს ოკუპაციის ტრაგედია. სისხლგამშრალი ლირიკული გმირი გვესაუბრება დარიალის შეხსნილ კარზე, ალავერდის მოტალღულ

კედლებზე, და მტერთა ფილანგებზე, რომელსაც კონდოტიერი მოუძღვებოდა.

ტაძარს ალავერდს შემოაფრენს ტალღას მორვეი,  
დგანან უზანგში ღვთისმშობელი და მოურავი,  
რკინის პალოზე გადავარდნილს ვხედავ ხანძარებს.  
მოდის შამქორი, სოლანლუხი, დროშების მტვერი  
ზურნით ფალანგებს მოუძღვება კონდოტიერი  
და შენი სისხლით გაჭედული შიშით ზანზარებს.

#### („საქართველო“)

გიორგი ლეონიძის პატრიოტული ლირიკა პოეტის თვალთ დანახული სამშობლოს სრულიად ახალი, ფერწერული ხატებით ბრწყინვალეებს. სწორედ რომ გიორგი ლეონიძისეულია კოხტა ბიჭვიით ამოსული ცისკარი და „რძით გავსებულ ტაგანს“ შედარებული მთვარე:

მთვარე შრიალებს ფიჭვივით,  
დაუსრულებელ ოხვრაში,  
ამოდის კოხტა ბიჭვიით  
ცისკარი ახალ ჩოხაში...

შენი ბრდღვიალა კალმახი,  
აცვია თითქოს ჩითები,  
დილა, რომელსაც ნისკარტით  
ეზიდებიან ჩიტები.

...მთვარე გომბორზე ნაიქცა  
რძით გავსებული ტაგანი,  
იორზე ვმღერი წნორებთან,  
ერთი იმ წნორებთაგანი.

#### („ივრის ღამე“)

მოვიდა „ახალი საქართველო“, დაღუნა ეკლესიის თაღები, უარჰყო ღმერთი, ერეკლეს ეკლესიაში არავინ ჩანს, შუალამისა

კი ტანაბჯრიანი კაცის ქვითინი ისმის. ასე დახატა პოეტმა საქართველო 1925 წელს. მართალია, ლექსს „ძველი საქართველო“ (ალბათ, ცენზურის თვალის ასახვევად) ჰქვია, მაგრამ მკითხველი ადვილად მიხვდება, რომ აქ ახალ საქართველოზეა ლაპარაკი:

ეს ეკლესია

ერეკლესია...

ამბობს წარწერა ზედ ამოჭრილი.

არ ჩანს არავინ ეკლესიაში

არც დაჩოქილი მოჩანს მორჩილი.

გადაპობილა თალი შუაზე

და ხავესს კედელზე გააქვს ბიბინი.

შუალამისას ისმის უეცრივ

ტანაბჯრიანი კაცის ქვითინი.

(„ძველი საქართველო“)

პატარა ერების წამლეკ იმპერიაში პოეტი ჩვენს ეროვნულ ორიენტირებს ებლაუჭება, გადარჩენის გზას ჰეროიკული წარსულის გათავისებაში ხედავს.

შავლეგ, შენი ყანიმი,

დედის ცრემლით ნაწვიმი,

ისევ მზეზე პრიალებს...

შენი ბასრი მახვილი

და ლომური სახელი

გულს კვლავ გვილამპრიანებს!

შენი სისხლი ვაჟური,

სამშობლოსთვის ნაჟური,

კვლავ ჩვენში ჩქეფს ქართულად,

შენი მკლავი მედგარი,

ომში დაუდეგარი,

მტერზე კვლავ შემართულა!

რომ არავინ წაგვლეკოს

შავლეგ, ბიჭო, შავლეგო.

(„შავლეგო“)

„ქართლის ცხოვრებას“ პოეტი მხოლოდ მატყანედ როდი აღიქვამს. იგი ქართლის მკვლევლობის ერთ ისტორიულ გამმად, ეროვნულ რეკვიემად ესახება:

გაშალე... ყველა ფურცელი

არი ფოლადი ნაცარი,

დამსხვრეულ ხმალთა ჟრიალი,

დევეკაცთა ნამამაცარი.

გაშალე... ყველა ფურცელი

გულზე ნაწოლი ლოდია...

დოლბანდიანი ჯარები

სიკვდილის პირით მოდიან.

შავი დროშები ნისლივით

სამშობლოს დაეფინება.

ხმალს სისხლის ორთქლი აუვა,

სიკვდილით დაიკბინება.

(„ნიგნი „ქართლის ცხოვრება“)

დიდხანს უვლიდა გარს სალიტერატურო კრიტიკა გიორგი ლეონიძის ერთ-ერთ უბრწყინვალეს ლექსს „ოლეს“. კრიტიკა, რომელიც მშვენივრად ხვდებოდა, რომ დაჭრილ არწივში ვაჟა სამშობლოს გულისხმობდა, ხოლო „ცხრაკლიტულში მჯდომარე სატრფო“ აკაკის ბედდამწვარი სამშობლო იყო, ეულად მდგარ, ტყავდამსკდარ, ნაოხარ, მარტოობის შხამით შიგნიდან გამომწვარ, ფრთებმომსხვრეული, დაკიდებული არწივის მსგავს მარტოხეში ვერ ხედავდა საქართველოს სიმბოლურ იერსახეს. არადა დროა, „ოლეს“ ერთხელ და სამუდამოდ ჩამოვაცვილოთ მკვლევართა მოქსოვილი ბუნდოვანების პირსაბური და იგი პოეტის პატრიოტულ ლირიკას მივაკუთვნოთ. ოცდაათიანი წლების ყელშიწამჭერ ცენზურას დუელის ხელთათმანივით ესროლა გიორგი ლეონიძემ „ოლეს“ მომწოდებლური, ჰეროიკული, მაჟორული ფინალი:

რაშო, მინას მიჭედილო,

გასჭერ, აიქროლე,

მარტოობის არტახები  
გადახიე, ოლე!  
... მოდი ჩემთან,  
ვიდრე მეხი  
დაგკრავს,  
აგაბოლებს,  
ტყავდამსკდარო,  
ნაოხარო,  
მარტოხეო  
ოლე!

პატრიოტული მგზნებარებით, სამშობლოს სადიდებლის სულისკვეთებითაა გამორჩეული აგრეთვე გიორგი ლეონიძის ლექსები: „დავით-გარეჯა“, „ვეფხისტყაოსანს“, „მეტეხის თავზე“, „ჩემო სამშობლოვ, შენი მეკვლე ვარ“, „დედა ენა“, „დიდ თამარს“ „დავით აღმაშენებელს“, „ჰეი არწივო“, „მხედარი პირტახია“, „სამშობლოს გმირებს“, „მესხეთი“, „შინმოუსვლელო, სადა ხარ“, „ნარწერა ნიგნზე“, „ახლოს მოინი“, „სამშობლოს გულო“ და სხვ.

თავისებურია გიორგი ლეონიძის სატრფიალო ლირიკა. იგი არ არის გრიშაშვილისებურად დატკბილული და ალაგ-ალაგ აღმოსავლურ-სკრაპეზული; გიორგი ლეონიძესთან ქალი ქართული ფოლკლორის ტრადიციის ჭრილშიცაა დანახული და ლირიული სანყისი ავტორისა უფრო მკაფიო, უცერემონიო, მამაკაცურია.

ნინოწმინდა... პალატები მეფეთა...  
გალავანში – ჯამი აქაფებული;  
შენი სახე რისთვის შემომეფეთა,  
ხატი იყავ – ვეფხვი დაქალებული.

...როგორც ხმალი, ძმებო, ტამერლანისა,  
სიყვარული ისე დამჯახებია!  
მე მივტირი ღამეს ზამბახებიანს  
და სიყვარულს ათაბაგის ქალისას.

ძუძუები ოქროს კალმახებია,  
წამწამები აქვს თავთუხის ყანისა.

(„ნინოწმინდის ღამე“)

ჩვენ ზემოთ ფოლკლორული ტრადიცია ვახსენეთ და ამ თვალსაზრისით პირველ რიგში „ყივჩალის პაემანს“ უნდა გავუსვათ ხაზი. იგი მუხრანული „შემომეყარა ყივჩალის“ თავისებური პოეტური ინტერპრეტაცია-გაგრძელებაა. თუ ხალხური ლექსი ყივჩალს დაჯახებული ქმრის ლირიული მონოლოგია, გიორგი ლეონიძესთან სწორედ ყივჩალი ჰყვება, თუ როგორ ნახა ქალი ხოხობას, როგორ მოიხიბლა მისი სილამაზით და ტრამალ-ტრამალ სდია, სანამ მცხეთასთან ქმართან ერთად შეეყრებოდა. ათასი წლის შემდეგ კვლავ აღმსდგარი ყივჩალი მუხრანის ბოლოს ჩასაფრებულა და სიყვარულს უხმობს:

მოდი, მომხვიე ხელი ჭრილობას,  
ველარა გხედავ, სისხლით ვიცლები...  
როგორც საძროხე ქვაბს ოხშივარი,  
ქართლის ხეობებს ასდის ნისლები.  
მოდი, გეძახი ათას წლის მერე  
დამნაცროს ელვამ შენი ტანისა,  
ვარდის ფურცლობის ნიშანი არი  
და დრო ახალი პაემანისა.

(„ყივჩალის პაემანი“)

დინამიზმით, მოვლენათა ხედვის არაორდინალური რაკურსით, შთამბეჭდავი სახეობრიობით და მომნუსხავი შინაგანი ექსპრესიით „ყივჩალის პაემანი“ ერთ-ერთი საუკეთესოა ქართულ სატრფიალო ლირიკაში.

ქალი გიორგი ლეონიძესთან ოდენ სინაზის და ვნების განსახიერება როდია, იგი ეროვნული შტრიხებით იხატება და სწორედ ეროვნულ ფენომენად აღიქმება:

პირანთებული ჰშვენოდი,  
გადაქნეული ხმალივით,  
შავთმარაშლილი ქალწული  
მოჰქროდი ქარიშხალივით...

ქვაბების ნაორთქლარ ნისლში  
ღრეობდა თუშთა ყრილობა,

ქუსლამოკრული ქურანი  
მიჰქროდა ნიავექარული...  
...და ხმოვანებით ციური,  
ვით იდუმალი გალობა,  
ჯირითის ქარში მესმოდა  
ჟღეროდა შენი საყურე.

(„თუშის ქალს ალავერდობაში“)

საოცარი ფერწერულობით, შთამბეჭდავი მეტაფორული სახ-  
ოვნებით დახატა გიორგი ლეონიძემ ნინო ჭავჭავაძის სახე. პოეტი  
ჭავჭავაძეთა ულამაზეს ასულს „გაზაფხულის ბანაკს“, „სილამაზის  
ნაზ გრიგალს“ უწოდებს:

თუ გადამქრალი შენ ხარ ვარსკვლავი,  
ახლაც მინათებს შენი მშვენება.  
შენგან შევიტყვე, რომ სილამაზეს  
არ უწერია გადაშენება.

შენ ცოცხალი ხარ, შენი მგოსნებიც  
და გაჟრჟოლება მათი გულისა,  
თავშესაფარი რამდენ ოცნების,  
იყავ ბანაკი გაზაფხულისა!

შენს სილამაზის იქით ბნელდება,  
დაიხურება ცისკრის კარები.  
შენ მოგაყარეს მინა ბელტებად,  
მკერდზე რომ ვარდსაც ძლივს იკარებდი.

ასი წლის შემდეგ მე შენ გიგალობ,  
ათას წელს გასძლებს შენი მშვენება,  
შენ, სილამაზის ნაზო გრიგალო,  
შენგან აროდეს მომესვენება.

(„ნინო ჭავჭავაძე“)

გარდა ზემოთ ჩამოთვლილისა, გიორგი ლეონიძის სატრფიალო  
ლირიკის მშვენებას წარმოადგენენ ლექსები; „თოვლი“, „კარმენ“,

„ზღვა და მედეა“, „გადამივინყე“, „ვინ მემდურება“, „თვირთვილა“,  
და სხვ.

გიორგი ლეონიძე ეპიკურ ჟანრსაც ემსახურება. იგი ავტო-  
რია პოემებისა: „ამბავი თბილისისა“, „ფორთოხალა“, „ბერშოულა“,  
„სტალინი“. **ბავშვობა და ყრმობა**, „ფიროსმანი“...ამათგან „ფორ-  
თოხალა“ ერთი უჩინარი ქართველი ქალის სადიდებლად დაწერი-  
ლი თხზულებაა. პოეტი შავი ზღვის პირად დაბადებული და გარ-  
დასული დედის ცხოვრებას გვიამბობს და დაასკვნის:

მატიანე შენს სახელზე  
აღბათ, მიტომ გაინაბა,  
გრიგალივით ჩაქსოვილი  
რომ არ გეცვა ოქროს კაბა.

„ბერშოულა“ და „სტალინი“... რუსეთის იმპერიის სათავეში მდ-  
გომი დიდი ქართველის ბავშვობის წლებს აცოცხლებენ მკითხვე-  
ლის წინაშე. „ფიროსმანი“ პოეტს დაუმთავრებელი დარჩა, ხოლო  
„ამბავი თბილისისა“ (პირველ გამოცემას „სამგორი“ ერქვა) ვრ-  
ცელი ისტორიული პოემაა. იგი ძირითადად ვახტანგ გორგასა-  
ლის უკანასკნელ ომს – სპარსელების წინააღმდეგ, უჯარმასა და  
სამგორის ველებზე ქართველთა ბრძოლას ასახავს.

ვახტანგ გორგასალის ტრაგიკულად დასრულებული ცხოვრე-  
ბა პოემის სიუჟეტის ხერხემალია. ქვეყნის ძნელბედობა ავტორს  
ეროვნული და სოციალური მოვლენებით აქვს მოტივირებული.  
შინაურ და გარეშე მტრებმოჭარბებულ ქვეყანას ბრძენ და შეუვალ  
გუმბაგად ადგას სახელოვანი მეფე. მთლიანი საქართველოს იდეას  
მონინააღმდეგენიც ბლომად ჰყავს. კონფლიქტი პოემის პირველ  
ეპიზოდშივე იგრძნობა: სამგორის ველზე მეჯოგეები ირევიან.  
სახალხო დღესასწაულზე მიღეთის ხალხი შეგროვდა. ეპისკოპოსი  
ჯვრით ხელში ღვთის მორჩილებას და მარხვით სულის განწმენდას  
ქადაგებს. და ამ დროს: „ახმაურდა მუხრანიდან კვერთხანევით  
ბერი თაყა – არ ვცემ თაყვანს ჯვარცმულის ჯვარს, მილურსმულ  
ლმერთს არ ვცემ თაყვანს! მთვარისა და მზის ძმა ვიყავ, რად მინ-  
დოდა მკვდარი ლმერთი? ცეცხლს ვანთებდი, ცას სწვდებოდა, რა  
ავანთო სანთლის ღვეთით?“

პროტესტს, როგორც მოსალოდნელი იყო, თეოლოგიური სარ-  
ჩული დაედო. ქრისტიანობა ახალი შემოსულია და ჯერ საბოლოოდ

დამკვიდრებული არ არის. მეფე ქრისტიანობის უერთგულესი ქო-  
მაგია და მისი მოქიშპენი, ბუნებრივია, კერპთაყვანისმცემელთა  
შორის ეძებენ მხარდამჭერთ. ნანარმოებში ამთავითვე გამოიკვეთა  
ორი ბანაკი. ერთ მხარეს დგას მეფე თავისი ერთგული ერისკაცე-  
ბით, ხოლო მეორე მხარეს — **შარაველ გარდაბნელი** შეთქმულთა  
ვინრო წრითურთ. შარაველს გონებას უბნელებს მეფის დიდება და  
შესაფერის მომენტს ეძებს, რომ თავისი შავი ზრახვანი შეასრულოს.  
შარაველის გულში მეფისადმი მტრობამ უფრო იმატა მას შემდეგ,  
რაც მეფემ იგი გარდაბან-თბილისის პიტიახშობიდან გადააყენა და  
საპიტიახშო კვერთხი **გურამ ბივრიტიანს** უბოძა. შარაველს გურამ  
ბივრიტიანთან სხვა საქიშპო საგანიც აქვს. მათ ორივეს ვახტანგ  
გორგასალის ასული — **პირიმზე** შეჰყვარებიათ. შენდება თბილისი.  
ქართლის მეფემ და რომის იმპერატორმა პირობა შეჰკრეს, რომ  
ერთურთს დახმარების ხელს გაუნვდიან. თბილისის კურთხევის  
ზეიმი არ ჩამთავრებულყო, რომ ვახტანგს სპარსეთის შაჰის —  
კავადის დესპანი ეახლა. კავადი ცოლად სთხოვდა ასულს და რო-  
მაელთა წინააღმდეგ გალაშქრებას ურჩევდა, ვახტანგმა იცოდა,  
რომ მისი უარით შეურაცხყოფილი კავადი არ შეარჩენდა ურჩო-  
ბას და ომის თადარიგი დაიჭირა. სპარსელთა მარბიელი ლაშქარი  
საქართველოს შემოესია. ვახტანგ გორგასალმა საარაკო გმირო-  
ბის მაგალითები უჩვენა ქართველ მეომრებს. მან ზედ შაჰის კარ-  
ვამდე შეაღწია. კავადის შვილი მოუკლა, მაგრამ იქვე მოლალა-  
ტის ისარი ზურგში მოხვდა და მკერდში გაუარა. მსცოვანი მეფე  
მოლალატე მებაჯრემ — გაგამ იმსხვერპლა. უთანასწორო ბრძო-  
ლაში ქართველთა სისხლითაც მოირწყო სამგორის ველი, მაგრამ  
მეფის ასულმა, პირიმზემ, შური იძია, მომხვდურნი უკუაქცია და  
თბილისი გაათავისუფლა.

საინტერესოა ამ პოემის არქიტექტონიკა, ეპიზოდები ისეა  
დალაგებული, რომ ამ საკმაოდ ვრცელი პოემის კითხვისას არსად  
არ იგრძნობთ ერთფეროვნებას. ინტერესს აძლიერებს ის გარე-  
მოებაც, რომ მშვიდ თხრობას ხშირად ენაცვლება ლირიკული  
გადახვევები. რეალური ამბავი ზოგჯერ ფანტასტიკურ-რომანტი-  
კული სურათით იცვლება.

გარდა ამისა, პოემა ყურადღებას იქცევს ვერსიფიკაციული  
ღირებულებითაც. რიტმისა და ზომის მონაცვლეობა, მხატვრულ  
სახეთა ფეიერვერკი, პოემაში მარგალიტებად გაბნეული ლირი-  
კული ლექსები ნანარმოებს მაღალმხატვრულ ქმნილებად წარ-

მოგვიდგენენ. საილუსტრაციოდ პოემიდან გ. ლეონიძისეული  
ლექსის რამდენიმე მაგალითიც კმარა: „საძირკვლის საღვთო...  
ხორაგი... ცეცხლმოჩუხჩუხე ქვაბები... გართხმული მუხის ცხედ-  
რები, ათასწლოვანი ამბებით... სუფრის გამშლელი ქალები...  
პირველ თბილისის ქალები... ფერთოვლი დილავარდისა რიჟრაჟის  
ნაშუქალები... მე სიყვარული დამწამდა... მერცხლის თვალების  
წამწამთა... სიცოცხლე მაშინ დამწარდა, თუ მათ არ მივეთვალე-  
ბი... თქვენი ყაყაჩოს ტუჩები... ბუდეშურული თვალები...“

საკმარისია გასცდეს პროზაული ამბის სავალდებულო გადმო-  
ცემას, რომ მაშინვე იგრძნობთ პოეტის ლექსის ჩვეულ სურნელე-  
ბას: „ვინა ჰყავდა მონმე დილით? მხოლოდ ზეცა მონმენდილი, მხ-  
ოლოდ ყანა თავანკარა, დაზვინებულ ზვირთის ცემა, სილურჯით  
რომ დაიცრემლა, — ჰგავდა ქართლის თვალთა ფირუზს. და მას  
მერე ქალის შუქი ვაჟმა თვალში შეიყინა... და მას მერე ქვეყანამაც  
ვარდის შუქით იწყო ბრწყინვა“.

ჯუანშერის თხზულების გაცნობისას მკითხველი რწმუნდება,  
რომ ავტორი მოხიბლულია ვახტანგ გორგასლის პიროვნებით, მისი  
ვაჟკაცობით და გამჭრიახობით, ამიტომაც ჯუანშერი ხშირად ის-  
ტორიკოსის პალიტრას მხატვრის პალიტრაზე ცვლის და არაჩვეუ-  
ლებრივი მხატვრული ექსტაზით გვიამბობს ვახტანგის ბრძოლისა  
და ცხოვრების ამბავს. როგორც დავინახეთ, გიორგი ლეონიძე  
გორგასლის სახის ხატვისას ძირითადად ჯუანშერის თხზულებას  
ეყრდნობა, მაგრამ, რასაკვირველია, შემოქმედებითად, ნანარმოე-  
ბის ხასიათისა და პოეტის მიზანდასახულობის შესაფერისად იყ-  
ენებს იგი ჯუანშერს. კერძოდ, გიორგი ლეონიძემ შემოაცვალა ვახ-  
ტანგ მეფის სახეს ის ნახევრად ზღაპრულობისა და ღვთისწორად  
წარმოდგენის რელიგიური ქურქი, ჯუანშერის მიერ შექმნილს რომ  
გააჩნია და გორგასალი რეალურ პიროვნებად წარმოგვიდგინა.

ნანარმოების პროლოგშივე ისტორიის საძვალედან მოისმის აბ-  
ჯრის ჩხრიალი და ჩვენს წინაშე წამოიმართება გოლიათი მეფე,  
რომლის აბჯრის ნახევიდან გამოჟონილი სისხლი საუკუნეებს  
მოსწვითავს. „ჩაფხუტს ესაგა ლომი და მგელი და ხმალიც მათი  
ლონით ალესა, მკლავით მოზღუდა ქართლი, ეგრისი, კარი შეაბა  
დარიალისა“.

თუ ჯუანშერს ვახტანგის უპირველს და უმთავრეს თვისებად  
ჭაბუკური სიძლიერე და სიჩაუქე მიაჩნია, გიორგი ლეონიძის პო-  
ემის გმირს პირველად მაშინ ვეცნობთ, როცა სამგორის ველზე

პირველი ხნული გააქვს. მეფეს წესად ჰქონია, გაზაფხულზე პირველი კვალი თვითონ გაეტანა. ვახტანგ გორგასალი ყოველ ღონეს ხმარობს, რათა ქვეყანაში მშვიდობა სუფევდეს. მხოლოდ გამოუვალ მდგომარეობაში მიწვდება მისი ხელი ხმალს. პოემის პირველი თავებიდან ჩვენს წინაშე წარმოდგება მეფე, რომელიც გუთნეულს მიჰყვება, ლოცულობს: „კვლავ ილოცება მეფე: – გამჩენო, შენ აგვაცილე ყველა სასჯელი! ღმერთო ძალთაო! მოხედე ვენახს და ნაყოფს, დასხმულს შენის მარჯვენით! ჩემს პირმშო თბილისს, ჩემგან ნაშენებს, შენის წყალობის თვალთ მოხედე! შენ გამიმაგრე, რომ ვერ შემუსროს მიწისძვრამ, მტერმა ოხერმოხეტემ!“ მეფე აშოშმინებს მემამოხეთ, აშენებს თბილისს, „მიბრძანებია: ახლომახლოდან გამოერჩიოს ერი მშრომელი... ხუთ ძმიდან ერთი დასახლდეს თბილისს, გულით და მკლავით დაუდგრომელი! ჩადი, ღვთისავარ, დასახლდი თბილისს, იქ ანრთე ხმალი, იქ ჭედე რკინა! დე, გუგუნებდეს შუა ქალაქში შენი გრდემლის ხმა, სოფლად რომ გრგვინავს!“.

ასეთია იგი, ფარზე ლომ-მგელ გამოსახული მეფე. იგი ბიზანტიის შემოსარიგებლად აგზავნის დესპანს, თავს დასტრიალებს თბილისის ხარაჩოებს და მამაშვილურად ლოცავს მომავალი დედაქალაქის პირველ მექორწილებს – განძას და ცისკარას, ხალხიც არნახული სიყვარულით პასუხობს კეთილ და გამჭრიახ მეფეს: „მეფეს მღერით მოაგებეს ხელეურის ბლურჯეული; დარჩეული თავთავები, მტკავლის ტოლა, უჩვეულო... მღერალ გლეხებს გახარებით ჩამოართვა მეფემ ძღვენი, ემთხვია და მკლავს გადინყო... და ის იყო, დასძრა ცხენი...“

რამდენადაც დიდია ვახტანგის რუდუნება, ქვეყნად სიკეთე და სათნოება დაამყაროს, იმდენად ძლიერია შინაურ და გარეშე მტერთა ცდები — კვლავ ცეცხლის ალში გახვიონ მრავალტანჯული ქვეყანა. ახალნაგები თბილისის კარიბჭე მისი კურთხევის წინა დღეს შეიბილნა ავისმზრახველის ხელით. მოლალატე შარაველ გარდაბნელი ქართლის მეფობისაკენ მიილტვის. შაჰინშა კავადი რომაელთა წინააღმდეგ ხმლის აღმართვას ურჩევს ვახტანგ გორგასალს. აქ ვახტანგი კიდევ ერთხელ ამჟღავნებს სისხლისღვრისადმი თავის დამოკიდებულებას: „ – არ გვინდა ომი, – იტყოდა ვახტანგ, – გვინდა კეთილი ყოველთა ერთა! მზად ვარ ქართლისთვის ყოველდღიურად ჯვარზე გავეკრა ქრისტესთან ერთად!“.

მაგრამ რაკი ისტორიის ქარტეხილები გარდაუვალ ომს უქადიან საქართველოს, ვახტანგ მეფე ბრძანებს: „სირცხვილს სიკვდილი ჩვენ გვირჩევნია, ჩემს ხალხს სახელი უყვარს სვიანი!“.

გიორგი ლეონიძე მხატვრული ფერებით ხატავს ვახტანგის საომარ აღჭურვას. ხუთი ხმალი გადაიტეხა მუხლზე გორგასალმა: „და მეექვსე ხმალს ემთხვია მეფე – ამ ხმლის ფოლადში მეხის ცეცხლს სძინავს! მიდის ვახტანგი, ღმერთს ჰგავს ვახტანგი, გადაუდგება თვით ღმერთსაც წინა!“

თორ-მუზარადში ჩამჯდარი მხცოვანი ხელმწიფე შურისძიებად შემართული თავისი ლაშქრის წინაშე წარსდგება: „ – ლომნი იყავით! – მიჰმართავს ლაშქარს, – ნუ შეგაშინებთ სპარსთა მრავლობა, რომ ჩვენი ძვლები არ ამობერტყოს მიწიდან ჩვენმა შთამომავლობამ!“

ომში მეფემ საარაკო გმირობა გამოიჩინა. იგი მარტოდმარტო, ცხენდაცხენ შეიჭრა მტრის ბანაკში და „ელდურის დარტყმით ჩასჭრა ბეჭამდის მეფემ კავადის ვაჟი ბარტამი“, მაგრამ აქაც მოლალატის ხელმა იჩინა თავი. მეფის მებაჯრემ ზურგსუკან, ქურდულად ჯაჭვის ნახევში ილღის ქვეშ ისარი სტყორცნა ვახტანგ გორგასალს. „აყვირდა გაგა, იშენდა თავში: „მეფე დაგვიჭრეს, გაგვინყრა ჯვარი! – ყბა გადაუკეტა მეფემ ხელებით: „მონავ დაჩუმდი, შედრკება ჯარი!“.

მომაკვდავი მეფის ფიქრები კვლავ სამშობლოს დასტრიალებს: „წამოიწია მეფემ დაჭრილმა – სისხლი იზღვიეთ აქ დათხეული! გამოიტანეთ სპარსთა მკლავები, სპარსთა დროშები გადახეული! თავი ანებეთ მოთქმა-ტირილსა, ხმას ნუ დამიყრით მე სიკვდილისას! ბრძოლას ნუ მოშლით, მოდით ანდეზე! მამულზე დგომას მე გაინდერძებთ!“

ჩაქრა ვახტანგ გორგასლის ბობოქარი სიცოცხლე. შხამიანმა ისარმა თავისი ჰქმნა. ამო გამოდგა მკურნალთა წამალი და დედათა ლოცვა. მაგრამ ერს უკვდავების მაგალითად შემორჩა მისთვის თავდადებული გმირის სახელი: „ვახტანგის ხმლის ნარეცხს ჭაბუკებს ასმევდნენ, მის საფლავიდან მოჰქონდათ მიწა, ის მტერს ჰრეკავდა, ის მთებს დრეკავდა და სამარეში არასდროს იწვა... ის ყურს უგდებდა ყოველწამიერ მამლის კვნესას, ომის ბორგვასა, – მისთვის ვერ შესძრეს საუკუნეთა, მშვილდისრიანი გმირი გორგასალ!“

როცა ქართველთა ლაშქარმა შური იძია, როცა აღმდგარმა ერმა მომხდურთაგან განმინდა ქართლის მიწა-წყალი, მაღლიერმა ხალხმა პირველად ვახტანგი მოიგონა; „ფეხთ დაუხალეს მტრის დრომა ვახტანგს მცხეთას, საფლავზე, როგორც ლერნამი! გმირის ხმლის ტარზე ანთეს სანთლები, ახარეს ქართლის აღდგენის წამი!“.

1961 წელს გიორგი ლეონიძემ დაამთავრა ნოველების წიგნი „ნატვრის ხე“, რომელსაც ასეთი ეპიგრაფი ახლავს: „ამ წიგნს ვუძღვნი ძვირფას დედას, რომელმაც მასწავლა იების სისპეტაკისა და მშობლიური მიწის სიყვარული“. ლექსის ოსტატმა ამჯერად პროზაული დებიუტიხასიათოვნოდ გააოცა თავისი მკითხველი. „ნატვრის ხე“ მარგალიტებივით ბრწყინავს ქართული ნოველის ვარსკვლავედში – მსუყე ქართულით, შთამბეჭდავი სიუჟეტებით და მართალი ხასიათებით. იგი, რომ იტყვიან, ერთი ამოსუთქვით იკითხება. „ნატვრის ხე ოცი ნოველისაგან შედგება. ესენია: „ნატვრის ხე“, „ჩვენი ჭერამი“, „თალრია“, „ფუფალა“, „მეეტლე იაგორა“, „ხვედია“, „ორი შემოხედვა“, „სამთო საბალახე“, „მოხუცი გუთნისდედის სიკვდილი“, „ჩირიკი და ჩიკოტელა“, „სახელის მილოცვა“, „ღვინჯუა“, „დეიდა მაიკო“, „სოფლის შარაზე“, „ციციკორე“, „მარიტა“, „ჩორეხი“, „ნიშარძეულის წყალი“, „ჭამპურა“ და „ბუნბულა“.

„ელიოზს სწამდა: იანვრის სასტიკ ყინვიან ღამეში თუ შუალამისას მოხვდი ტყეში და ცის გახსნას შეესწარ, მაშინ დაინახავ ტურფად აყვავებულ ჯადოსნურ ხეს. არა მშვენიერება მას არა სჯობია. ის ხე, თურმე, ერთ საათში კიდეც აყვავდება, კიდეც ნაყოფს მოისხამს. თუ მისი ნაყოფი ხელთ იგდე, ერთი გაკვნეტა და მორჩა. სიღარიბე იმნამსვე ჩამოგეცლება სამუდამოდ“.

დადის უღარიბესი გლეხი იანვრის ღამეებში ტყეში ცის გახსნისა და ნატვრის ხის მოლოდინში. „და ერთ ზამთრის დილას, როცა სიცივეს ჭახჭახი გაუდიოდა, ტყიდან მარხილით ჩამოასვენეს გაფიჩხული ელიოზი“. ნატვრის ხის ძებნა-ლოდინში ყინვით აყვავებულ ხის ქვეშ გაყინულიყო.

„პოეტები მხოლოდ ქალაქზე რითმებით მოლაპარაკენი როდი არიან. პოეტური თვალთ, პოეტური გულით და დიდი ოცნებით გასხივოსნებული სხვაც ბევრი დადის დედამიწაზე“ – ამ სიტყვებით ამთავრებს ავტორი „ნატვრის ხეს“ და გონების თვალს არ შორდება ბედნიერების მაძიებელი ჯიუტი კაცის რომანტიკული, უცნაური სახე.

ჭეშმარიტი პროზაიკოსის ნაცად თვალს ამოუყვანია მეხსიერების სკივრიდან და საუკუნო სიცოცხლე მიუნიჭებია მწერალს „სიღარიბით დაქანცულ „ზარმაც თაღრიასთვის, რომლის ცოლი, ფოთოლა, დღედაღამ წუნუნებს: მარტო ამ ჩვენი დარეჯანის მერცხლისა მრცხვენია, რას იტყვის ჩვენს სიღარიბეზეო („თაღრია“), „აქვეა განუმეორებელი ფუფალა, სამოცსგადაცილებული შინაბერა ცალრქა ირემივით რომ დადის, რაკილა ახლანდელი კაცები არ მოსწონს („მაგას მაინც არ გავყვები, სულ მარტო რომ დავრჩე მინდვრის თავივით“). ფუფალა სიყმანვილის ფერად სიზმრებში ცხოვრობს, თავისთვის გამოუგონია შიოლა — ჩაუქი სასიძო, თუმცა უცნაური ჩაცმულობისა და ფერუმარილით შეთითხნილი სახის გამო ბაღლები დასცინიან, მაგრამ იხტიბარს არ იტყბს. არ სურს „ბნელ“ გლეხებში გაითქვიფოს, არ უნდა ჭუჭყიან სინამდვილეში გადმოსახლება. ქარი სავალალოდ აქანავებს ეულ ტირიფზე თავჩამომხრჩვალ მეეტლე იაგორას, სიკვდილის მოლოდინში აივნიდან მწვანე ველს გასცქერის გუთნისდედა ნინია, აქვე არიან ჩირიკი და ჩიკოტელა, ღვინჯუა, დარბაისელი ციციკორე და საფლავში მწოლი „გულნაზუქა“, ცნობილი მოქეიფე ჭამპურა. ცოცხალი, ცხოვრებისეული დაუფინყარი ხასიათები შემოგვცქერიან „ნატვრის ხიდან“.

გიორგი ლეონიძე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი იყო და ქართული ლიტერატურის ცნობილი მკვლევარი. მან ჩვენი ლიტერატურისმცოდნეობა გაამდიდრა უაღრესად საინტერესო ნაშრომებით სულხან-საბა ორბელიანის, ბესიკის, საიათნოვას, დავით გურამიშვილის, იოსებ თბილელის, მამუკა ბარათაშვილის და სხვათა შესახებ.

\* \* \*

სიცოცხლის ბოლო წლებში, როგორც არაერთ ჭეშმარიტ პოეტს, გიორგი ლეონიძესაც ხრავდა დარდი მკაცრი დროის განაჩენით უღვთოდ, უსამართლოდ გარდასული მეგობრებისა:

უძოზე ისევ მღერის ბულბული,  
ისევ მაისის ჩახჩახებს ღამე,  
თქვენ კი სადა ხართ გადაბუგულნი  
გადაფერფლილნი, – ძმებო, ხმა გამეთ.

თქვენმა წამებამ გული დასერა  
და უთქვენობა ვით არ მეძნელოს,  
თუ ღვინომ ყანნი ვერ გაასველა,  
ცრემლით ავაგსებ თქვენ სადღეგრძელოს.

ნეტავ რა გქონდათ შესანდობარი  
და რად ვანვეთებ მე პურზე ღვინოს?  
ჰეი, ტიცციან, სად ხარ მღუმარი,  
ჰეი, პაოლო, სად ხარ უღვინოდ.


გარდა წარსულ დღეთა ნოსტალგიისა, გიორგი ლეონიძის სევ-  
დას დაუკმაყოფილებლობის, ეჭვის გრძნობაც ასაზრდოებდა იმის  
გამო, რომ ბოლომდე ვერ თქვა სათქმელი, რომ კომუნისტურმა  
ტირანიამ საშუალება არ მისცა პოეზიის „გემონმინდა“ ბოლომდე  
შეესვა და „ფრთაში წყლულიც გაუჩინა“:

რა ლექსი გინდა, ჩემო დროებავ,  
გამაგებინე – რა ლექსი გინდა,  
რომ არ მომეცი მე მყუდროება,  
არც წყალი მასვი მე გემონმინდა.

რად დამიგრიხე ხორხზე საბელი  
და ფრთაში წყლული რად გამიჩინე,  
რად აკვლევინე კაენს აბელი,  
რომ ერთი ძმაც კი არ შემირჩინე.

ეს ლამის ბოლო ლექსი გიორგი ლეონიძის თავისებური პო-  
ეტური განაჩენი იყო იმ მკაცრი დროის მიმართ, სიცოცხლე რომ  
მოუშხამა ქართველ პოეტთა არაერთ თაობას.

## ირაკლი აბაშიძე (1909 – 1992)



ირაკლი აბაშიძე ერთ ლექსში ამბობს:

გინდ ღარიბობდეს,  
გინდ მათხოვრობდეს,  
გინდ ბროლის ედგას  
წინ მთა – გორებიც –  
პოეტი მაინც უნდა ცხოვრობდეს  
მხოლოდ პოეტის დიდი ცხოვრებით.

(„პოეტი მაინც“)

ახლა, როცა ამ სტრიქონების ავტორის მიერ განვლილ გზას  
გონების თვალს ვადევნებთ, შეიძლება თამამად ითქვას, რომ  
ირაკლი აბაშიძემ პოეტის დიდი ცხოვრებით იცხოვრა. ჯერ ერთი,  
ქართულ პოეზიაში თავისი მკაფიო კვალი გაავლო, თავისი ან-  
ეული გაიტანა („პალესტინა, პალესტინას“ სახით, შეიძლება ითქ-  
ვას, შედეგით გაამდიდრა ჩვენი ლიტერატურა), პირადი ცხოვრე-  
ბითაც, ბიოგრაფიითაც მისცა მომავალ თაობებს „პოეტის დიდი  
ცხოვრებით“ ცხოვრების მაგალითი. ირაკლი აბაშიძე, ჯერ კიდევ



ყმანვილი, ხონიდან დედაქალაქში ჩამოსული, უფაქიზესი სულის პოეტი, არ შეეპუა კომუნისტური ხელისუფლების სიტლანქეს, თავის თავში როდი ჩაიკეტა და განზე კი არ გადგა, პირიქით, სახელოვნო წითელ წისქვილთა სამსახურში ჩადგა. დიდხანს იყო მწერალთა კავშირის თავმჯდომარე, ჟურნალ-გაზეთების რედაქტორი, ბოლოს – საენციკლოპედიო კომიტეტის ხელმძღვანელი. ამით მხოლოდ საქმეში ჩაუხედავი, ავადმოქირქილე მოშურნის თვალში მოიპოვა „ფუნქციონერი პოეტის“ სახელი. სინამდვილეში, მეოცე საუკუნის მთელი ორმოცდაათი წლის მანძილზე საქართველოში განსრულებული ყველა ეროვნული საქმე ირაკლი აბაშიძის სახელსაც უკავშირდება.

გახსნა მუზეუმები და ბიბლიოთეკები, ააღორძინა მთარგმნელობითი საქმიანობა და ქართველ მწერალს საერთაშორისო ასპარეზზე გასვლის პირობები შეუქმნა, სათავეში ჩაუდგა კლასიკოსთა დაფასების საქმეს მათი იუბილეების ჩატარებით და თხზულებათა სრული ტომეულების გამოცემით, ერს შესძინა ფასდაუდებელი განძი – „ქართული ენციკლოპედია“.

დაიბადა ხონში 1909 წელს, მამას – ბესარიონ აბაშიძეს, თერთმეტი შვილი ჰყავდა. მომავალი პოეტი ნაბოლარა იყო. საშუალო სკოლა ხონშივე დაამთავრა. 1926 წლიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი. დამთავრებისთანავე უნივერსიტეტის ასპირანტურაში ჩაირიცხა, მაგრამ მეცნიერულ მუშაობას გული ვერ დაუდო და პროფესიონალ მწერლად ჩამოყალიბდა. ასპირანტურის დამთავრებისთანავე ჟურნალ „ჩვენს თაობას“ ედგა სათავეში, ხოლო 1939 წლიდან 1967 წლამდე საქართველოს მწერალთა კავშირს ხელმძღვანელობდა. პარალელურად 1946-53 წლებში ჟურნალ „მნათობს“ რედაქტორობდა.

ირაკლი აბაშიძის პირველი წიგნი 1932 წელს გამოვიდა.

1966 წელს ციკლისთვის „პალესტინა პალესტინა“ რუსთაველის პრემია მიენიჭა.

იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი და ერთხანს აკადემიის ვიცე-პრეზიდენტიც.

სიცოცხლის ბოლო წლებში ენციკლოპედიის მთავარ რედაქტორობას რუსთაველის საზოგადოების და წიგნის მოყვარულთა საზოგადოების თავმჯდომარეობასაც უთავსებდა.

გამოქვეყნებული აქვს საინტერესო პუბლიცისტური წერილე-

ბი, ჩანახატები, დღიურები. მალაპროფესიონალურად თარგმნა პუშკინის, მიცკევიჩის, მაიაკოვსკის და სხვათა ლექსები.

1992 წელს გარდაიცვალა. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

გარეგნულად გალალეზული და დარდიმანდი, ნიადაგ მოფუსფუსე და მეგობარ-თანამზრახველთა გუნდით გარემოსილი, შინაგანად განსაცვიფრებლად დრამატული, რთული პიროვნება იყო.

კარგად იცოდა, რომ „არ სუნთქავს ქვეყნად მგოსნის სული უტრაგედოდ“ და ისიც უწყოდა, რომ:

არ არის ცრემლი,  
რომელიც ერთხელ  
დაედოს წამლად შენს კაცურ მარცხებს,  
არ არის სიტყვა,  
რომელმაც მეტყველს  
ამოგწვას სული და სულიც დაცხრეს.

(„არ არის ძილი“)

ამიტომაც თავის კოლეგებს ნიადაგ შეახსენებდა:

თუ ვისმე გველის ღვთისგან წყალობა,  
თუ ვისმე გვერგოს ღრმად მოხუცობა, –  
მხოლოდ ეს აზრი  
გვექონდეს ოცნებად:  
მოვხუცდეთ,  
მაგრამ მოვკვდეთ მგოსნებად.

(„პოეტს ვინ აცლის“)

მართლაც, რომ მგოსნად მიიცვალა. ოთხმოცმეტწიანი პოეტი ერთ-ერთ უკანასკნელ ლექსში წერდა:

ახლა დავკეცოთ,  
ახლა დავდოთ,  
ახლა დავხუროთ,  
რაც რამ დამთავრდა,  
რაც რამ გაქრა,

რაც რამ დანაცრდა...  
უშუამავლოდ, უმსაჯულოდ, უმეთვალყუროდ  
დამტოვეთ მარტო  
მე ამ დღესთან, ამ ქვეყანასთან.

### („დაგვტოვეთ მარტო“)

შემთხვევით როდი რეკავს ლექსში „უშუამავლოდ, უმსაჯულოდ, უმეთვალყუროდ“. დიახ, ირაკლი აბაშიძეს თავის მკაცრ დროში, თავის ქვეყანასთან (და თავის თავთანაც) მარტო იშვიათზე იშვიათად დარჩენილს, სიცოცხლის მიწურვის ჟამს მოუხდა უმეთვალყუროდ, მარტო და თავისუფლად ეთქვა სათქმელი.

როცა ირაკლი აბაშიძე სასიკვდილო სარეცელზე იწვა, თბილისში ზარბაზნები ქუხდნენ. იმპერია თავისუფალი საქართველოს მოთოკვას და თავის წიაღში კვლავ შეთრევას ლამობდა. სინათლეგამორთულ სახლში სანთლის შუქზე ადიოდა მიღეთის ხალხი ირაკლი აბაშიძესთან გამოსამშვიდობებლად და ადამიანთა დაღვრემილ სახეებს აშკარად ეტყობოდა, რომ „პალესტინა, პალესტინის“ ავტორს – მარტოდ შთენილს, უკვე ეთქვა ქვეყნისთვის თავისი ტკივილიან-გზიანი სიტყვა.

მოასწრო ირაკლი აბაშიძემ უკეთური ეპოქის შეფასებაც, შეიძლება ითქვას. კომუნისტურ ტირანიასთან ანგარიშის გასწორებაც. აკი ერთ-ერთი პირველი გახლდათ ქართველ პოეტთა შორის „კაენის სულის აღზევების“ შავზნელ წლებს რომ შეეხმინა:

ძველ სამშობლოზე  
შენ შეგეძლო  
ლოცვით გელოცა,  
ახალ მამულშიც  
ვერცხლზე არა გაგიცვლია რა;  
შენ, შენ დაეცი იმ წელს,  
როცა საქართველოზე  
კაენის სულის აღზევებამ  
გადისრიალა.  
თვითონ მტერთაგან  
საქართველოს მტრებზე მითვლილი  
სწუხდი, მეძახდი,

თან დამდევდი ოცი წელია,  
რომ გეთქვას ჩემთვის  
მაგ ოცი წლის შენი სიკვდილით  
მგოსანს ჭეშმარიტს  
რომ სიკვდილი არ უწერია.

### („პაოლო იაშვილს“)

განსაკუთრებით ხაზგასასმელია ირაკლი აბაშიძის დამოკიდებულება ქართული პოეზიის ზევსთან – შოთა რუსთაველთან. ამ თემას უძღვნა პოეტმა ორი უაღრესად საინტერესო ციკლი „რუსთაველის ნაკვალევზე“ და „პალესტინა-პალესტინა“.

ორმოცდაათს მიახლოებული პოეტი-აკადემიკოსი რუსთაველის კვალმა ინდოეთის გზას გაუყენა და დგას განგის ნაპირზე შვიდასი წლის შემდეგ ქართველი პოეტი:

თითქოს ვხედავ,  
თითქოს, მართლაც,  
ნათლად ვხედავ  
ჩუმს და ფერმკრთალს,  
ჯანმრთელსა და სულმრთელს.  
არა, ეს გზა  
როგორც მგოსანს,  
როგორც მხედარს,  
არ იქნება,  
არ ენახოს რუსთველს  
რა იშოვა,  
რა ნაგო, რა მოიგო,  
რა დაკარგა,  
ქვეყნად არვინ იცის,  
მხოლოდ მესხეთს  
უცხო განძად წამოიღო –  
სიყვარული ინდოეთის მიწის.

### („რუსთაველის ნაკვალევზე“).

„პალესტინა-პალესტინას“ პოეტის ასეთი „წინასიტყვა“ ახლავს: „გულით წყუროდა შენს შორეული შთამომავალს წარმოედგინა,

რას განიცდიდი და ფიქრობდი შენ სიცოცხლის უკანასკნელ დღეებში.

მაშ, ეს „ხმები“ ისე ჩაუთვალე მას, თითქოს, მართლაც, გაეგონოს იგი პალესტინის ქართული ჯვრის მონასტერში – შენს უკანასკნელ თავშესაფარში, შენი დაკარგვიდან შვიდასი წლის შემდეგ“.

პალესტინის ექსპედიცია (ირაკლი აბაშიძე, აკაკი შანიძე, გიორგი წერეთელი) ოდენ რუსთაველის ფრესკული გამოსახულების აღმოჩენით კი არა, ირაკლი აბაშიძის თერთმეტი „ხმით“ – თერთმეტი შედეგით, თანამედროვე ქართული პოეზიის გამდიდრებით დამთავრდა. პირველი ხმა ჯვრის მონასტერთან რუსთაველის „კვალის დასრულებაზე“ მიგვანიშნებს:

შენ აქ ხარ,  
აქ ხარ...  
დასრულდა კვალი.  
მშობელი მიწის  
ეს მედო ვალი,  
აქ შენი მშვიდი  
ნაბიჯი შეწყდა,  
აქ დანდა ცრემლი,  
ხმელეთს რომ რეცხდა,  
ედგავარ შენს სახლთან,  
შენს ჩამქრალ ცეცხლთან  
წუხილი მესხთა,  
ძახილი მესხთა.

(„შენ აქ ხარ“)

რუსთაველი ღმერთს ეჩურჩულება. „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის ლოცვა მუხლზედაცემული მორჩილის ლიტანია როდია მხოლოდ. იგი კაცთა მიერ ღვთისაგან „განდგომის დაბრალებას“ უარყოფს, მაგრამ თავისი „შეცოდების“ მასშტაბიც იცის და უფალს შინაგან პაექრობასაც შეჰბედავს:

მე ჩემს გონებას,  
ცნობას ვთვლიდი,  
ჩემს დიდ საუნჯედ,  
რადგან არსთაგანს

მე მებოძა  
ეს საბოძველი,  
შენ მთხოვდი თაყვანს,  
მხოლოდ თაყვანს,  
თაყვანს განუსჯელს,  
მე მხოლოდ განსჯის,  
მხოლოდ განსჯის  
ვიყავ მლოცველი...  
მე ამ წადილით,  
მე ამ ლოცვით  
ვიყავ დამწვარი;  
ხამს ლოცვა ჩემი  
არ მემწუხროს,  
ხამს არ წამმწარდეს  
და თუ შენ მაინც  
ცოდვად მითვლი  
ამ ჩემს სანადელს –  
ცოდვა, არცოდვის  
ჭეშმარიტი  
სად ძევს სამძღვარი?!

(„ხმა ჯვრის მონასტრის გალავანთან“)

სხვა ხმაში კვლავ გრძელდება რუსთაველის შინაგანი მონოლოგი, მისი კამათი უზენაესთან:

მე შენს დიდ კანონს,  
დიდ განგებას როდი გარდაველ,  
როდი დავაკეღ  
სითბო ლოცვას,  
ლოცვას მონებრივს,  
მაგრამ თუ ზოგჯერ  
ვერ ვუჭერდი ფიქრსაც სადავეს –  
რად მომეც ნიჭი,  
გულისყური, თვალი გონების.

ამ აღსარებაში მინიშნებულია ის გარემოებაც, რომ თუ პოეტმა უნებლიედ რამ შესცოდა, მხოლოდ იმიტომ, რომ იგი კაცი იყო.

მე აზრი ვიყავ...  
ბედი კაცთა  
მე არ მებარა,  
ჩემად ნუგეშად,  
ჩემად ტანჯვად  
მე ეს მეყოფის...  
მე კაციც ვიყავ,  
მეც ამ მიწის  
მედო ბეგარა: –  
მე ვიყავ მონა  
სიყვარულის  
და ერთმეფობის.

**(„ხმა ჯვრის მონასტერში“)**

რუსთაველის ხმა და მისი მიწიერი სიცოცხლის გასაგისი უპირველესად მამულს ეკუთვნის და სამშობლოს სიყვარულითაა გაცისკროვნებული:

ო, პალესტინავ,  
პალესტინავ!  
ყოვლის მომცველის,  
ყოვლის მფლობელის  
მწამდა შენის სიტყვის, ცხოვლისა,  
მაგრამ უადრეს,  
უნინარეს,  
უმალ ყოვლისა,  
მე სამშობლოსთვის,  
სამშობლოსთვის  
ვიყავ მლოცველი.  
ნექტრით ის მწვავდა,  
მწარე მისგან გამმწარებია,  
მის ცის ქვეშ  
ყმობაც  
ჩემთვის იყო ალამდარობა,  
მე უკვდავება  
მამულს გარეთ არ მწამებია,  
არ მიძებნია მამულს გარეთ მამამთავრობა.

**(„ხმა ზეთისხილის ბაღში“)**

„ხმა თეთრ სენაკში“ თამარ მეფისადმი პოეტის უნაპირო სიყვარულის ღალადისია, ხოლო „ხმა კატამონთან“ ქართული ენის უკვდავების საგალობელი გახლავთ:

– ო, ენავ ჩემო,  
დედაო ენავ,  
შენ, ჩვენო ნიჭო,  
სრბოლავ და ფრენავ,  
შენ, ჩვენო სუნთქვის დიდო ალამო,  
შენ, ჭირთა ჩვენთა ტკბილო მალამო,  
შენ, კირო ჩვენთა ქვათა და კირთა,  
შენ ერთი შემრჩი სამარის პირთან.

...დაეცეს იქნებ სიმაგრე ყველა,  
მოისრას იქნებ ყველა ყმა ველად,  
დაედოს მტვერი ყველა დიდ ხსოვნას,  
დააკედეს აზრი ნაპოვნის პოვნას,  
ყოველ ნერგს, იქნებ, დაატყდეს მეხი,  
ყოველ ძეგლს, იქნებ, დაედგას ფეხი.  
მხოლოდ შენ უჭკნობს,  
შენ ხატად ქცეულს,  
რა დრო, რა დასცემს  
შენს უკვდავ სხეულს?

**(„ხმა კატამონთან“)**

მკვეთრად გამოხატული პატრიოტული განწყობის პოეტი იყო. ერის უკვდავება სჯეროდა და ამ ბობოქარ, პარადოქსების საუკუნეშიც გაძლებს, გაძელქვების ნიჭით აჯილდოებდა მკითხველს:

თუ ყველაფერი არის სიზმარი,  
თუ ბინდისფერი არის ყოველი,  
მაშინ რატომ დგას დღეს მცხეთის ჯვარი,  
რატომ დგას ისევ სვეტიცხოველი?

**(„მცხეთა“)**

ციკლში „ინდოეთის ნაკვალევზე“ ირაკლი აბაშიძის ლირიკული  
გმირის ნოსტალგია ასეთ სულშიჩამწვდომ ლექსად ჩამოიღვარა:

ბევრი ამქვეყნად  
ერთ თბილ დღეს ნატრობს,  
ბევრს თოვლიც არ წვავს,  
გულით რომ სურდეს.  
მე კი სხვა მიწის რა უნდა მშურდეს,  
სამშობლოვ ჩემო, შენს შვილს და პატრონს.  
...სუნთქვა ხარ, სუნთქვა, გულის ფანცქალი,  
ლხინის აფრენა, ჭირის მოთმენა,  
მაგრამ მცირე ხარ,  
შენ გენაცვალე,  
სულ პატარა ხარ, გულისოდენა, –

#### („ბევრი ამქვეყნად“)

მრავალნაზხ, ქვეყანამოვლილ პოეტს სულს მხოლოდ მშობლი-  
ური რიონის ქარი უფორიაქებდა:

არა ევფრატის, არა ანგარის,  
არა ალაზნის, არა არაქსის,  
მხოლოდ ამგვარი,  
მხოლოდ ამგვარი.  
არსად ამგვარი ქარი არა ქრის...  
მუდამ ცეცხლივით, მუდამ დენთივით,  
მუდამ ბორგვით რო  
ჟინს ვერ იოკებს;  
მე ამ ქარებით ვარ გაჟღენთილი,  
სულს სიკვდილამდე რომ ანიოკებს.

#### („ქარები რიონის ხეობაში“)

რა გულწრფელია, რა სადა და ბუნებრივი მშობლიური ქუთაი-  
სის მონატრება:

როგორც დათბება,  
როგორც დათბება,  
და მზე ჩატკება შემკულ დაისში,  
უნდა აღსრულდეს, რაც მენატრება –  
უნდა გავფრინდე ჩემ ქუთაისში.

#### („როგორც დათბება“)

საქართველოს ძნელბედი ისტორიით გაჯერებული, ჩვენი ბე-  
დის პოეტური ინტერპრეტაციაა „სამი ციხე“.

...იქნებ მოგესმას მამებს, წინაპრებს, –  
ქვეყნად მშვიდობა რად არ ჰქონიათ...  
შესდექ ლომგმირთა ხსოვნის წინაშე,  
ყური მიუგდე ამ სამ გოლიათს.

ყური მიუგდე, როგორ გადარჩა  
მტრის ხმაღს ქვეყანა ცრემლდანამული...  
„დაუხვდი“ „დაჰკარ“ და „არ გაუშვა“  
აი, რა არის ჩვენი მამული.

#### („სამი ციხე“)

პოეტის სიყვარულის საგანს სრულიად საქართველო წარმოად-  
გენდა. ერთ ლექსში თუ საქართველოს ძირძველ ბასტიონს – მესხ-  
ეთს ეთაყვანებოდა:

უფრო მხურვალედ,  
ვიდრე არასდროს,  
მინდა, გემთხვიო და გეთაყვანო,  
ათას ავდარში ათას ვარამში  
შენ, დაუშლელი ჩვენო აკვანო!

#### („მესხეთს“)

სხვა ლექსში საქართველოს განუყოფელი კუთხე – აფხაზეთი  
იპყრობდა ირაკლი აბაშიძის პოეტურ გუმანს:

მწყუროდეს მუდამ,  
როგორც მწყურია  
მთების, ქედების ბროლის ნაჟური:  
ქცეული სიზმრად –  
დიოსკურია,  
ქცეული სიზმრად –  
ცა აფხაზური.

(„ცა აფხაზური“)

ირაკლი აბაშიძის პატრიოტიზმი დაფუძნებულია იმის შეგნებაზე, რომ სამშობლო მარტოოდენ სახელოვანი წარსული როდია. პოეტი ღრმადაა დარწმუნებული, რომ ქვეყნის „საუნჯე და საგანძური“ დღესაც განაგრძობს ბრწყინვას და სამშობლოს გაძღვების საიდუმლო „მარად უქრობი ცეცხლის“ ძიებაშია.

შენ ხარ წარსული,  
მაგრამ არასდროს  
მხოლოდ ნამყო და მხოლოდ წარსული,  
სუნთქვას განაგრძობს  
ბრწყინვას განაგრძობს  
შენი საუნჯე და საგანძური.

შენ ხარ სიცოცხლე,  
რადგან გაუძელ  
ათას ჭირსა და ხმლით გაციებას;  
ათას გაქრობის დღესასწაულზე  
ხარ მარად უქრობ ცეცხლის ძიება.

(„ჰიმნი ტრადიციული“)

პატრიოტული მგზნებარებით გამოირჩევა აგრეთვე ლექსები: „აქ დავსახლდები“, „ნახე გახედე“, „მკა გრემში“, „არანი“, „ალაზანთან“, „რა დაგავინყებს“, „თბილისს“, „სადაც არ უნდა მოხვდეს ქართველი“, „ჩვენი ილია, ჩვენი აკაკი“, „სამშობლო იყოს ჩვენი დიდება“, „კაპიტანი ბუხაიძე“ და სხვ.

ირაკლი აბაშიძეს სატრფიალო ლირიკით მინცდამაინც არ

გაუნებივრებია მკითხველი. ქალისადმი ტრფიალს მის პოეზიაში არცთუ დიდი ადგილი უჭირავს, თუმცა სიყვარულის გულწრფელი ჰიმნია „პირველი თოვლის სიმღერა“.

წუხელ თოვდა,  
ნეტავ ჩემთან რად არ გაჩნდი,  
გენახე და ძილში თბილად დაგეხურე...  
მე ავდექი პირველ თოვლზე განთიადში  
და ვეძებდი შენს პატარა ნაფეხურებს.

დაეყარა სახლებზე და ვერის გზაზე  
თოვლი, თეთრად დასახული,  
ასე თეთრად, გულუბრყვილოდ ჰყვავის ასე  
იმერეთში ტყემლის ხეზე გაზაფხული.

(„პირველი თოვლის სიმღერა“)

პოეტის სატრფიალო ლირიკას ამშვენებს აგრეთვე „ყველა სიმღერა“, „სიყვარულისთვის“, „აპრილის და მაისის“, „შენ დაგიტოვე“ და სხვა.

ირაკლი აბაშიძეს გულთბილი იუმორისა და მსუბუქი სატირის დიდი ნიჭიც ჰქონდა. მისი ხუმრობანი ელვის სისწრაფით ვრცელდებოდა საქართველოში და ესეც განაპირობებდა „სამი ციხის“ ავტორის დიდ პოპულარობას. ირაკლი აბაშიძის სატირულ მახვილს ვერც ოთხმოციანი წლების კომუნისტთა კრებომანია გადაურჩა. ლექსს ჰქვია „გაბაასება ვლადიმერ მაიაკოვსკისთან“.

ერთად, ერთპირად,  
განა ყველა თავის ნებაზე,  
სახე ათასი  
ფერად ვარდი  
ფერად პილპილი.  
შენსობას ორგან,  
ახლა სამგან ვზივარ კრებაზე,  
ცალკე ხელ-ფეხი,  
ცალკე ზურგი,  
ცალკე ცხვირ-პირი.

...თქვენს შემდეგ წლები,  
 მშენებლობა,  
 ომიანობა...  
 ბევრს რასმე ვძლიეთ,  
 ბევრი დავგმეთ,  
 ბევრს მოვესწარიტ,  
 მაგრამ თუ რასმე  
 მართლა ჰქვია  
 „მსხდომიარობა“,  
 „მსხდომიარობა“ ჩვენ რომ ვზივართ,  
 აი, ეს არის.

სიჭარმაგის გადასახედიდან ირაკლი აბაშიძემ გახედა სამზუო-  
 სააქაოს, გაისიგრძეგანა ამ წუთისოფლის ტკბილ-მნარე და ინატრა:


ო, არა გაზაფხულზე  
 ამ მზეში, ამ დარში,  
 ო, არა გაზაფხულზე –  
 ზამთარში... ზამთარში!

როცა კვდება მიწაც,  
 კვდება ნელა, ნელა;  
 როცა გარეთ ბნელა,  
 როცა შიგაც ბნელა.

როცა სუსხი მეფობს,  
 ამ ბარში, ამ მთაში...  
 ო, არა გაზაფხულზე –  
 ზამთარში... ზამთარში!

თითქოსდა ბუნებამ უსმინაო...  
 შეუსრულა ნატვრა ირაკლი აბაშიძეს.  
 ზამთარში გაიწვია წუთისოფლიდან.

## ლადო ასათიანი (1917 – 1943)



ლადო ასათიანი, მირზა გელოვანი, გიორგი ნაფეტვარიძე, სევერიან ისიანი, ალექსანდრე საჯაია, რევაზ მარგიანი, ალექო შენგელია, გიორგი შატბერაშვილი, იოსებ ნონეშვილი, ლადო სულაბერიძე... ისინი ოცდაათიანი წლების ბოლოს გამოვიდნენ ასპარეზზე. „ცისფერყანწელთა“ შემდეგ ასეთი თვითმყოფადი და გამოკვეთილი თაობა არ ჩანდა ლიტერატურის ჰორიზონტზე.

ისინი ერთად იდგნენ, ერთმანეთისთვის მხარმიცემულნი. ნაბიჯ-ნაბიჯ ამკვიდრებდნენ თავიანთ სახელებს პოეზიაში და ერთად იცავდნენ საკუთარ შემოქმედებით პრინციპს. ეს პრინციპი კი სხვა არა იყო რა, თუ არა ქართული ტრადიციული, მეტაფორული ლექსის და ქართული მწერლობის ეროვნული ტრადიციების ერთგულება.

დღეს არც ერთი მათგანი აღარაა ცოცხალთა შორის.

ლამის ისე ერთად გაიკრიფნენ წუთისოფლიდან, როგორც მოვიდნენ.

ზოგს ომის ქარცეცხლიან გზებზე მოუსწრო სიკვდილმა, ზოგ მათგანს უღმობელმა სენმა ჭაბუკობაშივე დაჰრია ხელი.

ახლა ისინი თავიანთი მართალი ნიგნებიდან და გაცრეცილ-გაყვითლებული სტუდენტური პორტრეტებიდან შემოგცქერიან.

„ოცდაათიანელთა“, ანუ როგორც მაშინ უწოდებდნენ „ახალ-თაობელთა“ შორის გამორჩეულია ლადო ასათიანი.

დაიბადა 1917 წლის 14 იანვარს ქუთაისში, მასწავლებლების – მექი ასათიანის და ლიდა ცქიტიშვილის ოჯახში. ბავშვობა ცაგერის რაიონის სოფელ ბარდნალაში გაატარა. ცაგერშივე დაამთავრა ტექნიკუმი და 1934 წელს ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ბიოლოგიის ფაკულტეტზე ჩაირიცხა, მაგრამ საბუნებისმეტყველო საგნებს გული ვერ დაუდო და პირველი კურსიდანვე ფილოლოგიის ფაკულტეტზე განაგრძო სწავლა. 1937 წელს ლადოს დედას, ქ-ნ ლიდას, ტროცკისტობა დააბრალეს და გადაასახლეს.

პედაგოგიური ინსტიტუტის დამთავრებისთანავე ლადო ასათიანი თბილისში გადმოვიდა და „ნორჩი ლენინელის“ რედაქციაში დაიწყო მუშაობა.

1940 წელს ცოლად შეირთო ანიკო ვაჩნაძე, რომლისგანაც შეეძინა ქალიშვილი – მანანა.

ამ დროისათვის პოეტი უკვე ჭლექით იყო დაავადებული, მაგრამ მაინც გაიწვიეს სამხედრო სამსახურში, თუმცა რამდენიმე თვეში უკანვე გამოაბრუნეს ჯანმრთელობის გაუარესების გამო.

სიცოცხლის ბოლო წლებში რამდენჯერმე იყო აბასთუმანში სამკურნალოდ, მაგრამ ვერაგ სენთან ბრძოლა უშედეგოდ დასრულდა.

1943 წლის 23 ივლისს გარდაიცვალა თბილისში. დაკრძალეს ვაკის სასაფლაოზე, ხოლო 1968 წელს დიდუბის პანთეონში გადაასვენეს.

პირველი ლექსი 1935 წელს (15/X) გამოაქვეყნა ქუთაისში, გაზეთ „სტალინელში“. თბილისში აქტიურად თანამშრომლობდა „ჩვენს თაობაში“, „ნორჩ ლენინელში“ და „ლიტერატურულ გაზეთში“. 1942 წელს დაიბეჭდა ლადო ასათიანის ლექსების პირველი ნიგნი, მაგრამ „მთავლიტმა“ მას გავრცელების ნება არ მისცა ხაზგასმული პატრიოტული მიმართულებისა და დისიდენტური ქვეტექსტების გამო. ნიგნი სტამბაშივე გაანადგურეს და ამით საბჭოთა იმპერიამ ახალგაზრდა პოეტის ოცნებას ერთხელ კიდევ შეაკვეცა ფრთები.

იქნებ ამ ფაქტმაც მოუსწრაფა სიცოცხლე.

სიკვდილშიც დიდ პოეტებს დაემგვანა.

ოცდაექვსი წლის ბიჭმა ნიკა აგიაშვილს მისწერა: „მე დაწყველილი ლადო ასათიანი – ერთი კვირაა, რაც გეახელით თბილისს. თითქმის ხუთი თვე გავატარე აბასთუმანში აბსოლუტურად მარტომ – სულ ნიგნებთან. არავითარი გაუმჯობესება არ მიმიღია ჯანმრთელობის მხრივ. ჩემი ფილტვების მიხედვით მე მალე უნდა მივიცვალო“...

ამ სტიქონებს სხვათა შორის წერს, ცოტა არ იყოს, ირონიულადაც. მთელი წერილი ხუმრობებით არის სავსე. ჯერ ადრესატს ექილიკება. შენგან რა ვიკინგი დადგება, კოჭებამდე წყალში ძლივს სცურავო, მერე თბილისში გაჩენილ ახალ ფუნაგორიებს იშველიებს და ასე სიმღერ-სიმღერ, სიცილ-სიცილ ჩაამთავრებს წერილს. სხვათა შორის...

„ჩემი ფილტვების მიხედვით მე მალე უნდა მივიცვალო“.

ამის წარმოდგენის უნარს ჩვენ ვინ მოგვთხოვს, მაგრამ ერთი წუთით წარმოიდგინე, მკითხველო, ოცდაექვსი წლის იყო და იმედის წყალი გადაგწუროს, დღეები დათვლილი გქონდეს.

სხვანაირად უნდა მეთქვა: ოცდაექვსი წლის ლადო ასათიანი იყო სიცოცხლეზე შეყვარებული, ლამაზ წუთებზე დახარბებული და იცოდე, რომ „მალე უნდა მივიცვალო“.

ამ წერილის ავტორი კი სიცხისაგან გათანგული, უღმობელი სენისაგან ფილტვებდაღრღნილი ახალგაზრდა კაცი, მეორე დღეს მიუჯდება უფარდაგო მაგიდას და მონაფური მეღან-კალმისტრით ცალხაზიან რვეულზე ყრუ ხველებით დაწერს ლექსს „გულბაათ ჭავჭავაძეზე“. ქეიფით, ყიჟინით, სალალბო მოტივით სავსე ლექსს.

იმისთვის, ვინც გამირობას მარტო ხმლის ქნევაში არ ხედავს, ეს საქციელი ჭეშმარიტი გამირობაა.

„ასპინძის ავტორი“ თავის დროზე რომ დაბადებულიყო, იქ მოკვდებოდა, სადაც მისი ლექსის ცხრა ძმა დაეცა:

ერთი მათგანი, დაჭრილი უბეში დროშას მალავდა,  
ინვა სისხლისგან დაცლილი... კურთხეულ იყოს მარაბდა!  
ეს აწენილი ფაფარი თუ მშობლიური ნისლია?  
ვისია ცხრა ბედაური, ცხრა დარახტული ვისია?

ობოლმა ბიჭმა ბარათაშვილის ასაკში იმდენი მოასწრო, რომ მისი ლექსების ციტირება უხერხულობას მგვრის, ისე ქრესტომათიული და საყოველთაოა მისი პოეზია.



კეთილმა ჭირისუფლებმა ლადო ასათიანის თითქმის ყველა სტრიქონი მოიძიეს, პირადი წერილები, უბის წიგნაკები, სიყრმის რვეულები, გაზეთები გადაქექ-გადმოქექეს და გამომცემლობა „საქართველომ“ 1979 წელს პოეტის მშვენიერი ერთტომეული მიაწოდა პოეზიის მოყვარულთ.

ამ წიგნშია ახლა ყველაზე სრულად ჩატეული მისი სიმღერა, ფიქრი, სურვილი და მისი ნაღვლიანი ცხოვრებაც.

ჭეშმარიტი პოეტისა ზოგჯერ მარტო ჭეშმარიტ პოეტებს ესმით. ხომ ასე ლალია ასათიანის პოეზია და ხელისგულივით ცხადი, მაგრამ მაინც ბევრჯერ გაანითლებს და დააბნევს იგი მის წიგნთან ყოვლისმცოდნის პოზით მისულს.

„ერთტომეულის“ ლადო ასათიანი პოეზიის ზღაპრულ საქანელაზე მჯდომივით ხან უჩვეულოდ მოგვიახლოებს თავის ადგილებზე სახეს, ხან კი მეოცნებე თვალს ცათა შინა აღაპყრობს და ზემოდან დაგხედავს.

როცა ვალებზე, ჭლექზე, უბინაობასა და რედაქციაში ლექსის უადგილოდ შემცირებაზე ლაპარაკობს, „სალაღობოს“ ავტორი საშუალებას გვაძლევს, ახლოს მიხვიდე, სულში ჩახედო, ჩვეულებრივ კაცად ჩათვალო, მაგრამ როგორც კი ძალიან გაუთამამდები და მხარზე ფამილარულად ხელს მოუთათუნებ, მწყრალად შემოგხედავს და ისევ თავის სიმაღლეს, თავის მასშტაბებს, თავის პარნასს დაუბრუნდება:

თვითონ ვარსკვლავებს ემახსოვრებათ  
(მე მხსნელად მყავდა ვარსკვლავთ კრებული),  
რომ იყო მუდამ ჩემი ცხოვრება  
მკვდრების მზესავით გაყვითლებული.

მკვდართა მზის მკრთალი, ცივი ათინათით დაჩენილი ლადო ასათიანის მაღალი ძეგლი – ალალი, ხალასი შემოქმედება მარტო იმის მაჩვენებელი კი არ არის, როგორ უნდა ემსახურო ქვეყანას, იმის სამწუხარო გაკვეთილიც არის, რომ პოეტს მეტი ყურადღება და მხარდაჭერა სჭირდება.

...როცა ზღაპრული საქანელა ახლოს მოდის, ლადო ასათიანი ერემია ქარელიშვილს მისწერს: „ლიტ. გაზეთი მივიღე, უფრო უკან რომ გადაგედოთ, აჯობებდა, მაგრამ მაგაზე ბოლო ადგილი აღარ აღმოჩნდა“. მაგრამ საკმარისია შთაგონების ცეცხლით გონების

ერთი განათება და ლადო ასათიანი „იქიდან“ გეჩურჩულება: „სიზმარში ვნახე ფიორდები, ლურჯი, სულ ლურჯი, დიდი და მომცრო ყურეები – ჩვენი ნაისლარებივით“.

ღმერთთან მოსაუბრე კაცს სიზმრებიც სხვანაირი ჰქონდა.

ამიტომ მეჩვენება ყოველთვის ნაკლებად მეცნიერების ლამპირთ პოეტის პირადი ცხოვრების ლაბირინთებში ხეტიალი. თემის – „ლადო ასათიანი“ – საკითხში კომპეტენტურობის დაჩემება ძნელია.

მე, როგორც ვატყობ, სიცოცხლეში ლადო ასათიანს (მის პიროვნებას) სრულყოფილად არავინ იცნობდა ისე, როგორც გალაკტიონს თითქმის არავინ ჰყავდა მესაიდუმლე.

ასე როგორ მოინესრიგა ოცდაექვსი წლის ბიჭმა ყველაფერი, რისთვისაც პოეტებს ზოგჯერ ერთი გრძელი სიცოცხლე არ ჰყოფნით, რანაირად შეძლო ქართული ლექსის განახლების ზარაც დაერეკა და ღვინისაგან გულაჩუყებული კაცის ლოშნით კი არა, სიყვარულის ავადმყოფობით გაფხიზლებული გონებით ისე მოფერებოდა თავის ქვეყანას, თავის რუსთაველს, თავის კრწანისს, თავის გალაკტიონს, თავის სიკვდილის საკანსაც – აბასთუმნის პატარა გალიას, რომ მისი წიგნით ყელთამდე სავსეს, ერთი წამოცდენა წამოგცდება: „კიდევ რომ ეცოცხლა, რალა უნდა ეკეთებინაო“.

თავისი პორტრეტი თვითონვე დახატა ლამაზად და სამუდამოდ:

ამ ხეივანში ის ძალზე ხშირად  
დასეირნობდა ჩვენს სასახელოდ,  
ხელში ცისფერი წიგნი ეჭირა  
და აწეული ჰქონდა საყელო.

ერთი შეხედვით უზომოდ მკაცრი,  
ახლოს არავის არ იკარებდა  
და იდგა, როგორც სხვა დროის კაცი,  
ფოთლებდაცვნილ ბალის კარებთან.

ლადო ასათიანი – პოეტი იქა დგას, სადაც სამარადისოდ ნათობენ უკეთესი ქართველი პოეტები. სახელოვან მიცვალებულთა ელიტას ამშვენებს მისი შთამაგონებელი, სუფთა სახე.

ლადო ასათიანი – ცრემლებამდე შესაყვარებელი, ალალი, ბრძენი ბავშვი კი ამ პატარა ამონაწერებშიც ამოიცნობა:

„მწერალთა სახლის ბაღში ერთი მწერალი იჯდა – რაფიელის – „სამშობლო ხევსურისა“ ადგილობრივი, კუთხური პატრიოტიზმია, შოვინიზმის სუნი უდისო, სულ სულელი ვუძახე; უნდა მეცემნა, ძლივს გამასწრო“.

„ძვირფასო ნიკოლოზ! იმ ბებერი ძაღლის მოსაგონარი იყოს, რომელიც 1937-38 წლებში ხშირად გვხვდებოდა იმ სასტუმრო „გრანდ-ოტელის“ წინ, სადაც შენ ცხოვრობდი“.

„ოცდაათ წლამდე სულ პოეზია, შემდეგ პროზა და დრამა-ტურგია... მანამდე ხელს ვერ მოვკიდებ, ვერ გავბედავ!“.

„ჭიანჭველამ თუ იცის ჩვენი არსებობა? საერთოდ, ცხოველებ-მა თუ იციან რას ვხლაფორთობთ ჩვენ. საინტერესოა, რას ფიქრობენ, როცა უყურებენ ჩვენს ნაცოდვილარს და ნახელავს?“.

რა კარგად იცოდა კაცის ფასი! მოთავებული ვაჟკაციო, იტყვი-ან ასეთ კაცზე, რა ამაყად ვლიდა და როგორ მოჰქონდა თავი ქართველად რომ დაბადა გამჩენმა, რაოდენი რიდი და მონინება ჰქონდა ქართველთა სულიერი მამისადმი:

„ყოველი ქართველი პოეტი ისე უნდა ივსებდეს პირსა და გონებას შოთას შაირებით, როგორც დემოსთენი ივსებდა პირს კენჭებით, ენაბრგვილობის დასაძლევად“.

ლექსებში ფიროსმანს ბევრჯერ ახსენებს. ერთი გასაოცარი ლექსი აქვს ტერენტი გრანელზე. ამ ლექსში დათოვლილი საყდრის ფონზე გიჟის თეთრი ხალათით დგას ტერენტი გრანელი და მწუხარედ შემოგვყურებს. უპატრონო, უმწეო ტერენტი გრანელს უმონყალოდ ათოვს მხრებზე და მშველელი არ ჩანს.

თოვს და ანათებს სადღაც კანდელი,  
დიდი სასახლის ბრწყინავს კარები.  
შენ კი ვით თოვლის თეთრი ფანტელი,  
დალუპვისაკენ მიექანები.

აგიტანს შიში და ჟრუანტელი,  
გაგიფითრდება თვალთა უპენი,  
ნუთუ, ვით თოვლის თეთრი ფანტელი,  
შენც ისე მშვიდად დაილუპები?

...ლადო ასათიანი ერთ წერილში თავის მეუღლეს აბასთუმნიდან სწერს: ნეტავ იმის სახსარი და შესაძლებლობა მოგვცა, აქ კიდევ ერთ თვეს გამაჩერონ, მაშინ უსათუოდ მოვრჩებოდიო.

იქნებ ამიტომაც სტკიოდა კიბის ქვეშ გათავებული ნიკალა, იქნებ, ამიტომაც ეკითხებოდა გულგრილობით გულდამწვარ ტერენტი გრანელს: „ნუთუ ვით თოვლის თეთრი ფანტელი, შენც ასე მშვიდად დაილუპებიო“.

მაინც რა მოხდა, რატომ აკრიტიკებენ კომკავშირელთა ყოველ მორიგ კონფერენციაზე ან რატომ დაუჭრეს პირველი წიგნი?

ლადო ასათიანი იმ დროს გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე, როცა სიტყვა „საქართველოს“ ხსენება ლამის აკრძალული იყო („საქართველოს“ ნაცვლად „რესპუბლიკა“ უნდა გეთქვა), ხოლო სამშობლოსადმი სიყვარულის გამოხატვა კუთხურობად და „ნაციონალიზმად“ („ნაციონალიზმი“ იმ დროს ყველაზე საშიში სიტყვა იყო) ითვლებოდა. სამშობლოს გაგება მხოლოდ „დიდ საბჭოეთს“ უკავშირდებოდა.

აი, ასეთ დროს გაისმა ლადო ასათიანის ომახიანი ლექსი, რომელშიც ძალუმად ჟღერდა სამშობლოს დაცვის პათოსი საქართველოსთვის დამაშვრალ გმირთა სადიდებლად.

ჰეი, თქვენ არაგველებო, გაუმადლარნო ომითა,  
თქვენს საფლავებთან მოსვლა და მუხლის მოდრეკა მომინდა

### („კრწანისის ყაყაჩოები“)

პოეტი პირდაპირ და ცხადად ეუბნება თავის თანამედროვეობას, რომ მასაც ცოტნე დადიანის სახმილი სწვავს:

რა ქართველი ხარ და რა ჭაბუკი,  
თუ მამულს თავი არ ანაცვალე?  
ეს აწვალედა ცოტნე დადიანს,  
მეც ქართველი ვარ და ეს მანვალეხს.

რომ ვდგავარ ახლა თბილისის კართან,  
შენ გეკითხები, ცაო ნათელო,  
ამ უხეირო ლექსების გარდა  
რას გავუკეთებ მე საქართველოს?

### („თქვენ გეუბნებით, ძმებო, მგოსნებო“)

აშკარად იგრძნობა ლადო ასათიანის ლექსებში არსებული უკმაყოფილება. იგი თავის თაობას იმასვე უსაყვედურებს, რასაც დიდი ილია უსაყვედურებდა – „სულ ძილი, ძილიო“, პოეტი დარწმუნებულია, რომ წინაპრის მეციხოვნის ხმა აღარ ისმის სოციალისტურ საქართველოში:

ცხოვრების ორომტრიალში  
უპირველესად ყოვლისა –  
შენ ხმა დაკარგე წინაპრის  
მამაცი მეციხოვნისა!

მე გავაცოცხლე ხმა იგი  
და მინდა ყურში ჩაგძახო,  
ადექ, მგლის მუხლი მაიბი,  
რამ წაგახდინა, ყაზახო.

#### („წარწერა წიგნზე“)

ჩასძინებია ქვეყანას ჩასძინებია ბებერ ციხეს. მის ყოფას მხოლოდ სიზმარილა ალამაზებს; ჩაივლის ჰეროიკული სიზმარი და მოდის უხალისო ცხადი, სადაც ციხის გალავანზე არწივები თვლემენ.

როცა მთვარე შეწყვეტს კაშკაშს  
და ბნელს შემოიხვევს,  
ისე, როგორც დალილ ვაჟკაცს,  
მძიმედ სძინავს ციხეს.

...ელიძება როგორც სისხლით  
გაგიჟებულ მხედარს.  
ელიძება, მაგრამ ძილში  
ნანახს ველარ ხედავს.

ველარ ხედავს, გაავდება,  
აშლის ხავსის ბალანს  
და გრუხუნებს ნადრევი  
გაზაფხულის გვარად.

მერე ისევ ალამაზებს  
სიზმრით თავის სვე-ბედს  
და ხავსიან გალავანზე  
არწივები თვლემენ.

#### („ციხის სიზმარი“)

ამ ლექსის ემოციური არეალი აწყობისადმი აშკარა უკმაყოფილებითაა დანაღმული. სინამდვილე უფერული და უსახოა. ბებერი ციხე ძილში ნანახ არწივებს ცხადში ველარ ხედავს...

ეს საკმარისი აღმოჩნდა „პატრიოტულად აღტკინებული“ პოეტის პირველი წიგნის გასანადგურებლად.

პატრიოტული ლირიკა ლადო ასათიანის შემოქმედების მთავარი მოტივია. ნაკადულივით, რაკრაკით მომდინარე მისი ამღერებული ლექსი თითქოსდა მამულის სიყვარულის ჰანგად დაიბადა:

ტკბილია, როგორც დედის რძით ბალდი ტუჩმუშრობელი,  
ტკბილია, როგორც ცის ნამი, როგორც ალერსი მშობელის,  
ტკბილია, როგორც ველებზე ჯეჯილის მწვანე ფაფარი,  
ტკბილია, როგორც ძილისპირს ძველი ქართული ზღაპარი.

ბარში ბუღბუღლთა ჯარია, მთაში ირემი ყვირისა,  
ტკბილია, როგორც სურნელი ახლადმოხდილი ღვინისა,  
ტკბილია, როგორც სურნელი ახლადგამომცხვარ პურისა,  
ტკბილია, როგორც ნუგეში ბედისგან დაღუპულისა.

#### („ჩემო სამშობლო“)

შინაგანი ექსპრესიით, ომახიანობით, დრამატიზმით, განწყობილების უშუალოებით გამორჩეულია „სალალობო“. იგი ისეთივე პოპულარული ლექსია საქართველოში, როგორიცაა აკაკის „განთიადი“, ილიას „ყვარლის მთებს“, გალაკტიონის „მერი“, გიორგი ლეონიძის „ყივჩალის პაემანი“. თავისი მომწოდებლური პათოსით, ვაჟკაცური ჟინით „სალალობო“ მარად აღანთებს მკითხველს:

დაუკარით, რომ ძველ ხანჯალს ელდა ეცეს,  
გაისარჯოს და ბრძოლაში დაიხარჯოს!

გაუმარჯოს საქართველოს მზეს და ზეცას,  
საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!

დაუკარით ჯერ ხომ სისხლი გვიდუღს ძარღვში,  
ჯერ ხომ საროს ფოთლები არ გასცვენია,  
ჯერ ხომ მცხეთის სვეტიცხოვლის დიდი ტაძარში  
საქართველოს ცხელი გული ასვენია!

დაუკარით! და იმღერეთ ისე მაგრად,  
რომ ფილტვები გვეტკინოს და დაგვებეროს!  
დაუკარით, რომ ჭაბუკნი ვიყოთ მარად,  
და ცხოვრებამ ვერასოდეს დაგვაბეროს!

დაუკარით და იმღერეთ მადიანი,  
ფიცხელ ომში რომ მღეროდა მაჩაბელი,  
დაუკარით ძველებური დარდიანი,  
დაუკარით არწივების ასაფრენი!

ცხრა ლახვარი რომ დამარტყან ცხრაჯერ გულში,  
მტრის ჯინაზე ცხრაჯერ მწარედ გავიცინებ,  
დავიღლები საქართველოს სიყვარულში,  
სასთუმალზე ერთხელაც არ დავიძინებ!

### („სალალობა“)

დააკვირდით, რა შთამბეჭდავად დაუხატავს პოეტს უძველეს  
იბერიელთა სოფელი, სადაც ხალიბურ ფოლადს ადნობენ და ქარ-  
თულ ხმალს სჭედავენ და რა ძალუმად იგრძნობა ლექსში „აჯანყე-  
ბული ერის“ მონატრება:

იბერიელთა სოფელი... მაღალ-მაღალი ცხენები...  
ხალიბის ფოლადს ადნობენ მამაცი ხალიბელები,  
პირველყოფილი სამჭედლო – გრდემლი და ურო ძლიერი,  
ქართულ იარაღს აწრთობენ მამაცი იბერიელნი.

კვერითხუროი ვეება, რვალის და რკინის მჭედელი  
და საბერველი, ვეშაპის ყბასავით გაუხედნელი.

უგანივრესი ფილტვები, ჰაერი დაჟანგებული,  
ბაასი: ჭექა-ქუხილი და ერი აჯანყებული.

### („პირველი მჭედლები“)

მართლაც რომ ლექსის ოსტატის გრძნეულებით ჩაატია პო-  
ეტმა მცირე მოცულობის ლექსში ცხრა ძმა ხერხეულიძის თავ-  
განწირული კვეთება. ეს ლექსი მამულისთვის ბრძოლის მთელი  
ეპოპეაა, გასაოცარი ფერწერულობით შექმნილი პანორამული ტი-  
ლოა, შთამბეჭდავი ტრაგიკული სიუჟეტით გამორჩეული და მტ-  
კიცე კომპოზიციით შეკრული:

ეს გაფრენილი ფაფარი, თუ მშობლიური ნისლია?  
ვისია ცხრა ბედაური, ცხრა დარახტული ვისია?  
საით წავიდნენ ვაჟები, რად მიატოვეს, რაშები,  
რაშები თამაშ-თამაშა, ომებში ნათამაშები?

...ერთი მათგანი დაჭრილი, უბეში დრომას მალავდა,  
ინვა სისხლისგან დაცლილი... კურთხეულ იყო მარაბდა!

ეს აწეწილი ფაფარი, თუ მშობლიური ნისლია?  
ვისია ცხრა ბედაური, ცხრა დარახტული ვისია?  
დანრიალებენ, დაძრწიან ქაფმორეული ლაშებით...  
მხედრებო, ასე უღმერთოდ რად მიატოვეთ რაშები?!

### („ცხრა ძმა ხერხეულიძე“)

ლადო ასათიანის შემოქმედებაში სამშობლოს სიყვარულით  
შთაგონებულ ლექსთა შორის უნდა დავასახელოთ აგრეთვე „ჩემი  
ქვეყნის ოქროყანა“, „არ ვიცი ასე რამ შემეყვარა“, „საქართველო-  
ში“, „ბარდნალა“, „ყაყაჩო“, „სიმღერა თბილისზე“, „ნამკაშურის  
ნისქვილები“, „გაიფიქრებ და გაგეხარდება“, „საქართველო იყო  
მათი საოცნებო სახელი“ და სხვა.

კოცნასავით მხურვალე და ზღვის ნიავევით ნაზია ლადო ასა-  
თიანის სატრფიალო ლირიკა:

რა დამავინწყებს შენს ლამაზ თვალებს,  
რამ დამავინწყოს ეს ალუბლები!  
იცოდე, როცა სხვას შევიყვარებ,  
ამ სიყვარულზე ვესაუბრები.

ვეტყვი, თუ როგორ გვიყვარდა ძველად  
ჩვენ ტრფიალება წრეგადასული,  
თუ როგორ გაქარა ოცნება ყველა  
და მოგონებად დარჩა წარსული.

### („ალბომიდან“)

ზოგჯერ სიცოცხლეზე შეყვარებული პოეტის ლექსიდან ცრემ-  
ლი მოწვეთავს ძლიერი სენით დამჩნეული შავი ჩრდილების გამო:

როგორ არ მინდა, ძლიერო სენო,  
ლექსში ქართულად რომ მოგიხსენო!  
როგორ არ მინდა, ჩემს სიჭაბუკეს,  
დააჩნდეს შენი შავი ჩრდილები.

ეს რა უშრეტი ცეცხლით დამბუგე,  
პირს მარიდებენ ქალიშვილები.

### („როგორ არ მინდა“)

სამი პოემა დაგვიტოვა: „ბასიანის ბრძოლა“, „ასპინძა“ და  
„კოლხიდა“, აგრეთვე – თარგმანები, მდიდარი ეპისტოლარული  
მემკვიდრეობა და საოხუნჯო სალალობო ლექსები (ე. წ. ფუნაგო-  
რიები) ქართველ მწერლებზე.

\* \* \*

ერთ-ერთ ბოლო ლექსში ლადო ასათიანის ასეთი თხოვნა-ან-  
დერძი გაკრთა:

ვიდრე სიკვდილი გამახვევდეს ბნელს მოსასხამში,  
ვიდრე სიკვდილის ჭვალი გულზე დამესობოდეს,

უკანასკნელად დამაწვინეთ ჩემს ოდა სახლში,  
უკანასკნელად, ვიდრე თვალნი დამევესებოდნენ.

უკანასკნელად პაპიჩემის გაჯორკილ ტახტზე  
დამიგეთ მაგრად, დამახურეთ შავი ნაბადი,  
უკანასკნელად, უდრტვინველად მამყოფეთ ასე,  
ვიდრე სიკვდილი შფოთიან სულს გამინაბავდეს.

### („ვიდრე სიკვდილი“)

ისე წავიდა „სალალობოს“ ავტორი, რომ ეს მცირე თხოვნაც  
ვერ შევუსრულეთ.



**იოსებ ნონაშვილი**  
(1919 — 1980)

მეოცე საუკუნის სამოციანი წლებიდან კალმით ერის მსახურის ფუნქციამ ახალი ნიუანსებიც შეიძინა. მკითხველმა სრულიად სამართლიანად მოსთხოვა პოეტს პრაქტიკოსის, საზოგადო მოღვაწის ტვირთის ტარება. რაკილა გალაკტიონი და გიორგი ლეონიძე აღარ იყვნენ ცოცხალთა შორის, ეპოქამ ასეთი კითხვა დაუსვა თავის პოეტს: დღეს, როცა ნიჭიერ კალმოსანს ბევრს ვხედავ, ხოლო საზოგადო მოღვაწეს შედარებით ცოტას, მომეცი უფლება გკითხო; გარდა ამ მშვენიერი ლექსებისა, სხვა რა არგე შენს ქვეყანას? აიტანე თუ ვერა მაღალ საკუთრთხეველზე ერის ქომაგისა და ჭირისუფლის მძიმე ჯვარი?

იმ თითზე ჩამოსათვლელ შემოქმედთაგან ამ კითხვას რომ ნელგამართულნი უპასუხებდნენ, პიროფლიანნი რომ იდგნენ სრულიად საქართველოს დროშის ქვეშ და ნიადაგ თვალმოხუჭავნი ყურს უგდებდნენ მისი გულის ფეთქვას – ერთი იოსებ ნონეშვილი გახლდათ.

საქართველო ყურადღებით უსმენდა იოსებ ნონეშვილს და სწორედ ჩვენს დღეებში, როცა ზოგს ეგონა, რომ ინტელექტუალურ პოეზიას დაწაფებული, ვერლიბრითა და ფილოსოფიურ-მედ-

იტაციური ლექსით დაღლილი მკითხველი დევის ნაბიჯით შორდება დემოკრატიული პოეზიის ყურეებს. სწორედ ამ მკითხველმა სიცოცხლეშივე სახალხო პოეტად აღიარა იოსებ ნონეშვილი (თუმცა ოფიციალურად ეს ნოდება გალაკტიონის გარდაცვალების შემდეგ იმავე სკეპტიკოსების მსუბუქი ხელით გაუქმებული იყო) და პოეტის დაკრძალვის დღეს ერთსულვანი გლოვით, ზღვა ხალხის მაღლა აწვდილ ხელებზე დიდუბემდე დაუშვებლად მიცურებული კუბოთი დაამტკიცა, თუ რა ძვირფასი იყო მისთვის „ჩუქურთმისმჭრელის ეპიტაფიის“ ავტორის ნეშტი, რა ახლობელი იყო მისთვის პოეტის მიერ შემოკრული ზარი, პოეტისა — ერს მისთვის საჭირო და გასაგებ ენაზე რომ ესაუბრებოდა.

იოსებ ნონეშვილის პოპულარობას თავისი მიზეზები ჰქონდა. პირველი ლექსებიდანვე გამოირჩა მისი ხმა „ჩვენი თაობის“ გარშემო შემოკრებილ დებიუტანტთა შორის. იოსებ ნონეშვილმა ლიტერატურულ მესაზანდრედ იარა მთელი ცხოვრების მანძილზე და მისი მჟღერი, სადღეგრძელოსავით ამღერებული, პუბლიცისტური პოეზია ერთფეროვან კანტატად არასოდეს ქცეულა. იგი უაღრესად ფაქიზი სმენის პოეტი იყო და გარემოების საყვირის მისია აკაკისა და ვაჟას წმინდა მემკვიდრეობით ჰქონდა მიღებული. ზიგზაგებიანი როდი გახლდათ იოსებ ნონეშვილის შემოქმედებითი გზა, პოეტის პოზიცია იმთავითვე ნათელი და გარკვეული იყო – პირდაპირი, მიკიბ-მიკიბვისა და „იზმების“ გარეშე საუბარი ხალხთან. სწორედ ამიტომ, რომ მის ლექსებს სცენური ეფექტი, ამაღლებული ინტონაცია, არტისტიზმი ახლავს.

იოსებ ნონეშვილი დაიბადა 1919 წლის 6 აპრილს გურჯაანის რაიონის სოფელ კარდენახში.

მამა ელიოზ ილიას ძე ნონეშვილი (1890-1922) კარდენახელი გლეხი, ბავშვობიდანვე ჩაება რევოლუციურ მოძრაობაში, აქტიურ მონაწილეობას იღებდა სიღნაღის მაზრის 1906 წლის რევოლუციურ გამოსვლებში. 1905-1907 წლების რევოლუციის დამარცხების შემდეგ გამეფებული რეაქციის პირობებში არალეგალურად განაგრძობდა რევოლუციურ მუშაობას. დედა – მანანა თედოს ასული ხელაშვილი (1901-1936) იმ დროის კვალობაზე განათლებული და უაღრესად სანდომინაი ქალი გახლდათ.

იოსებ ნონეშვილი 1926 წლიდან პირველ დაწყებით შვიდწლიან განათლებას იღებს სოფელ კარდენახში, დედის გარდაცვალების შემდეგ თბილისში ჩამოდის და ამთავრებს დედაქალაქის მე-18 სა-

შუალო სკოლას. 1933 წლიდან სწავლას განაგრძობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე. 1938 წელს გამოქვეყნდა ახალგაზრდა პოეტის პირველი ლექსები, ხოლო 1940 წელს დაიბეჭდა პირველი კრებული „ლექსები“ („საბლიტგამი“). 1941 წელს მოხალისედ მიდის ომში და 1941-1946 წლებში ამიერკავკასიის ფრონტზე მთელი რიგი საარმიო გაზეთების ლიტმუშაკად და პასუხისმგებელ მდივნად მუშაობდა.

1947 წლიდან ჟურნალ „ნიანგის“ რედაქტორის მოადგილეა, ხოლო 1952-63 წლებში ჟურნალ „დილას“ რედაქტორი. 1963-67 წლებში „ლიტერატურულ გაზეთს“ რედაქტორობდა, 1967 წლიდან სიკვდილამდე საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივნად მუშაობდა. არჩეული იყო: საქართველოს მშვიდობის დაცვის კომიტეტის თავმჯდომარედ. 1981 წლის თებერვალში, გარდაცვალების შემდეგ, მიენიჭა შოთა რუსთაველის სახელობის პრემია.

გარდაიცვალა 1980 წლის 6 ოქტომბერს. დაკრძალულია მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

იოსებ ნონეშვილის პოეზია ძირითადად სამ ნაკადად მიედინებოდა – პუბლიცისტურ პოეზიად, ინტიმურ-მედიტაციურ ნაკადად და სატრფიალო ლირიკად. ქართული პოეზიის ამ სამივე ტრადიციულ სახეს პოეტმა თავისი კვალი დაატყო, ახალი აღმოჩენებით გაამდიდრა ჩვენი თანამედროვის სულიერი კვლევის ურთულესი საქმე. თანაც იოსებ ნონეშვილის, როგორც პოეტის ღირსება, ის გახლავთ, რომ პოეზიაში ეპოქის რეგალიების ძიება მისთვის თვითმიზნად არასოდეს ქცეულა, ქართული ლექსის ტრადიციულ ჰანგში პოეტი მოკრძალებით „შემოგვაპარებდა“ ხოლმე იმას, რაც სწორედ რომ ეპოქის ატრიბუტი გახლავთ და რითაც უპირველესად ეხმაურება პოეტი თავისი დროის პრობლემებს.

იოსებ ნონეშვილის შემოქმედებით პროფილს უპირველესად მაინც პუბლიცისტური, სამოქალაქო პოეზია განსაზღვრავს. სწორედ სამოქალაქო პოეზიით თქვა პოეტმა თავისი ძირითადი სათქმელი, პოეტი ტრიბუნის სახელიც ამ ჟანრის ლექსებით დაიდო. პუბლიცისტური პოეზიის ნაკადი მის შემოქმედებაში პირობითად შეიძლება შემდეგ თემებად და პრობლემებად დავეყოთ: პატრიოტული ლირიკა, სამამულო ომის თემა, ეპოქის სინამდვილე და ხალხთა მეგობრობის პორბლემა, რომლის ორგანულ ნაწილს შეადგენს იოსებ ნონეშვილის საზღვარგარეთული ლექსების ციკლი.

ნუ გაიკვირვებთ,  
როგორც პაფიზი  
ამ ყვავილებში ვარ ჩამარხული.  
და ათასების გულში ნაფიცია,  
ჩემშიც გუგუნებს ეს გაზაფხული.

### („ნუ გაიკვირვებთ“)

თითქმის ამ სიტყვებით შემოაღო იოსებ ნონეშვილმა ქართული პოეზიის კარები (ეს მისი ერთ-ერთი ადრეული ლექსია) და ბოლომდე დარჩა სამშობლოს ყვავილებში – მის წარსულსა და აწმყოში ყელამდე ჩაფლულ პოეტად. მაგრამ პოეტის შემოქმედებით კრედოს ოდენ ყვავილისა და ბუღბუღის ნეტარებისმიერი ლიტანია როდი განსაზღვრავდა. იოსებ ნონეშვილმა კარგად იცის საქართველოს ისტორია და არაერთხელ მიწვდა ჩვენი წარსულის სისხლიან ფურცლებს:

ცრემლით იგონებს ბერი მეთევზე  
ათას ჩინგის ხანს, ათას ამირას.  
როცა ხელ-ფეხი ჰქონდა ამირანს  
მაგრად შეკრული მშობლიურ მთებზე.

როცა ხალხს ხალხი ხმლების ტრიალით  
სდევნიდა, სწვავდა, როგორც წარმართებს,  
როცა სიკვდილის გზებით წარმართეს  
ათათასთა ბედი ტიალი.

### („მთვარემ ფარულად შუქით შეგვმოსა“)

წარსულის გახსენება პოეტს მკითხველისთვის სევდიანი მოგონებების აღსაძვრელად კი არ სჭირდება მხოლოდ და მხოლოდ, ლექსებში ჩანს პოეტის აქტიური პოზიცია იმათ მიმართ, ვინც საქართველოს საუკუნეთა განმავლობაში გაუგონარი მეხტეხა მოუვლინა.

მილიონების ბედ-იღბალს რომ ხმლით იმონებდი,  
ბნელ სამარეში საგანძურად რა ჩაგყოლია?!  
სისხლიან პოეტს უკუღმართი გული გქონია,  
მიტომ უკუღმა დაგიწერე მეც ეს სონეტი.

**(„უკუღმა სონეტი შაჰ-აბასს“)**

ისტორიის პატრიოტული გააზრება განსაკუთრებით თვალსაჩინოა ლექსებში – „დიდგორით დიდი გული აქვს ქართველს“, „იხარე მუხავ“, „მოდინახე“, ლექსების ციკლში „ქართველის დედები“ და სხვა.

1968 წელს პოეტმა თურქეთში იმოგზაურა და თან ჩამოიტანა „თურქეთის საქართველოში“ მცხოვრებთა უკუღმართი სევდა. თურქეთის შთაბეჭდილებებზე შექმნილ პატრიოტულ ლექსებში (თურქეთის ქართველებთან, „ნენე“) გამოსჭვივების დიდი გულისტკივილი საქართველოს „მოჭრილი ძუძუს“ გამო, აზიის ცის ქვეშ ღვთის ანაბარად დარჩენილი შატბერდისა და ხახულის გამო. იგი მადლობას სწირავს ქართული სულის უკვდავების სიმბოლოს – დედას (ნენეს), რომ შვილებს აკვნიდანვე შეასწავლა მშობლიური ენა, მადლობას სწირავს მასპინძლებს „ტანჯვით შენახულ, მალვით შენახულ ქართველობისთვის“ და მოწოდებით იხრის ქედს რა ნენეს წინაშე, მკითხველს მომავლის იმედსაც უნთებს სულში.

– იმ დედას გაუმარჯოს, –  
თქვენ ნენედ რომ უხმოთ,  
მისით გული გულადობს,  
მისით მუხლი მუხლობს.

რა ვთქვათ მისდა საქებრად  
ვიდრე ის გვყავს, გვჯერა:  
ქართული არ გაქრება,  
არ ჩაქრება კერა.

**(„ნენე“)**

ქართული კერის არგაციების, ქართული გენის უკვდავების მოტივი ძალუმად გაისმის იოსებ ნონეშვილის ლირიკაში. პოეტს

მტკიცედ სჯერა, რომ ათას ქართველებში გამოვლილი ჩვენი ქვეყანა ისტორიის ამ მოსახვევსაც გაივლის და თანამედროვეთა რუდუნებით ახალ საუკუნეებს, ახალ გზებს მიეახლება:

ვინც ხმალი მოიქნია,  
ვაგლახ, ჩვენ არ აგვცდა...  
მაგრამ ვინ თქვა, ქართული  
ჩვენი მინა-წყალი  
გაილია, გაცვდა,  
ვით ბრძოლაში ხმალი?

**(„გვიყვარდეს, საქართველო...“)**

პატრიოტული ლირიკის ზოგიერთი ნიმუში ორიგინალური გადანყვევით როდი გამოირჩევა, იგი მხოლოდ და მხოლოდ ლექსი-სადღეგრძელოა სახოტბო ინტონაციითა და საგანთა პათეტიკური ჩამოთვლით, მაგრამ ასეთი ლექსებიც, თითქოსდა, შეგნებულად შეუქმნია პოეტს, თითქოსდა გაცხარებით და, ცოტა არ იყოს, ნერვიულადაც ჩასძახის მკითხველს სამშობლოს სიყვარულის წმინდათანმინდა ლოცვას, თითქოსდა ავტორის პოეტურ ხედვას მიწვდომის გამო ჩათვლემილი ქართველის სახე და სურს შეანჯღრიოს, მოაგონოს თავისი ვალი, პატრიოტული განწყობით აღჭურვოს მისი გონება, დაარწმუნოს, რომ სამშობლოზე დიდი განძი ადამიანს არა გააჩნია რა:

ჩვენი ოცნება შენსკენ ისწრაფვის,  
ჩვენს გულშიც შენი ბრწყინავს ცისკარი,  
ჰე, საქართველოვ, შენზე ძვირფასი  
რა გვაქვს შენს შვილებს დასაფიცარი.

**(„იხარე, მუხავ...“)**

სამშობლოსადმი მიძღვნილი ჰიმნის ზემოქმედებით აღიქმება და მკითხველთა შორის დიდი პოპულარობით სარგებლობს იოსებ ნონეშვილის სხვა პატრიოტული ლექსებიც: „დედაო საქართველოვ“, „გვიყვარს, როგორ არ გვიყვარდეს“, „ჩემი სოფელი კარდანახი“, „არის ასეთი ქვეყანა“, „შემოდგომა თბილისში“, „აი კახეთი“, „ჩვენი ქართული სიტყვაქარგული“.



1941 წლის ზაფხულში თბილისის ახალგაზრდობის ანტიფაშისტურ მიტინგზე სიტყვა მისცეს ერთ ფერმკრთალ, მკვირცხალთვალემა ახალგაზრდა პოეტს. „ქართვის დიდება დავიცვათ“ გამოაცხადა მან ლექსის სათაური და მუქარით გაჟღერებული ხმა დააკვესა: „განა იმიტომ ისმოდა მთიდან ყვირილი ხარისა, შავი კლდის თავზე ჟღერიალი ვოჟა ჯურღაის ფარისა... რომ ბატონებად დაგვადგენ თავზე ხმალამომართულნი; ენაც კი გაგვივერანონ, ჩვენი ლამაზი ქართული!...“

ტრიბუნას მოშორდა, წინ გამოვიდა და ნარიყალას ბებერ გალავანს ხმა მიანვდინა:

არ დაგვინიხლონ სამშობლო  
მრავალ ჭირ-ვარამ ნანახი,  
მამა-პაპათა საფლავზე  
არ ამოვიდეს ბალახი!

ლექსი რომ დაამთავრა და ტაში დაცხრა, გულზე მიიდო მარჯვენა ხელი და გამოაცხადა: მეც მალე ფრონტზე ვიქნები და ჩვენს სამშობლოს მარტო კალმით კი არა, შაშხანითაც დავიცავო. ეს ახალგაზრდა პოეტი იოსებ ნონეშვილი გახლდათ.

ომის პირველი დღეებიდანვე მძლავრად გაისმა ქართველ პოეტთა საპროტესტო მონოდება და იმ მონოდებაში ერთ გამოსარჩევ ხმად იოსებ ნონეშვილის ლექსიც ერია.

ჩემი ქვეყნის ძველთა ძველი მიწა-წყალი,  
მზედაკრული ვენახები რქახშირი.  
თეთრ ღრუბლებში ანთებული ოქროს კვარი,  
ვარსკვლავები – ნაპერწკლებად გაშლილი, –  
ვინ ნაგვართვას, ვინ გაბედოს დაგვჩრდილოს,  
ვინ დასწყევლოს ქვეყნად ჩვენი გაჩენა?!  
ვინც ვაჟკაცობს, ვინც წინაპრით გვარიშვილობს.  
ვისაც ერჩის გულიცა და მარჯვენაც –  
ეს იმათი მახვილები კაშკაშებენ.  
ვინ წაუვათ ვერაგ მტერთა ურდოდან?!..

(„სატევარი, მამა-პაპის სატევარი“)

ომის თემაზე დანერგილი ლექსების ლირიკულ გმირს პოეტი უპირველესად ასაზრდოებს დედა-სამშობლოსთან, მშობელ მიწასთან, ადგილის დედასთან დაკავშირებული ეროვნული ასოციაციებით. ქართველი დედა ამ სიტყვებით აცილებს ომში მიმავალ შვილს:

და თუ შვილო, შიშით უძღურს  
ტყვიას ზურგში გიპოვნიან,  
ვიტყვი, რომ შენ ჩემი ძუძუ  
არასოდეს გინოვია.

(„დედის დარიგება“)

„დონის მიწაში“ თუ სტალინგრადთან ქართველი მეომრის დაღვრილ სისხლს პოეტი აღიქვამდა როგორც, უპირატესად, საკუთარი კერიის დაცვისთვის თავშეწირვას და თავის მეომრულ ლირიკაშიც ეროვნულ დვრიტას დებდა. სწორედ ამგვარი პათოსით გამოირჩევა ლექსები: „ადექ, აილე ფრანგული“, „ოთხი ძმა ლესელიძე“, „ჩვიდმეტნი“, „გორის ციხე“, „სახალწლო წერილი ფრონტზე“, „შენი მახვილი“, „შენ შენი ქვეყნის სახელს იცავდი“, „ბარათი ფრონტიდან“ და სხვ.

იოსებ ნონეშვილი ერთადერთი პოემის ავტორია და ის პოემაც მსოფლიო ომის ლეგენდარულ გმირზე, 1944 წლის 10 აპრილს გესტაპოს ჯურღმულებში დაღუპულ სიმფეროპოლელ ქართველ პარტიზან ქალიშვილზე **ზოია რუხაძეზე** გახლავთ. „ამბავი ერთი ქალიშვილისა“ საკმაოდ ვრცელი ეპიკური ტილოა ომის ქარიშხლიან დღეებზე შექმნილი. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ პოეტმა თვით მიაკვლია ყირიმში ზოია რუხაძის საფლავს, დავინწყების მტვერი გადააცილა მას და არა მარტო გაუცოცხლა ერს თავისი მებრძოლი ქალიშვილი, არამედ ამ შესანიშნავი პოემით ჭეშმარიტი ლიტერატურული ძეგლიც აუგო „ქართველ ზოიას“.

ომის დამთავრების შემდეგაც არ განელეებულა პოეტის სულში სამამულო ომის მძლავრი ექო. ცრემლით იგონებს პოეტი დაღუპულ გმირებს და თავის თანამედროვეთ ავალებს მარადჟამს შეინახონ სამუდამოდ წასულთა წმიდათანმიდა სსოვნა. პოეტურად აპრიადდნენ ლექსში „ძმები ნერგები“ სოფელ კარდანახში შინმოუსვლელთა უკვდავსაყოფად დარგული ხეები:

მეც თქვენთან ვიყავ,  
როგორც იტყვიან  
მეც ცეცხლის ალი მეცვა პერანგად,  
ვაჰოთუ თქვენ მოგხვდათ,  
ძმებო, ის ტყვია,  
მე რომ მესროლა მტერმა, ვერაგმა.

...მხვდება ოთხასი ნერგი შრიალა –  
მუხა, მურყანი, ცაცხვი, მოცხარი...  
იქნებ ოთხასი ნერგი კი არა.  
ოთხასი ძმა ხართ, მარად ცოცხალი.

### („ძმები ნერგები“)

ასევე ღრმადშთამბეჭდავია 1966 წელს დაწერილი ლექსი „**ნუ ითამაშებ, შვილო ომობანას**“. მოზარდთა უწყინარი თამაშიც კი (ომთან დაკავშირებული) ამ ლექსის ლირიკული გმირის სულში სევდიან ასოციაციებს ბადებს:

მე ბედად გადავრჩი,  
სისხლი დრომ მომბანა  
ახლა შენით ვხარობ... სხვა რა გამაჩნია,  
ნუ ითამაშებ, შვილო, ომობანას  
ცუდი თამაშია!

### („ნუ ითამაშებ, შვილო, ომობანას“)

თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში ისმოდა საქართველოში იოსებ ნონეშვილის ხმა. ჩვენი სინამდვილის პოეტური მატიანეს შემქმნელთა შორის ერთი თვალსაჩინო სახელი იოსებ ნონეშვილია, რომელშიც თავისი მშობლიური კახეთის ლამაზი გადასახედიდან ნატყვიართა მოშუშებისა და შრომის ფერხულში ჩაბმული ჩვენი თანამედროვე დაგვიხატა:

ცივ-გომბორიდან სიმღერით  
სიცოცხლის გადასახედი,  
მოსჩანს ცისფერ ნისლებში  
კახეთი ჩემი კახეთი,

...ზვრებს ზემოთ დიდი მარანი  
დგას ყურძნის მთებში ჩაფლული,  
მთელი კვირაა რქანითელს  
ქვევრებში გააქვს ჩქაფური.

...ვინც ფრონტზე სისხლი დაღვარა,  
დღეს ოფლის დაღვრა უხდება,  
ღვინის სმა, ყელმოღერება,  
შეხეთ რარიგად უხდება.

### („ცივ-გომბორიდან სიმღერით“)

თავისი ლექსებით პოეტი ცდილობს თანამედროვეობის მაჯისცემა გმირულ წარსულს დაუკავშიროს და მშვიდობიანი გარჯა სამშობლოს ხმლით დაცვის ტოლფას საქმედ წარმოუდგინოს მკითხველს. პოეტური დაფითა და ნაღართ იგი ახლის დამკვიდრებისთვის ბრძოლაში სწორედ იმ ადამიანს მოუხმობს, რომელიც პასუხისმგებლად თვლის თავს ყოველივე იმის წინაშე, რაც მის ირგვლივ ხდება:

დღეს საქართველოს ისე სჭირდება  
ჩვენი გული და ჩვენი მარჯვენა,  
ვით მაშინ, როცა მტერი გვიტევედა,  
რეკდა: სიკვდილი... ან გამარჯვება!  
...კერაზე ღველფი არ გავაციოთ,  
ყანა გავმარგლოთ... გავსხლათ ვენახი,  
ქუდზე კაციო, ქუდზე კაციო,  
დედა ქართლისა ისევ გვეძახის.

### („დღეს საქართველოს ისე სჭირდება“)

ვინ არის იგი, ვინც შრომის მაღალ ხარაჩოებზე დგას და ჩაუქობს, ვისი ცხოვრება განათებულია შრომის მწვერვალთა დაპყრობის რომანტიკით, ვინ უდგას ერთგულად კვალში მამათა დევურ ნაბიჯებს, ვინ ანთებულა აღმოჩენათა ცეცხლით – პოეტის აზრით, ეს ახალგაზრდობაა – ხვალის იმედი და დღევანდელობის მეზაირახტრე.

ახალგაზრდობა – მომავალ დღეთა  
იმედის ტალღა ხალისიანი,  
ახალგაზრდობა – შრიალი ხეთა,  
ათქვირებული ყანის შრიალი;  
ახალგაზრდობა – ციდან რომ ლხენით  
ჰკრეფს მზის აღმასებს,  
მთვარის აღმასებს,  
ახალგაზრდობა რომ სჯერა, ხელით  
თვით დედამინას შეაბარბაცებს.

### („ახალგაზრდობა“)

განსაკუთრებული ადგილი დაიჭირა იოსებ ნონეშვილის შემოქმედებაში თბილისის თემამ. სიყვარულით უმღერა პოეტმა ჩვენს დედაქალაქს და ამ მხრივ იგი ქალაქურ-აშუღური პოეზიის (საიათნოვა, გრიშაშვილი, იეთიმ გურჯი) ტრადიციების ღირსეულ წარმომადგენლად მოგვევლინა. თბილისისადმი მიძღვნილ იოსებ ნონეშვილის ლექსთა შორის („დედის გულივით ალალ-მართალი“, „თბილისის მშენებლებს“, „მიყვარს, თბილისო, დასაფიცარო“), განსაკუთრებით აღსანიშნავია „შემოდგომა თბილისში“. ამ ლექსში პოეტმა შესანიშნავი მხატვრული ალლოთი და ფერწერულობით შექმნა თბილისის დაუფინყარი კოლორიტი, მისი განუმეორებელი პოეტური ხატება.

ეპოქის მასშტაბური აღწერის სურვილმა პოეტი გააცილა საქართველოს საზღვრებს. თანამედროვეობის ამსახველ ლექსთა ლირიკულ გმირს ხან მეზობელ სომხეთში ვხედავთ, ხან ყაზახეთის ველებზე და ხან ციმბირის ტაიგაში („ეს ფერისცვალება“, „ველები დაუსაბამო“). როგორც თავისი ქვეყნის მოქალაქე პოეტი ნელგამართული დადის დედამინაზე და ყველგან მოვლენებს ეროვნული პრიზმიდან ხედავს. ყამირის ასათვისებლად მიმავალ ახალგაზრდებს იგი „კავკასიონის არწივობას“ და დედასამშობლოს მოაგონებს, ხოლო ყაზახეთის ველებზე პაპის ძვლებს დაეძებს, პაპისას უსამართლობამ ბორკილი რომ დაადო და ამ ტრამალებში აპოვნინა სამუდამო განსასვენებელი („ბიჭო, იქნებ პაპა იყო შენი“).

სხვა ერებისადმი პატივისცემისა და ძმობის გრძნობა ქართველი კაცის ეროვნული თვისება გახლავთ და, ბუნებრივია, რომ ხალხთა მეგობრობის მოტივებმა სათანადო ასახვა პოვეს მრავალსაუკუნოვან ქართულ მწერლობაში. ეს სასახელო ტრადიცია კარგად გააგრძელა იოსებ ნონეშვილმაც. იგი ხშირად იყო წარგზავნილი ქართული კულტურის ელჩად საზღვარგარეთ და პოეტიკრიბუნის პირით მსოფლიოს გზებზე ლაპარაკობდა სტუმართმოყვარე საქართველო.

იოსებ ნონეშვილი უცხოეთს ყოფნისას „ქართულ ქუდს არასდროს იხდიდა თავიდან“. ღრმა ფესვებით იყო დაკავშირებული სამშობლოსთან და სხვა ქვეყნებისადმი პატივისცემას უპირველესად თავისი მშობლიური კუთხისადმი ღრმა სიყვარული განაპირობებდა.

უცხო ცაზეც მნათობნი  
კიაფობენ ათობით,  
მზესაც ოქროს ფერი სძევს,  
მაგრამ სულ სხვა რამ არის  
სხივებნათამაშარი, საქართველოს ცხელი მზე.

### („სად არ ვიყავ, სად არა“)

იოსებ ნონეშვილმა კარგად იცის, რომ მშვიდობის შენარჩუნების მაგისტრალი ხალხთა მეგობრობაზე გადის და თავის ომანთან პოეტურ ხმას უერთებს კეთილი ნების ადამიანთა მძლავრ სიმღერას, ერთა შორის ძმობისა და მეგობრობისთვის მოწოდებულს.

მღერიან ჩანგნი, ფრანგნი, ინდონი,  
ხმები ლაჟვარდებს ეხეთქებიან...  
იღვიძებს განგის ვრცელი მინდორი  
აპენინები ფეხზე დგებიან.  
შუქად ადგება ბალებს, გადაშლილს,  
ვეება ქარხნებს კვამლის კალთიანს  
ბავშვის ღიმილში დედის ნანაში  
ამ დიდ სიმღერის შუქი ანთია.  
რას უზამს მტერთა ყეფა გნიასი,  
ქვეყანა მისმა ექომ მოიცვა.  
გუთნის ჭრიალში, გრდემლთა გრიალში  
ისმის სიმღერა მეგობრობისა..

### („სიმღერა მეგობრობისა“)

საზღვარგარეთული ლექსების ციკლი იოსებ ნონეშვილის შემოქმედებაში განსაკუთრებულ ადგილს იჭერს. შორეული გზებზე გამდგარი პოეტი ამ ლექსებში წარმოგვიდგება არა მხოლოდ მშვიდობის ელჩად და დემოკრატიულ-ჰუმანისტური აზრების მოქადაგე პოეტ-პროპაგანდისტად, არც აღტაცებული პოეტი-ტურისტის შორისდებულები დომინირებს უცხოეთის პოეტურ შთაბეჭდილებებში. წაიკითხავთ ამ ლექსებს და იგრძნობთ, რომ გესაუბრებათ თანამედროვეობის აქტუალურ პრობლემებზე ღრმად ჩაფიქრებული პოეტი. იგი პატიოსანი, მიუკერძოებელი კაცის ობიექტურობით აფასებს მის წინაშე გაშლილ მსოფლიოს კალეიდოსკოპს, გამოცდილი, დინჯი დასტაქარივით აყურადებს მის მაჯისცემას, ექომაგება დაჩაგრულს და ლექსებში ყველგან ინარჩუნებს ღრმა პატივისცემას ერებისა და ეროვნებებისადმი. ამ ციკლში ზოგჯერ პოეტის ირონიაც ვაკრთება საზღვარგარეთ მოგზაურობის ძველ, ჩინოვნიკურ ბარიერებთან დაკავშირებით:

ჩვენ, როგორც ბავშვებს,  
გვარიდებდნენ  
ცდუნებას მრავალს...  
შიშობდნენ,  
ვაპთუ, ვერ გაგვეგო  
კარგი და ცუდი...

არ აგვრეოდა  
სხვა ქვეყნებში  
თვალები ავად,  
არ შეგვერცხვინა,  
მათის აზრით,  
ნამუსის ქუდი,

და ახლა,  
ასაკმიღწეულად  
ჩაგვთვალეს ალბათ.  
თუ გსურთ, წადითო,  
გაიარეთ,  
ქვეყანა ნახეთ.  
თან დაგვარიგეს

როგორ უნდა მოვიქცეთ კარგად  
რომ ხალხს ვუჩვენოთ,  
როგორც გვითხრეს,  
ჩვენ ჩვენი სახე

გვიჩიეს: წვერი გავიპარსოთ  
ჩვენ ყოველ დილით,  
კარგი ტონია, დავიჭიროთ  
ჩანგალი მარცხნივ.  
კაპიტალისტთან საუბარში  
სჯობს ვიყოთ ფრთხილი,  
არ მოგვივიდეს უცხოეთში  
პატარა მარცხიც.

ბოლოს, შეავსეს ანკეტები,  
წესია როგორც,  
გაფორმდა ვიზაც,  
აჰა, უკვე მოგვცეს საშვები  
ო..., არ შეგარცხვენთ!  
დარიგება გვაკმარეთ ოღონდ...  
ო, არ შეგარცხვენთ!...  
ღმერთო ჩემო,  
არ ვართ ბავშვები.

### („შორეულ გზებზე“)

იოსებ ნონეშვილის საზღვარგარეთული ლექსების ციკლიდან პოეტის მკვეთრად გამოხატული მოქალაქეობრივი პოზიციით და ზოგჯერ ამკარა ალეგორიულობითაც გამოირჩევა ლექსები: „ბევრი იარა, თუ ცოტა იარა“, „ინდიელი გოგონას ლოცვა, პერუში გაგონილი“, „შორეულ გზებზე“, „ჩესტ პრაცე“, – დიდება შრომას“, „ლამე ბენარუსში“, „ვიყოთ გულლი“, „ბეირუთში“, „ელადის ყვავილები“, „ათენში, ბაირონის ძეგლთან“, „ნისლი ედება ათენს“, „გამარჯობათ ბასკებო“ და სხვ.

მართალია, იოსებ ნონეშვილის შემოქმედებით პროფილს ძირითადად პუბლიცისტური პოეზია განსაზღვრავს, მაგრამ არ ვიქნებით ობიექტურნი, თუ არ გავითვალისწინებთ შინა-

გან სამყაროში ჩაღრმავების, პოეტის მეორე „მესთან“ საუბრის, ცხოვრების აზრის განსჯის, დაეჭვების იმ საგულისხმო მოტივებს კრიტიკოსები ინტიმურ-მედიტაციურ ნაკადად რომ უხმობენ.

ორმოცდაათი წლის პოეტმა ასეთი კითხვა დაუსვა საკუთარ თავს:

ხომ არ მაკლია მართლაც სიმშვიდე  
და ფიქრთან ხშირად წყვილად დარჩენა?  
ხომ არ ვებრძოდი ქარის წისქვილებს  
ვითომდა ქვეყნის გადასარჩენად?  
ხომ არ დაჰფარა მგოსნის ტკბილი ხმა  
ომმა, ზეიმმა, ტაშის ქუხილმა?  
ხომ არ მიყურდა სულში ლირიკა  
ველარ ვეხები სიმებს უხილავს?

#### („ჩემი შუადღეც დამდგარა უკვე“)

ეს კითხვა განსაკუთრებით თავისი სიცოცხლის მიმწუხრზე მიეძალა იოსებ ნონეშვილს. ლექსებში პოეტის ადრინდელი შემოქმედებისათვის ძირითადად უცხო გრძნობები – ეჭვი და სევდა გამოჩნდა. ერთ-ერთ უკანასკნელ ლექსში თავისი ავტობიოგრაფიის შტრიხებიც მოხაზა და იმასაც გაუსვა ხაზი, რომ ხშირად გარემოების გამო უტარებია ბედნიერი კაცის ნილაბი, თორემ თუ კარგად დააკვირდებით, მის სახეზეც ხშირად შენიშნავდით „ჩაღრმავებული თვალების სევდას“.

იგი რუსთაველზე ღიმილით მიდის,  
ნაცნობს თუ უცნობს დაასწრებს სალამს,  
რადგან ქართველი,  
ამ მიწის მკვიდრი,  
საკუთარ და-ძმად ეგულვის მარად.

ვით მსახიობი  
რამპის მკვეთრ შუქზე,  
ისე გამოდის სახლიდან გარეთ,  
რაგინდ სახმილი მოანვეს გულზე,  
სახეზე წუხილს არ მიიკარებს.

მაგრამ, როდესაც ეშვება ფარდა  
და თავის თავთან სულ მარტოდ რჩება,  
გასცემს, მთელი დღე  
რა ცეცხლი სწავდა  
ჩაღრმავებული თვალების სევდა.

#### („მას ეძახიან ბედნიერ პოეტს“)

მაგრამ ეს არ იყო მოახლოებული სიბერის შიშით გამოწვეული სევდა, არც საკუთარ შემოქმედებით ძალებში დაეჭვება, ეს გახლდათ სამოციანი წლების მიერ მოტანილი ტენდენცია, სწორედ ასეთი მგრძნობიარე პოეტის ჩანგს რომ უნდა დატყობოდა უპირველეს ყოვლისა. პათეტიკა და პომპეზურობა წარსულს ჩაბარდა. იოსებ ნონეშვილმაც ბევრი რამ გადააფასა და ზოგიერთ მოვლენას ახალი თვალთ შეხედა. ამის გამოა, რომ მის ლექსებში სულ უფრო ხშირად გვხვდება დაფიქრება სიკვდილ-სიცოცხლეზე, ყოფნა-არყოფნაზე, ჟამთა სწრაფი ცვალებადობის რეკვიემი („წუთისოფლის სტუმრები ვართ“). პოეტი გრძნობს თავისი ქმნარის განახლების პოეტური „მეს“ შინაგანი მეტამორფოზის საჭიროებას:

შენც, პოეტო,  
არა კმარა  
დარჩე ძველის ანაბარა,  
გუშინდელის იმედად...,  
ამ წუთიერ წუთისოფლის  
უკვდავების ანაბანა,  
პოეზიის ანაბანა  
შეცნობაა შეუცნობლის,  
ახალ ფერთა ძიება.

#### („ახალ ფერთა ძიება“)

„ეჭვი და ფიქრი“ სამოცი წლის პარმალზე რომ დაემგზავრა, პოეტის შემოქმედებაში თანდათანობით გლობალურ მასშტაბებს იღებს და ზოგჯერ იქამდე მიდის, რომ დღემდე შექმნილს კითხვის ნიშნად დაადგება თავს:

რა სანუგეშო  
ვუთხარი მამულს?  
ანდა შემეძლო  
ნუგეშ რამ მეცა?  
იქნებ დღეს მგოსანს  
არცარა ძალუძს,  
იქნებ ამაოდ  
დავშვერი მეცა?

**(„რა სანუგეშო ვუთხარი მამულს?“)**

ამ პერიოდში იოსებ ნონეშვილი ფიქრობს პოეტის დანიშნულე-  
ბაზე და თანდათან მიდის იმ ჭეშმარიტ აზრამდე, რომ შემოქმედი  
სუვერენული უნდა იყოს, რომ დამამცირებელია მისთვის კარის  
პოეტის ხალათი და მეხოტბის მანტია.

პოეტო, თავი არ დაიმცირო,  
რად გინდა სხვისი სამადლო ღვინო.  
შენს ლექსს შენს სახელს რამდენი ცდილობს  
შექილიკოს და შეუღრინოს.

ნუ მიენდობი, ავკაცი როცა  
შეჭირვების ჟამს გპირდება შველას.  
მას რომ შეეძლოს ის ყველა მგოსანს  
დაუმტვრევს კალამს, დაუხშობს სმენას...

**(„დარჩი პოეტად და კაცურ კაცად“)**

ლირიკული ინტონაციის განსხვავება და მედიტაციური ჩაღ-  
რმავება საკუთარ სულში ისეთ ლექსებსაც კი დაეტყო, სხვა დროს  
პოეტი ქების შესხმის ერთპლანოვან ორატორიად რომ ჩამოასხ-  
ამდა ხოლმე. ადამიანის მიერ მთვარის დაპყრობამ პოეტს გონების  
უძლეველობაზე სიამაყის გრძნობასთან ერთად ამგვარი განწყო-  
ბაც მოჰგვარა:

მე ძილში ჩამყვა ამ დღის დიდება  
როცა სიზმარმა კალთა დამხურა,

მეგონა ვილაც დააბიჯებდა  
ჩემი პატარა სახლის სახურავს.

თითქოს უსაზღვროდ ლამაზს და მაღალს  
თავს დამამსხვრიეს ცა გასარკული.  
თითქოს ძვირფასი დავკარგე რალაც  
და ძილ-ღვიძილში მეტკინა გული.

**(„ადამიანი მთვარეზე დადის“)**

იოსებ ნონეშვილის ფილოსოფიურ-მედიტაციურ განწყობილე-  
ბათა ერთგვარ რეზიუმეს წარმოადგენს პოეტის მიერ 1979 წელს  
ეპიტაფიასავით ამონაკენესი ერთსტროფიანი ლექსი:

ეცადნენ და  
ვერ გამხადეს ბოროტი,  
ეცადნენ და  
ვერ გამხადეს ფლიდი...  
ნუთისოფელს კაცად შერჩე ბოლომდე,  
თურმე, ესეც გმირობაა დიდი.

**(„ეცადნენ და...“)**

იოსებ ნონეშვილმა ქალის სიყვარულის უნაზესი გრძნობა  
ფაქიზად და დრამატულად გამოხატა. პოეტის სატრფიალო ლირი-  
კის ნიმუშები: „შენ საქართველოს დედოფლობა დაგშვენდებოდა“,  
„საუბარი ნაძვებთან“, „ფრთხილად იყავ, ფრთხილად იყავ ლამაზო“,  
„ყელსაბამი“, „შენ არა გაქვს მეფის გვარი“, „ჩუქურთმისმჭრელის  
ეპიტაფია“, „გველიც არა ჰკბენსო გუთნისდედას“, „მაგრამ გაგიბე-  
დავ“, „უსახელო ყვავილი“, „რა უეცრად დაქალდი“ და სხვა ლექსები  
ქართული სატრფიალო პოეზიის საგანძურში შევიდა და მის ავ-  
ტორს ჩვენმა მკითხველმა სრულიად დამსახურებულად შეარქვა –  
სიყვარულის მგოსანი.

სიყვარული ამ ლექსების ლირიკული გმირისთვის ის ყოვლის-  
მომცველი გრძნობაა, უპირველესად, სულს რომ იპყრობს და  
თვალსაც თავის ნებას ჰკარნახობს:

რად გიყურებ?  
სურთ ამ თვალებს უმეცართ  
შეგამჩნიონ ნაკლიცა და მშვენებაც.  
თორემ, თუკი  
შემიყვარდა უეცრად,  
ყველაფერი კარგად მომეჩვენება.

### („რას გიყურებ?“)

პოეტმა კარგად იცის, რომ სწორედ სიყვარულია ის უნეტარესი გრძნობა საგმირო საქმეებისკენ რომ მოუხმობდა მიჯნურებს და რაინდულ თვისებათა გამოჩენის ასპარეზს რომ უქმნიდა. სიყვარულის გაგებაში იოსებ ნონეშვილი უხვად ესესხება თავის წინამორბედ ქართველ პოეტებს:

შენ საქართველოს დედოფლობა დაგშვენებოდა,  
დაგშვენებოდა და რარიგად დაგშვენებოდა.  
შენს ერთ სიტყვაზე ქალაქები აშენებოდა  
და დაიწყებდა უდაბნოში შრიალს ნალკოტი...

### („შენ საქართველოს დედოფლობა დაგშვენებოდა“)

არც ის არის შემთხვევითი, რომ „ჩუქურთმისმჭრელის ეპიტაფია“ გამიჯნურებული სულის ღაღადისია და, რაკი სწორედ შეყვარებულ გულს შეუძლია შექმნას ყოველივე დიადი, ლექსის ავტორიც ღვთისმშობლის თვალელებში სწორედ რომ მიჯნურის თვალელებს დაექებს.

მე თვით არ ვიცი, საიდან გაჩნდა  
ჩემი მიჯნური შემართულ ისრით;  
და ღვთისმშობლის თვალელების ნაცვლად  
როგორ დავხატე თვალეები მისი...

### („ჩუქურთმისმჭრელის ეპიტაფია“)

იოსებ ნონეშვილის სატრფიალო ლირიკა გამოირჩევა საყვარელი არსებისადმი ნაზი, ნატიფი დამოკიდებულებით, იგი შორ-

საა სკრაბეზულობისა და ხორციელ ვნებათა აპოლოგიისაგან. ამ თვალსაზრისით პოეტი თავისი გენიალური წინამორბედის – გალ-აკტიონის ერთგული მიმდევარია. სიყვარული მის ლექსებში ადამიანის ამამალღებელი, განწმენდელი და გამაკეთილშობილებელი გრძნობაა.

მაშინ მოვა სიყვარული  
როცა სულაც არ ელი,  
იისფერად, ვარდისფერად  
განათდება მთა-ველი.  
...მიბრძანე და ზეცა შევძრა  
ვერ გაგვყარონ ვერასდროს:  
ვარსკვლავები მძივად შევკრა  
ყელზე აგიფერადო.

### („მაშინ მოვა სიყვარული“)

იოსებ ნონეშვილის შემოქმედებაზე მსჯელობა სრული არ იქნება, თუ არ ვახსენებთ საყვანვილო პოეზიას (მაგ., „ბავშვები და შემოდგომა“, „გამარჯვების დიდი დროშა“, „ნაძვის ხეო, საყვარელო“ და სხვ.), აგრეთვე იმ უაღრესად საინტერესო მოხსენება-გამოსვლებსაც სხვადასხვა დროსა და ვითარებაში რომ წარმოუთქვამს როგორც მწერალთა საერთაშორისო შეხვედრების მონაწილე სახელოვან ქართველ პოეტს.

იდგა იოსებ ნონეშვილი მწერალთა საბერძნეთის საერთაშორისო კონფერენციის ტრიბუნაზე და მთელი მსოფლიოს გასაგონად ამბობდა: „ნება მიბოძეთ, თავიდანვე არ დავეთანხმო ჩვენი კონფერენციის თემის ფორმულირებას. ხალხთა დაყოფას დიდ და მცირე ხალხებად. რადგან არ არსებობენ მცირე და დიდი ხალხები. ხალხის სიდიდე განიზომება არა რიცხოვნებით, არამედ მისი წვლილით საერთო-საკაცობრიო კულტურაში. სწორედ ამის მიხედვით და არა მცხოვრებთა რაოდენობით არის ზოგიერთი ხალხი სამართლიანად დიდი ხალხი“.

იდგა იოსებ ნონეშვილი მწერალთა ბულგარეთის საერთაშორისო სიმპოზიუმის ტრიბუნაზე და მსოფლიოს გასაგონად ამბობდა: „ჩვენი ვალია შთამომავლობას დავუტოვოთ არა ქვის ცულები და ხელკეტები, არამედ ადამიანის კეთილგონიერებას დამორჩილებუ-

ლი ინდუსტრია. ყველას რომ განვდება გამჭვირვალე ცა, ცისფერი მდინარეები, ჩვენი მარჩენალი ველ-მინდვრები. დღეს კი ერთი ყუმბარამზიდის ფასად სამ მილიონ ტონაზე მეტი ხორბლის ყიდვა შეიძლება, ხოლო ერთი რეაქტიული თვითმფრინავის ფასად ასი ათასი ტონა შაქარი შეიძლება შევუძინოთ ჩვენს ბავშვებს“.

იდგა იოსებ ნონეშვილი ამერიკელ და ქართველ მწერალთა ბათუმის შეხვედრის მაღალ ტრიბუნაზე და მსოფლიოს გასაგონად ამბობდა: „ჩვენ უნდა გავეფრთხილდეთ ჩვენს ოცნებას, როგორც ნერგს. არ მივაკაროთ ცივი ნიავი, ყინვა და პაპანაქება, რამეთუ მომავალში მოგვფენს იგი ჩრდილსა და სიგრილეს“.

ასე, ერთგულ გუშაგად ედგა იოსებ ნონეშვილი თანამედროვეობას, ასე ერთიანი იყო მისი პოეტური სიტყვაც და საქმეც.

საგანგებო მსჯელობის ღირსია ქართული ლექსის რიტმულ-ინტონაციურ და სახეობრივ გამდიდრება-გამრავალფეროვნებაში იოსებ ნონეშვილის განუმეორებელი წვლილი.

პოეტის ლექსი იმთავითვე გამოირჩა არა იმდენად ფორმალური ძიებით (ამ მხრივ პოეტი ბოლომდე ერთგული დარჩა რიტმიანი, მეტაფორული, კონვენციური ლექსისა), არამედ სათქმელის ორიგინალურობით და მოვლენებთან ახლებური, იოსებ ნონეშვილისეული კავშირის დამყარების უნარით.

ქართული ფოლკლორით და კლასიკური პოეზიის ტრადიციებით ნასაზრდოები მისი ლექსი გამოირჩევა ლაკონიურობითა და სინატიფით. იოსებ ნონეშვილისთვის უცხო იყო მიეთ-მოეთები, რებუსებით და ბუნდოვანი სახეებით აზროვნება, იგი თემასთან მისვლის უმოკლეს გზას ირჩევდა და სათქმელს პირდაპირ, ხელოვნური ზიზილ-პიპილოების გარეშე ამბობდა. ამ სისადავემ ზოგიერთ კრიტიკოსს ლექსის გაპრიმიტიულების საშიშროება მოაჩვენა, მაგრამ დრომ დაამტკიცა, რომ იოსებ ნონეშვილის ლექსი დემოკრატიული პოეზიის გამძლე საყრდენებზე იდგა და გულუბრყვილობისა და ზედმეტი გაუბრალოების სენი არ ემუქრებოდა.

იოსებ ნონეშვილის პოეტური თვალი უაღრესად მახვილი და ზუსტი, მხატვრული სახეები კი ასეთი კონკრეტული და ფერწერული იყო:

მთვარე ახალი  
მთებს მობჯენილი,  
გატყდა, ვით თურქის  
იატაგანი,  
და მთაწმინდაზე,  
დედის ცრემლივით,  
გალვივდა ერთი  
იატაგანი.

(„როგორც იმედის დიდი აფრები“)

იოსებ ნონეშვილის პოეზიაში ძალუმაღ ფეთქავს საქართველოსთვის, მისი ანმყოფა და მომავლისათვის ატკივებული გული და ნათლად მოჩანს უსაზღვრო სიყვარული, პოეტი რომ ასე უხვად ასხივებდა სიცოცხლეში და ასხივებს ახლაც მისი მართალი წიგნით.





**მურმან ლევანიძე**  
(1922-2002)

მეოცე საუკუნის ქართულ პოეზიაში მურმან ლევანიძემ სამუდამოდ დაიმკვიდრა ადგილი უაღრესად თვითმყოფადი ლექსით და ერთხელ და სამუდამოდ გამოკვეთილი, მონოლითური სოციალურ-ლიტერატურული პოზიციით. ეპოქის სუნთქვით, დროის მძაფრი განცდით, ერის ჭირ-ვარამის შეგნებით და სამშობლოს მომავლის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობით გამოირჩევა მურმან ლევანიძის პოეზია. საუკუნის სინამდვილესთან ათასი ძაფით მიბმული პოეტი, რომლის გუმანს ძალუმად წვდება წუთისოფლის ყაყანი, თავისი ლექსით ეპოქის დვრიტის, საქვეყნო სამხილის გამომხატველი აღმოჩნდა.

დაიბადა 1922 წლის 14 ნოემბერს დაბა ალსტაფაში, სადაც მამა – დალაქი სილოვან ფირანის ძე ლევანიძე პირველი მსოფლიო ომიდან დაბრუნებული დროებით მუშაობდა. დედა – ვერა გერასიმეს ასული გოშაძე დიასახლისი გახლდათ.

1923 წლიდან ლევანიძეთა ოჯახი თბილისში გადმოსახლდა, მურმანის ერთადერთი და – ნათელა 1942 წელს გარდაიცვალა 16 წლის ასაკში.

1939 წელს დაამთავრა თბილისის 35-ე საშუალო სკოლა.

1940 წელს შევიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე და მეორე კურსის სტუდენტი 1942 წლის 9 მარტს გაიწვიეს დიდ სამამულო ომში. მონაწილეობდა საბრძოლო ოპერაციებში მარუხისა და ქლუხორის უღელტეხილზე. დაიჭრა 1943 წლის თებერვალში კრასნოდართან.

დემობილიზაციის შემდეგ ერთხანს იმუშავა თბილისის შინაგან საქმეთა ორგანოებში გამომძიებლად.

1945 წლიდან სწავლა განაგრძო უნივერსიტეტში და 1945 წელს კორნელი კეკელიძის ხელმძღვანელობით დაიცვა სადიპლომო ნაშრომი ფოლკლორის საკითხებზე.

სხვადასხვა დროს მუშაობდა: 1945 წელს ჟურნალ „დილას“ რედაქციის გამგედ, 1946-47 წლებში გაზეთ „ნორჩი ლენინელის“ პასუხისმგებელ მდივნად, 1948-49 წწ. – კვლავ „დილას“ რედაქციის გამგედ, 1950-60 წლებში ჟურნალ „პიონერის“ პასუხისმგებელ მდივნად და რედაქტორის მოადგილედ. 1966-67 წწ. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული წიგნის გამომცემლობათა და პოლიგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის მთავარ რედაქტორად; ბოლოს ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგში სახელმწიფო პრემიების კომიტეტის თავმჯდომარედ.

მურმან ლევანიძის პოეზიის რთულ სამყაროსთან მისასვლელ ბილიკს ნათელს ჰფენს პოეტის დამოკიდებულება პოეზიისადმი საერთოდ და კონკრეტულად პოეტის ადგილის, დანიშნულების და საქართველოს ლიტერატურული ტრადიციების გააზრება. „შენ კარგად იცი, ვინც ხარ, და რაც ხარ, ანუ რატომ და რისთვის, რუსთვლის პატრონი ერთ პოეტს სანყალს, ჭიქას გივსებს და გიწვდის“ („სადაც შეხვედი, ღვინოს განვდიან“). ეს მოკრძალებაა სწორედ, ხალხისათვის რამდენი გულის მოსაფხანის სიტყვის მთქმელს თავისი გარჯის დამმაღლავი კაი ყმის ხმით რომ წარმოათქმევინებს: „ვწუხ, თვალდახელშუა გკარგე! ვწუხ, ვგონებდი, სიტყვით გქარგე! სიტყვა, სიტყვა მებარა და სიტყვითაც ვერ გარგე“ („აღლისფერად დანაფერი“).

მურმან ლევანიძის ლირიკულმა გმირმა კარგად იცის, რომ პოეტი ეპოქის მაჯაზე ყურმიდებულ იმ შემოქმედს ჰქვია, რომელიც სამყაროს ბედზე ფიქრობს და კეთილი მრჩევლის მანტია უმშვენებს ბეჭებს:

გათენდება და  
მინის ბურთი კვლავ სადღაც მიჰქრის,  
შენ ხარ პოეტი –  
ფიქრი გმართებს და მსოფლიობა,  
არ დაამადლო,  
პოეტო, ფიქრი  
შენს მტერ-მოყვარეს,  
შენს საბრალო კაცობრიობას!

**(„დალამდება და...“)**

მურმან ლებანიძის ღრმა რწმენით, პოეტის დანიშნულება ჭეშ-  
მარიტების ქადაგებაა, მხოლოდ და მხოლოდ ჭეშმარიტების ღალა-  
დისზე გადის ხალხის გულამდე მისასვლელი ცისფერი გზა:

ჭეშმარიტება,  
პოეტებო, ჩვენი სჯული და  
ჭეშმარიტება –  
სიცისფრე შორი...  
არის წიგნები –  
ამოზრდილი მრუდე სულიდან!  
არის წიგნები სახრჩობელის ძელივით სწორი!

**(„არის წიგნები“)**

ამიტომაცაა, რომ პოეტს „საქმედ ქცეული წიგნების“ შექმნა  
დაუსახავს უმთავრეს ოცნებად:

– ღმერთო, წიგნები დამაწერინე  
ქვეყნის სატკივრის სარკედ და სახედ!  
– ღმერთო, ლენცოფა ამაცელინე,  
ჩემი წიგნები მიქციე საქმედ.

**(„ოთახის ციკლი“)**

პოეტი თავის თანამოკალმეებს და თავის თავსაც ომახიანად მოუ-  
წოდებს: ხალხის სიყვარულს და ყურადღებას გაუფრთხილდნენ, „თახ-

სირტყუილზე“ უარი თქვან და ჩონგური სიმართლის ხმას ააყოლონ:

ხალხის სიყვარულს გაუფრთხილდი  
ჩონგურს აწყობ და ჰფერავ ნლობით;  
შეკრულ შუბლებს დაუკვირდი,  
შემოგცქერიან ჯერაც ნლობით.  
არ ნაგვიხდე სიბერეში და  
არ გაბრიყვდე, შე ღვთიშვილო,  
არ გაგითავდეს მწიფე ლექსი!  
არ გაგინყალდეს – ძელგი ღვინო!

**(„არ გათამამდე – სიბერეში“)**

სწორედ რომ პოეტის პოზიციაზე, ხალხთან, ხალხის გვერ-  
დით და არა კარის პოეტის ტკბილი ლუკმის ძებნაზეა დაწერილი  
მურმან ლებანიძის ალეგორიული ლექსი – „რუდაქი იტყვის“, რო-  
მელიც ასე მთავრდება:

მაშ, გასწი ფეხით!  
პურს განვდიან ჩანგში და თარში!  
სვი ხალხის ღვინო –  
ხალხის შვილი ხალხადვე დარჩი!  
არ შეგეშალოს,  
არ გაბრიყვდე,  
არ იყო ბავშვი –  
არამც და არამც  
არ ჩაუჯდე  
ხელმწიფეს ნავში!

**(„რუდაქი იტყვის“)**

პოეტი-პიროვნება, პოეტი-მებრძოლი, პოეტი-წინამძღოლი,  
პოეტი-მოქალაქე, – აი, რა არის მურმან ლებანიძის ლირიკული  
გმირის იდეალი:

პოეტი უნდა კაცი იყოს –  
მეომრად ვარგოდეს.

ის უნდა ხალხთან, ხალხში იყოს, –  
სხვა სახლი არ ჰქონდეს.

### („პოეტი უნდა კაცი იყოს“)

ქვეყნის სატკივარზე გულაცრუებულ, თავის რჩენის მერკან-  
ტელური სურვილით ანთებულ შემოქმედს გაანნა მურმან ლებანი-  
ძემ სილა ერთი თავისი პამფლეტური, სარკასტული ლექსით:

კაცი გწერს წერილს,  
კაცი გსახავს იმედად ერის,  
კაცად უცვნიხარ –  
მეკობრეზე, ყაჩაღზე, თულზე  
გწერს, გთხოვს იყვირო, –  
კაცი შენგან კაცობას ელის, –  
ხმა ამოიღო საკითხებზე ძალიან რთულზე...  
ფუ, შენს კაცობას!  
ფუი, პოეტს – მონას და მორჩილს!  
შენ იღიმები:  
– მერე, ძამა  
შენ მირჩენ ცოლ-შვილს?!

### („კაცი გწერს წერილს“)

პოეტის აზრით, არა მეხოტბე და ყბააღერილი პანეგერიკია  
ქვეყნის წინსვლის მეზარაბტრე, არამედ სწორედ ნიადაგ მაძიე-  
ბელი და არსებებით უკმაყოფილო პოეტი:

კაცთა მოდგმას თუ რამ წინ სწევს, –  
დღეის დღეზე ხვალის მჯობინება...  
ევალება, პოეზიას ევალება  
არსებებით უკმაყოფილება.

### („წინ მიიწევს ნება-ნება“)

სამწუხაროდ, ბოლომდე ვერც მურმან ლებანიძემ უერთგულა  
თავის რწმენას. ხელმწიფის ნავში ჩაჯდომის სურვილმა მასაც სძლია.

მურმან ლებანიძის პოეზიაში განსაკუთრებულ ადგილს იჭერს  
სამამულო ომის ლირიკა. იგი, ბუნებრივია, უშუალოდ უკავშირდ-  
ება ქვეყნად მშვიდობის პრობლემას და შედგება როგორც უშუა-  
ლოდ მეორე მსოფლიო ომის პერიოდში დაწერილი ლექსებისაგან  
(„მოლანდება“, „გარიანი კლიუჩიდან კრასნოდარამდე“, „როს უსი-  
ამო ჟღარუნით“), ისე ომის შემდგომ პოეტის მიერ საკაცობრიო  
ნგრევის საშინელებათა ფილოსოფიური გააზრების შედეგად გაჩე-  
ნილი ლირიკული დღიურებისაგან.

მურმან ლებანიძისეული საომარი ლირიკა შორსაა პათეტიკი-  
საგან და მაჟორული ხმებისაგან. იგი სევდითა და ცრემლითაა აღ-  
სავსე, თანაც ყველგან კონკრეტულთემიანი და ზუსტსახეობრივია:  
ცხრამეტი წლის დაჭრილმა ჯარისკაცმა ბრძოლის შემდეგ მკვ-  
დრებით სავსე ველზე დაშვებულ სვავეებს აუქშია, ქვა ესროლა  
(„დაჭრილი“). ლექსში მეტი თითქმის არაფერი წერია, მაგრამ რა-  
ოდენ სულისშემძვრელია ეს სცენა თავისი დრამატული სიმძაფ-  
რით და ომის საშინელებათა ხაზგასმით.

ომის დღეების შთამბეჭდავი მწუხარე რეკვიემია პოეტის „სამი  
ელეგია“, სადაც ტექსტში დაცემული ხუთასი ქართველი ვაჟკა-  
ცის ხსოვნა განათებულია პატრიოტი ჰოლანდიელი ქალის – კო-  
რნელიას ხატებით:

უჭირისუფლო  
სასაფლაოს მწუხრი ავლია,  
მაგრამ ანაზდად  
დედობილი გამოდის ჩვენი,  
ყვავილით ხელში,  
მწუხარების სახალხოდ მჩენი  
დგას კორნელია –  
შუბლი მისი ღრუბლიანია.

### („სამი ელეგია“)

ბალადაში „თავისფერი, რომელიც მწვანეში გადადის“ მოთხრო-  
ბილია შემადრწუნებელი ამბავი: გარიანი კლიუჩში დაჭრილმა ჯა-  
რისკაცმა მკვდარი გერმანელი ჯარისკაცებით მოფენილ ველზე  
ჩაიარა, მიცვალებულებს თავისფერი ფრენჩები გახადა, სო-  
ფლამდე ათრია და მერე თითო გერმანული ფრენჩი თითო თავ

ჭარხალში გადაცვალა, რათა ჰოსპიტალში თავისი მშვიერი თანამებრძოლები დაეპურებინა. სხვა ბალადაში „ქლუხორთან“ საუბარია იმაზე, თუ როგორ ამოიტანა ბალადის ლირკულმა გმირმა კლდე-ღრეში და ტყვიების კანანადში ჯარში განვეული ვირებით მებრძოლთა არსებობის პური – ორცხოობილა. მკითხველი შენიშნავდა, რომ მურმან ლებანიძე თავის ომის დღიურებში სწორედ, და მხოლოდ იმაზე წერს, რაც თითქოსდა, ჯარისკაცური ცხოვრების ყოველდღიურობაა, მაგრამ შთამბეჭდავი გახლავთ სწორედ იმის გამო, რომ პოეზიაში, ლამის ყურადღებაამიუქცეველია. ამიტომაც შენიშნავს პოეტი უტრირებისმოყვარულთა მისამართით:

რაც ვიცი, იმას ვწერ  
(„კარგად ვიცი მე სისხლის წვიმის!)  
რაც ცუდად იცის,  
პრეტენზია  
ბრყვსა აქვს იმის!

### („ქლუხორთან“)

საომარი ეპიზოდების მალალმხატვრული წარმოსახვით და ღრმა რეალიზმით მკითხველს ამახსოვრდება, აგრეთვე, მურმან ლებანიძის „ომის ლირიკის“ ლექსები: „ცხენები“, „მარში“, „გადაიარა არმიამ ულელტეხილი ბერხინიდან“, „მარუხისაკენ“, „ბატალიონი პოზიციას ქიუხში იცვლის“ და სხვ.

ამ ციკლის ლექსთა ლოგიკური გაგრძელებაა თანამედროვე მსოფლიოს ბედზე დაფიქრებული პოეტის ღრმადსიმბოლური ჩანახატი, რომელშიც ეპოქის სუნთქვა ძალუმად იგრძნობა: „უკანასკნელი მეოთხედი მე-20 საუკუნის! შუშისგან ქსოვილი“ ნავთისგან ხიზილალა! მონყენილი მიმოდის ხალხი! ბუზლუნებს დემოსი, კუპრისფერი მუშა! ბიისფერი ინტელიგენტი! ფრთოსანი რაკეტები, ბომბი ნეიტრონის! მეტასტაზები მიწისქვეშა სამხედრო ქალაქების!, ხოლო ლაჟვარდებს კოსმოსური სერავენ ხომალდები, ცას მიაპობენ საჰაერო ლაინერები – მიაფრენენ ფიქრში ჩაძირულ პრეზიდენტებს (წამდაუნუმ) ერთმანეთისკენ“. („კაცობრიობა შემკრთალია და დაბნეული“).

მშვიდობის განმტკიცების უფრო ქმედითი ნაბიჯებისკენ მოუწოდებს პოეტი ძლიერთა ამა ქვეყნისათა:

მშვიდობას ვაშა!  
კი-კი! ოლონდ მშვიდობა თუა  
დღეს ეს ჯახირი  
ნამდვილ ომს და ამ ცივ ომს შუა.  
ოცდათხუთმეტი წელიწადი მსოფლიო ბზუა,  
ხმლისპირი არ ჩანს –  
კისრებს ბასრავს მახვილის ყუა!

### („მშვიდობას ვაშა!“)

მურმან ლებანიძის ლექსების ლირიკული გმირი – თავიდან ფეხებამდე ყანაოთისებური თეთრით მოსილი, თავისი ლაშქრის წინ დგას, თავის ქოროს ესაუბრება. სამშობლო ქვეყნის ჭირისუფალი პოეტის ეს ლაშქრობისწინა ბაასი იმ საზრიანი და წინდახედული სარდლის სჯას ნააგავს, გაჭრამდე მეასეჯერ რომ უნდა გაზომოს – როდის? ვის? საით? როგორ?... და ბოლოს პოეტის ეს ნერვიული ლოცვა თუ განწირულის სულისკვეთება ფარაჯიან-მახვილიანი ლირიკოსის ამგვარი აქარიშხლებით მთავრდება: „არის სიკეთე – ჰყავს სიკეთეს მტრად ბოროტება; გრძელდება ომი, გრძელდება და არ ბოლოვდება, მაშ, წინ! – წინ სულის უღრანებში ქარიშხალით მძაფრით! წინ! წინ! ცალ ხელში მახვილით და ცალ ხელში ლამპრით!“

მურმან ლებანიძის ეროვნულ ლირიკას უმთავრესად ორი ნიშანი ახასიათებს – ტრაგიზმამდე განცდილი სევდა ქვეყნის ისტორიული ბედის გამო და თანამედროვეობის მძაფრი შეგრძნება. „რაა წარსული ჩემთვის, – კერძოდ ქართველისათვის?! – კითხულობს ერთ ლექსში პოეტი და იქვე ასეთ პასუხს იძლევა:

თუ წარმოვიდგენთ წვიმაში წიწილას,  
აბუზულს ხის ძირას,  
რომელსაც ახსოვს ერთადერთი ხასხასა მდელი!  
და არაფერზე იმის გარდა არ უნდა ფიქრი,  
რომ იმ მდელს მზე დაჰლუოდა,  
რომ იმ მდელიზე  
თავსაყარად ჰქონდა საკენკი –  
მარგალიტის სიმსხო ხორბალი,  
რომელიც ცხვირწინ ააცანცქლეს წითურმა  
მამლებმა –

ეს ვარ მე და  
ეს იქნება ჩემთვის წარსული...  
ასე არის ეს!  
ქართველი ხარ, არ გესწავლება!  
რა არის ანმყო? სატალახო გზა არის იგი,  
რომელიც დამპალ ბოგირზე გადის,  
წყალგალმა კი – მყოობადია.

**(„რაა წარსული“)**

რომ იტყვიან, ამ სტრიქონებს კომენტარები არ სჭირდება.  
პოეტმა კარგად იცის, რომ მარტოოდენ „წარსულ დროებზე  
დარდით“ ვერ შეენევა თავის ქვეყანას“, ამიტომაც რკინის ქალ-  
ამნებს იცვამს იგი და თავისი სამშობლოს „დასაზვერად“ მიდის.

ქალამანს გაიჩენს  
პოეტი რკინისას!  
ყავარჯენს დაიბჯენს  
ბრძოლის და ჟინისას!  
უკვე აპრილია –  
სჯერა და არცა სჯერა...  
რა ხდება სამშობლოში  
წავა დასაზვერად.

**(„თოვლებმა ითოვლეს“)**

ქვეყნის თანამედროვე სურათი ხშირად სანუგეშოს ცოტა  
რაიმეს აძლევს მხატვრის შემეცნებას, „მონყენილი მიმოდის  
ხალხი“, პოეტს განსაკუთრებით „გატყევებული სოფლები“, „ბო-  
ქლომიანი სახლები“, მიტოვებული ბუდეები ზარავს:

მონყენილ სოფლებს –  
ალარც სტვირი, ალარც ფანდური!  
გაპარტახება,  
მყუდროება მზარავს საყდრული!  
არც ვაზის მყნობა,  
არც შეხება მაღალმხატვრული!

არც ქალის წკვრელა,  
არც ყიჟინა ახალგაზრდული!  
ალარც „ქვედრულა“  
და ფერხული მრავალსართული!  
ალარც მომსვლელი  
და პასუხად, ალარც დამხვედური!

**(„ეგ – არაფერი“)**

მაგრაციის სევდა ლირიკული გმირის ფსიქიკაში ამგვარ, საბუ-  
თიან შიშის ჰბადებს:

ეს სოფლები ეს ლიქოკი, ეს არხოტი,  
ცარიელა ეს პარტახი საიგავო,  
მეშინია, ეს სამოთხე, ეს წალკოტი  
სხვა არავინ მოვიდეს და დაიკავოს!

**(„მეშინია“)**

სხვათა მიწის დაკავება-მიტაცების ველური სითამამე, გუ-  
გულივით სხვის ბუდეში კვერცხის დადების უსულგულობა, ად-  
გილობრივი, მაღალკულტურული ერის მემკვიდრედ თავის გა-  
მოცხადების უხერხულობა პოეტის სულში კანონიერ პროტესტს  
აღძრავს:

აფხაზეთზე ამ კაცს თვალი უჭირავს –  
ეს კაცია, ალბათ, თურქის თემის...  
და მე ვყვირი: – ჩემს სისხლს დალევს უწინამც!  
და მე ვმღერი – აფხაზეთი ჩემი!

**(„აფხაზეთზე...“)**

პოეტი მტკივნეულად განიცდის საქართველოს თანამედროვე  
დემოგრაფიულ ვითარებას. იგი ღრმად და დარწმუნებული, რომ  
ჩვენი ერის გადარჩენის ერთი უმთავრესი მაგისტრალი სწორედ  
რომ გამრავლებაზე და მიწაზე მოსახლეობის თანამზრადგანანლი-

ბაზე გადის. მოიშველიებს იგი წარსულს თანამედროვეთათვის თავიანთი მოქალაქეობრივი ვალის შესახსენებლად.

ჩემო თვალნათელო, ჩემო სანატრელო,  
ოდესღაც დიდი ყოფილა საქართველო.

ამ ლექსში ღრმა სევდითაა გადმოცემული ისტორიის ის უმკაცრესი განაჩენი გარეშე მტერთა თარეშმა რომ განუმზადა საქართველოს:

ჩვენთვის მონღოლია პირველი სასჯელი  
მონღოლს მოჰყოლია თურქი და სპარსელი.  
ტურფა საქართველო ყვავე-ყორნებს ნაუღიათ,  
სპარსეთს და ოსმალეთს შუაზე გაუყვიათ.  
ჩაშლილა თვალი და ჯაჭვი ჩარღვეულა,  
იყალბო დაკეტილა, გულათი დანგრეულა.

#### („ოდესმე დიდი ყოფილა საქართველო“)

ერის წინაშე პოეტის მიერ გაბედულად დაყენებული პრობლემები ცხოვრების ღრმა ცოდნითაა განპირობებული. თავისი საეროვნო ლირიკული ფიქრებით მურმან ლებანიძე სამოციანელთა ლირსეული შთამომავალია. მან კარგად იცის მის მიერ შემოკრული ზარის საჭიროება და ისიც უნყის, ამ „განწირულის სულისკვეთებას“ სათანადო გამოძახილი რომ მოჰყვება ერის სულში:

მაგრამ მე ვიცი, რომ მზე ცხრათვალა  
ამ ყრუ ხეობის დადგება თავზე,  
ჩემს წიგნს ჩახვდება ბავშვიც პატარა,  
მოვა ქართველი და იტყვის ასე:

– ვისი ლეჩხუმი და რისი რაჭა!  
რისი სვანურ და ჭანურ-მეგრული!  
მას საქართველოს ოცნება დარჩა –  
უხვის, ძლიერის, მუშტად შეკრულის.

ამას რომ წერდა, ზამთარი იყო,  
ავდარი იყო სითბორეული,  
მთაში ამინდი წამხდარი იყო –  
მართალი იყო, მართალი იყო,  
მართალი იყო ის ცხოვრებული!

#### („სირცხვილი ჩვენი!..“)

ზემოთ აღვნიშნეთ მურმან ლებანიძის პოეზიის თანადროულობა და აქტუალური ბუნება. ამ გარემოებამ დაბადა კრიტიკული, პოლემიკური პათოსით გაჟღენთილი ლექსების მთელი ციკლი პოეტის შემოქმედებაში.

როცა მურმან ლებანიძის პოლემიკურ პოეზიას ეცნობით, თქვენს წარმოდგენაში ერთბაშად ქრება ნითელი კუნელისა და „ჩიბუხში ჩასადები ღრუბლის“ ქვეყანაში ლირიკული ჩურჩულით მდგარი პოეტი, მკაცრი სიტყვის მათრახის ტკაცუნის ჩაგესმით და ჩირგვებისკენ საცოდავი ჩიფჩიფით გაქცეულ იმათ ზურგებს ხედავთ, ვინც პოეტის მუზას „ყეფა“ ასწავლა. პოეტმა კარგად იცის, რომ ჩვენს საზოგადოებაში არსებული ბევრი ნაკლი სცილდება „გადმონაშთის“ უმტკივნეულო რკალს და იგი სოციალურ მოვლენად წარმოგვიდგება. ამიტომ შეუპოვარი პუბლიცისტური მზნებარებით ებრძვის პოეტი გაფუყულ კაცს, „კაცი – გაფუყული დადის, კაცი – ღრუბელივით დადის სპასალარის მიხრა-მოხრით, მკაცრი გამოხედვით დადის, ანუ არის ბრძენი ვინმე, ანუ – ქატოდ არ ღირს მჭადის. ამას ვწუხ და ამას ვსტირ მე – ჩვენი მოტყუება სწადის“ („კაცი – გაფუყული დადის“).

მაგრამ პოეტს ისიც კარგად მოეხსენება, რომ ბოროტება ჯერ კიდევ საკმაოდ ძლიერია და ორთავ ფეხზე დგას. ამიტომაც შემტევი და უკომპრომისოა ლირიკული გმირის პოზიცია.

არავითარი – დათმობა!  
არავითარი – ზავი!  
არავითარი – დანდობა!  
თოვლი სისხლისგან შავი!  
ჩემი ხელიდან მკვდარი ხარ,  
ჩემგნით ცოცხალი არ ხარ.

ვაი, რომ, ფეხზე მდგარი ხარ,  
თან ორთავ ფეხზე დგახარ!

**(„იყო დრო თავმოყვარობის“)**

დაუნდობელია პოეტი ყველას მიმართ, ვისაც კაცობა და სინდისი დაუკარგავს, „ნუთისოფლის ჭიქაში წვეთის არდატოვების“ არხეინ თეორიაზე დამდგარა და გარემოს ქიმიური ქარხნის ნარჩენებზე ნაკლებად როდი აჭუჭყიანებს.

მყარი და შეუვალია პოეტის მოქალაქეობრივი პოზიცია. ზიზ-ლით უცქერს იგი „ამაო ფუსფუსს, ფუჭ ლაყბობას, ყალბ ხმაურობას“, ღრმადსაფუძვლიანია პოეტის ირონია „თავისთვის მცხოვრებ“ პატარა კაცთა მიმართ:

დაჯერებული, საქმიანი ნაბიჯით მკაცრით,  
(გამონკეპილი, „ვოლგა“ – ფერად კასპიის ზვირთის!)  
პრიმიტიული, ხანშესული გამოდის კაცი,  
ალებს გარაჟს და, როგორც ამბობს, საქმეზე მიდის.  
გალიმებული ყოველ დილით ვხვდები ამ სურათს –  
რა დაჟინება, რა ნაბიჯი, რა ძალ-ღონეა!  
– დაფიქრდი, კაცო,  
წლები გადის, იქნება სულაც  
არ არის საქმე,  
რაც შენ მართლა საქმე გგონია!“

**(„დაჯერებული“)**

მხილებისა და კრიტიციზმის ქარცეცხლით მურმან ლებანიძის პუბლიცისტური პოეზია ილიას, ჰაინესა და მაიაკოვსკის სატირულ ლირიკას ნააგავს. მედროვე სნობებსა და პოეტს შორის სამუდამო-დაა ჩატეხილი ნდობისა და შერიგების ხიდი:

მინახავს ასე: ნამდვილი მკვლელი  
ძვირფას კუბოსთან  
იდგა თვალსველი,  
არ ჰყავდა პირში სიმართლის მთქმელი  
და ჩურჩულებდნენ: „ვინ ჰყავს დამშლელი!“

არა იმისთვის ვნუხ წინწინ სიკვდილს,  
რომ მოყვასს, თვისტომს,  
ხალხს დაატყდება,  
არამედ მისთვის – პირველი მტერი  
რომ ჭირისუფლად  
თავს დაგადგება.

**(„მინახავს ასე...“)**

კრილოვის იგავის პერსონაჟებივით საზოგადო ტვირთის სხვადასხვა მხრისკენ ქაჩვია გაკიცხული და ერთი აზრით, ერთი დროშის ქვეშ დარაზმვის სურვილი ჩანს მურმან ლებანიძის სტრიქონებში:

მე სულ არ მიკვირს არსებობა სხვადასხვა აზრის  
შეფასებაში საგნის, საქმის, კაცის და ღვანლის  
და მელიმება:  
შენ რა დროშა უნდა გაშალო,  
რომ ერთის ფიქრით ეს ამდენი ხალხი გამსჭვალო,  
როდესაც ხუთი ჭიანჭველა თავისთვის ციგნობს,  
საზრდოს მიათრევს  
და ხუთივე თავისას ფიქრობს?!

**(„კაცი კაცს აქებს“)**

მურმან ლებანიძის ლირიკული გმირი თავის ლაშქარს აგროვებს სიმართლისა და პატიოსნებისათვის გამართულ საუკუნოვან ბრძოლაში გადამწყვეტი იერიშისათვის. ჩაატარებს იგი მკითხველს თანამზრახველთა ათასიანი სიმბოლური ლაშქრის წინ და პოეტი-ტრიბუნის ფრთხილი შეგონებით შესძრავს მის სულსა და გონებას: „არ შეაქცია ზურგი ძლეულს დემოსმა რომელს? ტაშს უკრავს იგი გამარჯვების კვარცხლბეკზე მდგომელს! და დასკვნა ჩვენი თუმც მკაცრია, მართებულია: დამნაშავეა ვინც დამარცხდა – ბრალდებულია! გინდ იყავ კაცი, გინდ ერისკაცთ შეთქმულთა დასი, გინდ თვითონ ერი – დამარცხებულს გროში აქვს ფასი! რად დაგამარცხეს? რად დამარცხდი? რახან აგრეა, მაშასადამე, რალაც გიჭირს, რალაც გაკლია!“

გარდა ზემოთ თქმულისა, მურმან ლებანიძის პოეზიას კიდევ ერთი მშვენიერი ნაკადი ახასიათებს – სატრფიალო ლირიკა. პოეტისათვის ქალი, უპირველეს ყოვლისა, ერის გადამრჩენი, ქვეყნის მომავლის შემქნელი და დაუშრეტელი სიკეთის ნყაროა. ამიტომაც აღტაცებით შეჰყურებს ქუჩაში ბავშვით ხელში მომავალ პატარა ქალბატონს – ახალგაზრდა დედას:

ერის ნიგნო გაშლილო  
ახალო კაბადონო,  
გამარჯობა, თვალჭრელო,  
პატარა ქალბატონო!  
...შენ ხარ მწვანე ბალახი  
პირველ რილო, – ჭრილოს,  
შემოგცქერის ქალაქი,  
დაგინახოს ცდილობს.

**(„გოგოს, თვითონ პატარას“)**

მურმან ლებანიძესთან ქალი როდია პლატონიური მიუწვდომლობის და ციური იდალის სიმბოლო. არაერთ სატრფიალო ლექსში („რომ გითხრა: – მსურხარ დასავით“, „ამ ქალს დაარქვეს შავი პანტერა“, „ოჯახის ქალმა დასტოვა ქმარი“, „ციცო“) პოეტი თამამად ლაპარაკობს მიწიერ გრძნობებზე, ვნებაზე ქალის ჭეშმარიტ სიყვარულს რომ ბუნებრივად თან ახლავს. სატრფოსთან პოეტური „შეთამამება“ მამაკაცური ჟინითაა სავსე, მაგრამ სკრაბეზულობაში არასდროს გადადის.

მარეკები შლიდნენ ბანაკს,  
ქარი ჩამი-ჩუმით ქროდა,  
ვინეჟ, რომელიღაც ბალახს  
უცბად – ქალის სუნი ჰქონდა.

...ღმერთო! ღმერთო! მე სულ ველი  
სიკვდილს – შენ მაცოცხლო ვინძლო,  
სანამ ვიცნო ეს სურნელი,  
სანამ ეგ სურნელი ვიგრძნო!

**(„მარეკები შლიდნენ ბანაკს“)**

მშვენიერი სქესისადმი უალრესი მოწინების, თაყვანისცემის მოტივი ჟღერს დედის, ცოლისა და სატრფოსადმი მიძღვნილ პოეტის ლექსებში – „სიცილი ქალის“, „თამუნია ქავთარაძეს“, „ამაო ფუსფუსს...“ „მე ხელთ მიპყრია ნაზად“, „ლელაჳ“, „დათვები“ და სხვ.

მურმან ლებანიძემ პოეზიიდან ერთი ხელის დაკვრით განდევნა მოძველებული და ნაცადი აქსესუარები. მის ლექსებში ტრადიციული „პოეტური საგნები“ აღარ ნათობენ. ჭარბ პოეტურ ჩუქურთმასამკაულებს კი არა, ბუნების აღწერებსაც იშვიათად მიმართავს. იგი უმთავრესად მსჯელობისა და ანალიზის პოეტია, მაგრამ ისეთი საეროვნო სჯისა, რომელიც შეძახილით და მოწოდებით მთავრდება, ერის გაღვიძების ზარების რეკვისას იგი კონსტანტინე განსახურდიას ერთი ნოველის მნათეს მაგონებს – ტუჩებმოკუმულს, თვალეგაბრწყინებულს, თავის სამრეკლოს სამკვდროსასიცოცხლოდ ჩაბლაუჭებულს.

მურმან ლებანიძის ლექსებში უხვად გვხვდება ფოლკლორი – ანდაზები, ხალხური ფრთიანი გამოთქმები – რაჭული დიალექტის სილბო და სინატიფე. ხალხური სიბრძნის ოსტატური პოეტური გათავისების ნიმუშებია: „ჩიბუხში ჩასადები ღრუბელი არ ჩანდა“, „უქუდო ლებელს ქუდიანი გლოველი შეხვდა“, „ობოლს შეჰკითხეს“ და სხვ.

ხაზგასასმელია მურმან ლებანიძის პოეზიის არტისტიზმი, მრისხანე სარკაზმიდან (მაგ, „წერეთ, ძამა, არ შეფერხდეთ ქალღლით და მელნით! მარკებს უნდა აწებებდეთ მაგისტანა ენით“..) მას ძალუძს უეცრად გადავიდეს მსუბუქ, უნაზეს ციურ სურათზე („ცის ბილიკებით, დედოფალო, ცის ბილიკებით, ცის ბილიკებით კვლავ განაგრძე შენი მსვლელობა!“). პოეტი ამგვარი ზუსტი და ხატოვანი მეტაფორული აზროვნების ოსტატია: „პატარა ხეობაში პატარა ნაკადული პატარა ნისქვილის ლაჯებში გამოძვრება“.

მურმან ლებანიძის ლირიკულ ლექსებსაც კი ატყვია ეპიკოსის სიღინჯე და მასშტაბურობა. პოეტის ლექსებში იშვიათად ნახავთ მხოლოდ და მხოლოდ ასოციაციებზე დამყარებულ მხატვრულ აზროვნებას, ფრაგმენტულ განწყობილებებს. მურმან ლებანიძე ჰყვება. იგი ცდილობს ყოველ ლექსს თავისებური სიუჟეტი და დრამატული ქარგა მოუძებნოს. ეს პოეტის დიდი ღირსებაა. ჩაიკითხავთ ზოგჯერ „წმინდა ლირიკოსის“ სქელტანიან ნიგნს, მასში თითქო ყველაფერი რიგზე იყო, პოეტი გაბედულად დაგატარებდათ თავის ლირიკულ სამყაროში, თქვენ გჯეროდათ ემოციათა უშუა-



ლობა, განიცდიდით და აი, დახურეთ წიგნი და საოცრად გიჭირთ მასზე საუბარი. გიჭირთ დაასახელოთ, რომელი ლექსი უფრო მოგეწონათ, რა უფრო დაგამახსოვრდათ, იმიტომ, რომ პოეტი კი არ ჰყვებოდა, იგი ლირიკულ ხატებს განვდიდათ, ხატებს, რომლებიც იქნებ ერთმანეთს არა ჰგავდნენ, მაგრამ ერთი პოეტური სამყაროს ნერვებს წარმოადგენდნენ. ხოლო წიგნის ნაკითხვის შემდეგ თქვენ დაგრჩათ საინტერესო, მაგრამ აბსტრაქტული წარმოდგენა პოეტზე, კონკრეტულობას მოკლებული. ამაში იქნებ პოეზიის ამოუცნობი საიდუმლოც არის. მაღალ პოეზიას ცოტა შერჩა მხოლოდ და მხოლოდ ექსპრესიაზე, რიტმზე და ასოციაციებზე დაყრდნობილი ლექსი. მკითხველის დიდი ნაწილი, უპირველეს ყოვლისა, ამბავს, სიუჟეტს და დრამატიზმს ეძებს. მინდა მკითხველს გავახსენო მურმან ლებანიძის მიერ მცირე მოცულობის ლირიკულ ლექსებში დახატული არაერთი შთამბეჭდავი ეპიკური პასაჟი (მაგ. **ლექსების ციკლი გალაკტიონზე, „გურამ თიკანაძის ხსოვნას“, „თამუნია ქავთარაძეს“, „მკვდრები“**)

მურმან ლებანიძე მხოლოდ ორი პოემის ავტორია. ესენი გახლავთ – **„ციმბირის პაპა“** და **„ანისის ალება“**. პოეტი მაინცდამაინც არა სწყალობს ეპიკურ ტილოებს. იგი თავის სათქმელს ლირიკულ ლექსებში ატევს, მაგრამ შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ მ. ლებანიძის ორივე პოემა თავისი თემატიკით და მხატვრულ-ესთეტიკური ღირსებებით ის „ჯიუტი ფაქტებია“, რომელსაც გვერდს ვერ აუქცევს ქართული პოემის ისტორიის მკვლევარი.

**„ციმბირის პაპის“** მთავარი გმირის ხატვის პრინციპი საგრძნობლად განსხვავდება მურმან ლებანიძის მეორე პოემას „ანისის ალების“ ცენტრალური პერსონაჟის ხატვის პრინციპისაგან. თუ „ანისის ალებაში“ ჩვენს ყურადღებას იპყრობს დავით აღმაშენებლის რთული, ტრაგიკულამდე ამაღლებული მონუმენტური სახე, ნესტორ კალანდარიშვილი ავტორმა სხვა საღებავებით შეამკო. ჩვენს წინაშეა ჩვეულებრივი მოკვდავი უშუალოდ ჰუმორული მეტაფორულობით და შეხუმრებული ავტორის დისტანციიდან დახსული „ციმბირის პაპა“.

მიუხედავად ავტორის ამგვარი „სითამამისა“, ნესტორ კალანდარიშვილის სახის მიმართ, რაც ერთი შეხედვით შეიძლება მოეჩვენოს მკითხველს, „ციმბირის პაპასთან“ პოეტის, როგორც ფერმწერის, დამოკიდებულება არსად არ ტოვებს უაღრესი მოკრძალების ჩარჩოებს და ფამილარობაში არ გადადის.

საქართველოდან ასე შორს მყოფი გმირი, რომელიც იაპონელთა და ათასი ჯურის მტერთა წინააღმდეგ ციმბირულ დივიზიას სარდლობდა, თავისი ოცნებები, მისწრაფებებით და ვნებებით მურმან ლებანიძემ, უპირველეს ყოვლისა, ჭეშმარიტ ქართველ პატრიოტად დაგვიხატა. ნესტორ კალანდარიშვილს მუდამ დასდევს შორეულ სამშობლოზე ფიქრი:

...და სხვა ფიქრებს შორის,  
თუ უომრად გათენდება,  
ნესტორს, პირველ ყოვლის,  
საქართველო ახსენდება.  
თოვდა, თოვდა! – ყიჟინით  
ზეცა ფეხქვეშ გაეფინა...  
დაცხრი, გულო, დაცხრი  
და სიხარულს გაუძელი!  
ედებოდა ლაჯში –  
თოხიტარა მაუზერი.

მურმან ლებანიძე არ მიჰყვება ნესტორ კალანდარიშვილის ცხოვრების თანმიმდევრულ აღწერას. იგი თავის პოემაში ცალკეულ ფრაგმენტებს გვანვდის. პოემაში დახატულ სურათთა უმეტესობა სტატიურია, რაც უფრო მეტ მონუმენტურობას ანიჭებს ნაწარმოებში აღწერილ ეპიზოდებს. მაგ., პოემის დასაწყისში აღწერილია ბაიკალის პირას მდებარე სოფელი, რომელიც ცხენის ოფლის, მახორკის, „სელიოდკის“ და არყის სუნით აყროლებულია და საშინელი ანარქია სუფევს, სურათი მთავრდება იმით, რომ სოფელში „ზანტად შემოდის ციმბირის პაპა“. მეორე სურათში ომგადახდილ ციმბირის პაპას სძინავს. მესამე სურათში ციმბირის პაპას კრემლში ვხედავთ, ხოლო მეოთხე სურათში „ირკუტსკისაკენ ზანტად მიგორავს ფურგონი“, რომელზეც ციმბირის ლეგენდარული გმირი ასვენია. ამ ოთხი ეპიზოდისაგან გახლავთ აგებული პოემის მთელი კომპოზიციური შენობა.

#### **„ანისის ალება“.**

ანისის ბრძოლა საქართველოს ისტორიის ბრწყინვალე ფურცელია და ქართველ-სომეხთა მრავალსაუკუნოვანი ძმობის ერთი უთვალსაჩინოესი დასტური. მურმან ლებანიძის ისტორიული პოემა „ანისის ალება“ თავისი თემატიკითაც აქტუალური მასალა და

მხატვრული ღირსებებითაც ჩვენი ლიტერატურის ერთ-ერთი საგულისხმო შენაძენია.

„ანისელმა მსტოვრებმა დავით აღმაშენებელს დაწვრილებით ამცნეს თურქ-სელჯუკთა მიერ შევიწროებული ქალაქის ვითარება. ქართველთა მხედრიონი დაიძრა ანისისაკენ. დავით მეფის მარბიელ ლაშქარს აჯანყებული ანისელნიც წამოეშველნენ და მტერი ძლეულ იქნა, ანისი განთავისუფლდა. ესაა პოემის ფაბულა. ნაწარმოების სიუჟეტური ქსოვილი ერთი ეპიზოდის – ანისის აღების ფარგლებს არ შორდება. პოემა თავიდან ბოლომდე ერთი გალაშქრების ლიტერატურული ისტორიაა და რაც შეიძლება შეკუმშული, დახვეწილი კონსტრუქციით ხასიათდება. პარალელურ სიუჟეტთა არარსებობა და მომიჯნავე ამბებისა და პასაჟების გამოდევნებაზე უარის თქმა, ამ პოემას სულმოუთქმელად წაგაკითხვით.

„ანისის აღება“ (თუმცა ასეთი სათაური, ცოცხალი არ იყოს, მეჩითირება, იგი უფრო მეცნიერულ-პუბლიცისტური ჟღერადობისაა, ვიდრე მხატვრული, ხომ არ აჯობებდა უბრალოდ „ანისი“ დაერქმია?) ერთპლანიანი პოემაა პროლოგითა და ეპილოგით. პროლოგიც და ეპილოგიც უდავოდ მაღალ ლიტერატურულ დონეზეა შესრულებული და ამ ნაწარმოებში, გარდა დასაწყისისა და დასასრულის ლოგიკური მხატვრულ-ესთეტიკური აკორდებისა, ისინი სხვა ფუნქციასაც ასრულებენ.

ამ პოემაში ამბავი ხდება –  
არა, არ მკითხო რატომ და რისთვის,  
ათას ხუთასი ქართველი კვდება  
არა თავისთვის, არამედ სხვისთვის.

ეს არის პროლოგის პირველი სტრიქონები. ხაზგასმა არ სჭირდება იმას, თუ რაოდენ ყურადღების მიმტაცია და დამაინტერესებელია ეს დასაწყისი. ჩვენ ამჟამად სხვა გვანტერესებს. ამ პროლოგით მურმან ლებანიძე მის წინაშე არსებულ ისტორიულ მასალას დღევანდელი პრობლემატიკითაც ტვირთავს და მხატვრის უტყუარი ალლოთი ბევრ საგულისხმო მოვლენაზე მიგვანიშნებს. დავით მეფემ ანისი აიღო, მუხლი მოიყარა სომხის დედოფლის საფლავთან, ხოლო:

სელჯუკიანი გარბის მკვეხარა, ქრისტეს ტაძარში  
ზარები ჟღერენ

„მეპატრონა სომხის ქვეყანას...“  
სხედან ვარპეტნი და წიგნებს წერენ.  
დიდი მოედნებზე იყოფენ ალაფს, ქართველი  
სომხის იმედებს ანთებს!

„ათინა – ბერძენს! ბაღდადი – არაბს!  
ანისი – სომეხს, თბილისი – ქართველს!“

დაკვირვებულმა მკითხველმა პროლოგშივე უნდა ამოიცნოს, რისთვის დაწერა პოეტმა „ანისის აღება“ დღეს – მხოლოდ სახელოვანი წარსულის სურათთა გასაცოცხლებლად, თუ სხვა დანიშნულებაც აქვს მას ჩვენი დღეებისათვის. ერთი სიტყვით, ისტორიული ფაბულის გათანამედროვეობის რთული მხატვრული პრობლემა ავტორმა პოემის პროლოგში შესანიშნავად გვიჩვენა.

ეპილოგი?

განთავისუფლებული ანისიდან ზარითა და ზეიმით ბრუნდება ქართველთა ლაშქარი. მტერი ძლეულია, განწყობილება ჩინებული და უეცრად დავით აღმაშენებელს სევდა მოეძალა, რა იყო ეს, ანისის კარიბჭესთან სამუდამოდ დარჩენილი ათას ხუთასი ქართველის გლოვა, თუ სხვა რამ პიროვნული ტკივილი უდიდესი ქართველი მეფისა? პოემის ავტორი ფრჩხილებს არ ხსნის.

მაგრამ ამას თავი დავანებოთ. პოემის ეპილოგში არის ასეთი სტრიქონები:

რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა, მტრიანი,  
მაგრამ ქრისტედ, აღდგენილად მკვდრეთით,  
უკვე გქონდა საქართველო მთლიანი,  
და მთლიანზეც ბარეორჯერ მეტი.

აღესრულნენ ოცნებანი ფერადნი:  
სხვად ათინად და უაღრეს მისად,  
უკვე გქონდა, უკვე გქონდა გელათი  
საყდრად ქვეყნის და საძვალედ თვისად.

პოეტმა უფრო ახლობელი გახადა მკითხველისათვის დავით აღმაშენებელი იმ ოქროს ხანაზე მინიშნებით, საუკუნეების გან-

მავლობაში ქართველთა ოცნებად და ტკივილად რომ იქცა („უკვე გქონდა საქართველო მთლიანი“). ასე რომ, ეპილოგში ანისის ალბისას ლომივით მძვინვარე, უმამაცესი და უმხნესი დავით – შუასაუკუნეობრივი რომანტიკულობით და კაც-ცხენის კვეთით ჩვენგან ასე შორს, საუკუნეთა მიღმა მებრძოლი, ერთბაშად მოგვიახლოვდა, მერე მჭმუნვარე მეფისადმი მკითხველის თანაგრძნობით გამსჭვალულ ფიქრებს პოეტმა მაშინვე მიაშველა: ხედავთ, თავის სიცოცხლის შემოდგომაზე წუთისოფლის ამაოების სევდა დაეუფლა თვით დავით აღმაშენებელს, რომელსაც მთლიანი საქართველო და „ხანძარივით სახელი“ ჰქონდაო; ხოლო შემდგომ ამისა, ნაწარმოებში ეპილოგის ლოგიკურ წერტილად დაირხა „გალობანი სინანულისანი“ – ეს ერთ-ერთი უდიდესი მისტიკურ-ფილოსოფიური ქმნილება და თავისი დროის უაღესად საყურადღებო მხატვრული ძეგლი. ასეთია „ანისის ალბის“ პროლოგისა და ეპილოგის იდეურ-ესთეტიკური ფუნქცია. ნაწარმოების მხატვრულ ჩანაფიქრთან ჩვენი თანამედროვეობის ესოდენ ოსტატური მისადაგება, მე ვფიქრობ, ამ პოემის ერთი ღირსებაა.

პოემის ცენტრში დგას დავით აღმაშენებელი. დიდგორის გმირის სახე ჩვენს ლიტერატურაში თვალსაჩინოდ გამოკვეთილია; მარტო კონსტანტინე გამსახურდიას მონუმენტური ტეტრალოგია რად ღირს. ამას რომ დავუმატოთ ძველ ისტორიკოსთა ცნობები და, თვით „გალობანი სინანულისანი“ (ასე დიდებულად რომ წარმოაცნეს დავით აღმაშენებლის რთულსა და წინააღმდეგობრივ ბუნებას), შეიძლება ითქვას, რომ დავითის სახის შექმნისას პოემის ავტორი საგრძნობი სირთულის წინაშე იდგა. ლიტერატურაში უკვე შექმნილი და პოპულარული სახე ისტორიული გმირისა, ძალაუნებურად აყენებს მწერალს თავისი დიდი ზეგავლენის ქვეშ და მკითხველსაც წინასწარ განაწყობს. მურმან ლებანიძეს უცდია, რამდენადაც პოემის სიუჟეტი ამის საშუალებას აძლევდა, ორიგინალური მხატვრული შტრიხებით გაემდიდრებინა დავით აღმაშენებლის სახე. მ. ლებანიძის პოემის გმირი სწორედ ის სწორუპოვარი მეფე და რაინდია, სიცოხლეშივე რომ ეზიარა ღმერთისტოლ დიდებას. ანისისაკენ მიემართებიან სამეფოს სპანი... „დავით დრო და დრო ტაიჭს გააქვავებს და ლაშქრის მსვლელობას ქორივით გადაჰყურებს“. – ამ ორ სტრიქონში უკვე ჩანს ზვიადი და მზრუნველი მეფე-პატრონი. პოემის ერთ-ერთი უძლიერესი ადგილია დავით აღმაშენებლის შესვლა ომში. ცოტა დიდი ციტატა

იქნება, მაგრამ გვინდა მკითხველს ერთხელ კიდევ გავახსენოთ მ. ლებანიძის მიერ აღწერილი ბატალური სურათი, რომელიც, ჩვენი აზრით, მხატვრული შესრულებით უზადოა და ქართველ კლასიკოსთა უკვდავი პოემების ანალოგიურ სცენებს თამამად დაუმშვენებს მხარს:

– ბრძენმა სიბრძნით, ლომმან სიმხნით,  
მამამ სპათა აბჯრიანთა,  
„ნალკაძორით ჯონდის მიხმეთ“ –  
სთქვა და ომში შთაბრიალდა,  
წინამებრძოლს ანელთ სპისას  
ხმალი მარჯვნივ დაანახა,  
მტერს ბაღლსავით ფარი დაჰკრა,  
ზუჩი თავზე დაანაყა.  
ჯერ ანელნი შეაცბუნა,  
შეაძრუნა გული ლაშქრის,  
კვლავ ქალაქში შეაბრუნა,  
სპას ბრძანება წარსცა გაშლის.  
უმალ ყარსელთ მიუბრუნდა,  
ლომებრივმან ქმნით და სახით,  
თავი თავსა შეუჯახა,  
შეუძახა ხმითა მალლით.  
„არა თუ ვით სხვაი ვინმე  
ზურგით უდგა ოდენ ყმათა,  
ანუ შორით უზახებდა“, –  
წინ უძლოდა ლომებრ სპათა.  
ხმალს ხმარობდა, ფარს ფარობდა,  
თან ჩქარობდა ძლევას თურქის.  
თუმცა სპაი არ კმაროდა –  
თუმცა ფიქრი ჰქონდა ზურგის.  
„ჰკა წუნკლებსო!“ – დამაშვრალმა  
თვალი ჰკიდა ბაკურიანს.  
მოფრინავდა სპა მაშველი,  
მოსტოპავდა ახურიანს.  
უფლისწული ეჯზე იცნო –  
გვერდში უდგა ნიანიას,  
ხრმალს იქნევდნენ, თურქის ლაშქარს

მიარღვევდნენ რიარია.  
ქნევა ხრმლის და ძგერა შუბის,  
მტვრევა ისრის: თხევა სისხლის,  
თმენა გაჩეხილი შუბლის  
და ველური ღრჭენა რისხვის...  
და შეძრწუნდა სპათურქმანთა  
და ურჯულო მეოტ იქმნა  
და შებრუნდა სპა თურქმანთა  
და ქართველი ჩეხვით მიჰყვა...

მე ვფიქრობ, ამ ამონაწერის ფერწერულ ხატოვანებას და არაჩვეულებრივ პლასტიკურობას კომენტარები არ სჭირდება. ომი დამთავრდა, განთავისუფლებული ანისის ქუჩებში მიმავალი, შავ ჰუნეზე მჯდომი, დავით ბრწყინვალე „ქერეჭისფერი ზურით თავზე“, ომის ღმერთს ნააგავს:

გამობრძანდნენ „ჯანს“ ჰყვიროდნენ  
დედა-წულით და ჩვილის ბაღლით  
„ვაჰ!“ – ჰკვირობდნენ,  
თან სტიროდნენ,  
მეფის დავითის პირის ნახვით.

მოძმეთათვის მარადუამს ხელგანვდილი, მოსარჩლე და მონ-  
ყალე მეფე, ამავე დროს, ფრიად წინდახედული და პრაქტიკული  
გონების მრჩეველია:

ხათრი ხათრად, მადლი მადლად და,  
ზღვიდან ზღვამდე ქვეყნის მპყრობელმან,  
სომხის დიდვაჭრებს  
ესრეთ ჰკადრა,  
ვითარცა მამამ და  
ვითარცა მშობელმან:  
„ანუ ხრმალი დაიკიდეთ,  
ვითარც სპანი იკიდიან,  
ანუ როქის სპა იყიდეთ,  
მეც ყივჩაღნი მიყიდიან.

დავით აღმაშენებლის გვერდით პოემაში არაერთ დასა-  
მახსოვრებელ პერსონაჟს და უაღესად კოლორიტულ ეპიზოდს ვხ-  
ვდებით. მკითხველის ყურადღებას უსათუოდ მიიქცევს ჯოჯიკი –  
დავით მეფის ერთგული მსტოვარი, რომლის სახესაც ასე ახასი-  
ათებს მისი სომეხი მეგობარი არწრუნი:

თურქი ხარ, არაბი ხარ, ქურთი ხარ, სკვითი ხარ,  
დღეს ვაჭრობ, ხვალ ჩარჩობ, ზეგ ბერად როჭიკობ.  
ეს ოცი წელი, სულ ბენვზე ჰკიდისხარ,  
ეს – შენ გაგიმარჯოს ჯოჯიკო!

დასამახსოვრებელია სომეხი მეთარე შურისძიებად ანთებული  
თვალეებით და დატყვევებულ სამშობლოზე თავისი საოცრად სევ-  
დიანი ალეგორიული ლექსით. შესანიშნავად დაუხატავს პოემის  
ავტორს უფლისწულის სახე, დავით აღმაშენებლისა და მისი პირმ-  
შოს მეფური და მამაშვილური სიყვარულით.

თეძოზე მიებღუჯა უფლისწულს ფრანგული,  
იჯდა ღვთაებრივი თავის ყალანქარზე.  
ტკბილად შეუქანდა ხელმწიფეს ქვა-გული  
საბრძოლო დროშებში პირმშოს დანახვაზე.

ლომს თავის ბოკვერი გემისტვის შეეჩვია,  
ბოკვერს შესტყობოდა ლომობა ბრჭყალებში,  
სამეფო კარვისთვის ადგილი შეერჩია,  
და კითხვით შესქცეროდა მეუფეს თვალეებში.

თანხმობა უჩურჩულეს სარდლებმა დავითს,  
დავითმა ზევსივით ქალაქში ჩაიხედა,  
მონყალედ დაუქნია უფლისწულს თავი,  
თვალი გადაჰკრა და ღიმილი გაიმეტა.

ასევე ძუნნად და ლაკონიურად, მაგრამ დიდი მხატვრული სი-  
ზუსტით აღწერს მ. ლებანიძე სომეხ მღვდელმთავართა ეპიზოდს.  
წმინდა მამებს ანაფორების შიგნით თორები სცმოდათ, რათა ან-  
ისის განთავისუფლებაში ქმედითი მონაწილეობა მიეღოთ:

არა! არ იყვნენ წვეულნი  
ოდენ ჯვრითა და წიგნით!  
თავადაც სცმოდათ თორები  
ანაფორების შიგნით:

დახადეს ანაფორები,  
თითო არაყი სცეცხლეს,  
გამოუცვალეს ჯორები  
და ტაიჭებზე შესხეს.

რა მართალი, რა გულშიჩამწვდომი დეტალია პოემაში დევკაცის ბრძოლა თორმეტი თურქის წინააღმდეგ. დავით აღმაშენებელმა თვალი ჰკიდა, რომ ერთი გოლიათი თორმეტს შებმოდა და ჩუხჩარხებს უბრძანა, დროზე მიეშველეთო. უცხო მოყმემ მიშვლება ითაკილა, მტერს მარტოც გავუმკლავდებო. მან მეფის ჩამოგზავნილ მებრძოლს ცხენის აღვირზე ხელი უტაცა და უთხრა:

ჩუხჩობა მნადს, მონა-სპა ვარ,  
მცველად ვახლავარ ამირახორს;  
ერწუხის ომში ნანახი ვყავარ,  
უთხარო მეფეს, დამინახოს.

„ანისის აღება“ თავისი ლექსური არსენალითაც გამოირჩევა. ლექსის ზომისა და რიტმის მონაცვლეობა პოემას სასიამოვნო საკითხავს ხდის, ხოლო ნაწარმოების ზომიერად არქაიზებული ენა ისტორიზმისა და კოლორიტის სასურველ განწყობილებას გვიქმნის.

პოემის ლექსიკურ ქსოვილში შესანიშნავ პოეტურ ექსცესებთან ავტორის მიერ თითქოსდა საგანგებოდ ჩართული პროზაიზმები უშუალოებითა და ინტიმურობით მსჭვალავს თხრობას და აზრობრივ-ემოციურ ამპლიტუდას უფრო მოქნილსა და მისაწვდომს ხდის.

ამ პოემაში ამბავი ხდება, –  
არა, არ მკითხო, რატომ და რისთვის,  
ათას ხუთასი ქართველი კვდება  
არა თავისთვის, არამედ სხვისთვის!

..და ამიტომ და ამისთვის  
ამა მიზეზთა გამო,  
დავითისათვის ანისით  
ეტრადი გახლავთ ამო.

პოეტი გრაფიკული სიზუსტით ძერწავს ფერწერულ სურათებს (მაგ., „იდგა მეციხოვნე ანისის ცაში – აზიის უსაშველო ღამეს გაჰყურებდა“ და სხვ.).

შეიძლება დავასკვნათ, რომ მურმან ლებანიძის ეპიკური შემოქმედება მხარს უსწორებს მის მებრძოლ ლირიკას, ხოლო ორივე ერთად თანამედროვე ქართული პოეზიის ორიგინალურ შენაკადს წარმოადგენს.



**ანა კალანდაძე**  
(1924-2008)

სამოციან წლებში ფიზიკოსთა და ლირიკოსთა ერთ-ერთ დისპუტზე კონსტანტინე გამსახურდიამ თქვა: „მთელი ქვეყანა უზარმაზარ ქარხნად რომ იქცეს ბუღბუღლის გალობა უფრო სანატრელი და სასურველი იქნებაო“. ამით დიდმა მწერალმა ფაქტიურად დაამთავრა კამათი იმის შესახებ, გაუძლებდა თუ არა კიბერნეტიკის ეპოქას ლექსი და იყო თუ არა საჭირო იგი ატომურ საუკუნეში, დაამთავრა ბუღბუღლის, პოეზიის სასარგებლოდ.

ბუღბუღლის გალობასავით გაისმა საქართველოში ანა კალანდაძის ლექსი სწორედ მაშინ, როცა მეორე მსოფლიო ომი ახალდამთავრებული იყო. ადამიანის სულის უფაქიზესი სიმები მსოფლიო უბედურებისგან გატლანქებულ-გაუხეშებული გახლდათ და ლიტერატურაში დომინირებდა საომარი, მომწოდებლური, გაზეთურ-პატრიოტული პოეზია. მკითხველი ჯერ გაირინდა, მერე კი მთელი ტანით შებრუნდა პოეტი-ბუღბუღლისაკენ, ეულად, სევდიანად რომ უსტვენდა და მშვენიერებას, ერთი შეხედვით, შეუმჩნეველ საგნებში, მრისხანე დროისგან დავინწყებულ მოვლენებში ეძებდა.

ახლა ანა კალანდაძის წაბაძვით ბევრი წერს. ეპიგონს იქნებ

ზოგი რამ უკეთესადაც გამოუდის, მაგრამ ანა კალანდაძე როცა გამოჩნდა, იგი ერთადერთი პოეტი იყო, თავისი უნაზესი ჩურჩულით რომ შესძრა მკითხველთა გულები. პირველმა გააბატონა მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ ლირიკაში პოეტური კდემა და ქალური სანყისი, ახალი სული შთაბერა ლექსს და ჭეშმარიტი პოეტის გრძნეული ხელით ახალ პოეტურ სამყაროში შეგვახედა.

თუ ანა კალანდაძის იერსახეს არ გააუხეშებს, ორიოდე თარიღი დავასახელოთ მისი ცხოვრებიდან. 1924 წელს დაიბადა გური-აში, სოფელ ხიდისთავში. საშუალო სკოლა ქუთაისში დაამთავრა. 1942 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე განაგრძო სწავლა.

უნივერსიტეტის დამთავრებას დაემთხვა მისი პირველი ლექსების გამოჩენა ქართულ ლიტერატურულ პერიოდიკაში.

დღეს რუსთველის პრემიის ლაურეატი და ქართველი მკითხველისთვის უაღრესად საყვარელი პოეტია – ჭეშმარიტად ჩვენი გულების მესაიდუმლე.

ანა კალანდაძის სწორუპოვარი პოეზიის გარდა ჩვენს წარმოდგენაში არსებობს თვით ანა კალანდაძის – როგორც მოქალაქის სახე, რომელიც კარგა ხანია ლიტერატურულ ფენომენად იქცა. ქართველ პოეტთა ლექსებიდან გამოიყურება თანამედროვე ქართული პოეზიის დედოფალი – ღრუბლებში ამალღებული, კდემამოსილი, უსათნოესი პიროვნება, თავისი სიამაყით მარადის თავანუელი და ამა ქვეყნის ყაყანს, თითქოსდა გარიდებული, ეულად მდგარი განზე, როგორც ჭეშმარიტ პიეტს შეჭფერის – მიუკერძოებელი და მოუსყიდველი: ბედნიერი დამთხვევაა, როცა შემოქმედება და პიროვნება გასაოცრად ჰგავს ერთმანეთს. ორივე ერთნაირად სუფთაა და მშვენიერი, ძლიერი და გამძლე, მართალი და სიკეთით სავსე. ანა კალანდაძის მონოლითური პიროვნება მის პოეზიას გასახმიანებლად აწ ნაკლებად სჭირდება, იგი გვჭირდება ჩვენ, როგორც კამერტონი ჩვენი დამტვერილი ნერვების გასაფერად და მოსამართავად. იგი გვჭირდება როგორც მაგალითი იმისა, თუ როგორი უნდა იყოს ჭეშმარიტი ხელოვანი და რა დიდი რაინდობაა დღეს „სული გქონდეს უსპეტაკეს თოვლისა“.

ლიტერატურის ისტორიის ნათელ ხსოვნას შერჩა ის ეფექტი, ომის შემდგომ პირველსავე წელს პოეზიაში მოსულმა ანა კალანდაძემ რომ მოახდინა. ის განუმეორებელი შთაბეჭდილება – კანონადებიან დროის შემდეგ ჩამომდგარ სიჩუმეში ტოროლას გალობასავით რომ გაისმა თვითმყოფადი პოეტის ჩანგის ხმა. ეს მომენტი ყველაზე კარგად მურმან ლებანიძემ გამოხატა ანა კალანდაძისადმი მიძღვნილ ლექსში: „შენ მიგვანიშნე პოეზიის საგანი ზუსტი – წიაღი სულის, კვალად ზეცის ლურჯი ნაჭერი: შენ შეახსენე სისხლით მაძღარს ყვავილი სუსტი, შენ უმაღლესი სათნოებით გულში დაგვჭერი“.

მართლაცადა, ანა კალანდაძემ გამოჩენისთანავე ბეჯითად დაიმკვიდრა განუმეორებელი ადგილი ქართულ პოეზიაში და როცა თავის პარნასზე ამალღებულს შეავლეს თვალი, სიხარულთან ერთად გაოცების გრძნობაც გაჩნდა – ნუთუ ეს ადგილი აქამდე ცარიელი იყო? დიახ, დიდხანს ელოდა საქართველო პოეტ ქალს, რომელიც თან ახალსამყაროს მოიტანდა, ახლებურ ინტონაციებს დაამკვიდრებდა, ქართული სიტყვის ახალ საშუალებებს აღმოაჩენდა და ყოველივეს გაანათებდა მისეული ათინათით.

იოლი როდი იყო მკითხველის სულის უნაზესი სიმების შერხევა და ყურადღების მიქცევა მაშინ, როცა უკვე დაწერილი გახლდათ „მზეო თიბათვისა“ და სმენას არ შორდებოდა „ატმის რტოო დაღალულო რტოო“ ...როცა ღონივრად ეპყრათ ჩანგი ქართული პოეზიის ორფეოსებს – გალაკტიონსა და გოგლას. დიდი გაბედულება იყო სწორედ „ატმის რტოოს“ ჩურჩულითვე გეთქვა: „ქარი მარხევს და ყვავილებს მაცლის, ყვავილს მომწყვეტს, გამიტაცებს მინდვრად. დამიყვავე, ქარო ნუ ხარ მკაცრი, პატარა ვარ, მოფერება მინდა“. ანა კალანდაძის პირველსავე ლექსებს ეტყობოდა ორიგინალური ხმის მქონე დასრულებული ოსტატის ხელი. „საქართველოო ლამაზოს“ ავტორის შემოქმედებას თვალგადევნებული ლამის აღმაცერად ვუცქერი ყბადაღებულ ცნებებს: „შემოქმედებითი წინსვლა“, „ოსტატობის ამალღება“...ჭეშმარიტი პოეტი ზრდადასრულებული გვევლინება იმთავითვე. ანა კალანდაძის პოეზიას დიდი ესთეტიკური ძვრები არ განუცდია, შეხედულებათა ცვალებადობის განსაცვიფრებელი წლების შემდეგაც პოეტის ჩანგს იერი არ შეუცვლია, მისი მსოფლგანცდა ისეთივე უშუალო და

ბუნებრივია, როგორც პირველ ლექსში იყო. სწორედ ამას ჰქვია ტალანტის თვითმყოფადობა.

მაგრამ არც იმის თქმა შეიძლება, რომ თითქოს ანა კალანდაძეს ძიებისა და შემოქმედებითი არსენალის გაფრვა-გაფხვიერების წლები არ განეცადოს. კარგა ხანს თითქმის არაფერს ბეჭდავდა. მერე ახალი ლექსები გამოაქვეყნა და მისი თაყვანისმცემელი ერთბაშად საგონებელში ჩააგდო. ჩვენს წინაშე პოეტის ტალანტი ახალი ძალით რომ გამობრწყინდა, ფაქტი გახლდათ, მაგრამ იმაზე ვჭოჭმანობდით, რომ პირველ ხანებში გვიჭირდა მიგველო სხვა ამპლუაში წარმოდგენილი ანა კალანდაძის ლექსი, სადაც ადრინდელ სასაუბრო ინტონაციებს და ლაპიდარულ მეტყველებას ძველი ქართული კდემა და მონუმენტურობა შენაცვლებოდა, ხოლო ლექსის თავისუფალ მდინარებას, თითქოს საგნაგებოდე ამოსდებოდა ლაგამი. მინიატურულობა, ერთი მხრივ, აფორისტულ სიზუსტეს მატებდა ლექსს. მეორე მხრივ კი, პოეტური სუნთქვის ხელოვნური შეკავების ილუზია რჩებოდა. ბოლოს თვითონვე დაგვარწმუნა, რომ დიდი პოეტის სიტყვასა და სათქმელს, ჭეშმარიტი შემოქმედის სულის რთულ შრეებს მრავალი განზომილებანი გააჩნია და ლიტერატურულ სტერეოტიპს ვერა და ვერ მიუსადაგებ. იგი იმდენად ძლიერია, რომ გაიძულებს ჩაჰყვე მის ნებას.

კარგა ხანი გავიდა იმ ბედნიერი დღიდან, როცა ანა კალანდაძე მოვევლინა ქართულ მწერლობას. დღემდე არა მარტო ანა კალანდაძის პოეზია კამკაშებს ჩვენს ლიტერატურაში და უზარმაზარ გავლენას ახდენს თანამედროვე სულიერ ცხოვრებაზე, არამედ არსებობს საკმაოდ სოლიდური კრიტიკული ლიტერატურაც პოეტის შემოქმედების შესახებ. მაგონდება ის პირველი წერილი – მისალმებანიც (ქართველ მწერალთა უფროსი თაობა ხომ ანა კალანდაძის შეფასებაში იმთავითვე ერთსულოვანი იყო) და სამოციანელ კრიტიკოსთა გულისხმიერი სჯანიც ქართული ლიტერატურის ისტორიაში ანა კალანდაძის ეროვნული, მაღალი ადგილის განსაზღვრისათვის (მათგან ერთ-ერთ ყველაზე საყურადღებოდ ნოდარ ჩხეიძის წერილი მეჩვენება).

... და მაინც, ყოველი გულისხმიერი მკითხველის წარმოდგენაში ანა კალანდაძის სახელის ხსენებისას გაკრთება პოეტის მიერ აშენებულ-ნაგვირისტალი ლირიკული სამყარო, ყველასათვის

თითქმის საკუთარი და ამით ზოგადკაცობრიულიც. იმ პოეტურ ქვეყანაში კეთილი ნების ადამიანებს თავზე ნათელი ადგათ და მთვარის ბილიკით მოაბიჯებენ. ღამეებს სერაფიმის ფრთათა შრიალი აკრთობს, გაცისკრებული ტაძრის სიახლოვეს რუსთაველს ბატის ფრთა უჭირავს ხელში და ცარგვალს გაჰყურებს. ერთგან ღვთაებრივს მთაზე წმინდა მამებს უნთიათ ზეთი, ხოლო მეორეგან ცხოვრება დულს თავისი ვნებებითა და ორომტრიალით; ქუჩის განაპირას დგას ვარდების გამყიდველი თვალმაცვალა, ხოლო „პორტის სანაპიროზე“ მხიარული სტვენით მიდის „სიყვარულის დოსტაქარი“ – ფეხშიშველი ბოშა ქალი და ამ ქვეყნის ცენტრში დგას უნაზესი პოეტი, რომელიც მზისკენ ხელანვდილი იმეორებს: „იშრიალე, დიდო ვერხვო, იგუგუნე, დედამინავ!“

ანა კალანდაძის პოეზიის სოციალური მნიშვნელობა ცალმხრივი იქნებოდა, რომ იგი მხოლოდ ტკბილი ხმების გამომცემ განმარტოებულ მგალობელ ბუღბუღად წარმოვიდგინოთ. იგი მეტროლი პოეტიც გახლავთ და ციურ ხმებს ხშირად უნაცვლებს მამხილებელ, შემტევ განწყობილებას. აი, პოეტის სტრიქონები, სუფთა სინდისის და კაცურკაცობის გამოსარჩლებად თქმული:

ძირი ეთხრება წმინდა ოცნებას,  
სოფლის საცდური როცა ძალადობს...  
რისი ღირსია ის ქონდრისკაცი,  
სინდის-ნამუსი ვისაც ღალატობს?

არ გიჩნს კახაბრად, ვინაც არ არის, –  
ფეხთით მიგიდის თხათა არვები...  
სულს უმამაცესს და სისხლთა თხევას,  
შენს გზას ერთადერთს – მივესალმები.

საქართველო თავს უხრის და ყვავილებს ესვრის ანა კალანდაძეს სწორედ იმის გამო, რომ მან კარგად იცის თანამედროვე ეპოქაში პოეტის მისია და თანმიმდევრულად ეწევა პოეტისა და მოქალაქის მძიმე ტვირთს, სწორედ რომ კეთილი სულის გადასარჩინად და სიავეთა დასათრგუნავადაა მოწოდებული მისი ლექსი:

გადაუდგება უძლებ ფიტულებს  
დროდადრო შენი სუსტი აჩრდილი;  
შენი ხანმოკლე სიცოცხლის ფასად,  
კაცობრიობის გადასარჩინად.

ასე რომ, ანა კალანდაძეს თამამად და წელგამართულად შეუძლია გაიმეოროს: „გვეამაყება, რომ ჩვენს მალალ სულს ცხოვრების ჭუჭყი ვერ მოერევა“.

ანა კალანდაძეს, როგორც პოეტს, თავისი ფერი, თავისი ჯადო, თავისი სათქმელი აქვს, იგი თავის ბილიკს მიჰყვება; ხოლო პოეტის თქმისა არ იყოს: „ეს ბილიკი ზეცისკენ მიდის“.

ანა კალანდაძის ლექსი ზედმეტი სამკაულების გარეშე, სახეობრივ ზიზილ-პიპილოებსგარიდებული, ასე ღალად და მსუბუქად მიედინება:

ჯეჯილში ჩაიშრიალა თვალგახელილმა ყანამა?  
მთით მობერილმა ნიავმა, ნარგიზის იავნანამა,  
ერთი პანია ჩიორა მუხიდან მომესალამა,  
ია განგებამ დახატა, თუ ფიროსმანის ყალამმა?  
ყაყაროს „ღვინო სალხინო“ როგორ არ შესვას ანამა.  
„ჟუჟუნა წვიმა მოვიდა, დიდი მინდორი დანამა“.

### („ჟუჟუნა წვიმა მოვიდა“)

პოეტს ძალუძს კალმის მოსმით ბუნების ჰარმონიის მაგიური სურათი შექმნას. აქ ყოველი შტრიხი, ფერთა გამმა და განწყობილება მხოლოდ მისეული, ანასეულია:

თავგამოდებით გალობდა შაშვი  
და სხივთამთოვარს  
ეთხოვებოდა მზეს ნაძვის წვერი.  
ნითელი იყო ცა, ეზო, ოდა.  
ნისქვილი, შქერი. იყო რაღაცა იმქვეყნიური  
მზის გრძნეულ რკალში  
და ძველისძველი...



თავგამოდებით გალობდა შაშვი.  
და სხივთა მთოვარს  
ეთხოვებოდა მზეს ნაძვის ნვერი.

**(„ეთხოვებოდა“)**

ანა კალანდაძემ არა მარტო ახალი ურთიერთობა დაამყარა სამყაროსთან, არა მარტო თავისებური ჰარმონია დაუდო საფენე-ლად მის უნაზეს ლირიკას, რიტმიც თავისებური დაამკვიდრა:

შენს ლურჯ მწვერვალებს  
თოვლი რომ ფარავს,  
თერგს და დარიალს,  
ჩემო ქვეყანავ, დიდება მარად,  
მრავალჟამიერ.

**(„მრავალჟამიერ“)**

ან კიდევ

თუ დავიხრჩვები, ღვინომ დამახრჩოს,  
ვგავდე ყაყაჩოს სათისხალიანს.  
ძლივს მობარბაცებს მთვრალი ყაყაჩო,  
ომარ ხაიამ!

ანა კალანდაძემ ქართულ პოეზიაში ჩურჩულის ინტონაცია დაამკვიდრა. დაარწმუნა მკითხველი, რომ დიდი სათქმელი ურაპა-ტრიოტული გულზე მჯილის ცემისა და მაჟორული, დასარტყმე-ლინსტრუმენტებიანი ორკესტრის მსგავსი ლექსის გარეშეც შეი-ძლება:

შენ ისე ღრმა ხარ, ქართულო ცაო,  
შენ ისე ღრმა ხარ...  
სამკვიდრო შენს ქვეშ მტრად შემოსულმა  
ვერავინ ნახა.  
ვერცა ოსმალომ, ვერცა მონღოლმა  
და ვერცა სპარსმა.

შენი დიდების მომღერალია  
ოშკი და ზარზმა.  
ბებერი ტაო...  
შენ ისე ღრმა ხარ, ისე ფაქიზი,  
ქართულო ცაო.

**(„შენ ისე ღრმა ხარ“)**

პოეტის ლექსი ხან განწყობილების უშუალო ლირიკული ხატია (მაგრამ არა ფრაგმენტული, არამედ ხატივით სრული), ხან კი – სიუჟეტით დაკონკრეტებული და დრამატიზმით დამუხტული. მაგ-ალითად:

და რა ქალი? ხელისგულით სატარები...  
რა თვალები? ელვის ცეცხლის დამჭერი,  
ბომა ქალი, ვარსკვლავების სადარები,  
შეხედეს და... შეუკუროთხეს გამჩენი.

მეზღვაურებს გამომწვევად გვერდს აუვლის,  
ეტყვიან და, ისიც ეტყვის ურიგოს.  
ხელგაშლილი გადუდგება მეზღვაური:  
– მხოლოდ ერთხელ მაკოცეო, სულიკო!

ეს პანია სიყვარულის დოსტაქარი,  
განა დარდობს, თვალებს ცრემლით იოსებს?  
მხიარული ფეხშიშველი ბომა ქალი  
სტვენით მიდის პორტის სანაპიროზე.

**(„ბომა ქალი“)**

ჩურჩულითვე გადმოგვცემს პოეტი ლირიკული გმირის ტრაგი-კულ ხილვებს და ესაა სწორედ მისი ოსტატობის საიდუმლო:

და გულდამწვარი ვტოვებ ოსვენციმს,  
სავსეს ძვლებით და ოქროს კბილებით  
და მგონია, რომ ჩემს სიცოცხლეში  
მე არასოდეს დამეძინება.

**(„ოსვენციმში“)**

ღრმაა და იდუმალი ანა კალანდაძის პოეზია. ზოგჯერ ასე მაგური, არამინერი ხილვებით სავსე:

მე დავემყოფი კვლავ, გავექცე ჩემს მბრწყინავს ცთომილს,  
ასე დიდებულს ლამაზ ცას და ქვეყანას შორის,  
და დავინთქა იმ უძირო სიცარიელეს,  
სად უფეროდ რბიან დღეები?  
თუ... მე გავიქცე მასთან, ისე ვისწრაფი მისკენ,  
ვით წყლის სული და მიწის სული მიფრინავს ცისკენ  
ლურჯი კლდეებით?

**(„მე დავემყოფი...“)**

ხაზგასასმელია ანა კალანდაძის ლექსის კიდევ ერთი თვისება – სიტყვიერი ლაკონიზმი. არც ერთი ზედმეტი სტრიქონი, არც ერთი ზედმეტი სიტყვა, კომპოზიციური სიმტკიცე არაჩვეულებრივი სისადავით მიიღწევა:

დგახარ ქუჩის განაპირას,  
იებს ჰყიდი... – ჩემო კარგო,  
არაბი ხარ? – იეზიდი.  
როგორც ია თავდახრილი ბუჩქის ძირას,  
მორცხვი ხარ და როგორ გშვენის კდმა დიდი...  
– თქვი, შავთვალავ, არაბი ხარ?  
– იეზიდი.

**(„დგახარ ქუჩის განაპირას“)**

კითხულობთ ანა კალანდაძის ლექსებს და არ შეიძლება არ გაგაოცოთ პოეტური ხედვის მასშტაბებმა. თითქოსდა ცად ამალ-ლებული მგოსანი ზემოდან დასცქერის დედამიწის ბურთს:

მადლი გადმოდის ცისფერ მთებზე უხილავ გზებით  
და ლურჯი ტბების, ლურჯი ტბების თვალეში კრთება...  
ეს არის მიწის, დედამიწის მარადი ვსება.  
იმ გრძნეულებით, რაც მის სულში არასდროს ქრება...  
ო, უხილავნო, კვლავ დიდება თქვენს მეუფებას.

**(„კვლავ დიდება თქვენს მეუფებას“)**

ნახეთ, რა ლაპიდარულად ჩააქსოვა პოეტმა პატარა მინიატურაში ბუნების მთელი საიდუმლო – ჩიტის ტრაგედია და იქნებ არა მარტო ჩიტის?

რომელი ჩიტი იშენებს ბუდეს  
ქედვის რტოებზე, რომელი ჩიტი  
და მერე ტოვებს თავის საყოფელს  
და ცხრა მთას იქეთ მიფრინავს, მიდის?

თუ... არად უჩანს თვისი საუფლო,  
წარსულიც თვისი უჩანს არაფრად,  
რომ დაუგდია მას იგი ვანი  
ქვენწარმავალთ და გველთა ანაბრად?

ქანაობს ბუდე გარეჯის ცის ქვეშ.  
მას კატასავით ეპარვის ბინდი.  
რომელი ტოვებს თავის სამკვიდროს  
ქედვის რტოებზე, რომელი ჩიტი?

**(„რომელი ჩიტი“)**

ანა კალანდაძის ბგერწერა პანორამულია. პოეტი აბსტრაგირებას უკეთებს მოვლენის ზოგად ნიშნებს და პროზაულ დეტალიზაციამდე თითქმის არასოდეს ეშვება. გავისხენოთ ზამთრისპირის უზუსტესი გრაფიკული სურათი:

შენ ემზადები თოვლისათვის: ვარსკვლავის სხივებს  
გული დაუხმე და გაახმე ყველა ყვავილი.  
გაშიშვლებული ველ-მინდვრები მიუგდე წვიმებს  
შეგინებულ სალოცავივით.  
შორს გადახიზნე ყველა ჩიტი, შორს გადაკარგე  
და ყოველ ფოთოლს დაუმკვიდრე სასუფეველი.  
მოდის ზამთარი თეთრი ცხენით, ცივი ხელებით,  
ვითარც მტერი და მშვენიერების შენის მრბეველი...  
შენ ემზადები თოვლისათვის, ო, დედამიწავ!

**(„შენ ემზადები“)**

განა ეს ბიბლიური სურათი რენესანსის უკვდავ წარმომადგენელთა ფერწერულ სიუჟეტებს ტოლს დაუდებს?

დაბრწყინებული იყო ტაძარი,  
ცეცხლმა აავსო და თვალთა სხივმან.  
ხმა გუგუნებდა გუმბათიონით  
„შექმენ საფარე, ვერ გარყვნას მლილმან!“

შენს ლამაზ სახეს კელაპტრის ალი  
მიღმაქვეყნიურ სინათლეს ჰფენდა.  
ხმა გუგუნებდა ისევ და ისევ:  
„სახლს ნუ ააგებ ქვიშასა ზედა!“

დგას შორეული, მომწვანო ელვა.  
ქერუბონის, ცათა მყოფისა,  
კვლავ ჩურჩულებდა მოხუცი მათე:  
„შენ ხარ მარილი ამა სოფლისა!“  
გაცისკრებული იყო ტაძარი...

#### („გაბრწყინებული იყო ტაძარი“)

დავით აღმაშენებელზე რამდენი დანერილა, თუმცა პოეზიაში საქართველოს უპირველესი მეფის დიდებული, მაგრამ შინაგანად წინააღმდეგობრივი (და სწორედ ამით საინტერესო) სახის შექმნა ანა კალანდაძემ შთამბეჭდავად შეძლო:

ფეხი დამადგით,  
გულზე დამადგით ფეხი ყოველმან,  
წყალობა ჰყავით.  
საქართველოს ყოვლის მპყრობელმან  
ვისურვე, დავით...  
ფეხქვეშ გაცვითეთ საფლავის ლოდი  
ყურძნის მტევნებით.  
– ასეთი ცოდვა რა გაქვს, მეფეო,  
მიუტევები?  
ღირსმსახურებდი ქართულ მიწა-წყალს,

რაი გადარდებს?  
გასწიე იგი „ნიკოფსიითგან  
დარუბანდამდე“...  
თუ ეს მაღალთა თავმდაბლობაა  
ოდით და ოდით?  
თუ ცოდვილი ხარ, მაშინ, მეფეო,  
რალა ჰქნან ცოდვილთ,  
სულის სიმშვიდის, სულის სიმშვიდის  
ვერსით მპოველთა?  
– გულზე დამადგით, ფეხი დამადგით  
გულზე ყოველთა.

#### („ფეხი დამადგით“)

რა გაფაციცებულთა პოეტის მზერა, რა ულტრამგრძობიარეა მისი პოეტური ნერვი, ისე სათუთია მისი პოეტური მგრძობელობა, რომ ამ ბობოქარ საუკუნეში, როცა ქვეყანა დენზე ჩართულივით დგანდგარებს, მას შეუძლია ბელურას მკერდის ფეთქვაც შეამჩნიოს:

ბელურას სძინავს გრძნეული ძილით,  
ბელურას სძინავს და ყოველ დილით  
იგი ჟივჟივით შეხვდება მზესა.  
და კიპარისის ამაყი ჩრდილი  
კვლავ მძიმე რხევით დაეფინება  
ვარდ-ყვავილებით მოხატულ კედელს...  
ო, როგორ ფეთქავს ბელურას მკერდი.

#### („ბელურას სძინავს“)

გალაკტიონის ხსოვნისადმი მიძღვნილ ლექსში ანა კალანდაძე წერს:

ლამაზი სული ქართ, ფოთლებით,  
თავის სიმშვიდით და შემფოთებით,  
ქლიავისა და ატმის ტოტებით


საგაზაფხულო მიწას შორდება.  
და ზამბახები ჩუმი ეტლებით  
და ბეთანიის ლურჯი იები,  
ანგელოსები პერგამენტებით  
ღრუბლებისაკენ მიაცილებენ.

(„გალაკტიონის ხსოვნას“)

აქ არც ერთი სიტყვა არ არის გალაკტიონის სახობობოდ აღვ-  
ლენილი, მაგრამ მთელი ლექსი, სწორედ რომ გალაკტიონის პოე-  
ზიით სუნთქავს.

ანა კალანდაძის ლექსი ამქვეყნად სიყვარულის და სათნოების  
მოციქულია. ამ გრძნეული ფენომენის გარეშე ბევრს დაკარგავდა  
მეოცე საუკუნის ქართული ლექსი.

**ნოდარ დუმბაძე**  
(1928 – 1984)



მეოცე საუკუნის „სამოციანელთა“ თაობის პროზაიკოსთა შო-  
რის ნოდარ დუმბაძეს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს:

დაიბადა 1928 წელს თბილისში პარტიული ფუნქციონერის,  
ვლადიმერ დუმბაძის ოჯახში. დედა – ანა ბახტაძე, დიასახლისი  
გახლდათ. 1937 წელს ნოდარ დუმბაძის მშობლები დააპატიმრეს  
და მომავალი მწერალი გურიის სოფელ ხიდისთავში ბებია ალ-  
ზარდა.

1950 წელს ნოდარ დუმბაძემ თბილისის სახელმწიფო უნი-  
ვერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტი დაამთავრა. ერთხანს  
იქვე მუშაობდა ლაბორანტად. მალე მკვლევლობის ბრალდებით  
დააპატიმრეს, მაგრამ დანაშაული არ დაუმტკიცდა და გაათავი-  
სუფლეს. სტუდენტობის დროს ლექსებს წერდა, მერე „ნიანგში“  
გამოქვეყნებული ფელეტონებით (ჯვებე დუმბაძეს ფსევდონიმით)  
ნიჭიერი ფელეტონისტის სახელი დაიგდო. 1960 წელს გამოაქვეყნა  
პირველი რომანი „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“.

რვა წლის განმავლობაში (1965-73) „ნიანგს“ რედაქტორობდა,  
ბოლოს საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარეც იყო.  
გარდაიცვალა 1984 წელს.

„მე ბებია, ილიკო და ილარიონი“ მკითხველმა გულთბილად მიიღო. პროზაიკოსმა ჩვენს წინაშე გააცოცხლა „გურიაში ყველაზე მხიარული სოფელი, რომელსაც მარჯვნივ გუბაზოული ჩაუდის და მარცხნივ ლაშის ღელე, ღელე სავსეა ღორჯოებით და შარვალდაკაპინებული ბიჭებით, ყოველ გაზაფხულზე მოვარდნილ წყალს მიაქვს ხიდი და მხოლოდ ხიდის თავი რჩება“. აქ კურდ-ლის ნაცვლად საკუთარ ძაღლზე ნადირობენ და მერე ადამიანი-ვით დასტირიან. აქ რუსულის სწავლა უჭირთ იმის მიუხედავად, რომ „მთელი რუსეთი რუსულად ლაპარაკობს“. აქ მხოლოდ ერთი შარვალი აქვთ და ყოველ წელს ორი საშემოდგომო გამოცდა. აქ ხელმოცარული მეველე საკუთარ თხას იჭერს, მუშაობაში ჩამეთვლებაო. აქ საკოლმეურნეო კანტორის შენობას ანგრევენ და თავმჯდომარის სახლის წინ დგამენ. აქ ომის დროს ქალაქის ნაკლებობის გამო, ზურთიკო ვაშალომიძე მხოლოდ შვიდ-რვა ლექსს წერს დღეში. – ამას ყველაფერს კეთილი ჰუმორის მაღლი ჰყვინია. მაგრამ აქ ყველაზე ჯანსაღი და „სერიოზული“ ცხოვრება დულს. ადამიანები ცივ ზამთარში უკანასკნელ ნაბაღს და ჩექმას იხდიან და უგზავნიან ომში წასულთ. ბებია ოღლა თეთრი ზამთრის ცივ ღამეში თავისი მოხუცი სხეულით გამთბარი მატყლით წინდებს უქსოვს ჯარისკაცს. „ილიკოს ცალი თვალი გაფუჭებული აქვს და ცხოვრებას საღი თვალით უყურებს“. ნ. დუმბაძე ახერხებს და ოსტატურადაც, ჰუმორული სისადავე გაუბრალოებამდე არ დაიყვანოს, რის საშიშროებაც ხშირად დგას მწერალ-იუმორისტის წინაშე. რომანში მხატვრული ზომიერებით ენაცვლება ერთმანეთს სიცილი და ტირილი, სიხარული და სინანული, სატირული და ლირიკული მომენტები.

1962 წელს მწერალმა გამოაქვეყნა მეორე რომანი „მე ვხედავ მზეს“.

მოქმედება ისევ სოფელში იშლება. მოქმედების დრო ისევ სამამულო ომის პერიოდია, და, ბუნებრივია, მოქმედი პირნიც სოფლის უბრალო ადამიანები არიან.

1941 წლის ივნისის ერთ ჩვეულებრივ დილას ყანაში მიმავალი კოლმეურნეები შედგნენ მოულოდნელობისა და გაოცებისაგან. აი, როგორ ზომიერად, რომ იტყვიან, კალმის ერთი მოსმითაა დახატული ომის გამოცხადების სურათი:

„მთელი ჩვენი სოფელი ფოსტის წინ იდგა. თოხებზე დაყრდნობილ ხალხს თავი მაღლა აენია და ფოსტის სვეტზე გადმოკიდე-

ბულ დაფლეთილ რადიოს უგდებდა ყურს. რეპროდუქტორი ცახ-ცახებდა, ხრიალებდა და ხრინწიანი ხმით რალაცას გადმოსცემდა. ყველა სდუმდა. მე რომ მივედი, რეპროდუქტორიც დადუმდა.

– გამარჯობა თქვენი – ვთქვი მე, ხმა არავის გაუცია.

– გამარჯობა, ხალხო, თქვენი – გავიმეორე მე გაუბედავად. არავინ არაფერი მიპასუხა.

– გერასიმე ბიძია, რა მოხდა? – ვკითხე კარის მეზობელს და შევანჯღრიე. მან უაზროდ მომხედა, მერე ფოსტის კიბეზე ჩამოჯდა, თუთუნი ამოიღო და ისე გაახვია, თითქოს არც დავენახე.

– თქვი, ასალო ბიძია, რა მოხდა? – შევევედრე ახლა გერასიმეს გვერდით ჩამომჯდარ მეორე მეზობელს. მან თავიდან-ფეხებამდე ამათვალიერ-ჩამათვალიერა. დიდხანს მიყურა თვალებში. მერე პირი ამარიდა და ისე მითხრა:

„ომია, სოსოია, ბიძია, ომი“.

თხრობა პირველ პირში მიმდინარეობს. 12-16 წლის სოფლელი ბიჭი ჰყვება რომანში მოთხრობილ მთელ ამბავს. ამით მწერალმა მოქმედების განვითარების მეტად ძნელი გზა აირჩია. აქ მწერლის შემოქმედებითი ფანტაზია ერთგვარ ჩარჩოებშია მოქცეული. ფეხდაფეხ უნდა მიჰყვებოდე, ზედმიწევნით უნდა იცნობდე იმ ასაკის ბავშვის ცნობიერებას. მოვლენებში უნდა დაინახო მთლიანად ის და მხოლოდ ის, რასაც სოსოია მამალაძე დაინახავდა. და წერის სტილიც, ენაც უნდა შეუფარდო ბავშვის ხასიათსა და მეტყველებას.

ამ სირთულეს ნოდარ დუმბაძემ შესანიშნავად გაართვა თავი. ნაწარმოების ყველა სტრიქონით თქვენ გესაუბრებათ ყმანვილი და ისე დამაჯერებლად, თითქოს მწერლისთვის ადგილიც კი არ რჩება, მკითხველს შეახსენოს თავისი არსებობა. იგი სოსოიას სულის სიღრმეში ზის და ჭეშმარიტი მხატვრის უხილავი ხელით მართავს მისი გულისა და გონების ყოველ მოძრაობას.

ომი...

ლუკაია ფოცხიშვილს ვაშლი მიაქვს ბაზარში გასაყიდად და ომის დაწყების ამბავს რომ შეიტყობს, შუა გზიდან უკან ბრუნდება.

და აი, სოფლის მოედანზე უამრავ ხალხს მოუყრია თავი. აქ არიან ომში მიმავალთა დედები, მამები, ცოლები, ძმები, შვილები. ყველა მათგანმა იცის, რომ გულის ყველაზე მტკივნეული ძაფი იძაბება, იჭიმება და სადაცაა განყდება. მაგრამ ცრემლს იშვიათად შენიშნავ მათს თვალებზე. ისინი იცინიან, ხუმრობენ. იმედიან

განწყობილებაზე არიან, ასე ხედავენ სოსოია და მწერალი მათ სახეებს და ასეთია თვით ცხოვრებაც. კომიკური სიტუაციების და მახვილი ფრაზების ჩართვით ნოდარ დუმბაძე სრულებითაც არ აუბრალოებს გამომშვიდობების, ადამიანის ცხოვრებაში ამ მეტად დრამატული მომენტის სურათს. აბა, დააკვირდით დედების, ცოლების და საცოლეების ცრემლმორეულ თვალებს, დააკვირდით ბებერი მაცენტროს აცახცახებულ ბეჭებს და მონყენილ სახეს. დაკვირვებული მკითხველი ადვილად შეამჩნევს, რომ აქ ხუმრობა იმედინობის, რწმენის განმტკიცების, სიკვდილისადმი პროტესტის მიზნითაა ჩართული და სიტუაციას სრულყოფილებას ანიჭებს.

სხვა დრო იყო, როცა ქართველი დედა ომში მიმავალ ვაჟკაცს ხმალს აწვდიდა და ეუბნებოდა – ვაჟკაცურად მოკვდიო. მაგრამ ახლა სხვა ომია. სხვა ეპოქაა. ეს კარგად იცის რომანის ავტორმა და მოხუცი ქალის სიტყვები: „არ შეაკლა, ნენა, თავი მაგ სასიკვდილეებსო“ – უფრო ბუნებრივად, თბილად, შთამბეჭდავად ჟღერს.

„ის დღე გავდა ზღვის მოქცევას“, სოფელში აღარ ისმის ვაჟკაცების ომახიანი ხმა. მათ ნაცვლად „შრომის ფრონტზე“ ქალები დადგნენ, დათიკო ბრიგადირი ქსენია ბრიგადირმა შეცვალა და შემთხვევითი როდია კონია ფოსტალიონის მისალმება: გამარჯობათ თქვენი, ქალებო, მიუხედავად იმისა, რომ გერასიმე, ლუკაია, ბესარიონა და სოსოია იქ არიან.

სოფელს თითქოს ჩაის ბუჩქებით ააცალა ომმა ნორჩი ყლორტები, მაგრამ იგი კვლავ ძველებურად ცოცხლობს. სოსოიას შეკითხვაზე მამიდა უპასუხებს, სწავლაც იქნება, ჟორჟიკას ქორნილიც იქნება და ყველაფერი იქნებაო. აი, ხალხის სულისკვეთება, ბესარიონა შალიკაშვილის პირით თქმული:

„აგი დუნია პატარა ნუ გგონიათ. რამდენი ბესარიონა და ქსენია დეიარება ამ ქვეყანაზე და ურტყამს თოხს? რამდენ ლუკაიეს და გერასიმეს ბიჭს უკავია თოფი ხელში? რამდენი სოსოიე და ხატიე დარბის ამ ქვეყანაზე? იმდენი დღე და ხანი დაჭირდება პიტლერს, სანამ ომს მოიგებდეს. სისხლი არ ეყოფა ძარღვში და ძალა მუხლში“.

ომმა სრულიად მოულოდნელად მოსწყვიტა ადამიანები კერას. ზოგმა ახალშერთული მეუღლე დატოვა, ზოგმა – თვალცრემლიანი საცოლე. მათ მიწასთან, რომელიც გაურკვეველი ხნით უნდა დასტოვონ, დიდი ღონიერი ჯაჭვი აკავშირებთ, აქ უღალატა ზოგიერთს ნებისყოფამ და ბრძოლის ველიდან ლაჩრულად გამოიქცა.

ბუნებრივია, რომ მათ დეზერტირებს, სამშობლოს გამყიდველებს უწოდებენ. მაგრამ აქ საკითხს მეორე მხარეც აქვს, ნამდვილად ბოროტი, გულქვა, უსიყვარულო ადამიანები არიან ისინი (რა თქმა უნდა, ყველა „დეზერტირზე“ არ შეიძლება ეს აზრი გავრცელდეს), თუ მთელი მათი ტრაგედია ხასიათის, ნებისყოფის სისუსტიდან იღებს სათავეს?

ქეთევანმა მაშინვე იცნო დათიკოს ხმა, მაგრამ კარებს არ უღებს და ბრიგადირის ძახილზე:

– „კარი გამიღე, დათიკო ვარო“ –

– „დათიკო ჯარშიაო“ – უპასუხებს. ამ ერთ ფრაზაშიც ნათლად ჩანს, რომ ქალს არ უნდა საყვარელ ადამიანში მოღალატე დაინახოს.

სოფელი – ეს ხალხია, ხალხი თვით ცხოვრებაა და როგორც ადამიანს საკუთარ ცხოვრებისაგან მოწყვეტა არ შეუძლია, ისე ვერ გაძლებს იგი უხალხო, უადამიანებოდ.

– არ გინდებვართ? არც მე მინდებხართ, გეგონათ, ვერ გაძლებდით უთქვენოთ? – ამბობს დათიკო და „ტყეში გარბის მგელივით“. სოფელმა მოიკვეთა, შეიძულა იგი, და ამ საყოველთაო „ბოიკოტით“ სასტიკად დაამარცხა. დიახ, დათიკო მოტყუვდა, ტყეში მხოლოდ იმ შემთხვევაში გასძლებდა ფირალი, თუ ხალხისგან „მაგარი ზურგი“ ჰქონდა, უდროო დროის ყაჩაღს კი წისქვილითაც აუკრძალეს სარგებლობა. დათიკოს კაციც კი შემოაკვდა; მაგრამ მკვლელის სული არასოდეს მჯდარა მის სხეულში და ნაწარმოების ბოლოს ხალხისაგან განწირული (რადგანაც ხალხი იშვიათად გაპატიებს დიდ შეცდომებს) მწერალმა მთლიანად არ გასწირა იგი. ხატიას გადარჩენის შემდეგ დათიკოს ტყისკენ არ გადაუხვევია, გზას გაჰყვა, ეს გზა იქნებ სიმბოლური მინიმუმბაცაა მონანიე კაცის წორ გზაზე დადგომისა.

სამაგიეროდ, ხალხი ღირსეულად ეპყრობა ღირსეულს. აი, რა მონუმენტური სურათი დაგვიხატა მწერალმა ლუკაია ფოცხიშვილის საკოლმეურნეო კრებაზე გამოსვლისას, იმ ლუკასი, რომელსაც ომში ერთადერთი შვილი (კუკური) დაეღუპა, იმ კრებაზე, რომელზედაც ზარმაცებისა და სპეკულანტების საკითხს იხილავენ.

„ლუკაია ამ ღამის შემდეგ ხმაამოღებული არავის უნახავს. იგი მზეზე ადრე ამოდიოდა კონცხოულას მთაზე, მუშაობდა ხარვივით, მზეზე გვიან ჩადიოდა თავის ეზოში. წვებოდა პარმალზე, თვალებს

ხუჭავდა და ქვეყანა რომ დაქცულიყო, თვალს არ გაახელდა. ლუკაია შეცბა, გაკვირვებული ადგა, მერე ისევ დაჯდა, მაგიდასთან გავიდა, წყალი დალია და უცებ დაიხრიალა.

– თუთუნი! – წინა მერხებზე მსხდომმა ათმა კაცმა ჩაიყო ჯიბეში ხელი და მაგიდა თუთუნით გაივსო. ათმა კაცმა მოხია გაზეთი და მაგიდა ქალღმერთით გაივსო. ათმა კაცმა ჩამოჰკრა კვეს-აბედი და ოთახი დამწვარი აბედის სასიამოვნო, ტკბილი და დამათრობელი სუნით აივსო. ხელის კანკალით გაახვია ლუკაიამ ცერის სიმსხო სიგარა. მოქაჩა და ღრმად ჩაისუნთქა. კლასი სდუმდა სამარესავით, ლუკაიას შუბლზე ცივი ოფლი ესხა ცვარივით.

– მე რა, მე – დაიწყო ლუკაიამ – ჩემთვის ომი დიდი ხანია გათავებულია. მე ახლა გულზე უნდა მეკრიფოს მკლავები და სულს უნდა ვლაფავდე, მაგრამ სადაა მიქელ გაბრიელი, არც ღმერთი სწამს და არც რჯული... არ მოდის არ მოდის და ნუ მოვა. სანამ მოსულა, ვერ დავიკრეფ გულზე ხელს, რაც სისხლი მაქვს, ოფლად ვაქცევ, რაც ცრემლი შემრჩენია, სისხლად ვაქცევ, იპოვის ჩემი ბიჭის კვალს, დედამინის გულს რომ გაიარს, აბა, რას იზამს“.

ლუკაიას ხსენებასთან დაკავშირებით მიიწინა რომანის ერთ-ერთ მეტად საინტერესო დეტალს გავუსვა ხაზი.

ანატოლიმ ლუკაიას და ვარვარას სამგლოვიარო არშია მოაცილებინა კუკურას სურათისათვის. როგორ სჭირდებოდა მაშინ დაღუპული კუკურას მამას ნუგეში, იმედის მიცემა და ანატოლიმ სიტყვებით „ქალღმერთი მიიღე და დამარხე ბიჭი? როგორ გაიმეტე ასე უცებ ერთი შვილი სასიკვდილოდ? არ გყვარებია შვილი. ცნობა მიიღე მოკვდაო? მე მოგცემ ას ცნობას, რომ ცოცხალიაო“ – ანუგეში კი არა, თითქოს შვილი გაუცოცხლა მას.

ლუკაიამ ხელის კანკალით ჩამოხსნა ფანჯრებზე შავი ფარდები და მერე მას მთელმა სოფელმა მიბაძა. „ვინ იცის, იქნებ ცოცხალია, იქნებ შეცდნენ დეპუტის გამომგზავნი?“ – ამას ფიქრობდნენ, ამ ფიქრით ელოდნენ წასულთ.

და ნოდარ ღუმბაძის პერსონაჟები უარს ამბობენ ამ „მატყუარა ქალღმერთზე“.

„...ეს უზარმაზარი, შიშით გატრუნული დარბაზი ჩუმად ადგა, როგორც გასვენებაზე, ისე თითო-თითომ მორიდებით ჩაუარა მაგიდაზე დამხობილ კონიას და დეპუტებს. თითქოს მაგიდაზე შავი ჭირით გათავებული, სახეზე სუდარაგადაფარებული მიცვალებული ესვენა“.

რომანში ჩანს, რომ ნოდარ ღუმბაძე კარგად იცნობს ომის-დროინდელ სოფელს. და მისი ცხოვრების მართალ, კოლორიტულ სურათებს იძლევა.

რა ადამიანურია ბაბილოსა და კაკანოს დამოკიდებულება სიმინდის საშოვნელად წამოსულ ხატიასა და სოსოიასადმი. რა კარგად ჩანს აქ სტუმართმოყვარული ბუნება, ასე ფესვმაგრად რომ არის გამჯდარი ქართველი კაცის გულსა და ხასიათში.

ნაწარმოების მთავარი პერსონაჟის, სოსოია მამალაძის სახე ზემოთაც აღვნიშნეთ, რომ საინტერესო და დამაჯერებელია. მის ხასიათში არაფერია საკამათო და გადაჭარბებული. იგი კეთილი, ტლუ სოფლელი ბიჭია, რომლის გულში, როგორც სარკეში, შეუფერადებლად აისახება მოვლენები. ზოგჯერ, შეიძლება ზედაპირულადაც, მაგრამ მაშინაც ისე, როგორც ბავშვის გონება აღიქვამდა.

ნაწარმოებში მშვენივრად იგრძნობა სოსოიას ხასიათის ზრდაც.

ყველაზე უფრო დასამახსოვრებელი სახე რომანში მაინც ხატიანია. ეს უსინათლო გოგონა თითქოს სიკეთის, სიყვარულის პირდაპირი განსახიერებაა და ხასიათის კარგი (მხოლოდ კარგი) თვისებები იმდენადაა მის პიროვნებაში ხაზგასმული და ამალღებული, რომ მკითხველის ცხოვრებაში იგი ზოგჯერ ეთიშება კიდეც გარემომცველ სამყაროს და სიმბოლურობამდე ადის.

სათნო, კეთილი ქალია მამიდა, იგი ნაწარმოებში, ერთი შეხედვით, ყველაზე ჩუმი, უპრეტენზიო პიროვნებაა და ამავე დროს მოვლენების მიმართ არასოდეს არ არის პასიური.

ასევე საინტერესო პერსონაჟია ანატოლი. იგი ვაჟკაცური ბუნების რუსი გლეხია. აქვე მცირე შენიშვნაც უნდა გავაკეთოთ იმის შესახებ, რომ მწერალს აუხსენლად არ უნდა დაეტოვებინა, საიდან გაჩნდა იგი გურიის სოფელში.

„მე ვხედავ მზეს“ შესანიშნავი მხატვრული ფორმითაც გამოირჩევა. ნაწარმოები სავსეა ფრთიანი თქმებით, მართალი შედარებებით, განპიროვნებებით, მოხდენილი ეპითეტებით.

სოფლის შარაგზასთან სოსოიას საუბრები საინტერესოა ხალასი ბიჭის მსოფლმხედველობის, სულისკვეთების გასაგებად და მხატვრული შესრულებითაც ერთ-ერთი საინტერესოა რომანში, მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს:

„საით მიდიხარ, ჩემო სოფლის ბილიკო, საით მიგყავს ჩემი სოფელი, მე პირველად გნახე შენ, ცოცხალი, მოძრავი, ორმოც-

დაერთში. მაშინ შენ ნახვედი და სად წაიყვანე იმდენი ზღვა ხალხი. შარაგზაო, ომში? მერედა, სულ დაღმა ხომ არ მიდიხარ, დალოცვილო, სადღაც ხომ თავდები და ბრუნდები უკან, ჰოდა, დამიბრუნე ჩემი ხალხი, შარაგზაო, დამიბრუნე მეზობლები, ყველაფერი დამიბრუნე...“

და შემდეგ „უკან ბრუნდებოდა ორმოცდაერთში ამ ცუდად მოკირწყლული შარაგზით წასული ჩემი სოფელი. იგი ბრუნდებოდა ორდენებით მკერდდამშვენებული, დაჭრილი, დაგლეჯილი, სისხლდაკარგული, მაგრამ მაინც ძვალმაგარი, ღონიერი და ძლიერი. იგი ბრუნდებოდა ევროპის უსასრულო შარაგზებიდან ჩექმადამტვერილი, თითო-თითო, გაფანტული, იმავე ბილიკით, რომელითაც წავიდა ივნისის მცხუნვარე დღეს“.

და (დაუკვირდით აქ რა მართალი, რა მშვენიერი შედარებაა) „ეს ბილიკი ახლა მორევში გადაგდებული დიდი ბადის მოსაზიდ თოქს ჰგავდა, რომელსაც ფრთხილად და დაჟინებით ეწეოდა თავისკენ მიწაზე ფეხმომაგრებული სიცოცხლე“.

რომანისტს იუმორისტული ხასიათების და სიტუაციების შექმნის დაუშრეტელი უნარი გააჩნია. მკითხველს ბოლომდე ღიმილი არ მოსცილდება. იუმორი ნაწარმოების მხატვრულ და იდეურ ტექსტშიც და ქვეტექსტშიც ოსტატურად არის ჩართული და ზომიერების ფარგლებს იშვიათად ან თითქმის არ სცილდება.

იშვიათად მეთქი იმიტომ ვახსენებთ, რომ გვაქვს ორიოდე შენიშვნაც.

ხატია, რომელიც ყველაზე ლამაზი და ჭკვიანი გოგოა მთელს ჯგუფში, ახალშემოსულ მასწავლებელს ვერ გაუბედავდა: „მოხარული ნაბლი არ გიყვართ, მასწავლებელო?“

ნაწარმოების საერთო ხაზიდან ამოვარდნილია და მოძველებული ფელეტონის შთაბეჭდილებას ტოვებს კოლმეურნეობის წინაშე თბილისელი ლექტორის მიერ – „ეთიკის ნორმებზე“ საუბარი.

რამდენიმე წლის შემდეგ ნოდარ დუმბაძემ ახალი რომანი მიაწოდა მკითხველს სახელწოდებით „**მზიანი ღამე**“.

„**მზიანი ღამე**“ ორმოცდაათიანი წლების თბილისს ეხება. იგი სტუდენტ თემო ბარამიძის ტკბილმწარე დღეებზე გვიამბობს. იწყება იმით, რომ გადასახლებიდან ჩამოდის თორმეტი წლის უნახავი დედა და მთავრდება დედის სიკვდილით. ამ ორ თარიღს შორის ჩატყულა რომანის მოქმედება. ბარამიძის ხასიათის წვრთნა

ქუჩაში სხვადასხვა ზნეობისა და შეხედულებების ადამიანებთან ურთიერთობის გარკვევით მიედინება.

სამოცდაათიანი წლების დასაწყისში (1971) ნოდარ დუმბაძემ დაწერა „**ნუ გეშინია, დედა**“. რომანის მთავარი პერსონაჟი, ავთო ჯაყელი, მესაზღვრეა. რომანში მესაზღვრეთა ჰეროიკული ცხოვრების ჩვენებას სრულიად ბუნებრივი სევდაც ახლავს; სევდა ორად გახლეჩილი საქართველოს გამო. სარფთან ეს ტრაგედია განსაკუთრებით მძაფრად შეიგრძნობა. ერთიმეორეს შესცქერიან შუაზე გაყოფილი სოფლის მკვიდრნი და ერთმანეთისთვის ხმა ვერ მიუწვდენიათ. იმ არცთუ უმნიშვნელო (მაგრამ უკანონო) მიზეზის გამო, რომ სოფლის ერთი ნაწილი სხვა სახელმწიფოს ეკუთვნის, ხოლო მეორე ნაწილი – მეორე სახელმწიფოს.

ნოდარ დუმბაძის ამ ახალ რომანში ვხვდებით შესანიშნავად დაწერილ ეპიზოდებს, ბრწყინვალედ მიგნებულ პასაჟებს, ჯანსაღ, მახვილგონივრულ იუმორს:

ჯანსაღი იუმორის ნიმუში:

„– ყოველივე ზემოთქმულიდან, არსებულიდან, შესწავლილიდან და დადგენილიდან თამამად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველო არის მსოფლიო ცივილიზაციის ერთ-ერთი კერა და აკვანი – დაამთავრა ექსკურსიამძღოლმა თავისი მგზნებარე სიტყვა, შუბლზე მომსკდარი ოფლი უზარმაზარი თეთრი ცხვირსახიციო მოიწმინდა და გენერალს მიაშტერდა. ყველანი სმენად ვიქცით. საბოლოო სიტყვა გენერალს ეკუთვნოდა. გენერალმა კიდევ ერთხელ გახედა სივრცეს.“

– Мдаа... хороший наблюдательный пункт!

მალალი, გონივრული იუმორის ნიმუში:

„მიდი, აბა, გაგზომავენ! – მივედი და გამზომეს.“

– რამდენია? – იკითხა კომისიის თავმჯდომარემ.

– ერთ მეტრი და 69 სანტიმეტრი.

– დაწერე მეტრ სემდესიატ! – უბრძანა მზომავს.

– „გმადლობთ, ბატონო! – ვუთხარი მე.“

– თუ გინდა, მეტრ სემდესიატ ადინს დაგინერ, – მითხრა მან და მზრუნველი თვალი შემავლო.

– გმადლობთ, ბატონო, მეტრ სემდესიატი მეყოფა, – დავუკარი თავი“.

პროფესიონალი მწერლის გამოცდილი ხელით, დიდი მხატვრული დამაჯერებლობით და შთამბეჭდაობითაა დაწერილი „საზ-



ღვრის დამრღვევი“ დავითის ეპიზოდი. სოფლისა და ქალაქის სასაფლაოთა შედარება, მერაბიას საოცრად ლირიკული, ჰუმანიზმით აღსავსე მოტივი. აღლევების გარეშე ვერ წაიკითხავთ ბრწყინვალედ დაწერილ ხანძრის სცენას და მევენუნესა და ავთანდილ ჯაყელს შორის გამართულ ასეთ სულიშემძვრელ დიალოგს:

„ – ხომ არ გვემდური, გოგო, მევენუნე?

– რას ამბობ, ჯუმა მოგაფერი, თქვენ რომ არა, მთელი სოფელი დაინვებოდა.

– შეშინდით, მევენუნე?

– ჩვენ რალა გვიჭირს ანი, ჯუმა მოგაფერი. შენ ხომ არ დაინვი?

– არა უშავს, მევენუნე, გამივლის.

– რა გახდა, ჯუმა მოგაფერი, მაინც და მაინც, ქვეყანა უნდა დაინვას, ისე ახლოს რომ გხედავდე ჩემს სისხლსა და ხორცს?“

**„თეთრი ბაირალები“** ისე, როგორც ნოდარ დუმბაძის სხვა რომანები უხვადაა ნასაზრდოები მწერლის ავტობიოგრაფიული მომენტებით. ზაზა ნაკაშიძე კაცის მოკვლის ბრალდებით დააპატიმრეს. რომანში შესანიშნავადაა დახატული ციხის ატომსფერო და ახალგაზრდა ინტელიგენტის დამოკიდებულება კამერაში ათასი ჯურის დამნაშავესთან. შეიძლება ითქვას, რომ ნოდარ დუმბაძე სამოციანი წლების ერთ-ერთი პირველი მწერალია, საბჭოთა ციხეში რომ შეგვახედა. რომანს წითელი ზოლივით გასდევს იმედი იმისა, რომ ადრე თუ გვიან სამართალმა პური უნდა სჭამოს და ზაზა ნაკაშიძის უდანაშაულობა უნდა დამტკიცდეს. ზაზას ოპტიმიზმი ამჯერად გამართლდა. იგი გაათავისუფლეს, თუმცა ციხეში ყოფნამ საგრძნობლად გარდაქმნა მისი ბუნება, ზაზამ ადამიანის ყადრი გაიგო. ავ-კარგის გარჩევა ისწავლა.

1980 წელს ნოდარ დუმბაძის ახალ რომანს, **„მარადისობის კანონს“**, საბჭოთა იმპერიის უმაღლესი ჯილდო – ლენინური პრემია მიენიჭა.

ნაწარმოებში ავტორის მოქალაქეობრივი პოზიციის გამომხატველი, უპირატესად, რომანის მთავარი პერსონაჟი, მწერალი და რედაქტორი, ბაჩანა რამიშვილია. რომანში მოვლენები ბაჩანა რამიშვილის თვალთაა დანახული და შეფასებული, ბაჩანა რამიშვილია ის კაცი, რომელმაც „მარადისობის კანონი“ აღმოაჩინა, რომლის ირგვლივაც იკვრება რომანის სიუჟეტური ინტრიგები. ნაწარმოები ძირითადად ბაჩანას ავად გახდომის (ინფარქტი) და

მისი გამოჯანმრთელების ისტორიაა. თუ ბაჩანა რამიშვილი თვით მწერლის მსოფლმხედველობრივი პოზიციის მთლიანად გამომხატველი არ არის, ის მაინც ეტყობა რომანის მთელს მოქმედებას, რომ ავტორის სიმპათიები ბაჩანა რამიშვილის მხარეზეა.

ბაჩანა რამიშვილი რომანის პერსონაჟთა შორის უაღრესად კაცთმოყვარე, ობიექტური, სუფთა სინდისის მქონე, ალაღმართალ კაცადაა მიჩნეული თუმცა, უნდა ითქვას, რომ ბაჩანა საკმაოდ უპრინციპო, განდიდების მანიით შეპყრობილი, უსულგულო და უმეგობრო კაცია. იგი ხშირად უსვამს ხაზს, რომ ყველაზე ჰუმანური მწერალია, დეპუტატი და ცეკას წევრი. წამდაუნუმ პიტნასავით ატენის ცხვირში სხვებს თავის „პატიოსნებას“ და როცა ეკითხებიან კომუნისტურ პარტიაში რატომ შედიხართო, – მინდა, რაც შეიძლება მეტი პატიოსანი კაცი იყოს პარტიაშიო.

ბაჩანა რამიშვილი ლიტერატურულმა კრიტიკამ ლამის სამაგალითო პერსონად წარუდგინა საზოგადოებას, თუმცა სინამდვილეში იგი სწორედ საბჭოთა წყობილების მსხვერპლი გახლავთ. თავის თავზე ავადმყოფურად შეყვარებული, სნობიზმით დაავადებული ბაჩანა, ალბათ, მწერალმა ასეთ კაცად იმიტომ ჩაიფიქრა, რომ ამით ეჩვენებინა, თუ როგორ შეიძლება საზოგადოების მაღალ ფენებში (და მაღალ თანამდებობაზე) გამძვრალიყო სწორედ მსგავსი არაგულწრფელი, მლიქვნელი და ცინიზმით შეპყრობილი რედაქტორი, რომლის რთული ბუნების ამოხსნა ირგვლივ მყოფთ არ ძალუძთ სწორედ კაცურ კაცობაზე თავიანთი „საბჭოური“ წარმოდგენის გამო.

გარდა რომანებისა, ნოდარ დუმბაძე საინტერესო მოთხრობების ავტორიცაა. მოთხრობათაგან განსაკუთრებით ღირებულია: **„ძალი“**, **„კორიდა“**, **„დედა“**, **„ხაზარულა“**, **„დიდრო“**, **„სისხლი“**, **„ჭელადოს“**, **„კუკარაჩა“**, **„ბოშები“** და სხვა.

ვფიქრობ, ნოდარ დუმბაძეს, ხალასი იუმორისა და სევდიანი პასაჟების მწერალს, მკითხველის ყურადღება დიდხანს გაჰყვება.



**შოთა ნიშნიანიძე**  
(1929 – 1999)

კარგა ხანია ქართულ პოეზიაში გაისმის შოთა ნიშნიანიძის სახელი. კარგა ხანია მკითხველის თვალწინ მიაბიჯებს პოეტის მონუმენტური ფიგურა პოეზიის მართალი წიგნით ხელში, იმ თითო-ოროლა პოეტთაგან, ვისაც მკითხველთა მილიონიანი მასართულ საზოგადოებრივ სიტუაციებში თავის ორიენტირად სახავს, ვისი სიტყვა და საქმეც კარგა ხანია ველარ ეტევა ჩვეულებრივი ლექსის კაცის ცხოვრების კალაპოტში და ხალხის ყურადღებით გარემოცული განზოგადების იერს იძენს, ერთი პირველთაგანი შოთა ნიშნიანიძე გახლდათ. იგი იმ პირველხარისხოვან პოეტთა ელიტას ეკუთვნოდა, რომელიც მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „აქ ამ დარბაზში ლომის ნიღბით როდი სეირნობს, აუდიტორიის გასართობად და სასეიროდ“.

შოთა ნიშნიანიძე დაიბადა 1929 წლის 18 მარტს თბილისში, სამხედრო მოსამსახურის ოჯახში.

1948 წელს დაამთავრა თბილისის ვაჟთა 37-ე საშუალო სკოლა. იმავე წელს მისაღები გამოცდები ჩააბარა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1953 წელს.

1958-60 წლებში სწავლობდა მოსკოვის მ. გორკის სახელობის ლიტერატურულ ინსტიტუტთან არსებულ უმაღლეს ლიტერატურულ კურსებზე.

1968-74 წლებში მუშაობდა გამომცემლობა „მერანის“ ქართული მხატვრული ლიტერატურის რედაქციის გამგედ, 1974-77 წლებში მწერალთა კავშირის ლიტკონსულტანტად, 1977-82 წლებში ალმანახ „საუნჯის“ მთავარ რედაქტორად. 1981 წლიდან საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივნად და თავმჯდომარედ (1984-86 წწ.).

პირველი წიგნი შოთა ნიშნიანიძემ 1956 წელს გამოაქვეყნა („მე და შენ“).

1975 წელს შოთა ნიშნიანიძე შოთა რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატი ხდება, ხოლო 1977 წელს – გალაკტიონ ტაბიძის სახელობის პრემიისა.

გარდაიცვალა 1999 წლის 23 ივლისს. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

\* \* \*

ორმოცდაათიანი წლები, ომის ჭრილობათა მოშუშების შემდგომი ათწლეულები. ახალ ვითარებასთან ურთიერთობის გარკვევის, ზოგისთვის რწმენისა და შეხედულებების მკაცრი გამოცდის, რამდენიმე სოციალურ-პოლიტიკური ღირებულების გადასინჯვის, მხოფლიოს ძალა წონასწორობის სწრაფი ცვალებადობის უაღრესად რთული ეპოქა. ქართულ ლიტერატურას ახალმა სიომ დაჰქროლა. მწერლობა თითქოს ერთბაშად გამდიდრდა ახალი თემებით. პოეზიაში ლირიკული სანყისი კვლავ გაბატონდა; ახალი სიცოცხლე შეიძინა მძლავრი ტრადიციების მქონე პოემის ჟანრმა. ამ დროს ჯერ კიდევ ცოცხალია გალაკტიონი. კვლავ ჭაბუკური ენერგიით იღვნიან და ქმნიან ქართული მწერლობის ძველი გვარდიის ჯარისკაცებიც. ლიტერატურული სიახლე, პირველ ყოვლისა, მათს შემოქმედებას დაეტყო.

ამ ვითარებაში ქართველ მწერალთა ოჯახს ერთბაშად შეემატა რამდენიმე იმედისმომცემი ახალგაზრდა. მათს გამოჩენას მკითხველთა ყურადღება და ლიტერატურულ მამათა გულთბილი ღიმილი შეეგება. მალე ამ თაობის წარმომადგენელთა ერთი ნაწილი „ცისკრის“ გარშემო გაერთიანდა. როგორც ჩანს, ეპოქის თავისე-

ბურებაამაც შეუწყო ხელი ორმოცდაათიან წლებში საინტერესო და თვითმყოფადი თაობის მოსვლას მწერლობაში. მეოცე საუკუნის ქართულ პოეზიას რამდენიმე ასეთი განახლების პერიოდი ემჩნევა. ეს იყო ათიანი წლების დასასრულს, როცა ახალგაზრდა გალაკტიონის ბუმბერაზი აჩრდილი დაადგა იმპრესიონისტული თავსატეხებით დაღლილ და რევოლუციური რომანტიზმით გაღვიძებულ ქართულ პოეზიას. ეს იყო ოცდაათიანი წლების დასასრულს, როცა დეკადენტურ-სიმბოლისტური საყმაწვილო სენიდან ერთბაშად გამოიჩინნენ და ჭეშმარიტი პოეზიის ხომალდს შეემატნენ გიორგი ლეონიძე, სიმონ ჩიქოვანი, პაოლო იაშვილი, ტიცციან ტაბიძე. ეს იყო ორმოციანი წლების პარმალზე, როცა ლადო ასათიანის თაობამ პირველი ლიტერატურული ნაბიჯები გადადგა. ღრმა კვალი დააჩინეს ქართულ ლიტერატურას ორმოცდაათიანი, სამოციანი, სამოცდაათიანი და ოთხმოციანი წლების თაობებმა. თაობათა ესტაფეტა საბედნიეროდ გრძელდება.

ორმოცდაათიანი წლების რუსულ პოეზიაშიც თითქმის იგივე მოვლენა აღინიშნა, სწორედ ამ გარდამავალ ეპოქას დაემთხვა ლიტერატურაში ა. ვოზნესენსკის, ბ. ახმადულინას, ე. ევტუშენკოს, რ. როჟდესტვენსკის, რ. კაზაკოვას, ვ. ციბინის და სხვათა მოსვლა. თუ შევადარებთ ერთმანეთს ამ ორი (რუსული და ქართული) თაობის მიერ ლიტერატურაში მოტანილ სიახლეებს (თავისებურ მსოფლხედვას, პოეტურ მემკვიდრეობასთან დამოკიდებულებას, ორიგინალურ თემატიკას, პოეზიის მასშტაბურობის გაზრდას, ჟანრებთან თავისებურ დამოკიდებულებას) ბევრს რასმე საერთოს აღმოვაჩინებთ. აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენი კრიტიკა დიდხანს ლაპარაკობდა „ცისკრელ“ პოეტთა სახიფათო მსგავსებაზე, რაც შეეხება შოთა ნიშნიანიძეს, შემოქმედებითი გზის დასაწყისში მის პოეზიას „მოდური ლიტერატურის“ ელფერი არ დაჰკრავდა. ეს ორიგინალობისკენ ჯიუტი სწრაფვის მიზეზით კი არ ხდებოდა, არამედ პოეტის ბუნებით მისი თავისებური ლიტერატურული მრწამსით იყო ნაკარნახევი. შოთა ნიშნიანიძე ქართული ფოლკლორის, ეროვნული პოეზიის დემოკრატიული ტრადიციის, გალაკტიონის და გიორგი ლეონიძის სკოლის ერთგული იყო იმთავითვე.

შოთა ნიშნიანიძის პოეზიაში უპირველესად თვალშისაცემია მაღალპატრიოტული განწყობა, – ეროვნულ-პატრიოტული ლირი-

კა („ციხე ტაძართა საგალობელი“, „ვაზის სიმფონია“, „მცხეთის ქალაქს“, „თევდორე“, „ოსტატო, ბერო მხედარო“, „მე რა ვიცოდი თუ წინაპარი“, „ცოტნე დადიანი“, „წინაპართა საგალობელი“, „ქართული ლექსისადმი“, „ვეფხვი“, „სიზმრადა მაქვს ნახული“, „მამელუკები“, „ქართული სიტყვა“, „ხარი“, „ხევსური“...), სამოქალაქო-პუბლიცისტური ლირიკა თანამედროვეობის აქტუალურ პრობლემებთან მისადაგებული („კომუნისტები“, „მგლური კანონის ბალადა“, „ბიჭები“, „რკინის ესკადრონი“, „ბარიერთან“, „ბალადა კაპიტანზე“, „სიტყვა თანამედროვეს“, „მეგობარ პოეტს“, „ფუტკარი“, „შეიბ ნახვილი!“, „გული“, პოემა „აქილევსის ქუსლი და ფარი...), კრიტიციზმი და პოლემიკური პათოსი („პოეზიის კალენდარი“, „სიმართლე“, „ნიღბები“, „სიზმარი“, „ძველი ფილოსოფოსის ნათქვამი“, „ნახევრად ვინ რა აღმოაჩინა“, „რა უცნაური ერი ვართ“, „ზოგს დიდოსტატის მკლავი უკურთხეს“), ინტერნაციონალური მოტივები („გარსია ლორკა“, „აფხაზური კანტატა“, „სიმღერა უკრაინულ პილპილზე, ანუ ტარას ბულბაზე, „იან ჟიჟკას ანდერძი“) და სატრფიალო ლირიკა („ამურთან გამოთხოვება“, „მიშა და მეზობლის გოგონა“, „თუ გახსოვს, ხშირად გალოდინებდი“).

უპირველესი მოტივი ქართული ლიტერატურისა – პატრიოტიზმი, შოთა ნიშნიანიძის ლირიკაში გატკეპნილ გზას კი არ გაჰყვია, ასევე შთამბეჭდავ პოეტურ ხატებად ჩამოიქნა:

ჰოი, რა მაცდურია, ზღვაო, შენი სახე,  
ჩემი დოსკურია კარგად შემინახე.  
მაგრამ განა გავთავადით, განა წახდა ყისმათი, –  
– საქართველო სადამდის? მარად, უკუნისამდის!  
მეც მწვავს ძველი ჭრილობა, ძველისძველი გზები,  
მაგრამ დედაშვილობას, ნულა მესიზმრებით...

(„სიზმარადა მაქვს ნახული...“)

ეროვნული თემატიკით გამსჭვალულ პოეტის ლექსებში ერთმანეთს გადაჯაჭვია ლეგენდები და სინამდვილე. წარმართულ ცეცხლს უსხედან ჩვენი წინაპრები და ფაზისის ველებზე ამორძალები დააჭენებენ უხედნ ულაცებს, შორიდან ისმის ცოტნე დადიანის ცხენის თქარუნი და ლაქაშებს მოარღვევს მტრის „მეგზური“ –

თავდადებული მღვდელი თევდორე, მონასტერთა გრძელ ღამეებში ფოლიანტებს და ეტრატებს ჩაჰკირკიტებენ თოროსანი, ბრძენი მამები, საქართველოს ციხეებზე მზის შუბოსანი დგას მეციხოვნედ – მარადისობა, ხოლო ციხის ქონგურიდან წინაპრის ომახიანი ძახილი ისმის:

მე აქ ვბინადრობ აქა მძინავს  
ცხრა საუკუნე,  
სათოფურებში ჩემი სუნთქვის ექო გუგუნებს.  
გადამთიელი აქ ავჩეხე მეზვრემ, მეხრემა  
აქ ჩავეგლისე გადამსხვრეულ ციხის ხერხემალს  
და ჟღალი ჩოხა წვიმებმა რომ ამიტალახა; –  
მე ვავიხადე და ჩავაცვი ციხეს ბალახად.  
აქ ჩავინაცრე, ამ გალავნებს შამბად შემოვრჩი,  
„შავო მერცხალო“ რომ ემღერათ  
საქართველოში.

ჩვენი ქვეყნის წარსულთან შოთა ნიშნიანიძეს დრამატული, ტკივილიანი მიმართება აქვს. ეს გახლავთ საოცარი სიფაქიზით და მგრძობელობით შექმნილი პოეტური კალეიდოსკოპი, სადაც მგოსნის ნერვებს ათრთოლებს არა მარტო ზღვაში ჩაძირული დიოსკურიას ტრაგედია, არამედ მიტოვებული ბუდეების სევდაც; „მონყენილ ბუდეს ქარი არწევს მჩატე თხილივით, დაესიზმრება გარდასული ჟივილ-ხივილი და რალაც უთქმელ გაოგნებით შიგ იყურება ნაცრისფერი ცის უდაბურება“. ამ განწყობილებას ესადაგება პოეტის მიერ სიამაყითა და სინანულით ნათქვამი:

ოსტატო  
ბერო,  
მხედარო,  
როცა კი მტერი გეკვეთა –  
გაგიღეჭია სიკვდილი, შეგიმტვრევია ლეგენდა.  
რა გრჯიდა, შე ღვთისნიერო, ვითომ გზა  
გამიიოლე!

ჩემს მაგივრადაც იმღერე.  
ჩემს მაგივრადაც იომე.

– ვალად დამადე დიდგორი, ვალად დამადე  
არაბდა,

ფრესკები, ციხე-კოშკები,  
ვეფხის და მოყმის ბალადა.

ვალად დამადე სიცოცხლე, ვალად დამადე  
სიკვდილიც,

შენთან, ჩემთან და ღმერთთანაც  
სამმაგად მიწვევს ჭიდილი.

**(„ოსტატო, ბერო, მხედარო“)**

მხატვრული სიტყვის უპირველეს დანიშნულებად შოთა ნიშნიანიძეს სამშობლოს სამსახური მიაჩნია, ამიტომაც ასე მყდერი და მომწოდებლური პათოსითაა გამსჭვალული ქართული ლექსისადმი მიძღვნილი სტრიქონები:

ო, კიდევ ბევრჯერ აღმოგაჩენენ,  
წაგიკითხავენ კიდევ და კიდევ  
და ხმა ქართული, ღვთის განაჩენით,  
ქვეყნებს განვდება კიდითი კიდე.

გამოიღვიძე ვეფხო, ბებერო,  
შენი კუთვნილი გზა გამოკვერე  
და შეუძახე, როგორც შეგფერის  
შენს ნაკვალევზე გაზრდილ ბოკვერებს.

**(„ქართული ლექსისადმი“)**

პოეტური აზრის პატრიოტულ მასშტაბებში კონცენტრირება შ. ნიშნიანიძის პოეზიას ჭეშმარიტად ეროვნულ ელფერს ანიჭებს. წავა-წამოვა მისი ლექსების ლირიკული გმირი, ამორძალთა ლეგენდარულ ყოფაზე დაფიქრდება თუ მამელუკების სევდიან ბედზე, ბოლოს მაინც საქართველოს სატკივარს უკავშირდება.

აჰა, გრიგალი მოგელაობს ცხენზე შემჯდარი,  
სამეფოები ეცემიან, უკან იხევენ...

შორს კი პატარა საქართველოს აკლია ჯარი და მტერი არბევს ქართულ ციხეებს.

### („მამელუკები“)

შოთა ნიშნიანიძის ლექსებში ვაზივით არის ჩანსული ჩვენი წარსული და დღევანდლობა. რისთვის სჭირდება მას გარდასულ მამათა აჩრდილების გამოხმობა. ისევ და ისევ თანამედროვეობის სამსახურში ჩასაყენებლად, აი, როგორ ხედავს პოეტი გიორგი სააკაძის ძეგლს:

კასპში კი ძეგლი – უკუღმართი  
დროის დიდება  
ვეებერთელა (არა მახვილს)  
ჯავრს ეზიდება.  
ელვა, გრიგალი, დაკუნთული  
ჯგრო მუხის რკოთა  
ცდილობს ამოხტეს ბრინჯაოდან  
ბედიდან, დროდან.

### („გიორგი სააკაძე“)

ათასი წლის წინანდელი ამბავია: გიორგი მთანმინდელმა საქართველოში ოთხმოცი უპატრონო ბავშვი მოაგროვა და შორეულ საბერძნეთში, ათონის მთაზე წაიყვანა მოსანათლავად, გასანათლებლად, ღმრთისა და ქვეყნის სამსახურში ჩასაყენებლად. ეს გახლავთ ისტორიის პატარა ფურცელი. ბერისა და ფილოსოფოსის – გიორგი მთანმინდელის ამ საქციელს შედეგად ის მოჰყვა, რომ წლების მერე ოთხმოცი განსწავლული ბერი დაფათურობდა ათონის ივერთა მონასტერში. ათონი შუა საუკუნეების ქართული კულტურის უდიდეს კერად იქცა და ქართველი კაცის გონების შუქი ამ წმინდა მთიდან მთელ იმდროინდელ ცივილიზებულ მსოფლიოს წვდებოდა. შოთა ნიშნიანიძის ერთ ლექსში დახატულია, ერთი შეხედვით უპრეტენზიო სურათი – ობოლ ბავშვთა ლაშქრის სვლა ათონისაკენ. ჩხაკუნა ფანდურების, შურდულულებისა და სათამაშო

ცელების ქნევა-ჟღარუნით მიაბიჯებენ ისინი ევრაზიის მტვრიან გზაზე. თან მიაქვთ პატარ-პატარა ოცნებები, მიამიტი სიზმრები, კერიის კვამლი, რაიც ხვალ ბერის საკანთა სიჩუმედ და სამშობლოს უსაშველო სევდად იქცევა.

სამშობლოს ტოვებს ფერმკრთალი და სახეგამშრალი  
ობოლ ბავშვთაგან შეკრებილი ქრისტეს ლაშქარი

### („კოჯრისა და ათონის დიალოგი“)

სრულიად ბუნებრივია, ის ცრემლი და სულიერი თრთოლვა ამ ლექსის წაკითხვა რომ მოჰგვრის მგრძნობიარე მკითხველს, ქრისტეს სამსახურად შემდგარი ოთხმოცი ფეხშიშველა ბავშვი ქართველთა ისტორიული სიმბოლოცაა, ძნელბედი წარსულის გახსენებაც და, თუ გნებავს, სევდიანი ნოველაც კაცობრიობის ოცნებათა მსხვერვის დრამატულ სინამდვილეზე.

ერთ ლექსში ნიშნიანიძე ამბობს:

ნეტავი, ღმერთო მეც მომცა  
ჯანი და მადა ხარისა,  
სიტყვა – ხარივით გამწევი  
მამულის გასახარისად,  
ვიყო ხარივით ამტანი,  
ვიყო ხარივით მომთმენი,  
ჩემი პატარა ქვეყნისთვის  
მეც შევძლო ხარისოდენი.

### („ხარი“)

ვფიქრობ, უკუმენტაროდაც ნათლად ჩანს, ავტორის სურვილი, პოეზიამ მამულის სამსახურში ხარივით გამწევი სიტყვის როლი შეასრულოს.

სწორედ რომ ეროვნული სულის პოეტური ჩანგი აკვნესებს შ. ნიშნიანიძის პოეზიაში ბოლომდე ერთგულად დაჭიმულ ლარებს და ლეგენდებიდან თავდადებული მღვდელი თევდორეს აჩრდილსაც გამოუხმობს:

– თევდორეე!  
– თევდორეე!  
შენისთანა მეკვლე გვინდა,  
შენი ერი კიდევ ბევრჯერ  
გამოგიხმობს ლეგენდიდან.  
...მთაში ფანდურს აჟღავლებენ,  
წვიმს გმირული კაფია,  
ცაში ელვით ინერება  
შენი ეპიტაფია.

### („თევდორე“)

ეროვნული საქმეები უნდა კეთდებოდეს, რა თქმა უნდა, თანამედროვეობის სახელით, მაგრამ წარსულთან მოთათბირებითა და ტრადიციის გამძლე ნიადაგზე დაყრდნობით. ამიტომაცაა, რომ შ. ნიშნიანიძის ლექსებში ყოველთვის იგრძნობა წარსულიდან გამომზიარალი ორი უფხიზლესი თვალი:

მე რა ვიცოდი თუ წინაპარი.  
მითვალთვალებდა სათოფურიდან,  
თუ ჩემს სტრიქონებს, როგორც ნაპრალებს,  
ჟინჯლილით ხელში ჩამოუვლიდა.

### („მე რა ვიცოდი, თუ წინაპარი“)

ვინ არის იგი, მკითხველის ცნობიერების ფონზე ასე გოლიათურად რომ წამომართულა და ეჭვითა და სინანულით, ხან კი სიამაყით და სიხარულით ჩვენს სულში იმზირება შ. ნიშნიანიძის სამოქალაქო პუბლიცისტურ პოეზიაში წლების განმავლობაში ჩამოყალიბებული და სრულქმნილი ლირიკული გმირი? – იგი ჩვენი თანამედროვეა. წინააღმდეგობებით და დრამატიზმით არის სავსე მისი ძნელი ცხოვრება. ხან ჯამბაზივით ბენვის ხიდზე გადის, ხან უნებურად, ერთფეროვანი ყოველდღიურობის მწყობრში მიაბიჯებს („სხვა დროს ცხოვრება მეც თქვენსავით მაჩეჩებს ნიღბებს, ვწვალობ, ვჯახირობ, ვწვრილმანდები და ვალებს ვიღებ“...), ხან იმ კლოუნის ბედს იზიარებს, ცეცხლმოკიდებული ციხეში რომ შერბის („არიქა ცეცხლი! ხალხო, ცეცხლი, თავს უშველეთო!“),

მაგრამ არ უჯერებენ. დააბიჯებს შ. ნიშნიანიძის მიერ დახატული კაცი ჩვენს შორის და მტერმოყვარის საუკუნურ ჯაჯგურში ადამის ტომის ახალ-ახალ ცოდვებს რომ დალანდავს, ხან ბრძენის მოწყენით მოიწყენს, ხან კი პოეტინიანამძლოს ნებით შესძახებს თავის ხალხს: „მაგრამ დალოცვილ საქართველოში არ შეიძლება არ იყოს ცოტნეც!“

„მგლური კანონის ბალადა“ ჰქვია შ. ნიშნიანიძის ერთ პუბლიცისტურ ლექსს. იწყება იგი იმ შორეული წარსულის გახსენებით, როცა მგლური კანონი სუფევდა დედამიწაზე და ბუნებრივი შერჩევის სასტიკ ბომონს ემორჩილებოდა ყველაფერი. გავიდა დრო. სამყარო ისე „კულტურული“ გახდა, რომ „აღგვილა იგავ-არაკი, როგორც ზღაპრული თებე; ცირკში მალაყებს გადადის ლომი – ნადირთა მეფე. ატრიალებენ კარუსელს, დათვს ახტუნებენ ცვედანს, მამლაყინა და მელია ვეფხვის ფიტულზე სხედან“ და აი, ამგვარად „მონესრიგებულ“ საუკუნეში პოეტს მგლების ყმუილი ჩაესმის. მგლები აფრთხილებენ კაცობრიობას: ჩვენ რომისა და რომულის გამზრდელები, ჩვენ ამჩქარებელნი და ზარდამცემნი სუსტთა და ზარმაცთა, დღესაც „პარტიზანულად“ ვომობთ, ცირკის მაიმუნებად არ ვქცეულვართ და თუმცა გალიასთან ვერშეგუების გამო ნელ-ნელა წყდება ჩვენი ჯიში, ვიღუპებით, მაგრამ არ ვნებდებითო. ამ ღრმადალეგორიულ პოეტურ იგავთან პოეტის დამოკიდებულება დაუფარავად ჩანს სტრიქონებში. „ჩემივე ლექსის ბნკარებში დამწყვედი ვარ მგლისებრ, მგელივით მივდი-მოვდივარ, ძლივს ვატრიალებ კისერს. და ჩემში მგელი ამთქნარებს მგლური კანონის გამო, მფხოტნის და მენკურნკურება გარეთ გავარდნას ლამობს“. შეგუების, გულარხეინობის, ცივილიზაციის ყურბალიშზე უდარდელად თავის მიდებისა და თვითკონტროლის დაკარგვის წინააღმდეგ მიმართულ ამ ლექსს ზემოქმედების დიდი ძალა აქვს. მითუმეტეს, რომ მისი განზოგადებული სიმბოლიკა მასშტაბურ სიცხადეს იძენს და მარტო პიროვნებას კი არა, მთელს ერსაც ესადაგება: „შენც დაგკბენს მგლური კანონი, ვერც შენ იდგები ცალკე, რომში ხარ დაბადებული, თუ გაზრდილი ხარ ალგეთს“.

პოეტს მიაჩნია, რომ თანამედროვეობის სამსახურში ყოფნა ბარიკადაზე დგომას უტოლდება:

რახან ხალხს უნდა ლექსიც, მუსიკაც  
და მსახური ხარ რახან,  
სანერ მაგიდას კი არ უზიხარ –  
ბარიკადაზე დგახარ;  
ბარიკადაზე, ბარიკადაზე  
სიტყვას ავარდეს ბოლი!  
ჩვენთვის დაცემულ მრავალ ათასებს  
შეხმინან სროლით!

### („სიტყვა თანამედროვეს“)

ეს სტრიქონები თავისი განწყობილებით და ტემპერამენტით ასე რომ ჰგავს მაიაკოვსკის და გალაკტიონის ოციან წლებში შექმნილ ლექსებს, ახლახანს, ჩვენი საუკუნის სამოცდაათიან წლებში დაინერა. ამით პოეტმა ერთბაშად დააყენა ეჭვის ქვეშ საყელოანეულ, თეთრხელთათამნიან ესთეტთა ყალბი მსჯელობანი იმის შესახებ, თითქოს ახლა ლირიკული, აკადემიური, ჩურჩულის ინტონაციების დროა პოეზიაში, რომ სიყვარულის ხმამალალი გაცხადებისა და ლექსის მომწოდებლური პათოსის დრო ნავიდა.

პოეტის მიერ შექმნილი სამოქალაქო ლირიკის ნიმუშები მაღალ-პოეტურობით გამოირჩევა. აშკარად ჩანს, რომ სამოქალაქო მოტივი მისთვის პოზა კი არ არის, ან პუბლიცისტიკისადმი უნებლიედ გაღებული ხარკი, არამედ გულით განცდილია და შემოქმედების გამძლე ქურაში გამოტარებული. შ. ნიშნიანიძემ ცოტა დანერა, მაგრამ პოეტური, ქართველ მევენახეებზე, გუთნისდედაზე, შრომის ჰეროიკაზე ნათქვამ მის ალალ სიმღერებს ჭეშმარიტი პოეზიის შარავანდი ადგას: „მზე გუთანივით იყო დახრილი და ხარებს ქინქლა ეხვიათ გუნდად. გლეხი კი არა, ოფლად გაღვრილი თითონ უფალი ეკიდა გუთანს!“

თანამედროვეობის სამსახურში, ამ რთულ საქმეში ადამიანის ისტორიული მისიის განსრულებისთვის ბრძოლა, პოეტის აზრით. სწორედ რომ გმირული ბიოგრაფიის ნაწილია:

ვინა თქვა შენი ღარიბული ბიოგრაფია?  
ახალი წიგნი, ქანდაკება, ტილო, მუსიკა!  
ბელტს აბრუნებ თუ კომბაინის საჭეს უზიხარ,  
რაც დიადია, რაც ღირსებით დასადაფნია –

განა არ არის ეს გმირული ბიოგრაფია?  
მიტინგზე დგახარ თუ მარტენში ღმუის ლითონი,  
კრება გელის თუ საძოვარი, ფართო ტაშირი,  
შენ აიტაცებ გმირულ რიტმებს, გმირულ სტრიქონებს,  
და მთელ სხეულზე შემოიხვევ პატრონტაშივით.

### („მეგობარ პოეტს“)

შოთა ნიშნიანიძის პოეზია თავიდან ბოლომდე თანამედროვეობის სუნთქვითაა გამსჭვალული. იგი, როგორც მსოფლიოს მაჯის-ცემაზე ყურმიპყრობილი პოეტი, დიდი მოქალაქეობრივი გაბედულებით გვიამბობს იმ ტკივილსა და იმედებზე პატარა ერებს რომ ანუხებთ მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ჩვენს საუკუნეში.

პოეტი ისტორიის გმირ ბიჭებს, მათი ტრაგიკული ბედით გულატკივებული, კეთილი ძმისა და პატრონის სიტყვით მიმართავს:

ნადით ბიჭებო: სახლებში ნადით,  
წიგნი იკითხეთ, ან ითამაშეთ...  
მაგრამ ბიჭები დროის ნადილით  
ისტორიისთვის წერენ განაჩენს.

### („ბიჭები“)

იმ ლამაზი, უკვდავი აჩრდილების გენს ჩვენს შვილებშიც აშკარად ხედავს პოეტი და აკი ამიტომ, იმედიანად და ვაჟკაცურად შესძახის მომავალს: „კაცობრიობა რომ არ დაბერდეს, ჰეი, ვინ მოდის მანდ, მომავლიდან?!“

ოთხმოცდაათიანი წლებიდან შოთა ნიშნიანიძის ლექსი ახალი ძალით ჩაება რუსი დამპყრობლის წინააღმდეგ გამართულ საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლაში.

შ. ნიშნიანიძის პუბლიცისტური პოეზიიდან ნათლად ჩანს, რომ დღეს პოეტი თვალდახუჭული მგალობელი კი არ არის, არამედ ბრძოლის აქტიური მონაწილეა. მისი ღირსება და სიმაღლე იმით იზომება, თუ რა სიახლეები შეიტანა მან უკეთესი სამყაროსათვის ბრძოლის კეთილშობილურ საქმეში, რით გაამდიდრა, როგორც პოეტმა და მოქალაქემ, თავისი დროის ზნეობრივი არსენალი, როგორ შეუწყო ხელი ადამიანის სულის სასიკეთოდ მობილიზებას.

მარადიულ სიფხიზლისკენ, ეროვნული მეობის, ეთნოგრაფიული შეუვალობის შენარჩუნებისკენ მონოდებად გაისმის შ. ნიშნიანიძის სიტყვები:

დღეა თუ ღამე – მე გიღვიძებ სიხარულს, ტკივილს, თავნასაგდები მამალივით ვყვივ და ვყვივ:  
– არ ჩაგეძინოს, არ ჩაგთვლიმოს, შეიბ მახვილი.  
შეიბ მახვილი! შეისმინე მგოსნის ძახილი!

### („შეიბ მახვილი“)

თანამედროვეობის მტკივნეულ პრობლემებს ეხება შოთა ნიშნიანიძის დაუმთავრებელი პოემა „აქილევსის ქუსლი და ფარი“. როგორც გამოქვეყნებული ფრაგმენტებიდან ჩანს, პოეტს იგი ჩაუფიქრებია ორმოციანი წლების მოზარდის ცხოვრების ამსახველ ეპიკურ ტილოდ. ნაწარმოებში შთამბეჭდავად ჩანს ის სიყრმისეული შთაბეჭდილებანი თუ ცხოვრებისეული პერიპეტეიები, რამაც ჩვენი თანამედროვის სულიერ ჩამოყალიბებაში გადამწყვეტი როლი ითამაშა.

პოლემიკური პათოსი და კრიტიციზმი ასე ძალუმად რომ იგრძნობა შოთა ნიშნიანიძის პოეზიაში, რუტინისა და მოშვებულობის წინააღმდეგ იმ ამბოხების გამოხატულებაა, რამაც ერთბაშად შეცვალა პოეტის თითქოსდა დადგენილ-დანმენდილი ინტერესების სფერო. კრიტიციზმი, რასაკვირველია, იმ ნაკლოვანებათა სამხილებლად დაიბადა, ჩვენს ცხოვრებას რომ უსიამოვნო ბარიერად ეღობება. პოეტის საქებრად უნდა ითქვას, რომ თავისი დიდი წინაპრების (აკაკი, ილია, ვაჟა) მსგავსად მან წმინდა პოეზიის მუზას მამხილებლისა და გამკიცხავის ძნელი ტვირთიც გაბედულად აჰკიდა.

ვაზია ჩვენი ბიბლია და ჩვენი ანბანიც  
ქართველმა კაცმა გალობაც კი ვაზს მიამგვანა,  
დიახ, ვაზია ლხინის ღმერთი, ლხინის უფალი,  
ჭირნახულის თუ ჭირ-ვარამის ჭირისუფალი.  
„ვაზო შვილივთ ნაზარდოო“... უთქვამს წინაპარს,  
მრონი იცხო ვაზის ჯვრით და გზა გაილამპრა,

სულო მფარველო, ამ პატარა კურთხეულ ქვეყნის,  
ისეთ საქართველოს მომასწარ კიდევ –  
ბაზარში იდგეს ქართველი გლეხი  
და ნამდვილ ღვინოს ყიდდეს.

### („ნატვრა“)

რაოდენი სინანული, საყვედური, გულისტკივილი და მონოდებაა ამ ლექსის თითქოსდა უწყინარ პუბლიცისტურ ფინალში. რა მწარე სიმართლეა – ნათქვამი იმათ გასაგონად, ვინც ქართული ღვინის ღირსებას ასე უგუნურად, ლაფში სვრის.

კრიტიციზმით გამსჭვალული თავისი ლექსებით შოთა ნიშნიანიძემ ერთხელ კიდევ დაამტკიცა, რომ ჭეშმარიტი პოეზიისათვის არ არსებობს ერთხელ და სამუდამოდ განსაზღვრული თემები. მაღალი ლიტერატურული ტრიბუნიდან მებრძოლი მუზის მიერ ნათქვამ სიტყვას სხვა ფასი და გასაგისი აქვს. როცა ნამდვილი შემოქმედების შარავანდი მოეფინება, ერთი შეხედვით, სრულიად არაპოეტური საგანიც საოცარი განზოგადების ძალას იძენს და სხვაგვარ ათინათს გამოსცემს.

ზოგს დიდოსტატის მკვლავი უკურთხეს,  
(როგორ არ არის გასაოცარი).  
არ მოუჭრია ერთი ჩუქურთმა,  
ისეა დიდი ხუროთმოძღვარი,  
ღვთაებრივ ფრესკებს ეცემა ბინდი  
და ვარდის ფასი ადევს სამყურას,  
ბევრი კაი ყმის ნიჭსა და სინდისს  
უჩინმაჩინის ქუდი ახურავს.  
...საკითხავია, რას ვეტყვით შორეთს,  
ხვალინდელ მსაჯულს და ისტორიას?  
სწორი პასუხი სადაა, თორემ  
კითხვა ისედა ყველა სწორია.

### („ზოგს დიდოსტატის მკვლავი უკურთხეს“)

ხაზგასასმელია ის მოქალაქეობრივი გაბედულება, შოთა ნიშნიანიძის პოეზიამ რომ შეიძინა ნაკლოვანებათა გაბედული მხილები-



სას. ეს გახლავთ სრულიად ახალი მოტივი პოეტის შემოქმედებაში. მაშინ, როდესაც უზნეობამ ფრთები შეისხა და, რა დასამალია, ზოგიერთი მწერალთაგანი ან საეჭვოდ სდუმდა, ან გუნდრუკს უკმევდა შექმნილ ვითარებას, შოთა ნიშნიანიძე იჯდა და წერდა: „იგი ღმერთივით არსად არის და მაინც არის. რწმენა, ნილაბი, მახვილი, ფარი! (სიმართლის საქმე, როგორც ხედავთ, ღმერთივითაა), სიმართლის დიდ წიგნს, ბიბლიურ წიგნს, როგორც ნათლობა, რწმენა და მსხვერპლი შეშვენის ყდებად. ქვეყნად ყოველი უსამართლობა მაინც სიმართლის სახელით ხდება“ („სიმართლე“).

ბუნებრივია, რომ პოლემიკურ განწყობას შოთა ნიშნიანიძის პოეზიაში თან მოჰყვა სატირული მრისხანება, რაც განსაკუთრებით საგრძნობია პოეტის პამფლეტურ, ალეგორიულ ლექსში – „ძაღვები“.

ზოგს სისხლს და ჯილაგს იმდენს უქებენ,  
ალარ კადრულობს სხვებთან გარეგას,  
ბენვად მოზრდია გაზულუქება  
და მორევია ზანტი მთქნარება.

დალოხებია ტანი უებრო,  
დამსგავსებია დანდალა ცვედანს,  
მონყენილობა და გაქსუება  
სველი დრუნჩიდან ლორწკივით წვეთავს.

თურმე ძაღვებსაც ამედიდურებს,  
და უმახინჯებს ძაღლურ ბუნებას  
ზედმეტი ქება, ჯილდო, ტიტული,  
ზედმეტი ლიზლი და ფუფუნება.

ასეთებს მუდამ ლოყებში სვამენ  
და როგორც წესი, – მანქანით დაჰყავთ.  
ისინიც ლერწი თვალებით სვამენ  
ცირკის სიყალბეს და შემთბარ ყაყანს...

(„ძაღვები“)

სატირასთან ერთად არც უწყინარი იუმორია უცხო პოეტის შემოქმედებითი პალიტრისათვის, რითაც მისი მუზა ზოგ კოლეგასაც შეექილიკა.

მატარებლები და პოეტები?!  
ეს შედარება რით გავამართლოთ?  
არის თავ-თავის შემოქმედებით  
ზოგი სახალხო, ზოგიც — საბარგო.  
ზოგი დიდ გზებზე გადის გრიალით,  
ზოგი ჩიხშია და ბუქსირს ელის,  
ზოგმა მსოფლიო შემოიარა  
არც ავის არის, არც კარგის მთქმელი...  
ზოგი სინდისის წინაშე სცოდავს –  
ბევრი უბია და მიაქვს ცოტა.

(„მატარებლები და პოეტები“)

სატირული მახვილით შოთა ნიშნიანიძის აღჭურვას ღრმა სოციალური მიზეზები აქვს. მკითხველი წაიკითხავს კრიტიციზმით გამსჭვალულ მის ლექსებს და დარწმუნდება, რა ძლიერია პოეტის არსებაში პროტესტის გრძნობა იმისადმი, რაც ჩვენს ცხოვრებას აუფასურებს, რა ძლიერი და უკომპრომისოა პოეტის შინაგანი ამბოხება რუტინის და აზრთა დოგმების მიმართ. შოთა ნიშნიანიძე ხშირად ესთეტი-ლირიკოსის თეთრ ხელთათმანებს რომ მოისვრის და მეტრძოლი პოეტის ფარაჯით აღიჭურვება, ამაში ხედავს იგი (და სამართლიანადაც) თანამედროვე პოეტის ღვთიურ ვალს თავისი ქვეყნის წინაშე.

შოთა ნიშნიანიძის ერთ ლექსს ასეთი ეპიგრაფი აქვს: „იაპონიაში ფირმა „მატუსიტა-ელექტრიკას“ აქვს სპეციალური ოთახი, სადაც დირექტორის ფიტული დგას. განაწყენებულ მუშას უფლება აქვს ჯავრი იყაროს დირექტორზე მისი ფიტულის ცემა-ტყეპით“, აი, რა ასოციაციები დაბადა ირონიულად განწყობილი პოეტის გონებაში ამ იაპონურმა სიუჟეტმა:

მე რომ მჭირდება,  
იმდენ ფიტულს ვინ დაამზადებს?

სხვა რომ არ იყოს,  
სად დაატევე იმ არამზადებს?  
მაგრამ, ვაითუ, იმ ფიტულებს ვებრძვი ტყუილად,  
ვაითუ მათთვის მეც ფიტული ვარ.

**(„იაპონური და ჩვენებური ფიტულები“)**

ღრმა ალეგორიულობით და სულიერი ოპორტუნისადადმი  
ზიზლით ხასიათდება ლექსი, რომელსაც „სიზმარი“ ჰქვია:

- ჰეი, ვინა ხარ, თვალეზე რომ ხელებს მაფარებ?
  - ცრემლებს გიმშრალე... გეძალე რაკი მალ-მალე...
  - ხელებზე ხუნდებს მიდებენ და მტკივა საშინლად.
  - შე კაცო, მაჯას გისინჯავთო, რამ შეგამინა...
- ბოლოს დიდების პიედესტალზე ვიდექ ფერმკრთალი,  
ტაშის გრიალში, ფანფარების გაბმულ ხმაურში  
და როცა ყელზე ჩამომკიდეს ოქროს მედალი,  
ვიგრძენი, როგორ მოესალტა კისერს მარყუჟი.

**(„სიზმარი“)**

სწორედ რომ მიზეზმა, ეპოქის ნაკლოვანებებმა, კაცთა  
ცხოვრების მოუნყობლობამ, გაუთავებელმა პომპეზურობამ და  
ზეიმომანამ დაბადა შოთა ნიშნიანიძის ეს სევდიანი სტრიქონები:

ხალხი ვერ ხედავს მათ ხელებს,  
არ იცნობს იმათ სახელებს,  
ვინც გვაპამპულებს, გვახტუნებს  
ვინც გვათამაშებს, გვამღერებს.  
. . . . .  
ტაშისთვის ვამბობთ სიმართლეს,  
ტაშისთვის ვეძებთ ხიფათებს,  
ვაი, რომ ჩალის ფასი აქვს  
მასხარის ნათქვამ სიმართლეს.  
. . . . .  
ღმერთო, ამ ტაშის ქირიმე  
ვცხოვრობთ ლალად და განცხრომით,

...ვაი ტაშო და დიდებავ,  
ნაშოვნო ტაკიმასხრობით.

**(„რეპორტაჟი ტაშისმოყვარულთათვის  
თოჯინების თეატრიდან“)**

შოთა ნიშნიანიძის კრიტიციზმის საშური თვისება უკომპრო-  
მისობა გახლავთ. პოეტი შეურიგებელია ყველა ჯურის ავკაცის  
მიმართ, ვის საქციელშიც ერის შემარცხვენელ თვისებებს ხედავს.  
ამიტომაც მისი მახვილი არც მაღალ სკამებზე შემოსკუპულ ან  
„ჰალსტუხის ავაზაკებს“ ინდობს:

ზოგიც პურს იმით შოულობს,  
გვირგვინს მოარგებს ხბოს თავს,  
იმპერატორთან კლოუნობს  
და ტრაგიკოსობს ბრბოსთან.

**(„ზეკაცებისა და მაიმუნების შესახებ“)**

პოეტმა შესანიშნავად იცის, რომ სკიპტრიანი „გიჟი“ გაცილე-  
ბით უფრო საშიშია საზოგადოებისთვის, რადგანაც მას თავისი  
შენიღბული ავზნეობით მეტი სიავის მოტანა შეუძლია.

ქვეყანას ბევრჯერ არ გაუმართლდა  
და გამუდმებულ სიკვდილის ქიშით  
მუდამ ნახევრად გიჟი ლუპავდა  
და არა თხემით ტერფამდე გიჟი.

**(„ნახევრად ვინ რა აღმოაჩინა“)**

შოთა ნიშნიანიძე თავისი მებრძოლი, პოლემიკური ლირიკით  
დუელში ინვეს ყველა ჯურის ყალბისმქნელთა და კადნიერთ:

ყალბო გვირგვინებო, დრო არის გავსწორდეთ,  
ჯავრი არ მასვენებს კადნიერთა,  
ჩემია, ჩემია, პირველი გასროლა,  
– ბარიერთან!

**(„ბარიერთან“)**

მოვლენებისადმი პოეტის მიერ იმთავითვე მტკიცედ არჩეული სწორი პოზიცია განსაზღვრავს შოთა ნიშნიანიძის შემოქმედების ინტერნაციონალისტურ ხასიათსაც. ეს ინტერნაციონალიზმი და ხალხთა მეგობრობის ლამის უნაპირო განცდა სწორედ რომ ქართველი კაცის ხასიათიდან მომდინარეობს და ქართული პოეზიის მრავალსაუკუნოვან ტრადიციაშია განფენილი. ამაზე ლაღადებს პოეტიც:

მოგზაურო, ამ მინაზე შეჩერდი,  
მოდი, ნახე ქართული ცისქვეშეთი, –  
ლოცვებივით ამოზრდია გულიდან  
ეკლესიაც,  
სინა-გოგაც,  
მეჩეთიც.  
პოეტების მწველ ჰანგებით ნაშუქი  
ჰგავს თბილისის საახალწლო ჩიჩილაკს,  
შენ ხარ უფლის ხელდასხმული აშული,  
ხელშიც მტკვარი, ჯან, თარივით გიჭირავს.

**(„საიათნოვა“)**

1962 წელს პროფესორ ჟორდანიას მიერ ჩადენილმა გამირობამ (თვითმფრინავის კატასტროფის დროს თავისი მაშველი რგოლი უბილეთო ინგლისელ გოგონას დაუთმო) შოთა ნიშნიანიძის ლექსში ქართველი კაცის ინტერნაციონალური ბუნების განმაზოგადებელი პოეტური საბურველი შეიძინა:

მისის თქვენ უკვე გათხოვდით, თქვენ უკვე გქვიათ დედა,  
ბედნიერი ხართ, ძვირფასო, ბედნიერი ხართ მეტად,  
და ვინც სიცოცხლე გაჩუქათ, თუ გაგონდებათ ნეტა?  
თქვენც გესიზმრებათ ის კაცი და ვერც ივინყებთ რადგან  
მაშველი რგოლი იმ სულმნათს შარავანდედად ადგას.

**(„ბალადა პროფესორ ჟორდანიას გამირობაზე“)**

ფედერიკო გარსიასადმი მიძღვნილი ლექსით შოთა ნიშნიანიძე თავისუფლებისათვის მებრძოლ მსოფლიოს პოეტებთან გადადის ალავერდს.

შენ გინდოდა ესპანეთი, უცრემლო და უხიშტო,  
ანგელოზმაც გისაჩუქრა ოქროს ჩანგი, მუხის შტო...  
– ახ, გიტარავ საყვარელო, ვიცი დაილუპები –  
პანანინა ბარიკადავ – ბურჯო თავისუფლების,  
მაგრამ ბრძოლის პოეზია მუდამ დროშის ტარზეა,  
ფედერიკო, ფედერიკო, ფედერიკო გარსია.

**(„ფედერიკო გარსია ლორკა“)**

უცხო ტომის შვილის – არაბი აბოს თავდადება საქართველო-სადმი და ქრისტიანული სარწმუნოებისადმი მშვენიერი ლექსით შეამკო შოთა ნიშნიანიძის ლირამ:

რაც არ უნდა დიდი იყოს საქართველოს მსხვერპლი,  
სიყრუე და გულქვაობა გადამთიელ ხეპრის,  
იმ ფერფლს,  
შავ ფერფლს  
სიძულვილის აუნონელ ზღვა ფერფლს,  
აბოს ფერფლი გადასწონის, ერთი მუჭა ფერფლი.

**(„ჰაბო, ანუ ფერფლის ლეგენდა“)**

შოთა ნიშნიანიძის სატრფიალო ლირიკა ქალისადმი უნაზესი დამოკიდებულებით გამოირჩევა. ხან სიყვარულის დიდი ჯილდოთი აღტაცება გამოსჭვივის და ხან, გაფრენილი წლებით გამოწვეული ტკივილიანი სევდა. ლირიკული გმირი ამურს მიმართავს:

ერთხელ კიდევ შემასწარი მაგ ღვთაებრივ ზუზუნს,  
ერთხელ კიდევ დამასიზმრე ამორძალის ძუძუ,  
...რა იქნება, ეგ ისარი ერთხელ კიდევ სინჯო,  
შე ცუდლუტო, შე ვერაგო, საძაგელო ბიჭო.

**(„ამურთან გამოთხოვება“)**

ქალისადმი ლირიკული გმირის დამოკიდებულება არც აფექტური სიჩქარით ხასიათდება და არც სკრაბეზულობით. პოეტის სიყვარულს ზომიერება და პირველყოფილი მომხიბვლელობა ახლავს:

გაზაფხულის თქეში უშხაპუნებს ფანჯრებს,  
ყველა აივანი გადმოკიდებს ჩანჩქერს  
და მეზობლის გოგოც გაიხარებს მაშინ,  
წვიმის ასაღებად გავარდება კარში,  
რომ ხვალ უფრო კარგად თმები ზიმზიმებდეს,  
რომ ხვალ უფრო კარგად მე ვერ ვიძინებდე.  
გარეთ ჩიტუნები გაფანტულან წვიმით,  
მე კი ფანჯარასთან ვერ ვიკავებ ღიმილს,  
რომ მეზობლის გოგომ პატარა და ტყუპი  
ორად ორი ჩიტი შეიფარა უბით.  
გარეთ ნიაღვარი ქვებზედ აქანავებს  
ჩამოცვენილ ფოთლებს და ქალაღდის ნავებს,  
მავთულებზე მიჯრით წვეთი წვეთზე ცოცავს  
და მე შენსკენ ვატან გაუბედავ კოცნას.

**(„წვიმა და მეზობლის გოგონა“)**

სხვა შემთხვევაში ასე შემტევი და რიხიანი შოთა ნიშნიანიძის ლექსების ლირიკული გმირი საყვარელ არსებასთან საუბრისას ჩურჩულის ინტონაციაზე გადადის და რაინდული კდემისა და თავმდაბლობის მაგალითს გვაძლევს.

რად შემყვარე ძე-ხორციელი,  
რატომ იტვირთე ცოდვა მარადი,  
ო, ანგელოსო – სულო ციურო,  
რა უყავ ფრთები და შარავანდი?  
შენი ფრესკული სახე მეცნობა,  
შენი ღიმილი, სულო ციურო,  
რად უარყავი ანგელოსობა,  
რა უნდა მოგცე სამაგიერო?

**(„რად შემყვარე ძე-ხორციელი“)**

მკითხველის ყურადღებას უსათუოდ მიიქცევს შოთა ნიშნიანიძის მაღალი პოეტური კულტურა: რითმათა და ინტონაციათა არაჩვეულებრივი სიმდიდრე, ლექსის ძალდაუტანებელი, ლალი მდინარება, მხატვრულ ხერხთა ფიქსირებული, პოეტური კომპაქტურობა, მის პოეზიაში დავანებული არტისტიზმი და ჰეროიკულ-რომანტიკული მგზნებარება, აზრის სიცხადე (ვერ იპოვით ბუნდოვანებას, ხელოვნურ ნაკვესებს, თითიდან გამონოვილ სიტუაციებს, ყალბ ხლართებს) და ემოციურობა. აქ ყველაფერს განუმეორებელი პოეტური ფერი ადევს. ეს გახლავთ შოთა ნიშნიანიძისეული მწერლური ფერწერა, გამორჩეული კლასიკურ-კონვენციური ლექსისადმი ერთგულებით და მეტაფორული ბრწყინვალეობით.

როცა შოთა ნიშნიანიძის ლექსებს კითხულობთ, მთელი სიცხადით გრძნობთ თურმე რა პოეტური ყოფილა ის, ერთი შეხედვით, შეუმჩნეველი, ჩვეულებრივი, ყოფითი სინამდვილე, რამაც ჩვენ ვცხოვრობთ. ვერსიფიკაციული სიმარჯვე აქ მხოლოდ ერთი მეთადი საშუალებათაგანია პოეტური გამარჯვებისათვის. მთავარი ის გახლავთ, რომ პოეტს ძალუძს საგნებსა და მოვლენებს შორის ახლებური, ორიგინალური, მხოლოდ მისეული დამოკიდებულება დაამყაროს. საკუთარი ფერები, განწყობილება და მუსიკა გაამეფოს ამ ახალშექმნილ პოეტურ სამყაროში და ჭეშმარიტი მხატვრის მაგიური ხელით და გონებით შექმნილი ეს პოეტური ქვეყანა ისე ფრთხილად და სათუთად ჩაატაროს ჩვენ წინ, რომ ჩვენ უცხო (და ამავე დროს საოცრად ნაცნობი) სილამაზით დამუხტულთ დრო აღარ გვეყოს უკან დავიხიოთ, ცივი გონებით აღვიჭურვოთ და ხელმეორედ ვცადოთ შეფასება იმისა, რამაც ჩვენს თვალწინ ეს-ესაა მოხდენილად ჩაიარა. ყური დაუგდეთ რაოდენი შინაგანი ექსპრესიით და გულისტკივილითაა გამსჭვალული ეს პატარა ლექსი, სოციალური პრობლემის შემცველი ეს პოეტური ალეგორია, რა შესანიშნავ პოეტურ სამოსელშია მოქცეული: „არავის გინდათ ბავშვის გული, ამაყი გული? ნაიღეთ, ძმებო, მომაშორეთ, მე ველარ ვუვლი... არც გოროზია, არც უბირი, არც ავადმყოფი, რა ბევრი უნდა ამ სანყალს და რა ცოტა ყოფნის. ვერ ეგუება ვერც სიბრმავეს და ვერც სიყრუეს, – აიჯაგრება და მგელივით წამოიყმუვლებს, ვერ ეგუება ქედმაღლობას და გაქსუებას, ვერც ნილაბ-როლებს, ვერც სიხარბეს ვერ ეგუება. მეც მიჯანყდება. ამ ბოლო დროს მეც არ მოვწონვარ, მიტევს და მიტევს... მიგიზგი-

ზებს მთელ ტანს კოცონად. კაცი ვბერდები და აქამდე ვერ შემიტყვია: ვინ ვისი ბატონ-პატრონია, ვინ ვისი ტყვეა. დანალმული ხარ საკუთარი გულით, პოეტო, დანალმული ხარ სიყვარულით და იმედებით. ფრთხილად, ბიჭებო, გულებს ტლანქად არ წამოვედოთ და მოძმის გულზე, როგორც ნალმზე, ნუ ავფეთქდებით“ („გული“).

აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ შოთა ნიშნიანიძე ქართული მეტაფორული ლექსის გამძლე ტრადიციების ერთგულია. მისი ლექსის მეტაფორული ბრწყინვალეობა ამ მცირე მაგალითებიდანაც ჩანს:

– ცხენის ძუაზე გამოაბეს მთელი აზია  
და ველურ სტვენით მიათრიეს ქვეყნის კიდემდე,  
მათ ნატერფალებს სიკვდილი და ყვაფი ასხია,  
სამრეკლოებზე ზარებს ხსნიან, ჭიხვის ჰკიდებენ.

**(„მონღოლები“)**

აღტაცება და შიში ამიტანს  
სტრიქონებივით მიჯრილ ზოლებს,  
და მოთახთახე შენი ტანიდან  
დგება აზიის სიცხე ზმორებით.

**(„ვეფხვი“)**

წლებმა იხუვლა, იხვართქლა და ციხეს შეება;  
ხავსად, დუმილად, ჭილყვავებად და ბუდეებად.  
ქვებზე დგაფუნებს სხივჩაშლილი მოჩანჩქერე მზე,  
ო, ამ გოდლების, ქონგურების საჩიჩელებზე  
მრავალი ზეცა დაიჩეჩა, დროშაც მრავალი,  
საქართველოზე ღრუბელივით გადმომავალი.

**(„ციხე-ტაძართა საგალობელი“)**

სკვითიაში თუ თრაკიაში კვალი ირევა,  
მეომარ ტომებს მოჰკვივიან თავგამეტებით.  
და უნაგირებს გადაჰკიდეს ნანადირევად  
მცირე აზიის ღამეები და ლეგენდები.

**(„ამორძალები“)**

ხაზგასასმელია, აგრეთვე, ის შინაგანი პოეტური დისციპლინა შოთა ნიშნიანიძეს რომ ახასიათებს. იგი არ აქვეყნებს ფრაგმენტულ სურათებს, ჩანახატებს, ერთი ფრაზისთვის დანერგულ ლექსებს. მისი თითოეული ლექსი დასრულებული ნაწარმოებია, აზრის კონცენტრაციით, სიუჟეტით, კომპოზიციის ნაცადი კანონებით მოწესრიგებული. საილუსტრაციოდ „ფუტკარიც“ გამოდგება:

შენ ღვთის ფიქრი ხარ, ფუსფუსა ფიქრი,  
მაძიებელი ფიქრი, კირკიტა  
გაბრუებული სკისაკენ მიჰქრი,  
რომ დაიბადოს საქმე ფიქრიდან.  
თუ ჩემი სიტყვა შენს ხვედრს გაიყოფს,  
მართლა მქონია ქვეყნად სათქმელი,  
იმაზე დიდი რა უნდა იყოს,  
კაცს თაფლი მისცე,  
ღმერთს კი სანთელი.

**(„ფუტკარი“)**

ზუსტი ფერწერული ხატები შოთა ნიშნიანიძის პოეზიის ერთი ყველაზე ნიშნული კომპონენტია.

ინდივიდუალობა შემოქმედისა სწორედ ის არის, რომ ისეთ საგანსა და მოვლენაზე მიმაქცევინოს ყურადღება, რაც აქამდე არ დამინახავს, ან მინახავს, მაგრამ არ განმიცდია. ყოველდღიური ფუსფუსით გართულს ვერ შემიმჩნევია და გულგრილად ჩამივილია. შოთა ნიშნიანიძე იუველირის სიფაქიზით ეძებს შთამბეჭდავ, განუმეორებელ სურათებს. ეძებს და ისეთ გრაფიკულ სიცხადეს ანიჭებს, რომ იმ პოეტურ შტრიხს აღარც კი სჭირდება ლოგიკის დანვრისებითი მფარველობა, ან ამბის, შეთხზულის რომანტიკული ნაშველება. ზოგ ლექსში სტატიური სურათის გარდა სხვა არაფერია: მაგ., გზის პირას მკვდარი ვირი აგდია. თავს დადგომია „ყურებდახრილი, ლენჩად ქცეული“ ჩოჩორი და დაჟინებით ჩასცქერის. ჩოჩორი გუშინაც ასე იდგა. ვფიქრობ, მკითხველს არ სჭირდება ახსნა იმისა, თუ რა ტკივილია ნალმად ჩადებული ამ ფერწერულ სურათში, რისი თქმა სურს პოეტს და რა კარგად ახერხებს იგი ლიტერატურული მანქვა-გრეხის გარეშე მკაცრად

და ხმამაღლა შემოჰკრას იმ ზარს, ადამიანს რომ ადამიანობისკენ მოუხმობს და თავის ღვთიურ ვალს მოაგონებს.

ორნაირი ლექსი დომინანტობს შოთა ნიშნიანიძის პოეზიაში. პირველ გახლავთ ლექსი-სურათი, ლექსი-მონოდება, ლექსი-პრობლემა, ლექსი-ჩანახატი. ერთი სიტყვით, ლექსი, რომელსაც მოქმედების დინამიურობა არ სჭირდება. ამგვარ ლექსებში ავტორი ფრესკის ოსტატის მომჭირნეობას იჩენს, ძუნწსიტყვაობს, სათქმელს მოკლედ სჭრის და მკითხველის ყურადღებას მთავარისკენ მხატვრული შტრიხებით ისე ოსტატურად ამახვილებს, რომ ერთი შეხედვით, თვით ოსტატი არ ჩანს, განზე დგება.

მეორე ლექსი სიუჟეტური გახლავთ. კარგად გალექსილი ამბები, პოეზიის რკინის კანონს დამორჩილებული სიუჟეტები. ამგვარად დინამიურ ლექსში გვხვდება პუბლიცისტური მსჯელობანი, ფილოსოფიური წიაღსვლები. ერთი შეხედვით მოგეჩვენებათ, რომ გალექსილი პროზაა, მაგრამ პროზაულობის საშიშროებას ღრმად ჩაკვირვებისთანავე აბათილებს ფაბულად ავტორის მიერ სწორედ პოეტური მოვლენის შერჩევა და პოეტური კომპოზიცია – პროზაული დეტალიზაციისაგან სრულიად განსხვავებული. ძნელია მკითხველის მეხსიერებიდან ამოიშალოს ისეთი შთამბეჭდავი დახვეწილი პოეტური ნოველები, როგორიცაა: „მსახიობი“, „ძალი“, „ბებური მყარღნე“, „ხევსური“, „ვეფხვი“, „მორძალები“, „მესიზმრა გიორგი შატბერაშვილი“, „პატარა გოგოს მამიკო უყვარს“ და სხვ. დააკვირდით, რით არ არის ეს ლექსი მძაფრი სიუჟეტის მქონე ნოველა, რომლის დანერა რამდენიმე გვერდზე შეიძლებოდა და პოეტის ჯადოსნურ ყალამს ამგვარი პოეტური ფორმით მოუწვდია ჩვენთვის: „დახრიგინებდა ქუჩა-ქუჩა ძველი ფურგონი... უნომრო ძაღლებს ქუჩა-ქუჩა დასდევდნენ ბადით, მეეტლე მეფისტოფელივით იკრიჭებოდა და შოლტს გვიქნევდა პატარა ბიჭებს. ბევრისთვის იყო ეს ამბავი სანახაობა, მხოლოდ ზოგიერთს გვტკიოდა გული, ფუგონზე რკინის გალიაში ერთმანეთს კბენდნენ და ტყვე Adაღლები გისოსებთან ლამობდნენ დგომას, რომ ამ ქვეყნისთვის სხვებზე უფრო დიდხანს ეცქირათ... მაშინ პატარა ვიყავი და ძლიერ მიკვირდა, იმდენ უნომრო ქუჩის ძაღლებში ნომრიანებიც რატომ ერია?“ („დახრიგინებდა...“).

შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ ქართულმა ხალხურმა მწერლობამ დაარწია ჩვენი კლასიკური ლიტერატურის აკვანი, საუკუნეებს ჩვენმა ფოლკლორმა მარტო კაზმული სიტყვის უმშვენიერესი გაკვეთილები კი არ მისცა, ჟანრული კანონებიც უკარნახა. შეიძლება თამამად ითქვას, რომ შოთა ნიშნიანიძე ყელამდე დგას ქართულ ფოლკლორში. მისი ლექსის ფართო პოპულარობისა და საყოველთაო დემოკრატიულობის ერთი მიზეზი სწორედ ფოლკლორთან მჭიდრო კავშირი გახლავთ. პოეტის ლექსებში ხშირად შეხვდებით ქართული ფოლკლორის პასაჟებს, ოჩოკოჩებს, დევებს, ქონდრისკაცებს, ქოსატყუილებს, ხარს — ნიქარას, საერთოდ ქართული მითოლოგიიდან შ. ნიშნიანიძის პოეზიაში გადმოსული ხარი დიდ ემოციურ დატვირთვას იძენს:

მე ვარ მისანი ხარი ნიქარა,  
შენი დვრიტა ვარ მამულ-დედულო,  
ზღაპრიდან მისთვის გამოვიპარე,  
რომ გემსახურო და გიერთგულო.

(„მე ვარ მისანი...“)

ბუნებრივია, არც ქართული ეროვნული სულის ერთ-ერთ ზღაპრულ-მითოლოგიურ განსხეულებას – ამირანს სტოვებს პოეტი უყურადღებოდ:

სალამი წელო ახალო, ძველი წავიდა... გაფრინდა...  
– ამირან დარეჯანის ძე, საიდან მოხველ?  
– ზღაპრიდან!  
– დახნავ, დაბარავ, დათესავ, ათას სატკივარს მოარჩენ,  
ავი სულების ლახვარო, ალალი ლუკმის მოსარჩლე.

(„ამირანის წელიწადი“)

დღეს, როცა პოეზია ლამის წალეკოს კოსმოპოლიტიზმმა, ფსევდოინტელექტუალურმა ესცესებმა, შოთა ნიშნიანიძის მყარად დგომა ქართული ხალხური პოეზიის მშობლიურ ნიადაგზე მით უფრო სამაგალითო და მოსაწონია.

შეიძლება დავასკვნათ, რომ შოთა ნიშნიანიძე იმ ბედნიერ პოეტა რიცხვს მიეკუთვნება, რომელთაც შეძლეს ჩვენი მლელვარე ეპოქის პირობებში თავიანთ სულში „კეთილი ბავშვის“ გადარჩენა. მას თამამად შეუძლია თქვას:

სიმღერის გზაზე ვინც მოიკოჭლებს,  
სხვის კალამს ხმარობს ყავარჯენივით...  
მე მხოლოდ ჩემი ლერწამი მოვჭერ.  
ვარ ცდუნებისგან გადარჩენილი.

## წერილები

### ვუხველოთ კულტურულ მემკვიდრეობას

კულტურაზე საზოგადოებრივი მოთხოვნა ანუ სოციალური დაკვეთა პოლიტიზირებულ-მილიტარისტულ და საბაზრო ეკონომიკის საუკუნეში ან საერთოდ არ ჩანს, ან მორცხვად შეგვახსენებს თავს მხოლოდ მაშინ, როცა სიტყვა მასკულტურაზე, სექსუალურ, გასართობ ხელოვნებაზე, ან ფეხისგულეებზე მოსაფხან ძილისპირულ შოუკულტურაზე ჩამოვარდება.

რაკი ხელისუფლებამ მცდარად მიიჩნია, რომ ეროვნულ კულტურაზე საზოგადოებრივი მოთხოვნა დიდი არ არის, თითქმის იგნორირებულჰყო, ხოლო ზოგ შემთხვევაში აბუჩად აიგდო იგი.

ჩაპაევების და ბუდიონების ეპოქაში, ან თუ გნებავთ, იმ, საქართველოსთვის საბედისწერო, დღეებში, როცა კიროვი და ორჯონიკიძე დამპყრობელ წითელ ჯარს თბილისისკენ მოუძღოდნენ, მოქალაქენი არ დაიფერებდნენ, რომ ოდესმე საქართველო დამოუკიდებლობას მოიპოვებდა, არ დაისაჭიროვებდა კულტურას და მეცნიერებას.

აგერ ა, ჩვენს თვალწინ 2007 წლის 21 აგვისტოს საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის განკარგულებით შუალამისას პოლიციის სპეცრაზმი თავს დაესხა საქართველოს მწერალთა კავშირს, ოკუპირებულჰყო მწერალთა სასახლე და ქუჩაში გადმოყარა გალაკტიონის, გამსახურდიას, მიხეილ ჯავახიშვილის, გიორგი ლეონიძის, ლადო ასათიანისა და სხვათა პირადი ნივთები. ექვსი წელია მწერლებს მწერალთა სასახლეში არ უშვებენ და, სამწუხაროდ, არც სააკაშვილის შემდეგ მოსულმა მთავრობამ დააყენა ამ საქმეს საშველი.

2006 წელს სააკაშვილისვე განკარგულებით ხელისუფლებამ უმონყალოდ დაარბია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. შენობიდან გამოაძევეს 236 ეროვნულად მოაზროვნე პროფესორი და გააუქმეს შოთა რუსთაველის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, გალაკტიონის და კონსტანტინე გამსახურდიას კაბინეტები. ყოველგვარი მეცნიერული დასაბუთების გარეშე გააუქმეს ან „გაამსხვილეს“ ფუნდამენტური ფაკულტეტები, რითაც სახელოვან უნივერსიტეტს მეც-

ნიერული თავი წარკვეთეს და საქართველოს ეროვნული კადრების სამჭედლო თითქმის კოლეჯად გადააკეთეს. უნივერსიტეტის ახალი ხელმძღვანელობა ცდილობს სააკაშვილის მიერ ჩადენილი ამ საშინელი დანაშაულის გამოსწორებას, მაგრამ წინ უამრავი ბარიერი ელობება.

იგივე ბედი ენია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასაც. საკვლევ-სამეცნიერო ინსტიტუტებწარმეული „აკადემია“ სულისშეხუთვამდე კასტრირებულ დაწესებულებას დაემსგავსა. სამწუხაროდ, ქართველ სწავლულთა ეს მეცნიერული შტაბი ვერავითარ გავლენას ვერ ახდენს საქართველოს დახეობრებულ სამეცნიერო ცხოვრებაზე.

ქართული ფენომენის წინააღმდეგ ბრძოლა ჩვენს დღეებამდე გრძელდება. ქართულ სახელოვნო ნისქვილებზე სააკაშვილის მეკობრული თავდასხმების შედეგად დაფინანსება 95 პროცენტით შეუმცირეს კინოსტუდიას, კომპოზიტორებს თითქმის მოუსპეს თავიანთი ახალი ნაწარმოებების ორკესტრირების საშუალება და ყაჩაღურად, უკანონოდ წაართვეს ბორჯომის დასასვენებელი ე. წ. „კომპოზიტორთა სახლი“, ფაქტიურად, აღარ ფუნქციონირებს საქართველოს თეატრების უმეტესობა, სავალალო მდგომარეობაშია ჯერ კიდევ მფეთქავი სახელოვანი პანტომიმის თეატრი, ახალდაბომბილს ჰგავს ამ თეატრის შენობის ინტერიერი... რომელი ერთი ჩამოვთვალო.

დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია, რომ საქართველოს პრეზიდენტი თავისი პრეზიდენტობის 10 წლის მანძილზე საქართველოს არც ერთ თეატრში არ შესულა. უფრო მეტიც, ამ ათი წლის მანძილზე საქართველოს კულტურის მინისტრიც კი არ დასწრებია არც ერთ თეატრში არც ერთ სპექტაკლს.

საქართველოში თითქმის აღარ იმართება გამოჩენილ პიროვნებათა საიუბილეო საღამოები. უფრო მეტიც, ისტორიულ გმირთა სახელების საზოგადოებისთვის შესხენების ღონისძიებათა ნახალისება ხელისუფლების მხრიდან ნულის ტოლია.

რაკილა ეროვნული კულტურა საბოლოოდ შეიძულა, და იგი გლობალიზაციის საცრის ავბედითი დგანდგარისთვის გასწირა, სააკაშვილმა დაიწყო უცხოეთში კარგა ხნის წინათ ჩამოწერილი შანსონე მომღერლების მრავალმილიონად ღირებულები კონცერტების გამართვა. თითქოსდა „წინწყაროს“, „კახური მრავალჟამიერის“ და ზაქარია ფალიშვილის ქვეყანა იმდენად პაპუასურ ღონეზე იყო,

რომ იგი მუსიკალურად კუტუნოს მოყირჭებულ სიმღერებს უნდა ალეზარდა.

თითქოსდა პირი შეკრესო, საქართველოს არც ერთი სატელევიზიო არხი არ ცდილობს მაყურებელს გააცნოს ეროვნული კულტურა. ეკრანზე არ ჩანს ქართველი მწერალი. როგორც ჩანს, ცუდ ტონად უთვლიან ტელეჟურნალისტებს მათი გლობალისტი პატრონები ქართული კულტურის ორიგინალურობაზე, „ვეფხისტყაოსნის“ მნიშვნელობაზე, ქართული კინოსა და თეატრის ეროვნულ ტრადიციებზე საუბარს. ერთადერთხელ აღიმალა ხმა საქართველოს პარლამენტმა ქართული ენის დამახინჯების წინააღმდეგ და წარმოადგინა დადგენილების ნედლი პროექტი, რომელშიც ჯარიმები იყო ჩამოთვლილი ენის შემრყენელთა მიმართ და უნდა გენახათ, რა კრიახი ატეხა ჟურნალისტიკამ. ესაო, დისკრიმინაციული კანონიაო. როგორ შეიძლება, ენის დამახინჯების გამო მოქალაქეთა დაჯარიმებაო. ვისაც ჩვენი ქართული არ მოსწონს ნუ მოგვისმენსო... პარლამენტი მიჩუმდა და ისევ დაიწყეს ჟურნალისტებმა ქართული ენის გამდიდრება თავიანთი „დიჯეებით“, „მოპინგებით“, „ისტებლიმენტებით“, „მენეჯერებით“, „მენეჯმენტებით“, „მესიჯებით“, „ჯეოსტარებით“, „ჯეობარებით“ და „კემპინგებით“.

ახლა, როცა ეს სტრიქონები იწერება, რამდენიც უნდა უკაკუნოთ სატელევიზო პულტს, თქვენ ვერსად წააწყდებით ქართულ კინოფილმს, ჩვენი ან გარდასული კინოსტუდიის ნახელავს – სულს რომ აგიფორიაქებს და კიდევ ერთხელ რომ მოგგვრის სიამაყეს იმის შეგნება, რომ ქართველად დაიბადე. ჩამოვთვალო? „ჯარისკაცის მამა“, „მაგდანას ლურჯა“, „ქეთო და კოტე“, „დაკარგული სამოთხე“, „არსენა“, „გიორგი სააკაძე“, „რაც გინახავს, ველარ ნახავ“, „ჩვენი ეზო“, „შერეკილები“, „ცისფერი მთები ანუ ტიან-შანი“, „დარიკო“, „ნატვრის ხე“ და ა. შ.

სამაგიეროდ, ჩართეთ ნებისმიერი სატელევიზიო არხი და ინებეთ, ჩვენი ტელევიზიის მეცენატების მიერ შემოთავაზებული მორიგი „მშვენიერება“ – ყველა არხზე თურქული, მაინც და მაინც თურქული მრავალსერიანი ფილმები. ძლივს გადავურჩით სამხრეთამერიკული სერიאלების ეპიდემიას და ახლა მეორე უკიდურესობაში გადავვარდით; ლამის ნაგვლეკოს თურქულმა სერიალებმა. საქართველო თურქეთის ფილიალს ემსგავსება. ტელევიზორს რომ გამორთავ და ქუჩაში გამოხვალ, იქაც არ გასვენებს თურქული ჰანგი. თუ ღია ფანჯარასთან ჩაივლი, თურქული „შიქსატა“ იღვრება



ფანჯრებიდან. მოძმე თურქეთის კინოხელოვნების გაცნობის საწინააღმდეგო ვის რა უნდა ჰქონდეს, თუ ამას ეპიზოდური ხასიათი ექნება, მაგრამ ასე ერთად? ასე ერთბაშად და თანაც ყველა არხზე?

შთაბეჭდილება ისეთი იქმნება, რომ თითქოსდა, კატეგორიულად აუკრძალა ვიღაცამ ქართულ ტელესტუდიებს ქართული ფილმების ჩვენება. „ცისფერი მთების“ ნაცვლად პიტნასავით გჩრიათ ცხვირში თურქულ მრავალსერიალს „დიდებული საუკუნე“. თითქოსდა ქართველი მაყურებელი სულს ლევდეს იმის გასაგებად, თუ რა ურთიერთობაში იყვნენ ერთმანეთთან XVI საუკუნის თურქეთის სულთანის სულეიმანი და მისი უკრაინელი საყვარელი – ჰიურემი. მე ჩემი გასაჭირ და ჩემი ეროვნული სატკივარი მაქვს თურქეთის კინოს ფარავნად ქცეული, ბატონო კინომენჯერო. ვერ გავიგე, რატომ არ გინდა, მარტო დამტოვო ჩემს სევდასთან, ჩემს გოლგოთასთან. ვინ დაგავალა, ქართველი კაცი თავის მთავარ საფიქრალს ჩამოაშორე და მისი ყურადღება თურქულ „პრობლემებზე“ გადართო.

განა არ შეიძლება, ის ფული, რომელიც ჩამონერილი უცხოელი მომღერლების კონცერტებისათვის ან თურქული მრავალსერიანი ფილმების დაქირავებისთვის იხარჯება, ქართულ თეატრს და კინოს მოვახმაროთ, მაგრამ როცა ქართული ხელოვნების განვითარების პოლიტიკური ნება არ არსებობს, იქ ყველაფერი დასაშვებია. უნდა დაუმტკიცო ამერიკას და ევროპას, რომ დასავლეთს მარტო პოლიტიკურად კი არ ემორჩილები, არამედ შენი ეროვნული კულტურაც ფეხქვეშ უნდა გაუფინო.

რატომ?

უნდა „დაუმტკიცო“ დაუპატიჟებელ სტუმრებს, რომ არა მარტო ეკონომიკურად ხარ „განვითარებადი“, არამედ შენი კულტურაც ჩანასახოვან მდგომარეობაშია.

და საქართველოს 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომზე ქართველი მსახიობების და რეჟისორების გვერდის ავლით პრეზიდენტი ფილმის გადაღებას მრავალმილიონიანი დაფინანსებით უკვეთავს ამერიკელ რეჟისორს, რომელიც აცხადებს, რომ აქამდე საქართველო არც გაეგონა და არც რუსეთ-საქართველოს ომზე იცოდა რამე. სრულიად ბუნებრივია, რომ „სხვისი ჭირი – ლობეს ჩხირის“ პრინციპით ამერიკელმა „ვესტერნი“ გადაიღო და ფილმში საქართველოს ეროვნული ტკივილი კი არა, საომარი მალაყ-ჟონგლიორობაა ნაჩვენები. რატომ იგნორირებულჰყო ხელისუფლებამ ქართველი ხელოვანნი? განა ქართველმა მსახიობმა და რეჟისორმა უკეთ არ იცის, რა გვჭირს და

ვისგან? ეს იმ დროს ხდება, როცა ჩვენი კინოს მოღვაწენი უსახსრობის გამო უსაქმოდ სხედან და ლამის შიმშილობენ.

საერთოდ სავალალოა მსახიობის ბედი საქართველოში.

რაკილა პერიფერიის თეატრების თითქმის უმეტესობა გამოკეტილია და ღამურების თავშესაფრადაა ქცეული, ხოლო დედაქალაქის ორი-სამი ჯერ კიდევ მფეთქავი თეატრი წელიწადში თითო პრემიერით კმაყოფილდება, მსახიობები ვერ ახერხებენ თავიანთი ნიჭის რეალიზებას. ისე დაბერდება ნიჭიერი აქტიორი, რომ მისი მსახიობური ოსტატობა მხოლოდ თითო-ორი როლით დაამახსოვრდება მაყურებელს. ნიჭის რომელ რეალიზებაზეა ლაპარაკი, როცა სცენის კაცისთვის მთავარი ლუკმაპურის შოვნა გამხდარა და აწყდებიან ნიჭიერი მსახიობები ტელესტუდიებს, იქნებ „კლიპის“ ან რეკლამის გადაღებაში მაინც დაასაქმონ. ერთი ნაწილი საზღვარგარეთ გარბის და იქ ბროდვეიზე თუ სოხოს მოედანზე ბულვარული თეატრების პანტომიქტიორად გარდაიქმნება. ესეც მხოლოდ იმიტომ, რომ ენობრივი ბარიერი უშლის ხელს და რომელ შემოქმედებით ზრდაზე შეიძლება ლაპარაკი, როცა სამეცყველო თეატრისთვის დაბადებული მსახიობი საზღვარგარეთ საარსებო პურის მოპოვებისთვის „მუწჯ როლებში დაკავებული“ სცენაზე მი და მო დახტუნაობს. არა და, წლები გადის, მსახიობი „ფორმას კარგავს“, ბერდება და მისი დაუხარჯავი ნიჭი დღეს თუ ხვალ ბრალდებად წაეყენება იმას, ვინც იგი ასეთ დღეში ჩააგდო.

ცალკე უნდა გამოვყო პანტომიმის სახელმწიფო თეატრის საკითხი. ამირან შალიკაშვილის მიერ ამ ორმოცი წლის წინათ დაარსებულმა პანტომიმის თეატრმა კარგახანია საერთაშორისო აღიარება მოიპოვა. თეატრის არც თუ ხანგრძლივ ისტორიას არაერთი „გრანპრი“ და ოქროს მედალი ამშვენებს, მაგრამ ჩვენში ხომ შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვს და საქართველოში თითზე ჩამოსათვლელ თეატრთაგან ამ ერთ-ერთ ცოცხალ თეატრს ათეული წლების განმავლობაში მოუშორებელ ჭირად თან სდევს გულგრილობა. რეპეტიციები გაყინულ დარბაზში ტარდება. როგორც ზემოთ მოგახსენეთ, შენობის ინტერიერი თითქმის დანგრეულია და მაყურებელი ელემენტარულ სანტექნიკურ კომფორტსაც მოკლებულია. შემადრწუნებელი ის არის, რომ სააკაშვილმა თეატრის შენობა ერთ ლარად გაყიდა და ახლა თეატრის თავზე დამოკლეს მახვილივით ჰკიდია გამოსახლების საფრთხე. საზოგადოება არც ამ ფაქტს აღუშფოთებია.

როცა კულტურულ მემკვიდრეობაზე ვლაპარაკობთ, არ შეიძლება გვერდი ავუაროთ ოკუპირებულ ტერიტორიაზე დარჩენილ ჩვენს ისტორიულ ძეგლებს. უმადურმა სტუმრებმა რუსი ოკუპანტების დახმარებით შერყვნეს ქართული სინამდვილე. სავალალო მდგომარეობაშია ე. წ. აფხაზეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოში ბედიის, მოქვის, ბიჭვინთის, გაგრის და ილორის ტაძრები. ვანდალებმა ქართული ფრესკები და ნარწერები მთლიანად გაანადგურეს ამ ათასწლოვანი ტაძრების კედლებზე, აქაოდა ვარემონტებთო, ფრესკები გაჯით შელესეს. კულტურის ძეგლთა მიმართ ამ ბარბაროსული დანაშაულის გამო „იუნესკომ“ ერთი ამოიკნავლა და მიჩუმდა. საერთაშორისო ინსტიტუტებმა ერთი აღშფოთების ნოტაც არ გაუგზავნეს თავგასულ რუსეთს.

უარეს დღეშია შიდა ქართლის ეკლესია-მონასტრები. ქართველთა კვალის წასაშლელად ჩვენი „მოდმე ოსები“ ყოველდღიურად ენერგიულად იღწვიან. ქართულ ეკლესიებში ყველგან შეწყვეტილია წირვა-ლოცვა. საყდრებს კარები ჩამოხსნეს და ზოგი თავგასული მწყემსი ღვთის სახლებს გომურად იყენებს. ასეთი რამ საქართველოში ჩვენს „ნაცად“ დამპყრობლებს – არაბებს, სპარსელებსა და მონღოლებსაც არ ჩაუდენიათ.

დღესაც, როცა თითქოსდა შექმნილია მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი საქართველოს ტერიტორიული ხელშეუხებლობის შესახებ და ხელმონერილია სარკოზ-მედევევ-სააკაშვილის 2008 წლის დოკუმენტი, რუსი უტიფრად განაგრძობს ჩვენი ტერიტორიის მითვისებას. მან ე. წ. „მშვიდობიანი დაპყრობის გზა“ – მცოცავი ანექსია წამოიწყო, ქართულ მიწაზე მავთულხლართების გადმოწევა ყოველდღიურად ფასკუნჯივით ყლაპავს ქართულ მიწებს და გამკითხავი არავინ არის. „რუსეთის საზღვარში უკვე მოექცა რამდენიმე ქართული საყდარი, სასაფლაო და საცხოვრებელი სახლი. ნაძირალა ოკუპანტებმა აიძულეს არაერთი მშვიდობიანი მცხოვრები საკუთარი სახლი თავისივე ხელით დაენგრია და მავთულხლართებს აქეთ გადმოეტანა. და ეს ხდება იმ მსოფლიოს თვალწინ, რომელსაც თითქოსდა არაერთი საერთაშორისო უწყება (გაერო, ევროკავშირი, ევროპარლამენტი, საერთაშორისო სასამართლო...) გააჩნია უმწეო პატარა სახელმწიფოების დასაცავად. მაგრამ რად გინდა. შეაყარე კედელს ცერცვი. ჩვენთვის ყველა საერთაშორისო დიპლომატიური ინსტიტუტი (და თვით „ნატოც“) ურგებია.

ტრაგიკულია ისტორიულ ტაო-კლარჯეთში ქართული სამონას-

ტრო ძეგლების ბედი. გარდა იმისა, რომ თანამედროვე სომეხ ისტორიკოსთა ნაჯღაბნებში ეს ეკლესია-მონასტრები სომხურადაა მიჩნეული (და იუნესკოს სამეცნიერო ცენტრებში ერთი ჭკუადამჯდარი უცხოელი მკვლევარიც არ გამოჩნდა, რომელიც ამ მონასტერთა უფქველ ქართულობას დაამტკიცებდა და ჭირვეულ სომეხებს მათი „მიტაცების“ მადას საბოლოოდ დაუკარგავდა), ძეგლებს სხვა უბედურებაც სჭირს: ჩვენი უძვირფასესი მატერიალური კულტურის ძეგლები თურქეთში ღვთის ანაბარაა მიტოვებული. აწვიმს და ათოვს შატბერდს, ბანას, დოლისყანას, ხანძთას, ოშკს, იშხანს... ამ უკანასკნელის სახელდახელო, მოჩვენებითი რემონტი დაიწყეს ახლახან თურქებმა და სანაცვლოდ ბათუმში გრანდიოზული მეჩეთის აშენების ნებართვა მოგვთხოვეს. კეთილი და პატიოსანი, მაგრამ ათასწლოვანი იშხანს როგორც ჩვეულებრივ თურქულ საცხოვრისს ის რომ არემონტებენ და რესტავრაცია-გამაგრებაზე რომ ლაპარაკიც არ არის? ჩავიდა ორიოდე კვირის წინ „მშენებარე“ იშხანის მონახულებლად საქართველოს კულტურის სამინისტროს დელეგაცია. ახედ-დახედეს, აათვალიერ-ჩაათვალიერეს, „ოჰ, ოჰ, ოჰ, ოჰო“, ჩაილაპარაკეს და უკან წამოვიდნენ. აბა მასპინძელ თურქებს ხომ ვერ შეკადრებდნენ შენიშვნებს. იშხანი იშხანად, მაგრამ სხვა გაუბედურებული ძეგლების ბედით რატომ არ დაინტერესდა ჩვენი კულტურის სამინისტრო? რატომ კითხვით მაინც არ იკითხეს; რატომ გადააკეთეს თურქებმა მეჩეთად ხახულის მონასტერი, სადაც 900 წელი „ხახულის ღვთისმშობელი“ ბრძანდებოდა? რატომ ისმის მოლას გალობა 1000 წლის ქრისტიანულ ტაძარში – პარხალში? რატომ არ მოისაკლისა ჩვენმა დელეგაციამ ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრების ორი დიდებული ნიმუში – ტბეთი და ოპიზა? კიდევ კარგი, ტბეთი და ოპიზა არ გახსენებიათ, თორემ დელეგაციის წევრთა თვალზე ცრემლი მაშინ უნდა გენახათ. აღარ არსებობს ტბეთი, მიწასთანაა გასწორებული ოპიზა. ამ ორ მონასტერს თურქებმა გზები დაუმიზნეს და გზის მშენებლობის მოტივით იავარჯყვეს ქართული მონასტრები. ეს რომ სხვაგან მომხდარიყო „იუნესკო“ მსოფლიოს გასაგონად ზარებს დაარისებდა, მაგრამ საქართველო ხომ ბედშავი საქართველოა, ყველასგან დაბრეყებული და დაჩოქებული, პატივყარილი და უპატრონო.

ოკუპირებულ ტერიტორიებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, იქნებ შემორჩენილ ტერიტორიაზე (სადაც ჩვენი იურისდიქცია ვრცელდება) არსებული ძეგლები მაინცაა სახელმწიფოს ყურადღებით გარე-

მოცული? ნგრევის პირასაა კვეტარა, სულს ღაფავს ჯრუჭის მონასტერი, ბებრის ლოჯებივით დგას გეგუთი და სადაცაა ჩამოიშლება... მილიონებს ვხარჯავთ გასართობ შოუ-სისულელეებში და ჩვენი სიმდიდრისთვის ვერ მოგვივლია.

უპატრონობით იძარცვება და ექსპონატები დღითიდღე აკლდება კონსტანტინე გამსახურდიას, მიხეილ ჯავახიშვილის, ნატო ვაჩნაძის, სერგო ზაქარიასის, ნიკო ლორთქიფანიძის, ტერენტი გრანელის სახლ-მუზეუმებს. ბარბარ-ოსებმა შეურაცხყვეს ვანო მაჩაბლის სახლ-მუზეუმი.

რომელი ერთი ჩამოვთვალო.

შთაბეჭდილება ისეთი რჩება, რომ ხელისუფლება არც თვითონ აფინანსებს დიდი ტრადიციების მქონე ჩვენს ლიტერატურულ ორგანოებს და ბიზნესმენებსაც უკრძალავს, რომ სამწერლო ჟურნალ-გაზეთები დააფინანსონ.

მიტოვებულ ეკლესიას ჰგავს საქართველოს მწერალთა კავშირი. მწერლებს ჯიუტად არ უბრუნებენ კუთვნილ შენობას. რა ხდება? ხელისუფალნი მიდიან და მოდიან, პრეზიდენტები იცვლებიან, მაგრამ მწერლებისადმი გულგრილი დამოკიდებულების ყრუ კედელი უცვლელი რჩება.

რა მდგომარეობაა სხვაგან?

მსოფლიოში არ ყოფილა სხვა შემთხვევა, რომ ხელისუფლებას მწერალთა სასახლე დაერბიოს და მწერლები თავიანთი ისტორიულ-მემორიალური ნივთებიანად ქუჩაში გამოეყაროს.

ამას წინათ მწერალთა კავშირში სტუმრად გვყავდა სლოვაკიის მწერალთა კავშირის თავმჯდომარე. სხვათა შორის, მწერალთა სოციალურ მდგომარეობაზეც ვკითხეთ.

წელიწადში ერთხელ ყოველ მწერალს ეძლევა ხუთთვიანი სამწერლო მივლინება თვეში 1000 ევროთი და ნებისმიერ კურორტზე უფასო მომსახურებით. გარდა ამისა, მწერალთა კავშირის წევრი სიცოცხლის მანძილზე სრული უფასო სამედიცინო მომსახურების პაკეტით სარგებლობს...

აგერ ა, აზერბაიჯანში მწერალთა კავშირის წევრს თვეში 500 დოლარი აქვს და სომხეთის მწერალთა კავშირის ბევრს 200 დოლარი; ნახკაძორის მწერალთა სახლში უფასო მომსახურებით.

ჩვენ რა დაგვემართა?

ილია ჭავჭავაძის სამშობლოში რატომ გაუუცხოვდნენ მავანნი და მავანნი ეროვნულ კულტურას.

ამ გულგრილობის ბრალი ხომ არ არის, რომ ახალგაზრდების შემოქმედებაში ნელ-ნელა მკვიდრდება ნიჰილიზმი საქართველოს ეროვნული ბედისადმი, ქართული ფენომენისადმი?

ახლახან კულტურულ მემკვიდრეობაზე მზრუნველებმა კიდევ ერთი „მშვენიერება“ შემოგვთავაზეს: პარლამენტში შევიდა კანონი, რომელიც ითვალისწინებს სახელმწიფოებრივი საჭიროების გამო ნებისმიერი ისტორიული შენობისთვის კულტურული მემკვიდრეობის სტატუსის ჩამორთმევას.

თუ ეს კანონი ძალაში შევა, იგი ხომ ხელს გაუხსნის მავანთ ნებისმიერ ისტორიულ ძეგლს ხელალებით ჩამოაჭრან ტიტული და გაასხვისონ. ვერ უვლი? არც რესტავრაციის თავი გაქვს? ადექი და გაყიდე...

ამაზე კულტურის სამინისტროს განგაში უნდა აეტეხა. ჩვენმა, კულტურულ მემკვიდრეობაზე „გულატიკეებულმა“ მინისტრმა კი მორცხვად ჩაილაპარაკა: „ოქროს შუალედზე შევჩერდეთ“.

ასეთი ჭკვიანური „შეჯერების“ შედეგად შეინარჩუნა მან კულტურის მინისტრის პოსტი. აბა რა.

სანამ გვიან არ არის, გამოვიფხიკოთ ყურები, ქართველებო!

15.XI.2013  
თბილისი

## სოსო სიგუა

სოსო სიგუა სამწერლო ასპარეზზე გასული საუკუნის სამოცდაათიან წლებში გამოვიდა.

ჰორიზონტზე მაშინ გამოჩნდა, როცა კრიტიკოსს ლიტერატურული პროცესების „წარმმართველის“ მანტია აღარ ემოსა.

ჩამთავრებული იყო ბესო ჟღენტის ეპოქა, ანუ ის დრო, როცა კრიტიკოსის მძაფრი გამოსვლა განაჩენი გახლდათ და გაკრიტიკებული მწერლის ბედით არც მეტი, არც ნაკლები, ჩეკა ინტერესდებოდა.

საბჭოთა კრიტიკის მძვინვარების დროს არ არსებობდა მხატვრულ ნაწარმოებზე „უწყინარი აზრის“ გამო თქმის ცნება.

საორჭოფო ფრაზები „მე ასე ვფიქრობ“, „იქნებ ვცდებოდე“, „ხომ არ აჯობებდა...“ მოდამი არ იყო.

შეფასების კატეგორიულობას განგაშის ზარის დარისხების ძალა ჰქონდა. „იგი ჩვენი კაცი არ არის“, „ხალხის მტრებთან ნილნაყარია“, – ხშირად ნაანყდებოდით ხელისუფლებასთან ჩახუტებული, ოფიციალური კრიტიკოსების ნააზრევში.

სამოციანი წლებიდან დრო შეიცვალა და ლიტერატურის კრიტიკოსს, შემფასებლის ფუნქციასთან ერთად, ესთეტიკური მრჩევლის როლიც დაეკისრა.

და სწორედ მაშინ, როცა გურამ ასათიანმა ლიბო დაუდო ნაწარმოების მრავალმხრივი და არა სწორხაზოვანი (იდეური! რ. მ.) შეფასების ტრადიციას სალიტერატურო კრიტიკაში გამოჩნდა ერთი სათვალთან, სიმპათიური, ხმელ-ხმელი, ინტელიგენტური გარეგნობის ახალგაზრდა კაცი, რომელმაც მკითხველის ყურადღება მიიპყრო გულწრფელობით, ღრმა განსწავლულობითა და მწერლისადმი თანადგომის სურვილით.

სოსო სიგუა ავტორს მაღლიდან როდი დასცქეროდა. არც იმას ცდილობდა, თავისი ნააზრევი ლიტერატურული მომსახურების სფერომდე დაეყვანა. პირველი სტრიქონებიდანვე იგრძნობდით, რომ თქვენ გელაპარაკებოდით კოლეგა-ლიტერატორი, რომელსაც მხოლოდ და მხოლოდ დახმარება სურდა, რათა ნაწარმოები უფრო სრულყოფილი გამხდარიყო და ამავე დროს ორი ამოცანის გადაწყვეტას ცდილობდა. პირველ რიგში, მკითხველს განუმარტავდა, რა ღირსება-ნაკლოვანებები გააჩნდა ავტორის ქმნილებას, რა იყო მწერლის ჩანაფიქრში მთავარი და არსებითი და მეორეც, ლიტერატურული არბიტრის შეუმცდარი ალლოთი ზუსტ ადგილს უძებნიდა სარეცენზიო ნაწარმოებს ლიტერატურის ისტორიის დიდ წიგნში.

ამ სურვილმა ბევრს ნაატეხინა ფეხი.

არაერთ კრიტიკოსს შეეცყო, რომ იგი ტენდენციური იყო, ამკარად ცრუობდა და თან გემოვნებაც ღალატობდა.

„ოსპის წვეზე“ გაყიდული კრიტიკოსები თანდათანობით ჩამოშორდნენ ლიტერატურას.

ცოცხალ ლიტერატურულ პროცესს სჯულმდებლად და გონიერ თანამდგომად რამდენიმე კრიტიკოსი შერჩა და მათ შორის უნიჭიერესი, შეუბღალავი სახელისა და ნაწარმოების შინაგანი პულსაციის უტყუარი მწერალ-მემტყობარი სოსო სიგუა გახლავთ.

შეიძლება თამამად ითქვას, რომ იგი დღეს უპირველესი კრიტიკოსია.

სოსო სიგუას მიერ ნაწარმოებზე თუნდაც რადიკალურად კრიტიკული აზრის გამოთქმასაც კი ავტორები ღირსების საქმედ მიიჩნევენ.

მათ იციან, რომ სოსო სიგუას პირით ჭეშმარიტება ღალატებს.

იგი არაფერს წერს ჩასაფრებულის პოზიციიდან.

მისთვის მთავარია ჭეშმარიტება და ჭეშმარიტების სახელით იგი თუნდაც მწარე შეძახილსაც არ ერიდება.

„არ ერიდება“ შემთხვევით არ წამომცდენია.

სოსო სიგუა თავის განსჯაში უშიშარიც გახლავთ.

ასჯერ გაზომავს და ერთხელ გაჭრის, მაგრამ გაჭრის იქ, სადაც გასაჭრელია.

მთელი ორმოცი წლის მანძილზე სოსო სიგუა ფხიზელ გუშაგად კეთილ მკითხველ-განმჩხრეკლად ედგა გვერდით მწერალს.

მის თვალს ამ ხნის მანძილზე არ გამოჰპარვია, რაც კი ღირებული შეიქმნა ქართულ ლიტერატურაში.

მერე და მერე სოსო სიგუა მწერლობაში დადებითი ტენდენციების შემჩნევ და თვალსაჩინო ლიტერატურული მოვლენების შემფასებლად ჩამოყალიბდა.

მან ჩათვალა, რომ კალამზე მოძალადე და განდიდების მანიით შეპყრობილ გრაფომანებს მაინც ვერაფერს შეაგნებინებდა და კრიტიკული მზერა ნიჭიერთა შემოქმედებისკენ მიმართა.

სოსო სიგუას სტილი ორი ტენდენციის ბედნიერი სინთეზია, პირველი გახლავთ ესეისტურ-პროზაული მანერა წერისა, როდესაც კრიტიკული ნააზრევი სულმოუთქმელად იკითხება და მეორე – მსოფლიო ლიტერატურის ღრმა ცოდნაზე დამყარებული შედარებითი ანალიზი. ამ უკანასკნელი მეთოდის მომარჯვების დროს სოსო სიგუა თავს არასოდეს გახვევს ნაკითხობით მიღწეულ უპირატესობას.

ცოცხალი ლიტერატურული პროცესების შესწავლის მხარდამხარ სოსო სიგუას ლიტერატურის მეცნიერის, ლიტერატურათმცოდნის ურთულესი ფილოლოგიური სამუშაოს შესრულებაც მოუხდა.

უნდა გარკვეულიყო, რა ემოციურ-ტრადიციული კავშირი არსებობდა სამწერლო თაობებს შორის. იყო თუ არა ქართული ლიტერატურა ერთიანი ლიტერატურული სხეული, რა საერთო და განმასხვავებელი არსებობდა ძველ, ახალ და უახლეს მწერლობას შორის.

ჩაუჯდა არქივს ფილოლოგიის ყველაზე ახალგაზრდა დოქტორი სოსო სიგუა.

ჩაუჯდა და უმოკლეს დროში დაადგა თავი იმ საქმეს, რისთვისაც არაერთი მოკირკიტე მეცნიერი „ამაოდ დაშვრა“ სწორედ იმიტომ, რომ ზოგიერთ ჩვენს მუყაით და ენერგიულ კოლეგას მასშტაბური ხედვის, ფაქტების მეცნიერული კლასიფიკაციის, განზოგადების უნარი არ აღმოაჩნდა.

ამ თვისებების გარეშე კი ლიტერატურის ისტორია არ იწერებდა.

სოსო სიგუამ ერთიმეორის მიყოლებით გამოაქვეყნა უაღრესად საინტერესო გამოკვლევები ოციანი წლების ლიტერატურულ სკოლებზე, მოდერნისტულ მიმდინარეობებზე, სიმბოლიზმზე, ავან-გარდიზმზე...

რაც მთავარია, ამ წიგნებში სოსო სიგუა ცდილობს დაინახოს, როგორ უწყობდა ფეხს მეოცე საუკუნის პირველი ათწლეულების ქართული მწერლობა მსოფლიო ლიტერატურულ პროცესებს. ხომ არ იყო ქართული ლიტერატურა ეგზოტიკურ-პროვინციული ლიტერატურული კუნძული.

როცა ოციანი წლების ლიტერატურული პანორამა ლიტერატურის ისტორიკოსის მახვილი თვალით დაინტერესებულ მკითხველთათვის საცნაურჰყო, სოსო სიგუა შეუდგა მეოცე საუკუნის უპირველესი რომანისტის, თავისი შემოქმედების მრავალწახნაგოვნებით, მსოფლმხედველობის წინააღმდეგობრივი ბუნებით და უანრული თვალსაზრისით პრობლემური იერსახის მქონე მწერლის კონსტანტინე გამსახურდიას ცხოვრებისა და შემოქმედების შესწავლას.

ათ წელზე მეტი მოანდომა კონსტანტინე გამსახურდიას მრავალსახოვანი ნააზრევის ლაბირინთებში მეცნიერულის ლამპრით სვლას და ქართველი მკითხველის თაროზე დადო „დიდოსტატის მარჯვენის“ ავტორზე დაწერილი ოთხი სქელტანიანი ტომი.

აწ და მარადის კონსტანტინე გამსახურდია უნიჭიერესი მკვლევრის თვალით და გონებით შეფასებულია დიდაც რომ მაღალპროფესიული და მაღალკვალიფიციური განხილვით.

კრიტიკოს-მეცნიერის მხრიდან მსგავსი თანადგომა არც ერთ ქართველ მწერალს (თვით რუსთაველსაც კი) არ ღირსებია.

კონსტანტინე გამსახურდია მხატვრული სიტყვის ოსტატი, კონსტანტინე გამსახურდია ფილოსოფოსი, კონსტანტინე გამსახურდია ქართული ენის დიდი რეფორმატორი, კონსტანტინე გამსახურდია ერის ქომაგი და გულმხურვალე მამულიშვილი... სოსო სიგუას ოთხტომეულში წარმოდგენილია მთელი თავისი დიდებულებით.

ამ რომან-მონოგრაფიის სტილიც კი ისეთივეა, როგორც მწერალსა და რაინდს, კონსტანტინე გამსახურდიას ეკადრება.

სოსო სიგუა წერს ისე ლაღად და ხატოვნად, შედარებების და კალამბურების მომარჯვებით და, რაც მთავარია, ადრესატისადმი განუზომელი სიყვარულით, რომ ოთხტომეული მართლაც რომ მაღალხარისხოვანი პროზის სიამოვნებით იკითხება.

ეს წიგნი ყოველთვის იქნება ძვირფასი მაგალითი სოსო სიგუას კვალზე მისულ ფილოლოგ-მეცნიერთათვის, მაგალითი იმისა, თუ როგორ უნდა ელაპარაკო ქვეყნარტ მწერალს, როგორი უნდა იყოს ბრძენი შუამავალი მწერალსა და მკითხველს შორის.

ყველაზე ხელხვაიან მწერლებსაც კი აქვთ ერთი ან ორი ისეთი ნაწარმოები, რომლებშიც მათი ტალანტი და შემოქმედებითი ენერგია შედარებით სრულად გამჟღავნდა.

მე ვფიქრობ „კონსტანტინე გამსახურდიას ცხოვრება და შემოქმედება“ ჯერჯერობით სოსო სიგუას მთავარი წიგნია. ყოველ შემთხვევაში, სოსო სიგუას ხსენებისას მკითხველს „დავით აღმაშენებლის“ ავტორზე შექმნილი დიდებული მეცნიერული ეპოპეა წარმოუდგება.

ამ მასშტაბური ნაშრომის შექმნიდან ათწლეულები გავიდა.

ლიტერატურულ პროცესში კრიტიკოსის ადგილმაც და, თქვენ წარმოიდგინეთ, მოვალეობამაც გარკვეული სახეცვლილება განიცადა.

დღეს კრიტიკოსი ძველებურად ვეღარ ახდენს გავლენას სამწერლო ცხოვრებაზე და რაკილა იგი თანდათანობით ლიტერატურისთვის უკან მიდევნებულ ლამპრად იქცა, მწერალიც ძველებური გულისყურით აღარ ელოდება კრიტიკოსის მსჯავრს მის ნააზრევზე.

...და სოსო სიგუას მაძიებელი გონება ფილოლოგიურ-ესთეტიკური მეცნიერების შედარებით ახალ დარგზე – კულტუროლოგიაზე დაკონცენტრირდა.

უკვე შეიძლება ითქვას, რომ ამ მიმართულებითაც გამართლდა ცნობილი ქართული ანდაზა „ვისაც მოუკლავს ის მოჰკლავს“.

სოსო სიგუამ რეკორდულად მოკლე დროში შექმნა და გამოსცა „კულტუროლოგიის საფუძვლების“ სამი ტომი და ამით საფუძველი ჩაუყარა, ლიბო გაუმაგრა ქართულ კულტუროლოგიურ მეცნიერებას.

სოსო სიგუას „კულტუროლოგიის საფუძვლები“ დაწერილია მსოფლიო კულტუროლოგიის უახლესი მიღწევების გათვალისწინებით და, რაც უაღრესად ნიშანდობლივია, ეყრდნობა ქართულ მასალას.

აქვე არ გამომჩნეს, სოსო სიგუას ლიტერატურული მოღვაწეობის კიდევ ერთი მხარე – იგი მაღალკვალიფიციური, კეთილსინდისიერი, ჭეშმარიტად პროფესიონალი მთარგმნელია. ნათქვამის საილუსტრაციოდ თუნდაც ალექსანდრ ბლოკის პოეზიაც იკმარებდა.

სოსო სიგუას პორტრეტი სრული არ იქნება, თუ არ აღვნიშნავთ მის აქტიურ საზოგადოებრივ-პედაგოგიურ საქმიანობას. „ლიტერატურული საქართველოს“ მთავარი რედაქტორი, რადიოსა და ტელევიზიის ლიტერატურული სამმართველოს უფროსი, მწერალთა კავშირის პრეზიდენტის ნევრი, კონსტანტინე გამსახურდიას კაბინეტის დამაარსებელი, „მწერლის გაზეთის“ რედაქტორი, არაერთი ასპირანტის და დოქტორანტის მეცნიერ-ხელმძღვანელი, სტუდენტებისათვის საყვარელი, ტკბილმოუბარი პროფესორი... ასეთია სოსო სიგუას ნამსახურობის არასრული ჩამონათვალი.

სოსო სიგუა მალე სამოცდახუთისა გახდება.

მოგეხსენებათ, შემოქმედისთვის ეს საშუალო ასაკია.

ამ ხნის განმავლობაში სოსო სიგუას ჯილდოთა ნუსხამ იზარდა და იზარდა: იგი გახლავთ დავით აღმაშენებლის, საქართველოს სახელმწიფო, გერონტი ქიქოძის და ივანე მაჩაბლის პრემიების ლაურეატი.

ასე რომ, სოსო სიგუას სახით ქართულ მწერლობას სახელოვანი მწერალი და კრიტიკის კლასიკოსი ჰყავს, ხოლო ერს ჭეშმარიტი პატრიოტი, გულმხურვალე მამულიშვილი და საზოგადო მოღვაწე.

2013 წ.

## ღმერთმა ხელი მოუგართოს

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეროვნული სული დაბრუნდა.

ამ სასიამოვნო მოვლენის უპირველეს ნიშნად ისიც კმარა, რომ ახალარჩეულმა რექტორმა, აკადემიკოსმა ლადო პაპავამ კაბინეტში შესვლისას პირველივე დღეს მტვერნაყრილი სკივრიდან ამოიღო უნივერსიტეტის დამაარსებლის სურათი და კედელზე დაკიდა.

ეს უკვე ცხადყოფდა ახალი რექტორის სამომავლო ორიენტაციას.

მართლაცდა, ხელი როგორ უნდა მოგიბრუნდეს რექტორს, რომ კედლიდან ივანე ჯავახიშვილის სურათი ჩამოსხნა.

ახლა ვნახოთ, ვინ არის იგი, ვინც საქართველოს უპირველეს უნივერსიტეტში ივანე ჯავახიშვილის სავარძელში ზის.

კარებშივე შეგეგებებათ სანდომიანი ახალგაზრდა კაცი, უაღრესად დახვეწილი მანერების მქონე, უკომპლექსო პიროვნება და პირველი ნუთებიდანვე იგრძნობა, რომ სტუმრის ღირსების სრული დაცვით, საქმიანად გელაპარაკება.

უნივერსიტეტის კარებში აღარ დგას პოლიცია და საბუთებს არ გისინჯავენ.

რექტორის მისაღებში ორი უაღრესად ზრდილი თანამემნე ყურადღებით გექცევა და თავს არ გაბეზრებს შეკითხვით: დაგიბარათ? თუ დაბარებული არა ხართ, ვერ მიგიღებთ, აქ ტყუილად ნუ მოიცდით...

ეს ყველაფერი წარსულს ჩაბარდა.

როცა მოახსენებენ, რექტორი კარს თვითონ აღებს და ათას ბოდიშს გიხდის, რომ სულ რაღაც ათიოდე წუთი გალოდინა.

გამოდიხარ მისი კაბინეტიდან და ამბობ – აშენდა შენი გამზრდელი.

ლადო პაპავას საქართველო კარგად იცნობს.

პიროვნული ხიბლით, ნიჭიერებით და შრომისმოყვარეობით, ჭეშმარიტი მამულიშვილობით მან ნაბიჯ-ნაბიჯ შეიქმნა კაცური კაცის იმიჯი.

იგი მოვიდა საზოგადო მოღვაწის სახელით და მადლობა როგორ არ ვუთხრა იმ აკადემიურ საბჭოს, რომელმაც იგი შეიწხო და გამოარჩია.

ვის დავუმალო, ქვეყანამ იცის, რომ ათი წლის განმავლობაში უნივერსიტეტს ზემოდან დანიშნული რექტორები ჰყავდა.

აღარ მინდა „წარსულზე დარდი“.

ერთს ვიტყვი მხოლოდ: რა სიკეთე უნდა მოუტანოს ქვეყანას და რა ეროვნული ინტილიგენცია უნდა აღზარდოს რექტორმა, რომელსაც ბიბლიოთეკიდან ნიგნების მოპარვას დააბრალებენ, ერთ „მშვენიერ დღეს“ სტუდენტთა გართობის ფორმად დერეფნებში ქალაღდის თვითმფრინავების სროლაში შეჯიბრს გამართავს და, თუ გნებავთ, ისე მოუბლაგვდება ეროვნული ნერვი, რომ ივანე ჯავახიშვილის სურათს გაატანინებს კაბინეტიდან.

იგი არავის არ დაუნიშნავს.

რექტორის მანტია ბეჭებზე მისმა დიდმა, პატიოსანმა სახელმა მოასხა.

უნივერსიტეტის გაცოცხლების მიმართულებით მშვენიერი აზრები აქვს.

მან კარგად იცის, რომ გარდა დაფასთან ცარცით დგომისა და კომპიუტერთან ურთიერთობისა, შუალედებში სტუდენტის დრო იმითაც უნდა ამოავსოს, რის გარეშეც მომავალი სპეციალისტი ვერ წარმოიდგინება.

უნივერსიტეტში განახლება შეხვედრები საინტერესო ადამიანებთან.

უნივერსიტეტში აღსდგება ეროვნული თარიღების აღნიშვნის ტრადიცია.

უნივერსიტეტში გაცოცხლდება სადისკუსიო კლუბი.

გაიმართება საერთაშორისო კონფერენციები მეცნიერების გლობალურ პრობლემებზე.

განახლება ახალგაზრდა მწერალთა წრე და სისტემატურად გამოიცემა ლიტერატურული აღმანახი „პირველი სხივი“.

სუნთქვა დაუბრუნდება საუნივერსიტეტო გამომცემლობას

და...

რომელი ერთი ჩამოვთვალო.

ლადო პაპავამ კარგად იცის, რომ უნივერსიტეტის ახალგაზრდა მწერალთა წრეში დაფრთიანდა თითქმის ყველა ჩვენი თანამედროვე სახელოვანი მწერალი.

ვესაუბრე ახალ რექტორს და დავრწმუნდი, რომ იგი სწორი მიმართულებით გაუძღვება ეროვნული ინტელიგენციის სამჭედლოს.

შეიძლება ამთავითვე ითქვას, რომ დედა-უნივერსიტეტი გადარჩენილია.

2013 წ.

## ასარჩქვი

საგნის მიზანი და ამოცანები.....	7
XX საუკუნის დასაწყისი და მწერლობა .....	10
მეცხრამეტე საუკუნის დასასრულისა და მეოცე საუკუნის დასაწყისის საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური და ლიტერატურული ვითარება .....	13
ეგნატე ნინოშვილი (1859 - 1894) .....	26
ვასილ ბარნოვი (1857 - 1934) .....	43
დავით კლდიაშვილი (1862 - 1931).....	52
შიო არაგვისპირელი (1867-1926) .....	69
ჭოლა ლომთათიძე (1878 - 1916).....	84
ოცინი წლების ლიტერატურული დაჯგუფებანი .....	98
შალვა დადიანი (1874-1959).....	110
გრიგოლ რობაქიძე (1880-1962) .....	129
ნიკო ლორთქიფანიძე (1880 - 1944).....	152
მიხეილ ჯავახიშვილი (1880 - 1937) .....	171
ლევო ქიაჩელი (1884 - 1963).....	193
იოსებ გრიშაშვილი (1889 - 1965).....	213
კონსტანტინე გამსახურდია (1891-1975) .....	225
გალაკტიონ ტაბიძე (1891-1959).....	268
პოლიკარპე კაკაბაძე (1893 - 1972).....	291
პაოლო იაშვილი, ტიცციან ტაბიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი ...	304
პაოლო იაშვილი (1892 -1937) .....	306
ტიციან ტაბიძე (1895 - 1937) .....	314
ვალერიან გაფრინდაშვილი (1890 - 1941) .....	323
ტერენტი გრანელი (1898 - 1934) .....	331
გიორგი ლეონიძე (1899 - 1966) .....	350
ირაკლი აბაშიძე (1909 - 1992).....	369
ლადო ასათიანი (1917 - 1943).....	383
იოსებ ნონეშვილი (1919 - 1980).....	396
მურმან ლებანიძე (1922-2002) .....	418
ანა კალანდაძე (1924-2008).....	444
ნოდარ დუმბაძე (1928 - 1984) .....	457
შოთა ნიშნიანიძე (1929 - 1999) .....	468

## წერილები

ვუშველოთ კულტურულ მემკვიდრეობას .....	495
სოსო სიგუა.....	503
ღმერთმა ხელი მოუმართოს .....	508

**РЕВАЗ МИШВЕЛАДЗЕ**  
**ИЗБРАННЫЕ ПРОИЗВЕДЕНИЯ**  
в 25 томах  
ТОМ XXV  
Издательство „Сакартвелос Мацне“  
Тбилиси 2013